ქეთევან მარშავა, მაია მინდორაშვილი

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა

თეორია პრაქტიკა ანალიზი

რეკომენდებულია სახელმძღვანელოდ
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
სარედაქციო - საგამომცემლო საბჭოს მიერ

თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

რედაქტორი **როზეტა ასათიანი** — ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი

რეცენზენტები: მაია გიორგობიანი — ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ ეკონომიკური სტატისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი
ზამირა შონია — ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ ეკონომიკური სტატისტიკის კათედრის ასისტენტ-პროფესორი

ავტორები: **ქეთევან მარშავა** — ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი
მაია მინდორაშვილი — ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ ეკონომიკური სტატისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი

ნაშრომში განხილულია ეროვნულ ანგარიშთა სისტემის როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიური, ისე პრაქტიკული ხასიათის საკითხები, გაშუქებულია ეროვნულ ანგარიშთა სისტემის არსი, სტრუქტურა, ფუძემდებლური დებულებები და კონცეფციები, ეროვნული ანგარიშების შედგენის ძირითადი პრინციპები, კლასიფიკაცია და ინფორმაციული წყაროები. ცალკე თავებად არის წარმოდგენილი საგადასახდელო ბალანსის, დარგთაშორისი კავშირებისა და ეროვნული სიმდიდრის სტატისტიკა, მწპ-ისა და ვალუტის მსყიდველობითი უნარის პარიტეტების საერთაშორისო შედარებები.

წიგნი განკუთვნილია ეკონომიკისა და ბიზნესის პროფილის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის. ის დახმარებას გაუწევს აგრეთვე აკადემიურ პერსონალს და მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებითა და ანალიზით დაინტერესებულ სპეციალისტებს.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა

თეორია პრაქტიკა ანალიზი

რედაქტორისაგან

მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციებისა და გლობალური ეკონომიკის ფორმირების თანამედროვე ეტაპზე „ახალ მსოფლიო წესრიგში" „ეკონომიკური წესრიგის" განსაზღვრული როლის ზრდის პირობებში სულ უფრო იზრდება სტატისტიკის, აღრიცხვისა და ანგარიშგების მნიშვნელობა. მათ სწორ ორგანიზებაზე დიდად არის დამოკიდებული „ღია ეკონომიკის" კონკურენტულ სივრცეში ცალკეული ქვეყნების, მათ შორის, მცირე ეკონომიკის მქონე სახელმწიფოების ეფექტიანი ფუნქციონირება და მდგრადი განვითარება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეროვნულ ანგარიშთა სისტემის, როგორც ქვეყნის ეკონომიკის კომპლექსურად შესწავლის თანამედროვე მსოფლიო სტანდარტისა და უნივერსალური საშუალების, საუნივერსიტეტო პროგრამებში სპეცკურსის სახით ჩართვა. ეს მსოფლიოში აპრობირებული პრაქტიკა განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოსათვის, რომელიც ძნელად იკაფავს გზას საბაზრო ურთიერთობების რთულ ლაბირინთებში და დღესაც სერიოზული პრობლემების წინაშეა როგორც საუნივერსიტეტო კადრების მომზადების, ისე ეროვნული სტატისტიკის განვითარების მხრივ. აქედან გამომდინარე, მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება წინამდებარე ნაშრომი, როგორც ეროვნულ ანგარიშთა სისტემაზე დაწერილი პირველი სახელმძღვანელო საქართველოში.

გამომდინარე იქიდან, რომ მრავალასპექტიანია გაეროს ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, საყურადღებოა სახელმძღვანელოს არქიტექტონიკაც. ინტერესს აძლიერებს მასში განხილული თეორიული და პრაქტიკული ხასიათის ამოცანათა ფართო წრე, რაც საკვლევ პრობლემას მასშტაბურობას ანიჭებს. ნაშრომი ეხმაურება თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ კატაკლიზმებს, როცა ბევრი ადრინდელი თეორია, პარადიგმა თუ დებულება არსებითად შეიცვალა და თვისებრივად ახალი პრობლემები ახლებური მიდგომებითაა გააზრებული.

ავტორები ცდილობენ შეავსონ ის ვაკუუმი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში შეიქმნა საბჭოურ სტატისტიკაში, რომლის ელემენტებს, სამწუხაროდ, დღესაც ვხდებით სტატისტიკური სამსახურის პრაქტიკაში.

სახელმძღვანელოში გამოთქმულია საინტერესო მოსაზრებები, რომლებიც, მიუხედავად ზოგიერთი მათგანის სადისკუსიო ხასიათისა, ყურადსაღები და დამაფიქრებელია.

აღსანიშნავია ნაშრომის ავტორთა კვალიფიციურობა, მოვლენათა არსში ღრმად წვდომის უნარი, ნააზრევის დახვეწილად გადმოცემის კულტურა, ეკონომიკურ ტერმინთა და მაჩვენებელთა განმარტების ლაკონიურობა და ადვილად ასათვისებელი ლიტერატურული სტილი, რაც განსაკუთრებით სახელმძღვანელოსთვისაა ფასეული. ნაშრომს ამდიდრებს საკონტროლო კითხვები, ტესტები და ამოცანები.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს არა მხოლოდ უმაღლესი სკოლის სტუდენტ-ახალგაზრდობას და აკადემიურ პერსონალს, არამედ ეროვნული სტატისტიკის განვითარების ბედით დაინტერესებულ სპეციალისტებს.

ეს ძალიან ბევრს ნიშნავს!

როზეტა ასათიანი
თბილისი 17.11.2008

სარჩევი

წინასიტყვაობა

I თავი ეროვნული ანგარიშიანობა — საერთაშორისო სტატისტიკური მეთოდოლოგიის საფუძველი 9

II თავი ეროვნულ ანგარიშთა სისტემის წარმოშობისა და განვითარების ისტორია 39

III თავი ეროვნული ანგარიშიანობის ძირითადი ცნებები და კატეგორიები 55

IV თავი ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი დაჯგუფებები და კლასიფიკაციები ეროვნულ ანგარიშიანობაში 76

V თავი ეკონომიკური საქმიანობის შედეგების მაჩვენებელთა სისტემა და მათი გაანგარიშების მეთოდოლოგია ეას-ში 105

VI თავი ეას-ის ძირითადი ანგარიშების სისტემა 134

VII თავი ეროვნული ანგარიშების შედგენის ინფორმაციული წყაროები 206

VIII თავი საგადასახდელო ბალანსი 221

IX თავი დარგთაშორისი კავშირების ანალიზი ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში 252

X თავი ეროვნული სიმდიდრის სტატისტიკა 279

XI თავი მთლიანი შიდა პროდუქტისა და ვალუტის მსყიდველობითი უნარის პარიტეტების საერთაშორისო შედარებები 308

ეას-ში გამოყენებული ძირითადი ინგლისურ-ქართული ტერმინები 336

დანართი 343

სარეკომენდაციო და გამოყენებული ლიტერატურა 354

რედაქტორი დალი გერმანიშვილი

ყდა თინათინ ჩირინაშვილი

კომპიუტერული
უზრუნველყოფა მარიამ ებრალიძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009

ISBN 978-9941-13-076-2

წინასიტყვაობა

საქართველოში საბაზრო ურთიერთობების ფორმირებამ და ახალი ეკონომიკური სისტემის მშენებლობამ არსებული საბჭოური სტატისტიკის ძირეული გარდაქმნა მოითხოვა. ეს გასაგებიცაა. ეკონომიკის გაჯანსაღება და ეკონომიკური რეფორმების სწორი წარმართვა პრაქტიკულად შეუძლებელია ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების შესახებ სწორი ინფორმაციის გარეშე. ეროვნული სტატისტიკა ახლებურ მეთოდოლოგიურ მიდგომას მოითხოვდა. ამიტომაც იმთავითვე განსაკუთრებული მნიშვნელობა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის დანერგვას მიენიჭა. თანამედროვე სტატისტიკის პრაქტიკაში ფართოდ აპრობირებული მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა (ანგარიშთა) ეს სისტემა ქვეყნის ეკონომიკის შესწავლის უნივერსალური მეთოდია. მეტიც, თანამედროვე პირობებში იგი ეროვნული ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირების საფუძველიცაა. ეას მოიცავს არა მხოლოდ მთელი ეკონომიკის კონსოლიდირებულ ეროვნულ ანგარიშებს, არამედ დარგობრივ და სექტორულ ანგარიშებსაც (რომლებსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ მინიჭებული), აგრეთვე ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით ანგარიშებს. ამ სფეროში იგი საერთაშორისო სტანდარტია და ამჟამად მას მსოფლიოს 150-ზე მეტი ქვეყანა იყენებს ეროვნული ანგარიშების შედგენისას. ამიტომ ეას-ის შესწავლასა და მის ანალიზს, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ჭრილში, დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული სტატისტიკის განვითარების თვალსაზრისით. ამ მხრივ, მეტად საყურადღებოა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის, როგორც სასწავლო დისციპლინის, შემოღება საუნივერსიტეტო სწავლებაში. ამ ობიექტურმა აუცილებლობამ და თემის აქტუალობამ წინამდებარე წიგნის ავტორებს მოგვცა სტიმული, ხელი მოგვეკიდა მეტად საშური საქმისათვის და მკითხველისათვის მიგვეწოდებინა ეროვნულ ანგარიშთა სისტემაზე დაწერილი პირველი სახელმძღვანელო საქართველოში.

მოცემული პრობლემა ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში სისტემური სახით ნაკლებადაა შესწავლილი და შედარებით ფრაგმენტულადაა დამუშავებული, ხოლო უცხოურ ეკონომიკურ ლიტერატურაში სერიოზული განხილვის საგანია (იხ. სარეკომენდაციო და გამოყენებული ლიტერატურა).

ნაშრომში მიზნად დავისახეთ ეას შეგვესწავლა და გაგვეანალიზები-

ნა დეტალურად მისი მოთხოვნებიდან გამომდინარე. კერძოდ, სახელმძღვანელოში ახსნილია ეას-ის არსი და ამოცანები, ნარმოშობისა და განვითარების ისტორია, სტრუქტურა და კლასიფიკაცია, დარგობრივი და სექტორული ანგარიშების შედგენის პრინციპები, ეკონომიკური საქმიანობის შედეგების მაჩვენებელთა გაანგარიშების მეთოდოლოგია და მეთოდები, ეროვნული ანგარიშების შედგენის ინფორმაციული წყაროები. ყურადღების მიღმა არ არის დარჩენილი საგადასახდელო ბალანსი, როგორც ეას-ის მონაცემთა ძირითადი წყარო. ნაშრომში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ეას-ში დარგთაშორისი კავშირების ანალიზს, ეროვნული სიმდიდრის სტატისტიკას, აგრეთვე მშპ-სა და ვალუტის მსყიდველობითი უნარის პარიტეტების საერთაშორისო შედარებებს.

საქართველოში სტატისტიკის სფეროში მიმდინარე რეფორმები, ბუნებრივია, ორგანულად უკავშირდება ეას-ის თანამედროვე მოთხოვნებს, რომელიც თითქმის ყოველწლიურად განიცდის ცვლილებებს და ბოლო ცვლილებები 2008 წელს აისახა. ამიტომ ნაშრომში სწორედ ამ მოთხოვნების ჭრილშია გაანალიზებული საქართველოს სტატისტიკური სამსახურის რეფორმების დღევანდელი მდგომარეობა.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ბაზას წარმოადგენდა ეკონომიკური მეცნიერების თვალსაჩინო ნარმომადგენელთა ფუნდამენტური ნაშრომები, ქართველ და უცხოელ ეკონომისტთა გამოკვლევები, საერთაშორისო ორგანიზაციების საექსპერტო სამსახურების საანგარიშო მონაცემები, ნორმატიული და საკანონმდებლო აქტები, სამთავრობო პროგრამული დოკუმენტაციები. კვლევის საინფორმაციო ბაზად გამოყენებულ იქნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სსდ სტატისტიკის დეპარტამენტის მასალები, აგრეთვე ავტორების მიერ წარმოებული დამატებითი გაანგარიშებები.

გამოკვლევა ეყრდნობა მეცნიერული აბსტრაქციის, ანალიზისა და სინთეზის, ისტორიულისა და ლოგიკური ერთიანობის, პროგრამულ-მიზნობრივი, ეკონომიკურ-მათემატიკური შედარებითი ანალიზის, მონაცემთა დაჯგუფებისა და ა.შ. მეთოდებს.

ვფიქრობთ, სახელმძღვანელო საინტერესო იქნება როგორც შესაბამისი დარგის სტუდენტ-ახალგაზრდობისა და მეცნიერებისათვის, ისე პრაქტიკოს-სპეციალისტებისათვის.

ავტორები მადლიერების გრძნობით მიიღებენ ობიექტურ შენიშვნებს და გაითვალისწინებენ მეორე გამოცემაში, რომელიც უახლოეს მომავალშია დაგეგმილი.

1 თავი

ეროვნული ანგარიშიანობა საერთაშორისო სტატისტიკური მეთოდოლოგიის საფუძველი

სტატისტიკის საერთაშორისო მეთოდოლოგიის დანერგვის მიზანი. ეროვნული ანგარიშიანობის არსი. ეროვნული ანგარიშიანობის კავშირი სხვა მეცნიერებებთან. ეროვნულ ანგარიშთა სისტემისა (ეას) და სახალხო მეურნეობის ბალანსის (სმბ) მეთოდოლოგიების მსგავსება და განსხვავება. ეას-ის III ვერსიის სტრუქტურა. ეას-ში ასახული ინფორმაციის ძირითადი ელემენტები. ეას-ის მონაცემების ძირითადი მომხმარებლები. ეას-ის მონაცემებზე დაფუძნებული ანალიზის მნიშვნელოვანი მიმართულებები. ეას-ის ფუძემდებლური დებულებები და კონცეფციები. ეას-ის ყოვლისმომცველი ხასიათი და ზოგიერთი მნიშვნელოვანი იგივეობანი (ტოლობანი). ეას-ის მეთოდი.

ტერმინი „ეროვნული „ანგარიშიანობა" შემოთავაზებულ იქნა XX საუკუნის 30-იან წლებში ჰოლანდიელი ეკონომისტის ვან კლიფის მიერ და ნიშნავს ეროვნული მეურნეობის მდგომარეობის ამსახველ ანგარიშს მთლიანად ქვეყნის მასშტაბით. თუმცა ვ. კლიფი მხოლოდ ამ ტერმინის და არა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ავტორია. შეუძლებელია კონკრეტულად ეას-ის გამომგონებლის დასახელება, უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ იმ მეცნიერების გვარების ჩამონათვალით, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ეროვნული ანგარიშიანობის განვითარებაში: ჯონ მეინარდ კეინსი, საიმონ კუზნეცი, რიჩარდ სტოუნი, ვასილი ლეონტიევი, ალფრედ მარშალი, კოლინ კლარკი, ჯონ რიჩარდ ჰიკსი და სხვ.

დიდია აგრეთვე წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო), საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ), მსოფლიო ბანკის (მბ), ევროკავშირის სტატისტიკის ბიუროს (ევროსტატის), ეროვნული ანგარიშიანობის საერთაშორისო ასოციაციისა და ეკონომიკური ურთიერთობისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) წვლილი ეას-ის

თეორიისა და მეთოდოლოგიის განვითარებაში, მისი მაჩვენებლების საერთაშორისო შესადარისობის, სისტემატიზაციისა და გავრცელების საქმეში.

ეროვნულ ანგარიშიანობას საფუძვლად უდევს ეროვნული შემოსავლის ნარმოების, განანილების და მოხმარების პროცესი ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების განსაზღვრული კანონზომიერებისა და სტრუქტურის ფარგლებში.

1993 ნლამდე ქვეყნის ეკონომიკური საქმიანობის შესაფასებლად მსოფლიო სტატისტიკურ პრაქტიკაში გამოიყენებოდა გაეროს სტატისტიკურ კომისიაში ნარდგენილი ორი თანაბარი მნიშვნელობის მქონე განსხვავებული მეთოდოლოგია.

ერთი ეფუძნებოდა ეროვნულ ანგარიშიანობას და მას იყენებს საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები, ხოლო მეორე – ცენტრალიზებული დაგეგმვის კონცეფციის შესაბამის სახალხო მეურნეობის ბალანსს (სმგ), რომლის უმთავრეს ფუნქციას გეგმის შესრულების კონტროლი შეადგენდა და მას იყენებდა სოციალისტური ქვეყნები.

ორივე კონცეფცია, საფუძვლებისა და მეთოდოლოგიური პრინციპების განსხვავების მიუხედავად, საბალანსო მეთოდით შეისწავლიდა ეკონომიკურ პროცესებს, რაც უზრუნველყოფდა შესასწავლი პროცესების კომპლექსურ, ურთიერთდაკავშირებულ სტატისტიკურ დახასიათებას რესურსების მოცულობისა და მათი გამოყენების დაბალანსების საფუძველზე.

როგორც ერთმა, ასევე მეორე კონცეფციამ განვითარების გრძელი გზა გაიარა და ორივე მიჩნეულია მსოფლიო სტატისტიკური თეორიისა და პრაქტიკის სერიოზულ მონაპოვრად.

სტატისტიკის საერთაშორისო მეთოდოლოგიის დანერგვის მიზანი

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა – ეს არის ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც გამოიყენება საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მაკროეკონომიკური პროცესების აღწერისა და ანალიზის მიზნით.

ეს მთელი ეკონომიკის ანგარიშიანობის შემაჯამებელია, რადგან პირველადი, საბუღალტრო, საბანკო აღრიცხვა და სტატისტიკა ერთიან მეთოდოლოგიურ პრინციპებს ეფუძნება.

ეას-ის მაჩვენებლები უნიფიცირებულია საგადასახდელო ბალანსისა და დარგთაშორისი ბალანსის მაჩვენებლებთან.

ეას-ის შექმნას წინ უძღოდა განვითარებულ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკის რეგულირებასა და ეკონომიკურ ინფორმაციაზე მოთხოვნილების წარმოშობა.

საქართველოში ეროვნული სტატისტიკის გადასვლა გაეროს სტატისტიკური კომისიის მიერ რეკომენდებულ მეთოდოლოგიაზე განაპირობა საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკაში დანერგვამ. იგი ემყარება ეროვნულ ანგარიშიანობაზე დაფუძნებულ საერთაშორისო პრაქტიკას და ამ გზით მიიღწევა ინფორმაციის მოპოვების ხერხებისა და ეკონომიკური საქმიანობის და მისი შედეგების აღრიცხვის მეთოდების ერთიანობა. სტატისტიკური მეთოდოლოგიის ერთიანობა განაპირობებს ყველა ქვეყნის მაჩვენებელთა შესადარისობას და მნიშვნელოვნად ამარტივებს საერთაშორისო შედარებების მექანიზმსა და საიმედოობას მსოფლიოს მასშტაბით.

სტატისტიკის მეთოდოლოგიური ერთიანობა ხელს უწყობს მთელ მსოფლიოში საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტეგრაციული პროცესების გაფართოებას, ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და ჯანსაღი გარემოს შენარჩუნების პერსპექტივას მომავალი თაობებისათვის, რაც განპირობებულია ერთი პლანეტის შეზღუდულ სივრცეში მსოფლიო ეკონომიკის ისტორიული და პერსპექტიული განვითარების ობიექტური მიზეზებით, კერძოდ, საწარმოო ძალათა განვითარების კვალდაკვალ ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის გაზრდით, მოხმარებისა და მოსახლეობის ზრდასთან ერთად გეოლოგიური მდგომარეობის გაუარესებით და ა.შ.

საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის მთავარი იდეა თანამედროვე ეტაპზე სამყაროს გადარჩენა და შემდგომი რაციონალური და თანმიმდევრული განვითარების უზრუნველყოფაა.

გლობალიზაციის პირობებში სტატისტიკის ერთიან საერთაშორისო მეთოდოლოგიაზე გადასვლა სხვადასხვა ქვეყნისათვის შესანიშნავი საშუალებაა უტყუარი, შესადარისი და ყველასათვის გასაგები ინფორმაციის მისაღებად. ამასთან, ეროვნული სტატისტიკური სამსახურების ცალკეული თავისებურებანი არ არღვევს საერთაშორისო მეთოდოლოგიური პრინციპების ერთიანობას.

საბაზრო ურთიერთობების დანერგვამ საქართველოში და სტატისტიკის გადასვლამ საერთაშორისო მეთოდოლოგიაზე შეცვალა ჩვენი წარმოდგენები ეკონომიკური საქმიანობის არსსა, შედეგებსა და მის საზღვრებზე. შეიცვალა ეკონომიკური პროცესებისა და მათი შეფასების მაჩვენებელთა სისტემა, გაანგარიშების მეთოდიკა, შემოღებულია რიგი ახალი ცნებები და კატეგორიები, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკის სტრუქტურასთან, საქონლის ცნებასთან და ა.შ.

ეროვნული ანგარიშიანობის შესწავლის საგანს წარმოადგენს შიდა ეკონომიკისა და „დანარჩენი მსოფლიოსათვის" ეროვნულ ანგარიშთა სისტემის შედგენის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს ანგარიშების აგების პრინციპებისა და მეთოდების, მათი არსის, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მაჩვენებლების, მათი ურთიერთკავშირისა და გაანგარიშების მეთოდების, სექტორული ანგარიშების დანიშნულებისა და მათი შედგენის თავისებურებების გაშუქებას, მთელი სისტემისა და მისი თითოეული ანგარიშის როლის დადგენას საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის დახასიათებაში, ეკონომიკური პროცესებისა და მთლიანად ეკონომიკის ანალიზში.

ანგარიშთა სისტემის შედგენის თანმიმდევრობა კვლავწარმოების ციკლის სტადიებს (ფაზებს) ემთხვევა: საქონლისა და მომსახურების წარმოების ეკონომიკური პროცესები და ამ პროცესებთან დაკავშირებული შემოსავლებისა და მთლიანი მოგების შექმნა, შემოსავლების პირველადი განაწილება და გადანაწილება, მათი გამოყენება საბოლოო მოხმარებისა და დაგროვებისათვის.

ეროვნული ანგარიშიანობის მიზანია იმ მაკროეკონომიკური პროცესებისა და მათი შედეგების რაოდენობრივი დახასიათება, რომლებიც დაკავშირებულია საქონლისა და მომსახურების ნარმოებასთან, შემოსავლების ნარმოქმნასთან, განაწილებასთან, გადანაწილებასა და მოხმარებასთან, საერთაშორისო ეკონომიკურ საქმიანობასთან.

ეას-ის შესწავლის ობიექტია ქვეყნისა და მისი ცალკეული რეგიონების ეკონომიკა, სექტორები, საქმიანობის სფეროები, ცალკეული ეკონომიკური პროცესები.

ეას-ის ძირითადი ამოცანებია:

- საერთაშორისო სტატისტიკურ პრაქტიკაში მიღებული ცნებებისა და კატეგორიების გამოყენება ეკონომიკის დახასიათებისათვის;
- ეას-ში გამოყენებული ძირითადი კლასიფიკაციებისა და დაჯგუფებების განხილვა;
- მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სისტემისა და მათი გაანგარიშების მეთოდების გაშუქება;
- ეას-ის შედგენის ძირითადი პრინციპებისა და მეთოდოლოგიის დაუფლება;
- ცალკეული ანგარიშების შედგენის მეთოდოლოგიის შესწავლა;
- ეროვნული სიმდიდრის გაანგარიშების მეთოდოლოგიის შესწავლა;
- ეას-ის ანალიზის ძირითადი მიმართულებებისა და მეთოდების განხილვა.

ეროვნული ანგარიშიანობის სფეროში სტატისტიკური მეცნიერებისა და პრაქტიკის ამოცანას წარმოადგენს მთლიანი სისტემისა და ცალკეული ანგარიშების მეთოდოლოგიის, მაჩვენებელთა გაანგარიშებისა და ანალიზის მეთოდების შემუშავება და სრულყოფა თანამედროვე მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდების გამოყენების საფუძველზე.

ეროვნული ანგარიშიანობის კავშირი სხვა მეცნიერებებთან

ეროვნული ანგარიშიანობა დაკავშირებულია მეცნიერებისა და პრაქტიკის მრავალ დარგთან, უპირველეს ყოვლისა კი, **მაკროეკონომიკურ სტატისტიკასთან**. ეას დასრულებულ სახეს აძლევს მაკროეკონომიკური სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემას, უზრუნველყოფს მათ ურთიერთკავშირს. მასში აისახება ეროვნული სიმდიდრის ფორმირების, განაწილების, გადანაწილებისა და მოხმარების ყველა ძირითადი მაკროეკონომიკური პროცესი, კვლავწარმოების მთელი ციკლი.

ეროვნული ანგარიშიანობა დაკავშირებულია აგრეთვე **დარგობრივ სტატისტიკებთან** (ეკონომიკის ყველა დარგის სტატისტიკასთან). იგი ასახავს დარგების ფუნქციონირებისა და კვლავწარმოების ციკლის ყველა სტადიაზე მათი მონაწილეობის შედეგებს, განსაზღვრავს მათი საქმიანობის მაჩვენებელთა გაანგარიშების მეთოდოლოგიის ზოგად პრინციპებს. საქმიანობის ცალკეული სახის სპეციფიკით განპირობებული მაჩვენებლების გაანგარიშების თავისებურებანი დარგობრივ (მიკრო) დონეზე არ არღვევს გამოშვების, მთლიანი დამატებული ღირებულების, შუალედური მოხმარებისა და ეას-ის სხვა მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგიური პრინციპების ერთიანობას.

ეროვნული ანგარიშიანობა დაკავშირებულია **საერთაშორისო სტატისტიკასა და საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკებთან**, რამდენადაც ის წარმოადგენს საერთაშორისო სტატისტიკური ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ქვეყნის სტატისტიკური სამსახურების ფუნქციონირების სპეციფიკური თავისებურებების შესწავლის ერთიან მეთოდოლოგიურ საფუძველს.

ეროვნული ანგარიშიანობა, განსაკუთრებით კი ეას-ის „შინამეურნეობების" სექტორი, დაკავშირებულია **დემოგრაფიასა და სოციალურ სტატისტიკასთან**. ეროვნული ანგარიშიანობა მჭიდროდ უკავშირდება აგრეთვე **ეკონომიკურ თეორიას**, განსაკუთრებით მის იმ დებულებებს, რომლებიც ეას-ის მეთოდოლოგიის თეორიულ საფუძველს წარმოადგენენ.

ეროვნული ანგარიშიანობა მჭიდრო კავშირშია ყველა დონის **მენეჯმენტთან** (როგორც სახელმწიფო, ასევე ფირმის მენეჯმენტთან). ეას-იდან მიღებული ინფორმაცია ხელს უწყობს სახელმწიფოს დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების საკითხებში, მენარმეებს კი — მაკროეკონომიკური სიტუაციის, ინვესტირების მიზანშეწონილობის, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისა და რისკების შეფასებაში.

მნიშვნელოვანია ეას-ის კავშირი **მათემატიკურ სტატისტიკასთან, მათემატიკასთან, ეკონომეტრიკასთან, ბუღალტერიასთან, კიბერნეტიკასა და ინფორმატიკასთან.**

ეროვნულ ანგარიშთა სისტემისა და სახალხო მეურნეობის ბალანსის მეთოდოლოგიებს შორის მსგავსება და განსხვავება

მსგავსება:

- ორივე წარმოადგენს სტატისტიკურ სისტემას, რომელთა მიზანია ქვეყანაში წარმოების მოცულობის გაანგარიშება.
- ორივე სტატისტიკური სისტემა განიხილავს ეროვნული ეკონომიკის ურთიერთქმედებას სხვა ქვეყნებთან.
- ორივეში გამოიყენება დაჯგუფებები და კლასიფიკაციები, სტატისტიკურად აისახება საქონლისა და მომსახურების ნაკადები ნარმოებიდან საბოლოო გამოყენებამდე.

განსხვავება:

- სმბ-ს თეორიულ საფუძვლად ედო ადამ სმითის შრომის მწარმოებლურობის კონცეფცია, ვინაიდან ის შეესაბამებოდა ეკონომიკური ზრდის ისეთ მოდელს, სადაც მომსახურების ხვედრითი წონა ეროვნულ შემოსავალში პრაქტიკულად შეუმჩნეველი იყო. სმბ-საგან განსხვავებით, ეას-ს საფუძვლად უდევს ნებისმიერი შრომის მნარმოებლურობის თეზისი, განურჩევლად იმისა, ეს საქმიანობა მატერიალურ-ნივთობრივ ნარმოებასთან იქნება დაკავშირებული, თუ მომსახურების გაწევასთან.
- განსხვავებულია ეას-ისა და სმბ-ის მაკროეკონომიკური მაჩვე-

ნებლების შემადგენლობა.

- სმბ-ში სესხები და ხარჯები განიხილება როგორც ეროვნული შემოსავლის დროებითი გადანაწილების ფორმა, ხოლო ეას-ში — როგორც ეკონომიკის ცალკეულ სექტორებში განხორციელებული ინვესტიციების სახეები.
- ეას-ში შემოსავლების განანილება ხდება ხარჯებად და დანაზოგებად. სმბ-ში — „დანაზოგის" მაჩვენებელი არ არის.

ეას-ის III ვარიანტის სტრუქტურა

ამჟამად მოქმედებს 1993 წელს მიღებული ეას-ის III ვარიანტი. მასში გაუმჯობესებულია ანგარიშთა სტრუქტურა და მოიცავს ანგარიშთა შემდეგ კლასებს:

1. **ანგარიშთა სტანდარტული ნაკრები ეკონომიკის ყველა სექტორისათვის;**
2. **ეკონომიკის დარგობრივი ანგარიშები;**
3. **ანგარიშები ეკონომიკური ოპერაციების სხვადასხვა სახისათვის (მაგალითად, ანგარიშები: ოპერაციები სხვა ქვეყნებთან, საქონლისა და მომსახურების ანგარიში და სხვ.);**
4. **ანგარიშები მთელი ეკონომიკისათვის.**

ეას-ის ახალ სტრუქტურაში ისევე, როგორც 1968 წლის მე-2 ვარიანტში, ცენტრალური ადგილი უკავია დარგთაშორის ბალანსს, აგრეთვე რესურსებისა და გამოყენების ცხრილებს, რამდენადაც იგი წარმოადგენს დარგთაშორისი ბალანსის ერთგვარ მოდიფიკაციას.

ეას-ის ახალ ვარიანტში, ფიზიკური მოცულობის დინამიკის შესწავლის მიზნით, შემდგომი განვითარება პოვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშებამ შესადარ ფასებში.

ახალი ეას-ის მნიშვნელოვანი თავისებურებაა მის სტრუქტურაში ე.წ. **სატელიტური ანგარიშების** (დამხმარე ანგარიშების) ჩართვა, რომლებიც განკუთვნილია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ცალკეული ასპექტების ანალიზისათვის ისეთი მიდგომების გამოყენებით, რაც არ არის მოცემული ეას-ში.

ეას-ში ასახული ინფორმაციის ძირითადი ელემენტები

თანამედროვე ეას შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ინფორმაციის ურთიერთდაკავშირებული ბლოკების სისტემა, რომელშიც თითოეული ბლოკი ასახავს ეკონომიკური პროცესების ამა თუ იმ ასპექტს, ხოლო მთლიანობაში ისინი უზრუნველყოფენ ეკონომიკური პროცესების საერთო სურათის ასახვას.

ამ სისტემის ცენტრია ურთიერთდაკავშირებული მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მონაცემთა ბლოკი, რომელშიც შედის: **მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), ეროვნული შემოსავალი და მათი შემადგენელი მნიშვნელოვანი კომპონენტები.**

ისტორიულად ეას-ის პირველი და ცენტრალური ბლოკი გაჩნდა მშპ-სა და ეროვნული შემოსავლის გაანგარიშებების ერთიან სისტემაში ინტეგრირების შედეგად. იგი ხორციელდება საწარმოო, განაწილებითი (შემოსავლების) და საბოლოო მოხმარების (გამოყენების, ხარჯების) მეთოდებით.

აღნიშნულ ინტეგრაციასა და ზოგადად აშშ-ის ეროვნული ანგარიშების შექმნაში დიდი ნვლილი მიუძღვის ცნობილ ამერიკელ სტატისტიკოსს — საიმონ კუზნეცს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეას-ის აღნიშნულ ბლოკს მიუერთდა ეკონომიკური პროცესების სხვადასხვა ასპექტის ამსახველი მაკროეკონომიკური ინფორმაციის დანარჩენი ბლოკები:

- **ეროვნული სიმდიდრისა და ეკონომიკის სექტორების** მონაცემთა ბლოკი;
- **ფინანსური რესურსების მოძრაობის** მონაცემთა ბლოკი (ფინანსური ინსტრუმენტების ოპერაციები);
- სახელმწიფო ბიუჯეტის მონაცემებთან კოორდინირებული **სახელმწიფო მართვის ორგანოების შემოსავლებისა და ხარჯების** მონაცემთა ბლოკი;
- საგადასახდელო ბალანსთან კოორდინირებული **საგარეო-ეკონომიკური კავშირების** მონაცემთა ბლოკი;
- **დარგთაშორისი კავშირების** მონაცემთა ბლოკი (დარგთაშორისი ბალანსი თანამედროვე ეას-ის განუყოფელი ნაწილია).

ყველა ბლოკი ერთმანეთთან დაკავშირებულია კოორდინირებული და ჰარმონიზებული განმარტებებითა და კლასიფიკაციებით, რაც ქმნის საფუძველს ყოვლისმომცველი ეკონომიკური ანალიზისათვის. ეას-ის ასეთი ხასიათი იძლევა, მაგალითად, საქონლისა და მომსახურების წარმოების შესახებ მონაცემების შედარების საშუალებას არსებულ აქტივებთან და პასივებთან და მათ სტრუქტურულ მონაცემებთან.

ეას-ის მონაცემების ძირითადი მომხმარებლები

ეას-ის მონაცემები უწინარესად განკუთვნილია **სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისათვის,** რომლებიც შეიმუშავებენ ეკონომიკურ პოლიტიკას და იღებენ გადაწყვეტილებებს საბაზრო ეკონომიკის რეგულირებასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ. ეს შეიძლება ეხებოდეს საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკას, მიმოქცევაში არსებული ფულადი მასის რაოდენობას, საპროცენტო განაკვეთების რეგულირებას, ინფლაციასთან ბრძოლის ღონისძიებებსა და დასაქმებას, მოსახლეობის განსაზღვრული ჯგუფების სოციალურ დახმარებას, შემოსავლების განაწილებას, საგარეო ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური კავშირების უზრუნველყოფას. გადაწყვეტილების მიღება მაკროეკონომიკური პოლიტიკის ამ მნიშვნელოვან საკითხებში უნდა ემყარებოდეს შესაბამის მაკროეკონომიკურ ინფორმაციას, რომელსაც ეას უზრუნველყოფს. ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, საფრანგეთი) ეას-ის მონაცემები საფუძვლად უდევს საშუალო-და მოკლევადიანი პროგნოზების შემუშავებას, რომლებიც შემდგომ კომპეტენტურ ორგანოებს აძლევს ეკონომიკური პოლიტიკის დაზუსტების, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების, ექსპორტის სტიმულირების, მიმოქცევაში ფულადი მასის შეზღუდვის საშუალებას და ა.შ.

ეას-ის მონაცემების ძირითადი მომხმარებლები არიან: **მეწარმეები, მენეჯერები, კომპანიის ხელმძღვანელები, ბიზნესის წარმომადგენლები,** რომლებსაც სურთ იცოდნენ, თუ როგორ მაკროეკონომიკურ გარემოში ფუნქციონირებს მათი კომპანია ან საწარმო, ციკლის რომელ წერტილში იმყოფება ეკონომიკა კონკრეტული მომენტისათვის. ამგვარი ინფორმაცია საჭიროა წარმოების გაფართოებისა და ინვესტიციების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად, აგრეთვე არსებული ეკონომიკური კონიუნქტურის შესაფასებლად, რომლის გარეშე შეუძლებელია მათი წარმატებული საქმიანობა.

ეას-ის მონაცემების მომხმარებლები არიან ასევე **სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები,** რომლებიც მაკროეკონომიკური თეორიის შემუშავებით არიან დაკავებული, შეისწავლიან კავშირებს უმნიშვნელოვანეს მაკროეკონომიკურ ცვლადებს შორის, აგებენ ეკონომიკურ და ეკონომეტრიკულ მოდელებს ეკონომიკური პროცესების პროგნოზირებისათვის. ამ საკითხების გადასაწყვეტად საჭიროა ეას-ის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების სტატისტიკური მონაცემების მწკრივები.

გარდა ამისა, ეას-ის მონაცემების მომხმარებლები არიან **ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები,** ისინი შეასწავლიან

სტუდენტებს ეას-ის ძირითად კონცეფციებსა და განსაზღვრებებს, უხსნიან მათ, თუ რა ელემენტებისაგან შედგება თანამედროვე მაკროეკონომიკა და როგორია კავშირი მის მნიშვნელოვან ელემენტებს შორის.

ეას-ის მონაცემების მომხმარებლები არიან **საერთაშორისო ორგანიზაციები** (გაერო, სსფ, მბ და სხვა). ისინი მონაცემების შესადარისობის უზრუნველსაყოფად შეიმუშავებენ საერთაშორისო სტანდარტებს და იყენებენ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს არა მხოლოდ მსოფლიო და რეგიონული ეკონომიკის განვითარების ანალიზის, არამედ კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის მიზნითაც (ქვეყნების წილის განსაზღვრა ამ ორგანიზაციების ბიუჯეტის შენატანების სკალაში, განვითარებადი ქვეყნებისთვის კრედიტის გამოყოფა, დახმარების განევა და ა.შ.).

ამდენად, ეას-ამ, შეაღწია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და ის წარმოადგენს თავისებურ ენას, რომელზეც ურთიერთობას ამყარებენ ეკონომისტები, მეცნიერ-ეკონომისტები, პოლიტიკოსები, სახელმწიფო მოღვაწეები და სტატისტიკოსები.

ეას-ის მონაცემებზე დაფუძნებული ანალიზის მნიშვნელოვანი მიმართულებები.

ეას-ის მონაცემების ანალიზის ძირითადი მიმართულებებია: **ეკონომიკური ზრდის ტემპებისა და ეკონომიკურ კონიუნქტურაში მიმდინარე რხევების განსაზღვრა. ეკონომიკის სტრუქტურისა და მისი დროში ცვლილებების შესწავლა, მაკროეკონომიკური ცვლადების, როგორიცაა მშპ, მთლიანი დაგროვება, საბოლოო მოხმარება, წმინდა ექსპორტი და ა.შ. დინამიკის განსაზღვრა.**

ეს მონაცემები ფართოდ გამოიყენება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოკლე-და საშუალოვადიანი პროგნოზების შესადგენად, რომელთა საფუძველზეც მიიღება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები სახელმწიფო ბიუჯეტისა და საგადასახადო და საინვესტიციო პოლიტიკის ფორმირებასთან დაკავშირებით. თანამედროვე პირობებში მშპ — ეას-ის ცენტრალური აგრეგატი — იქცა იმ მაჩვენებლად, რომლის გარეშე შეუძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების დასაბუთება.

ეას-ის მონაცემების ანალიზის მნიშვნელოვანი მიმართულებებია აგრეთვე: ეროვნული დანაზოგის, როგორც ინვესტირების ძირითადი წყაროს გაზომვა, წმინდა დაკრედიტების ან წმინდა სესხების მოცულობის დადგენა, საგარეო-ეკონომიკური კავშირების გამოკვლევა. ეას-ის სექტორული ან-

გარიშების შემუშავება იძლევა მოსახლეობის ცხოვრების დონის ელემენტების, ეკონომიკის ცალკეული სექტორების მდგომარეობის გამოკვლევისა და ანალიზის გაღრმავების საშუალებას.

ზემოაღნიშნული და ეას-ის სხვა მონაცემები, ეკონომიკური სტატისტიკის მაჩვენებლებთან ერთად, ფართოდ გამოიყენება ფისკალური და ფულადი პოლიტიკის საკითხების გადასაწყვეტად. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მშპ-ისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის თანაფარდობის მაჩვენებელმა, რომელსაც მთავრობა იყენებს ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის შესაფასებლად. ევროკავშირში ეს კოეფიციენტი სხვა მაკრომაჩვენებლებთან ერთად გამოიყენება ქვეყნების სავალუტო ფონდში დაშვების საკითხის გადასაჭრელად.

ამავე კონტექსტში არსებითი მნიშვნელობა აქვს მიღებული გადასახადების, სახელმწიფო ვალის, საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ოპერაციების სალდოსა და მშპ-ის თანაფარდობის მაჩვენებლებს, რის მიხედვითაც მთავრობამ კონკრეტული გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს სისტემის რეფორმასთან, სავალუტო კურსისა და საგარეო ვალების სფეროში პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებით.

ეას-ში გამოყენებული კონცეფციები და დებულებები

ეას ეფუძნება მეცნიერულად დასაბუთებულ ეკონომიკურ კონცეფციებს, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკური პროცესების ადეკვატურ აღწერას.

ეკონომიკურ მეცნიერებაში **წარმოების კონცეფცია** ერთ-ერთი ცენტრალურია. იგი განსაზღვრავს საქმიანობის სახეებს, სადაც იქმნება ღირებულება, ეროვნული შემოსავალი. აღსანიშნავია, რომ ეს კონცეფცია საზოგადოებისა და საწარმოო ძალების განვითარებასთან ერთად იცვლებოდა. მაგალითად, ფიზიოკრატები მიიჩნევდნენ, რომ წარმოება მოიცავდა მხოლოდ სოფლის მეურნეობასა და მოპოვებით მრეწველობას. ეს თეორია წარმოიშვა იმ დროს, როცა ეკონომიკის წამყვანი დარგი სოფლის მეურნეობა იყო. კაპიტალიზმის განვითარების პერიოდში, როდესაც ადგილი ჰქონდა დამამუშავებელი მრეწველობის დომინირებას, აშკარა გახდა ამ თეორიის უსუსურობა.

ეკონომიკური წარმოების თანამედროვე კონცეფციის თანახმად, წარმოების სფეროში შედის საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან დაკავშირებული საქმიანობის ყველა სახე.

შემოსავლების კონცეფცია განსაზღვრავს შემოსავლების მაჩვენებლების შინაარსს ეას-ში. ის შემუშავებულია ცნობილი ინგლისელი ეკონომისტის ჯ. ჰიკსის მიერ და ინტეგრირებულია ეას-ში. ამ კონცეფციის თანახმად, შემოსავლის ნყარო შეიძლება იყოს მხოლოდ დამატებული ღირებულება. არ შეიძლება შემოსავლად განხილულ იქნეს: აქტივების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები და ინფლაციის შედეგად აქტივების ღირებულების ცვლილება.

მესამე კონცეფცია ეყრდნობა **ნარმოების ფაქტორების თეორიას,** რომლის თანახმად, ღირებულება იქმნება შრომით, მინითა და კაპიტალით. ეროვნული შემოსავლის შეფასება ფაქტორული შემოსავლებით გამოიყენებოდა და გამოიყენება მრავალ ქვეყანაში (აშშ, ინგლისი, გერმანია და სხვ.), თუმცა ეას-93 არ ითვალისწინებს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შეფასებას ფაქტორული შემოსავლების მიხედვით. იგი გვთავაზობს საბაზრო ფასების გამოყენებას, რომლებიც განსხვავდებიან ფაქტორული შემოსავლებისაგან ნარმოებაზე გადასახადებისა და სუბსიდიების სალდოთი. ამასთან, ეას-93-ის სტრუქტურაში გათვალისწინებულია ის მონაცემები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფაქტორული შემოსავლების მიხედვით ეროვნული შემოსავლის გასაანგარიშებლად (თუ ეს მიზანშეწონილად ჩაითვლება).

ეას-93 ფაქტორული შემოსავლების ნაცვლად იყენებს **„პირველადი შემოსავლების"** კატეგორიას — ანუ შემოსავლებისა, რომელსაც ღებულობენ ეკონომიკური პროცესის მონაწილეები (აგენტები) შექმნილი ღირებულების პირველადი განაწილების შედეგად. პირველადი განაწილების შედეგად შემოსავალს ღებულობენ არა მხოლოდ საწარმოები, კორპორაციები და შინამეურნეობები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ წარმოებაში, არამედ საბჯლმნიფო მართვის ორგანოებიც (წარმოებასა და იმპორტზე გადასახადების სახით).

აღსანიშნავია, რომ ეას ეფუძნება არა მხოლოდ ზოგად ეკონომიკური ხასიათის კონცეფციებს, არამედ რიგ დებულებებს, რომლებიც განსაზღვრავენ მონაცემთა დამუშავებისა და მონესრიგების ხერხებს ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი შედეგებისა და პროპორციების გამოვლენის მიზნით. **ეს მნიშვნელოვანი დებულებებია:**

- განსხვავება ნაკადებსა და მარაგებს შორის:
  ნაკადი — ეს არის მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს ამა თუ იმ პროცესის სიდიდეს (მოცულობას) დროის პერიოდში (მაგალითად, წარმოება, საქონლის ყიდვა, ხელფასის გაცემა და ა.შ.), **მარაგი** — მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს რესურსების (აქტივების და ვალდებულებების) არსებობას ამა თუ იმ თარიღისათვის. ნაკადებისა და მარაგების მაჩვენებლები ერთმანეთთან დაკავშირებულია შემდეგი ტოლობით: პერიოდის ბოლოსათვის მარაგის სიდიდე უდრის პერიოდის დასანყისისათვის მარაგის სიდიდეს პლუს ნაკადი, რომელიც ახასიათებს მოცემული რესურსის გადასვლას

მარაგში მინუს მოცემული რესურსის მარაგიდან ამოღება.

- მკვეთრი განსხვავება ეკონომიკურ ოპერაციებსა და სხვა ეკონომიკურ ნაკადებს შორის. სხვა სიტყვებით, ნაკადები შედგება ეკონომიკური ოპერაციებისა და სხვა ეკონომიკური ნაკადებისაგან. ეკონომიკური ოპერაცია წარმოადგენს ეკონომიკურ ნაკადს, რომელიც ჩნდება ორი ინსტიტუციური ერთეულის ერთმანეთთან ნებაყოფლობითი ურთიერთმოქმედების შედეგად (მაგალითად, ხელფასის გაცემა, საქონლის ყიდვა და ა.შ.). ცალკეულ შემთხვევებში ეკონომიკური ოპერაცია შეიძლება განხორციელდეს ერთი ინსტიტუციური ერთეულის ფარგლებში, თუ ის გამოდის ორი სხვადასხვა სახით. სხვა ეკონომიკური ნაკადები — ეს არის ცვლილებები აქტივებსა და ვალდებულებებში, რომლებიც ეკონომიკური ოპერაციების შედეგს არ წარმოადგენენ (მაგალითად, ხანძრის ან ნყალდიდობის შედეგად საქონლის მარაგის ცვლილება. ამავე კატეგორიას განეკუთვნება მარაგების ღირებულების ცვლილება ინფლაციის შედეგად).
- მკვეთრი განსხვავება რეალურ (არაფინანსურ)[1] და ფინანსურ აქტივებს შორის, ფინანსური აქტივების ნაკადებსა და რეალურ ნაკადებს შორის. რეალური ნაკადები ძირითადად წარმოიქმნება წარმოების (ანუ ტრანსფორმაციის პროცესში, როდესაც იქმნება საქონელი და მომსახურება და ხდება სხვა საქონლისა და მომსახურების მოხმარება) პროცესში. წარმოების პროცესი გულისხმობს ისეთი ფაქტორების გაერთიანებასა და ურთიერთქმედებას, როგორიცაა: შრომა, მიწა, კაპიტალი. რეალურ (არაფინანსურ) აქტივებს აგრეთვე განეკუთვნება ისეთი არანარმოებული აქტივები, როგორიცაა: მინა, ბუნებრივი ნიაღისეულის მარაგები და სხვა.
- ფინანსური აქტივი შეიძლება წარმოიქმნას (მათ შორის საქონლისა და მომსახურების წარმოების ფარგლებს გარეთ), დაიფაროს, გადაეცეს სხვა პირებსა და ეკონომიკის სექტორებს.
- განსხვავება, ერთი მხრივ, საქონლისა და მომსახურების ნაკადებსა და მეორე მხრივ, შემოსავლების ნაკადებს შორის, ანუ აუცილებელია განვასხვაოთ საქონლისა და მომსახურების მოძრაობა შემოსავლის მოძრაობისაგან და მათი რეგისტრირება მოხდეს ცალკე ცხრილებსა და ანგარიშებში.
- განსხვავება შუალედურ და საბოლოო პროდუქციას შორის: საბოლოო მოხმარების პროდუქტის შეძენა ხდება საბოლოო მოხმარებისათვის, ინვესტირების ან ექსპორტირების მიზნით და არა შემდგომი გადამუშავებისათვის. შუალედური პროდუქცია — ეს არის

[1] აღსანიშნავია, რომ ეას-93 ტერმინის — „რეალური აქტივების" ნაცვლად, იყენებს ტერმინს --„არაფინანსური აქტივები".

პროდუქცია, რომელიც გამოიყენება საწარმოო მოხმარებისათვის, ანუ ნარმოებაში დახარჯული შრომის საგნები — ნედლეული, მასალა, სათბობი, ენერგია და აგრეთვე მომსახურება ნარმოების სფეროში. ეს განსხვავება მნიშვნელოვანია, რადგან საბოლოო მოხმარების პროდუქტი მოიცავს შუალედური საქონლისა და მომსახურების ნარმოებაზე დახარჯული საქონლის ღირებულებას.

მაგალითი. ავტომობილის ღირებულება მოიცავს ფოლადის ღირებულებას, რომლისაგანაც დამზადებულია მისი ძირითადი ნაწილები და დეტალები და დახარჯული ენერგიის, საღებავის და ა.შ. ღირებულებას.

- შუალედური და საბოლოო პროდუქციების განსხვავება მნიშვნელოვანია ეკონომიკური საქმიანობის შედეგების ზუსტი განსაზღვრისათვის, განმეორებითი აღრიცხვის გარეშე. ცხადია, პროდუქტის ფიზიკური მახასიათებლები ყოველთვის არ არის საკმარისი მის მისაკუთვნებლად შუალედური ან საბოლოო პროდუქციისათვის.

  მაგალითი. პურის ქარხნის მიერ შეძენილი ფქვილი — ეს შუალედური მოხმარებაა, ხოლო დიასახლისის მიერ საკუთარი მოხმარებისათვის — საბოლოო მოხმარება. პროდუქტის კლასიფიცირება აღნიშნულ ორ ჯგუფად შეიძლება მხოლოდ საქონლის ფაქტობრივად გამოყენების მონაცემების საფუძველზე.
- განსხვავების ხაზგასმა ინსტიტუციური ერთეულების ნარმოებაში მონაწილეობის ან აქტივების ფლობის შედეგად მიღებულ პირველად შემოსავლებსა და გადანაწილების შედეგად (ტრანსფერები) მიღებულ შემოსავლებს შორის. ეს აუცილებელია ეროვნული შემოსავლისა და შემოსავლების სხვა მაჩვენებლების გაანგარიშებისას განმეორებითი აღრიცხვის თავიდან ასაცილებლად.
- განსხვავება მიმდინარე და კაპიტალურ დანახარჯებს შორის, რაც იმას ნიშნავს, რომ მიმდინარე და კაპიტალური დანახარჯების რეგისტრაცია სხვადასხვა ცხრილსა და ანგარიშში უნდა ხდებოდეს. მათი მექანიკური დაჯამება არამართლზომიერია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკონომიკური ოპერაცია ეას-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კატეგორია — ეს არის ნებაყოფილობითი ურთიერთქმედება ორ მეურნე სუბიექტს შორის, რაც დაკავშირებულია პროდუქციის ნარმოებასა და გამოყენებასთან, შემოსავლების განაწილებასა და გადანაწილებასთან, ფინანსური აქტივების შეძენასა და ფინანსური ვალდებულებების აღებასთან.

ეკონომიკური ოპერაციების ტიპური მაგალითებია საქონლის ყიდვა და გაყიდვა, ხელფასის გაცემა, პენსიებისა და დახმარებების გაცემა და მიღება, კრედიტების გაცემა.

ეკონომიკური ოპერაციების შედეგად ერთი ინსტიტუციური ერთეული მეორეს გაცვლის გზით ან უფასოდ გადასცემს საქონელსა და მომსახურებას, აქტივებს, საკუთრების უფლებებს. ეკონომიკური ოპერაციების შეფასება ხდება ეას-ში დადგენილი წესების შესაბამისად.

საქონლისა და მომსახურების გამოყენება მოხმარებისა (შუალედური და საბოლოო) და აგრეთვე დაგროვების მიზნებისთვის, უნდა შეფასდეს საბოლოო მომხმარებლის საბაზრო ფასში, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადსა (დღგ) და სხვა გადასახადებს პროდუქტებზე, აგრეთვე სატრანსპორტო და სავაჭრო დანამატებს. ამგვარად, ეას-ის ცენტრალური მაჩვენებლის — მშპ-ის შეფასება ხდება საბოლოო მომხმარებლის ფასებში.

საქონლის გამოშვების შეფასება ხდება მწარმოებლის ფასში, რომელიც საბოლოო მყიდველის ფასზე ნაკლებია სავაჭრო-სატრანსპორტო დანამატების, დღგ-სა და იმპორტზე გადასახადების სიდიდით, ან ე.წ. ძირითად ფასებში, რომელიც მწარმოებლის ფასებზე ნაკლებია პროდუქტებზე გადასახადების სიდიდით (გარდა დღგ-სა და იმპორტზე გადასახადებისა), მაგრამ, ამასთანავე, მოიცავს სუბსიდიებს პროდუქტებზე.

მოვახდინოთ ამ სამი სახის ფასების ურთიერთკავშირის ილუსტრაცია:

A – საბოლოო მომხმარებლის ფასი.

B – დღგ და იმპორტზე გადასახადი.

C – სავაჭრო-სატრანსპორტო დანამატები.

D – მწარმოებლის ფასი (A-B-C).

E – პროდუქტებზე გადასახადი, გარდა დღგ-სა და გადასახადებისა იმპორტზე (აქციზები, გადასახადი გაყიდვებზე და სხვ.).

F – სუბსიდიები პროდუქტებზე.

G – ძირითადი ფასები (D-E-F).

H – სხვა გადასახადები წარმოებაზე.

I – სხვა სუბსიდიები წარმოებაზე.

J – ფაქტორული ღირებულება (G-H+I).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეას-93-ში ფაქტორული ღირებულება არ გამოიყენება, თუმცა საჭიროების შემთხვევაში სისტემა იძლევა ეროვნული შემოსავლის ფაქტორული ღირებულების მიხედვით გაანგარიშების საშუალებას.

ეას-ში ასხვავებენ პროდუქტებზე გადასახადებსა (დღგ, აქციზი, გადასახადი გაყიდვებზე და ა.შ.) და წარმოებაზე სხვა გადასახადებს. ერთობლიობაში ისინი ქმნიან გადასახადებს წარმოებასა და იმპორტზე. პროდუქტებზე გადასახადები წარმოებული ან რეალიზირებული პროდუქციის მოცულობის ან ღირებულების პროპორციულია. წარმოებაზე სხვა გადასახადები (მაგალითად, მინაზე, შენობებზე, ძირითად კაპიტალზე, ხელფასზე გადასახადი) კი — წარმოების ფაქტორების პროპორციული.

სუბსიდიები, რომლებიც შეიძლება ნარმოვიდგინოთ როგორც უარყოფითი გადასახადები, ეას-ში აგრეთვე იყოფა ორ ჯგუფად, რომლებიც გადასახადების ზემოაღნიშნული ორი ჯგუფის სიმეტრიულია: სუბსიდიები პროდუქტებზე, რომლებიც ნარმოებული ან განაწილებული პროდუქტების მოცულობების პროპორციულია და სხვა სუბსიდიები წარმოებაზე (მაგალითად, სახელმნიფო ბიუჯეტიდან სუბსიდიების გამოყოფა იმ საწარმოებისთვის, რომლებიც ქირაობენ მოსახლეობის ამა თუ იმ ჯგუფებს, მაგალითად, ინვალიდებს, ახალგაზრდებს და ა.შ.), რომლებიც წარმოებაში გამოყენებული ფაქტორების პროპორციულია.

ამგვარად, ერთი მხრივ, განსხვავება პროდუქტებზე გადასახადებსა და ნარმოების სხვა გადასახადებს შორის და მეორე მხრივ, — პროდუქტებზე სუბსიდიებსა და ნარმოებაზე სხვა სუბსიდიებს შორის, — ეას-ის მნიშვნელოვანი პრინციპია, რომლის გაგება მნიშვნელოვანია ძირითადი მაჩვენებლების გაანგარიშებისა და შეფასების წესების გასარკვევად.

ზოგადად, ეას-ში გამოშვების შეფასება ხდება მწარმოებლის ფასებში ან ძირითად ფასებში. უპირატესობა ენიჭება ძირითად ფასებს, ვინაიდან ისინი ზუსტად ასახავენ საწარმოს განკარგულებაში არსებულ რესურსებს და უფრო ზუსტ ნარმოდგენას იძლევიან ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაზე.

ეას-ის ყოვლისმომცველი ხასიათი და ზოგიერთი მნიშვნელოვანი იგივეობანი (ტოლობანი)

ეას-ის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა მისი ყოვლისმომცველი ხასიათი, რაც იმას ნიშნავს, რომ ეას განზოგადებული სახით მოიცავს განსაზღვრული წესით მონესრიგებულ შემდეგი სახის ინფორმაციას:

- ეკონომიკურ პროცესში მონაწილე **ყველა მეურნე სუბიექტზე** — იურიდიულ პირებსა (საწარმოები, კორპორაციები, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, სახელმწიფო მმართველობის ორგანოები და სხვ.) და შინამეურნეობებზე.
- საქონლისა და მომსახურების ნარმოებასთან, შემოსავლების განაწილებასა და გადანაწილებასთან, ფინანსური აქტივების შეძენასა და ვალდებულებების აღებასთან დაკავშირებულ **ყველა ეკონომიკურ ოპერაციაზე.**
- ეროვნული სიმდიდრის შემადგენელ **ყველა აქტივსა და პასივზე**

(ძირითადი კაპიტალი, საბრუნავი კაპიტალი, მონეტარული ოქრო და სხვა ფინანსური აქტივები, მიწისა და სასარგებლო წიაღისეულის ღირებულება და სხვ.) და **მათ ცვლილებებზე,** რომლებიც გამოწვეულია ეკონომიკური ოპერაციების შედეგად და საგანგებო (ხანძარი, სტიქიური უბედურება და ა.შ.) მიზეზებით.

ეკონომიკაში ერთდროულად მიმდინარეობს მრავალი სხვადასხვა ეკონომიკური ოპერაცია, რომელსაც ახორციელებს ასევე მრავალი მეურნე სუბიექტი: იწარმოება საქონელი და მომსახურება, გაიცემა ხელფასი და შემოსავლები საკუთრებიდან, ხდება ნედლეულის, მასალებისა და დანადგარების შეძენა, ფინანსური ვალდებულებების აღება და ა.შ. იმისათვის, რომ ყველა ამ ოპერაციის მონაცემების საფუძველზე შესაძლებელი გახდეს ეკონომიკური განვითარების უფრო მნიშვნელოვანი შედეგების, პროპორციებისა და კანონზომიერებების გამოვლენა, საჭიროა მათი მოწესრიგება.

ინფორმაციის მოწესრიგებამ უნდა უზრუნველყოს მათი თვალსაჩინოება, კომპაქტურობა და, რაც მთავარია, — დაჯგუფება წინასწარ ჩამოყალიბებული პრინციპებისა და კრიტერიუმების საფუძველზე. ეას ადგენს ინფორმაციის ამგვარი მოწესრიგების პრინციპებსა და სქემას.

ინფორმაციის მოწესრიგების სქემა ზოგადი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ ცხრილის სახით, რომლის ქვემდებარეში მოყვანილია ეკონომიკური ოპერაციის ძირითადი ჯგუფები, ხოლო შემასმენელში — მეურნე სუბიექტების ძირითადი ჯგუფები (ცხრ.1.1).

ცხრილი ასახავს მეურნე სუბიექტების ეკონომიკურ პროცესებში მონანილეობასთან დაკავშირებით ყოველი მათგანის შემოსავალსა და ხარჯებს. მაშასადამე, გვიჩვენებს მეურნე სუბიექტების ყოველი ჯგუფის ეკონომიკურ მდგომარეობასა და ეკონომიკურ პროცესებში მათ შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთკავშირს.

ამგვარ ცხრილს აქვს ორი მნიშვნელოვანი თვისება:

- თითოეული სექტორისათვის (მეურნე სუბიექტების ჯგუფისათვის) რესურსების ჩანაწერების ჯამი გამოყენების ჩანაწერების ჯამის ტოლია (სტრიქონი 5). ამ თვისებას ეწოდება **საბალანსო იგივეობა (ტოლობა).** თუმცა ცხადია, რომ ჩანაწერები რესურსებსა და გამოყენებაში ოპერაციის თითოეული ჯგუფის მიხედვით, თითოეული სექტორის საზღვრებში, როგორც წესი, არ არის ტოლი და მათი დამთხვევა შეიძლება განვიხილოთ როგორც ცალკეული შემთხვევა.
- ეკონომიკური ოპერაციების თითოეული ჯგუფისათვის რესურსების ჩანაწერების ჯამი გამოყენების ჩანაწერების ჯამის ტოლი უნდა იყოს მხოლოდ ჯამური „სულ" სვეტისათვის (სვეტებამდე -15 და ეკონომიკის სექტორები და ეკონომიკური ოპერაციები მე-16,

ცხრილი 1.1

ეკონომიკური ოპერაციების ჯგუფები / მეურნე სუბიექტების ჯგუფები	არაფინანსური საწარმოები (კორპორაციები)		ფინანსური დაწესებულებები (კორპორაციები)		სახელმწიფო მმართველობის ორგანოები		შინამეურნეობები		მშპაკო-ები		სულ სამამულო სექტორები		"დანარჩენი მსოფლიო"		სულ	
	რესურსები	გამოყენება	რესურსები	გამოყენება	რესურსები	გამოყენება	რესურსები	გამოყენება	რესურსები	გამოყენება	რესურსები	გამოყენება	რესურსები	გამოყენება	რესურსები	გამოყენება
A	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
საქონელისა და მომსახურების ოპერაციები																
პირველადი შემოსავლების ოპერაციები																
გადანაწილების ოპერაციები																
ოპერაციები ფინანსური ინსტრუმენტებით																
სულ																

რომლებიც მ.შ. მოიცავენ ჩანაწერებს დანარჩენ მსოფლიოსთან, ანუ ყველა სხვა ქვეყანასთან ოპერაციების შესახებ). ამ თვისებას ეწოდება **ეკონომიკური ოპერაციების იგივეობა (ტოლობა).** გასაგებია, რომ ამ ტოლობის უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ როგორც კერძო შემთხვევა სვეტში „სულ სამამულო სექტორები". ეს მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დანარჩენი მსოფლიოდან შემოდინებები დანარჩენ მსოფლიოში გადინებების ტოლი იქნება, რაც პრაქტიკაში იშვიათად ხდება.

ცხრილის ეს ორი თვისება მნიშვნელოვანია ეას-ის ძირითადი პრინციპებისა და ურთიერთკავშირების გაგების თვალსაზრისით, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეას-ის ანგარიშებსა და ცხრილში რეგისტრირებულ ეკონომიკურ ოპერაციებზე, მთლიანად ინფორმაციის დაბალანსებულობის შესამოწმებლად.

დაბოლოს, ცხრილის ხასიათის უკეთ გაგებისათვის მხედველობაშია მისაღები, რომ ცხრილში მითითებული მონაცემები ახასიათებენ შემოსავლებსა და ხარჯებს (და არა თვით საქონლისა და მომსახურების მოძრაობას) და

აგრეთვე შემოდინებებს, რომლებიც ფინანსური ვალდებულებების აღების ან ფინანსური აქტივების შეძენაზე გაწეული ხარჯების შედეგია (სტრიქონი 4 „ოპერაციები ფინანსური ინსტრუმენტებით").

ცხრილი კონკრეტულად განკუთვნილია ეას-ის ზოგიერთი თავისებურების ილუსტრაციისათვის და არ გამოიყენება ფაქტობრივი ოპერაციების რეგისტრირებისათვის ან თუნდაც რომელიმე განზოგადებული მონაცემის წარსადგენად. მისი დანიშნულებაა უჩვენოს მხოლოდ ის, რომ ეას წარმოადგენს ეკონომიკური ოპერაციებისა და ამ ოპერაციების განმახორციელებელი მეურნე სუბიექტების შესახებ არსებულ მონაცემთა მოწესრიგების განსაკუთრებულ ფორმას.

ინფორმაციის მოწესრიგებამ უნდა უზრუნველყოს ორი მოთხოვნის დაცვა:

- ყოველი სექტორისათვის რესურსებისა და გამოყენების ჩანაწერების ტოლობის მოთხოვნა (საბალანსო იგივეობა).
- ეკონომიკური ოპერაციების ყოველი ჯგუფისათვის, „დანარჩენ მსოფლიოსთან" ოპერაციების ჩათვლით, რესურსებისა და გამოყენების ჯამის მიხედვით ტოლობის მოთხოვნა (ეკონომიკური ოპერაციების ტოლობა).

აღსანიშნავია 1.1 ცხრილის კიდევ ერთი შეზღუდვა: მასში წარმოდგენილია მხოლოდ ეკონომიკური ოპერაციები და არ მოიპოვება ინფორმაცია აქტივებისა და პასივების მარაგებზე.

ეას-ში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი მიმდინარე და კაპიტალურ ნაკადებს შორის განსხვავებაა (შემოსავლებსა და ხარჯებს შორის).

თუ ამ განსხვავებას შევიტანთ ცხრ.1.1-ში, მივიღებთ ცხრ. 1.2-ს, რომელშიც ჩანაწერები გაკეთებულია პირობითი ოპერაციების გატარების საფუძველზე.

დავუშვათ, რომ სტუდენტთა ჯგუფმა მიიღო სტიპენდია 100 პირობითი ერთეულის ოდენობით, აგრეთვე სასწავლო გრანტი საზღვარგარეთიდან 20 პირობითი ერთეულის ოდენობით. ეს სახსრები დახარჯულ იქნა საქონლისა და მომსახურების ყიდვაზე — 100 ერთეული, გადასახადებზე — 5 ერთეული, აქციების ყიდვა — 10 ერთეული, დეპოზიტი ბანკში --5 ერთეული. სტუდენტებზე საქონლის მიყიდვისგან მიღებული ამონაგები (100 ერთეული) საწარმოების მიერ დაიხარჯა შემდეგნაირად: შრომის ანაზღაურება — 40 ერთეული, ბიუჯეტში გადახდილი გადასახადები — 50 ერთეული, დეპოზიტი ბანკში – 10 ერთეული. გამარტივების მიზნით დავუშვათ, რომ საწარმოები არ ხარჯავდნენ სახსრებს ნედლეულის, მასალებისა და სხვა შუალედური მოხმარების საქონლის ყიდვაზე. ასევე დავუშვათ, რომ ხელფასის მიმღებებმა დახარჯეს იმპორტული საქონლის შესყიდვასა (30 ერთეული) და ბიუჯეტის გადასახადებზე (10 ერთეული). გარდა ამისა, შინამეურნეობებმა შეიძინეს

წინა წლებში აშენებული საცხოვრებელი ბინები 200 ერთეულის ოდენობით, რისთვისაც მათ აიღეს კრედიტი ბანკში (200 ერთეული).

ასეთია ცხრილის შესაბამის სტრიქონებში და სვეტებში გატარებული ოპერაციები. ახლა ავხსნათ გატარებების მექანიზმი. სტრიქონი 1-ლი და მე-2 გვიჩვენებს ზემოთ აღნიშნული ოპერაციების განმახორციელებელი **არაფინანსური კორპორაციების** შემოსავლებსა და ხარჯებს. პირობის მიხედვით, საქონლის რეალიზაციიდან მათ მიიღეს 100 ერთეული, ხოლო გადაიხადეს: 40 ერთეული შრომის ანაზღაურების სახით, 50 ერთეული – ბიუჯეტში გადასახადების სახით და 10 ერთეული შეიტანეს ბანკში. გარდა ამისა, მათ გაყიდეს წინა წლებში აშენებული ბინები, ეს ოპერაცია ეპს-ში განიხილება როგორც გამყიდველისათვის ძირითადი კაპიტალის უარყოფითი დაგროვება (-200 ერთეული), ხოლო ძირითადი კაპიტალის დადებითი დაგროვება მყიდველისათვის (200 ერთეული), ამგვარად, მთლიანად ეკონომიკისათვის დაგროვების საერთო ჯამი ნულის ტოლია. ეს გასაგებიცაა, რადგან ბინები აშენებული იყო წინა წლებში, ხოლო მათი გადანაწილება მოხდა საანგარიშო წლის განმავლობაში. ბინების გაყიდვიდან მიღებული თანხა შეტანილ იქნა ბანკში. ამგვარად, არაფინანსური კორპორაციების დეპოზიტების ცვლილების საერთო თანხამ შეადგინა 210 ერთეული.

სვეტში **„ფინანსური დაწესებულებები (კორპორაციები)"** უნდა იყოს გაკეთებული ჩანაწერები ფინანსური აქტივების სტრუქტურაში ცვლილებების შესახებ: აქციების გაყიდვა (-10 ერთეული) ამცირებს ბანკების ფინანსურ აქტივებს ამ მუხლის მიხედვით. ბინების მყიდველებზე გაცემული კრედიტების მატება (200 ერთეული) ზრდის ბანკების ფინანსურ აქტივებს ამ მუხლის მიხედვით, თუმცა ერთდროულად ხდება დეპოზიტების შემცირება (-190 ერთეული). ეს უკანასკნელი იქმნება ორი კომპონენტისაგან: დეპოზიტების შემცირება კრედიტების გაცემასთან დაკავშირებით (-200 ერთეული) და დეპოზიტების მატება აქციების გაყიდვასთან დაკავშირებით (10 ერთეული). თუმცა ფინანსური აქტივების ყველა ეს ცვლილება ერთმანეთს ფარავს, და ამიტომ ცხრილში 1.2 ფინანსური დანესებულებების სექტორისათვის „ოპერაციები ფინანსური ინსტრუმენტებით" მე-4 სტრიქონში წერია ნულები. ეკონომიკის სხვა სექტორების (არაფინანსური საწარმოები, სახელმწიფო მართვის ორგანოები და შინამეურნეობები) ოპერაციები დეპოზიტებზე ნიშნავს ერთდროულად აქტივებისა და ფინანსური კორპორაციების სექტორის ვალდებულებების ზრდას მუხლი „დეპოზიტის" მიხედვით, მათზე ჩანაწერები რესურსებსა და გამოყენებაში ერთმანეთს ფარავენ და გამარტივების მიზნით გამოტოვებულია ცხრილში 1.2.

ჩანაწერები სვეტში „სახელმწიფო მართვა" უჩვენებს ბიუჯეტის შემოსავლებს (65 ერთ), რომელიც იქმნება სანარმოებისა (50 ერთეული) და შინამეურნეობების (საწარმოების მუშაკები და სტუდენტები 15 ერთეული) გადასახადებისაგან. ხარჯების შემოსავლებზე მეტობა დაფარულია დეპოზიტების შემცირების ხარჯზე (-35 ერთეული).

სამეურნეო სუბიექტების ჯგუფები / ეკონომიკური ოპერაციების ჯგუფები	არაფინანსური სანარმოები (კორპორაციები)		ფინანსური დანესებულებები (კორპორაციები)		სახელმწიფო მართვა		შინამეურნეობები		შმაკო-ები		სულ სამამულო სექტორები		დანარჩენი მსოფლიო		სულ	
	რესურსები	გამოყენება	რესურსები	გამოყენება	რესურსები	გამოყენება	რესურსები	გამოყენება	რესურსები	გამოყენება	რესურსები	გამოყენება	რესურსები	გამოყენება	რესურსები	გამოყენება
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
საქონლისა და მომსახურეობის ოპერაციები ა) მიმდინარე ბ) კაპიტალური	100	-200						130 200			100 0	130 0	30	0	130 0	130 0
ოპერაციები პირველადი შე-მოსავლებით		40					40				40	40	---	---	40	40
გადანაწილების ოპერაციები ა) მიმდინარე ბ) კაპიტალური		50			65	100	120	15			185	165	---	20	185	185
ოპერაციები ფი-ნანსური ინსტრუ-მენტებით ა) ფასიანი ქა-ღალდები ბ) დეპოზიტები გ) სესხები დ) დანარჩენი		210		-10 -190 -200		-35	200	10 5			0 200	0 -10 200		10	0 0 200	0 0 200
სულ	100	100	0	0	65	65	360	360	---	---	525	525	30	30	555	555

ჩანაწერები სვეტში „შინამეურნეობები" გვიჩვენებს პირველადი განაწილების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა (40 ერთეული) და მათ გადანაწილებას (120 ერთ, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან: ბიუჯეტიდან მიღებული სტიპენდია (100 ერთეული) და გრანტები საზღვარგარეთიდან (20 ერთეული). შინამეურნეობების ხარჯები (130 ერთეული) შედგება: სამამულო საქონლისა (100 ერთეული) და იმპორტული საქონლის (30 ერთეული) ყიდვებისაგან.

გარდა ამისა, შინამეურნეობებმა შეიძინეს სამრეწველო საწარმოების აქციები, რომლის მფლობელები იყვნენ ბანკები (10 ერთეული) და ბანკში შეიტანეს თანხა (5 ერთეული). ხოლო, მეორე მხრივ, შინამეურნეობებმა შეიძინეს ბინები (200 ერთეული) ბანკის კრედიტის ხარჯზე (200 ერთეული).

დაბოლოს, ჩანაწერები სვეტში „დანარჩენი სამყარო" გვიჩვენებს, რომ დანარჩენი ქვეყნების შემოსავლები შედგება იმპორტიდან შემოსულობებისაგან (30 ერთეული). ხარჯები მოიცავს სტუდენტებისათვის გრანტების გაცემას (20 ერთეული). შემოსავლების მეტობა ხარჯებზე მოხდა ბანკის ხარჯზე (დეპოზიტების მატება 10 ერთეული).

როგორც 1.2 ცხრილიდან ჩანს, თითოეული სექტორისათვის, „დანარჩენი მსოფლიოს" სექტორის ჩათვლით, რესურსებისა და გამოყენების ჩანაწერების ჯამები ტოლია -- ეს საბალანსო ტოლობაა. მოცემული ტოლობა არ მოითხოვს განსაკუთრებულ ახსნას: ყველა შემოსავალი ასე თუ ისე უნდა დაიხარჯოს. შემოსავლების გადამეტება გასავლებზე, ასევე დანახარჯის ფორმას ნარმოადგენს (დეპოზიტების მატება, ნაღდი ფულის მატება და ა.შ.).

1.2 ცხრილის მიხედვით ეკონომიკური ოპერაციების თითოეული ჯგუფისათვის რესურსებისა და გამოყენების ჩანაწერები ემთხვევა მხოლოდ სვეტში „სულ", რომელიც მოიცავს „დანარჩენ მსოფლიოსთან" ოპერაციებს, მაგრამ არა სვეტში „სამამულო სექტორი სულ", რომელიც მათ არ მოიცავს.

მაგალითი. საქონლისა და მომსახურების მიმდინარე ოპერაციების მიხედვით რესურსების ჯამი მე-11 სვეტში (100 ერთეული) ნაკლებია ხარჯების ჯამზე (სვეტი მე-12) იმავე სტრიქონში (130ერთეული). ეს შედეგია იმისა, რომ ხარჯები მოიცავს რეზიდენტების მიერ იმპორტული საქონლის ყიდვას (30ერთეული), ხოლო ხარჯები არ მოიცავს ექსპორტიდან მიღებულ შემონატანებს (ჩვენს მაგალითში ის ნულის ტოლია).

სახელმწიფო მართვის ორგანოებმა მიიღეს არაფინანსური საწარმოებიდან გადასახადების სახით შემოსავალი 50 ერთეული და 15 ერთეული შინამეურნეობებიდან. მაშასადამე, რესურსების საერთო სიდიდეა — 65 ერთეული, რომელიც გამოყენებულ იქნა სტიპენდიის გასაცემად 100 ერთეულის ოდენობით. სხვაობის დაფარვა მოხდა დეპოზიტების შემცირების ხარჯზე (-35 ერთეული). შინამეურნეობების შემოსავლები იქმნება პირველადი შემოსავლების მუხლის მიხედვით ნაჩვენები შრომის ანაზღაურებისაგან (40 ერთეული) და აგრეთვე 120 ერთეული შემოსავლებისგან, მიღებული სტიპენდიისა

(100 ერთეული) და უცხოური გრანტის (20 ერთეული) სახით. გარდა ამისა, შინამეურნეობებმა მიიღეს ბანკის კრედიტი (200 ერთეული).

შინამეურნეობების რესურსები დაიხარჯა საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე (100 ერთეული — სამამულო მწარმოებლების საქონლისა და მომსახურების ყიდვაზე და 30 ერთეული — სხვა ქვეყნების). კრედიტი — 200 ერთეული გამოყენებულია ბინის ყიდვაზე; 15 ერთეული გადახდილია გადასახადების სახით ბიუჯეტში, მათ შორის 5 ერთეული გადახდილია სტუდენტების, ხოლო 10 ერთეული არაფინანსური დაწესებულებების მუშაკების მიერ; სტუდენტებმა შეიძინეს 10 ერთეული აქციები.

ეას-ის მეთოდი

ეას — ეროვნული ანგარიშიანობის საფუძველია, სისტემის თითოეული ანგარიში ნარმოადგენს ბალანსს (ტოლობას) ამა თუ იმ რესურსის მოცულობასა და გამოყენებას შორის, რაც მიიღწევა **დამაბალანსებელი მუხლის** მეშვეობით. თითოეული ანგარიშისათვის დამაბალანსებელ მუხლს აქვს არა მხოლოდ **დამოუკიდებელი** მნიშვნელობა — ეკონომიკური პროცესების შედეგების დახასიათება, ის აგრეთვე გამოიყენება ყოველი მომდევნო ანგარიშის **დასაკავშირებლად** წინა ანგარიშთან. აქედან გამომდინარე, კვლავწარმოების ციკლის ეტაპების მიხედვით იქმნება ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც საშუალებას გვაძლევს კომპლექსურად, რაოდენობრივად დავახასიათოთ ეკონომიკური პროცესები და მათი შედეგები.

რამდენადაც ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში აისახება ინტერვალური მაჩვენებლები, მათი საშუალონლიური დონის გასაანგარიშებლად გამოიყენება **საშუალოების მეთოდი.**

ეას-ის ანალიზის პროცესში ინფორმაციის მოცვის ხარისხისა და ანალიზის მიმართულების შესაბამისად ფართოდ გამოიყენება თანამედროვე **მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდების** სრული არსენალი.

ეას-ში აგრეთვე ფართოდ გამოიყენება **კლასიფიკაციებისა და დაჯგუფების** მეთოდები, რაც უზრუნველყოფს შესასწავლი ეკონომიკური პროცესების მრავალმხრივ დახასიათებასა და ეკონომიკური მაჩვენებლების სტრუქტურის შესწავლას.

დინამიკაში ყველა ეკონომიკური პროცესი შეისწავლება **დინამიკის მწკრივებისა და საინდექსო მეთოდების გამოყენებით.** ინფლაციის პირობებში ღირებულებითი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკაში შესწავლისათვის გამოიყენება **ფიზიკური მოცულობის ინდექსი,** რაც ითვალისწინებს ყველა ღირებულებითი მაჩვენებლის წინასწარ გადაფასებას შესადარ ფასებში.

ეროვნული ანგარიშიანობის მეთოდი მოიცავს თვით **ეროვნული ანგარიშების აგების მეთოდებს.** სტატისტიკის საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრდა ანგარიშთა შედგენის შემდეგი მეთოდები: **თანმიმდევრული აგების, სასაქონლო ნაკადებისა და სხვ.**

ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება დამოკიდებულია ინფორმაციის არსებობაზე. ინფორმაციის დეფიციტის პირობებში გამოიყენება **გამარტივებული ან მიახლოებითი მეთოდები,** რაც იძლევა მაჩვენებლის დონის მიახლოებითი შეფასების ან მისი განვითარების ტენდენციის დადგენის საშუალებას.

თანმიმდევრული აგების მეთოდი ყველაზე გავრცელებულია. ანგარიშები აიგება თანმიმდევრულად, შემდეგ მათი მაჩვენებლების ერთმანეთთან დაკავშირება ხდება „საქონლისა და მომსახურების" ანგარიშში როგორც მთელი ეკონომიკის, ისე ცალკეული სექტორების მიხედვით. ანგარიშების თანმიმდევრობა კვლავნარმოების ციკლის ეტაპების იდენტურია.

ზოგიერთ ქვეყანაში ფართო გავრცელება პოვა **სასაქონლო ნაკადების მეთოდმა**. როგორც წესი, ეს მეთოდი გამოიყენება ინფორმაციის დეფიციტის ან თანმიმდევრობით შედგენილ ანგარიშებში მნიშვნელოვანი სხვაობის შემთხვევაში. ასეთ დროს ჩვეულებრივ იწყებენ შეცდომის ძებნას, თუმცა ეს არც ისე ადვილია. ინფორმაციის დეფიციტის პირობებში ოპერატიული გაანგარიშებისთვის ანგარიშებს აგებენ ისეთი მათემატიკური მოდელების საფუძველზე, როგორიცაა **დანახარჯები-გამოშვების ცხრილები**.

სასაქონლო ნაკადების მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული ანგარიშის მიხედვით ცალკეული სახეობის პროდუქტის (ნომენკლატურის) რესურსების მაჩვენებელი უნდა შეედაროს მისივე გამოყენების მაჩვენებელს. ასეთი ხერხით დგინდება გადახრები და შესაბამისად ხდება კორექტირება. აღნიშნულ მეთოდს უმეტეს ქვეყნებში იყენებენ როგორც დამხმარეს, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, დანიაში იგი ძირითად მეთოდად არის მიჩნეული.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია მიახლოებითი შედეგის მისაღებად პირობითი გამოთვლების ჩატარებაც.

მაგალითი. კვარტალური ან თვიური ანგარიშების შედგენისას ხშირად აღარ რჩება დრო სანარმოებიდან გამოშვებისა და შუალედური მოხმარების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. მაგრამ საქონელ-ნარმომადგენელზე დაკვირვების შედეგად შეიძლება მოვიპოვოთ ინფორმაცია უმნიშვნელოვანესი სახის პროდუქციის მოცულობისა (ნატურალურ ერთეულებში) და ფასების შესახებ.

გამოშვებაზე (ნატურალურ გამოსახულებაში) დაკვირვების შედეგად შეიძლება ყოველი დარგის მიხედვით წარმოების ფიზიკური მოცულობის ინდექსის აგება. პრაქტიკაში პრობლემა დაიყვანება ნატურალური მაჩვენებლის სწორ შერჩევამდე. ფასებზე დაკვირვების საფუძველზე აიგება ფასების ინდექსი.

ამ დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს პროდუქციის ღირებულების ინდექსის $I_{qp} = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_0 p_0}$, ფასების ინდექსისა $I_p = \frac{\sum p_1 q_1}{\sum p_0 q_1}$ და პროდუქციის ფიზიკური მოცულობის ინდექსის $I_q = \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0}$ ურთიერთკავშირი:

$$I_{qp} = I_p \times I_q .$$

$$\frac{\sum q_1 p_1}{\sum q_0 p_0} = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_1 p_0} \times \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0} .$$

სადაც q_1, q_0 პროდუქციის (მომსახურების) მოცულობაა ნატურალურ გამოსახულებაში საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში.

p_1, p_0 — პროდუქციის (მომსახურების) ერთეულის ფასი საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში.

ამ ინფორმაციის საფუძველზე ხორციელდება გამოშვებისა და შუალედური მოხმარების მაჩვენებლების გაანგარიშება შემდეგი სქემის მიხედვით:

1. შესაბამისი დარგის საბაზისო პერიოდის გამოშვების ღირებულება $\sum q_0 p_0$ მრავლდება მოცემული დარგის გამოშვების (მაგალითად, წლის განმავლობაში) ფიზიკური მოცულობის ინდექსზე I_q, მიიღება საანგარიშო პერიოდში მოცემული დარგის გამოშვების ღირებულება წინა წლის შესაბამის ფასებში:

$$\sum q_0 p_0 \times \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0} = \sum q_1 p_0 .$$

2. მიღებული შედეგი მრავლდება მოცემული დარგის პროდუქციის ფასების ინდექსზე და მიიღება საანგარიშო პერიოდში მოცემული დარგის გამოშვების ღირებულება საანგარიშო პერიოდის ფასებში $\sum q_1 p_1$:

$$\sum q_1 p_0 \times \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_1 p_0} = \sum q_1 p_1 .$$

3. მიღებული შედეგი — მოცემული დარგის პროდუქციის გამოშვება მოქმედ ფასებში გამრავლებული მოცემული დარგის გამოშვებაში დამატებული ღირებულების ხვედრით წილზე d = ᲓᲦ/ᲛᲒ (მიიღება სრული ინფორმაციის გამოყენებით ტრადიციული მეთოდოლოგიით შესრულებული ბოლო გაანგარიშების მონაცემების საფუძველზე), იძლევა მოცემული დარგის საანგარიშო პერიოდის მთლიანი დამატებული ღირებულების მიმდინარე ფასებში გადაყვანის საშუალებას: $\sum q_1 p_1 \times d$.

ამ ხერხით ხორციელდება მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების მოცულობის ოპერატიული შეფასება.

დამატებითი ინფორმაციის მიღების შემდეგ ხდება მიღებული მაჩვენებლის დაზუსტება. აღნიშნული პრაქტიკა გავრცელებულია როგორც ჩვენთან, ისე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სტატისტიკურ სამსახურებში. მაგალითად, ნლიური გაანგარიშებების განხორციელების შემდეგ, როგორც წესი, კორექტირდება კვარტლების მიხედვით მიღებული შედეგები. ამისათვის არსებობს განსაზღვრული პროცედურები. ნლიური შედეგების მიღების შემდეგ კვარტალური შედეგების კორექტირებისათვის მსოფლიო პრაქტიკაში გამოიყენება ბოსის (ეროვნული ანგარიშების დარგში ცნობილი ნიდერლანდელი სპეციალისტი) მეთოდი. ეს მნიშვნელოვანწილად ფორმალური, მათემატიკური მეთოდია.

ნლიური გაანგარიშებები, როგორც წესი, კორექტირდება დარგთაშორისი ბალანსის აგების შემდეგ, რომელიც იძლევა გარკვეული უზუსტობების გამოვლენის საშუალებას. ევროპის ქვეყნების პრაქტიკაში მიღებულია გაკორექტირება 10—12-ჯერ.



1. რას წარმოადგენს ეროვნულ ანგარიშთა სისტემა?
2. რა არის სტატისტიკის საერთაშორისო მეთოდოლოგიის დანერგვის მიზანი?
3. რა არის ეროვნული ანგარიშიანობის შესწავლის საგანი?
4. რა არის ეროვნული ანგარიშიანობის შესწავლის ობიექტი?
5. ჩამოაყალიბეთ ეროვნული ანგარიშიანობის შესწავლის ამოცანები.
6. რას ნიშნავს ეას-ის ყოვლისმომცველი ხასიათი?
7. ვინ არიან ეას-ის მონაცემების ძირითადი მომხმარებლები?
8. როგორია ეას-ის ფუძემდებლური კონცეფციები?
9. განიხილეთ ეკონომიკური ნარმოების კონცეფციის ძირითადი მახასიათებლები.
10. როგორია ეას-ის ფუძემდებლური დებულებები?
11. ჩამოთვალეთ ეას-ის მნიშვნელოვანი იგივეობანი (ტოლობები) და ახსენით მათი არსი.
12. ჩამოაყალიბეთ ეროვნული ანგარიშიანობის სფეროში სტატისტიკური მეცნიერებისა და პრაქტიკის ამოცანები.

13. რა მსგავსებაა ეროვნულ ანგარიშთა სისტემისა (ეას) და სახალხო მეურნეობის ბალანსის (სმბ) მეთოდოლოგიებს შორის?
14. რა განსხვავებაა ეროვნულ ანგარიშთა სისტემისა (ეას) და სახალხო მეურნეობის ბალანსის (სმბ) მეთოდოლოგიებს შორის?
15. ჩამოთვალეთ ეას-ში ასახული ინფორმაციის ძირითადი ელემენტები.
16. ჩამოაყალიბეთ ეას-ის III ვარიანტის სტრუქტურა.
17. მეცნიერებისა და პრაქტიკული საქმიანობის რომელ სფეროებთანაა დაკავშირებული ეროვნული ანგარიშიანობა?
18. დაახასიათეთ ეას-ის მონაცემების ანალიზის მნიშვნელოვანი მიმართულებები.
19. აღწერეთ ეას-ის მეთოდი.

ტესტები

1. მონიშნეთ, რაში მდგომარეობს ეას-ისა და სმბ-ის მეთოდოლოგიის ძირითადი განსხვავებები:

ა) ეკონომიკური საქმიანობის საზღვრების განსაზღვრაში;
ბ) ურთიერთდაკავშირებული მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ასახვაში;
გ) რესურსების დაბალანსებასა და მის გამოყენებაში;
დ) კვლავწარმოების ციკლის ძირითადი ფაზების: შემოსავლების წარმოების, განაწილების, გადანაწილებისა და გამოყენების თანმიმდევრულ ასახვაში;
ე) ეკონომიკური ოპერაციების ორმაგი ჩაწერის პრინციპში.

2. მონიშნეთ ეას-ისა და სმბ-ის საერთო პრინციპები:

ა) ეკონომიკისა და მისი შედეგების კვლევის საბალანსო მეთოდი;
ბ) კრებსით მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც შემუშავებულია დარგებისა და საკუთრების ფორმების მიხედვით კრებსითდაჯგუფებების საფუძველზე;
გ) მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც შემუშავებულია საქმიანობის სახეებისა და ეკონომიკის სექტორების მიხედვით დაჯგუფებების საფუძველზე;
დ) ეკონომიკური რესურსებისა და მათი გამოყენების საბალანსო დაკავშირება;

ე) საქონლისა და მომსახურების ნარმოების შედეგების ასახვა.

3. მონიშნეთ ეას-ის ობიექტის ყველაზე სრული განმარტება:

ა) ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკა;
ბ) სექტორების ეკონომიკა;
გ) დარგების ეკონომიკა;
დ) შემოსავლების წარმოქმნის, განაწილების, გადანაწილებისა და გამოყენების ეკონომიკური პროცესები;
ე) ქვეყნის, რეგიონის ეკონომიკა სექტორების, დარგების, საკუთრებისფორმების ჭრილში.

4. ქვემოთ ჩამოთვლილი ეას-ის მეთოდებიდან, რომელმა პოვა უფრო მეტი გავრცელება საქართველოს სტატისტიკაში:

ა) სასაქონლო ნაკადების მეთოდმა;
ბ) ანგარიშების თანმიმდევრული აგების მეთოდმა;
გ) დანახარჯები-გამოშვების მეთოდმა;
დ) პირობითი გაანგარიშების მეთოდმა;
ე) სატელიტური ანგარიშების აგების მეთოდმა.

5. მონიშნეთ „ეროვნული ანგარიშიანობის" საგნის განმარტება:

ა) ქვეყნისა და მისი რეგიონების ეკონომიკის ფუნქციონირებისა და მისი შედეგების ურთიერთდაკავშირებული რაოდენობრივი დახასიათება საბალანსო მეთოდის საფუძველზე;
ბ) ეკონომიკის სექტორების განვითარების ურთიერთდაკავშირებული რაოდენობრივი დახასიათება რესურსებისა და მათი გამოყენების დაბალანსების საფუძველზე;
გ) ეკონომიკური პროცესებისა და მათი შედეგების ურთიერთდაკავშირებული სტატისტიკური დახასიათება საბალანსო მეთოდის საფუძველზე;
დ) მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკური დახასიათება;
ე) რესურსებისა და მათი გამოყენების სტატისტიკური დახასიათება.

6. მონიშნეთ კვარტალური ან თვიური გამოშვების ოპერატიული გაანგარიშებებისათვის გამოსაყენებელი საქონლისა და მომსახურების ღირებულების, ფასებისა და ფიზიკური მოცულობის ინდექსების ურთიერთკავშირის სწორი გამოსახულებები:

ა) $\frac{\sum q_1 p_1}{\sum q_0 p_0} = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_1 p_0} \times \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0}$. ბ) $I_c = I_p \times I_q$.

გ) $\frac{\sum q_1 p_1}{\sum q_1 p_0} = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_0 p_0} : \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0}$. დ) $\frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0} = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_0 p_0} : \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_1 p_0}$.

7. რის საფუძველზე განისაზღვრება სისტემის ანგარიშების შემუშავების თანმიმდევრობა:

ა) გაეროს მეთოდოლოგიური მითითებებით;
ბ) ეკონომიკური ანალიზის ამოცანებით;
გ) სტატისტიკური ორგანოების განკარგულებებით;
დ) კვლავწარმოების ციკლის სტადიების თანმიმდევრობით;
ე) ეკონომიკური პროცესების: პროდუქტებისა და მომსახურების წარმოების, შემოსავლების ნარმოქმნის, განანილების, გადანაწილებისა და გამოყენების თანმიმდევრობით.

8. მონიშნეთ პროდუქციის (მომსახურების) ფასების ინდექსების გაანგარიშების სწორი მეთოდიკა:

ა) $I_p = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_1 p_0}$; ბ) $I_p = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_0 p_0} : \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0}$;

გ) $I_p = I_{qp} : I_q$; დ) $I_p = \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0}$.

9. მონიშნეთ 1993 წლის ანგარიშების სტრუქტურის მიხედვით ანგარიშების კლასები, რომლებიც ეხება ეკონომიკური პროცესის სხვადასხვა ასპექტს:

ა) ანგარიშების სტანდარტული ჩამონათვალი ეკონომიკის სხვადასხვა სექტორისათვის;
ბ) ანგარიშები (წარმოებისა და შემოსავლების ფორმირების) ეკონომიკის დარგებისათვის;
გ) ანგარიშები მთლიანი ეკონომიკისათვის;
დ) მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშება შესადარ ფასებში;
ე) სატელიტური ანგარიშები.

10. გაიანგარიშეთ დარგის გამოშვების ღირებულების ცვლილება მიმდინარე ფასებში, თუ ფასები მიმდინარე პერიოდში გაიზარდა 5%-ით, ხოლო საქონლისა და მომსახურების წარმოების მოცულობა საბაზისო ფასებში შემცირდა 2%-ით.

ამოცანა 1.1. დარგის გამოშვებამ საბაზისო პერიოდში შესაბამისი პერიოდის ფასებში ($\sum q_0 p_0$) შეადგინა 1, 5 მლრდ. ლარი, ფიზიკური მოცულობის ინდექსმა (I_q) --1,1, ფასების ინდექსმა (I_p) — 0,98. მდღ-ის ხვედრითმა წილმა (d) მოცემული დარგის გამოშვებაში — 0,32.

გამოიყენეთ პირობითი გაანგარიშებების მეთოდი და განსაზღვრეთ დარგის მთლიანი დამატებული ღირებულება (მდღ) მიმდინარე ფასებში საანგარიშო პერიოდში.

ამოცანა 1.2 განსაზღვრეთ დარგის გამოშვების მოცულობა საანგარიშო პერიოდში მოქმედ ფასებში, თუ ცნობილია, რომ:

- გამოშვებამ საანგარიშო პერიოდში წინა წლის ფასებში შეადგინა 15 000 მლნ ლარი;
- საანგარიშო პერიოდში ფასები გაიზარდა 2%-ით.

ამოცანა 1.3. გვაქვს შემდეგი პირობითი მონაცემები:

1. დარგის გამოშვების მოცულობა წინა წლის IV კვარტალში ($\sum q_0 p_0$) — 120 მლნ ლარი;
2. მიმდინარე წლის IV კვარტალში წინა წლის IV კვარტალთან შედარებით პროდუქციის ფიზიკური მოცულობის ინდექსმა (I_q) შეადგინა 1,05;
3. დარგის ფასების ინდექსმა შეადგინა 1,15;
4. დამატებული ღირებულების ხვედრითმა წილმა (d) შეადგინა 52%;

ოპერატიული გაანგარიშებების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით განსაზღვრეთ:

ა. დარგის გამოშვების მოცულობა საანგარიშო პერიოდში საბაზისო პერიოდის ფასებში ($\sum q_1 p_0$);

ბ. საანგარიშო პერიოდის გამოშვება საანგარიშო პერიოდის ფასებში ($\sum q_1 p_1$);

გ. დარგის საანგარიშო პერიოდის მთლიანი დამატებული ღირებულება მიმდინარე ფასებში ($\sum q_{1\text{მდღ}} p_1$).

2 თავი

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის წარმოშობისა და განვითარების ისტორია

ეროვნული ანგარიშების დანერგვის ძირითადი ეტაპები საზღვარგარეთ. ჯ. ჰიკსის შემოსავლების კონცეფცია და მისი კონკრეტიზაცია ახალ ეას-ში. ეას-ის განვითარების ძირითადი მიმართულებებისა და შინაარსის განმსაზღვრელი ფაქტორები. ეროვნული ანგარიშების დანერგვის ძირითადი ეტაპები საქართველოში.

ეას-ის შემუშავების ისტორია განვითარებულ ქვეყნებში უკავშირდება გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოსა და 40-იანი წლების დასაწყისს. ამ პროცესს სათავე დაუდო „დიდმა დეპრესიამ". ეას-ის ჩამოყალიბების იდეა პრაქტიკული ამოცანებიდან გამომდინარეობდა: ეკონომიკის კონიუნქტურული შეფასებისა და ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო გახდა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სისტემის ჩამოყალიბება, რასაც წინ უსწრებდა ეროვნული შემოსავლის გაანგარიშებანი.

ეროვნული ანგარიშიანობის თეორიულ „მამად" მიჩნეულია ჯონ მეინარდ კეინზი. მაკროეკონომიკური ანალიზის კვლევებში დიდი წვლილი შეიტანეს მისმა წინამორბედებმა: უილიამ პეტიმ, გრეგორო კინგმა, ფრანსუა კენემ, კარლ მარქსმა. თეორიულ კვლევებში XX საუკუნის პირველ ნახევარში დიდი წვლილი შეიტანეს ალფრედ მარშალმა, ირვინგ ფრიშმა, იან ტინბერგენმა, ვასილი ლეონტიევმა, პაულ სტუდენსკიმ; მეთოდოლოგიური საკითხების კვლევებში მონაწილეობდნენ: რიჩარდ სთოუნი, ენტონი გილბერტი, ედვარდ დენისონი, დევიდ კენდრიკი, ჯონ რიჩარდ ჰიკსი.

დიდია საერთაშორისო ორგანიზაციების, განსაკუთრებით კი გაეროს როლი ეას-ის შემუშავებასა და დახვეწაში.

საქართველოში ეას-ის დანერგვა საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესს ემთხვევა.

ეროვნული ანგარიშების დანერგვის ძირითადი ეტაპები საზღვარგარეთ

ეროვნული ანგარიშიანობის ჩანასახები თანამედროვეობამდე დიდი ხნით ადრე გვხვდება. მაგალითად, ცნობილია, რომ ინგლისელმა ეკონომისტებმა უილიამ პეტიმ და გრეგორი კინგმა[1] 300 წლის წინ ინგლისში პირველად გაიანგარიშეს ინგლისისა და საფრანგეთის ეროვნული შემოსავალი და ამით საფუძველი ჩაუყარეს ეროვნული შემოსავლის კვლევების მდიდარ ისტორიას, რაც შემდგომში ეას-ის გაანგარიშებებში გადაიზარდა. აღსანიშნავია, რომ უ. პეტი ისახავდა სავსებით კონკრეტულ პრაქტიკულ მიზნებს, კერძოდ, მან გამოიკვლია დაბეგვრის სისტემის სრულყოფის ღონისძიებების გავლენა ეკონომიკასა და შემოსავლების განაწილებაზე.

გ. კინგმა პირველად შეძლო ინგლისის ეროვნული შემოსავლის ჭეშმარიტად მეცნიერული გაანგარიშება. მან სხვადასხვა სოციალური ჯგუფისა და კლასის მიხედვით გაიანგარიშა შემოსავალი, ხარჯები და დანაზოგი ერთ სულ მოსახლეზე. მისი გაანგარიშებები ფაქტობრივად ეროვნული საბალანსო ცხრილების შექმნას ნიშნავდა.

XVIII საუკუნის დასაწყისში ფრანგმა პიერ ლეჰეზან ბუაგილბერმა (1646—1714) ჩამოაყალიბა თავისი მიდგომა ცნებასთან „ეროვნული შემოსავალი". ის მიიჩნევდა, რომ საზოგადოების ერთი ნაწილის ხარჯები — ეს ერთდროულად საზოგადოების დანარჩენი ნაწილის შემოსავლებია. მაშასადამე, შემოსავალი პ. ბუაგილბერის თანახმად, მოსახლეობის ერთობლივ (სამომხმარებლო) ხარჯებს ნარმოადგენს.

ეყრდნობოდნენ რა გრეგორი კინგის გაანგარიშებებს, ფრანგმა ეკონომისტმა ფრანსუა კენემ და შოტლანდიელმა ადამ სმითმა (1723—1790) 1869 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ბუნება და პოლიტიკა. დაკვირვებები და დასკვნები ინგლისის მდგომარეობისა და პირობების შესახებ"[2] თავიანთი თეორიული სქემები ნარმოადგინეს.

ეროვნული ანგარიშიანობის მეთოდის მამამთავრად ფრანსუა კენე (1694-1774) გვევლინება. მის ნაშრომში — „ეკონომიკური ტაბულა"[3] (1758) მოცემულია პირველი მაკროეკონომიკური ბალანსი, რომელშიც იგი კვლავწარმოების ანალიზს საზოგადოებრივი პროდუქტის ნატურალურ (ნივთობრივ)

---

[1] Всемирная история экономической мысли. М., 1987. Т.1. с. 450.

[2] Gregory King «Natural and political observations and conclusions upon the state and condition of England in 1696», London. 1801. as addition to «Estimate of the comparative strength of Great-Britain», Chalmers'.

[3] Кенэ Ф. Избранные экономические произведения. М.: Соцэкгиз, 1960.

და ღირებულებით ელემენტებს შორის საბალანსო პროპორციების დამყარების საფუძველზე აკეთებს.

ეროვნული ანგარიშიანობის ფორმირებაში დიდი როლი ითამაშა ფრანგი ეკონომისტის ჟან-ბატისტ სეის (1767—1832) წარმოების ფაქტორების თეორიამ, რომლის თანახმად შრომა, მინა და კაპიტალი, როგორც წარმოების ფაქტორები, თანაბრად მონაწილეობენ ეროვნული პროდუქტისა და შემოსავლების წარმოებაში. წარმოების ამ სამი ფაქტორის გარდა, ჟ. სეი მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა მეწარმეს — საწარმოო პროცესის ორგანიზატორს. იგი თავის შეხედულებებს მეწარმეობაზე გადმოსცემს ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიის სრული კურსი"(1828).

მაკროეკონომკური ანალიზის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გერმანელმა ეკონომისტმა კარლ მარქსმა (1818—1883). ეკონომიკის ფუნქციონირების მექანიზმის ასახსნელად მის მიერ შემოთავაზებული კვლავწარმოების მარტივი და გაფართოებული სქემები მაკროეკონომიკური მოდელის აგების მცდელობას წარმოადგენდა.

მოცემულ კონტექსტში ყურადღებას იმსახურებს ალფრედ მარშალი (1842—1924) — ავტორი სამეურნეო სუბიექტის ქცევის ანალიზის იდეისა, რაც შემდგომში ეას-ში აისახა. ნაშრომში „ეკონომიკის პრინციპები" (1925) მან ჩამოაყალიბა ნლიური წმინდა ეროვნული შემოსავლის განმარტება, რომელიც დღემდე საფუძვლად უდევს ეას-ის მაჩვენებლების გაანგარიშებას. ამ განმარტების თანახმად, ქვეყნის წლიური ეროვნული შემოსავალი — ეს არის წარმოებული საქონლის ჯამური ღირებულება (რასაც ემატება უცხოური ინვესტიციებიდან მიღებული წმინდა შემოსავალი), წარმოებაზე დახარჯული საქონლისა და ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის გამოკლებით.

ისტორიის შემდგომ ეტაპებზე მრავალი წლის განმავლობაში ეროვნული ანგარიშიანობა არ გამოიყენებოდა სამეურნეო პრაქტიკაში, ხოლო კრებსითი ეკონომიკური მაჩვენებლები ამ სისტემის გარეშე გაიანგარიშებოდა.

1929-1933 წლების დიდი დეპრესია გახდა ის მოვლენა, რამაც თვალნათლივ დაანახვა „ეკონომიკის მამებს" მაკროეკონომიკური გაანგარიშებების შეზღუდულობა და კონიუნქტურის თეორიის განვითარების აუცილებლობა, რომელიც ეფუძნება ეროვნული პროდუქტის ფორმირების ფაქტორების, დასაქმების უზრუნველყოფისა და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელთა პროგნოზირებას.

ჯონ მეინარდ კეინზი (1883—1946) ერთ-ერთი იმ მეცნიერთგანია, რომელმაც თანმიმდევრულად დაასაბუთა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების იდეა და მეთოდები. მან შეიმუშავა ეკონომიკური ანალიზისა და რეგულირებისათვის საჭირო საინფორმაციო სისტემის ფორმირების რამდენიმე პრინციპი ურთიერთდაკავშირებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლთა სისტემაზე დაყრდნობით და მივიდა შემდეგ დასკვნამდე: სახელმ-

ნიფოს შეუძლია ცალკეულ მაჩვენებლებზე ზემოქმედებით შეცვალოს დანარჩენი მაჩვენებლები. აღსანიშნავია, რომ მაკროეკონომიკურ ცვლადებს შორის ურთიერთკავშირის შესწავლის იდეა ერთ-ერთი ფუძემდებლურია ეას-ის ფორმირებაში.

ეროვნული შემოსავლის სტატისტიკისა და ეას-ის განვითარებაში დიდი ნვლილი შეიტანეს აგრეთვე ნობელის პრემიის ლაურეატებმა: ინგლისელმა კოლინ კლარკმა (1905—1989) და ამერიკელმა საიმონ კუზნეცმა (1901—1985). კ. კლარკმა დაასაბუთა ეროვნული შემოსავლისა და ეროვნული პროდუქტის კატეგორიების მნიშვნელობა და ინფლაციური პროცესების გათვალისნინებით მოახდინა ამ სიდიდეების შეფასება საბაზრო ფასებში.

ეროვნული პროდუქტისა და შემოსავლის თეორიის საკითხებთან დაკავშირებით მრავალი ფუნდამენტური ნაშრომი გამოაქვეყნა ს. კუზნეცმა. ის დიდ ყურადღებას უთმობდა სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ განეული მომსახურების შეფასების საკითხებს, განსხვავებას საბოლოო და შუალედურ მოხმარებებს შორის, ეროვნული პროდუქტის გაანგარიშებას საბოლოო მოხმარების მეთოდით (ყველა სამეურნეო სუბიექტის მოხმარების, დაგროვებისა და ექსპორტ-იმპორტის სალდოს დაჯამება). ის მიიჩნევდა, რომ სახელმწიფო მმართველობის ორგანოების არასაბაზრო მომსახურების მნიშვნელოვან ნაწილს შუალედური მოხმარების ხასიათი აქვს, ამიტომ ამ მომსახურების მთლიანი ღირებულების ჩართვა საბოლოო მოხმარებაში გამოიწვევდა ეროვნული პროდუქტის განმეორებით აღრიცხვას.

ეკონომიკური კვლევების მეთოდიკების სრულყოფაში დიდი წვლილი შეიტანა ამერიკელმა ეკონომისტმა ვასილ ლეონტიევმა (1906—1998). იგი დარგთაშორისი ბალანსის ავტორია. ამ მეთოდის მეშვეობით გამოიკვლევა ეკონომიკის დარგებს შორის კავშირი და დამოკიდებულება ისეთ ცვლადებს შორის, როგორიცაა: გამოშვება, შუალედური მოხმარება და საბოლოო მოხმარება.

ჯ. ჰიკსის შემოსავლების კონცეფცია და მისი კონკრეტიზაცია ახალ ეას-ში

ახალი ეას შემოსავლების ყველა მაჩვენებლის თეორიულ საფუძვლად იყენებს ცნობილი ინგლისელი ეკონომისტის ჯონ რიჩარდ ჰიკსის კონცეფციას. ამ კონცეფციის თანახმად, დროის კონკრეტულ პერიოდში წარმოებული შემოსავლის საერთო მოცულობა უნდა განისაზღვროს როგორც მაქსიმალური თანხა, რომელიც შეიძლება დაიხარჯოს მოხმარებაზე საწყისი კაპიტალის მოცულობის შეუცვლელად. პრაქტიკული მიზნებისათვის მაკროეკონომიკურ ანალიზში ჯ. ჰიკსის კონცეფციის კონკრეტიზაციამ განაპირობა ეას-ის

განმარტებებისა და კლასიფიკაციების უნიფიცირებული სისტემის შექმნა, რომელიც შემუშავებულია და გამოიყენება სისტემის მნიშვნელოვანი მაჩვენებლების გასაანგარიშებლად – მთლიანი შიდა პროდუქტი, პირველადი შემოსავლების სალდო, განკარგვადი შემოსავალი, დანაზოგი და ა.შ.

რამდენად პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ეკონომიკურ მეცნიერებაში შემოსავლის გაგება ერთ-ერთი ურთულესთაგანია. ჯ. ჰიკსი თავის ნაშრომში "ღირებულება და კაპიტალი" აღნიშნავდა, რომ სხვადასხვა მეცნიერების მიერ შემოსავლის განმარტებები იმდენად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, რომ ეს ფაქტი ხშირად აბნევდა და წინააღმდეგობრივი მოსაზრებებისაკენ უბიძგებდა მათ.

ეას-ის შემოსავლების მაჩვენებლებს საფუძვლად დაედო ჰიკსის კონცეფცია, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: შემოსავალი არის მაქსიმალური თანხა, რომელიც შეიძლება დაიხარჯოს მოხმარებაზე გარკვეული დროის განმავლობაში აქტივების საწყისი ღირებულების შენარჩუნების პირობებში. ჰიკსმა შემოიტანა შემოსავლების ორი კატეგორია.

პირველი კატეგორია, რომელსაც იგი მოსალოდნელს უწოდებს ex-ante, -– ეს არის რეგულარული, პროგნოზირებადი შემოსულობების ნაკადი; მეორე კატეგორია ex-post, განხორციელებული ანუ ფაქტიური ნაკადი. მისი აზრით, მრავალი მიზეზის გამო ანალიზში უპირატესობა უნდა მივანიჭოთ პირველ კატეგორიას, რადგან ის უკეთესად ხსნის მეურნე სუბიექტის ქცევას. მის მისაღებად მეორე კატეგორიიდან უნდა გამოვრიცხოთ შემთხვევითი, მოულოდნელი შემოსულობები, კერძოდ აქტივების ღირებულების ზრდა ინფლაციის შედეგად. ჰიკსის ზოგადი კონცეფციიდან შეიძლება შემდეგი დასკვნები გამოვიტანოთ:

- ყველა შემოსული თანხა არ შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლად. ცხადია, შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც აუცილებელია წარმართოს წარმოების საშუალებათა დანახარჯების ანაზღაურებისათვის, არ წარმოადგენს შემოსავალს.
- დანაზოგი არ შეიძლება გავაიგივოთ ფულადი სახსრების, დეპოზიტებისა და სხვა ფინანსური აქტივების (აქციები, ობლიგაციები და ა.შ.) ღირებულების ზრდასთან, რადგან ფინანსური აქტივების მატება შეიძლება გამოწვეული იყოს ასეთი აქტივების ფორმის შეცვლით ან ვალდებულების აღებით და არა დანაზოგების ზრდის შედეგად, როგორც ეს ჰიკსს მიაჩნდა. მეორე მხრივ, დანაზოგი შეიძლება გამოყენებული იყოს მატერიალური აქტივების (მიწა, ბინები) შესაძენად. ამ შემთხვევაშიც ფინანსური აქტივების მატება დანაზოგის მხოლოდ ნაწილის ტოლი იქნება, რომელიც ჰიკსის აზრით წარმოადგენს სხვაობას განკარგვად შემოსავალსა და მოხმარებაზე გაწეულ დანახარჯებს შორის.

- კაპიტალის მატება, რომელიც გამოწვეულია შემთხვევითი მოვლენებით (ინფლაცია ან აქტივების ღირებულების ზრდა გარე ფაქტორების ზემოქმედებით, მაგალითად, მიწის ფასის ზრდა მის მახლობლად სარკინიგზო ხაზის გაყვანასთან დაკავშირებით), არ განიხილება როგორც შემოსავალი.

ახალ ეას-ში შემოსავლების ზოგადმა თეორიამ კონკრეტული აზრი შეიძინა ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების კლასიფიკაციასა და განსაზღვრაში, როგორიცაა: მშპ, ეროვნული შემოსავალი, განკარგვადი შემოსავალი, დანაზოგი და ა.შ. უპირველეს ყოვლისა, ეს ასახვას პოულობს შემოსავლებისა და დამატებული ღირებულების ტოლობის განსაზღვრაში. სხვა სიტყვებით (თუ გამოვრიცხავთ საგარეო-ეკონომიკურ კავშირებს), ეროვნული შემოსავალი ეკონომიკის ყველა სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულების ჯამის ტოლია. ამ განმარტების თანახმად, შემოსავალში არ შედის ჰოლდინგური მოგება და ქონების გაყიდვის შედეგად მიღებული ქონების ღირებულების მატება.

მაგალითად, თუ სანარმომ წლის დასაწყისში აწარმოა 100 ერთეული პროდუქცია (თითოეულის ფასი 5 ლარი), ხოლო გაყიდა 3 თვის შემდეგ 8 ლარად, მაშინ ეას-ის მიხედვით წარმოებული პროდუქციის ღირებულება ტოლია 500(100*8) და არა 800 (100*8), როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს, რადგან 800 ლარი მოიცავს 300 ლარს ჰოლდინგური მოგების სახით, რომელიც უნდა გამოირიცხოს. ეს 300 ლარი ინფლაციის შედეგად ნარმოიქმნა.

როგორც წესი, ნარმოებული პროდუქციის ღირებულების გასაანგარიშებლად უნდა გამოვიყენოთ მონაცემები რეალიზაციისა და არარეალიზებული პროდუქტების (მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოება) შესახებ. როგორც ერთი, ისე მეორე ელემენტი შეიძლება ჩავრთოთ ჰოლდინგურ მოგებაში, რომელიც უნდა გამოირიცხოს. ამიტომ ეას გვთავაზობს პროდუქციის გამოშვების გაანგარიშებას შემდეგი ფორმულით:

$$P = R + L - M,$$

სადაც P პროდუქციის გამოშვების ღირებულებაა;

R - პროდუქციის რეალიზაციის ღირებულება;

L - მარაგებში გადასული პროდუქციის ღირებულება;

M - მარაგებიდან ამოღებული პროდუქციის ღირებულება.

მოცემული ფორმულა საშუალებას გვაძლევს გავიანგარიშოთ პროდუქციის ღირებულება და შემოსავლები ჰოლდინგური მოგების გარეშე.

ზემომოყვანილი მაგალითის მიხედვით, მოცემული ფორმულის გამოყენებით, მივიღებთ ასეთ შედეგს: $500(P) = 800(R) - 500(L) - 800(M)$

აღსანიშნავია, რომ ჰოლდინგური მოგება წარმოიშობა აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ შესაძენ ნედლეულსა და მასალებზე ფასები ნაკლებია იმ მომენტთან შედარებით, როდესაც ხდება მათი ფაქტობრივი ხარჯვა.

ჰიკსის თეორიის მიხედვით, წმინდა შემოსავლის გაანგარიშება უნდა მოხდეს ძირითადი კაპიტალის მოხმარების გამორიცხვით აღდგენითი და არა თავდაპირველი ღირებულებიდან, რაც თავის მხრივ წინააღმდეგობებს ქმნის ეას-ში შემოსავლების გაგებასა და მის პრაქტიკულ გაანგარიშებას შორის.

რა თქმა უნდა, დიდია ცალკეული მეცნიერების ღვაწლი ეას-ის ჩამოყალიბების ისტორიაში, თუმცა „ეროვნულ ანგარიშთა სისტემა" შემუშავებულ იქნა 20-იანი წლების ბოლოს ამერიკელი მეცნიერების ჯგუფის მიერ ეკონომიკური კვლევების ეროვნულ ბიუროში შემდგომში ნობელის პრემიის ლაურეატ საიმონ კუზნეცის ხელმძღვანელობით.

პირველი სამუშაოები უკავშირდება ეას-ის გაანგარიშებას პალესტინისათვის 1936 წელს, ხოლო, რაც შეეხება ოფიციალურ გაანგარიშებებს, პირველად მოხდა დიდ ბრიტანეთში 1946 წელს, 1947 წელს — აშშ-ში, 1949 წელს კი — საფრანგეთში. 1953 წლიდან გამოიყენება გაეროს სტანდარტული ანგარიშთა სისტემა, რომელსაც მოჰყვა 1968 წელს ეას-ის II ვერსია, ხოლო 1993 წელს — მესამე, ამჟამად მოქმედი ვერსია.

ეას-ის ოფიციალური დაბადების დღედ ითვლება 1952 წელი, როდესაც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ეგიდით ექსპერტთა ჯგუფის მიერ კეინსის მონაფისა და მიმდევრის რიჩარდ სთოუნის ხელმძღვანელობით მომზადდა შესაბამისი კვლევა[1]. პარალელურად ასეთივე სამუშაოები მიმდინარეობდა გაეროს სტატისტიკური ბიუროს ეგიდითაც. ერთობლივი ძალისხმევის შედეგად შეიქმნა "ეროვნულ ანგარიშთა სისტემის გამარტივებული სტანდარტი". ერთიანი ეას-ის შექმნას საფუძვლად დაედო საერთაშორისო ინტეგრაცია, განსაკუთრებით — ევროპული ქვეყნების.

ეას-ის პირველი ვარიანტი არასრულყოფილი იყო, რადგან არ ითვალისწინებდა სხვადასხვა ქვეყნის განვითარების თავისებურებებს. ეს კი ართულებდა მის დანერგვას ზოგიერთი ქვეყნის პრაქტიკაში. ამის გამო ,,გამარტივებული სისტემა" 1958 წელს გარდაიქმნა უფრო მეტად უნიფიცირებულ ,,ეროვნული ანგარიშიანობის სტანდარტულ სისტემად".[2]

60-იანი წლების შუა პერიოდისათვის მსოფლიოში მოქმედებდა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის რამდენიმე ვარიანტი, რაც ართულებდა ქვეყანათაშორის შედარებებს. ამის გამო საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე დადგა საკითხი ეას-ის განსხვავებული ვერსიების შეთანხმების შესახებ. პროცესში აქტიურად ჩაერთო საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი.

შემდგომ წლებშიც (80-იანი წლების დასაწყისიდან) სტაბილურად ვითარდებოდა აღნიშნული ორგანიზაციების თანამშრომლობა გაეროსთან, რომლის საფუძველზეც სამუშაოების შემდგომი კოორდინაციის მიზნით შეიქმნა საერთაშორისო ჯგუფი.

1993 წლის თებერვლიდან მოქმედებს ახალი, გაუმჯობესებული სტან-

[1] Proposals for the Revision of the SNA, 1952, UN/E/CN.3/356, August, 1967.

[2] http://unstats.un.org/unsd/nationalaccount/history.asp From the 1968 SNA to the 1993 SNA - Information on the process of developing the 1993 SNA.

დარტი[1], რომელშიც გათვალისწინებულია საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ქვეყნების თავისებურებანი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეას-ის განვითარების 60-წლიან ისტორიაში შეიძლება გამოვყოთ ორი ძირითადი ეტაპი:

პირველი ეტაპია — მეორე მსოფლიო ომამდე პერიოდი. მას ახასიათებს სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ინტერესის გაძლიერება ეროვნული შემოსავლის სტატისტიკისადმი, რომლის საფუძველზეც შემდგომში მოხდა ეას-ის ფორმირება. ეს ინტერესი სტიმულირებული იყო 1929—1933 წლების დიდი ეკონომიკური დეპრესიითა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების დიდი მოთხოვნილებით ინფორმაციაზე საბაზრო ეკონომიკის კრიზისული მოვლენების (ინფლაცია, უმუშევრობა და სხვა) დასაძლევად. ამ ეტაპზე ბევრი რამ გაკეთდა ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების პრინციპების ჩამოყალიბებისათვის, გადაწყდა მნიშვნელოვანი თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები. მთლიანი შიდა პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების ერთიან სისტემაში ინტეგრირების შედეგად გაჩნდა ეას-ის პირველი და ცენტრალური მაკროეკონომიკური საინფორმაციო ბლოკი.

მეორე ეტაპი დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ომის დამთავრებამ სტიმული მისცა ეროვნული ანგარიშიანობის შემდგომ განვითარებას. განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობებს უნდა მოეხდინათ ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებებისა და ამოცანების შემუშავება, რამაც გაზარდა მოთხოვნილება ისეთ მაკროეკონომიკურ სტატისტიკაზე, რომელიც უზრუნველყოფდა ეკონომიკური პროცესების სხვადასხვა ასპექტის შეთანხმებულ აღწერას. ეას-ის განვითარების ამ ეტაპის მნიშვნელოვანი თავისებურებაა მაკროეკონომიკური სტატისტიკის რიგი ახალი ბლოკების ინტეგრაცია სისტემაში, მათი კოორდინაცია პირველ ეტაპზე ფორმირებულ მონაცემთა ბლოკთან (ეროვნული შემოსავალი/პროდუქტი) და მის კომპონენტებთან. მეორე ეტაპზე ეას-ში ინტეგრირებულ იქნა მონაცემთა შემდეგი ბლოკები: ეროვნული სიმდიდრის, ფინანსური რესურსების მოძრაობის, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობებისა და სხვ. ამ ეტაპის მეორე თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ საერთაშორისო ეკონომიკურმა ორგანიზაციებმა აქტიური როლი ითამაშეს ეროვნული ანგარიშების მეთოდოლოგიის შემუშავებისა და პრაქტიკული დანერგვის შემდგომ განვითარებაში.

საერთაშორისო ორგანიზაციები საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებას ეროვნული ანგარიშების დარგში აწარმოებენ ორი მიზნით:

1) დაინტერესებული, ძირითადად, განვითარებადი ქვეყნებისათვის ხელის შეწყობა სტატისტიკის აღნიშნული სფეროს განვითარებაში;

---

[1] System of National Accounts 1993. Commission of the European Communities, International Monetary Fund, Organisation for Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank, Brussels/Luxembourg. New York. Paris, Washington, D.C., 1993.

2) მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების საერთაშორისო შესადარისობისათვის მონაცემების მოპოვებისა და სისტემატიზაციის ერთიანი საფუძვლის უზრუნველყოფა.

ეას-ის განვითარების ძირითადი მიმართულებებისა და შინაარსის განმსაზღვრელი ფაქტორები

ეას-ის განვითარების ძირითადი მიმართულებებისა და მისი შინაარსის განმსაზღვრელ ფაქტორებს მიეკუთვნება:

- მაკროეკონომიკური თეორიის სისტემატური გამოყენება;
- ეკონომიკური ოპერაციების ორმაგი ჩაწერის პრინციპის შემოღება;
- ეას-ის მონაცემების გამოყენება ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისათვის;
- საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მონაწილეობა საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებაში ეროვნული ანგარიშების დარგში;
- მათემატიკური მეთოდებისა და ეგმ-ის გამოყენება.

დღეისათვის ეას ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შეფასების საერთაშორისო სტანდარტია.

ეროვნული ანგარიშების დანერგვის ძირითადი ეტაპები საქართველოში

ეროვნული ანგარიშწარმოების ჩანასახები საქართველოს ეკონომიკაში გვხვდება გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან ეპიზოდური, სხვადასხვა მეთოდიკის გამოყენებით გაანგარიშებული ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლის სახით. იქამდე ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკა საჭიროდ არ თვლიდა ეროვნული შემოსავლის რეგიონული სტრუქტურის დადგენას, რის გამოც უფრო ადრინდელი გაანგარიშებები არ არსებობს.

საქართველოს ეროვნული შემოსავლის პირველი გაანგარიშება 1922-1923 წლებში ჩატარდა ამიერკავკასიის ფედერაციის საგეგმო კომისიის მუშაკის ა.

გონჩაროვის მიერ და მისი შედეგები გამოქვეყნდა ჟურნალ „ამიერკავკასიის ეკონომიკურ მოამბეში".

60-იანი წლების შუა ხანებში, 1922-1923 წლების საქართველოს ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების მეთოდიკასა და სხვა ანალიზურ მასალებზე დაყრდნობით, ვ. მელქაძემ განსაზღვრა 1913 წლის საქართველოს ეროვნული შემოსავალი.

შემდგომი პერიოდის შესახებ საინტერესოა 1929-1932 წლების საქართველოს ეროვნული შემოსავლის დინამიკისა და სტრუქტურის გაანგარიშებათა და შედეგების ანალიზი ა. კაკაბაძის შრომაში „საქართველოს სახალხო შემოსავლის შესწავლისათვის."

მომდევნო ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველოს ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების მცდელობა არ ყოფილა.

ყოფილ საბჭოთა კავშირში გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყო სახალხო მეურნეობის ბალანსის (სმბ) შედგენის სამუშაოები, რომლის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი ეროვნული შემოსავალია. მოკავშირე რესპუბლიკებში ასეთი სამუშაოების დანერგვა მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული. ამის მოტივი კი შემდეგი იყო: სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა ერთიანია და არასწორი და უმართებულოა სმბ-ისა და მისი ძირითადი მაჩვენებლების მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით გაანგარიშება. ასეთი გაანგარიშების შედეგად შესაძლებელია სადავო გახდეს ერთიან სახელმწიფო გეგმაში ტერიტორიების მიხედვით კაპიტალურ დაბანდებათა განაწილების, დამზადების გეგმების, მოხმარების ოდენობისა და სხვა მაჩვენებლების განსაზღვრა.

მხოლოდ 50-იანი წლების შუა ხანებიდან, ისევე როგორც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, საქართველოს საგეგმო და სტატისტიკურ ორგანოებშიც დაიწყო სმბ-ის ელემენტების სისტემატურ გაანგარიშებათა თანდათანობით დანერგვა: 1956 წლიდან ყოველწლიურად მუშავდებოდა რესპუბლიკაში ნარმოებული ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის მოცულობა; 1958 წლიდან — შრომითი რესურსების ბალანსი; 1960 წლიდან — სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდების ბალანსი; 1961 წლიდან — ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის წარმოების, მოხმარებისა და დაგროვების ბალანსი; 1966 წლიდან — ხუთ წელინადში ერთხელ დარგთა გაშლილი, ხოლო 1979 წლიდან-ყოველწლიურად დარგთა შემოკლებული ნომენკლატურით პროდუქციის წარმოებისა და განანილების დარგთაშორისი ბალანსები, აგრეთვე ხუთწლიანი პერიოდულობით — ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის, სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდების განაწილების დარგთაშორისი, პროდუქციის შემოზიდვა-გაზიდვის ბალანსები. 1989 წლიდან დაიწყო ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის გაანგარიშება. 1967, 1972, 1975, 1980 წლების მონაცემებით შეფასდა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი და ეროვნული შემოსავალი საქართველოს შიდარესპუბლიკური რეგიონების ჭრილში და ა.შ.

ყველა ზემოაღნიშნული გაანგარიშებების შედეგები, მათი მთავარი მეთოდოლოგიური ნაკლის – ნარმოების ე.წ. შეზღუდული, ვიწრო კონცეფციის გამოყენების გამო – სრულყოფილი არ იყო. თითოეული მათგანი პრიორიტეტულად მატერიალური წარმოების კუთხით იქნა განსაზღვრული, რის გამოც მათი მეშვეობით სოციალური განვითარების მრავალი ასპექტის, ეკონომიკისა და სამეურნეო მექანიზმის ფუნქციონირების, კაპიტალის წრებრუნვისა და ფინანსური კავშირების ანალიზი მხოლოდ ცალმხრივად იყო შესაძლებელი. ეს საკითხები მრავალნლიანი დისკუსიის საგანი იყო და აღინიშნებოდა, რომ სმბ არ შეესაბამება მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა განსაზღვრის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყოველმხრივი ანალიზის, საერთაშორისო შედარებების უზრუნველყოფის ობიექტური მოთხოვნაა ეას-ის აგების მეთოდოლოგიის შესაბამისი მაკროეკონომიკურ გაანგარიშებათა პრაქტიკაში დანერგვა.

ასეთი სამუშაოს პირველი ეტაპი გახდა 1988 ნლიდან ყოფილ საბჭოთა კავშირსა და მოკავშირე რესპუბლიკებში მშპ-ის მაჩვენებლის დანერგვა სააღრიცხვო-ეკონომიკური და საგეგმო მუშაობის პრაქტიკაში. საქართველოს სტატისტიკის სახელმნიფო დეპარტამენტში (სსსდ) განისაზღვრა მშპ-ის მოცულობა 1987-1991 ნლებისათვის. გაანგარიშებები ჩატარდა საწარმოო მეთოდით გაეროს შესაბამის სტანდარტებთან გადასასვლელი „გასაღების" გამოყენებით.

დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად, კიდევ უფრო აქტუალური გახდა ქვეყნის სააღრიცხვო-ეკონომიკური მუშაობის პრაქტიკაში სმბ-ის ნაცვლად, გაეროს მეთოდოლოგიური სტანდარტების შესაბამის ეროვნულ ანგარიშწარმოებაზე გადასვლა.

ეას-ის დანერგვის სამუშაოების მასშტაბები იმდენად დიდი იყო, რომ ისინი ეტაპობრივად განხორციელდა.

საქართველოში ეას-ის კრებსითი ანგარიშების შედგენის პირველი ექსპერიმენტული სამუშაოები (1990-1992 ნლების მონაცემების მიხედვით) 1992 წლის იანვარში დაიწყო და 1993 წლის ბოლოსათვის დასრულდა.[1]

ქვეყნის მასშტაბით 1990-1999 წლებში ეას-ის დანერგვის სფეროში მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა. კერძოდ, სტატისტიკის დეპარტამენტში ყოველწლიურად მუშავდებოდა ეას-ის შემდეგი ძირითადი ანგარიშები: საქონლისა და მომსახურების გამოშვებისა და გამოყენების, წარმოების, შემოსავლების ფორმირების, მათი პირველადი განაწილებისა და გადანაწილების, შემოსავლების გამოყენების, კაპიტალის. არსებული ანგარიშები შედგენილია ეკონომიკის დარგების მიხედვით, თუმცა 1995 წლამდე მათი შედგენა ხდებოდა აგრეთვე ინსტიტუციური სექტორების მიხედვითაც. აღნიშნული ანგარიშები კონსოლი-

[1] ნ. ასლამაზიშვილი. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა. თბ., 1995; ეროვნულ ანგარიშთა სისტემა: რა? როგორ? რა გზით? თბ., 1997; ნ. სულავა. ეას-ის განვითარება საქართველოში. სამეცნიერო მოხსენებების კრებული. თბ., 2000.

დირდება მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის მასშტაბით და შესაძლებელი ხდება ეას-ის ისეთი ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრა და ურთიერთდაკავშირებული ანალიზი, როგორიცაა: მთლიანი შიდა პროდუქტი, მთლიანი ეროვნული შემოსავალი, საბოლოო მოხმარება, ეროვნული დანაზოგი, მთლიანი დაგროვება, წმინდა დაკრედიტება (წმინდა დავალიანება).

1990-1995 ნლებში წარმოების ანგარიში აგებულია მიმდინარე და წინა ნლის შესადარ ფასებში როგორც სექტორულ, ასევე დარგობრივ ჭრილში. საქართველოში 1997 ნლის 1 მარტამდე მოქმედებდა სახალხო მეურნეობის დარგთა საკავშირო კლასიფიკატორი (ОКОНХ). ხოლო შემდეგ მოქმედებაში შემოვიდა ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორი (NACE). სექტორების მიხედვით ანგარიშთა აგება მოხდა ფრანგული მოდელის გამოყენებით.

ანალიტიკური თვალსაზრისით, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სრულყოფილების ხარისხზე ნათელ წარმოდგენას იძლევა ჯვარედინი კლასიფიკაცია ეკონომიკის დარგებისა და სექტორების მიხედვით. იგი გულისხმობს ეკონომიკის საქმიანობის სახეების მიხედვით წარმოების შედეგების განაწილებას სექტორებზე, ანუ ეკონომიკის ამა თუ იმ დარგის საწარმოთა ჯგუფების განაწილებას სექტორების მიხედვით. მაგალითად, სამშენებლო საქმიანობას შეიძლება ენეოდეს როგორც სამენარმეო სექტორის სანარმო, ისე შინამეურნეობა. საგანმანათლებლო მომსახურების გარკვეული ნაწილი სამთავრობო სექტორზე მოდის, კერძო სასწავლებლები მიეკუთვნება სამეწარმეო სექტორს, ხოლო რეპეტიტორის საქმიანობა შინამეურნეობებში პოვებს ასახვას. ამდენად, ეკონომიკური საქმიანობის არც ერთი სფერო არ რჩება ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ფარგლებს გარეთ.

1990—1995 ნლებში საქონლისა და მომსახურების ანგარიში თითოეული ნლის მიხედვით არის აგებული[1]. ამ ანგარიშში ერთმანეთთან დაკავშირებულია წარმოებისა და დანახარჯების მიხედვით გაანგარიშებული მშპ-ის მაჩვენებლები. ცხადია, მათ შორის არის განსხვავება, რასაც „სტატისტიკური განსხვავება" ენოდება.

აღნიშნულ წლებში გაანგარიშებულია მთლიანი ეროვნული შემოსავალი, ეროვნული განკარგვადი შემოსავალი. აგრეთვე თითოეული წლის მიხედვით გამოთვლილია მთლიანი გამოშვება, შუალედური მოხმარება, დამატებული ღირებულება დარგობრივ ჭრილში, ასევე ძირითადი კაპიტალის მოხმარება, შრომის ანაზღაურება, ამ მაჩვენებლების ხვედრითი წონები გამოშვებასთან განსაზღვრულია დარგობრივ ჭრილში.

1995 წელს მთლიანი გამოშვება და დამატებული ღირებულება გამოთვლილია დარგობრივ ჭრილში საკუთრების ფორმების მიხედვით (სახელმწიფო, კერძო, უცხოური კაპიტალის მონანილეობით).

---

[1] საქართველოს ეროვნული ანგარიშები 1990-1995 წლებში. სტატისტიკური ბიულეტენი. სსსდ, 1996.

ქვეყნის წლიური ეროვნული ანგარიშების შედგენის პრაქტიკის სრულყოფასთან ერთად, დღეისათვის აქტუალურია ეროვნული ანგარიშების, კერძოდ, მთლიანად მშპ-სა და მასში შემავალი ძირითადი კომპონენტების დინამიკის ყოველკვარტალური შეფასება, რაც აუცილებელია ეკონომიკურ კონიუნქტურაში ცვლილებების მოკლევადიან ასპექტში ანალიზისათვის. საწარმოო მეთოდით მშპ-ის ასეთი გაანგარიშებები სტატისტიკის დეპარტამენტში შემოღებულია 1995 წლიდან.

რაც შეეხება შეფასების პრინციპებს, ეას-ში ეკონომიკური ოპერაციების აღრიცხვა ხდება მათი განხორციელების მომენტისათვის არსებულ მიმდინარე საბაზრო ფასებში დარიცხვის მეთოდით. ეკონომიკური ოპერაცია ფიქსირდება იმ მომენტისათვის, როცა ამ ეკონომიკური ოპერაციების მონაწილე სუბიექტთა შორის ორივე მხარის შეთანხმებით წარმოიქმნა აქტივის მინოდებისა და შესაბამისი კომპენსაციის ურთიერთვალდებულებები, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ამ მომენტში ეს ვალდებულებები პრაქტიკულად განხორციელებული. მშპ-ის შეფასება ხდება მომხმარებლის საბაზრო ფასებში; საბოლოო მოხმარება და შუალედური მოხმარება შეფასებულია მყიდველის ფასში. მასში შედის მიმწოდებელი მენარმის საბაზრო ფასზე დამატებული სავაჭრო-სატრანსპორტო დანარიცხები, გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე და არ შედის სუბსიდიები წარმოებასა და იმპორტზე.

გადასახადებისა და სუბსიდიების სხვადასხვა განაკვეთის გავლენის გამო საქმიანობის სახეებში წარმოებისა და შემოსავლების ფორმირების მაჩვენებლების შეფასება ხდება საბაზისო ფასებში. საბაზისო ფასი არის ის რესურსი, რომელსაც მწარმოებელი იღებს საქონლისა და მომსახურების მინოდების საკომპენსაციოდ, ეკონომიკური ოპერაციის მომენტში არსებული მწარმოებლის საბაზრო ფასის, პროდუქციაზე დარიცხული სუბსიდიის ან სხვა კომპენსაციის ჩათვლით, პროდუქციაზე დარიცხული გადასახადების გარეშე.

საქართველოში მშპ-ის მუდმივ ფასებში გადაყვანა წარმოების მიხედვით გაანგარიშებული მაჩვენებლების დახმარებით ხორციელდება.

მშპ-ის მუდმივ ფასებში გადაყვანა 2003 წლამდე ხდებოდა ერთმაგი დეფლაციით, რომელიც გულისხმობს საქმიანობის სახეების მიხედვით მიმდინარე ფასებში გაანგარიშებული მთლიანი დამატებული ღირებულების გადაფასებას საქმიანობის სახის შესაბამისი ფასების ინდექსით ან პროდუქციის მოცულობის ნატურალური მაჩვენებლებით გაანგარიშებული ინდექსების მეშვეობით.

2003 წლიდან მშპ-ის მუდმივ ფასებში გადაყვანა ხორციელდება უფრო სრულყოფილი მეთოდით — ორმაგი დეფლაციით. ეს ხდება ფასების შესაბამისი ინდექსების მეშვეობით, საქმიანობის სახეების მიხედვით მთლიანი გამოშვებისა და შუალედური მოხმარების ცალ-ცალკე დეფლირებით, და შემდეგ მათი სხვაობის გამოთვლით.

მთლიანი გამოშვების შეფასება ხდება საქონლისა და მომსახურების მწარმოებლის საბაზრო ფასებში, ანუ წარმოებული საქონლისა და მომსახურების ფაქტობრივი რეალიზაციის მაჩვენებლით პროდუქციაზე დარიცხული გადასახადების ჩაუთვლელად.

მთლიანი გამოშვების აღრიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდით იმ მომენტისათვის, როცა ეკონომიკური ოპერაციების მონაწილეთა შორის ორივე მხარის შეთანხმებით წარმოიქმნა აქტივის მიწოდებისა და შესაბამისი კომპენსაციის ურთიერთვალდებულებები მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ამ მომენტში ამ ოპერაციით განსაზღვრული ვალდებულებები პრაქტიკულად განხორციელებული. შემოსავლების ფორმირების მაჩვენებლების შეფასება ხდება საბაზისო ფასებში.

ქვეყანაში ეროვნული ანგარიშწარმოების თეორიისა და პრაქტიკის განვითარების ძირითადი მიმართულებაა მაჩვენებლების ანალიზი არა მარტო ეროვნული ეკონომიკის მასშტაბით, არამედ რეგიონულ ჭრილშიც.

1998 წლიდან განისაზღვრება მთლიანი დამატებული ღირებულება რეგიონებში[1] (თბილისსა და მხარეებში) შესაბამის რეგიონში საქმიანობის სახეების მიხედვით დასაქმების შეფასებების პროპორციულად (სამუშაო ძალის გამოკვლევიდან). აღსანიშნავია, რომ რეგიონებში წარმოებული მთლიანი ღირებულების მაჩვენებლები მხოლოდ მიახლოებითია, ამასთან, წარმოების მიხედვით რეგიონებში შექმნილი მთლიანი დამატებითი ღირებულების შეფასებას სტატისტიკის დეპარტამენტი დღეისათვის ვერ ახორციელებს, რაც დაკავშირებულია დიდი მოცულობით დამატებით ფინანსურ ხარჯებსა და სამუშაოებთან.

ეას-ის შესადგენად კვარტალური და წლიური მონაცემები მიღებულია სამენარმეო სტატისტიკის გამოკვლევების, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობისა და სხვა სექტორების შერჩევითი გამოკვლევების, შინამეურნეობების ბიუჯეტების კვლევების, ფინანსთა სამინისტროს, ეროვნული ბანკის, კომერციული ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების ინფორმაციის, დაუკვირვებადი ეკონომიკის სპეციალური გამოკვლევების მეშვეობით. არსებული ინფორმაცია ჯერ სრულად ვერ პასუხობს მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების მოთხოვნებს.

უახლოეს პერსპექტივაში ეას-ის სრული მოცულობით დანერგვის სამუშაოების ძირითადი მიმართულებებია: ფინანსური და აქტივებში სხვა ცვლილებების ანგარიშების, აქტივებისა და პასივების ბალანსის შედგენა, აგრეთვე კაპიტალის ანგარიშის სრულყოფა.

საქართველოში მშპ-ის გაანგარიშება ხდება საწარმოო და გამოყენების მეთოდებით. რაც შეეხება შემოსავლების მეთოდს, მისი საინფორმაციო უზ-

---

[1] საქართველოს ეროვნული ანგარიშები 1996-2004 წლებში. სტატისტიკური კრებული. სტატ. დეპ., თბ., 2005, გვ.111-121.

რუნველყოფის დონე შედარებით დაბალია და გაანგარიშების შედეგები შეფასებების დაბალი საიმედოობით ხასიათდება.

საერთოდ, მსოფლიოს ქვეყნების დიდი უმრავლესობა მშპ-ის გაანგარიშების სამი შესაძლებელი მეთოდიდან სწორედ ორი მათგანის გამოყენებით კმაყოფილდება. კორპორაციების სექტორიდან მიღებული მონაცემების შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის სისრულის კონტროლისათვის ფართოდ გამოიყენება შინამეურნეობების კვლევის, სამუშაო ძალის, დასაქმებისა და სპეციალური სტატისტიკური გამოკვლევების სხვა მასალები.

მშპ-ის გაანგარიშების ზემოთ განხილული მეთოდები არ არის ერთმანეთისაგან იზოლირებული, პირიქით, ისინი ერთმანეთს ავსებენ და აკონტროლებენ. ეროვნული ანგარიშების შეფასებების საიმედოობის ამაღლების მთავარი დებულება სწორედ ამ გაანგარიშებებს შორის მაქსიმალურად დეტალურ დონეზე დაბალანსების მოთხოვნაა. ამ მიზნით ხდება ე. წ. რესურსებისა და მათი გამოყენების ცხრილების დამუშავება.

მშპ-ის დეფლატორების გაანგარიშებისას და პარალელურად მშპ-ის ადეკვატურობის უზრუნველსაყოფად არსებითად უნდა გაფართოვდეს სამეწარმეო ფასებზე დაკვირვების სისტემა.

პროდუქციის მთლიანი გამოშვების, შუალედური მოხმარებისა და მთლიანი შიდა პროდუქტის მიღებული საბოლოო შეფასებების კორექტულობის შემოწმების მიზნით, ბოლო ეტაპზე ხორციელდება რესურსებისა (მინოდების) და საბოლოო გამოყენების (ანუ მოთხოვნის) მონაცემთა შეპირისპირება და დაზუსტება.

საქართველოს სტატისტიკურ პრაქტიკაში მიმდინარეობს აგრეთვე სხვა ანგარიშების შედგენაც, როგორიცაა: პირველადი შემოსავლების განაწილების, შემოსავლების მეორადი განაწილების, განკარგვადი შემოსავლების გამოყენებისა და კაპიტალის ანგარიში.

თითოეული ანგარიშის შედგენა ხდება საქმიანობის სახეების მიხედვით, დარგობრივ ჭრილში. სექტორების მიხედვით ანგარიშთა შედგენა ჯერჯერობით არ წარმოებს, ვინაიდან საინფორმაციო წყაროები მწირია (მაგალითად, გართულებულია ინფორმაციის მიღება შინამეურნეობებიდან).

საქართველოში ეროვნული ანგარიშების სისტემის 1993 წლის ვერსიის დანერგვა, მიუხედავად ბოლო წლებში მიღწეული სერიოზული პროგრესისა, ჯერ მხოლოდ უახლოვდება იმ სტანდარტებს, რასაც უკვე მიაღწიეს განვითარებულმა ქვეყნებმა. ეროვნული სტატისტიკა რეფორმირების მოლოდინშია. იმედია, სტატისტიკისა და, კერძოდ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მნიშვნელობა ჯეროვნად ამაღლდება დამოუკიდებელი სახელმწიფოს განუყოფელი და უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტის რანგში.

1. დაახასიათეთ ეას -ის განვითარების ძირითადი ეტაპები.
2. როგორია ჯ. კეინსის როლი ეას-ის შემუშავებაში?
3. ვინ არის ეროვნული ანგარიშიანობის ტერმინის ავტორი?
4. რომელმა მეცნიერებმა შეიტანეს მნიშვნელოვანი წვლილი ეას-ის განვითარებაში?
5. როგორია ეროვნულ ანგარიშიანობის დარგში საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების ისტორია?
6. ჩამოაყალიბეთ ფაქტორები, რომლებმაც განსაზღვრეს ეას-ის განვითარების ძირითადი მიმართულებები და მისი შინაარსი.
7. როდის და რასთან დაკავშირებით დაიწყო ეას-ის გამოყენება საქართველოში?
8. დაახასიათეთ ეას-ის დანერგვის ძირითადი ეტაპები საქართველოში.

თავი 3

ეროვნული ანგარიშიანობის ძირითადი ცნებები და კატეგორიები

შიდა და ეროვნული ეკონომიკა და მასთან დაკავშირებული კატეგორიები. წარმოების საზღვრები ეას-ში. საბაზრო და არასაბაზრო წარმოება. ეკონომიკური ოპერაციების ცნება და მათი დაჯგუფებები ეას-ში.

ეროვნულ სტატისტიკურ პრაქტიკაში ანგარიშიანობის საერთაშორისო მეთოდოლოგიაზე გადასვლამ განაპირობა ახალი ცნებებისა და კატეგორიების შემოღების, ხოლო ადრე არსებულში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანის აუცილებლობა.

შეიცვალა წარმოდგენები ეკონომიკურ საქმიანობაზე, მის საზღვრებსა და შედეგებზე; ეკონომიკაში გაჩნდა ახალი ცნებები — მთლიანი შიდა პროდუქტი და მთლიანი ეროვნული პროდუქტი; გადაიხედა მომსახურების სფერო და მისი როლი საზოგადოებრივ წარმოებაში; ეკონომიკა დაიყო სექტორებად; დაზუსტდა ეკონომიკური საქმიანობის შედეგების ცნება: გამოშვება, საქონელი და მომსახურება; საჭირო გახდა ტრანსფერების, რეზიდენტის, არარეზიდენტის, ეკონომიკური ტერიტორიისა და სხვა ცნებებისა და კატეგორიების დაკონკრეტება.

შიდა და ეროვნული ეკონომიკა და მასთან დაკავშირებული კატეგორიები

ეას-ში გამოყენებულ ძირითად კატეგორიებს, მის სტრუქტურულ ელემენტებს მიეკუთვნება:

- **ეკონომიკური ფუნქციები** — ძირითადი სამეურნეო პროცესები: ნარმოება, მოხმარება და დაგროვება, შუამავლობა შემოსავლების გადანანილებაში და სხვ.;
- **ეკონომიკური ოპერაციები** — სამეურნეო ერთეულების (ეკონომიკური აგენტების) მიერ ეკონომიკური ფუნქციების შესრულების პროცესში განხორციელებული ელემენტარული ეკონომიკური აქტები;
- **ეკონომიკური აგენტები** — ეკონომიკური ოპერაციების სუბიექტები, რომლებიც იღებენ გარკვეულ გადაწყვეტილებებს;
- **ეკონომიკური ოპერაციების ობიექტები** — საქონელი, ფული, ფინანსური დოკუმენტები;
- **ინსტიტუციური ერთეულები.**

ეას-ის 1993 ნლის ვერსიის მიღებამდე ეკონომიკურ საქმიანობასა და საერთაშორისო პრაქტიკაში გამოიყენებოდა შიდა და ნაციონალური (ეროვნული) ეკონომიკის ცნებები, რამაც განაპირობა ეკონომიკური საქმიანობის შედეგების გაანგარიშება ორი მაჩვენებლით: მთლიანი შიდა პროდუქტი და მთლიანი ეროვნული პროდუქტი. ახალ მეთოდოლოგიაში ეს განსხვავება აღარ გვხვდება. თუმცა ამერიკაში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებში კვლავ ითვლიან ამ მაჩვენებლებს.

შიდა ეკონომიკა მოიცავს ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე როგორც რეზიდენტების, ისე არარეზიდენტების საქმიანობას.

ეროვნული ეკონომიკა მოიცავს მხოლოდ რეზიდენტების საქმიანობას მათი ადგილმდებარეობის მიუხედავად.

შიდა ეკონომიკის საზღვრების გამოჯვნისათვის ეას-ში იყენებენ შემდეგ კატეგორიებს:

- ეკონომიკური ტერიტორია;
- რეზიდენტი;
- ეკონომიკური ინტერესების ცენტრი;
- ინსტიტუციური ერთეული.

ეკონომიკური ტერიტორია არის მოცემული ქვეყნის ხელისუფლების მიერ ადმინისტრაციულად მართვადი ტერიტორია, რომლის საზღვრებში ადამიანები, საქონელი და ფული თავისუფლად გადაადგილდება. ეკონომიკურ ტერიტორიას მიეკუთვნება აგრეთვე:

- საჰაერო სივრცე, მოცემული ქვეყნის ტერიტორიული წყლები და კონტინენტური შელფი[1] საერთაშორისო წყლებში, სადაც მოცემულ ქვეყანას აქვს ნედლეულის, საწვავის მოპოვებაზე და ა.შ. განსაკუთრებული (ექსკლუზიური) უფლება;
- ე. წ. „ტერიტორიული ანკლავები" საზღვარგარეთ, ე.ი. ზონები სხვა ქვეყნებში, რომლებსაც იყენებენ მოცემული ქვეყნის სამთავრობო დაწესებულებები (არენდის ან საკუთრების უფლების საფუძველზე), დიპლომატიური, სამხედრო, სამეცნიერო ან სხვა მიზნებისთვის, მაგალითად, საელჩოები, საკონსულოები, სამხედრო და სამეცნიერო ბაზები;
- ე. წ. „ექსტერიტორიული ანკლავები"[2], ანუ ქვეყნის კუთვნილი ტერიტორიის ნაწილი, რომელიც საერთაშორისო შეთანხმების ან სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად გამოიყენება სხვა ქვეყნების სახელმწიფო დანესებულებების მიერ (ანკლავში შემავალ მიწაზე ან გაყიდვისას მასზე განლაგებულ ნაგებობებზე საკუთრების გადაცემასთან დაკავშირებული ოპერაციების ნაწილში);
- ნავთობის, ბუნებრივი აირისა და ა.შ. მარაგები ქვეყნის კონტინენტური შელფის საზღვრებს გარეთ მდებარე ტერიტორიულ წყლებში, თუ მათი დამუშავება ხდება მოცემული ქვეყნის რეზიდენტების მიერ.

მთლიანი შიდა და მთლიანი ეროვნული პროდუქტის მაჩვენებლების საფუძველზე, ეკონომიკური საქმიანობის შედეგების დახასიათებაში პრინციპული მნიშვნელობა აქვს რეზიდენტებისა და არარეზიდენტების საქმიანობების აღრიცხვაში არსებულ განსხვავებებს.

რეზიდენტი — წარმოადგენს ინსტიტუციურ ერთეულს, რომლის ეკონომიკური ინტერესების ცენტრი მოცემულ ეკონომიკურ ტერიტორიაზეა, ე.ი. რომელიც ახორციელებს ან აპირებს მნიშვნელოვანი მასშტაბის ეკონომიკურ საქმიანობას დროის განუსაზღვრელ ან ხანგრძლივ პერიოდში (1 წელი და მეტი). სხვა სიტყვებით, რეზიდენტი — ეს არის სანარმო, ორგანიზაცია და შინამეურნეობა, რომელიც მონაწილეობს ეკონომიკურ საქმიანობაში ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე დროის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე (წელზე მეტი), აგრეთვე ქვეყნის ტერიტორიაზე წელიწადზე მეტი ხნით მცხოვრები პირი.

---

[1] **შელფი** - ინგ. Shelf -კონტინენტის წყალქვეშა გაგრძელება 200 მ-მდე სიღრმეში. აქ ხშირად მოიპოვება სხვადასხვა სასარგებლო წიაღისეულის (ნავთობის, აირის) საბადოები. სხვანაირად უწოდებენ კონტინენტურ შელფს, კონტინენტურ მეჩეჩს.

[2] **ანკლავი**- ფრანგ. enclave – ერთი სახელმწიფოს ტერიტორია ან ტერიტორიის ნაწილი, რომელიც ყოველი მხრიდან შემოსაზღვრულია -სხვა სახელმწიფოს ტერიტორიებით და არ გააჩნია საზღვაო სანაპირო.

მოცემული ქვეყნის რეზიდენტები შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:

1. ერთნი ეწევიან წარმოებას, ახორციელებენ ფინანსურ, სადაზღვევო და განაწილებით ოპერაციებს, მიწისა და მასზე არსებული ნაგებობების საკუთრების შეცვლასთან დაკავშირებული ოპერაციების გარდა;
2. მეორენი ძირითადად მოიხმარენ და ახორციელებენ მოხმარებასთან დაკავშირებულ ოპერაციებს, მიწისა და მასზე არსებული ნაგებობების საკუთრების შეცვლასთან დაკავშირებული ოპერაციების გარდა;
3. დანარჩენები ფლობენ მიწასა და მასზე არსებულ ნაგებობებს.

პირველი ჯგუფის ერთეულების ნაწილი შეიძლება ახორციელებდეს თავის საქმიანობას მხოლოდ მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე და ამიტომაც ეს ერთეულები იწოდებიან ამ ქვეყნის რეზიდენტებად; ნაწილი ერთეულებისა შეიძლება ერთი წლისა და მეტი ხნის განმავლობაში საქმიანობდეს რამდენიმე სხვა ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე, ამიტომ ისინი არ ითვლებიან მოცემული ქვეყნის რეზიდენტებად.

მეორე ჯგუფის ერთეულებიდან მოცემული ქვეყნის რეზიდენტებს მიეკუთვნებიან ის შინამეურნეობები, რომელთაც ინტერესების ცენტრი გააჩნიათ ამ ქვეყანაში, თუნდაც ეს ერთეულები მიემგზავრებოდნენ საზღვარგარეთ ხანმოკლე (1 წელზე ნაკლები) დროით. მათ მიეკუთვნებიან:

- საზღვრის მუშები, ე.ი. ის მუშები, რომლებიც მუშაობენ მეზობელ ქვეყნებში და ყოველდღე უნევთ საზღვრის გადაკვეთა;
- სეზონური მუშები, რომლებიც სეზონურად სხვა ქვეყანაში მიემგზავრებიან სამუშაოდ;
- ტურისტები, პაციენტები, სტუდენტები, ოფიციალური ვიზიტით ნასული პირები, ბიზნესმენები, მეზღვაურები, მსახიობები, საზღვარგარეთ გასული ეკიპაჟის (საზღვაო, საჰაერო და ა.შ.) წევრები;
- ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები, რომლებიც დაქირავებული არიან შტატგარეშე მუშაკებად საზღვარგარეთის მთავრობების ექსტერიტორიულ ანკლავებში; სამხედრო და საერთაშორისო სამოქალაქო ორგანიზაციების შტატი, რომელთა შტაბბინა მდებარეობს ექსტერიტორიულ ანკლავებში;
- ტერიტორიულ ანკლავებში მყოფი მოცემული ქვეყნის მთავრობების ჩინოვნიკები, სამოქალაქო და სამხედრო წარმომადგენლები (მათი შინამეურნეობების ჩათვლით).

მესამე ჯგუფს მიეკუთვნება ყველა ის ერთეული, რომელიც ფლობს მიწას ან მასზე არსებულ ნაგებობებს, ისინი ითვლებიან იმ ქვეყნის რეზიდენტებად, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს აღნიშნული მიწა და ნაგებობები.

ინსტიტუციური ერთეული – ეს არის სამეურნეო ერთეული, რომელსაც აქვს აქტივების ფლობის, ვალდებულების აღების, სამეურნეო საქმიანობისა და სხვა სამეურნეო ერთეულებთან ოპერაციების განხორციელების უფლება, ანუ თითოეული ინსტიტუციური ერთეული უნდა ანარმოებდეს აქტივე-

ბისა და ვალდებულებების მიხედვით სამეურნეო საქმიანობის აღრიცხვას ან საჭიროების შემთხვევაში უნდა შეეძლოს მისი წარმოება.

განასხვავებენ ინსტიტუციური ერთეულის ორ სახეს:

1. ფიზიკური პირები (ან შინამეურნეობებში დაკავებულ პირთა ჯგუფი);
2. იურიდიული პირები, რომელსაც წარმოადგენენ კორპორაციები, ორგანიზაციები და სახელმწიფო დაწესებულებები.

კორპორაცია წარმოადგენს იურიდიულ პირს, შექმნილს საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის, თავის მფლობელებისათვის მოგების ან სხვა ფინანსური სარგებლის მოტანის მიზნით (კომერციული ორგანიზაციები). ისინი მოქმედებენ მათ მიმართ შეზღუდული პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების მქონე მფლობელებისგან განცალკავებულად. მათ მიეკუთვნებიან სააქციო საზოგადოებები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები და სხვა.

არაკორპორირებული საწარმოები — საწარმოები, რომლებიც არ საქმიანობენ მათი მფლობელი სამეურნეო ერთეულისგან განცალკევებით.

თუ არაკორპორირებული საწარმოები მოქმედებენ როგორც კორპორაციები, ე.ი. აწარმოებენ დამოუკიდებელ აღრიცხვას, ახდენენ ბაზარზე თავიანთი პროდუქციის რეალიზაციას ეკონომიკურად მნიშვნელოვან ფასებში, გააჩნიათ წარმოების პროცესისა და საშუალებების მართვის განსაზღვრული დამოუკიდებლობა, მაშინ მათ უწოდებენ **კვაზიკორპორაციებს** (მაგალითად, სახელმწიფო დაწესებულებები, უცხოური ფირმების ფილიალები).

არაკომერციული ორგანიზაციები — საქონლისა და მომსახურების წარმოების მიზნით შექმნილი საწარმოები, მათ არ მოაქვთ მოგება ან ფინანსური სარგებელი იმ ერთეულებისათვის, რომლებიც აფუძნებენ, აკონტროლებენ ან აფინანსებენ მათ (ფიზიკური პირები, კორპორაციები, სახელმწიფო).

არაკომერციული ორგანიზაციები შეიძლება იყოს როგორც **საბაზრო**, ისე **არასაბაზრო.**

საბაზრო არაკომერციული ორგანიზაციები აწესებენ გაწეული მომსახურებისათვის ისეთ საფასურს, რაც აძლევთ მათ საწარმოო დანახარჯების დაფარვისა და მოგების მიღების საშუალებას. თუმცა მოგების მიღება არც არის მათი ძირითადი მიზანი. მათ შეუძლიათ გაწეული მომსახურების ამონაგებს დაამატონ შემოსავლები საკუთრებიდან და ამით უზრუნველყონ ხარჯების დაფარვა.

ასეთ ორგანიზაციებს მიეკუთვნებიან:

საბაზრო არაკომერციული ორგანიზაციები, შექმნილი კომერციული საწარმოების მიერ მათთვის სხვადასხვა მომსახურების გასაწევად და მათი ინტერესების დასაცავად (მაგალითად, სავაჭრო-სამრეწველო პალატა, ბირჟები, მეწარმეთა ასოციაციები).

არასაბაზრო არაკომერციულ ორგანიზაციებს მიეკუთვნებიან ორგა-

ნიზაციები, რომლებიც სთავაზობენ საქონელსა და მომსახურებას სხვა ინსტიტუციურ ერთეულებს უფასოდ ან ეკონომიკურად უმნიშვნელო ფასებით. მათი ხარჯების დაფინანსების ძირითადი წყაროა არა გაყიდვიდან მიღებული ამონაგები, არამედ მათი წევრების შემონატანები, შემოწირულობანი და სხვა ტრანსფერები.

წარმოების საზღვრები ეას-ში

ეკონომიკური წარმოება — ინსტიტუციური ერთეულის ზედამხედველობით განხორციელებული ფიზიკური პროცესი, საქმიანობა, რომლის დროსაც ხდება შრომის და კაპიტალის ხარჯვა სხვა პროდუქტის ან მომსახურების ნარმოებისათვის, ე.ი. როდესაც შრომა და აქტივები გამოიყენება დანახარჯების ტრანსფორმაციისათვის ახალ პროდუქტად და მომსახურებად.

საწარმოო საქმიანობა ეას-ის პრინციპების შესაბამისად მოიცავს პროდუქტებისა და მომსახურების საბაზრო და არასაბაზრო (მიწოდება უფასოდ ან მოთხოვნაზე გავლენის არმქონე, უმნიშვნელო ეკონომიკური ფასებით) წარმოებას. ის მოიცავს:

- საქონლისა და მომსახურების მწარმოებელი საწარმოების სანარმოო საქმიანობას;
- სახელმწიფო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობას;
- არაკომერციული ორგანიზაციების საქმიანობას;
- შინამეურნეობების საწარმოო საქმიანობას, რომლის შედეგია მოსახლეობის დამხმარე მეურნეობის პროდუქცია;
- ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას;
- საკუთარი ძალებით განხორციელებულ მშენებლობასა და სხვადასხვა მომსახურებას — სავაჭრო, საშუამავლო და ა.შ., საკუთარ საცხოვრებელში ცხოვრებას და სხვ.

შინამეურნეობის საწარმოო საქმიანობა მოიცავს ყველა პროდუქტის ნარმოებას როგორც პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის, ასევე გასაყიდად. სანარმოო საქმიანობაში არ შედის შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოთხოვნილებებისათვის წარმოებული ზოგიერთი მომსახურება (საკვების მომზადება, სახლის დალაგება და ა.შ.), გარდა საკუთარ საცხოვრებელში ცხოვრების მომსახურებისა.

სანარმოო საქმიანობა მოიცავს როგორც ლეგალურ, ასევე არალეგალურ საქმიანობებს საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის.

მთლიანი შიდა პროდუქტის ნარმოების საზღვრებს განსაზღვრავს საქონლისა და მომსახურების მწარმოებლებისა და საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია.

წარმოების საზღვრები ეას-ში განისაზღვრება, როგორც საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან დაკავშირებული შიდა ეკონომიკის რეზიდენტი ერთეულების (მოცემულ ქვეყანაში ეკონომიკური ინტერესების ცენტრის მქონე უცხოური და შერეული სანარმოების ჩათვლით) საქმიანობა.

ეას-ში **წარმოების საზღვრებში** ჩართული საქმიანობა შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- პროდუქტებისა და მომსახურების ინდივიდუალური და კოლექტიური წარმოება, რომელიც განკუთვნილია საბოლოო მოხმარებისათვის ან სხვა პროდუქტებისა და მომსახურების წარმოებისათვის (შუალედური მოხმარება) და აგრეთვე ექსპორტისა და დაგროვებისათვის;
- ყველა საქონლის წარმოება, რომელსაც მწარმოებლები იტოვებენ საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის ან მთლიანი დაგროვებისათვის, მწარმოებელთან მარაგებში გადასული მატერიალური საბრუნავი საშუალებების ჩათვლით;
- საკუთარი მოხმარებისთვის განკუთვნილი მომსახურების გაწევა: შინამეურნეობებში, საკუთარი მოხმარებისათვის წარმოებული პირადი და შინამომსახურება, აგრეთვე მოახლის მიერ გაწეული მომსახურება და მომსახურება საკუთარ საცხოვრებელში ცხოვრებასთან დაკავშირებით;
- ლეგალური საქმიანობის შედეგები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო არ აღირიცხება ოფიციალურ სტატისტიკაში; კერძოდ, სახლებისა და ბინების რემონტი საკუთარი ძალებით, უფასო შინამომსახურება; პირად-დამხმარე მეურნეობის, გლეხური მეურნეობისა და სხვა მცირე მენარმეთა საქმიანობა. აღნიშნული ლეგალური საქმიანობა **არაოფიციალურ ეკონომიკას** წარმოადგენს.

საქონლისა და მომსახურების ოფიციალური წარმოების გარდა, წარმოებამ უნდა მოიცვას **ჩრდილოვანი ეკონომიკისა და აკრძალული საქმიანობის სახეების შედეგები**, რაც მოითხოვს მათ შორის მკვეთრი საზღვრების გავლებას.

ეას-93-ის მეთოდოლოგიით, **წარმოების საზღვრებში** ასევე უნდა იყოს ჩართული შემდეგი საქმიანობის სახეები:

- არაკანონიერი წარმოება;
- ფარული წარმოება და იატაკქვეშა ეკონომიკა;
- ერთი და იმავე საწარმოების კუთვნილ დანესებულებებს შორის საქონლისა და მომსახურების ნებისმიერი მიწოდება;
- დაუმთავრებელი წარმოება;
- შინამეუნეობების მიერ საქონლისა და მომსახურების წარმოება, მათ შორის დაქირავებული მოსამსახურის მიერ და სხვა მომსახურება;
- ინდივიდუალური საცხოვრებლების მშენებლობა და კაპიტალური რემონტი, საკუთარი ძალებით გაწეული საბაზრო მომსახურებანი;

- შინამეურნეობების, სახელმწიფო დაწესებულებებისა და არაკომერციული ორგანიზაციების მიერ საკუთარი შენობებით სარგებლობის მომსახურება.

სანარმოო საქმიანობა, რომელიც ეას-ის მიხედვით ჩართულია წარმოების საზღვრებში და საქმიანობა, რომელიც ჩართული არ არის მასში, წარმოდგენილია სქემა 3.1-ში.

დღეისათვის არ არსებობს ფარული ეკონომიკური ოპერაციების, მათ შორის არაკანონიერი ოპერაციების შეფასების ერთიანი მეთოდოლოგია, მიმდინარეობს მათი ექსპერიმენტული გაანგარიშებები, ზუსტდება ცალკეული ცნებები.

არაკანონიერი წარმოება — კანონით აკრძალული საქონლისა და მომსახურების ნარმოება, გაყიდვა და გავრცელება ან ფლობა; აგრეთვე სანარმოო საქმიანობა, რომელიც ჩვეულებრივ ლეგალურია, მაგრამ კანონსაწინააღმდეგო ხდება, თუ ამ საქმიანობით დაკავებულ პირებს არ გააჩნიათ მასზე ნებართვა, მაგალითად, არალიცენზირებული კერძო საექიმო პრაქტიკა.


ფარული წარმოება და იატაკქვეშა ეკონომიკა — საქმიანობის ზოგიერთი, სავსებით კანონიერი სახე (განსაზღვრული წესებისა და სტანდარტების დაცვის პირობებში), რომელიც ხორციელდება სახელმწიფო ორგანოებისათვის გადასახადების დაფარვითა (საშემოსავლო, სოციალური დაზღვევის და სხვა გადასახადები) და კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებაზე (მინიმალური ხელფასი, მაქსიმალური სამუშაო დღე და სხვა) თავის არიდებით.

ეას-ის ახალი მეთოდოლოგიით, ეკონომიკური საქმიანობისა და მისი შედეგების შემადგენლობაში პრაქტიკულად არსებული და ფუნქციონირებადი ჩრდილოვანი ეკონომიკისა და აკრძალული საქმიანობის ჩართვისას განსაკუთრებულ პრობლემას მათ შორის განსხვავება წარმოადგენს:

- **ჩრდილოვანი ეკონომიკა** — ტრადიციული საქონლისა და მომსახურების იატაკქვეშა წარმოება შემოსავლების დაბეგვრისაგან დაფარვის მიზნით;
- **არაკანონიერი (იურიდიულად აკრძალული საქმიანობის სახეები)** — ნარკოტიკების დაკავშირებულს საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან და ჩრდილოვან საქმიანობას, დაკავშირებულს შემოსავლებისა და აქტივების არაკანონიერ განანილებასა და გადანანილებასთან. ეკონომიკური საქმიანობა (ზოგჯერ მას იატაკქვეშა ეკონომიკას უწოდებენ), მოიცავს ასევე შემოსავლებისა და აქტივების არაკანონიერ განაწილებასა და გადანანილებას.

ჩრდილოვანი ეკონომიკა ფართო გაგებით — მოიცავს ჩრდილოვან ეკონომიკურ საქმიანობას, დაკავშირებულს შემოსავლებისა და აქტივების არაკანონიერ განანილებასა და გადანაწილებასთან.

ეას-ის სისტემაში წარმოებისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის საზღვრები ცხრილი 3.1



რეკომენდებულია ჩრდილოვანი ეკონომიკის გამოყოფა კრიმინალური საქმიანობისაგან, რომელიც არ არის დაკავშირებული პროდუქტების, შემოსავლებისა და აქტივების მოძრაობასთან და არ არის ეას-ის კვლევის საგანი, ის განიხილება მორალურ სტატისტიკაში.

ვიწრო გაგებით ჩრდილოვანი ეკონომიკა მოიცავს:

1. კანონმდებლობით აკრძალულ საქმიანობებს საქონლისა და მომსახურების წარმოების, რეალიზაციისა და გამოყენების მიზნით;
2. საქმიანობებს საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და გაცვლის სფეროში, პრინციპში, კანონმდებლობით ნებადართულს, მაგრამ შეგნებულად დაფარულს (თუნდაც ნაწილობრივ), შემოსავლებზე გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახადების, ან არგადახდის ან შემცირებულად გადახდის მიზნით.

ჩრდილოვანი ეკონომიკა გულისხმობს პირად ურთიერთობებსა და უშუალო კონტაქტებს ეკონომიკურ სუბიექტებს შორის და არაფორმალური კავშირების შექმნას. რეგისტრირებისგან დაფარულ ეკონომიკას შეუძლია მიიღოს ნებისმიერი ფორმა. მისი ფუნქციონირების შედეგების აღრიცხვა ყოველთვის შეადგენდა სტატისტიკის განსაკუთრებულ პრობლემას.

„წარმოების" ცნებაში არ ჩაირთვება:

1. საშინაო მომსახურებანი — საცხოვრისის დალაგება და ტექნიკური მომსახურება, მცირე რემონტის ჩათვლით; ხანგრძლივი მოხმარების საგნების მომსახურება; საკვების მომზადება და მიწოდება; ავადმყოფებისა და ბავშვების მოვლა და სხვ.;
2. საქმიანობა, რომლის შედეგი არ წარმოადგენს წარმოების მიზანს, ე.ი. ნარმოების პროცესის თანამდევი პროდუქტები, რომლებიც თავისთავად სავსებით ლეგალურია, მაგრამ შეუძლიათ პროდუქტის მომხმარებლის გარდა, ზემოქმედება მოახდინონ სხვა ინსტიტუციურ ერთეულებზეც (დაბინძურება, გამონაბოლქვი და ა.შ.). ამავე კატეგორიას მიეკუთვნება აგრეთვე საქონლისა და მომსახურების მინოდებასთან დაკავშირებით ქრთამის აღება, გამოძალვა და პროდუქტის მოპარვა.

ამგვარად, ახალ ეას-ში ეკონომიკური წარმოება მოიცავს საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან დაკავშირებული საქმიანობის პრაქტიკულად ყველა სახეს, გარდა შინამეურნეობების იმ საქმიანობისა, რომლებიც დაკავშირებულია პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან (საკვების მომზადება, შენობის დალაგება, ბავშვების აღზრდა და ა.შ). საქმიანობის ამ სახეების, მათი მოცულობის განსაზღვრისა და შეფასების სირთულის გამო, გაანგარიშება ხორციელდება ცალკე ცხრილებში.

რაც შეეხება შინამეურნეობების საკუთარი მოხმარებისათვის საბინაო მომსახურებასთან დაკავშირებულ საქმიანობებს, ისინი ეას-ის როგორც 1968 წლის, ასევე ბოლო ვერსიის მიხედვით, ეკონომიკური წარმოების სფეროში ერთიანდებიან.

საბაზრო წარმოებაში შედის:

- საქონელი და მომსახურება, რომლის წარმოება და გაყიდვა ხორციელდება ერთსა და იმავე პერიოდში, ამ პროდუქტების მოთხოვნაზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე ფასებით;
- საქონელი და მომსახურება, რომლის წარმოება და ბარტერით გაცვლა სხვა საქონელზე, მომსახურებასა და აქტივებზე ხორციელდება ერთსა და იმავე პერიოდში;
- საქონელი და მომსახურება, რომელიც ერთსა და იმავე პერიოდშია წარმოებული და გადაცემული დამქირავებლის მიერ თავისი მომუშავეებისათვის შრომის ასანაზღაურებლად, ნატურალური ფორმით;
- საქონელი და მომსახურება, რომელიც წარმოებულია საწარმოს ერთი დანესებულების მიერ და მიწოდებულია ამავე საწარმოს მეორე დანესებულებისთვის, ამ უკანასკნელის მიერ წარმოებაში გამოსაყენებლად იმავე ან მომდევნო პერიოდში;
- მოცემულ პერიოდში წარმოებული მზა პროდუქცია და მოცემული პერიოდის დაუმთავრებელი მშენებლობა, რომლებიც მოსალოდნელი გაყიდვის, ბარტერით გაცვლის, მუშაკების შრომის ასანაზღაურებლად გამოყენების ან დანესებულებებს შორის მომდევნო პერიოდში მიწოდებების წინ გადადის მწარმოებლის მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგში.

არასაბაზრო წარმოებაში შედის:


- საქონელი და მომსახურება, რომელიც წარმოებულია მოცემულ პერიოდში და რომელსაც იტოვებენ დანესებულებების ან საწარმოს მფლობელები საკუთარი საბოლოო მოხმარებისათვის ან ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვებისათვის;
- მომსახურებანი, რომლებსაც ოჯახის წევრები უწევენ შინამეურნეობებს;
- მომსახურებანი, რომლებიც გაიწევა შინამეურნეობებისა და არასაბაზრო მწარმოებლების მიერ საკუთარი შენობების გამოყენებისას;
- საქონელი და მომსახურება, წარმოებული მოცემულ პერიოდში და განკუთვნილი სხვა ინსტიტუციურ ერთეულებზე გადასაცემად, კოლექტიური მომსახურების ჩათვლით (მთლიანად საზოგადოებას გაეწევა უფასოდ, ან მოთხოვნაზე უმნიშვნელო გავლენის მქონე ფასებით);
- მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოება, რომელიც წარმოებულია მოცემულ პერიოდში, განკუთვნილია არასაბაზრო გამოყენებისათვის და მწარმოებლის მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგში გადადის.

ეკონომიკური ოპერაციების ცნება და მათი დაჯგუფებები ეას-ში

ოპერაცია არის ეკონომიკური საქმიანობისა და ეროვნული ანგარიშების სააღრიცხვო ერთეული. ოპერაცია, როგორც წესი, რეგისტრირდება საკუთრების უფლების გადაცემის მომენტში, ამიტომ მათი უმეტესობა აღირიცხება არა ფაქტობრივად გადახდილი, არამედ დარიცხული თანხის მიხედვით. ოპერაცია შეიძლება განხორციელდეს ფულადი და ნატურალური ფორმით.

ეკონომიკური ოპერაციების სახეები და მათი დაჯგუფებები ასახულია სქემა 3.2-ში.

ეკონომიკური ოპერაციების სახეები და მათი დაჯგუფებები (სქემა 3. 2)



განხორციელების ხერხის მიხედვით ეკონომიკური ოპერაცია შეიძლება იყოს **ორმხრივი** (მონაწილეობს ორი აგენტი) და **ცალმხრივი** (ხორციელდება ერთი ეკონომიკური აგენტის ფარგლებში). ცალმხრივი ოპერაციების მაგალითი შეიძლება იყოს მწარმოებლების მიერ საკუთარი პროდუქციის მოხმარება ან საცხოვრებლის მომსახურება, რომლებიც გამოიყენება თვით მფლობელების მიერ.

განხორციელების ხასიათის მიხედვით ეკონომიკური ოპერაციები იყოფა ორ ჯგუფად:

- **საკომპენსაციო საფუძველზე** განხორციელებული ოპერაციები, როდესაც დოვლათის, მომსახურებისა და ფულის ნაკადები იწვევს დოვლათის, მომსახურებისა და ფულის საპასუხო ნაკადებს, რასაც **ტრანსაქცია** ენოდება. მათ მიეკუთვნება ეკონომიკური ოპერაციების უმეტესი ნაწილი;

- **ტრანსფერები** — ოპერაციები, როდესაც დოვლათის, მომსახურებისა და ფულის ნაკადებს არ უპირისპირდება დოვლათის, მომსახურებისა და ფულის შემხვედრი ნაკადები.

ტრანსფერები იყოფა **მიმდინარე** (მიმდინარე ხარჯების დაფინანსებისათვის) და კაპიტალურ ტრანსფერებად (ძირითადი კაპიტალის დაგროვებისათვის). **მიმდინარე ტრანსფერების** მაგალითია პირდაპირი გადასახადები ქონებასა და შემოსავლებზე და ა.შ., ჯარიმები, სხვადასხვა მოსაკრებელი და ნებაყოფილობითი შენატანი, საჩუქრები, სოციალური დაზღვევის შენატანები და სხვ. **კაპიტალურ ტრანსფერებს** მიეკუთვნება სახელმწიფოს მიერ სტიქიური უბედურების ან საომარი მოქმედებების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურება, სხვა ქვეყნებში კაპიტალურ მშენებლობაზე გაღებული უსასყიდლო ასიგნებები ეკონომიკური დახმარების სახით, საკუთრების უფლების უსასყიდლო გადაცემა აქტივებზე (ფულისა და მატერიალური საბრუნავი საშუალებების ან მათი შესაძენი სახსრების გარდა).

ტრანსფერები იყოფა აგრეთვე **სახელშეკრულებო** და **არასახელშეკრულებო ტრანსფერებად.** სახელშეკრულებო ტრანსფერების მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ საკუთრებიდან მიღებული ზოგიერთი შემოსავალი (პროცენტები, დივიდენდები და ა.შ.).

ობიექტის ხასიათის მიხედვით ეკონომიკური ოპერაციები იყოფა **მიმდინარე** და **კაპიტალურ ტრანსფერებად**. ოპერაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ ეროვნული სიმდიდრის მატებას — კაპიტალურია. ოპერაციებს, რომლებიც დაკავშირებულია მიმდინარე მოხმარებასთან, მიმდინარე ოპერაციები ეწოდება.

ეას-ში ოპერაციების კლასიფიკაცია ხორციელდება ერთდროულად სექტორებისა და დარგების მიხედვით. ეკონომიკური ოპერაციები ეას-ში იყოფა სამ ძირითად ჯგუფად:

- პროდუქტებისა და მომსახურების ოპერაციები;
- განკარგვითი ოპერაციები;
- ფინანსური ოპერაციები.

პროდუქტებისა და მომსახურების ოპერაციებს მიეკუთვნება: ეკონომიკის სექტორებსა და დარგებში პროდუქტებისა და მომსახურების წარმოება, გაცვლა და გამოყენება. ისინი მოიცავენ არა მხოლოდ მოცემულ პერიოდში წარმოებული პროდუქტებისა და მომსახურების ოპერაციებს, არამედ ოპერაციებს უკვე არსებული პროდუქტებით, ე.ი. წინა პერიოდებში წარმოებული და იმპორტირებული პროდუქტებით.

განკარგვითი ოპერაციები – ოპერაციები, რომელთა მიზანია შემოსავლების, აქტივების განაწილება, გადანაწილება და აგრეთვე დანაზოგების გადანაწილება.

ფინანსური ოპერაციები დაკავშირებულია ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში ფინანსური აქტივებისა და პასივების ცვლილებებთან.

ოპერაციები აგრეთვე შეიძლება იყოს ფაქტობრივი (საბაზრო ღირებ-

ულების მქონე) და გაანგარიშებითი (შეფასებების, პირობითი გაანგარიშებების საფუძველზე). **ფაქტობრივ ოპერაციებს** მიეკუთვნება საქონლისა და მომსახურების რეალიზაციასთან დაკავშირებული ოპერაციები, ფინანსური ოპერაციები და განკარგვითი ოპერაციები. **გაანგარიშებით ოპერაციებს** მიეკუთვნება ნატურალური გადახდები მომუშავეებისათვის, საკუთარი წარმოების პროდუქციის მოხმარება, წამგებიანი ფინანსური ორგანოების მომსახურება, პირობითი საცხოვრებელი რენტა.

კითხვები და სავარჯიშოები

1. რა არის ეკონომიკური ფუნქცია?
2. რა არის ეკონომიკური ოპერაციები?
3. განმარტეთ ეკონომიკური აგენტები.
4. განმარტეთ ინსტიტუციური ერთეულის ცნება და მისი სახეები.
5. ჩამოთვალეთ ეკონომიკური ოპერაციების სახეები.
6. როგორ ჯგუფდება ეკონომიკური ოპერაციები?
7. რა არის შიდა ეკონომიკა?
8. როგორ განისაზღვრება შიდა ეკონომიკის საზღვრები?
9. საქმიანობის რომელი სახეები ჩაირთვება წარმოების საზღვრებში ეას-93-ის მეთოდოლოგიით?
10. რას მოიცავს სანარმოო საქმიანობა ეას-ის პრინციპების შესაბამისად?
11. რომელი საქმიანობები გამოირიცხება "წარმოების" ცნებიდან?
12. დაახასიათეთ საბაზრო წარმოება.
13. დაახასიათეთ არასაბაზრო ნარმოება.

1. აღნიშნეთ ეას-93-ის კონცეფციის თანახმად შიდა ეკონომიკის ცნების განმსაზღვრელი კრიტერიუმები:

ა) ეკონომიკა ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლებში;
ბ) ეკონომიკა, რომელიც მოიცავს რეზიდენტების საქმიანობას ქვეყნის ოფიციალურად აღიარებულ ფარგლებში;
გ) ეკონომიკა, რომელიც მოიცავს არარეზიდენტების საქმიანობას ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე;
დ) რეზიდენტებისა და არარეზიდენტების ეკონომიკური საქმიანობა ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე;
ე) რეზიდენტების მიერ ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე წარმოებული საქონელი და მომსახურება.

2. აღნიშნეთ ქვეყნის „რეზიდენტის" ცნებისათვის დამახასიათებელი კატეგორიები:

ა) საქართველოს მოქალაქე;
ბ) ქართველი;
გ) ქვეყნის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები პირები;
დ) ქვეყნის საზღვრებს გარეთ მომუშავე ხომალდების, თვითმფრინავების ეკიპაჟები, რომლებიც რეზიდენტი-შინამეურნეობის წევრები არიან;
ე) საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლები, როლებიც მუშაობენ ქვეყანაში ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში;
ვ) მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე საწარმოო საქმიანობით დაკავებული ინსტიტუციური ერთეულები.

3. აღნიშნეთ ქვეყნის „არარეზიდენტის" ცნების დამახასიათებელი კატეგორიები:

ა) უცხოელები;
ბ) საზღვარგარეთ მუდმივი საცხოვრებლის მქონე საქართველოსა და სხვა ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც არ არიან საქართველოს მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლები;
გ) საქართველოში მყოფი სხვა ქვეყნის დიპლომატიური და სავაჭრო წარმომადგენლობა;
დ) უცხოელი სტუდენტები.

4. აღნიშნეთ ეას-ში წარმოების საზღვრებში ჩართული საქმიანობის სახეები:

ა) საქონლის წარმოება, რომელსაც მწარმოებლები იტოვებენ საკუთარი საბოლოო მოხმარების ან დაგროვებისათვის;
ბ) პროდუქტებისა და მომსახურების წარმოება საბოლოო ან შუალედური მოხმარებისათვის;
გ) საქონლის და მომსახურების წარმოება ექსპორტისათვის;
დ) შინამომსახურება საკუთარი საცხოვრებლის დალაგებითა და ტექნიკური მომსახურებით;
ე) სანარმოო საქმიანობის თანამდევი (მომყოლი) პროდუქტები (გამონაბოლქვი, დაბინძურება).

5. აღნიშნეთ ეროვნული ეკონომიკის სუბიექტები (ეას-ის 1968 წლის კონცეფციის მიხედვით):

ა) ინსტიტუციური ერთეულები, რომელთა ეკონომიკური ინტერესის ცენტრი მდებარეობს ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე ერთი და მეტი წლის განმავლობაში;
ბ) ორგანიზაციები, სანარმოები, შინამეურნეობები და ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილე პირები ან მოცემულ ქვეყანაში ერთი წლის მანძილზე და უფრო ხანგრძლივად მცხოვრებნი;
გ) მოცემული ქვეყნის მოქალაქეები;
დ) ქვეყნის ძირითადი ეროვნებები და ეთნიკური ჯგუფები;
ე) უცხოელი სტუდენტები;
ვ) საზღვარგარეთ მომუშავე თვითმფრინავებისა და საზღვაო ხომალდების ეკიპაჟები;
ზ) მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე მომუშავე რეზიდენტები.

6. ჩამოთვლილი ეკონომიკური საქმიანობის შედეგებიდან გამოყავით საბაზრო წარმოების კომპონენტები:

ა) პროდუქტები და მომსახურება, ნარმოებული მოცემულ პერიოდში და გადაცემული უფასოდ, ან მოთხოვნაზე მნიშვნელოვანი გავლენის არმქონე ფასებით ინსტიტუციური ერთეულებისთვის, მთლიანად საზოგადოებისთვის გაწეული კოლექტიური მომსახურების ჩათვლით;
ბ) საქონელი და მომსახურება, რომელიც ერთსა და იმავე პერიოდშია წარმოებული და გადაცემული დამქირავებლის მიერ თავის მუშაკებისთვის შრომის ასანაზღაურებლად, ნატურალური ფორმით;
გ) მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოება, რომელიც წარმოებულია მოცემულ პერიოდში, განკუთვნილია არასაბაზრო გამოყენებისათვის და მწარმოებელთან რჩება მატერიალური საბრუნავი

საშუალებების მარაგში;

დ) საქონელი და მომსახურება, რომლის წარმოება და გაყიდვა ხორციელდება ერთსა და იმავე პერიოდში, ამ პროდუქტების მოთხოვნაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე ფასებით.

7. ჩამოთვლილი საქმიანობის შედეგებიდან მონიშნეთ არასაბაზრო წარმოება:

ა) მოცემული პერიოდის მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი მშენებლობა, რომელიც განკუთვნილია მწარმოებლის საკუთარი საბრუნავი საშუალებების მარაგების შესავსებად;

ბ) საქონელი და მომსახურება, რომელსაც საწარმოები გადასცემენ თავიანთ მუშაკებს შრომის ანაზღაურების ფორმით;

გ) საქონელი და მომსახურება, რომელიც იმავე პერიოდში გაიცვლება ბარტერის სახით;

დ) საწარმოო საქმიანობის თანამდევი პროდუქტები (გამონაბოლქვი, დაბინძურება);

ე) საქონლის მიწოდებისათვის აღებული ქრთამი;

ვ) მომსახურება, რომელსაც ოჯახის ნევრები უწევენ შინამეურნეობებს.

8. მონიშნეთ ეას-ში „წარმოების" ცნების განმსაზღვრელი საქმიანობის სახეები:

ა) კანონით ნებადართული და სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების მიერ აღრიცხული ოფიციალური საქმიანობა;

ბ) პროდუქტებისა და მომსახურების არაკანონიერი (იურიდიულად აკრძალული) წარმოება;

გ) აღურიცხავი და საგადასახადო სამსახურებისთვის დაფარული პროდუქტებისა და მომსახურების წარმოება;

დ) საქონლისა და მომსახურების იატაკქვეშა წარმოება.

9. ჩამოთვლილი ტრანსფერებიდან გამოყავით მიმდინარე:

ა) სახელმწიფოს მიერ სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურება;

ბ) სახელმწიფოს მიერ საომარი მოქმედებების შედეგად მიყენებული ზარალის კომპენსაცია;

გ) ჰუმანიტარული დახმარება პროდუქტებით;

დ) გადახდილი ჯარიმები;

ე) სოციალური დაზღვევის შენატანები.

10. ჩამოთვლილი ტრანსფერებიდან გამოყავით კაპიტალური:


ა) ომისაგან დაზარალებულ რეგიონებში საცხოვრებლების

მშენებლობაზე განეული უსასყიდლო ასიგნებები;

ბ) საკუთრების უფლების უსასყიდლო გადაცემა მატერიალურ აქტივებზე;

გ) სახელმწიფოს მიერ სხვა ქვეყნებში წყალდიდობისა და სხვა სტიქიური უბედურებებისაგან მიყენებული ზარალის ანაზღაურება;

დ) პირდაპირი გადასახადები ქონებასა და შემოსავლებზე.



მაგალითი 3.1

შეარჩიეთ საქმიანობის სახე, რომელიც ეას-ის კონცეფციით მიეკუთვნება წარმოებას:

1. დედა ბავშვს ასწავლის უცხო ენას;
2. აგარაკის მფლობელი, რომელიც ზაფხულში აქირავებს აგარაკს, აკეთებს რემონტს;
3. მოსწავლეს მუსიკაში ამეცადინებს ნათესავი სტუდენტი გოგონა, რომელიც რეგიონიდან ჩამოვიდა და დროებით ცხოვრობს მოცემულ ოჯახში;
4. ბაბუა არემონტებს ანტიკვარულ ავეჯს;
5. დიასახლისი აკონსერვებს საკუთარ ბოსტანში მოყვანილ პროდუქტებს;
6. შპს არაკანონიერად ანარმოებს ალკოჰოლურ სასმელებს;
7. სატვირთო ავტომობილის მფლობელი ლიცენზიის გარეშე ახორციელებს ტვირთების გადატანას;
8. სტომატოლოგი ახორციელებს პრაქტიკას საკუთარ სახლში;
9. არაპროფესიონალი ფოტოგრაფის მიერ ფოტოატელიეს მოწყობა საკუთარ სახლში;
10. სავაჭრო ფირმის მიერ მის საკუთრებაში არსებული სათბურის პროდუქციის მინოდება საბავშვო ბაღისათვის;
11. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ფირმა ბაზარზე ახორციელებს საკუთარი პროდუქციის რეალიზაციას;
12. ავტომოყვარული თავისი მანქანით მიდის სამსახურში;
13. წყალდიდობის შედეგად განადგურდა ნათესები;
14. მეცხოველეობის ფერმის მუშაკების გამოკვებისათვის ფერმა

სასადილოს აწვდის რძეს;

15. სავაჭრო ორგანიზაციას აკონტროლებენ კრიმინალები;
16. ავტომოყვარულმა მიმართა ავტოგასამართ სადგურს ზეთის შეცვლის მიზნით;
17. კოსმეტიკური რემონტის ჩატარება დამქირავებლის მიერ სამზარეულოში.

ამოხსნა:

ამ შემთხვევაში მივმართოთ 3.1 ცხრილს, სადაც ერთმანეთისაგან გამიჯნულია საქმიანობები, რომლებიც შედის ან არ შედის წარმოების საზღვრებში ეას-ის კონცეფციის მიხედვით:

ცხრილი 3.1

საქმიანობა, რომელიც არ ჩაირთვება წარმოების საზღვრებში	**საქმიანობა, რომელიც ჩაირთვება წარმოების საზღვრებში**
შინამეურნეობის წევრთა მიერ განეული შინამომსახურება	დაქირავებული პირის მიერ განეული მომსახურება, რომლის ანაზღაურება ხდება ფულადი ფორმით ან ნატურით
გრძელვადიანი სამომხმარებლო საქონლის რემონტი მფლობელის მიერ	გრძელვადიანი სამომხმარებლო საქონლის რემონტი სახელოსნოებში
მობინადრეთა მიერ ჩატარებული საცხოვრებლის რემონტი (მიმდინარე რემონტი)	ბინათმფლობელის მიერ ჩატარებული რემონტი (კაპიტალური რემონტი)
სამომხმარებლო საქონლის გამოყენება	შინამეურნეობების მიერ საქონლის ნარმოება
შიდასაწარმოო მიწოდება	მიწოდებები საწარმოებს შორის
გარე ფაქტორების ზემოქმედება (გარემოს დაბინძურება)	
ქრთამი და გამოძალვა	არაკანონიერი წარმოება
პროდუქციის მოპარვა	ფარული წარმოება
საბაზრო მწარმოებლების მიერ კუთვნილი შენობებით სარგებლობის საიჯარო მომსახურება	არასაბაზრო მწარმოებლების მიერ კუთვნილი შენობებით სარგებლობის საიჯარო მომსახურება

პასუხი: საქმიანობის სახეები, რომლებიც ეას-ის კონცეფციით მიეკუთვნება წარმოებას, მოცემულია შემდეგ პუნქტებში: 2, 3, 5, 6, 7, 9, 10, 16.

ამოცანა 3.2

ამოარჩიეთ საქმიანობის სახეები, რომლებიც მიეკუთვნება წარმოებას:

1. მეორე სართულის დაშენება სახლის მფლობელის მიერ;
2. ლატარიის ბილეთების რეალიზაცია;
3. სასამართლო გადაწყვეტილებების მიღება მოსახლეობის საჩივრებზე;
4. რესტორნის მიერ მისი კუთვნილი ნახევარფაბრიკატების მაღაზიისათვის პროდუქტების გადაცემა;
5. მომუშავეთა გადაყვანა სახლებში ფირმის ტრანსპორტით;
6. ცხოვრება პრივატიზებულ ბინაში;
7. ცხოვრება მუნიციპალურ ბინაში;
8. პრივატიზებული ბინის გაქირავება (გადასახადების გადახდის გარეშე);
9. მუნიციპალური ბინის გაქირავება (გადასახადების გადახდის გარეშე);
10. საიჯარო გადასახადის მიღება მიწიდან;
11. თევზის ჭერა საკუთარი მოხმარებისათვის;
12. მეტალურგიული საწარმოს მიერ სასაწყობო ფართის გაქირავება;
13. სამოყვარულო ვიდეოფილმების დამზადება;
14. სამედიცინო პუნქტის გახსნა საწარმოში;
15. მინის დასუფთავება და მელიორაცია;
16. ნიადაგის ეროზია გადარეცხვის შედეგად.

ამოცანა 3.3

მონიშნეთ ის პუნქტები, რომლებიც შედის წარმოების საზღვრებში:

1. ნარკოტიკების წარმოება;
2. ალკოჰოლური პროდუქციით ვაჭრობა აქციზური მარკების გარეშე;
3. ბინათმფლობელის მიერ ჩატარებული რემონტი;
4. შინამეურნეობების მიერ ხეხილის მოვლა საკუთარი მოხმარებისათვის;
5. შინამეურნეობების მიერ ბინის დალაგება-დასუფთავება;
6. საწარმოების მიერ პროდუქციის წარმოება საკუთარი დაგროვების მიზნით;
7. შინამეურნეობის წევრთა მიერ ხანგრძლივი მოხმარების საგნების რესტავრაცია;

8. საწარმოს ერთი ქვეგანყოფილებიდან მეორისათვის საქონლის გადაცემა;
9. პროდუქციის მოპარვა საწარმოდან;
10. ფინანსური დაწესებულებების საქმიანობა (ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები და სხვ.).

ამოცანა 3.4

შინამეურნეობების მიერ საკუთარი საბოლოო მოხმარებისათვის გაწეული მომსახურების რომელი სახეები ჩაირთვება წარმოების საზღვრებში:

1. შინამეურნეობის წევრების მიერ გაწეული შინამომსახურება;
2. საკუთარ სახლში ცხოვრებაზე გაწეული მომსახურება;
3. ანაზღაურებადი მოსამსახურის მიერ გაწეული მომსახურება;
4. მფლობელების მიერ სამომხმარებლო ნივთების შეკეთება;
5. მფლობელების მიერ სამომხმარებლო ნივთების გამოყენება;
6. მფლობელების მიერ ჩატარებული სახლის რემონტი;
7. ბინის დამქირავებლების მიერ ჩატარებული ბინის რემონტი.

4 თავი

ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი დაჯგუფებები და კლასიფიკაციები ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში

ინსტიტუციური ერთეულების კლასიფიკაცია ეკონომიკის სექტორების მიხედვით. ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია ეკონომიკის დარგების მიხედვით. ეკონომიკური ოპერაციების კლასიფიკაცია. ძირითადი პროდუქტების (საქონელი და მომსახურება) კლასიფიკაცია. ინდივიდუალური მოხმარების კლასიფიკაცია დანიშნულების მიხედვით. სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ფუნქციების კლასიფიკაცია. გადასახადებისა და სუბსიდიების კლასიფიკაცია. ეას-ის ძირითადი მაჩვენებლები (აგრეგატები) და მათ შორის ურთიერთკავშირი. ეას-ის მაჩვენებლების გამოყენების შესაძლო მიმართულებები ეკონომიკურ ანალიზსა და ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა ეკონომიკას განიხილავს როგორც განსაზღვრული სტრუქტურული რგოლებისა და ელემენტების ურთიერთქმედების კავშირს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სტატისტიკის მნიშვნელოვანი ამოცანაა ეკონომიკის სტრუქტურის დახასიათება სხვადასხვა ნიშნით. კერძოდ, ეას-ში გამოყენებული განზოგადებული, შეჯერებული, კომპლექსური კატეგორიების დახასიათება მოითხოვს დაჯგუფების მეთოდის ფართო გამოყენებას.

ეას-ის თითქმის ყველა მაჩვენებლის ფორმირება ხორციელდება სხვადასხვა დაჯგუფებიდან, რომლებსაც საფუძვლად უდევს სხვადასხვა კლასიფიკაცია.

ეას-ში გამოყენებული ძირითადი კლასიფიკაციებია:

- ინსტიტუციური ერთეულების კლასიფიკაცია ეკონომიკის სექტორების მიხედვით;

- ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია ეკონომიკის დარგების მიხედვით;
- ეკონომიკური ოპერაციების კლასიფიკაცია;
- აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია;
- ძირითადი პროდუქტების (საქონელი და მომსახურება) კლასიფიკაცია;
- ინდივიდუალური მოხმარების კლასიფიკაცია დანიშნულების მიხედვით;
- სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ფუნქციების კლასიფიკაცია;
- გადასახადებისა და სუბსიდიების კლასიფიკაცია.

ინსტიტუციური ერთეულების კლასიფიკაცია ეკონომიკის სექტორების მიხედვით

სექტორი წარმოადგენს ინსტიტუციური ერთეულების ერთობლიობას ერთგვაროვანი შესასრულებელი ფუნქციებითა და დაფინანსების წყაროებით.

ინსტიტუციური ერთეულების კლასიფიკაცია ეკონომიკის სექტორების მიხედვით -— ერთ-ერთი ცენტრალურია ეას-ში. კლასიფიკაციის ერთეული — ე.წ. ინსტიტუციური ერთეული, ე.ი. მეურნე სუბიექტი, რომელიც ფლობს და განკარგავს აქტივებს, თავისი სახელით იღებს ვალდებულებებს, მონაწილეობს ეკონომიკურ ოპერაციებში სხვა ინსტიტუციურ ერთეულებთან, ადგენს ანგარიშების სრულ ნაკრებს, აქტივებისა და პასივების ჩათვლით.

ინსტიტუციური ერთეულის ორი ტიპი არსებობს: **1) იურიდიული პირები** (საწარმოები, კორპორაციები, კვაზიკორპორაციები, სახელმწიფო დაწესებულებები, ბანკები და სადაზღვევო კომპანიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ა.შ.) და **2) შინამეურნეობები** (განიხილება, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუციური ერთეულები).

ეკონომიკის სექტორებში (ინსტიტუციურ სექტორებში) ინსტიტუციური ერთეულები ჯგუფდება ორი კრიტერიუმის მიხედვით: 1) მათ მიერ ეკონომიკურ პროცესში შესრულებული ფუნქციებისა და 2) განეული დანახარჯების დაფინანსების წყაროს მიხედვით.

სექტორების მიხედვით ეკონომიკის შესწავლის **მიზანია** ინსტიტუციურ ერთეულებს შორის საქონლისა და მომსახურების, შემოსავლებისა და გასავლების, კაპიტალისა და ფინანსური ოპერაციების ნაკადების ანალიზი და პროგნოზირება, აგრეთვე ეკონომიკურ აგენტებს შორის ქცევებისა და ურთიერთდამოკიდებულებების გარკვევა.

ეას-ის თანამედროვე მოდელში მთელი ეკონომიკა იყოფა ექვს სექტორად:

1. არაფინანსური დანესებულებების სექტორი;
2. ფინანსური დანესებულებების სექტორი;
3. სახელმწიფო დანესებულებების სექტორი;
4. შინამეუნეობების სექტორი;
5. შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი (შმაკო);
6. საგარეო-ეკონომიკური სექტორი, ანუ „დანარჩენი მსოფლიო".

არაფინანსური დანესებულებების სექტორი მოიცავს ინსტიტუციურ ერთეულებს, რომელთა დანიშნულებაა პროდუქტებისა და არაფინანსურ მომსახურებათა შედეგების რეალიზაცია ბაზარზე იმ ფასებში, რომელიც აანაზღაურებს მათზე გაწეულ დანახარჯებს, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია დანახარჯების ნანილის გადაფარვა სუბსიდიებისა და დოტაციის ხარჯზე. აღნიშნული ერთეულების რესურსების ფორმირება ხდება პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების ხარჯზე. არაფინანსურ სექტორში სანარმოები ერთიანდება საკუთრების ფორმისაგან დამოუკიდებლად: სახელმწიფო, სააქციო, ერთობლივი, კოოპერაციული თუ კერძო. მასში ერთიანდება აგრეთვე მნარმოებელთა ცალკეული ჯგუფების მიერ შექმნილი საზოგადოებრივი არაკომერციული ორგანიზაციები, რომელთა ხარჯების ანაზღაურება სანარმოთა შენატანების ხარჯზე ხდება (მაგალითად, მენარმეთა სხვადასხვა ასოციაცია და სხვ.).

ფინანსური დანესებულებების სექტორში შედის: ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, საინვესტიციო ფონდები, საპენსიო ფონდები და სხვა ფინანსური დანესებულებები, რომელთა ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ფინანსური შუამავლობა, დამხმარე ფინანსური საქმიანობა, სადაზღვევო საქმიანობა და საპენსიო ფონდების ორგანიზება, ე.ი. ფინანსურ ბაზარზე არსებული თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულირება, მათი გარდაქმნა ინვესტორებისათვის მოხერხებულ ფორმაში და შეთავაზება საბაზრო ფასებით (განაკვეთებით). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფინანსური დანესებულებების ძირითადი ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ იშუამავლონ ორ მხარეს შორის: ვინც ზოგავს და ვინც ახორციელებს ინვესტირებას.

ფინანსური დანესებულებები თავიანთ დანახარჯებს ძირითადად აფინანსებენ რესურსების მიწოდებისთვის მიღებულ პროცენტებსა და მოზიდული რესურსებისთვის გადახდილ პროცენტებს შორის სხვაობის ხარჯზე.

სახელმწიფო დანესებულებების სექტორი არასაბაზრო მომსახურებას უნევს საზოგადოებას კოლექტიური მოხმარების მიზნით და არეგულირებს ეროვნული შემოსავლისა და სიმდიდრის გადანაწილებას (სახელმწიფო ორგანიზაციები და დანესებულებები, რომლებიც ფინანსდება ბიუჯეტიდან). იგი მოიცავს აგრეთვე სოციალური დაზღვევის ფონდებს, ცენტრალურ (ეროვნულ) სახელმწიფო ბანკებს. ამ სექტორში რესურსების ფორმირება ხდება სხვა სექტორების ინსტიტუციური ერთეულების სავალდებულო გადაახადების ხარჯზე.

შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი მომსახურებას უწევს შინამეურნეობების განსაკუთრებულ ჯგუფებს. ისინი ემსახურებიან როგორც შინამეურნეობების ინდივიდუალური (განათლება, ჯანდაცვა, სოციალური მომსახურება), ისე კოლექტიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას (პოლიტიკური პარტიები, რელიგიური ორგანიზაციები, პროფკავშირები და ა.შ.). მათი რესურსების ფორმირება ხდება ნებაყოფლობითი შენატანებისა და ამ დაწესებულებების საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების ხარჯზე.

შინამეურნეობების სექტორი მოიცავს როგორც ცალკეულ ინდივიდებს, ისე ინდივიდთა ჯგუფებს, რომელთა სამეწარმეო საქმიანობის გამოცალკევება შეუძლებელია მათი საოჯახო მეურნეობისაგან როგორც იურიდიული, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. ამ სექტორში ერთიანდება მოცემული ქვეყნის რეზიდენტი შინამეურნეობები და კერძო საწარმოები, რომელთაც არა აქვთ იურიდიული სტატუსი.

სექტორში — „დანარჩენი მსოფლიო" ერთიანდება ის საზღვარგარეთული ეკონომიკური ერთეულები, რომლებიც ოპერაციებს ანარმოებენ მოცემული ქვეყნის რეზიდენტებთან.

სექტორული კლასიფიკაცია ახასიათებს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ორგანიზაციულ სტრუქტურას.

ეას-ში თითოეული სექტორისათვის გათვალისწინებულია ანგარიშების სტანდარტული ნაკრები, რომელთა მუხლები აღწერენ ეკონომიკური პროცესის სხვადასხვა ასპექტს სხვა სექტორებთან და აგრეთვე ურთიერთკავშირებს „დანარჩენ მსოფლიოსთან".

ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია ეკონომიკის დარგების მიხედვით

ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია ეკონომიკის დარგების მიხედვით ეას-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კლასიფიკაციაა. ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი **სეკ 001-2004** წარმოადგენს ეკონომიკური და სოციალური ინფორმაციის კლასიფიკაციისა და კოდირების ეროვნული სისტემის შემადგენელ ნაწილს.

აღნიშნული კლასიფიკატორი შემუშავებულია საქართველოში მოქმედი ეკონომიკური საქმიანობის სახეობათა ეროვნული კლასიფიკატორის **სეკ (NACE) 001-97**-ის ნაცვლად. მასში გათვალისწინებულია საქართველოს ეროვნული ეკონომიკის თავისებურებანი და საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებში 2002 წელს შეტანილი ცვლილებები.

კლასიფიკაციის ობიექტებს (საკლასიფიკაციო სიმრავლის ელემენტს) **სეკ 001-2004**-ში წარმოადგენენ ეკონომიკური საქმიანობის სახეები, რომლითაც ხასიათდება როგორც ერთპროფილიანი, ისე მრავალპროფილიანი სამეურნეო სუბიექტები.

საკლასიფიკაციო ერთეულია **დაწესებულება,** ე.ი. ერთეული, რომლის მიერ წარმოებული პროდუქცია, გამოყენებული ტექნოლოგია და დანახარჯების სტრუქტურა შედარებით ერთგვაროვანია, განლაგებულია ერთ ადგილზე და შესაძლებელია ინფორმაციის მიღება მის წარმოების ხარჯებსა და გამოშვებაზე. დაწესებულების ქვეშ ერთიანდებიან საწარმოები (თუ ისინი საკმარისად ერთგვაროვანია) ან საწარმოს ქვედანაყოფები, რომლებიც უპასუხებენ ზემოთ მოტანილ განსაზღვრას.

საქმიანობის სახე განისაზღვრება როგორც პროცესი, რომელიც მიმართულია იმ ერთგვაროვანი პროდუქციის (საქონელი, მომსახურება) მისაღებად, რომელიც ახასიათებს ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის მეტად დანვრილმანებულ კატეგორიებს.

კლასიფიკატორში არ არის გათვალისწინებული საქმიანობის სახეების დაყოფა სამრეწველო და არასამრეწველო სფეროებად, საკუთრებისა ან ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით, რადგანაც ეს ნიშნები არ ახასიათებენ თვით საქმიანობის სახეს და სხვა კლასიფიკატორის ობიექტებს წარმოადგენენ.

დამხმარე მეურნეობისა და საიჯარო მეურნეობების ეკონომიკური საქმიანობა შედის საქმიანობის სახეების შესაბამის კატეგორიებში.

ძირითად საქმიანობას ნარმოადგენს ისეთი საქმიანობა, რომელსაც უდიდესი ნვლილი შეაქვს მეურნე სუბიექტის დამატებულ ღირებულებაში, ანუ საქმიანობა, რომლის დამატებული ღირებულება აღემატება მეურნე სუბიექტის სხვა ნებისმიერი საქმიანობის დამატებულ ღირებულებას.

დამხმარე საქმიანობა ეწოდება საქმიანობის იმ სახეებს, რომლებიც ხელს უწყობენ მეურნე სუბიექტის ძირითადი საქმიანობის სახის განხორციელებას (გადატანა, შენახვა, შესყიდვა, დაცვა და ა.შ.).

მეურნე სუბიექტის სტრუქტურული ქვედანაყოფის დამხმარე საქმიანობა განისაზღვრება მისი ძირითადი საქმიანობის მიხედვით.

ეროვნული ეკონომიკის დარგების გამოსაყოფად (სოფლის მეურნეობა, მრენველობა, ტრანსპორტი, მშენებლობა და ა.შ.), რომლებსაც მიეკუთვნებიან საკლასიფიკაციო ობიექტები, კლასიფიკატორში შემოღებულია ,,სექცია" და "ქვესექცია", რომლებიც აღინიშნება ლათინური ალფაბეტის მთავრული ასოებით.

კლასიფიკატორის დაჯგუფებების უფრო ღრმა დეტალიზაცია (განყოფილება, ჯგუფი, კლასი, ქვეკლასი) აღინიშნება ციფრული კოდებით.

მაგალითი. სამრენველო დაწესებულებებში, როგორც წესი, შეიძლება განვაცალკევოთ სამრენველო საქმიანობა, სამშენებლო საქმიანობა, კომუ-

ნალური მეურნეობა, დამხმარე სოფლის მეურნეობა და ა.შ. საწარმოები არ არიან ინსტიტუციური ერთეულები, ისინი არ განკარგავენ შემოსავლებსა და აქტივებს, არ ღებულობენ ფინანსურ და ეკონომიკურ გადანყვეტილებებს.

ეას-ში დარგებისათვის ასევე გათვალისწინებულია ანგარიშები, სადაც წარმოებასა და შემოსავლების წარმოქმნასთან დაკავშირებული ოპერაციების რეგისტრირება ხდება, თუმცა ეას დარგებისათვის არ ითვალისწინებს ეკონომიკური პროცესის სხვა ასპექტების დახასიათებისთვის განკუთვნილ ანგარიშებს.

ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაციაში ეკონომიკის დარგების მიხედვით გამოიყოფა შემდეგი სექციები:

- სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა.
- თევზჭერა, მეთევზეობა.
- სამთომოპოვებითი მრენველობა.
- დამამუშავებელი მრეწველობა.
- ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და ცხელი წყლის წარმოება და განაწილება.
- მშენებლობა.
- ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი.
- სასტუმროები და რესტორნები.
- ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა.
- ფინანსური საქმიანობა.
- ოპერაციები უძრავი ქონებით, არენდა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა.
- სახელმწიფო მმართველობა.
- განათლება.
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება.
- კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა.
- შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის.
- ექსტერიტორიული ორგანიზაციების საქმიანობა.[1]

[1] სეკ 001-2004, ეკონომიკური საქმიანობის სახეები, თბ., 2004, გვ. 3-10. აღნიშნული კლასიფიკაციის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ ნახოთ შემდეგ მისამართზე: http://www.statistics.ge/main. php?pform=43&plang=2.

ეკონომიკური ოპერაციების კლასიფიკაცია გულისხმობს მათ დაყოფას შემდეგ ჯგუფებად:

- საქონლისა და მომსახურების ოპერაციები (საქონლისა და მომსახურების წარმოება და გამოყენება სხვადასხვა მიზნისათვის).
- შემოსავლების ოპერაციები (შემოსავლების განაწილება და გადანაწილება).
- ოპერაციები ფინანსური ინსტრუმენტებით (ფინანსური აქტივების შეძენა, ფინანსური ვალდებულებების მიღება, მაგალითად, სესხები, დეპოზიტების მატება ბანკებში და სხვა).

გარდა ოპერაციებისა, ეას-ში გათვალისწინებულია „სხვა ნაკადების" კატეგორია, რომელიც ახასიათებს აქტივების ცვლილებას არაორდინარული მოვლენების შედეგად (ხანძარი, წყალდიდობა, კატასტროფები და სხვა). ამ კატეგორიას არა აქვს შეხება ოპერაციებთან, რომლებიც გულისხმობენ ნებაყოფილობით ურთიერთქმედებას ორ და მეტ პარტნიორს შორის. ამის გამო „სხვა ნაკადებთან" მიმართებით ჩანაწერები კეთდება აქტივების სხვა ცვლილებების ანგარიშებში, სადაც გათვალისწინებულია ამგვარი ცვლილებები.

მარაგი — ეს არის ამა თუ იმ თარიღისათვის ეკონომიკური აქტივებისა და ვალდებულებების არსებობის აღმნიშვნელი კატეგორია. **ეკონომიკური აქტივების** ცნება გულისხმობს, რომ ისინი ჩართული არიან ეკონომიკურ ბრუნვაში და, ამასთან, არსებობენ ინსტიტუციური ერთეულები, რომლებიც იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში. ქვეყნის აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი იმყოფება საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ბალანსზე. ამ განმარტების თანახმად, ეკონომიკურ აქტივებს არ განეკუთვნება გეოლოგიურად გამოკვლეული ბუნებრივი წიაღისეულის მარაგები, რომლებიც არ არის ჩართული ეკონომიკურ ბრუნვაში (მაგალითად, იმის გამო, რომ მათმა ჩართვამ შეიძლება მოითხოვოს მნიშვნელოვანი კაპიტალური დაბანდებები).

ეას-ში გათვალისწინებულია **ეკონომიკური აქტივების** შემდეგი კლასიფიკაცია:

I. არაფინანსური აქტივები (1+2)

1. არაფინანსური წარმოებული აქტივები (1.1+1.2+1.3);

1.1 ძირითადი კაპიტალი (1.1.1+1.1.2);

1.1.1 ძირითადი მატერიალური ფონდები;

1.1.2 ძირითადი არამატერიალური ფონდები;

1.2 მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგები;
1.3 ფასეულობანი;
2. არაფინანსური არაწარმოებული აქტივები (2.1+2.2);
2.1 მატერიალური არაწარმოებული აქტივები;
2.2 არამატერიალური არანარმოებული აქტივები.

II ფინანსური აქტივები (1+2+3+4+5+6+7)

1. მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლებები (ნსუ);
2. ნაღდი ფული და დეპოზიტები;
3. ფასიანი ქაღალდები (აქციების გარდა);
4. სესხები;
5. აქციები და კაპიტალში მონაწილეობის სხვა სახეები;
6. დაზღვევის ტექნიკური რეზერვები;
7. დებიტორებისა და კრედიტორების სხვა ანგარიშები;

აქტივების რეგისტრირება ხდება ეას-ის განსაკუთრებულ ანგარიშებში, რომლებსაც აქტივებისა და პასივების ბალანსი (ვალდებულებებს დამატებული კაპიტალის წმინდა ღირებულება) ენოდება და ფასდება აღდგენითი საბაზრო ღირებულებით. ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას შეესატყვისება ვალდებულებების სიმეტრიული კლასიფიკაცია. ერთადერთი გამონაკლისია მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლებები, რომელიც განიხილება მხოლოდ როგორც აქტივი და რომელსაც არ უპირისპირდება ვალდებულება.

წარმოებული მატერიალური აქტივების უფრო დეტალური კლასიფიკაცია წარმოდგენილი იქნება დაგროვების ანგარიშების განხილვისას შემდეგ თავებში.

ძირითადი პროდუქტების (საქონელი და მომსახურება) კლასიფიკაცია

ძირითადი პროდუქტების კლასიფიკაცია (საქონლისა და მომსახურების ძირითადი ჯგუფების მიხედვით) აგრეგირების ყველაზე მაღალ დონეზე მოიცავს შემდეგ კარებს:

A - სოფლის მეურნეობის, ნადირობისა და სატყეო მეურნეობის პროდუქცია;

B - თევზი და თევზჭერის სხვა პროდუქცია. მომსახურება დაკავ

შირებული თევზჭერასთან;

C - სამთომოპოვებითი მრენველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია;

D - დამამუშავებელი მრენველობის პროდუქცია;

E - ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი ნყალი;

F - სამშენებლო სამუშაოები;

G - მომსახურება საბითუმო და საცალო ვაჭრობით. მომსახურება ავტომობილების, მოტოციკლების, პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო საქონლის რემონტით;

H - სასტუმროებისა და რესტორნების მომსახურება;

I - ტრანსპორტის, სასაწყობო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის მომსახურება;

J - მომსახურება ფინანსური შუამავლობით;

K - მომსახურება დაკავშირებული უძრავ ქონებასთან, იჯარასა და კომერციულ საქმიანობასთან;

L - მომსახურება სახელმწიფო მართვისა და თავდაცვის სფეროში, განეული საზოგადოებისათვის. სავალდებულო სოციალური უზრუნველყოფის მომსახურება;

M - მომსახურება განათლების სფეროში;

N - მომსახურება ჯანმრთელობის დაცვისა და მოსახლეობის სოციალ ური მომსახურების სფეროში;

O - სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება;

P - შინამეურნეობათა მომსახურება;

Q - მომსახურება, განეული ექსტერიტორიული ორგანიზაციებისა და ორგანოების მიერ.

თითოეული კარი იყოფა მრავალ ქვეკარად, თავად, ჯგუფად, კლასად, საბეობად და ქვესახეობად. მაგალითად, კარი „მომსახურება დაკავშირებული უძრავ ქონებასთან, არენდასა და კომერციულ საქმიანობასთან" იყოფა შემდეგ თავებად:

- მომსახურება დაკავშირებული უძრავ ქონებასთან;
- მომსახურება უოპერატორო მანქანების და მოწყობილობების იჯარით და პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო საქონლის გაქირავებით;
- კომპიუტერული მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომაახურება;
- მომსახურება კვლევებისა და დამუშავებების სფეროში;
- სხვა კომერციული საქმიანობა, რომელიც მოიცავს შემდეგ ჯგუფებს: მომსახურება სამართლის, ანგარიშების შედგენის, ბუღალტრული აღრიცხვისა და რევიზიის სფეროში; მომსახურება დაბეგვრის სფეროში. მომსახურება ბაზრის კონიუნქტურის გამოკვლევითა და საზოგადოებრივი აზრის გამოვლენით. მომსახურება კომერციული საქმიანობის საკითხებზე და საკონსულტაციო

მომსახურება. ჰოლდინგური მომსახურება.[1]

სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ 2006 წელს შეტანილ იქნა ცვლილებები საქმიანობის სახეობათა მიხედვით პროდუქციის სტატისტიკურ კლასიფიკაციაში /სეკ (CPA) 002-99/. შესწორებები შევიდა საერთაშორისო სტანდარტის 2002 წლის ვერსიის მიხედვით CPA-2002 (Central Product Classification by Activities). სულ მუხლობრივი ცვლილება შევიდა 1063 სტრიქონში, ანუ შეიცვალა კლასიფიკაციის დაახლოებით 21%. აქედან "მომსახურებამ წარმოების სფეროში" შეადგინა 316 მუხლი, ანუ მთელი შესწორებების 30%. მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა D კარმა, სადაც შესწორებული და განახლებულია 790 მუხლი, ანუ მთელი შესწორებების 74% ამ კარზე მოდის. შესწორება არ შევიდა მხოლოდ ორ კარში — O და Q.

მოცემულ ცვლილებებში ძირითადი აქცენტი გაკეთდა ახალ მუხლებზე ფორმულირებით — **„მომსახურება წარმოების სფეროში"** (მაგალითად, ქვესახეობა 15.11.99 — მომსახურება ახალი და დაკონსერვებული ხორცის წარმოების სფეროში, გარდა შინაური ფრინველის ხორცისა). გარდა ამისა, ახალ დამატებულ მუხლებში აღსანიშნავია შემდეგი ტიპის სერვისები: **„დაყენება, რემონტი და ტექნიკური მომსახურება"** (მაგალითად, სახეობა 25.21.9 — პლასტმასის მილების, მილაკებისა და შლანგების დაყენება, რემონტი და ტექნიკური მომსახურება, სამრეწველო სანარმოებში მილსადენი სისტემების დაყენების ჩათვლით), **„დაყენების (სამონტაჟო) სამუშაოები"** (მაგალითად, სახეობა 25.23.9 — პლასტმასის სამშენებლო ნაწარმისა და სამშენებლო კონსტრუქციების დაყენების (სამონტაჟო) სამუშაოები), **„მომსახურება დამამთავრებელი სამუშაოებით"** (მაგალითად, სახეობა 26.12.9 — მომსახურება ფურცლოვანი მინის წარმოების დამამთავრებელი სამუშაოებით).

ინდივიდუალური მოხმარების კლასიფიკაცია დანიშნულების მიხედვით

ინდივიდუალური მოხმარების კლასიფიკაცია დანიშნულების მიხედვით COICOP (Classification of Individual Consumption by Purpose) ითვალისწინებს შემდეგ ჯგუფებს:

- საკვები პროდუქტები და უალკოჰოლო სასმელები;
- ალკოჰოლური სასმელები;
- ტანსაცმელი და ფეხსაცმელი;

[1] სეკ (CPA) 002-99, პროდუქციის სტატისტიკური კლასიფიკაცია საქმიანობის სახეობათა მიხედვით, გვ.180; აღნიშნული კლასიფიკაციის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ ნახოთ შემდეგ მისამართზე: http://www.statistics.ge/main.php?pform=43&plang=2.

- საცხოვრებელი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სხვა სათბობი;
- საოჯახო მოხმარების საგნები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და საცხოვრებლის შენახვასთან დაკავშირებული ყოველდღიური საქმიანობა;
- ჯანდაცვა;
- ტრანსპორტი;
- კავშირგაბმულობა;
- დასვენება და კულტურა;
- განათლება;
- სასტუმროები და რესტორნები;
- სხვა საქონელი და მომსახურება.

თითოეული ჯგუფი იყოფა მრავალ ქვეჯგუფად. მაგალითად, ჯგუფი ტრანსპორტი იყოფა შემდეგ ქვეჯუფებად: სატრანსპორტო საშუალების შესყიდვა. პერსონალური სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაცია. სატრანსპორტო მომსახურება.

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ფუნქციების კლასიფიკაცია

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ფუნქციების კლასიფიკაცია COFOG (Classification of Functions of Governments) გამოიყენება სახელმწიფო მმართველობის ორგანოების საბოლოო მოხმარების ხარჯების კლასიფიცირებისათვის და იძლევა სახელმწიფო მმართველობის ორგანოების კოლექტიური და ინდივიდუალური მოხმარების განცალკევების საშუალებას. ამ კლასიფიკაციის ძირითადი ქვედანაყოფებია:

- ზოგადი ხასიათის სახელმწიფო სამსახურები;
- თავდაცვა;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება;
- ეკონომიკური საკითხები;
- გარემოს დაცვა;
- საბინაო და კომუნალური მომსახურება;
- კულტურა, დასვენება და რელიგია;
- განათლება;
- სოციალური დაზღვევა.[1]

მოცემულ კლასიფიკაციაში დაჯგუფებულია არა საქმიანობის სახეები, არამედ სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ფუნქციები, თუმცა ამ კატეგორიებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს.

[1] http://unstats.un.org/unsd/cr/registry/regcst.asp?Cl=4.

გადასახადებისა და სუბსიდიების კლასიფიკაცია ეას-ში განასხვავებს შემდეგ კატეგორიებს: მიმდინარე და კაპიტალური გადასახადები, გადასახადები ნარმოებასა და იმპორტზე, ერთი მხრივ, და გადასახადები და სუბსიდიები შემოსავლებზე — მეორე მხრივ.

გადასახადები ნარმოებასა და იმპორტზე ეას-93-ში განიხილება როგორც სახელმნიფო მმართველობის ორგანოების პირველადი შემოსავლები, ხოლო შემოსავალზე და საკუთრებაზე გადასახადები — როგორც გადანაწილებითი შემოსავლები (ტრანსფერები).

გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე იყოფა ორ ჯგუფად: გადასახადები პროდუქტებზე და სხვა გადასახადები წარმოებაზე, რაც მნიშვნელოვანია გამოშვების შეფასების კონტექსტში. პროდუქტებზე გადასახადები (დღგ-სა და იმპორტზე გადასახადის გარდა) შედის მწარმოებლის ფასებში გაანგარიშებული დამატებული ღირებულების შემადგენლობაში, მაგრამ არ შედის დამატებული ღირებულების შემადგენლობაში ძირითადი ფასების მიხედვით. არც ეს და არც სხვა გადასახადები არ მიეკუთვნება ფაქტორული ღირებულების ელემენტებს.

გადასახადების კლასიფიკაციის სქემას აქვს შემდეგი სახე:

I. მიმდინარე გადასახადები (1+2)
   1. გადასახადები ნარმოებასა და იმპორტზე (1.1+1.2).
      1.1. გადასახადები პროდუქტებზე (დღგ, აქციზი, გადასახადები გაყიდვებზე და სხვ.).
      1.2. სხვა გადასახადები წარმოებაზე (მიწის, შენობის, შრომის ანაზღაურების ფონდის, სატრანსპორტო საშუალებების გადასახადები და სხვ.).
   2. გადასახადები შემოსავალსა და ქონებაზე (მოგების გადასახადები, საშემოსავლო გადასახადები, წარმოებაში გამოუყენებელი ქონების გადასახადები).

II. კაპიტალური გადასახადები (მემკვიდრეობის გადასახადები, საკუთრების ნაჩუქრობის გადასახადები და კაპიტალის ოპერაციების სხვა გადასახადები).

გადასახადების სხვადასხვა ტიპი რეგისტრირდება ეას-ის სხვადასხვა ანგარიშში.

მაგალითად, გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე რეგისტრირდება შემოსავლების ფორმირების ანგარიშში, გადასახადები შემოსავალსა და ქონებაზე — შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიშში, კაპიტალური გადასახადები — კაპიტალის ანგარიშში (ეს საკითხი უფრო ვრცლადაა განხილული მომდევნო თავში (ეას-ის ძირითადი ანგარიშების სისტემა).

სუბსიდიები, ე.ი. ბიუჯეტიდან გადახდები ინსტიტუციური ერთეულებისათვის, რომლებიც ხორციელდება ფასების პოლიტიკის შედეგად (ფასები ვერ ფარავენ ნარმოების დანახარჯებს) გამონვეული ზარალის ანაზღაურებისა და აგრეთვე წარმოების დონეზე ზემოქმედების მიზნით. ისინი ითვლება ნარმოებასა და იმპორტზე ნეგატიურ გადასახადებად. ამიტომ სუბსიდიების კლასიფიკაცია ნარმოებასა და იმპორტზე გადასახადების კლასიფიკაციის სიმეტრიულია, ანუ ეას-ში განასხვავებენ პროდუქტებზე სუბსიდიებსა (იგი წარმოებული და რეალიზებული საქონლის რაოდენობის ან ღირებულების პროპორციულია) და სხვა სუბსიდიებს წარმოებაზე (იგი წარმოებისათვის სუბსიდირებული ფაქტორების პროპორციულია).

სხვასუბსიდიებიწარმოებაზეჩაირთვებიანძირითადფასებშიგამოსახულ დამატებულ ღირებულებაში, მაგრამ არ ჩაირთვებიან მწარმოებლის ფასებში შეფასებულ დამატებულ ღირებულებაში.

ყველა სუბსიდია ჩაირთვება ე.წ. ფაქტორულ ღირებულებაში, რომელიც, მეორე მხრივ, გამორიცხავს ყველა გადასახადს წარმოებასა და იმპორტზე.

ეას-ის ძირითადი მაჩვენებლები (აგრეგატები) და მათ შორის ურთიერთკავშირი

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ეას-ის ცენტრალური მაჩვენებელია, რომელიც ახასიათებს დროის მოცემულ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე რეზიდენტების[1] მიერ წარმოებული ყველა საბოლოო საქონლისა და მომსახურების ღირებულებას (საბოლოო მომხმარებლის ფასებში). სიტყვა **საბოლოო საქონელი და მომსახურება** ნიშნავს, რომ მშპ-ში შედის ყველა საქონელი, რომელიც გამოიყენება საბოლოო მოხმარებისათვის, დაგროვებისა და ექსპორტისათვის; არ შედის შუალედური საქონელი და მომსახურება, რომელიც დახარჯულია წარმოების პროცესში ნედლეულის, მასალის, სანვავის, ენერგიის და ა.შ. სახით. მშპ-ში შუალედური პროდუქტის ჩართვა გამოიწვევდა განმეორებით აღრიცხვას, ვინაიდან შუალედური მოხმარების ღირებულება შედის საბოლოო საქონლისა და მომსახურების ღირებულებაში.

მაგალითად, მარცვლის ღირებულება შედის პურის ღირებულებაში.

სიტყვა **მთლიანი** ნიშნავს, რომ მშპ-ის გაანგარიშებისას მისი ღირებულებიდან არ გამოირიცხება ძირითადი კაპიტალის მოხმარება. პრინციპში,

[1] 1993 წლამდე ეას-ის 1968 წლის ვერსიით შიდა ეკონომიკა მოიცავდა როგორც რეზიდენტების, ისე არარეზიდენტების საქმიანობას ეკონომიკურ ტერიტორიაზე.

წარმოების შედეგების ზუსტი გაზომვისათვის (რა მიზნითაც გაიანგარიშება საკუთრივ მშპ) უნდა გამოირიცხოს არა მხოლოდ შუალედური მოხმარება, არამედ ძირითადი კაპიტალის მოხმარებაც, რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით, შუალედური საქონლისა და მომსახურების ხარჯვის ანალოგიურია. თუმცა პრაქტიკაში ძირითადი კაპიტალის მოხმარების გაანგარიშება იმ მეთოდით, როგორც ეს გათვალისწინებულია ეას-ში (ანუ ძირითადი კაპიტალის შეფასება აღდგენითი ღირებულების მიხედვით), საკმაოდ ძნელია, ვინაიდან ძირითადი კაპიტალის მოხმარებაზე საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემები არ შეესატყვისება ეას-ის განმარტებებს: როგორც წესი, ძირითადი კაპიტალის ამორტიზაციის გაანგარიშება საბუღალტრო აღრიცხვაში ხდება საწყისი (თავდაპირველი) და არა აღდგენითი ღირებულებით, როგორც ამას მოითხოვს ეას. გარდა ამისა, ამორტიზაციის გაანგარიშება საბუღალტრო აღრიცხვაში შეიძლება დაჩქარებული ამორტიზაციის საფუძველზე, რაც მიუღებელია ეას-ში.

ამგვარად, ძირითადი კაპიტალის მოხმარებაზე ეას-ის მოთხოვნების შესაბამისი მონაცემების მიღების შემთხვევაში (ძირითადი კაპიტალის ამორტიზაციის გაანგარიშება აღდგენითი ღირებულების ბაზაზე) შესაძლებელი იქნებოდა ეკონომიკური წარმოების შედეგების უფრო ზუსტი მაჩვენებლის — **წმინდა შიდა პროდუქტის** გაანგარიშება. ეს გათვალისწინებულია ეას-ის სქემით, თუმცა პრაქტიკაში სტატისტიკოსები იძულებულნი არიან გამოიყენონ მშპ.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ მშპ — იმ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საწარმოო საქმიანობის შედეგია, რომლებიც მოცემული ქვეყნის რეზიდენტები არიან, თუმცა ამ სანარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ყველა მუშაკი არ არის მოცემული ქვეყნის რეზიდენტი.

ეას-ის მეორე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია **ეროვნული შემოსავალი,** რომელიც შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს ძირითადი კაპიტალის მოხმარების გათვალისწინებით (მთლიანი ეროვნული შემოსავალი), (მეშ) და ძირითადი კაპიტალის მოხმარების გამოკლების შემდეგ — წმინდა ეროვნული შემოსავალი (წეშ).

ეროვნული შემოსავალი — წარმოადგენს მოცემული ქვეყნის რეზიდენტების მიერ მიღებული პირველადი შემოსავლების (შრომის ანაზღაურება, მოგება, შერეული შემოსავალი, შემოსავლები საკუთრებიდან, გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე) ჯამს.

ეროვნული შემოსავალი განსხვავდება შიდა პროდუქტისაგან საზღვარგარეთიდან მიღებული და საზღვარგარეთ გადაცემული პირველადი შემოსავლების სალდოს სიდიდით. ამგვარად, ეროვნული შემოსავალი განსხვავდება შიდა პროდუქტისაგან როგორც შინაარსობრივად, ასევე რაოდენობრივი თვალსაზრისით. შინაარსობრივი თვალსაზრისით ამ ორ მაჩვენებელს შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ შიდა პროდუქტი (მთლიანი ან წმინდა) ახასიათებს საქონლისა და მომსახურების ნაკადებს (საბოლოოს), ხოლო

ეროვნული შემოსავალი – შემოსავლების ნაკადებს (პირველადს). რაოდენობრივი თვალსაზრისით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისინი განსხვავდებიან საზღვარგარეთიდან მიღებული (საზღვარგარეთ გადაცემული) პირველადი შემოსავლების სალდოს სიდიდით.

ეას-ის შემდეგი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია — **ეროვნული განკარგვადი შემოსავალი** (მთლიანი — მეგშ, ან წმინდა — წეგშ), რომელიც განსხვავდება ეროვნული შემოსავლისაგან საზღვარგარეთიდან მიღებული და საზღვარგარეთ გადაცემული მიმდინარე ტრანსფერების (მიმდინარე გადანაწილებითი გადასახადების) სალდოთი. ასეთ ტრანსფერებს მიეკუთვნება: ჰუმანიტარული დახმარება, გადასახადები შემოსავლებზე, საჩუქრები საზღვარგარეთ მუდმივად მცხოვრები ნათესავებისაგან და სხვ.

ეროვნული განკარგვადი შემოსავალი იყოფა ეროვნულ საბოლოო მოხმარებად და ეროვნულ დანაზოგად.

ეროვნული საბოლოო მოხმარება — ეს არის შემდეგი სექტორების ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე:

- შინამეურნეობების.
- სახელმწიფო მართველობის ორგანოების.
- შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების.

შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების ხარჯები მოიცავს შინამეურნეობების მიერ სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ყიდვას (გარდა სახლებისა და ბინების ყიდვისა), შინამეურნეობებზე ნატურალური ფორმით გადაცემული სამომხმარებლო საქონლის ღირებულებას (მაგალითად, შრომის ანაზღაურებას ნატურალური ფორმით, პროდუქციის მიღება ფერმერული მეურნეობიდან და სხვ.) და აგრეთვე საცხოვრისის მომსახურებას, რომელსაც სახლებისა და ბინების მფლობელები ეწევიან საკუთარი მოხმარებისათვის.

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების საბოლოო მოხმარების ხარჯები — სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ წარმოებული არასაბაზრო მომსახურების ღირებულებას დამატებული საქონლის შესყიდვები შინამეურნეობებისთვის გადასაცემად. ამასთან, ამ კატეგორიაში არ ჩაირთვება შინამეურნეობების ნანილობრივი გადახდები სახელმწიფო მართვის ორგანოების მომსახურებაზე, რომლებსაც, ძირითადად, არასაბაზრო ხასიათი აქვს.

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების საბოლოო მოხმარების ხარჯებსა და გამოშვებას შორის ურთიერთკავშირი შემდეგი სქემით გამოიხატება:

A. სახელმწიფო მმართველობის ორგანოების არასაბაზრო მომსახურების გამოშვება.

B. განეულ მომსახურებებზე შინამეურნეობების ნაწილობრივი გადახდები.

C. სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ განხორციელებული საქონლის შესყიდვები შინამეურნეობებისთვის გადასაცემად.

D. შინამეურნეობებისათვის საქონლისა და მომსახურების შეძენის ხარჯების ანაზღაურება სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდების ხარჯზე.

E. სახელმწიფო მართველობის ორგანოების ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე (E = A - B + C + D).

შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების საბოლოო მოხმარების ხარჯები ამ ორგანიზაციების მიერ წარმოებული არასაბაზრო მომსახურების ღირებულების ტოლია. ეას-ში პირობითად ითვლება, რომ შენამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციების საბოლოო მოხმარების ყველა ხარჯი ინდივიდუალური მოხმარების ხარჯებია.

აღსანიშნავია, რომ ეას-ში ხდება გამიჯვნა საბოლოო მოხმარების ორ კონცეფციას შორის: პირველი კონცეფცია — ეს არის ჩვენ მიერ განხილული ხარჯების კონცეფცია, ხოლო მეორე — ფაქტობრივი საბოლოო მოხმარების კონცეფცია. პირველი კონცეფცია უკავშირდება ინსტიტუციურ ერთეულებს, რომლებიც ენევიან დანახარჯებს საბოლოო მოხმარებაზე, ხოლო მეორე კონცეფცია (ფაქტობრივი მოხმარება) — ინსტიტუციურ ერთეულებს, რომლებიც სარგებელს იღებენ საბოლოო მოხმარების დანახარჯებიდან.

მაგალითად, სახელმწიფო მართველობის ორგანოები ეწევიან ხარჯებს განათლებაზე, ხოლო სარგებელს ამისაგან ღებულობენ შინამეურნეობები. შინამეურნეობების ფაქტობრივი საბოლოო მოხმარება ტოლია საბოლოო მოხმარებაზე ხარჯების ჯამს დამატებული სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ინდივიდუალურ საბოლოო მოხმარებაზე ხარჯები პლუს შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების საბოლოო მოხმარების ხარჯები. სახელმწიფო მართვის ორგანოების ფაქტობრივი საბოლოო მოხმარება, მათი კოლექტიური მოხმარების ხარჯების ტოლია. ამგვარად, მთლიანად ეკონომიკისათვის საბოლოო მოხმარების ხარჯების მთლიანი ჯამი, ფაქტობრივი მოხმარების მთლიანი ჯამის ტოლია.

საბოლოო მოხმარების აღნიშნული ორი კონცეფცია ეკონომიკური ანალიზის სხვადასხვა მიმართულებასა და მიზანს შეესატყვისება.

ეროვნული დანაზოგი — ეს არის განკარგვადი შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც არ არის დახარჯული საბოლოო მოხმარებაზე და შეიძლება მიმართულ იქნეს დაგროვების დაფინანსებისათვის. ერთმანეთთან არ უნდა გავაიგივოთ ბანკებში დეპოზიტებისა და ნაღდი ფულის მატება და დანაზოგი. დანაზოგები ეას-ის თანახმად შეიძლება მოიცავდეს მხოლოდ ნაღდი ფულისა და სხვა ფინანსური აქტივების მატებას და ამასთან, შეიძლება მიმართულ იქნეს მატერიალური აქტივების დაფინანსების გაზრდაზე. ბანკებში კი ნაღდი ფულისა და დეპოზიტების მატება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს არა მხოლოდ დანაზოგის ხარჯზე, არამედ ფინანსური ვალდებულებების აღების ხარჯზეც (მაგალითად, კრედიტის, სესხების ხარჯზე).

დანაზოგი — ინვესტიციების დაფინანსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. მეორე წყარო — კაპიტალური ტრანსფერებია, ე.ი. გადანაწილებითი ხასიათის ერთდროული შემოდინებები.

მაგალითად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან კაპიტალური დაბანდებების დაფინანსება ან საკუთრების გადაცემა პრივატიზაციის წესით.

დანაზოგი და კაპიტალური ტრანსფერები ერთობლიობაში ქმნიან ეროვნული დაფინანსების წყაროებს ინვესტიციებისათვის, რომლებიც შედგება შემდეგი ელემენტებისაგან:

1. ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება;
2. მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილება;
3. ფასეულობების წმინდა შეძენა, ანუ დროის შედარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ღირებულების შენარჩუნების უნარის მქონე საგნების (საიუველირო ნაწარმი, ძვირფასი სურათები, ანტიკვარიატი და სხვა) შეძენა;
4. არასაწარმოო მატერიალური აქტივების წმინდა შეძენა (მიწა, სასარგებლო წიაღისეულის საბადოები და სხვა);
5. არასაწარმოო არამატერიალური აქტივების წმინდა შეძენა (პატენტები, საავტორო უფლებები და სხვა).

ინვესტიციების პირველი სამი ელემენტი ქმნის მთლიან დაგროვებას.

ეას-ის შემდეგი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია **წმინდა დაკრედიტება/ წმინდა სესხები**. მთლიანად ეკონომიკისათვის ეს მაჩვენებელი დაფინანსების წყაროების საერთო სიდიდესა (დანაზოგი + კაპიტალური ტრანსფერები) და ინვესტიციების ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტების ჯამს შორის სხვაობის ტოლია.

წმინდა დაკრედიტება (მთლიანად ეკონომიკისათვის) იმ რესურსების მაჩვენებელია, რომლებიც ნარედგინება სხვა ქვეყნებს, ანუ მოცემული ქვეყნის რეზიდენტების მიერ შეძენილი ფინანსური აქტივების გადამეტება მოცემული ქვეყნის რეზიდენტების მიერ აღებული ფინანსური ვალდებულებების ჯამზე.

წმინდა სესხები (მთლიანად ეკონომიკისათვის) — ეს კატეგორია წმინდა დაკრედიტების სიმეტრიულია. ის უჩვენებს მოცემული ქვეყნის რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთიდან მიღებული რესურსების მოცულობას.

ეას-ის რიგი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი ახასიათებს საგარეო-ეკონომიკურ კავშირებს. ასეთი მაჩვენებლებია: ექსპორტი, იმპორტი, ექსპორტისა და იმპორტის სალდო, მიმდინარე ანგარიშის მიხედვით დანარჩენ მსოფლიოსთან ოპერაციების სალდო.

მოვახდინოთ ეას-ის ძირითადი მაჩვენებლების სისტემატიზება და ავხსნათ მათ შორის ურთიერთკავშირი:

A მშპ საბოლოო მყიდველის ფასებში;

B ძირითადი კაპიტალის მოხმარება;

C წმინდა შიდა პროდუქტი (A - B);

D საზღვარგარეთიდან მიღებული პირველადი შემოსავლების სალდო;

E წმინდა ეროვნული შემოსავალი (C +D);

F საზღვარგარეთიდან მიღებული მიმდინარე ტრანსფერების სალდო;

G წმინდა ეროვნული განკარგვადი შემოსავალი (E + F);

H ეროვნული საბოლოო მოხმარება;

I ეროვნული დაგროვება (G - H);

J კაპიტალური ტრანსფერები (სალდო);

K ინვესტიციების დაფინანსების საერთო წყაროები (I + J);

L მთლიანი დაგროვება;

M არაწარმოებული მატერიალური და არამატერიალური აქტივების წმინდა შეძენა;

N წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხები (K – L – M).

ეას-ის მაჩვენებლების გამოყენების შესაძლო მიმართულებები ეკონომიკურ ანალიზსა და ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ეას იძლევა ეკონომიკური პროცესის აღწერას მთლიანობაში და ეს უზრუნველყოფს მაკროეკონომიკური პროცესების საერთო დახასიათებას. უფრო კონკრეტულად, ეას-ის მაჩვენებლები იძლევიან საშუალებას დავახასიათოთ:

- **მშპ-ის მოცულობა** — ეს მაჩვენებელი ხშირად ინტერპრეტირდება, როგორც ბაზრის მოცულობის მაჩვენებელი, ვინაიდან ის ახდენს მოცემულ ქვეყანაში დროის ამა თუ იმ პერიოდში წარმოებული საბოლოო საქონლისა და მომსახურების გაზომვას. მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით მშპ გამოიყენება ეკონომიკური განვითარების დონის დასახასიათებლად (სხვა ქვეყნებთან ან დროის სხვა პერიოდებთან შედარებით).
- **ეკონომიკური ზრდის ტემპები** — მიიღებასხვადასხვაპერიოდისმუდმივ ფასებში გაანგარიშებული მშპ-ის მაჩვენებლების შედარების გზით. ეს ეკონომიკური პოლიტიკის წარმატების, გასატარებელი რეფორმებისა და პროგრამების ეფექტიანობის ერთ-ერთი კრიტერიუმია.
- **ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა** — ამ მიზნისათვის გამოიყენება მონაცემები მშპ-ის დარგობრივი სტრუქტურის შესახებ. ის უჩვენებს, თუ როგორია ეკონომიკის ცალკეული დარგების წილი ეკონომიკაში. სხვადასხვა პერიოდის მიხედვით მშპ-ის დარგობრივ სტუქტურაზე მონაცემები გვიჩვენებს ამა თუ იმ პერიოდში ეკონომიკის სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებებს.

- **წარმოებული პროდუქტის გამოყენების სტრუქტურა ექსპორტისათვის, მოხმარებისა და დაგროვებისათვის.** მშპ-ის გამოყენების სტრუქტურული მაჩვენებლები მნიშვნელოვანია წარმოების გაფართოების შესაძლებლობის შესაფასებლად, ცხოვრების დონის ანალიზისათვის და ა.შ.
- **მშპ-ის კვარტალური მონაცემები** გამოიყენება ქვეყნის ეკონომიკურ კონიუნქტურაში მიმდინარე ცვლილებების ანალიზისათვის.
- **შრომის მწარმოებლურობა და მთლიანი მწარმოებლურობა,** რომელიც გაიანგარიშება, როგორც მშპ-ის შეფარდება შრომის დანახარჯებთან ან შრომისა და კაპიტალის მთლიან დანახარჯებთან. ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვანია ეკონომიკური ეფექტიანობისა და ეკონომიკური ზრდის ფაქტორების ანალიზისათვის.
- **ეროვნული სიმდიდრის განაწილებისა და გადანაწილების პროცესები.** ამ პროცესების ანალიზისათვის გამოიყენება ეას-ის მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც აღწერს შემოსავლების პირველად და მეორად განანილებას და აგრეთვე განკარგვადი (საბოლოო) შემოსავლების ფორმირებას. ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვანია სახელმწიფო პოლიტიკის შედეგების ანალიზისათვის შემოსავლების განაწილებაში, ცხოვრების დონის ამაღლებაში და ა.შ.
- **მოსახლეობის საბოლოო მოხმარება.** ამ მიმართულებით ანალიზისათვის გამოიყენება მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ ხარჯებს საბოლოო მოხმარებაზე, ანუ ე. წ. ფაქტობრივ მოხმარებას, საბოლოო მოხმარების სასაქონლო სტრუქტურასა და აგრეთვე სხვა ასპექტებს.
- **საინვესტიციო პროცესი**: მისი ანალიზისათვის ეას-ში გამოიყენება მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც ახასიათებს კაპიტალური დანახარჯების დაფინანსების წყაროებს, ინვესტიციების სტრუქტურას, მათ დინამიკას და ა.შ.
- **ოპერაციები ფინანსურ ინსტრუმენტებით,** რომელთა ანალიზისათვის ეას-ში გამოიყენება ეკონომიკის ცალკეული სექტორების მიერ ფინანსური აქტივების შეძენისა და ფინანსური ვალდებულებების აღების მაჩვენებლები. ეს მაჩვენებლები იძლევა ეკონომიკის ერთ სექტორში გამოუყენებელი და სხვა სექტორებში გადაცემული რესურსების მოცულობის გამოვლენის საშუალებას, კაპიტალური დანახარჯების დაფინანსების მიზნებისათვის.
- **დანარჩენი მსოფლიოს დაკრედიტების ან დანარჩენი მსოფლიოსგან სესხების პროცესები.**
- **ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური ოპერაციები.** ექსპორტი, იმპორტი, კაპიტალის მოძრაობა საზღვარგარეთ და სხვ.;
- **ეკონომიკის ცალკეული სექტორებისა და დარგების მდგომარეობა.** ამ მიზნით გამოიყენება დამატებული ღირებულების, შემოსავლებისა და ხარჯების, აქტივებისა და პასივების და აგრეთვე სხვა მაჩვენებლები.
- **დარგთაშორისი პროპორციები და კავშირები.** ეს ასპექტი გამოიკვლევა დარგთაშორისი ბალანსის ცხრილის მეშვეობით, რომელიც

თანამედროვე ეას-ის მნიშვნელოვანი ორგანული ნაწილია.

ეკონომიკური ანალიზისათვის გამოიყენება ეას-ის წარმოებული მაჩვენებლები, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია:

1. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მშპ-თან;
2. მიმდინარე ოპერაციების მიხედვით საგადასახდელო ბალანსის სალდოს შეფარდება მშპ-თან;
3. ფულადი მასის ზრდის ტემპებისა და მშპ-ის თანაფარდობა;
4. მშპ-ის ენერგოტევადობა (წარმოებაში მოხმარებული ენერგიის ღირებულების შეფარდება მშპ-თან);
5. მშპ-ის შეფარდება წარმოებაში გამოყენებული კაპიტალის მთლიან ჯამთან;

ეას-ის მაჩვენებლები შეიძლება წარმოადგენდეს ინტერესს ეკონომიკური განვითარების დონეების საერთაშორისო შესადარისობისათვის ეკონომიკის სტრუქტურის, წარმოებული პროდუქტის გამოყენების სტრუქტურის, შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებლების, ცხოვრების დონის მაჩვენებლებისა და აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკის რეგიონული ანალიზისათვის. ამ კონტექსტში, ქვეყნის რეგიონებისათვის მშპ-ის მონაცემები, რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის შეფასების, საინვესტიციო მოთხოვნილების შესწავლის და ა.შ. საფუძველია.

ეას -ის მონაცემების ანალიზის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დამოკიდებულების გამოვლენას ეკონომიკური ზრდის ტემპებსა (მშპ-ის ფიზიკური მოცულობის ინდექსი) და შემდეგ მაჩვენებლებს შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-თან მიმართებით, მშპ-ის მთლიან მოცულობაში სახელმწიფო აპარატის შენახვის ხარჯების წილი, შიდა და საგარეო ვალის თანაფარდობა მშპ-თან მიმართებაში. სხვადასხვა ქვეყანაში ამ თანაფარდობების ანალიზი გვიჩვენებს, რომ, როგორც ნესი, რამდენადაც მაღალია ბიუჯეტის თანაფარდობა მშპ-თან, მით უფრო დაბალია ეკონომიკური ზრდის ტემპი. რამდენადაც მაღალია სახელმწიფო ხარჯების წილი მშპ-ში, მით უფრო დაბალია მშპ-ის ზრდის ტემპი. რამდენადაც მაღალია სახელმწიფო ვალის შეფარდებითი სიდიდე, მით უფრო დაბალია ეკონომიკური ზრდის ტემპები.

აღსანიშნავია, რომ ეას იძლევა სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და მაკროეკონომიკურ ცვლადებზე ზემოქმედების შესაძლო ვარიანტების გათვლისა და გაანალიზების საშუალებას.

მაგალითად, ეას შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც ინსტრუმენტი, რომელიც იძლევა საშუალებას გამოვავლინოთ, თუ როგორ აისახება სახელმწიფოს შიდა ვალის შემცირებაზე მიღებული სამთავრობო გადაწყვეტილება მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, ვინაიდან ვალის დაფარვამ და სახელმწიფო სესხის ობლიგაციების გამოსყიდვამ (მათი ძირითადი

მფლობელები შეიძლება იყვნენ კერძო ბანკები) შეიძლება მოითხოვოს გადასახადების გადიდება. ამას შეიძლება მოჰყვეს სამომხმარებლო საქონელზე მოთხოვნისა და მოსახლეობის მეტად უზრუნველყოფილი ფენების დანაზოგების შემცირება, რომლებსაც შეიძლება არ მოუნდეთ თავისი მოთხოვნის დონის შემცირება. ეს ცვლილებები, საბოლოო ანგარიშში, ნეგატიურად აისახება როგორც ინვესტიციების, ასევე ეკონომიკური ტემპების ზრდაზე. სახელმწიფო ვალის მოსალოდნელ შემცირებასა და გადასახადების ზრდაზე მონაცემების არსებობის პირობებში ეას-ის ანგარიშების სტრუქტურის გამოყენებით შეიძლება გავიანგარიშოთ აღნიშნული პოლიტიკის გატარების შედეგად ეას-ის მნიშვნელოვანი მაჩვენებლების მოსალოდნელი რაოდენობრივი პარამეტრები: მშპ, საბოლოო მოხმარება, დანაზოგი და ინვესტიციები. ასეთი ანალიზი ხელს უწყობს მიზანშეწონილი გადაწყვეტილებების მიღებას ეკონომიკურ საკითხებში.

მეორე მაგალითი: მთავრობა, მოსახლეობის ნაკლებად და მეტად უზრუნველყოფილ ფენებს შორის კეთილდღეობის დონეებს შორის გარღვევის შემცირების მიზნით, ღებულობს გადაწყვეტილებას შეამციროს გადასახადები ღარიბებისათვის და გაადიდოს გადასახადები მდიდრებისათვის. ეას-ის ანგარიშების მეშვეობით ანალიზის გარეშე ძნელია აღნიშნული ღონისძიებების რაოდენობრივი გავლენის გაანალიზება მაკროეკონომიკურ ცვლადებზე. ასეთმა ანალიზმა შეიძლება გვაჩვენოს, რომ მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენების შემოსავლებზე გადასახადების შემცირებას შედეგად მოჰყვება საქონლსა და მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდა, თუმცა იმავე მოცულობით საქონლისა და მომსახურების მიწოდებამ შეიძლება ინფლაცია გამოიწვიოს. ეას-ის საშუალებით შესაძლებელია აღნიშნული ღონისძიებების გავლენის რაოდენობრივი გათვლები ინფლაციის შესაძლო მასშტაბების შესახებ.

კითხვები და სავარჯიშოები

1. დაახასიათეთ ეას-ის ძირითადი კლასიფიკაციები.
2. რა ძირითად ჯგუფებად იყოფა გადასახადები ეას-ში?
3. რა არის საკლასიფიკაციო ერთეული ეკონომიკის დარგების მიხედვით ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაციაში?
4. რა განსხვავებაა ნაკადებსა და მარაგებს შორის?
5. დაახასიათეთ ეას-ის ძირითადი აგრეგატები, როგორ არიან ისინი ურთიერთდაკავშირებული?
6. მოიყვანეთ ყველაზე მნიშვნელოვანი ნაკადებისა და მარაგების მაგალითი ეას-ში.
7. დაასახელეთ ეკონომიკური ანალიზისა და ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისათვის ეას-ის მონაცემების გამოყენების ძირითადი მიმართულებები.

ამოხსნები

1. მონიშნეთ საქმიანობის სახეების მიხედვით კლასიფიკაციის კრიტერიუმები:

ა) შრომის მწარმოებლურობის პრინციპი;
ბ) ეკონომიკური მოწყობის პრინციპი;
გ) დარგების ეკონომიკური საქმიანობის შედეგის ფორმის მიხედვით;
დ) საქმიანობის შედეგის ეკონომიკური დანიშნულების მიხედვით.

2. მონიშნეთ ინსტიტუციური ერთეულების კლასიფიკაციის კრიტერიუმები სექტორების მიხედვით:

ა) შრომის საბოლოო შედეგი;
ბ) შემოსავლების მიღების საშუალებები;
გ) მწარმოებლების საკუთრების ფორმები;
დ) შრომის შედეგების ეკონომიკური დანიშნულება;
ე) შესასრულებელი ფუნქციებისა და დაფინანსების წყაროების ერთგვაროვნების მიხედვით.

3. ეას-ის ჩამოთვლილი მაჩვენებლებიდან რომელი ასახავს ეკონომიკური საქმიანობის მოცვის სისრულეს:

ა) საქმიანობის სფეროების მიხედვით;
ბ) დარგების მიხედვით;
გ) სექტორების მიხედვით;
დ) ნატურალურ-ნივთობრივი შემადგენლობის მიხედვით;
ე) ნმინდა და მთლიანად დაყოფის მიხედვით;
ვ) სამართლებრივი სტატუსის მიხედვით;
ზ) ეკონომიური ტერიტორიის მიხედვით.

4. მონიშნეთ კერძო საკუთრების კომპონენტები:

ა) სააქციო საზოგადოებისა და ამხანაგობების ფორმით შექმნილი სანარმოები და გაერთიანებები, რომელთა ერთადერთი აქციონერები (მეანაბრეები) აღრიცხვის მომენტში არიან თვითმართველობის ადგილობრივი ორგანოები;
ბ) სანარმოები და გაერთიანებები სააქციო საზოგადოებების, ამხანაგობების, ფორმით, თუ მათ საკუთრებრივ არსენალში არის საკუთრების სხვადასხვა ფორმის სუბიექტების ანაბარი, საპაიო შენატანები, აქციები;
გ) სააქციო საწარმოები, სადაც აქციების მფლობელები არიან მხოლოდ მოქალაქეები ან კერძო საწარმოები;
დ) საწარმოები, რომლებსაც არენდით იღებენ კერძო პირები;
ე) საწარმოო კოოპერატივების საკუთრება.

5. მონიშნეთ უცხოური საკუთრების სუბიექტები:

ა) საწარმოები, რომლებშიც ჭარბობს უცხოური კაპიტალის ხვედრითი წონა;
ბ) საწარმოები 100%-იანი უცხოური კაპიტალით;
გ) უცხო ქვეყნების მოქალაქეების მიერ შექმნილი საწარმოები;
დ) საქართველოს რეზიდენტების საკუთრება საზღვარგარეთ.

6. მონიშნეთ ოპერაციები, რომლებიც ეროვნულ ანგარიშიანობაში მიეკუთვნება გაანგარიშებითს:

ა) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცა;
ბ) ფინანსური ოპერაციები;
გ) განანილების ოპერაციები;
დ) ნატურალური გადახდები მუშებისა და მოსამსახურეებისათვის;
ე) საკუთარი ნარმოების საქონლის მოხმარება;
ვ) წამგებიანი ფინანსური ორგანიზაციების მომსახურება;
ზ) პირობითი საცხოვრებელი რენტა.

7. მონიშნეთ ფინანსური სექტორში შემავალი ინსტიტუციური ერთეულები:

ა) სახელმწიფო ფინანსური ორგანიზაციები;
ბ) კომერციული ფინანსური დაწესებულებები;
გ) სადაზღვევო დაწესებულებები;
დ) საკრედიტო დაწესებულებები.

8. მონიშნეთ ფუნქციები, რომლებსაც ასრულებენ ფინანსური სექტორის დაწესებულებები:

ა) ეროვნული შემოსავლის გადანაწილება;
ბ) ფინანსური საშუალებების გამოშვება;
გ) ფულადი საშუალებების შენახვა;
დ) ფასიანი ქაღალდების გამოშვება;
ე) ეროვნული სიმდიდრის გადანაწილება.

9. მონიშნეთ ორგანიზაციები, როლებიც შედიან შმაკო-ების სექტორში:

ა) პროფკავშირული ორგანიზაციები;
ბ) პოლიტიკური პარტიები;
გ) სიცოცხლის დამზღვევი ორგანიზაციები;
დ) ბანკები, რომლებიც იღებენ კომუნალურ გადასახადებს;
ე) სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებები.

10. დააჯგუფეთ ჩამოთვლილი ინსტიტუციური ერთეულები სექტორების მიხედვით:

ა) არაფინანსური სახელმწიფო კორპორაციები;
ბ) ცენტრალური სახელმწიფო დაწესებულებები;
გ) სოცდაზღვევის ფონდები;
დ) ეროვნული ბანკი;
ე) კერძო არაფინანსური კორპორაციები;
ვ) დეპოზიტური კორპორაციები;
ზ) რეგიონული და ადგილობრივი სახელმწიფო დაწესებულებები;
თ) შმაკო-ები;
ი) უცხოური არაფინანსური რეზიდენტი კორპორაციები;
კ) სადაზღვევო კომპანიები და ავტონომიური საპენსიო ფონდები;
ლ) დამხმარე ფინანსური კორპორაციები;
მ) შინამეურნეობები.

11. მიუთითეთ, რომელ სექტორს მიეკუთვნება:

ა) საბიუჯეტო საბავშვო ბაღი;
ბ) უმაღლესი სასწავლებელი „იესემი";
გ) საქართველოს მთავრობა;
დ) „საქართველოს ბანკი";
ე) სპეციალიზებული სადაზღვევო კომპანია;

ვ) პოლიტიკური პარტია;
ზ) პურის საცხობი;
თ) კერძო საავადმყოფო.

12. მიუთითეთ, რომელ სექტორს მიეკუთვნება:

ა) თბილისის მეტროპოლიტენი;
ბ) ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა;
გ) საჯარო ბიბლიოთეკა;
დ) ფერმერული მეურნეობა;
ე) კერძო სახელოსნო;
ვ) „სახალხო ბანკი";
ზ) სას „მადნეული";
თ) საქართველოს საზღვაო ფლოტი;
ი) კონტროლის პალატა;
კ) კერძო პრაქტიკის მქონე ექიმი;
ლ) „ლუკოილი".

მაგალითი 4.1

ქვემოთ მოყვანილი მონაცემების საფუძველზე გაიანგარიშეთ მთლიანი გამოშვება და მშპ. განახორციელეთ მთლიანი გამოშვებისა და მშპ-ის დაჯგუფება ეკონომიკის სექტორების მიხედვით. გაიანგარიშეთ: ზემოაღნიშნული მაჩვენებლების სტრუქტურა ეკონომიკის სექტორების მიხედვით; ეკონომიკის მთლიანი გამოშვების სტრუქტურა ღირებულების შემადგენელი ნაწილების მიხედვით (საბაზრო ფასებში, მლნ ლარი).

	მთლიანი გამოშვება	მიმდინარე საწარმოო მოხმარება, მათ შორის			ძირითადი კაპიტალის არამატერიალური ღირებულება
		სულ	ძირითადი კაპიტალის	მომსახურება	
1.საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ საქონელს	850	455	52	13	4

2.საწარმოები, რომლებიც ახორციელებენ ფასიან ფინანსური მომსახურებას	255	104	17	5	11
3.ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ფინანსური მომსახურებას	312	66	41	8	35
4.სადაზღვევო ორგანიზაციები	77	26	16	2	6
5. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული არაკომერციული ორგანიზაციები	36	14	9		7
6. მმართველობის ორგანოები	139	64	32	10	19
7. სოცდაზღვევის ფონდები	176	27	22	3	12
8. შმაკო-ები	49	14	11		17
9. შინამეურნეობები	96	41	26	3	4

ამოხსნა:

განაწილება სექტორების მიხედვით:

1. არაფინანსური დაწესებულებების სექტორი (1).
2. ფინანსური დაწესებულებების სექტორი (2,3,4).
3. სახელმწიფო დაწესებულებების სექტორი (6,7).
4. შმაკო-ები (5,8).
5. შინამეურნეობების სექტორი (9).

მთლიანი გამოშვება სექტორების მიხედვით:

1. არაფინანსური დაწესებულებების სექტორი 850
2. ფინანსური დაწესებულებების სექტორი 255+312+77=644
3. სახელმწიფო დაწესებულებების სექტორი 139+176=315
4. შმაკო-ები 36+49=85
5. შინამეურნეობების სექტორი 96

სულ 1990

შუალედური მოხმარება სექტორების მიხედვით:

1. არაფინანსური დაწესებულებების სექტორი (455-52)=403
2. ფინანსური დაწესებულებების სექტორი (104-17)+(66-41)+(26-16) =122

3. სახელმწიფო დაწესებულებების სექტორი	(64-32)+(27-22)=37
4. შმაკო-ები	(14-9)+(14-11)=8
5. შინამერუნეობების სექტორი	41-26=15
სულ	**585**

მთლიანი დამატებული ღირებულება სექტორების მიხედვით

1. არაფინანსური დაწესებულებების სექტორი	850-403= 447
2. ფინანსური დაწესებულებების სექტორი	644-122 =522
3. სახელმწიფო დაწესებულებების სექტორი	315-37=278
4. შმაკო-ები	85-8 =77
5. შინამეურნეობების სექტორი	96-15 =81
სულ	**1405**

წმინდა დამატებული ღირებულება სექტორების მიხედვით:

1. არაფინანსური დაწესებულებების სექტორი	447-56=391
2. ფინანსური დაწესებულებების სექტორი	522-126=396
3. სახელმწიფო დაწესებულებების სექტორი	278-85=193
4. შმაკო-ები	77-44=33
5. შინამეურნეობების სექტორი	81-30-51
სულ	**1064**

მთლიანი გამოშვების სტრუქტურა სექტორების მიხედვით:

1. არაფინანსური დაწესებულებების სექტორი	850/1990=43%
2. ფინანსური დაწესებულებების სექტორი	644/1990=32%
3. სახელმწიფო დაწესებულებების სექტორი	315/1990=16%
4. შმაკო-ები	85/1990=4%
5. შინამეურნეობების სექტორი	96/1990=5%

მშპ-ს სტრუქტურა სექტორების მიხედვით:

1. არაფინანსური დაწესებულებების სექტორი	447/1405=32%
2. ფინანსური დაწესებულებების სექტორი	522/1405=37%
3. სახელმწიფო დაწესებულებების სექტორი	278/1405=20%
4. შმაკო-ები	77/1405=5%
5. შინამეუნეობების სექტორი	81/1405=6%

მთლიანი გამოშვების სტრუქტურა ღირებულების ელემენტების მიხედვით:
მთლიანი გამოშვება 1990 მლნ ლარი — 100%

1. წარსული შრომის დანახარჯების ღირებულება: 811+115 = 926 ან 46,5% აქედან
   შრომის საგნების მოხმარება: 811 — 226 — 44 = 541 ან 27,1%
   ძირითადი კაპიტალის მოხმარება და ძირითადი კაპიტალის არაამორტიზებული ღირებულება: 226+115 = 341 ან 17,2%
   მომსახურების მოხმარება: 44 ან 2,2%
2. დამატებული ღირებულება: 1064 ან 53,5%

ამოცანა 4.2

ცხრილში მოტანილი მონაცემების მიხედვით რეგიონის მასშტაბით განსაზღვრეთ:

1. ეკონომიკის მთლიანი გამოშვება.
2. მოახდინეთ დაჯგუფება სექტორების მიხედვით და გაიანგარიშეთ თითოეული სექტორის ხვედრითი წონა მთლიან გამოშვებაში.

	მთლიანი გამოშვება (მლნლარი)
1. საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ საქონელს	820
2. საწარმოები, რომლებიც ახორციელებენ ვაჭრობას	210
3. ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ფინანსურ მომსახურებას	155
4. სადაზღვევო ორგანიზაციები	38
5. ფედერალური მართვის ორგანოები	96
6. ადგილობრივი მმართველობის ორგანოები	87
7. მოსახლეობის დამხმარე მეურნეობები	48
8. შმაკო-ები	58
9. შინამეურნეობების საწარმოო საქმიანობა	365
10. წმინდა იმპორტი	27

ამოცანა 4.3

გაიანგარიშეთ ცხრილში მოყვანილი მონაცემების მიხედვით:

ა) რეგიონის მასშტაბით მთლიანი გამოშვება.

ბ) მოახდინეთ დაჯგუფება საკუთრების ფორმების მიხედვით და გაიანგარიშეთ თითოეულის ხვედრითი წონა მთლიან გამოშვებაში.

	მთლიანი გამოშ-ვება (მლნლარი)
სახელმწიფო სამინისტროებისა და უწყებების საწარმოები	670
სამხარეო დაქვემდებარების საწარმოები	450
მუნიციპალური დაქვემდებარების საწარმოები	210
სააქციო საზოგადოებები	535
კერძო საწარმოები	208
ფერმერული მეურნეობები (არასაოჯახო)	37
საზოგადოებრივი ორგანიზაციების საწარმოები	315
ოჯახური საწარმოები	42
შერეული საკუთრების საწარმოები (საქართველო /საქართველო)	54
შერეული საკუთრების საწარმოები (საქართველო/ იტალია)	33
უცხოური კერძო კომპანიები	10

5 თავი

ეკონომიკური საქმიანობის შედეგების მაჩვენებელთა სისტემა და მათი გაანგარიშების მეთოდოლოგია ეას-ში

ეას, როგორც ეკონომიკაზე დაკვირვების ინსტრუმენტი. ეკონომიკური ციკლის თეორიის ელემენტები, რომლებიც საფუძვლად დაედო ეროვნულ ანგარიშთა სისტემას. ეკონომიკური ციკლის თეორიის მნიშვნელოვანი დებულებები. ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებელთა სისტემა და მათი გაანგარიშების მეთოდოლოგია ეას-ში. მთლიანი გამოშვების არსი და გაანგარიშების თავისებურებანი. შუალედური მოხმარების არსი და გაანგარიშების ზოგადი პრინციპები. მშპ-ის გაანგარიშების მეთოდები. ეკონომიკური საქმიანობის შედეგების სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა გაანგარიშება.

XX საუკუნის 50-იან წლებში განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების უმეტესობა მივიდა ეკონომიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობამდე. რეგულირების განხორციელება შესაძლებელია მრავალი ფორმით. ისინი პირობითად ჯგუფდება ადმინისტრაციულ (საკანონმდებლო აქტები, ხელისუფლების ორგანოების დადგენილებები) და ეკონომიკურ (ფასები, კრედიტები, გადასახადები) ღონისძიებებად. სახელმწიფოს ჩარევა საშუალებას იძლევა შერბილდეს კრიზისული მოვლენების ნეგატიური შედეგები, უფრო ეფექტურად იქნეს გამოყენებული ადამიანური, ბუნებრივი, ფინანსური და მატერიალური რესურსები.

სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური საქმიანობის კვალიფიციური რეგულირებისათვის აუცილებელია უტყუარი ეკონომიკურ-სტატისტიკური ინ-

ფორმაცია, რომელმაც ობიექტურად უნდა ასახოს კვლავწარმოების პროცესის ნინაპირობები, მიმდინარეობა და შედეგები. ამისათვის შედგენილ უნდა იქნეს ურთიერთდაკავშირებული განზოგადებული მაჩვენებლების სისტემა, რომელიც რეალურად ასახავს ეკონომიკურ ტენდენციებსა და პროპორციებს.

სისტემა ერთმანეთთან დაკავშირებულ მაჩვენებელთა ერთობლიობაა. ეს მაჩვენებლები გაიანგარიშება ერთიან მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, ისინი ავსებენ ერთმანეთს, პასუხობენ კვლევის მიზნებს და ახასიათებენ ეკონომიკური საქმიანობის შედეგებს.

ეკონომიკური საქმიანობის შედეგების შეფასება წარმოების ყველა დონეზე ხორციელდება, ე.ი. თითოეული მწარმოებლის, ცალკე აღებული სანარმოს, ორგანიზაციის, დანესებულების, მათი ქვედანაყოფების, აგრეთვე მთელი ეკონომიკის, მისი სექტორებისა და საქმიანობის სახეების მიხედვით. ეკონომიკური საქმიანობის შედეგების რეალური შეფასება დამოკიდებულია გამოყენებულ მაჩვენებელთა სისტემასა და მათი გაანგარიშების მეთოდოლოგიაზე.

ეას, როგორც ეკონომიკაზე დაკვირვების ინსტრუმენტი

ეას ნარმოიშვა ორი მიმართულების კვლევითი სამუშაოების შედეგად. ეს ორი მიმართულება სრულიად განსხვავებულ მიზნებს ისახავდა, კერძოდ, ***ეროვნული შემოსავლის*** (წმინდა პროდუქციის სტატისტიკა) გაანგარიშება და ***ეკონომიკური ციკლის*** ანალიზი. ეროვნული შემოსავლის სტატისტიკის ძირითად ამოცანას ნარმოადგენდა ქვეყნის ეკონომიკური საქმიანობის საერთო შედეგების გაზომვა (ანუ ქვეყნის მთლიანი ეკონომიკური პოტენციალის გაზომვა), რაც ხელს შეუწყობდა ისეთი პრაქტიკული ხასიათის საკითხების გადანყვეტას, როგორიცაა: დანგრეული ეკონომიკის აღდგენა, ზარალისა და დანაკარგების აღრიცხვის პრობლემები და ა.შ. რაც შეეხება ეკონომიკური ციკლის თეორიას, იგი მიმართული იყო, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური ურთიერთობების ასახვისაკენ, რათა დამტკიცებულიყო თავისუფალი ბაზრის სტაბილურობის კონცეფცია მწვავე კონიუნქტურული რყევების, უმუშევრობისა და სხვა მსგავსი პრობლემების პირობებშიც კი.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოყვანილი ორი საპირისპირო მიმართულება ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიგვიყვანდა თანამედროვე ტიპის ეას-ის წარმოშობამდე, თუ თავის დროზე "ეკონომიკის მამები" ვერ შენიშნავდნენ მათ

გარკვეულ თეორიულ ერთობას და ერთდროული გამოყენების დიდ სიკეთეს. დღესაც ეს ორი მიმართულება ისტორიულად ჩამოყალიბებულ მიდგომას შეესაბამება, კერძოდ:

ა) ქვეყნის ეკონომიკური საქმიანობის შედეგებისა და ეკონომიკის სტრუქტურის განმაზოგადებელი მაჩვენებლების (აგრეგატების) გაანგარიშება.

ბ) ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების გავლენის ანალიზი ეკონომიკურ პროცესებსა და მომავალ განვითარებაზე.

ეას წარმოადგენს ჩაკეტილი სამეურნეო პერიოდის ჩარჩოებში შემოსავლის ნრებრუნვის მაკროეკონომიკურ, ბუღალტრულ და ციფრულ ასახვას. მისი მაკროეკონომიკური ხასიათი ვლინდება იმაში, რომ ასეთი ხერხი წარმოადგენს ეკონომიკური პროცესების ასახვის სრულყოფილ მეთოდს **აგრეგატების დახმარებით**, ხოლო ბუღალტრული ხასიათი გამომდინარეობს იმ ფაქტორიდან, რომ ეას-ში ეკონომიკური ციკლის ასახვა წარმოებს **ოპერაციათა ორმაგი გატარებით.**

ეას (ვიწრო გაგებით) მოიცავს მხოლოდ იმ მაჩვენებლებს, რომლებიც ახასიათებენ **ცვლილებებს** (ე.წ. ნაკადებს) დასრულებული სამეურნეო პერიოდის საზღვრებში (ჩვეულებრივ, წელი ან ნახევარი წელი), ამის გამო იგი უნდა განვასხვაოთ ბალანსისაგან, რომელიც დგება რაიმე თარიღისათვის და ბიუჯეტისაგან, რომელიც მომავალ პერიოდს ეკუთვნის.

ის ფაქტი, რომ ეას-ში მოცემულია **ეკონომიკური ციკლის კონკრეტული ციფრული ასახვა,** განასხვავებს მას აღნიშნული საკითხის თეორიული განხილვისაგან. ეას-ში გამოიყენება ეკონომიკური სტატისტიკის თითქმის ყველა მიმდინარე გამოკვლევა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს თვით ამ უკანასკნელის ორგანიზაციისა და განვითარებისათვის.

მიუხედავად ამისა, ეას, უპირველეს ყოვლისა, ნარმოადგენს ეკონომიკური თეორიის განვითარების დამხმარე ინსტრუმენტს, კერძოდ:

- იძლევა რა ეკონომიკის მდგომარეობის რაოდენობრივ ასახვას, ეას ამყარებს კავშირს მაკროეკონომიკურ თეორიასა და ეკონომიკურ სინამდვილეს შორის და ნარმოადგენს ეკონომიკაზე დაკვირვების, პროგნოზირებისა და ეკონომიკური თეორიების გადამოწმების ინსტრუმენტს.
- ეას იძლევა ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების უმნიშვნელოვანეს პარამეტრებს. ეას-ში გამოთვლილი აგრეგატები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობის განმაზოგადებელი საზომი.

ეკონომიკური ციკლის თეორიის ელემენტები, რომლებიც საფუძვლად დაედო ეროვნულ ანგარიშთა სისტემას

ნებისმიერი ეკონომიკისათვის ეკონომიკური ციკლი წარმოადგენს ყველაზე ხელსაყრელ მოდელს ეკონომიკური პროცესების ასახვისათვის. ერთიანი ეკონომიკური პროცესის შემადგენელი გაცვლითი ოპერაციების აღწერისა და ანალიზისათვის იყენებენ შემდეგ კატეგორიებს:

- **გაცვლის მონაწილეები** – ფიზიკური პირები, საწარმოები და ორგანიზაციები.
- **გაცვლის ობიექტები,** ანუ ეკონომიკური ფუნქციები, რითიც ის სრულდება.
- **გაცვლის ობიექტების რაოდენობა და ღირებულება.**

თეორიული თვალსაზრისით, გაცვლის **ცალკეული ოპერაციის** შესწავლა გარკვეული პერიოდის მანძილზე მთელი ეკონომიკის მასშტაბით არავითარ ინტერესს არ იწვევს, ხოლო სტატისტიკურად შეუძლებელია. ამიტომ ეას-ში ერთგვაროვანი ოპერაციები ერთიანდება **ნაკადებად,** ხოლო სამეურნეო ერთეულები, რომლებიც ახორციელებენ გაცვლას, ერთიანდებიან **სექტორებად.** შიდა სექტორული (ერთი სექტორის შიგნით) ნაკადები ურთიერთგადაიფარება, რასაც ეწოდება **კონსოლიდაცია.** მაგალითად, შინამეურნეობების უზარმაზარი რაოდენობის მიერ მრავალმილიონიანი საქონლის შესყიდვების რეგისტრაციის მაგივრად რეგისტრირდება მხოლოდ ერთი ნაკადი (C) — სამომხმარებლო საქონლის შესყიდვები "საწარმოებისა" და "შინამეურნეობების" სექტორებს შორის. ამასთან, კეთდება დაშვება, რომ შინამეურნეობები მხოლოდ მოიხმარენ და არ აწარმოებენ მას.

ანგარიშების შედგენის დროს, როგორც წესი, ასხვავებენ ორ ნაკადს: **"რეალურ ნაკადს,"** ეს არის საქონელი, რომელიც მოემართება საწარმოდან შინამეურნეობებისაკენ და **"მონეტარულ ნაკადს,"** რომელიც საპირისპირო მიმართულებიდან ახასიათებს გადახდებს შინამეურნეობების მიერ. ამასთან, **ეროვნულ ანგარიშიანობაში (ვიწრო გაგებით მიღებულია) მხოლოდ მეორე ნაკადის განხილვა,** რადგან ნატურალურ ერთეულებში გამოსახული მრავალფეროვანი საქონელი არ შეიძლება განზოგადდეს რაიმე კრებსით მაჩვენებელში, ანუ ერთ ნაკადში და აგრეთვე მრავალი ოპერაცია, როგორიცაა: ხელფასის გაცემა, პროცენტის გადახდა, დაბეგვრა (ე.წ. არასასაქონლო ნაკადები non-commodity flows) შეიძლება წარმოდგენილ იქნეს მხოლოდ ღირებულებით განზომილებაში.

თუ უფრო ზუსტი ვიქნებით, საწარმოებიდან (U) შინამეურნეობების (H) მიერ სამომხმარებლო საქონლის შეძენა ღირებულებით გამოსახულებაში (C) გულისხმობს **არა ორი, არამედ სამი** ნაკადის განხორციელებას, კერძოდ კი:

- **საქონლის ნაკადი** U-დან H-ისაკენ, რომელიც შედგება მრავალფეროვანი საქონლისაგან.
- H-იდან U-საკენ **შემოსავლების ნაკადი,** რომელიც ასახავს H-ისადმი U-ს მიერ ფინანსური მოთხოვნის წაყენების ფაქტს.
- **გადახდების ნაკადი** H-დან U-საკენ, თუ ფარავს U-ს მოთხოვნას ფულადი გადახდის საშუალებით, რომელიც დროში შეიძლება არ დაემთხვეს შემოსავლების ნაკადს იმ შემთხვევაში, თუ U-სა და H-ს შორის საკრედიტო ურთიერთობაა.

ეროვნული ანგარიშიანობის საგანს (ვინრო გაგებით) წარმოადგენს მხოლოდ შემოსავლების ნაკადები. სასაქონლო ნაკადების შესასწავლად შეიძლება შევადგინოთ "დანახარჯები — გამოშვების" ცხრილები, ხოლო გადახდები განვიხილოთ ფინანსურ ანგარიშებში.


შემოსავლების ნაკადები არ არის **ფულადი შემოსავლებისა და გასავლების იდენტური,** რადგან მაკროეკონომიკური გაგებით შემოსავლებში არ შედის შუალედური მოხმარება, ხოლო, მეორე მხრივ, ადგილი აქვს შიდასანარმოო მოხმარებასა და საკუთარი ძალებით წარმოებული მონყობილობების გამოყენებას. **რეალიზებული პროდუქციის მოცულობა** აგრეთვე არ არის **გადახდათა ნაკადის იდენტური.** მათ მიეკუთვნება აგრეთვე წმინდა ფინანსური ოპერაციები, ხოლო მასში არ შედის მიმწოდებლის მიერ გახსნილი კრედიტი და ნატურალური გაცვლა. ეს განსხვავებები ეხება არა მხოლოდ ნაკადების ფულად მოცულობას, არამედ მათ დაყოფასაც პერიოდებად.

ეკონომიკური ციკლისა და, ასევე, მაკროეკონომიკური აღრიცხვის სისტემაში უნდა აისახოს ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებულია მოთხოვნათა და მათ შესაბამის ვალდებულებათა ნარმოშობასთან. იმის მიხედვით, თუ რა ნარმოადგენს მოთხოვნის ობიექტს — საქონელი თუ ფული, რა გზით ხდება ამ მოთხოვნის დაფარვა — საქონლის მიწოდებით, გადახდით თუ კრედიტის მიხედვით, ან ხდება თუ არა საერთოდ დაფარვა (იგულისხმება ტრანსფერი), არჩევენ:

1. გაცვლას;
2. შესყიდვას (გადახდა საქონელსა და მომსახურებაზე);
3. მოთხოვნისა და ვალდებულების წარმოშობას;
4. ტრანსფერს.

მნიშვნელოვანია საგადასახდელო ოპერაციების გამიჯვნა წმინდა ფინანსური ოპერაციებისაგან, რომელიც ცვლის მხოლოდ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურას. ვინრო გაგებით, ეას-ის ობიექტი მხოლოდ საგადასახდელო ოპერაციებია და მათ საფუძველზე გამოთვლილი წარმოებული სიდიდეები (მაგალითად, დამატებული ღირებულება).

განვიხილოთ ჩაკეტილი ეკონომიკის ციკლური მოდელი, სადაც ვახდენთ სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობისა და ინვესტორებისაგან აბსტრაჰირებას:



სადაც, Y შინამეურნეობების შემოსავლებია.

C – სამომხმარებლო საქონლის შეძენა.

S – დანაზოგები.

I — ნმინდა ინვესტიციები.

ეკონომიკური ციკლის თეორიის მნიშვნელოვანი დებულებები

ეკონომიკური ციკლის თეორიის მნიშვნელოვან დებულებებს, რომლებსაც ამოსავალი, პრინციპული მნიშვნელობა აქვთ ეროვნული ანგარიშების გაგებისათვის (დამტკიცების გარეშე), მიეკუთვნებიან:

- ციკლი ჩაკეტილია, ე.ი. თითოეული სექტორისათვის მიღებული ნაკადების ჯამი გამომავალი ნაკადების ჯამის ტოლია (ციკლის რაოდენობრივი აქსიომა), წინააღმდეგ შემთხვევაში ციკლი ღიაა.
- ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ძალაშია შემდეგი ტოლობები:

  საწარმოებისთვის: $Y = C + I$ (შემოსავლების წარმოქმნის განტოლება).

  შინამეურნეობებისთვის: $Y = C + S$ (შემოსავლების გამოყენების განტოლება).

  ბანკებისთვის: $Y = S$ (კაპიტალური დანახარჯების განტოლება).
- ზემომოყვანილიდან ცხადია, რომ აღნიშნული განტოლებების იდენტურობა და ურთიერთდამოკიდებულება საშუალებას გვაძლევს პირველადი სტატისტიკური მონაცემების გარეშე ზოგიერთი სიდიდე განვსაზღვროთ საბალანსო მეთოდით (სალდირებით).


ციკლის ჩაკეტვა ყველა შემთხვევაში შესაძლებელია პირობითი ნაკადებისა და სექტორების დამატებით.

- როგორც უკვე ვნახეთ, ეკონომიკური ციკლის მოყვანილი აღწერა ეკვივალენტურ წარმოდგენას გვიქმნის ერთსა და იმავე წრებრუნვაზე. **მისი გამოვლინების** სხვადასხვა ფორმაა: **მატრიცა, ცხრილი და ანგარიშთა სისტემები.**
- ანგარიშთა სისტემაში თითოეული სექტორისათვის დგება ანგარიშები, სადაც თითოეული ოპერაცია ორჯერ გატარდება. ჩვენი მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ანგარიშთა შემდეგი სქემა:

წარმოებისა და შემოსავლების წარმოქმნის ანგარიშები:



შემოსავლების გამოყენების ანგარიშები:



კაპიტალური დანახარჯების ანგარიში (კაპიტალის დაგროვება):



საწარმოო საქმიანობიდან ამონაგები მიღებულია ჩაინეროს ანგარიშის მარჯვენა მხარეს (პასივები, კრედიტი), ხოლო სხვა სექტორის მიერ განხორციელებული გადახდები – ანგარიშის მარცხენა მხარეს (აქტივები, დებეტი). აქედან გამომდინარე, ანგარიშთა სქემა საშუალებას იძლევა ასახოს თითოეული ოპერაცია **სამი დასახელებული კრიტერიუმის მიხედვით: ინსტიტუციური** (სექტორები), **ფუნქციური** (ანგარიშთა სახეობა) და **რაოდენობრივი** (ოპერაციების ციფრებში გამოსახვის საშუალებით). იმ შემთხვევაში, თუ მოვახდენთ არა მხოლოდ ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების რეგისტრირე-

ბას, არამედ იმ ფულადი გადახდებისაც, რომლებიც დაგვიანებით ხორციელდება, მაშინ დაგეჭირდება ოპერაციების 4-ჯერ გატარება. ამ შემთხვევაში რეგისტრაციის სისტემა სრული იქნებოდა, ანუ იგი ერთდროულად მოიცავდა შემოსავლებისა და გადახდების ნაკადებს. მოცემულ შემთხვევაში ვიხილავთ **ორმხრივ, ანუ ჩაკეტილ სისტემას**, როდესაც თითოეული ოპერაცია ორ სექტორს შორის ჩაინერება ორივე მონაწილე სექტორის ანგარიშში. ეს ნიშნავს, რომ ეას (ვიწრო გაგებით) **არასრული** (მოიცავს მხოლოდ შემოსავლის ნაკადებს) **ორმხრივი ანგარიშთა სისტემაა**. მისგან განსხვავებით, საგადასახდელო ბალანსი — ცალმხრივია (ღიაა, ხორციელდება მხოლოდ ერთი მონაწილისთვის), მაგრამ, ამასთან, სრული სისტემაა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „კონსოლიდირების" ცნებაში იგულისხმება სექტორის შიგნით ურთიერთსაწინააღმდეგო ნაკადების გადაფარვა, ხოლო „სალდირება" ნიშნავს ერთგვაროვანი საწინააღმდეგო ნაკადების გადაფარვას ორ სექტორს შორის. ამ შემთხვევაში იხილავენ მხოლოდ წმინდა ნაკადებს.


ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებელთა სისტემა და მათი გაანგარიშების მეთოდოლოგია ეას-ში

ეას-ისა და დარგთაშორისი ბალანსის შედგენის პრაქტიკაში გამოიყენება შემდეგი სახის ფასები:

1. საბაზრო ფასები (მწარმოებლის ფასი და მყიდველის ფასი);
2. ძირითადი ფასები;
3. ფაქტორული ფასები.

ფასების ფორმირების პროცესსა და მათ შემადგენლობას ელემენტების მიხედვით ასახავს სქემა 5.1:

სქემა 5.1



ფაქტორული ფასი გამოიყენება დარგთაშორის ბალანსში. მწარმოებლისა და მომხმარებლის ფასები ძირითად ფასებთან ერთად ქმნის საბაზრო ფასს. ეას-ის მაჩვენებლები, ძირითადად, საბაზრო ფასებში აისახება.

მწარმოებლის საბაზრო ფასი — ეს არის ფასი, რომელსაც მწარმოებელი იღებს რეალიზებული ერთეული პროდუქციის ან მომსახურებისათვის და მოიცავს გადასახადებს პროდუქტებზე (დღგ-სა და იმპორტის გადასახადის გარდა), არ მოიცავს სუბსიდიებს პროდუქტებზე (თუ გადასახადებს დავაკლებთ სუბსიდიებს, მივიღებთ წმინდა გადასახადებს).

მყიდველის საბაზრო ფასი — ეს არის ფასი, რომელსაც იხდის მყიდველი პროდუქტისა და მომსახურებისათვის, მოიცავს ყველა წმინდა გადასახადს პროდუქტებზე და სავაჭრო-სატრანსპორტო დანამატს (ზედნადებს).

ძირითადი საბაზრო ფასი — ეს არის ფასი, რომელსაც იღებს მწარმოებელი რეალიზებული ერთეული პროდუქციის ან მომსახურებისათვის. ეს ფასი მოიცავს სუბსიდიებს პროდუქტებზე და გამორიცხავს გადასახადებს. იგი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა ეკონომიკის სხვადასხვა დარგში გადასახადებისა და სუბსიდიების სხვადასხვა განაკვეთის განსხვავებათა ნიველირება (მოსწორება).

მშპ-ის წარმოება და მოხმარება ფასდება მიმდინარე საბაზრო ფასებით, რომელიც ძირითადად გამოიყენებოდა მისი ნარმოების ან გამოყენების პერიოდში.

დამატებული ღირებულების ფორმირება ძირითადი კომპონენტებისა და შეფასების სახეების მიხედვით სქემატურად შემდეგნაირად გამოისახება:

შრომის ანაზღაურება
+ მოგება =
დამატებული ღირებულება ფაქტორული ფასებით
+ გადასახადები წარმოებაზე
- სუბსიდიები წარმოებაზე =
დამატებული ღირებულება ძირითადი ფასებით
+ გადასახადები პროდუქტებზე
- სუბსიდიები პროდუქტებზე =
დამატებული ღირებულება მწარმოებლის ფასებით.

დარგების მთლიანი გამოშვების შემადგენლობაში შუალედური მოხმარება მყიდველის ფასებით იზომება.

მთლიანი გამოშვების არსი და გაანგარიშების თავისებურებანი

ნარმოების სტადიაზე მშპ-ის გაანგარიშების ამოსავალი მაჩვენებელია მთლიანი გამოშვება (მგ).

მთლიანი გამოშვება — საანგარიშო პერიოდში გამოშვებული (წარმოებული) პროდუქტებისა და მომსახურების ჯამური ღირებულებაა და მოიცავს საბაზრო და არასაბაზრო მიზნით წარმოებულ ყველა პროდუქტსა და მომსახურებას.

საერთაშორისო პრაქტიკაში მგ არ წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის შედეგების შეფასების საშუალებას, მას იყენებენ მთლიანი დამატებული ღირებულების (მდღ) გასაანგარიშებელ ბაზად. ეს დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ გამოშვების მოცულობაზე გავლენას ახდენს შუალედური მოხმარება, რომელშიც აისახება ნარსული შრომის დანახარჯების ღირებულება. მიუხედავად ამისა, მგ-ს ზუსტი გაანგარიშება მთლიან დამატებულ ღირებულებასა (მდღ) და სხვა შედეგობრივი მაჩვენებლების სწორი გაანგარიშების ნინაპირობაა.

გამოშვება მოიცავს:

1. პროდუქტების გამოშვებას.
2. საბაზრო მომსახურებათა გამოშვებას (ბანკების პირობით გამოთვლილი მომსახურების გარდა).
3. არასაბაზრო მომსახურებათა გამოშვებას.
4. ფინანსური შუამავლების არაპირდაპირ (პირობით) შეფასებულ მომსახურებას.

გამოშვების შეფასება ხდება **მიმდინარე ფასებში**. პროდუქტების საბაზრო გამოშვების შეფასების ძირითადი პრინციპია იმ საბაზრო ფასების გამოყენება, რომელიც მოქმედებდა აღნიშნული პროდუქტის წარმოების პერიოდში. საბაზრო მომსახურებათა გამოშვების აღრიცხვა ხდება მომსახურების განევის მომენტში.

გამოშვების შეფასება ხდება შემდეგი მონაცემების საფუძველზე: რეალიზებული პროდუქცია, დაუმთავრებელი წარმოება, მზა პროდუქციის მარაგების ცვლილება. ამასთან, ბოლო ორი პუნქტის გაანგარიშება ხდება სხვაობით მათი მარაგებში ჩადებისა და ამოღების მოცულობებს შორის.

გაყიდვის დროის დაფიქსირება ხდება ამ ოპერაციის ასახვისთანავე დებიტორთა და კრედიტორთა ანგარიშებში, ე.ი. გაყიდვის დროდ მიიჩნევა მწარმოებლიდან მომხმარებელზე საკუთრების უფლების გადასვლა ან მომსახურების განევის მომენტი.

პროდუქტების გამოშვება აღირიცხება წარმოების პროცესის დამთავრების მომენტში. მაგრამ იმის გამო, რომ მბ განისაზღვრება წლის მანძილზე, აღრიცხვის მომენტში პროდუქტები მზადყოფნის სხვადასხვა ეტაპზე იმყოფება. ამიტომ არჩევენ პროდუქტების შემდეგ კატეგორიებს: მზა პროდუქცია, ნახევარფაბრიკატები, დაუმთავრებელი წარმოება და მშენებლობა.

მზა პროდუქცია — პროდუქტები, რომელთა წარმოება საბოლოოდ დასრულებულია მოცემული რეზიდენტი სამეურნეო ერთეულის ფარგლებში (საწარმო, ორგანიზაცია, ფერმერული მეურნეობა და ა.შ.). უმრავლეს შემთხვევაში პროდუქციის მზადყოფნის მომენტი ფორმდება დოკუმენტურად (პროდუქციის მიღება ტექნიკური კონტროლის აქტით, პროდუქციის მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც ხელმოწერილია დამკვეთისა და დამამზადებლის მიერ). სხვა შემთხვევაში მზადყოფნის მომენტი ემთხვევა რეალიზაციის მომენტს (პროდუქციის მიყიდვას სახელმწიფოსათვის ან გაყიდვას სხვა საბაზრო არხებით). მზადყოფნის მომენტის დაფიქსირება არ ხდება (არ რეგისტრირდება) ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა: სოფლის მეურნეობაში პროდუქციის წარმოება საკუთარი მოხმარებისათვის, ინდივიდუალური მშენებლობის წარმოება და სხვ. ამ შემთხვევაში მზადყოფნის მომენტად ითვლება ტექნოლოგიური პროცესის დასრულება.

ნახევარფაბრიკატები — ეს არის პროდუქტები, რომელთა წარმოება მიყვანილია **მზადყოფნის გარკვეულ ეტაპამდე** და საჭიროებენ გადამუშავებას მოცემულ საწარმოში ან მის ფარგლებს გარეთ. ნახევარფაბრიკატები, ძირითადად, გვხვდება სამრეწველო საწარმოებსა და კვების ობიექტებში.

დაუმთავრებელი წარმოება — ძირითადად გვხვდება მრეწველობაში, საზკვებასა და სოფლის მეურნეობაში. მრეწველობასა და საზკვებაში ეს არის პროდუქტები, რომელთაც არ გაუვლიათ დამუშავების **სრული ციკლი საწარმოს ამა თუ იმ საამქროში ან ქვედანაყოფში.** სოფლის მეურნეობაში დაუმთავრებელი წარმოება იზომება იმ დანახარჯებით, რომელიც გაწეულია მომავალი წლის მოსავლის მისაღებად, აგრეთვე იმ დანახარჯებით, რომლებიც გაწეულია მრავალწლიან ნარგავებზე სამეურნეო გამოყენებისათვის დადგენილ ასაკამდე.

დაუმთავრებელი მშენებლობა განისაზღვრება როგორც მშენებლობის მიერ დამთავრებული და დამკვეთის მიერ ანაზღაურებული **ცალკეული კონსტრუქციული ელემენტებისა და სამშენებლო სამუშაოთა ღირებულება.**

ზოგიერთი სახის წარმოებული, მაგრამ არარეალიზებული პროდუქტი და მომსახურება აგრეთვე ჩაირთვება მთლიანი გამოშვების მოცულობაში. მათ მიეკუთვნება:

- შიდასაწარმოო მოხმარებისათვის განკუთვნილი პროდუქცია (ინდივიდუალური მშენებლობა მოსახლეობის მიერ და მშენებლობა სამეურნეო ნესით, თესლი და სარგავი მასალა სოფლის მეურნეობაში, მოსახლეობის დამხმარე და ფერმერული

მეურნეობების პროდუქცია);
- ბარტერული წესით გაცვლილი პროდუქტები და მომსახურება;
- მწარმოებელთა მიერ მომუშავეებზე გადაცემული პროდუქტი და მომსახურება შრომის ანაზღაურების სანაცვლოდ;
- სანარმოს მიერ მისი ქვედანაყოფებისათვის გადაცემული პროდუქტები (სასადილო, საბავშვო ბაღი, სამედიცინო მომსახურება);
- შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის წარმოებული პროდუქტები (მარცვალი, ხორცი, კვერცხი, მატყლი, ღვინო და ა.შ.);
- შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის წარმოებული ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ავეჯი და სხვ;
- პირობითი რენტა საკუთარ სახლში ცხოვრებისათვის;
- ანაზღაურებადი შინა მომსახურება;
- მგბ-ს შემადგენლობაში არ შედის;
- ფინანსური შუამავლების პირობითგამოთვლილი მომსახურება;
- არაანაზღაურებადი შინა მომსახურება;
- მიწის რენტა (იგი წარმოადგენს შემოსავალს საკუთრებიდან და არ აღირიცხება როგორც წარმოების შედეგი);
- საცხოვრებელი შენობების რემონტი და მომსახურება მფლობელთა სახსრებით.

შიდასაწარმოო მოხმარებისათვის განკუთვნილი პროდუქცია, ნატურით ანაზღაურება და ბარტერი შეფასდება იმ საშუალო საბაზრო ფასებით, რომელიც მოქმედებდა მათი წარმოების მომენტისათვის.

შუალედური მოხმარების არსი და გაანგარიშების ზოგადი პრინციპები

მთლიანი დამატებული ღირებულებისა და მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების სიზუსტე ბევრად არის დამოკიდებული არა მხოლოდ მთლიანი გამოშვების სტატისტიკურ დახასიათებაზე, არამედ შუალედური მოხმარების აღრიცხვაზეც.

შუალედური მოხმარება მოცემულ პერიოდში პროდუქტებისა და მომსახურების წარმოების პროცესში მოხმარებული პროდუქტებისა (ძირითადი კაპიტალის გარდა) და მომსახურების ღირებულებაა. ე.ი შუალედური მოხმარება განივთებული შრომის დანახარჯების მაჩვენებელია. იგი მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- მატერიალური დანახარჯები;
- არამატერიალური მომსახურებანი;
- სამივლინებო დანახარჯები ტრანსპორტითა და სასტუმროთი სარგებლობის ნაწილში;
- შუალედური მოხმარების სხვა ელემენტები.

მატერიალური დანახარჯები — შრომის საგნების დანახარჯებია პროდუქტებისა და მომსახურების წარმოებაზე. მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- ნედლეული და მასალები;
- ნახევარფაბრიკატები და დეტალები;
- ყველა სახის სანვავი, რომელიც გამოიყენება ენერგიის საწარმოებლად, გათბობისათვის, ტრანსპორტისა და წარმოების მომსახურების მიზნით;
- სამუშაოები და მომსახურება, რომელსაც ეწევა სხვა სანარმოები ნედლეულის გადამუშავებაზე, რემონტსა და ექსპლუატაციაზე მოცემული საწარმოსათვის;
- საკუთარი და დაქირავებული ტრანსპორტით გაწეული სატრანსპორტო მომსახურება, კავშირგაბმულობისა და გამოთვლითი ცენტრების მომსახურება;
- შესაფუთიმასალებისწმინდაღირებულება(შესყიდვარეალიზაციის გამოკლებით);
- შუალედური მოხმარების ან გამოშვების დანაკარგების ანაზღაურება;
- მომუშავეთათვის აუცილებელი ინსტრუმენტებისა და სპეცდანიშნულების სამუშაო ტანსაცმლის დანახარჯების ანაზღაურება;
- მოცემული საწარმოს ერთი რგოლიდან მეორისათვის საქონლისა და მომსახურების მინოდება სანარმოო მოხმარების მიზნით;
- საკვებისა და სხვა ნაკეთობების შესყიდვა სასტუმროების, რესტორნებისა და კაფეების მიერ, საავადმყოფოების მიერ მედიკამენტებისა და კვების პროდუქტების შესყიდვა, სასნავლო დანესებულებების მიერ განხორციელებული შესყიდვები მოსწავლეთათვის და სხვ;
- შინამეურნეობების მიერ ინსტრუმენტების, სამუშაო ტანსაცმლის, სამშენებლო მასალების, თესლისა და პირუტყვის საკვების შეძენა საკუთარი სამეურნეო მიზნებისათვის;
- ბინათმფლობელების მიერ მიმდინარე რემონტისათვის გაწეული შესყიდვები (მასალების);
- საკვებისა და ტანსაცმლის შეძენა ჯარისთვის.

არამატერიალურ მომსახურებაში შედის:

- საქონლის ხარისხის კონტროლის ანაზღაურება;

- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და ექსპერიმენტის ჩასატარებელი ხარჯები;
- ფინანსური შუამავლობისა და დაზღვევის ხარჯების ანაზღაურება;
- სანარმოს მომუშავეთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯების ანაზღაურება;
- სანარმოს მომუშავეთათვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება;
- შენობების, ნაგებობების, მანქანა-მოწყობილობების საარენდო გადასახადების გადახდა;
- კომუნალური მომსახურების ხარჯები, ნარჩენების უტილიზაცია და დასუფთავება;
- იურიდიული მომსახურებისა და რეკლამის ხარჯები;
- საქონლის სერტიფიკაციისა და ლიცენზირების ანაზღაურება;
- სახანძრო და ობიექტების დაცვის ხარჯების ანაზღაურება.

შუალედური მოხმარება არ მოიცავს:

- კაპიტალური სახის დანახარჯებს – შენობებისა და ნაგებობების მშენებლობასა და კაპიტალურ რემონტს;
- ბინების მიმდინარე რემონტზე გაწეულ დანახარჯებს;
- სოციალურ დახმარებას ნატურალური ფორმით;
- საარენდო გადასახადს მიწით სარგებლობისათვის;
- მომუშავეთა და მათი ოჯახის წევრებისათვის გაწეულ სხვადასხვა სოციალურ და კულტურულ მომსახურებას, რომელიც არ არის დაკავშირებული ნარმოებასთან.

თითოეული დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, შუალედური მოხმარების გაანგარიშებას აქვს თავისებურებანი, მაგალითად, მრეწველობაში გაანგარიშებანი ხორციელდება სანარმოთა სამ ჯგუფში:

1. **იმ საწარმოების მიხედვით, რომლებიც წარადგენენ სრულ** ანგარიშგებას წარმოების შედეგებისა და დანახარჯების შესახებ. ანგარიშგება შეიცავს ყველა მაჩვენებელს, რომელიც საჭიროა შუალედური მოხმარების განსაზღვრისათვის.
2. **დამხმარე სამრეწველო საწარმოთა** მიხედვით, რომლებიც არ ახორციელებენ დანახარჯების აღრიცხვას. შმ გაიანგარიშება შემდეგი წესით: მთლიანი გამოშვება გადამრავლდება პირველი ჯგუფის საწარმოთა შმ-ის ხვედრით წონაზე.
3. **შინამეურნეობათა სამრეწველო საქმიანობის** შმ განისაზღვრება მგ-ის გადამრავლებით შმ-ის ხვედრით წონაზე. ხვედრითი წონა დგინდება საექსპერტო გზით სპეციალური გამოკვლევების საფუძველზე.

სოფლის მეურნეობაში შმ-ის შემადგენლობაში ერთიანდება შემდეგი დანახარჯები:

- თესლი და სანერგე მასალა;
- პირუტყვის საკვები;
- შხამქიმიკატები და სასუქი;
- ნავთობპროდუქტები, საწვავი და ენერგია;
- დამხმარე და სამშენებლო მასალები ძირითადი კაპიტალის მიმდინარე რემონტისათვის;
- ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ზოოვეტერინარული და ზოოტექნიკური მომსახურებანი;
- მიწების გაუმჯობესებაზე, მელიორაციასა და ქიმიზაციაზე განეული ხარჯები.

შმ-ში ჩაირთვება აგრეთვე პირუტყვის დაცემისაგან მიყენებული ზარალი და დანაკარგები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ტრანსპორტირებისა და შენახვის შედეგად.

მშენებლობაში შმ მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- სამშენებლო მასალები, კონსტრუქციები და დეტალები;
- სათბობი, სანვავი, ორთქლი და ენერგია;
- ძირითადი კაპიტალის ექსპლუატაციასა და რემონტზე დახარჯული მასალები;
- სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების არენდა;
- მცირეფასიანი ინვენტარისა და ინსტრუმენტების ცვეთა.

მშპ-ის გაანგარიშების მეთოდები

ეკონომიკის ფუნქციონირების შედეგების მთავარი მაკროეკონომიკური მაჩვენებელია **მთლიანი შიდა პროდუქტი.** ეს მაჩვენებელი გამოიყენება როგორც ცალკეული ქვეყნების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. იგი გამოიყენება საერთაშორისო შედარებების, საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის გაანგარიშებისა და ეკონომიკური ეფექტიანობის სხვა მაჩვენებლების დახასიათების მიზნით.

მშპ არის წლის მანძილზე მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე წარმოებული ყველა საქონლისა და მომსახურების ღირებულება შუალედური მოხმარების გამოკლებით.

საწარმოს, დარგის, სექტორის დონეზე მშპ-ს შეესაბამება მაჩვენებელი **მთლიანი დამატებული ღირებულება.**

მშპ-ში შედის აგრეთვე ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ჩვენს პრაქ-

ტიკაში ამორტიზაცია). ეს მაჩვენებელი გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობის მთლიანი შედეგების დახასიათების მიზნით. იმ მიზეზის გამო, რომ პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაციის შემდეგ ამორტიზაციის ანარიცხები ისევ უბრუნდება მწარმოებელს, რაც საშუალებას იძლევა ახალი ინვესტიციების განსახორციელებლად, კერძოდ, კაპიტალური რემონტისთვის, ძირითადი კაპიტალის რენოვაციისათვის და სხვ., დასავლეთის ქვეყნებში დაჩქარებული ამორტიზაცია განიხილება როგორც ეკონომიკური ზრდის ფაქტორი.

მიუხედავად იმისა, რომ წმინდა მაჩვენებლების გამოთვლა ძალიან მნიშვნელოვანია, ძირითადი კაპიტალის მოხმარების გაზომვა აღდგენითი ღირებულების ბაზაზე დღეისათვის გაძნელებულია, ამიტომ პრიორიტეტი ენიჭება მდღ-ის გამოთვლას.

საგარეო ვაჭრობის გათვალისწინებით, მშპ შეიძლება გავიანგარიშოთ **კვლავწარმოების ციკლის ყოველ სტადიაზე** შესაბამისი მეთოდების დახმარებით:

- სანარმოო;
- განანილებითი;
- საბოლოო მოხმარების.

საწარმოო მეთოდით მშპ-ის გაანგარიშება შესაძლებელია სხვადასხვა ხერხით:

1. მშპ საბაზრო ფასებში = შიდა ეკონომიკაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების მთლიანი გამოშვება ძირითად ფასებში — შუალედური მოხმარების საერთო ღირებულება + დამატებული ღირებულების გადასახადი + წმინდა გადასახადები იმპორტზე.
2. მშპ საბაზრო ფასებში = დარგების დამატებული ღირებულების (საბაზრო ფასებში) ჯამს, ე.ი იგი მოიცავს წმინდა გადასახადებს პროდუქტებსა და იმპორტზე (დღგ-ის გარეშე). ამასთან, მდღ დარგში გაიანგარიშება როგორც სხვაობა მგ-სა (საბაზრო ფასებში) და შმ-ს შორის.
3. მშპ საბაზრო ფასებში = ეკონომიკის სექტორებში მდღ-ის ჯამს (საბაზრო ფასებში).

მშპ-ის გაანგარიშება წარმოების სტადიაზე ასახავს წარმოების წყაროებს. მასში აღრიცხულია საანგარიშო პერიოდის მთლიანი გამოშვება (წარმოების ფასებში) შუალედური მოხმარების გამოკლებით (მოხმარების ფასებში). იგი საშუალებას გვაძლევს დავახასიათოთ თითოეული დარგის, სექტორის წვლილი მშპ-ის შექმნაში, ავსახოთ ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა და განვითარების ხასიათი.

განაწილებითი მეთოდი გამოიყენება განაწილების სტადიაზე. ეს არის პირველადი შემოსავლების ჯამი, რომელიც რეზიდენტი ეკონომიკური ერთეულების მიერ ნანილდება საქონლისა და მომსახურების მწარმოებელთა შორის: დაქირავებულ მომუშავეთა შრომის ანაზღაურებას + წმინდა გადასახადები ნარმოებასა და იმპორტზე + მთლიანი მოგება + მთლიანი შერეული შემოსავლები.

განანილებითი მეთოდის საშუალებით მშპ-ის გაანგარიშება საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ შემოსავლები და მათი სტრუქტურა, წარმოების ფაქტორთა დანახარჯები (ძირითადი კაპიტალი, სამუშაო ძალა), მთლიანი დამატებული ღირებულების განანილება მის მწარმოებლებს შორის.

მშპ-ის გაანგარიშების მოცემულ მეთოდს დამოუკიდებელი მნიშვნელობაც აქვს შემოსავლებისა და მათი სტრუქტურის ანალიზში, საგადასახადო ტვირთისა და მთლიანი მოგების ხვედრითი წონის დახასიათების მიზნითა და სხვ.

საბოლოო მოხმარების მეთოდით მშპ გაიანგარიშება როგორც საბოლოო მოხმარებისა და მთლიანი დაზოგვის ჯამი ექსპორტ-იმპორტის სალდოს გათვალისწინებით.

გამოყენების სტადიაზე გამოთვლილი მშპ ტოლია საბოლოო მოხმარებისთვის შეძენილი საქონლისა და მომსახურების ღირებულებისა მოხმარების ფასებში. ეას-ის ანგარიშებში მშპ-ის საბოლოო მოხმარება იყოფა შემდეგ მუხლებად: პირადი და სახელმწიფო მოხმარება, მთლიანი დაგროვება (საბრუნავი საშუალებების მარაგების მატება, კაპიტალდაბანდებები) და ექსპორტ-იმპორტის სალდო.

სხვადასხვა მეთოდით მშპ-ის გაანგარიშებას გარდუვალად მივყავართ მისი რაოდენობრივი შეფასებების განსხვავებებთან, რაც ძირითადად განპირობებულია შეგროვილი სტატისტიკური მასალის არაადეკვატურობით (შეუსაბამობით) ეკონომიკურ ოპერაციებთან. განვითარებულ ქვეყნებში სხვადასხვა მეთოდით გამოთვლილ მშპ-ებს შორის სხვაობა 1-2%-ს შეადგენს. სტატისტიკურ ცნობარებში აღნიშნული შემთხვევები ფორმულირდება სპეციალურ პოზიციაში "სტატისტიკური განსხვავებანი".

ეკონომიკური საქმიანობის შედეგების სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა გაანგარიშება

მთლიანი შიდა პროდუქტი შიდა ეკონომიკის ფუნქციონირების შედეგად მიიღება. მშპ იმ ღირებულების მაჩვენებელია, რომელიც იქმნება ინსტიტუციური ერთეულების საწარმოო საქმიანობის შედეგად მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე. მშპ არ ასახავს იმ საქმიანობის შედეგებს, რაც ხორციელდება მოცემული ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის საზღვრებს გარეთ.

საერთაშორისო სტატისტიკურ პრაქტიკაში მრავალი წლის მანძილზე ეროვნული ეკონომიკის დასახასიათებლად მშპ-ის გვერდით გამოიყენებოდა მაჩვენებელი მთლიანი ეროვნული პროდუქტი (მეპ).

მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მეშ), რომელსაც ეას-ის 1968 წლის ვარიანტში ენოდებოდა მთლიანი ეროვნული პროდუქტი (მეპ), საბაზრო ფასებში ნარმოადგენს პირველადი შემოსავლების ჯამს, რომელსაც ღებულობენ მოცემული ქვეყნის რეზიდენტები თავიანთი ქვეყნის ან სხვა რომელიმე ქვეყნის მშპ-ის ნარმოების პროცესში პირდაპირი ან არაპირდაპირი მონანილეობისთვის, ე.ი. მეშ განსხვავდება მშპ-საგან პირველადი შემოსავლების ჯამით, რასაც ღებულობენ მოცემული ქვეყნის რეზიდენტები საზღვარგარეთიდან (არარეზიდენტებისთვის გადახდილი თანხის გამოკლებით). **პირველად შემოსავლებს** მიეკუთვნება: შრომის ანაზღაურება, მოგება, ნარმოების გადასახადები, შემოსავლები საკუთრებიდან (პროცენტი, დივიდენდი, რენტა და სხვ.).

რეზიდენტი-მნარმოებლის ნარმოების გარკვეული ნაწილი შეიძლება განლაგებული იყოს საზღვარგარეთ, ამიტომ მისი მოცულობა აღირიცხება მეპ-ში, ხოლო ნარმოების ნაწილი მოცემულ ეკონომიკურ ტერიტორიაზე შეიძლება განხორციელდეს არარეზიდენტი ერთეულის მიერ. ასეთი წარმოების მოცულობა აღირიცხება მშპ-ში და არ შედის მეპ-ში.

ამგვარად, მშპ იმ ღირებულების საზომია, რომელსაც ქმნიან როგორც რეზიდენტები, ასევე არარეზიდენტები მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე და არ ითვალისწინებს იმ ღირებულებას, რომელსაც ქმნიან მოცემული ქვეყნის რეზიდენტები ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

მეპ იმ ღირებულებათა ჯამია, რომელსაც ქმნიან მოცემული ქვეყნის რეზიდენტები როგორც მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე, ისე მის საზღვრებს გარეთ და არ ასახავს არარეზიდენტების საქმიანობას მოცემულ ეკონომიკურ ტერიტორიაზე.

ეროვნული სტატისტიკის პრაქტიკაში მთავარ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლად შეიძლება მივიჩნიოთ როგორც მშპ, ისე მეპ. ეას-ში ამოსავალ მაჩვენებლად მიჩნეულია მშპ. ამ მაჩვენებელზეა აგრეთვე ორიენტირებული 1993 წლის ეას. აღსანიშნავია, რომ რაოდენობრივი განსხვავება ამ ორ მაჩვენებელს შორის დიდი არ არის. განვითარებული ქვეყნებისათვის განსხვავება, როგორც წესი, 1%-ია.

მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მეშ) = მშპ საბაზრო ფასებში + საზღვარგარეთიდან მიღებული ნაკადები (შრომის ანაზღაურება + შემოსავლები საკუთრებიდან + სამენარმეო შემოსავალი) — საზღვარგარეთ გადახდილი ნაკადები.

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლები მოიცავს შემოსავლებს ფინანსური აქტივებიდან, მინიდან და სხვა არანარმოებული არაფინანსური აქტივიდან (ნიაღისეული და სხვა ბუნებრივი აქტივები, პატენტები, ლიცენზიები და სხვ.).

წმინდა ეროვნულ შემოსავალს (წეშ) მივიღებთ, თუ მეშ-იდან (საბაზრო ფასებში) გამოვაკლებთ ძირითადი კაპიტალის მოხმარებას.

ეკონომიკის მთლიანი მოგება (ემმ) ყველა დარგისა ან სექტორის მოგებათა ჯამის ტოლია. ეს არის დამატებული ღირებულების ის ნაწილი, რომელიც რჩება მწარმოებელს ხარჯების (შრომის ანაზღაურება, გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე) დაფარვის შემდეგ. ამ მუხლის საშუალებით იზომება წარმოების მოგება (ან ზარალი) საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების გათვალისწინებამდე.

ეკონომიკის წმინდა მოგება (ეწმ) ეას-ში არის მაკროეკონომიკური მოგების მაჩვენებელი, რომელიც გაიანგარიშება როგორც სხვაობა ეკონომიკის მთლიან მოგებასა და ძირითადი კაპიტალის მოხმარებას შორის.

გარდა ამისა, ეწმ გაიანგარიშება როგორც სხვაობა სექტორებში წარმოებულ დამატებულ ღირებულებათა ჯამსა და შრომის ანაზღაურების (სოციალური დაზღვევის ანარიცხების ჩათვლით), წმინდა გადასახადებისა და ძირითადი კაპიტალის მოხმარების ღირებულებათა ჯამს შორის.

შინამეურნეობების არაკორპორირებული სანარმოებისათვის, სადაც ადგილი შეიძლება ჰქონდეს აუნაზღაურებელ შრომას, მოგება იცვლება **შერეული შემოსავლებით,** რადგან ეს მუხლი შეიცავს როგორც მეწარმის შემოსავლებს, ისე ხარჯებსაც.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში ძირითადი კაპიტალის ღირებულების შემცირებას ფიზიკური ან მორალური ცვეთის, ან შემთხვევითი დაზიანების შედეგად.

ეას-ში შრომის საგნების დანახარჯებისა და მოხმარებული მომსახურების ღირებულების გათვალისწინება მშპ-ის მოცულობაში არ ხდება. ძირითადი კაპიტალის მოხმარების (ამ შემთხვევაში დარიცხული ამორტიზაციის) შეტანა მშპ-სა და სხვა მთლიან მაჩვენებლებში ხდება იმის გამო, რომ საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის შემდგომ ეს თანხა უბრუნდება მწარმოებელს და გროვდება, რაც ზრდის რესურსებს, ე.ი. იგი განიხილება, როგორც გარკვეული შედეგი.

შემოსავლების განაწილებისა და გადანაწილების შედეგად წარმოიქმნება განკარგვადი შემოსავალი (გშ). გშ-ს ინსტიტუციური ერთეული იყენებს საბოლოო მოხმარებისა და დაზოგვისათვის.

განკარგვადი შემოსავალი = პირველად შემოსავლებს + მიღებული მიმდინარე ტრანსფერები — გაცემული მიმდინარე ტრანსფერები.

განკარგვადი შემოსავლების ჯამი რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულების მასშტაბით მთლიანი ეროვნული შემოსავლის ტოლია.

ეროვნული განკარგვადი შემოსავალი საბაზრო ფასებში = წეშ + წმინდა მიმდინარე ტრანსფერები საზღვარგარეთიდან (საჩუქრები, შემოწირულობა, ჰუმანიტარული დახმარება და ა.შ. — საზღვარგარეთ გაცემული ანალოგიური ტრანსფერები).

ეგშ გვიჩვენებს იმ თანხას, რისი გამოყენებაც შეუძლიათ რეზიდენტებს როგორც საბოლოო მოხმარებისთვის, ისე დაზოგვის მიზნით.

მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი (მეგშ) არის მშპ საბაზრო ფასებში ± წმინდა სალდო ეროვნულ ეკონომიკასა და „დანარჩენ მსოფლიოს" შორის შემდეგი ელემენტების მიხედვით: გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე, სუბსიდიები, შრომის ანაზღაურება, შემოსავლები საკუთრებიდან და სამენარმეო საქმიანობიდან, დაზღვევის ოპერაციები და სხვა მიმდინარე ტრანსფერები.

მეგშ არის რეალური შემოსავლების საზომი, რომელიც გამოიყენება როგორც საბოლოო მოხმარებისათვის, ისე დაზოგვისათვის, ე.ი. ეს არის ყველა შემოსავლების წყარო, რომელიც აუცილებელია ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და ეროვნული სიმდიდრის ზრდისათვის.

დაზოგვა განკარგვადი შემოსავლის ნაწილია, რომელიც არ გამოიყენება საქონლისა და მომსახურების საბოლოო მოხმარებისთვის. იგი წარმოადგენს კაპიტალური დანახარჯების (კაპიტალური მშენებლობა, ძირითადი კაპიტალის შეძენა, ლიცენზიების, პატენტების შეძენა, ფინანსური აქტივების ზრდა) დაფინანსების წყაროს. განისაზღვრება, როგორც სხვაობა მიმდინარე შემოსავლებსა და გასავლებს შორის.

მთლიანი დაგროვება გვიჩვენებს რეზიდენტი ერთეულების მიერ საქონლისა და მომსახურების წმინდა შეძენას (საქონლისა და მომსახურების მიმდინარე შეძენა მიმდინარე მოხმარების გარეშე). მთლიანი დაგროვება, როგორც მშპ-ის ნაწილი, მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება;
- მატერიალური საბრუნავი საშუალებების მატება;
- დანახარჯები ფასეულობათა (საიუველირო ნაკეთობები, ანტიკვარიატი, სურათები და ა.შ.) შეძენაზე.

ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება წარმოადგენს რეზიდენტი ერთეულების მიერ განხორციელებულ დაბანდებებს შემდეგი მიმართულებებით:

- ძირითადი კაპიტალის შეძენა;
- დანახარჯები მატერიალური არაწარმოებული აქტივების გაუმჯობესებაზე;
- არანარმოებულ აქტივებზე საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებული დანახარჯები.

მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილება მოიცავს: სანარმოო მარაგებს, დაუმთავრებელ წარმოებას, მზა პროდუქციასა და საქონელს ხელახალი გაყიდვისათვის.

ფასეულობანი არის საგნები, რომლებიც ინარჩუნებენ ღირებულებას შედარებით ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. მაგალითად, არამონეტარული ოქრო, ძვირფასი სურათები, საიუველირო ნანარმი და ა.შ. ფასეულობათა წმინდა შესყიდვა = ფასეულობათა შესყიდვა — ფასეულობათა გაყიდვა.

ფასეულობათა წმინდა შესყიდვა, მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების მატება და ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება ჯამში ქმნის მთლიანი დაგროვების მაჩვენებელს. ფასეულობების შესყიდვები და გაყიდვები ერთმანეთს აბათილებს და მათ არსებულ მოცულობაზე გავლენას არ ახდენს. მთლიან დაგროვებაში უნდა აისახოს **ახლად წარმოებული ან იმპორტირებული ფასეულობების წმინდა შესყიდვების მოცულობა.**

გარდა ამისა, ეას-ის ახალი მეთოდოლოგიით შეიცვალა **ძირითადი კაპიტალის დაგროვების შემადგენლობაც,** მასში შევიდა **ოთხი მუხლი,** რომელიც ადრე შუალედური მოხმარების შემადგენლობაში შედიოდა. ესენია:

1. პროგრამული საშუალებების შეძენაზე გაწეული დანახარჯები;
2. გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების დანახარჯები;
3. ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ორიგინალთა ღირებულება;
4. სახელმწიფო მმართველობის ორგანოების დანახარჯები ორმაგი დანიშნულების საქონლისა და მომსახურების შეძენაზე სამხედრო საჭიროებისათვის.

აღნიშნული მაჩვენებლის გაფართოებამ, რა თქმა უნდა, იმოქმედა თვით მშპ-ის გაფართოებაზეც, ამიტომ ამ მაჩვენებლების დინამიკის შესწავლისას, საჭიროა ისინი წინასწარ მოვიყვანოთ შესაბამისობაში.

ეას-ში აისახება აგრეთვე **კაპიტალური დანახარჯების** მაჩვენებელიც, რომელიც მოიცავს მიწისა და სხვა არანარმოებული აქტივების შესყიდვას და პირდაპირ უკავშირდება ეროვნული სიმდიდრის ზრდას.

ეას დასრულებულ სახეს აძლევს მაკროეკონომიკური სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემას და ავსებს მას მთელი ეკონომიკისა და ცალკეული ეკონომიკური პროცესების ამსახველი მაჩვენებლებით. ეას-ის ყველა მაჩვენებელი ურთიერთდაკავშირებულია და ექვემდებარება ზუსტ რაოდენობრივ გამოთვლას, რაც საფუძვლად ედება ეკონომიკური პროცესების მოდელირებას.

1. რომელი კვლევითი სამუშაოები დაედო საფუძვლად ეას-ის წარმოშობას?
2. რას ნარმოადგენს ეას?
3. რა არის კონსოლიდაცია?
4. განმარტეთ ნაკადები.
5. რამდენი სახის ნაკადი განიხილება ეას-ში?
6. აღნერეთ ჩაკეტილი ეკონომიკის ციკლური მოდელი.
7. რაში მდგომარეობს ეკონომიკური ციკლის თეორიის მნიშვნელოვანი დებულებები?
8. რას ნიშნავს „სალდირება"?
9. რამდენი სახის ფასი გამოიყენება ეას-ისა და დარგთაშორისი ბალანსის შედგენის პრაქტიკაში?
10. რა არის მთლიანი გამოშვება?
11. რომელ მუხლებს მოიცავს მთლიანი გამოშვება?
12. რომელ მუხლებს არ მოიცავს მთლიანი გამოშვება?
13. განმარტეთ შუალედური მოხმარება.
14. ჩამოთვალეთ შუალედური მოხმარების მატერიალური და არამატერიალური მუხლები.
15. რა არის მშპ და რამდენი ხერხი არსებობს მის გასაანგარიშებლად?
16. როგორ გაიანგარიშება მშპ სანარმოო მეთოდით?
17. როგორ გაიანგარიშება მშპ განანილებითი მეთოდით?
18. როგორ გაიანგარიშება მშპ საბოლოო მოხმარების მეთოდით?
19. ჩამოთვალეთ ეკონომიკური საქმიანობის შედეგების სხვა (დანარჩენი) მაჩვენებლები.
20. როგორ გაიანგარიშება ეკონომიკური საქმიანობის შედეგების სხვა მაჩვენებლები?
21. როგორი ურთიერთკავშირი არსებობს მათ შორის?

ტესტები

1. მონიშნეთ მაჩვენებლები, რომლებიც გამოიყენება მშპ-ის გასაანგარიშებლად წარმოების სტადიაზე:

ა) მთლიანი დაზოგვა;
ბ) საბოლოო მოხმარება;

გ) შუალედური მოხმარება;
დ) გამოშვება;
ე) მთლიანი დამატებული ღირებულება;
ვ) დღგ და გადასახადები იმპორტზე.

2. მონიშნეთ მაჩვენებელი, რომელიც მაკროდონეზე შეესაბამება მაჩვენებელს — მთლიანი დამატებული ღირებულება:

ა) ეროვნული შემოსავალი;
ბ) მთლიანი შიდა პროდუქტი;
გ) ეკონომიკის მთლიანი მოგება;
დ) მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი.

3. მონიშნეთ კომპონენტები, რომლებიც მონაწილეობენ ძირითადი ფასის ფორმირებაში:

ა) შუალედური მოხმარება;
ბ) შრომის ანაზღაურება;
გ) მთლიანი მოგება;
დ) წმინდა გადასახადები წარმოებაზე;
ე) წმინდა გადასახადები პროდუქტებზე;
ვ) სავაჭრო-სატრანსპორტო დანამატი.

4. მონიშნეთ კომპონენტები, რომლებიც მონაწილეობენ მწარმოებლის ფასის ფორმირებაში:

ა) შუალედური მოხმარება;
ბ) შრომის ანაზღაურება;
გ) მთლიანი მოგება;
დ) წმინდა გადასახადები წარმოებაზე;
ე) წმინდა გადასახადები პროდუქტებზე.
ვ) სავაჭრო-სატრანსპორტო დანამატი.

5. მონიშნეთ კომპონენტები, რომლებიც მონაწილეობენ მყიდველის ფასის ფორმირებაში:

ა) შუალედური მოხმარება.
ბ) შრომის ანაზღაურება.
გ) მთლიანი მოგება.
დ) წმინდა გადასახადები წარმოებაზე.
ე) წმინდა გადასახადები პროდუქტებზე.
ვ) სავაჭრო-სატრანსპორტო დანამატი.

6. მონიშნეთ კომპონენტები, რომლებიც მონაწილეობენ ფაქტორული ფასის ფორმირებაში:

ა) შუალედური მოხმარება.
ბ) შრომის ანაზღაურება.
გ) მთლიანი მოგება.
დ) ნმინდა გადასახადები წარმოებაზე.
ე) ნმინდა გადასახადები პროდუქტებზე.
ვ) სავაჭრო-სატრანსპორტო დანამატი.

ამოცანები

მაგალითი 5.1

გვაქვს შემდეგი პირობითი მონაცემები (მლნ ლარი):

1. საქონლის მწარმოებელი საქმიანობების მთლიანი გამოშვება (ძირითად ფასებში)	4752
2. ფასიანი მომსახურების გაწევა	948
3. უფასო მომსახურების გაწევა	1276
4. ბანკების მიერ მიღებული პროცენტები	2832
5. ბანკების მიერ გადახდილი პროცენტები	2556
6. მატერიალური დანახარჯები წარმოებაზე	3756
7. მათ შორის ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია	672
8. გასული ძირითადი კაპიტალის არაამორტიზებული ღირებულება	88
9. შუალედური მოხმარების სხვა ელემენტები	124
10. მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილება	+13
11. ნმინდა გადასახადები პროდუქტებსა და იმპორტზე	247

განსაზღვრეთ მთლიანი დამატებული ღირებულება ძირითად ფასებში და საბაზრო ფასებში.

ამოხსნა:

1. მთლიანი დამატებული ღირებულება ძირითად ფასებში*:*

ა) მთლიანი გამოშვება: 4752 + 948 + 1276 + (2832 - 2556) = 7252

ბ) შუალედური მოხმარება: (3756 – 672) + 124 + (2832 – 2556) = 3484

გ) მთლიანი დამატებული ღირებულება ძირითად ფასებში: 7252 – 3484 = 3768

2. მთლიანი დამატებული ღირებულება საბაზრო ფასებში*:* 3768 + 247 = 4015

მაგალითი 5.2

გვაქვს შემდეგი პირობითი მონაცემები (მლნ ლარი):

მაჩვენებლები	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი
კერძო სამომხმარებლო დანახარჯები	335	370
მთავრობის საბოლოო სამომხმარებლო დანახარჯები	106	111
შმაკო-ების საბოლოო სამომხმარებლო დანახარჯები	76	73
საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	126	131
მატერიალური მარაგების მატება	12	15
საქონლისა და მომსახურების იმპორტი	124	135
ძირითადი კაპიტალის წმინდა ფორმირება	22	27
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	56	57

განსაზღვრეთ:

1) მოხმარების ფონდი.
2) დაგროვების ფონდი.
3) მშპ და მისი დინამიკა.

ამოხსნა:

1) *მოხმარების ფონდი:*

საანგარიშო პერიოდის 370 + 111 + 73 = 554

საბაზისო პერიოდის 355 + 106 +76 = 537

2) *დაგროვების ფონდი*

საანგარიშო პერიოდის 15 + 27 + 57 = 99

საბაზისო პერიოდის 12+ 22 56 = 90

3) *მშპ საანგარიშო პერიოდის:* 554 + 99 + (131 – 135) = 649

4) *საბაზისო პერიოდის:* 537 + 90 + (126 – 124) = 629

$$I_{GDP} = \frac{I_{GDP_1}}{I_{GDP_0}} = \frac{649}{629} = 1,03$$

ამოცანა 5.3

გვაქვს შემდეგი პირობითი მონაცემები (მლნ ლარი):

მაჩვენებლები	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი
კერძო სამომხმარებლო დანახარჯები	750	750
მთავრობის საბოლოო სამომხმარებლო დანახარჯები	92	38
საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	122	154
საქონლისა და მომსახურების იმპორტი	108	149
მატერიალური მარაგების მატება	8	12
ძირითადი კაპიტალის მთლიანი სამთავრობო ფორმირება	24	28
ფაქტორული შემოსავლების სალდო საზღვარგარეთიდან	8	(-10)
ძირითადი კაპიტალის მთლიანი კერძო ფორმირება	224	235

განსაზღვრეთ:

1) მშპ და მისი დინამიკა.

2) დაგროვების ფონდი და მისი სტრუქტურა.

ამოცანა 5.4

განსაზღვრეთ ეკონომიკური საქმიანობის სახეების გამოშვება შემდეგი მონაცემების მიხედვით:

1. აუნაზღაურებელი საშინაო მომსახურება 155
2. ანაზღაურებადი საშინაო მომსახურება 37
3. სამომხმარებლო საქონლის რემონტი მფლობელების მიერ 62
4. სამომხმარებლო საქონლის რემონტი საყოფაცხოვრებო ობიექტებში 95
5. საცხოვრებლის რემონტი, მაცხოვრებლების მიერ გაკეთებული 43
6. საცხოვრებლის რემონტი, მფლობელების მიერ გაკეთებული 86
7. სამომხმარებლო საქონლის ცვეთა 26
8. შინამეურნეობების მიერ საქონლის წარმოება 216
9. შიდასანარმოო მოხმარება 270
10. ქრთამი და გამოძალვა 74
11. პროდუქციის მოპარვა 35
12. არაკანონიერი ნარმოება 22

13. ფარული წარმოება	14
14. საბაზრო მწარმოებელთა მიერ საკუთარი შენობების გამოყენების პირობითი რენტა	105
15. არასაბაზრო მწარმოებელთა მიერ საკუთარი შენობების გამოყენების პირობითი რენტა	63

ამოცანა 5.5

განსაზღვრეთ იმ ელემენტების ღირებულება, რომლებიც მიეკუთვნებიან შუალედურ მოხმარებას:

1. მატერიალური დანახარჯების ღირ-ბა	850
2. მ. შ. ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია	96
3. ძირითადი კაპიტალის არაამორტიზებული ნაწილი	14
4. ძირითადი კაპიტალის არენდა	6
5. ძირითადი კაპიტალის შეძენა	34
6. ძირითადი კაპიტალის მიმდინარე რემონტი და მომსახურება	21
7. ძირითადი კაპიტალის კაპიტალური რემონტი	72
8. კოლექტიური მოხმარება საწარმოებში	168
9. ინსტრუმენტები, სპეცტანსაცმელი, კვება	39
10. ჯანდაცვისა და განათლების მომსახურება	367
11. სამედიცინო პუნქტები საწარმოებში	12
12. პერსონალის სწავლება	16
13. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები სანარმოებში	34
14. გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები	76
15. არასაწარმოო მომსახურება წარმოებაში	96
16. არასაწარმოო მომსახურება შინამეურნეობებში	112
17. შეიარაღება და საბრძოლო მასალები	72

ამოცანა 5.6

გვაქვს შემდეგი მონაცემები სამრეწველო საწარმოების შესახებ (მლნ ლარი):

1. მზა პროდუქცია და ნახევარფაბრიკატები, რეალიზებული	1359
2. მზა პროდუქციისა და ნახევარფაბრიკატების მატება საწყობში	+105
3. მზა პროდუქცია და ნახევარფაბრიკატები, ბარტერით გაცვლილი	12
4. მზა პროდუქცია და ნახევარფაბრიკატები, მომუშავეთა მიერ მოხმარებული	48
5. დაუმთავრებელი წარმოების მატება	26
6. საწარმოს დამხმარე ქვედანაყოფების პროდუქცია და მომსახურება	382

7. მათ შორის რეალიზებული	63
8. დანახარჯები საბინაო ფონდის შენახვაზე	166

ამოცანა 5.7

გაიანგარიშეთ შუალედური მოხმარება, მთლიანი და წმინდა დამატებული ღირებულება მრეწველობაში შემდეგი მონაცემების საფუძველზე (მლნ ლარი):

1. პროდუქციის ნარმოება	
მზა ნანარმის ღირებულება	2850
ნახევარფაბრიკატების ღირებულება	720
მათ შორის	
რეალიზებულია	155
გადამუშავებულია მზა პროდუქტად	535
დაუმთავრებელი წარმოება:	
წლის დასაწყისში	106
წლის ბოლოს	110
სამრენველო ხასიათის სამუშაოები შეკვეთით	43
პროდუქციის ღირებულება შემკვეთის ნედლეულისაგან	206
მათ შორის ნედლეულის ღირებულება	124
დამხმარე საამქროების პროდუქცია	635
მათ შორის რეალიზებულია	188
2. დანახარჯები წარმოებაზე:	
ნედლეული, მასალები, საწვავი, დამხმარე მასალები	1212
ამორტიზაცია და ძირითადი კაპიტალის	
არაამორტიზებული ღირებულება	288
მატერიალური მომსახურება	62
არამატერიალური მომსახურება	18
ხელფასი	736
დარიცხვები ხელფასზე	202
არასანარმოო ხარჯები	
(არამატერიალური მომსახურების გარდა)	86
მათ შორის მატერიალური დანახარჯები	42%
სამივლინებო, სპეცტანსაცმლისა და ნარმომადგენლობითი	
ხარჯები	114

ამოცანა 5.8

ეკონომიკის მთლიანი გამოშვება (მიმდინარე ფასებში, მლნ ლარი): საბაზისო პერიოდში 260, საანგარიშო პერიოდში 286. შუალედური მოხმარების ხვედრითი წონა მთლიან გამოშვებაში (%): საბაზისო პერიოდში 50, საანგარიშო პერიოდში 52.

ძირითადი კაპიტალის მოხმარების (ამორტიზაცია+არაამორტიზებული ღირებულება) ხვედრითი წონა საბაზისო პერიოდში 6,5. საანგარიშო პერიოდში 7,2.

საანგარიშო პერიოდში საბაზისოსთან შედარებით მთლიანი გამოშვების ფასების დონე გაიზარდა 6%-ით, შუალედური მოხმარებისა — 4,5%-ით, ხოლო ძირითადი კაპიტალის შემცირდა 2,2%-ით.

განსაზღვრეთ მთლიანი გამოშვების, მთლიანი დამატებული ღირებულებისა და წმინდა დამატებული ღირებულების ფიზიკური მოცულობის ინდექსები.

ამოცანა 5.9

გვაქვს შემდეგი მონაცემები ქვეყნის ეკონომიკის შესახებ:

მუხლები	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი
მთავრობის საბოლოო მოხმარება	947	1240
კერძო მოხმარება	3442	4690
ძირ. კაპიტალის ფორმირება	1029	1429
ექსპორტი	542	912
იმპორტი	576	1127
მარაგების მატება	(-12)	35

მოცემული პირობის საფუძველზე განსაზღვრეთ:

1) მოხმარების ფონდი, მისი სტრუქტურა და დინამიკა.

2) დაგროვების ფონდი, მისი სტრუქტურა და დინამიკა.



თავი 6

ეას-ის ძირითადი ანგარიშების სისტემა

ეროვნული ანგარიშების შედგენის ძირითადი პრინციპები. ეას-ის ანგარიშების კლასიფიკაცია. წარმოების ანგარიში. შემოსავლების ფორმირების ანგარიში. პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში. შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში. შემოსავლების გამოყენების ანგარიში. დაგროვების ანგარიშები: კაპიტალის ანგარიში, ფინანსური ანგარიში. საქონლისა და მომსახურების ანგარიში. „დანარჩენი მსოფლიოს" სექტორის ანგარიშები. მშპ-ის გადაანგარიშება მუდმივ ფასებში.

ანგარიშები ეას-ის მნიშვნელოვანი ელემენტია. ისინი გამოიყენება ეკონომიკურ პროცესში რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულების მიერ განხორციელებული ეკონომიკური ოპერაციების რეგისტრირებისათვის. ანგარიშებში აგრეთვე რეგისტრირდება ოპერაციები მოცემული ქვეყნის რეზიდენტებსა და „დანარჩენი მსოფლიოს" რეზიდენტებს შორის.

ანგარიშებში ჩანაწერები მიეკუთვნება არა ყოველ ცალკეულ ეკონომიკურ ოპერაციას, არამედ ეკონომიკური ოპერაციების შესაბამისი ჯგუფების განზოგადებულ რიცხობრივ დახასიათებებს (მაგალითად, მოხმარება, დაგროვება, ექსპორტი). ზოგიერთი ჩანაწერი ანგარიშში წარმოადგენს არა ეკონომიკურ ოპერაციას (ნებაყოფილობით ურთიერთქმედებას ორ და მეტ ინსტიტუციურ ერთეულს შორის), არამედ არაორდინარული მოვლენების (ხანძარი, სტიქიური უბედურება, ომები და სხვ.) ან ინფლაციის შედეგად აქტივების ცვლილებას.

დაბოლოს, ზოგიერთი ჩანაწერი ანგარიშში წარმოადგენს ეკონომიკური პროცესის სხვადასხვა ასპექტის ანალიტიკურ განზოგადებულ მაჩვენებლებს. ამ მაჩვენებელთა დიდი ნაწილი (მაგალითად, დამატებული ღირებულება, დანაზოგი, პირველადი განაწილების სალდო) გაიანგარიშება საბალანსო მეთოდით, ე.ი. როგორც სხვაობა რესურსებში ჩანაწერების ჯამსა და გამოყენებაში ჩანაწერების ჯამს შორის.

ეროვნული ანგარიშების შედგენის ძირითადი პრინციპები

ეროვნული ანგარიშების შედგენის ძირითადი პრინციპებია:

თანმიმდევრობის პრინციპი კვლავწარმოების ციკლის თანმიმდევრობის შესაბამისია (წარმოება — შემოსავლების ფორმირება — შემოსავლების განაწილება — შემოსავლების გამოყენება).

„T" ფორმის პრინციპი — ყველა ანგარიში შედგება ორი განყოფილებისაგან (სვეტი), მარჯვენა მოიცავს **„რესურსებს"**, მარცხენა —**„გამოყენებას"**.

ანგარიშების შეკავშირების პრინციპი — ამა თუ იმ ანგარიშის ყოველ მუხლს სხვა ანგარიშში საკორესპონდენტო ანგარიში აქვს.

ორმაგი ჩაწერის პრინციპი (საბუღალტრო აღრიცხვის პრინციპი) — ეას-ში ყოველი ოპერაცია აისახება ორჯერ: წინა ანგარიშის განყოფილებაში „გამოყენება" და მომდევნო ანგარიშის განყოფილებაში „რესურსები".

საბალანსო მეთოდის პრინციპი — ყველა ეკონომიკური ნაკადი რეგისტრირდება ბალანსის ფორმით.

გაანგარიშებითი კატეგორიების პრინციპი — დამაბალანსებელი მუხლი უწინარესად არის გაანგარიშებითი კატეგორია, რომლის დანიშნულებაა არა მხოლოდ რესურსებისა და მათი გამოყენების მოცულობებს შორის ბალანსის უზრუნველყოფა, არამედ ამა თუ იმ ეკონომიკური პროცესის დახასიათება, რაც მათ მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ მაჩვენებლად აქცევს.

ეას-ის ანგარიშების კლასიფიკაცია

ეას-ის სტრუქტურის საფუძველს წარმოადგენს **ანგარიშები და საბალანსო ცხრილები**. ანგარიში ასახავს ოპერაციებს, აქტივებს ან სამეურნეო ერთეულების ვალდებულებებს. ის წარმოადგენს ორმხრივ ცხრილს, სადაც ჯამებს შორის ტოლობა მიიღწევა დამაბალანსებელი მუხლის მეშვეობით და ეს დამაბალანსებელი მუხლი მაკროეკონომიკური მაჩვენებელია. დამაბალანსებელი მუხლი იძლევა ერთი ანგარიშიდან მეორეზე გადასვლისა და ანგარიშების ერთ სისტემაში შეკავშირების საშუალებას.

ეას-ში არსებობს ანგარიშების მკაფიო კლასიფიკაცია:

- ანგარიშები ეკონომიკის ინსტიტუციური სექტორებისათვის;
- ანგარიშები ეკონომიკის დარგებისათვის;
- ანგარიშები ცალკეული ეკონომიკური ოპერაციებისათვის;
- ანგარიშები მთლიანად ეკონომიკისათვის (კონსოლიდირებული ანგარიშები).

ანგარიშები ეკონომიკის ინსტიტუციური სექტორებისათვის იყოფა შემდეგ სამ ჯგუფად:

- მიმდინარე ოპერაციების ანგარიშები;
- დაგროვების ანგარიშები;
- აქტივებისა და პასივების ბალანსები.

მიმდინარე ოპერაციების ანგარიშებია:

- წარმოების ანგარიში;
- შემოსავლების ფორმირების ანგარიში;
- პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში;
- შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში;
- შემოსავლების განაწილების ანგარიში (ნატურალურ ფორმაში);
- კორექტირებული განკარგვადი შემოსავლების გამოყენების ანგარიში.

დაგროვების ანგარიშებია:

- კაპიტალის ოპერაციების ანგარიში;
- ფინანსური ანგარიში;
- აქტივებში სხვა ცვლილებების ანგარიში:
  ა) აქტივების მოცულობაში სხვა ცვლილებების ანგარიში.
  ბ) გადაფასების ანგარიში.

აქტივებისა და პასივების ბალანსი:

- აქტივებისა და პასივების ბალანსი პერიოდის დასაწყისისათვის;
- აქტივებისა და პასივების ბალანსი პერიოდის ბოლოსათვის.

წარმოების ანგარიში

ნარმოების ანგარიში ეას-ის პირველი ანგარიშია. წარმოების პროცესის შედეგს წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების გამოშვება, რომელიც აისახება ანგარიშის რესურსებში. წარმოების პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელია სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების გამოყენება, რომელსაც შუალედური მოხმარება ეწოდება. სხვაობა გამოშვებასა და შუალედურ მოხმარებას შორის ქმნის დამატებულ ღირებულებას და იგი

წარმოადგენს წარმოების შედეგად ეკონომიკაში შექმნილი პირველადი შემოსავლების ჯამს.

აღნიშნული ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია ᲓᲦ (ეს არის მუხლი და არა ოპერაცია, რომელსაც შეიძლება დავაკვირდეთ).

ნარმოების ანგარიშს შემდეგი სახე აქვს:

გამოყენება	რესურსები
2. შუალედური მოხმარება	1. გამოშვება
3. მთლიანი დამატებული ღირებულება = (1-2)	
სულ გამოყენებულია (2+3)	სულ რესურსები (1)

რადგან წარმოების ანგარიში ეას-ის პირველი ანგარიშია, მთელი სისტემისათვის მეტად მნიშვნელოვანია თვით წარმოების განსაზღვრა და მისი გაანგარიშების მეთოდი. მეტიც, ინფორმაცია წარმოების შესახებ თავისთავად ძალზე საჭირო და მნიშვნელოვანია.

წარმოება ზოგადად შეიძლება განვმარტოთ, როგორც საქმიანობა, რომლის პროცესშიც საწარმო ეწევა დანახარჯებს პროდუქციის (გამოშვების) საწარმოებლად. წარმოებული პროდუქცია გადაეცემა სხვა ინსტიტუციურ ერთეულებს ინდივიდუალურად ან კოლექტიურად. არჩევენ გამოშვების (პროდუქციის) ორ ძირითად სახეობას: **საქონელი** და **მომსახურება**. მომსახურება შეიძლება იყოს როგორც საბაზრო, ისე არასაბაზრო.

საქონელი – ეს არის ფიზიკური ნივთი, რომელზეც შეიძლება საკუთრების უფლების გავრცელება. მაგრამ ეს არ არის ერთადერთი პირობა. საქონელს განეკუთვნება ის ნივთები, რომლებზეც არსებობს მოთხოვნა.

საკუთრების უფლების გადაცემა რომელიმე საქონელზე შესაძლებელია საბაზრო გარიგებაში სხვადასხვა ინსტიტუციური ერთეულების მონაწილეობით. ის შეიძლება მრავალჯერ გაიცვალოს და, ამასთან, შეიცვალოს მფლობელი. სინამდვილეში, წინასწარ შეუძლებელია იმის ცოდნა, თუ ვინ იქნება საქონლის საბოლოო მომხმარებელი (მფლობელი), ან გაიყიდება თუ არა საერთოდ. თავდაპირველად წარმოებული საქონელი მწარმოებლის ფასს სცილდება შემდგომი გაყიდვისა და გადაყიდვის ფასებით, რომელსაც **მყიდველის ფასი** ეწოდება (იგულისხმება საბითუმო და საცალო ფასები). ეკონომიკური თვალსაზრისით, საქონლის წარმოებისა და გაცვლის მომენტების დაცილება (განცალკევება) საქონლის დამახასიათებელი თავისებურებაა, რომელიც არა აქვს მომსახურებათა უმეტესობას.

ყველა საქონელი პირობითად განიხილება როგორც საქონელი, რომლის რეალიზაციაც ბაზარზე ხდება. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი საქონელი,

რომელიც ნარმოადგენს სახელმწიფო და არაკომერციული ორგანიზაციების საქმიანობის თანამდეე პროდუქტს, არ ჩაირთვება საქონლის გამოშვებაში, თუმცა შედის საქონლის გამოყენების მონაცემებში მათი ღირებულების პირობითი გადატანის გზით.

მაგალითად, ხე-მასალა, რომელიც მიიღება სახელმწიფო საგზაო სამუშაოების დროს როგორც თანამდევი პროდუქტი, არ შედის ხე-ტყის დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის გამოშვებაში, მაგრამ აღირიცხება ხე-მასალის გამოყენების მონაცემებში.

საქონლის გამოშვებაში შედის:

1. ბაზარზე გასაყიდი საქონლის გამოშვება;
2. ინსტიტუციური ერთეულების მიერ საქონლის გამოშვება საკუთარი მოხმარებისათვის;
3. ფერმერული მეურნეობის მიერ სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო პროდუქტების გამოშვება საკუთარი მოხმარებისათვის;
4. არაფერმერული მეურნეობის მიერ საკუთარი მოხმარებისათვის სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო პროდუქტების გამოშვება;
5. შინამეურნეობების მიერ საქონლის წარმოება (გარდა სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო პროდუქტებისა) საკუთარი მოხმარებისათვის;
6. ძირითადი კაპიტალის გამოშვება სამეურნეო წესით;
7. საქონლის გამოშვება, რომელიც განკუთვნილია დამქირავებლის მიერ დაქირავებულთათვის ნატურით ასანაზღაურებლად.

მომსახურება არ არსებობს როგორც ცალკეული ეკონომიკური ობიექტი, რომელზეც შესაძლებელია საკუთრების უფლების გავრცელება. მისი გაყიდვა ნარმოებისაგან განცალკევებით შეუძლებელია.

მომსახურება არის შეკვეთით განხორციელებული გამოშვება, რომელიც მიმართულია მომხმარებელთა მდგომარეობის შეცვლისაკენ.

ეს ცვლილება შეიძლება გამოხატულ იქნეს შემდეგ ფორმებში:

1. მოხმარების საგნების მდგომარეობის შეცვლა: საქონლის გადატანა, წმენდა, რემონტი და ა.შ;
2. მომხმარებლის გონებრივი მდგომარეობის შეცვლა: ინფორმაცია, განათლება, გართობა და ა.შ;
3. მომხმარებლის ფიზიკური მდგომარეობის შეცვლა: მომხმარებლის გადაადგილება, სამედიცინო დახმარება, მისი გარეგნობის გაუმჯობესება და ა.შ;
4. მომხმარებლის ეკონომიკური მდგომარეობის შეცვლა: დაზღვევა, დაცვა, ფინანსური შუამავლობა, გარანტიები და ა.შ.

აღნიშნული ცვლილებები შეიძლება იყოს დროებითი ან მუდმივი. მაგალითად, განათლება და ჯანდაცვა შეიძლება აისახოს მუდმივ ცვლილე-

ბებში, რომლის ეფექტი წლების შემდეგ ვლინდება. მომსახურება შეიძლება გაეწიოს როგორც მომხმარებელთა ჯგუფებს, ისე ცალკეულ ინდივიდებს. მაგალითად, ტრანსპორტით სხვადასხვა ინსტიტუციური ერთეულების წარმომადგენელთა გადაყვანა. ზოგიერთი მომსახურება გაეწევა საზოგადოებას მთლიანობაში. მაგალითად, კანონისა და წესრიგის დაცვა, თავდაცვა და სხვ.

საბაზრო მომსახურება იყოფა ორ კატეგორიად:

1. ყველა მომსახურება, ბანკების პირობით გამოთვლილი მომსახურების გარდა.
2. ბანკების პირობით გამოთვლილი მომსახურების ღირებულება.

პირველში შედის: საბითუმო და საცალო ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება, რემონტი, ტრანსპორტით მომსახურება, კავშირგაბმულობა, არენდა და გაქირავება, ფინანსური ორგანიზაციების მომსახურება, დაზღვევა, კერძო სწავლება, ავტომობილის მართვისა და საზაფხულო სკოლები, კერძო საექიმო პრაქტიკა, მედდების მომსახურება, ფილმების წარმოება-გაქირავება და ა.შ.

საბაზრო მომსახურებად ითვლება შემდეგი მომსახურებანიც, თუ ისინი ანაზღაურებადია:

- დალაგება და ნაგვის ლიკვიდაცია;
- უმაღლესი სკოლებს მომსახურება;
- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს მომსახურება;
- კვალიფიკაციის კურსების მომსახურება;
- სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები;
- საავადმყოფოების, კლინიკების, სანატორიუმების მომსახურება;
- სტომატოლოგთა კერძო პრაქტიკა;
- ვეტერინარული მომსახურება;
- გართობა;
- ბიბლიოთეკების, არქივების, მუზეუმების, ზოოლოგიური და ბოტანიკური პარკების მომსახურება;
- სპორტდარბაზების, მოედნების, კლუბების, მწვრთნელების მომსახურება და სხვ.

ბანკების პირობით გამოთვლილი პროდუქცია არის ფინანსური ორგანიზაციების მიერ წარმოებული პროდუქცია, რომელიც მოიცავს ფინანსურ შუამავლობას, ფინანსური რესურსების აკუმულირებას, გადარიცხვასა და განაწილებას. იგი გამოითვლება როგორც საკუთრებიდან მიღებული შემოსავალი, რომელსაც იღებენ ფინანსური დაწესებულებები კრედიტორებისთვის გადახდილი პროცენტების გამოკლებით.

არასაბაზრო მომსახურებათა გამოშვებას მიეკუთვნება:

კოლექტიური მომსახურებანი, რომელიც უფასოდ ან მინიმალურ ფასში გაეწევა საზოგადოებას, კერძოდ:

- სახელმწიფო მმართველობა, სახელმწიფო ადმინისტრაციის, თავდაცვის, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის მომსახურებანი;
- სასაფლაოების ადმინისტრაციული მომსახურება;
- საზოგადოებრივი სამუშაოები;

- პროფკავშირების მომსახურება;
- რელიგიური ორგანიზაციების მომსახურება;
- ტურისტული საინფორმაციო სააგენტოების მომსახურეობისა და კლუბების მომსახურება.

მომიჯნავე შემთხვევები. არსებობს მომსახურების დარგები, რომელთა მიერ გაწეულ მომსახურებას სასაქონლო თვისებები ახასიათებს. ეს არის დარგები, სადაც ხორციელდება ინფორმაციის მიწოდება, შენახვა, გავრცელება, კავშირი, კონსულტაციები, გართობა ფართო გაგებით, აქ შედის კინოფილმებიც, კომპიუტერული პროგრამები, მუსიკა და ა.შ. ამ სახეობის მომსახურებათა პროდუქცია ინახება ისეთ ფიზიკურ მატარებლებზე, როგორიცაა: ქაღალდი, დისკი, ფირი, დისკეტა. აღნიშნული სახის პროდუქციას აქვს საქონლური სახე და მასზე ვრცელდება საკუთრების უფლება.

ეკონომიკური წარმოების საზღვრები. ეკონომიკური წარმოება შეიძლება განვმარტოთ როგორც ინსტიტუციური ერთეულების მიერ კონტროლირებადი შრომისა და კაპიტალის დანახარჯების განევა საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის.

ბუნებრივი პროცესები არ ითვლება ეკონომიკურ წარმოებად, თუმცა მათ შედეგებს შეიძლება ეკონომიკური ღირებულება ჰქონდეს. მაგალითად, თევზის არარეგულირებადი მომრავლება საერთაშორისო წყლებში არ არის წარმოება, ხოლო თევზის მოშენება — წარმოებაა.

ეკონომიკური აზრით, საწარმოო საქმიანობა შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რასაც ახორციელებს ერთი ადამიანი მეორისათვის, ხოლო ძილი, კვება, ფიზიკური ვარჯიში — ადამიანის პირველად საქმიანობათა რიგს განეკუთვნება და არა წარმოებას, რაც შეეხება რეცხვას, საკვების მომზადებას, ბავშვების მოვლას, ეს საქმიანობა შეიძლება სხვას გადავაბაროთ, ამიტომ ისინი ნარმოების საზღვრებში ექცევიან.

საქმიანობა, რომელიც არ ჩაირთვება წარმოების საზღვრებში	საქმიანობა, რომელიც ჩაირთვება წარმოების საზღვრებში
შინამეურნეობის წევრთა მიერ განეული შინამომსახურება	დაქირავებული პირის მიერ გაწეული მომსახურება, რომლის ანაზღაურება ხდება ფულადი ფორმით ან ნატურით
გრძელვადიანი სამომხმარებლო საქონლის რემონტი მფლობელის მიერ	გრძელვადიანი სამომხმარებლო საქონლის რემონტი სახელოსნოებში
მობინადრეთა მიერ ჩატარებული საცხოვრებლის რემონტი (მიმდინარე რემონტი)	ბინათმფლობელის მიერ ჩატარებული რემონტი (კაპიტალური რემონტი)
სამომხმარებლო საქონლის გამოყენება	შინამეურნეობების მიერ საქონლის წარმოება
შიდასანარმოო მიწოდება	მიწოდებები საწარმოებს შორის

გარე ფაქტორების ზემოქმედება (გარემოს დაბინძურება)	
ქრთამი და გამოძალვა	არაკანონიერი წარმოება
პროდუქციის მოპარვა	ფარული წარმოება
საბაზრო მწარმოებლების მიერ კუთვნილი შენობებით სარგებლობის საარენდო მომსახურება	არასაბაზრო მწარმოებლების მიერ კუთვნილი შენობებით სარგებლობის საარენდო მომსახურება

შემოსავლების ფორმირების ანგარიში

შემოსავლების განაწილების ანგარიშები შეიძლება დავაჯგუფოთ შემდეგი სახით:

1. **შემოსავლების პირველადი განაწილების ანგარიშები:**
   1.1 შემოსავლების ფორმირების ანგარიში.
   1.2 პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში.
2. **შემოსავლების გადანაწილების ანგარიშები:**
   2.1 შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში;
   2.2 შემოსავლების გადანაწილების ანგარიში ნატურალური ფორმით.
3. **შემოსავლების გამოყენების ანგარიშები**
   3.1 განკარგვადი შემოსავლის გამოყენების ანგარიში.
   3.2 კორექტირებული განკარგვადი შემოსავლის გამოყენების ანგარიში.

დავახასიათოთ თითოეული ანგარიში:

შემოსავლების პირველადი განაწილების ანგარიშები მოიცავს ორ ანგარიშს: შემოსავლების ფორმირებისა და პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშებს.

შემოსავლების ფორმირების ანგარიში, ისევე როგორც წარმოების ანგარიში, ნაკადების ანგარიშია და დგება როგორც სექტორების, ისე დარგებისათვის. იგი ასახავს მშპ-ის გამოყენებას ინსტიტუციური ერთეულებისა და შინამეურნეობების პირველადი შემოსავლების წარმოქმნის მიზნით.

პირველად შემოსავლებს მიეკუთვნება:

ა) შემოსავლები საწარმოო საქმიანობიდან:

- დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება;
- გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე;
- მოგება და შერეული შემოსავლები.

ბ) შემოსავლები საკუთრებიდან:

- პროცენტები;

- სანარმოთა (კორპორაციების) განაწილებული მოგება, დივიდენდები;
- რენტა;
- სადაზღვევო პოლისების პრემიები.

შემოსავლების ფორმირების ანგარიშში შემოსავლები საკუთრებიდან არ აისახება. მასში აისახება მხოლოდ გამანაწილებელი ოპერაციები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება საწარმოო პროცესებს. მის მაჩვენებელთა სისტემაში შედის:

- დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება;
- გადასახადები ნარმოებასა და იმპორტზე;
- სანარმოთა მთლიანი მოგება;
- მოსახლეობის შერეული შემოსავლები.

ამ ანგარიშის **რესურსების ნაწილში** მოცემულია მშპ საბაზრო ფასებით და სუბსიდიები ნარმოებასა და იმპორტზე, ხოლო გამოყენება მოიცავს დაქირავებულთა შრომის ანაზღაურებას, გადასახადებს წარმოებასა და იმპორტზე, ძირითადი კაპიტალის მოხმარებასა და მოგებას.

აღნიშნული ანგარიშის მონაცემები საშუალებას იძლევა შევადაროთ ცალკეული სექტორებისა და დარგების მიხედვით შრომის ანაზღაურების დონეები და დავაკავშიროთ იგი წარმოებულ მშპ-თან. თუ გამოვიყენებთ მომუშავეთა რიცხოვნობის მაჩვენებლებს დარგებსა და სექტორებში, შესაძლებელია გამოვითვალოთ საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობა.

განვიხილოთ უფრო დეტალურად აღნიშნული ანგარიშის მაჩვენებელთა გაანგარიშების მეთოდოლოგია.

პირველადი შემოსავლების ფორმირების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
4. დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება	1. მშპ საბაზრო ფასებში
5. გადასახადები ნარმოებასა და იმპორტზე	2. სუბსიდიები წარმოებასა და იმპორტზე
6. მთლიანი მოგება და შერეული შემოსავლები (3-4-5)	
7. სულ (4+5+6)	3. სულ (1+2)

რესურსების მაჩვენებლები. რესურსების მთავარი მაჩვენებელია მშპ საბაზრო ფასებში ან მთლიანი დამატებული ღირებულება ცალკეული სექტორებისა და დარგებისათვის. **ეს მაჩვენებელი გადმოდის წარმოების ანგარიშის გამოყენების ნაწილიდან.** მშპ წარმოებასა და იმპორტზე განეული სუბსიდიების დამატებით, წარმოადგენს შემოსავლების ფორმირების წყაროს.

სუბსიდიები არის მიმდინარე ტრანსფერები (მიმდინარე არაკომპენსირებადი

გადარიცხვები), რომელსაც სახელმწიფო ეწევა სამეურნეო რეზიდენტ-ერთეულებისათვის მათ მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების ფასებსა და შემოსავლებზე ზემოქმედების მიზნით, რითიც ქმნის ნიადაგს გარკვეული ეკონომიკური თუ სოციალური პოლიტიკის გასატარებლად. ხშირად სუბსიდიები გამოიყენება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებისა და ექსპორტის (იმპორტის) სტიმულირებისათვის.

სუბსიდიები აღნიშნულ ანგარიშში განსხვავდება კაპიტალური ტრანსფერებისაგან, რადგან ეს უკანასკნელი გამოიყენება მწარმოებელთა დაგროვების დაფინანსებისათვის, ძირითადი კაპიტალის კვლავწარმოებისა და სხვა კაპიტალური დანახარჯებისათვის. სუბსიდიები იყოფა ორ ნაწილად: **სუბსიდიები წარმოებაზე და სუბსიდიები იმპორტზე.** სუბსიდიები წარმოებაზე, თავის მხრივ, იყოფა: **სუბსიდიები პროდუქტებზე და სხვა სუბსიდიები წარმოებაზე.**

სუბსიდიები პროდუქტებზე არის სუბსიდიები, რომელიც დაირიცხება წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების ერთეულზე და შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც გარკვეული ფულადი თანხა პროდუქტისა და მომსახურების ღირებულების ან რაოდენობის ერთეულზე და შეიძლება განისაზღვროს პროცენტებში ერთეულის ღირებულებასთან. სუბსიდიები პროდუქტებზე გაინევა **წარმოებული, გაყიდული ან საექსპორტოდ წარმოებული პროდუქტებისა და მომსახურებათა ღირებულების ან რაოდენობის პროპორციულად**. სუბსიდიები გაიწევა, როდესაც გასაყიდი ფასი დაიყვანება წარმოების საშუალო დანახარჯების ზღვარს ქვემოთ, როდესაც რაიმე პროდუქციის რეალიზაცია ხდება სახელმწიფოს მიერ რეგულირებული ფასებით.

სხვა სუბსიდიები წარმოებაზე არის სუბსიდიები, რომელსაც საწარმოები იღებენ სახელმწიფო მმართველობის ორგანოებიდან წარმოების ფაქტორთა გამოყენებისათვის. იგი მოიცავს:

- განსაკუთრებული კონტინგენტის მომუშავეთა გამოყენებას: ინვალიდების, უმუშევრების დასაქმებას;
- რაიმე სახეობის ნედლეულისა და ენერგიის გამოყენების სტიმულირებას;
- გარემოს დაბინძურების შემცირების სტიმულირებას (წარმოების ნარჩენების დამატებითი დამუშავება).

სუბსიდიები იმპორტზე არის გადარიცხვები სავაჭრო ორგანიზაციებისათვის, რომლებიც აწარმოებენ შესყიდვებს არარეზიდენტებისაგან და მათ მიყიდვას რეზიდენტებზე უფრო დაბალ ფასებში.

სუბსიდიები ექსპორტზე გადარიცხვებია ბიუჯეტიდან სავაჭრო ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ყიდულობენ საქონელსა და მომსახურებას რეზიდენტებისაგან და ყიდიან არარეზიდენტებზე უფრო დაბალ ფასებში.

შემოსავლების გამოყენების მაჩვენებლები. მათ მიეკუთვნება: შრომის

ანაზღაურება, არაპირდაპირი გადასახადები და მთლიანი მოგება.

შრომის ანაზღაურება მოიცავს მოცემულ პერიოდში დაქირავებულის მიერ შესრულებული სამუშაოს მიხედვით ყველა ფულად და ნატურალურ ანაზღაურებას. მასში შედის: ხელფასი, სოციალური დაზღვევის ფაქტობრივი და პირობითი გადარიცხვები. აღსანიშნავია, რომ ეას-ში აისახება **ე.წ. დარიცხული** და არა გადახდილი ხელფასი. ე.ი. ის ხელფასი, რომელიც უნდა მიეცეს მომუშავეს, თუმცა ხელზე მან შეიძლება ნაკლები მიიღოს, რითიც ნარმოიქმნება სანარმოს დავალიანება მომუშავის მიმართ. სოციალური დაზღვევის ანარიცხები შეიძლება იყოს როგორც ფაქტობრივი, ისე პირობითად დარიცხული.

ფაქტობრივი ანარიცხები მოიცავს მეწარმეთა მიერ დასაქმებულთა სასარგებლოდ წარმოებულ გადარიცხვებს სხვადასხვა სოციალური დაზღვევის ფონდებსა და საპენსიო ფონდებში.

პირობითად დარიცხული კი ის დახმარებებია, რომელსაც საწარმოები და დანესებულებები უშუალოდ უნევენ თავის მომუშავეებს (დაღუპულთა ოჯახებს, პროფესიული ტრავმებისა და დაავადებების მქონე პირთა დახმარება და სხვ.).

გადასახადები წარმოებაზე მოიცავს: გადასახადებს პროდუქტებზე და სხვა გადასახადებს წარმოებაზე. გადასახადები პროდუქტებზე გადაიხდება მწარმოებელი ან გამყიდველი რეზიდენტის მიერ პროდუქტებისა და მომსახურების რაოდენობის ან ღირებულების პროპორციულად. ასეთი სახის გადასახადებია: დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, გადასახადი რეკლამაზე, საავტომობილო გზებით სარგებლობაზე და სხვ.

სხვა გადასახადები წარმოებაზე მოიცავს: გადასახადებს წიაღისეულით და სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობაზე, ვაჭრობის უფლებაზე, ბირჟების ლიცენზირებაზე, მიწის გადასახადს, ქონებრივ გადასახადს და სხვ.

გადასახადები იმპორტზე შემოსავლების ფორმირების ანგარიშის გამოყენების ნანილში აისახება იმპორტზე სუბსიდიების გამოუკლებლად. იმპორტირებული საქონელი, რომელზეც ეკონომიკურ ტერიტორიაზე შემოსვლისთანავე ხდება გადასახადების გადახდა, კვლავ შეიძლება გახდეს დაბეგვრის ობიექტი იმის მიხედვით, თუ როგორ მიმოიქცევა ეკონომიკაში.

იმპორტულ საქონელზე დაწესებულია საიმპორტო ბაჟი, რომლის მიზანი შეიძლება იყოს სახელმნიფოს შემოსავლის ზრდა ან იმპორტის შეზღუდვა რეზიდენტი ერთეულების სასარგებლოდ.

გადასახადები ექსპორტზე გადაიხდება, როდესაც საქონელი ტოვებს ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიას. მონაცემები გადასახადების შესახებ ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ისინი გვიქმნიან წარმოდგენას ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკისა და სხვადასხვა დარგებსა და სექტორებში საგადასახადო ბეგარის გადანაწილების პროპორციების შესახებ.

შემოსავლების ფორმირების ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია ეკონომიკის მთლიანი მოგება, ან შერეული შემოსავალი. მისი გამოთვლისათვის მშპ-ს საბაზრო ფასებში უნდა დავაკლოთ მომუშავეთა შრომის ანაზღაურება და აგრეთვე წმინდა გადასახადები ნარმოებასა და იმპორტზე (სუბსიდიების გამოკლებით). ასეთი სახით მიღებულ მთლიან მოგებას თუ დავაკლებთ ძირითადი კაპიტალის მოხმარებას, მივიღებთ წმინდა მოგებას.

მთლიანი (წმინდა) მოგება დამატებული ღირებულების ის ნაწილია, რომელიც რჩება მწარმოებელთან შრომის ანაზღაურებისა და წმინდა გადასახადების გადახდის შემდეგ. აღნიშნული მუხლის საშუალებით იზომება წარმოებისაგან მიღებული მოგება ან ზარალი საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების გათვალისწინებამდე.

აღსანიშნავია, რომ მოგება ეას-ში რამდენადმე განსხვავდება ბუღალტრული მოგებისაგან. საქმე იმაშია, რომ მოგება დასაბეგრი მაჩვენებელია, ამიტომ მისი გაანგარიშება განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს. მოგების სტატისტიკური განსაზღვრა სცილდება მოგების განსაზღვრას მოგების დაბეგვრის ინტერესებიდან. მაგალითად, საწარმოთა ზოგიერთი დანახარჯი, რომელიც სცილდება დადგენილ ნორმატივს, შეიძლება ისევე დაიბეგროს, როგორც მოგება, თუმცა სტატისტიკის თვალსაზრისით, იგი მოგებად არ ჩაითვლება.

ეას-ის განმარტების მიხედვით, საწარმოთა მოგების გარდა, მოგება მოიცავს აგრეთვე **არაკორპორირებული საწარმოების შერეულ შემოსავლებს,** რომელიც აერთიანებს როგორც ამ საწარმოების მოგებას, ასევე შრომის ანაზღაურებას (კერძო მეწარმეობა დაქირავებული შრომის გარეშე, დამხმარე მეურნეობა, თავისუფალი პროფესიების პირთა შემოსავლები, საავტორო ჰონორარები და სხვ.).

მოგება და შერეული შემოსავალი წარმოადგენს შემოსავლების გადამეტების მაჩვენებელს ხარჯებზე საარენდო და საკუთრებიდან მიღებულ შემოსავლებზე (ფინანსურ აქტივებზე, მიწასა და სხვა არასაწარმოო აქტივებზე) გადასახადების გადახდამდე.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება. აქ ძირითადი პრობლემაა ძირითადი კაპიტალის მოხმარების სიდიდის დადგენა. მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში გამოიყენება **ძირითადი კაპიტალის უწყვეტი გადაფასების მეთოდი.** მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ძირითადი კაპიტალის ნარჩენი აღდგენითი ღირებულების დადგენა ხდება სპეციალური მათემატიკური მოდელის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე (რამდენიმე ათეული წელი) კაპიტალური დაბანდებების მოცულობას, ძირითადი კაპიტალის გასვლის ნორმებს და სხვ.

აღნიშნული პრაქტიკის დანერგვა ჯერ არ განხორციელებულა ჩვენთან, თუმცა მუშაობა ამ მიმართულებით მიმდინარეობს. ძირითადი კაპიტალის მოხმარება ყველა სახის ფონდებისათვის გაიანგარიშება მიმდინარე აღდგენითი ღირებულებისა და სამსახურის ვადის ბაზაზე. ამასთან, ძირითადი კაპი-

ტალის ღირებულების ჩამოწერა წარმოებს ექსპლუატაციის მთელი ვადის მანძილზე თანაბრად.

ძირითადი კაპიტალის მოხმარებაში ჩაირთვება აგრეთვე მოსალოდნელი დანაკლისი და დანაკარგები (ხანძარი, უბედური შემთხვევა), იქიდან გამომდინარე, რისი დაზღვევაც შესაძლებელია. თუ ძირითადი კაპიტალი დაზღვეულია, მაშინ მოსალოდნელი დანაკარგის თანხა სადაზღვევო გადასახადების ჯამის ტოლია, ხოლო თუ არ არის დაზღვეული, გამოდიან იმ თანხიდან, რაც საჭირო იქნებოდა აღნიშნული დანაკარგების დაზღვევისათვის.

მოცემულ ეტაპზე ძირითადი კაპიტალის მოხმარება გაიანგარიშება, როგორც ცვეთისა (ამორტიზაციისა) და არაამორტიზებული ღირებულების ჯამი.

პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში

მოცემული ანგარიშის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ გვიჩვენოს თუ როგორ გადადის დამატებული ღირებულების მწარმოებელ სექტორებში შექმნილი შემოსავალი სხვა მიმღებ სექტორებში პირველადი შემოსავლის სახით.

პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
6. „დანარჩენი მსოფლიოსათვის" გადაცემული შემოსავლები საკუთრებიდან	1. მთლიანი მოგება და შერეული შემოსავლები
7. სუბსიდიები ნარმოებასა და იმპორტზე	2. დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება
8. პირველადი შემოსავლების სალდო (5-6-7)	3. გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე
	4. „დანარჩენი მსოფლიოდან" მიღებული შემოსავლები საკუთრებიდან და სამეწარმეო საქმიანობიდან
9. სულ (6+7+8)	5. სულ (1+2+3+4)

ანგარიშის რესურსების ნაწილი ორი ძირითადი სახის შემოსავლებისაგან შედგება. **პირველში შედის**: დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება,

რომელსაც იღებენ შინამეურნეობები, გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე სუბსიდიების გამოკლებით, საწარმოთა მოგება ან შერეული შემოსავლები. აღნიშნულ პირველად შემოსავლებს იღებენ რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ წარმოების პროცესში, ან ამ პროცესში მონაწილეობენ გადასახადების გადახდის გზით.

მეორე სახის შემოსავლებია: ფინანსურ და არანარმოებულ აქტივებზე საკუთრებიდან მიღებული შემოსავლები. არანარმოებული აქტივები არის ბუნებრივი რესურსები მიწის ჩათვლით.

ეას-ში შემოსავლები საკუთრებიდან კლასიფიცირდება შემდეგი სახით: პროცენტები, კორპორაციების განაწილებული მოგება, მათ შორის დივიდენდები, რეინვესტირებული შემოსავლები პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან, შემოსავლები სადაზღვევო პოლისების ფლობიდან, რენტა. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

პროცენტები საკუთრებიდან მიღებული შემოსავლის ისეთი ფორმაა, რომელსაც იღებენ ფინანსური აქტივების მფლობელები. მათ მიეკუთვნება: საშემნახველო შენატანები, ფასიანი ქაღალდები (აქციების გარდა), სესხები ან დებიტორთა სხვა ანგარიშები. ყველა ეს ფინანსური მოთხოვნა წარმოადგენს დებიტორთა ვალდებულებებს კრედიტორების მიმართ.

კორპორაციათა განაწილებული შემოსავალი (მოგება) შედგება დივიდენდებისა და კვაზიკორპორაციების შემოსავლების ამოღებებისაგან.

დივიდენდი წარმოადგენს საკუთრებიდან მიღებული შემოსავლის ფორმას იმ შემთხვევაში, როდესაც აქციონერი თავის სახსრებს გადასცემს კორპორაციის განკარგულებაში (აქციების ყიდვის გზით).

კვაზიკორპორაციების ამოსაღები შემოსავალი — საკუთრებიდან შემოსავლის ეს ფორმა დაერიცხება კვაზიკორპორაციის მფლობელს საწარმოში ინვესტირებული სახსრების შესაბამისად.

თუ კორპორაციაში ან კვაზიკორპორაციაში უცხოელი ინვესტორი ახორციელებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციას, ამ საწარმოს ეწოდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საწარმო.

დივიდენდები, რომელსაც უხდიან უცხოელ ინვესტორებს, ეას-ში განიხილება როგორც საკუთრებიდან შემოსავლების საერთაშორისო ნაკადები. ეას-ის მოთხოვნების შესაბამისად დანაზოგები ან გაუნაწილებელი მოგება უნდა განვიხილოთ როგორც უცხოელი ინვესტორებისათვის გადარიცხული (საწარმოში საკუთრების წილის პროპორციულად) და შემდეგ რეინვესტირებული. ტექნიკურად ეს ხორციელდება ორი ჩანაწერით საწარმოთა და უცხოელი ინვესტორის ანგარიშებზე. პირველი — პირველადი შემოსავლების ანგარიშში, როგორც პირობითად გამოთვლილი გადარიცხვის თანხა, ხოლო მეორე — რეინვესტიციების პირობითი თანხა, რომელიც კაპიტალის ანგარიშში აისახება აქციებისა და აქტივების სხვა ფორმით.

სიცოცხლის დაზღვევის რეზერვებში განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავალი განიხილება, როგორც შინამეურნეობების შემოსავალი სადაზღვევო პოლისების შეძენიდან.

რენტას იღებენ არანარმოებული აქტივების (ნიაღისეული, მინა) მფლობელები სხვა ინსტიტუციური ერთეულებისათვის გადაცემული აქტივით სარგებლობისათვის.

პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში ასახავს აგრეთვე ფაქტორული შემოსავლების მიღებას (ან გადაცემას) საზღვარგარეთიდან. ფაქტორულ შემოსავლებს მიეკუთვნება, მაგალითად, საქართველოს მოქალაქეების მიერ საზღვარგარეთ მიღებული ხელფასი ან საქართველოს სანარმოების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული საქმიანობიდან მიღებული მოგება, რომელიც შემდგომ გადმოირიცხება საქართველოში საბოლოო მოხმარების ან დაგროვების მიზნით. ამასთან, სანარმოები და ცალკეული მოქალაქეები უნდა იყვნენ რეზიდენტები. შესაბამისად, უცხოელი მოქალაქეებისა და საწარმოების შემოსავლები, რომლებიც არ არიან რეზიდენტები, არ მოიხმარება ჩვენს ტერიტორიაზე და ამიტომ გამოირიცხება აღნიშნული ანგარიშიდან. შედეგად პირველადი შემოსავლების სიდიდე რამდენადმე იცვლება, ამ მაჩვენებელს მთელი ეკონომიკის მასშტაბით ენოდება **ეროვნული შემოსავალი**, ხოლო ცალკეული სექტორების დონეზე — **პირველადი შემოსავლების სალდო.**

როდესაც გადავდივართ წარმოების ანგარიშიდან პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშზე, ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ ცნებები **„პროდუქტი"** და **„შემოსავალი"**. კერძოდ, მშპ წარმოების მახასიათებელი მაჩვენებელია, ხოლო ეროვნული შემოსავალი — რეზიდენტი ერთეულების შემოსავლების. მშპ და ეროვნული შემოსავალი ერთმანეთისაგან განსხვავდება ძირითადი კაპიტალის მოხმარებისა და საზღვარგარეთიდან შემოსავლების სალდოს (მიღებული-გაცემული) ჯამით. სალდოს ეს სიდიდე საქართველოსთვის შეიძლება საკმაოდ მცირე იყოს და ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ, მაგრამ ეკონომიკური შინაარსის მიხედვით აქ ხდება გადასვლა ერთი კატეგორიიდან მეორეზე, კერძოდ, წარმოებიდან შემოსავლების კატეგორიებზე.

დამაბალანსებელი მუხლია პირველადი შემოსავლების სალდო. ეს არის ყველა მიღებული და გადახდილი შემოსავლების სხვაობა.

მთელი ეკონომიკის მასშტაბით პირველადი შემოსავლების სალდო ძირითადი კაპიტალის მოხმარების გამორიცხვამდე შეადგენს მთლიან ეროვნულ პროდუქტს (მეპ).

მეპ = მშპ + შემოსავლების სალდო საზღვარგარეთიდან.

თუ მეპ-ს გამოვაკლებთ ძირითადი კაპიტალის მოხმარებას, მივიღებთ წმინდა ეროვნულ პროდუქტს:

წეპ = მეპ — ძირითადი კაპიტალის მოხმარება.

პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში ასახავს რეზი-

დენტი ინსტიტუციური ერთეულების ან სექტორების საქმიანობას არა მწარმოებლების, არამედ პირველადი შემოსავლების მიმღებთა როლში. რადგან ამ ანგარიშს უკვე აღარ გააჩნია უშუალო კავშირი წარმოებასთან, ამიტომ იგი დგება მხოლოდ ინსტიტუციური ერთეულებისა და სექტორებისათვის (და არა ცალკეული დარგისათვის).

შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში

აღნიშნული ანგარიში გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება ეკონომიკის, ინსტიტუციური ერთეულებისა და სექტორების შემოსავლების ტრანსფორმაცია მათ განკარგვად შემოსავლებად მიმდინარე ტრანსფერების მიღების/გაცემის ხარჯზე ნატურალური სოციალური ტრანსფერების გარეშე.

შემოსავლების მეორადი განანილების ანგარიში მნიშვნელოვანია ცალკეული სექტორებისათვის და ნაკლებად მნიშვნელოვანია ეკონომიკისათვის მთლიანობაში. ორმაგი გატარების პრინციპიდან გამომდინარე სექტორულ ანგარიშებში გადანანილების ოპერაციები გატარდება ორჯერ. ყველა ამ ოპერაციის გატარების შედეგად სექტორებისათვის მიიღება მაჩვენებელი — მთლიანი განკარგვადი შემოსავალი, ხოლო ეკონომიკის მასშტაბით — მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი. სექტორის ან ინსტიტუციური ერთეულის მიერ გადახდილი ტრანსფერები გატარდება მარცხნივ — განანილებაში, ხოლო მიღებული — მარჯვნივ, რესურსებში.

მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია. ის მიიღება ინსტიტუციური ერთეულის, სექტორის პირველადი შემოსავლების სალდოზე მიღებული ტრანსფერების დამატებით და გაცემული ტრანსფერების გამოკლებით (სოციალური ტრანსფერების გარდა ნატურალური ფორმით).

რაც შეეხება ქვეყნის ეკონომიკას, მთლიანი ან წმინდა ეროვნული განკარგვადი შემოსავალი შეიძლება მივიღოთ შემდეგნაირად: მთლიან ან წმინდა ეროვნულ შემოსავალს ემატება რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულების მიერ არარეზიდენტებისაგან მიღებული ყველა მიმდინარე ფულადი და ნატურალური ტრანსფერი და აკლდება ყველა მიმდინარე ფულადი და ნატურალური ტრანსფერი, რომელსაც არარეზიდენტები იღებენ მოცემული ქვეყნის რეზიდენტებისაგან. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მებშ გარკვეული თვალსაზრისით, უკეთესი მაჩვენებელია, ვიდრე მეშ.

შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიშის სქემა შემდეგი ხასიათია:

გამოყენება	რესურსები
4. საზღვარგარეთ გადაცემული მიმდინარე ტრანსფერები **5. მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი (3-4)**	1. პირველადი შემოსავლების სალდო (მთლიანი ეროვნული შემოსავალი) 2. საზღვარგარეთიდან მიღებული მიმდინარე ტრანსფერები
6. სულ გამოყენება (4+5)	3. სულ რესურსები (1+2)

ტრანსფერი არის ოპერაცია, რომელშიც ერთი ინსტიტუციური ერთეული წარუდგენს მეორეს საქონელს, მომსახურებას ან აქტივს ამ უკანასკნელისაგან რაიმე ეკვივალენტური საქონლის, მომსახურების ან აქტივის მიღების გარეშე. ტრანსფერი ფულადი ფორმით არის ნაღდი ფულის ან ანაბრის გადარიცხვა მეორე ერთეულისათვის რაიმე ეკვივალენტის მიღების გარეშე. ტრანსფერი ნატურალური ფორმით — საკუთრების გადაცემა რაიმე საქონელსა ან აქტივზე, მომსახურების გაწევა ეკვივალენტის გარეშე.

ტრანსფერების გამსხვილებულ კლასიფიკაციას შემდეგი სახე აქვს:

- გადასახადები შემოსავლებზე, სიმდიდრეზე და სხვ.;
- სოციალური დაზღვევის ანარიცხები;
- სოციალური დახმარება;
- სხვა მიმდინარე ტრანსფერები.

შემოსავლების გადანაწილების ანგარიში ნატურალური ფორმით წარმოადგენს შინამეურნეობების, შმაკო-ებისა და სახელმწიფო ორგანოების ინტერესის სფეროს. თითოეული ამ სექტორისათვის აღნიშნული ანგარიშის შედგენის საფუძველზე მიიღება მაჩვენებელი **კორექტირებული განკარგვადი შემოსავალი.** ეს მაჩვენებელი განკარგვადი შემოსავლისაგან განსხვავდება ნატურალური სოციალური ტრანსფერების მოცულობით. ეს შეიძლება იყოს ჰუმანიტარული დახმარება, არაკომერციული ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული უფასო დასვენება, უფასო საბავშვო ბაღი, საახალწლო დღესასწაულების გამართვა და ა.შ.).

შედეგად, შინამეურნეობების კორექტირებული განკარგვადი შემოსავალი აღმოჩნდება მეტი, ხოლო შმაკო-ებისა და სახელმწიფო ორგანოების სექტორის — უფრო ნაკლები განკარგვად შემოსავალზე.

ეროვნული მოხმარების უდიდესი ნაწილი შინამეურნეობების საბოლოო მოხმარებაზე მოდის. ის მოიცავს რეზიდენტი შინამეურნეობების მოხმარებას როგორც მოცემული ქვეყნის, ისე სხვა ქვეყნების ეკონომიკურ ტერიტორიაზე. **შინამეურნეობების დანახარჯები საბოლოო მოხმარებაზე მოიცავს:**

ა) ახალი მოკლევადიანი და გრძელვადიანი მოხმარების საგნების შეძენას;

ბ) საბაზრო მომსახურების შეძენას, რომელშიც შედის:

- ბინისა და კომუნალური გადასახადების გადახდა;
- სასტუმროში ცხოვრების დანახარჯები;
- საყოფაცხოვრებო მომსახურების ანაზღაურება (აბანო, სამრეცხაო, საპარიკმახერო, ფოტოატელიე, გაქირავების პუნქტები, ცნობათა ბიურო და ა.შ.);
- ფასიანი სამედიცინო მომსახურება;
- ბილეთების შეძენა კინოში, თეატრში, მუზეუმსა და სხვა კულტურულ, საგანმანათლებლო და გართობის ობიექტებში;
- ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა;
- სპორტულ ღონისძიებებზე დასწრება;
- ბინის, მანქანის, მოწყობილობების დაქირავება;
- ფინანსური, იურიდიული და სხვა მომსახურება;
- კურსები, ტრენინგები, სხვადასხვა წრეები;
- შინამოსამსახურის ანაზღაურება.

გ) შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის პროდუქტების დამზადებას;

დ) შრომის ანაზღაურებას ნატურალური ფორმით;

ე) უფასო (ან დაბალი ფასებით) მოსამსახურეთა უზრუნველყოფას სამედიცინო მომსახურებით, კლუბებით, სტადიონებით, დასასვენებელი სახლებით და ა.შ.);

ვ) სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაწეული სოციალურ დახმარებას ნატურალური ფორმით;

ზ) პირობით რენტას საკუთარ ბინაში ცხოვრებისათვის;

თ) საზღვარგარეთიდან მიღებული და გაგზავნილი საჩუქრების ღირებულების სალდოს;

ი) შინამეურნეობების მიერ შეძენილი და გაყიდული ანტიკვარიატის ღირებულების სალდოს.

შინამეურნეობების საბოლოო მოხმარება არ შეიცავს:

ა) სახლების, ბინების შეძენას (შედის ძირითადი კაპიტალის დაგროვებაში).

ბ) სხვადასხვა საქონლის შეძენას საწარმოო მიზნებისათვის (შუალედური მოხმარება):

- სამშენებლო მასალების შეძენა;
- ვეტერინარული, იურიდიული მომსახურება, ჯოგის დაზღვევა, სამეურნეო ნაგებობებისა და მანქანების დაზღვევა;
- სამეურნეო შენობების, მანქანების, ინვენტარის არენდა;
- ბინათმფლობელების მიერ ჩატარებული მიმდინარე რემონტი, მასალების შეძენასთან ერთად (დამქირავებლები ანალოგიურ ხარჯებს აერთიანებენ საბოლოო მოხმარებაში);
- შინამეურნეობის წევრების მიერ ერთმანეთისათვის გაწეული მომსახურება (შინამოსამსახურის მომსახურება შედის საბოლოო მოხმარებაში).

სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხარჯები მოიცავს უფასო მომსახურების ღირებულებას ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, კულტურის, მეცნიერების, ზოგადი მართვის, თავდაცვისა და სხვა სფეროებში. აღნიშნული დანესებულებების საბოლოო მოხმარება მოიცავს დანახარჯებს საქონლისა და მომსახურების შეძენაზე, მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე, გადასახადებსა და ამორტიზაციაზე.

სახელმწიფო დაწესებულებების მიმდინარე ხარჯებში შედის აგრეთვე საომარი ტექნიკის შესყიდვა, სამხედრო ობიექტების მშენებლობისა და სახელმწიფო რეზერვების შექმნისათვის პროდუქტების შეძენის გარდა (მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილება).

დაგროვების ანგარიშები

აქამდე ჩვენ მიერ განხილული ანგარიშები მიეკუთვნებოდა მიმდინარე ანგარიშთა ტიპს, რადგან ყველაფერი, რაც ამ ანგარიშებში აისახება, მიეკუთვნება ისეთ ოპერაციებს, რომლებიც მიმდინარე პერიოდში მთავრდება. ეას-ში ტერმინი „მიმდინარე" ასახავს რეგულარულად განმეორებით პროცესს, რომელიც უშუალოდ არ ეხება კაპიტალს.

კაპიტალის ანგარიშში აისახება ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის, არამატერიალური და ფინანსური აქტივების რეალური დაგროვების პროცესი და აგრეთვე მოცემულია მათი დაფინანსების წყაროები.

ეას-ის დაგროვების ანგარიში მოიცავს: კაპიტალის ანგარიშს, ფინანსურ ანგარიშს, აქტივების ცვლილებებისა და გადაფასების ანგარიშებს.

დაგროვების ანგარიშების უმნიშვნელოვანესი ელემენტია ეკონომიკური აქტივები. **ეკონომიკური აქტივები** ის ობიექტებია, რომლებიც ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

- ინსტიტუციური ერთეულების მხრიდან მათზე ინდივიდუალურად ან კოლექტიურად ვრცელდება საკუთრების უფლება;
- ეკონომიკური აქტივების მფლობელები მათი ფლობისა და სარგებლობის საფუძველზე გარკვეული პერიოდის მანძილზე იღებენ ეკონომიკურ სარგებელს.

ეას-ში განასხვავებენ შემდეგი სახის აქტივებს:

- ფინანსური და არაფინანსური;
- წარმოებული და არაწარმოებული;
- მატერიალური და არამატერიალური.

აგრეგირებული ფორმით აქტივების კლასიფიკაციას აქვს შემდეგი სახე:

1. **არაფინანსური აქტივები**
   - **1.1. წარმოებული აქტივები**
     - 1.1. 1. მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი აქტივები
       - 1.1.1.1. ძირითადი კაპიტალი
       - 1.1. 1. 2. მატერიალური საბრუნავი კაპიტალი
       - 1.1.1. 3. ფასეულობანი
     - 1.1. 2. ა რ ა მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი აქტივები
       - 1.1.2.1. დანახარჯები გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებზე
       - 1.1.2.2. პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებები
       - 1.1.2.3. მხატვრული და ლიტერატურული ნანარმოებების ორიგინალები
   - **1.2. არაწარმოებული აქტივები**
     - 1.2.1. მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი აქტივები
       - 1.2.1.1. მიწა
       - 1.2.1.2. სასარგებლო წიაღისეული
     - 1.2.2. ა რ ა მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი აქტივები (ლიცენზიები, პატენტები, გუდვილი და ა.შ.).
2. **ფინანსური აქტივები** (მონეტარული ოქრო, ნასესხობის სპეციალური უფლებები, ნაღდი ფული, დეპოზიტები, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, სესხები და ა.შ.).
3. **ყველა აქტივი** (1+2)

არაფინანსური აქტივები წარმოშობის მიხედვით შეიძლება იყოს სანარმოო პროცესის შედეგად ნარმოებული ან არანარმოებული, როგორც ბუნების ძღვენი. წარმოებული არაფინანსური აქტივების შემადგენლობაში შედის ძირითადი კაპიტალი, მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგები და ფასეულობანი.

ძირითადი კაპიტალი არის მატერიალური და არამატერიალური სანარმოო აქტივების ერთობლიობა. ეს აქტივები სანარმოო პროცესში მონაწილეობენ მრავალჯერ ან მუდმივად და ნაწილ-ნაწილ, ცვეთის პროპორციულად გადააქვთ თავიანთი ღირებულება პროდუქტსა და მომსახურებაზე.

სწორედ მრავალჯერადი მოხმარება და არა გამძლეობა იქცა ძირი-

თადი კაპიტალის განსაზღვრის მნიშვნელოვან კრიტერიუმად. ზოგიერთი პროდუქტი, მაგალითად, ნახშირი, ძალიან დიდხანს ინახება, მაგრამ ერთხელ მოიხმარება და ამიტომ არ წარმოადგენს ძირითად კაპიტალს. ამასთან, ძირითად კაპიტალს მიეკუთვნება ცოცხალი პირუტყვი და ნარგავები, რომლებიც იძლევიან პროდუქციას და ისეთი არამატერიალური აქტივები, როგორიცაა: პროგრამული უზრუნველყოფა და ხელოვნების ნიმუშთა ორიგინალები.

ეას-ში მთელი კაპიტალი მოიაზრება როგორც საწარმოო კაპიტალი, რადგან თვით საწარმოო საქმიანობის საზღვრები ძალზე ფართოა. ავიღოთ თუნდაც საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლი. ისიც საწარმოო აქტივია, რადგან თავის მობინადრეებს ემსახურება. იგივე შეიძლება ითქვას ჯანდაცვისა და განათლების ძირითად კაპიტალზეც.

ძირითადი კაპიტალი მოიცავს შემდეგი სახის **მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ აქტივებს**:

- შენობები და ნაგებობები;
- მანქანები და მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალებები;
- კულტივირებადი აქტივები — საჯიშე ნახირი, პროდუქტიული და მუშა პირუტყვი, ბაღები, ვენახები და სხვა ნარგავები, რომლებიც პროდუქციის მისაღებად მრავალჯერადად გამოიყენება.

ძირითად კაპიტალს მიეკუთვნება ორმაგი დანიშნულების ყველა ნაგებობა და ობიექტი, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო (აეროდრომები, ნავსადგურები (დოკები), გზები, ჰოსპიტლები და სხვ.).

ა რ ა მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი ძირითადი კაპიტალი მოიცავს:

- დანახარჯებს გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებზე;
- დანახარჯებს პროგრამული უზრუნველყოფისათვის;
- ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების, ფილმების, ხმოვანი ჩანაწერების, ხელნაწერების ორიგინალებს, რაც შემდგომი ტირაჟირების საფუძველს წარმოადგენს.

მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგებია:

- სანარმოო მარაგები;
- დაუმთავრებელი ნარმოება;
- მზა პროდუქცია;
- საქონელი ხელმეორედ გაყიდვისათვის;
- სახელმწიფო მატერიალური რეზერვები.

ფასეულობანი — ძვირფასი ლითონები და ქვები, ანტიკვარიატი, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, ისინი იგივე საშემნახველი საშუალებებია. ამასთან, იგულისხმება, რომ დროთა განმავლობაში მათი რეალური ღირებულება არ იცვლება.

არანარმოებული არაფინანსური აქტივები მოიცავს ისეთ აქტივებს, რომლებიც არ ნარმოადგენენ ნარმოების შედეგს, მაგრამ გამოიყენებიან ნარმოების პროცესში.

არაწარმოებულ მატერიალურ აქტივებს მიეკუთვნება ბუნებრივი აქტივები: მიწა, წიაღისეული, ბუნებრივი ბიოლოგიური რესურსები, მინისქვეშა წყლის რესურსები და ა.შ.

ზოგიერთი ბუნებრივი წარმოშობის რესურსი არ განიხილება როგორც ეკონომიკური აქტივი. ეს ის აქტივებია, რომლებზეც არ ვრცელდება საკუთრების უფლება ან რომელთა ფლობას არ მოაქვს ეკონომიკური სარგებელი (საჰაერო სივრცე, ოკეანეები, დამუშავებისათვის მიუწვდომელი სასარგებლო ნიაღისეული და სხვ.).

არაწარმოებული არამატერიალური აქტივები არის იურიდიული ფორმები, რომლის შედგენა ხდება სანარმოო პროცესთან დაკავშირებით და პერიოდულად გადაეცემა ერთი ინსტიტუციური ერთეულიდან მეორეს (საავტორო უფლება, ლიცენზია, სავაჭრო ნიშანი და სხვ.).

კაპიტალის ანგარიშის სქემა შემდეგი სახისაა:

გამოყენება	რესურსები
4. ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება 5. მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილება 6. მიწისა და არამატერიალური აქტივების წმინდა შესყიდვები 7. „დანარჩენი მსოფლიოსათვის" გადარიცხული კაპიტალური ტრანსფერები **8. ერის წმინდა კრედიტები (+) ან წმინდა ვალები (—)**	1. მთლიანი ეროვნული დაზოგვა 2. „დანარჩენი მსოფლიოდან" მიღებული კაპიტალური ტრანსფერები
9. სულ 4+5+6+7+8	3. სულ 1+2

რესურსების ნაწილში ძირითადი მაჩვენებელია მთლიანი ეროვნული დაზოგვა, რომელიც გადმოტანილია შემოსავლების გამოყენების ანგარიშიდან. შედარებით პატარა ქვეყნისათვის ეს მაჩვენებელი შეიძლება უარყოფითიც იყოს. „დანარჩენი მსოფლიოდან" მიღებული კაპიტალური ტრანსფერებია: კაპიტალური ხასიათის საჩუქრები, გადასახადები კაპიტალზე, მემკვიდრეობა და შემოწირულობანი არარეზიდენტებისგან და სხვა კაპიტალური ტრანსფერების ქვეშ იგულისხმება კაპიტალური ხასიათის აქტივების უსასყიდლო გადაცემა. იგი მოიცავს სუბსიდიებს კაპიტალურ დაბანდებებზე, გადასახადებს კაპიტალზე და სხვა კაპიტალურ ტრანსფერებს.

კაპიტალის ანგარიშის გამოყენების ნაწილის მთავარი მაჩვენებელია ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება. იგი მოიცავს შემდეგ ელემენტებს: ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება, მატერიალური საბრუნავი

საშუალებების მატება, ფასეულობათა წმინდა შესყიდვები.

ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება მოიცავს შემდეგ პუნქტებს:

1. ეკონომიკური ერთეულის მიერ წარმოებული (სამეურნეო წესით) ან ნაყიდი ახალი გრძელვადიანი მოხმარების საგნები ან ობიექტები (შენობები, ნაგებობები, მანქანები და მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალებები);
2. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნასა და შეძენაზე გაწეული დანახარჯები;
3. ცვლილებანი ჯოგის მატებაში (საჯიშე, მუშა, მეხორცული, პროდუქტიული ჯიშები);
4. დანახარჯები, რომელიც გაიწევა ძირითადი კაპიტალის ნორმალური სამსახურის ვადის გასაგრძელებლად ან ძირითადი კაპიტალის მწარმოებლურობის ამაღლების მიზნით;
5. გეოლოგიურ-საძიებო და დაზვერვის სამუშაოებისათვის გაწეული ხარჯები;
6. მინის გასაუმჯობესებლად გაწეული კაპიტალური ხასიათის დანახარჯები;
7. მინის, ძირითადი კაპიტალის, ტყის მასივებისა და არამატერიალური აქტივების საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები გადასახადების ჩათვლით;
8. ძირითადი კაპიტალის იმპორტი (საელჩოების მიერ საზღვარგარეთ ძირითადი კაპიტალის ყიდვის ჩათვლით).

ძირითადი კაპიტალის მთლიან დაგროვებაში არ შედის:

1. მცირე ინსტრუმენტები, სამუშაო ტანსაცმელი, სათადარიგო ნაწილები, მცირეფასიანი მოწყობილობა (იმ შემთხვევაშიც კი, თუ ერთ წელზე მეტ ხანს გვემსახურება);
2. შინამეურნეობების მიერ შეძენილი გრძელვადიანი მოხმარების საგნები (მიეკუთვნება შინამეურნეობების საბოლოო მოხმარებას);
3. სახელმწიფო დაწესებულებათა მიერ სამხედრო ტექნიკის შესყიდვასა და გრძელვადიანი მოხმარების მოწყობილობებზე გაწეული ხარჯები (მიეკუთვნება სახელმწიფო დაწესებულებათა შუალედურ მოხმარებას);
4. სამეურნეო ერთეულის დანახარჯები სამეცნიერო გამოკვლევებსა და რეკლამაზე (მიეკუთვნება შუალედურ მოხმარებას).
5. მინები, სასარგებლო ნიაღისეული, ტყის მასივები და აგრეთვე არამატერიალური აქტივები (ეს ოპერაციები აისახება მუხლში „მინისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვები“).

თუ შენობებისა და ნაგებობების მშენებლობა არ დამთავრებულა, იმ

შემთხვევაში, როდესაც შემკვეთის მიერ შესრულებულ სამუშაოზე გადახდილია თანხა, ის აისახება როგორც ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება, ხოლო თუ არ არის ღირებულება ანაზღაურებული, საქმე გვაქვს სამშენებლო ორგანიზაციის დაუმთავრებელ წარმოებასთან და აისახება მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილებაში.

ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვების ელემენტების შეფასება ხდება შესყიდვის ფასებით (თუ ისინი ნაყიდია), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოებულია სამეურნეო წესით — ძირითად ფასებში.

მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგებში ერთიანდება ყველა ის პროდუქტი, რომელიც მოცემული პერიოდისათვის აქვს სამეურნეო ერთეულს და არ შედის ძირითადი კაპიტალის მთლიან დაგროვებაში. **მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგებში შედის**:

- სამრეწველო საქონლის მარაგები (ნედლეული, მასალები, ნახევარფაბრიკატები, სანვავი, მზა არარეალიზებული პროდუქცია);
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მარაგები;
- სუქებაზე დაყენებული პირუტყვი, მოზარდული, ბოცვერები, ფრინველი და ფუტკარი;
- დაუმთავრებელი წარმოება;
- სახელმწიფო მატერიალური რეზერვების მარაგები;
- სხვა მარაგები (შეძენილი ხელახალი გაყიდვისათვის).

მარაგების მატება მოცემული პერიოდისათვის გაიანგარიშება როგორც პერიოდის ბოლოსა და დასანყისში მარაგების სალდო. მნიშვნელოვანია, რომ პერიოდის ბოლოსა და დასანყისში მარაგები შეფასდეს ერთსა და იმავე ფასებში, ან საშუალო ფასებში. ნინააღმდეგ შემთხვევაში წარმოიქმნება ეფექტი, რასაც **ჰოლდინგური მოგება** ენოდება. ეს არის მოგება, რომელსაც მატერიალური აქტივების მფლობელი იღებს ინფლაციის შედეგად. ინფლაციის შედეგად იზრდება მატერიალური აქტივების ფასი და ეს შესაბამისად დამატებით მოგებას ქმნის. ჰოლდინგური მოგება გადაფასების ანგარიშში აისახება.

ფინანსური ანგარიში

კაპიტალის ანგარიშში აისახება არაფინანსური აქტივების დაგროვებისათვის სახსრების გამოყენება, ხოლო ფინანსურ ანგარიშში ის, თუ როგორ ხდება ფინანსური აქტივების შევსება შექმნილი დეფიციტის პირობებში: დამატებითი ფინანსური ვალდებულებების (ვალების) აღებით თუ ფინანსური აქტივების ხარჯვით. ან პირიქით, ფინანსური აქტივების სიჭარბის შემთხვევაში სხვა აქტივების შეძენა ხდება თუ ვალდებულებების შემცირება

(ვალების გასტუმრება). ე.ი. ფინანსური ანგარიში გვიჩვენებს ფინანსური რესურსების განაწილების მექანიზმს კრედიტორ-სექტორებსა და მოვალე-სექტორებს შორის, მაგრამ არ სცემს პასუხს კითხვაზე, თუ ვინ ვის აფინანსებს. ამისათვის უფრო დეტალური ცხრილების შედგენაა საჭირო.

ფინანსურ ანგარიშში გამოიყოფა **ფინანსური აქტივების** შემდეგი კატეგორიები:

1. მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლებები (ნსუ);
2. ნაღდი ფული და დეპოზიტები;
3. ფასიანი ქაღალდები აქციების გარდა;
4. სესხები;
5. აქციები და კაპიტალში მონაწილეობის სხვა სახეები;
6. სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები;
7. დებიტორებისა და კრედიტორების სხვა ანგარიშები.

ეას-ის ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს ორი კრიტერიუმი:

- აქტივის სამართლებრივი მახასიათებლები, ანუ კრედიტორისა და დებიტორის ურთიერთდამოკიდებულების აღწერა;
- აქტივის ლიკვიდურობა, ანუ მისი მიმოქცევის უნარი, გადაცემის შესაძლებლობა, კონვერტირებადობა.

ყველაზე ლიკვიდურია ის აქტივები, რომლებიც მოთხოვნისთანავე, ყოველგვარი საჯარიმო სანქციის გარეშე შეიძლება გადაიცვალოს სხვა ფინანსურ აქტივებზე, საქონელსა და მომსახურებაზე. მას მიეკუთვნება ოქრო, ნაღდი ფული და დეპოზიტები. დეპოზიტები იყოფა გადასაყვან (ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში) და გადაუყვანელ დეპოზიტებად, მათ შორის უკანასკნელი ნაკლებლიკვიდურია.

შედარებით ნაკლებლიკვიდურია ისეთი ფასიანი ქაღალდებიც, როგორიცაა ვექსილი და ობლიგაცია. გადახდის ვადის ხანგრძლივობის გამო (მოკლევადიანი — 1 წლამდე, გრძელვადიანი -- წელზე მეტი) ყველაზე ნაკლებლიკვიდურია სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები და დებიტორთა და კრედიტორთა სხვა ანგარიშები.

თითოეულ ამ სახეობას ფინანსური ინსტრუმენტების ანგარიშში თავისებურება გააჩნია.

მონეტარული ოქრო არის ოქრო, რომელიც ფინანსური აქტივის ან საერთაშორისო რეზერვის სახით ინახება ფულად-საკრედიტო დანესებულებაში. იგი არ მოიცავს ოქროს სამრეწველო გადამუშავებისათვის, ან ეას-ის მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრულ ფასეულობას.

ნაღდი ფული — მოიცავს ბანკნოტებსა და მონეტებს მიმოქცევაში და გამოიყენება როგორც გადახდის საშუალება. გამონაკლისია სამახსოვრო მონეტები, რომლებიც ფაქტობრივად მიმოქცევაში არ ხვდება. ნაღდი ფული

აქტივის სახით ყველა სექტორში გვხვდება. არჩევენ ნაღდ ფულს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

დეპოზიტებს მიმდინარე ანგარიშებზე (გადასაყვანი დეპოზიტები), რომლებიც დაუყოვნებლივ თავიანთი ნომინალური ღირებულების მიხედვით შეიძლება ვაქციოთ ქვეყნის ვალუტად ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მიეკუთვნება ჩეკები, ბანკის საგადასახადო დავალებები და სხვ. დანარჩენ დეპოზიტებს მიეკუთვნება გადაუყვანელი დეპოზიტები, რომლებიც შეუზღუდავად არ შეიძლება გადავაქციოთ ქვეყნის ვალუტად.

ფასიანი ქაღალდები (აქციების გარეშე) არის ფულადი დოკუმენტები, რომელიც ადასტურებს ნარმომდგენის ქონებრივ უფლებებს. ფასიანი ქაღალდები ორი სახისაა: სახელობითი და წარმომდგენზე. სხვადასხვა სახის ფასიანი ქაღალდი შეიძლება დავყოთ ორ კატეგორიად: აქციები და სასესხო ვალდებულებები. ეას-ში ისინი განიხილება როგორც ფინანსური აქტივების განსხვავებული კატეგორიები.

სესხები ფინანსური აქტივებია, რომელსაც კრედიტორები უშუალოდ წარუდგენენ მოვალეს. როგორც წესი, სესხის გაფორმება ხდება დოკუმენტურად, გადაცემის უფლების გარეშე. ამ კატეგორიაში შედის სამომხმარებლო კრედიტი (განვადება), კომერციული კრედიტის დაფინანსება, ფინანსური ლიზინგი.

აქცია არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს გარკვეული ნილის შეტანას სააქციო (სანესდებო) კაპიტალში, რაც უფლებას აძლევს მის მფლობელს მიიღოს მოგების წილი ანუ დივიდენდი. ეკონომიკური ბუნების მიხედვით აქცია არ არის სავალო ხელშეკრულება. ინვესტორი თავის სახსრებს გადასცემს, ასე ვთქვათ „სამუდამო" სარგებლობაში, ე.ი. მის გაბანკროტებამდე, ან დაშლამდე. თუმცა ეას-ში „დათქმის" მიხედვით აქცია განიხილება როგორც სავალო ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულებების უმრავლესობა ნარმოიშობა კრედიტორის მიერ დებიტორზე განსაზღვრული რესურსების გადაცემის დროს. ამასთან, კრედიტორი იძენს მოთხოვნას მოვალეზე, ხოლო მოვალე ამ ვალის გადახდის პასუხისმგებლობას. ზოგიერთ შემთხვევაში კრედიტორი იძენს განუხრელ უფლებას ვალის დაბრუნებაზე (დეპოზიტი, სესხი, ფასიანი ქაღალდები აქციის გარდა), სხვა შემთხვევებში ასეთი კატეგორიული ურთიერთობები არ არსებობს და ეას-ში კორპორაციათა პასუხისმგებლობა ინვესტორის მიმართ შეტანილია მოლაპარაკების (შეთანხმების) საფუძველზე.

ფინანსური აქტივების ზოგიერთი სახეობისათვის ფინანსური პასუხისმგებლობის საკითხი არ დგება. მათ მიეკუთვნება მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლებები (ნსუ).

ნსუ — ეს არის საერთაშორისო სარეზერვო აქტივები, რომლებიც ინახება სსფ-ის წევრ ცენტრალურ ბანკებში. ეს არის სხვა სარეზერვო აქტივების მიღების უფლება (უცხოური ვალუტა).

ფინანსური ანგარიში შედგება ორი ნაწილისაგან, რომელიც ახასიათებს აქტივებსა და პასივებს. **მისი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ როგორც აქტივების, ისე პასივებისათვის გამოიყენება ფინანსური ინსტრუმენტების ერთი და იგივე კლასიფიკაცია:**

ფინანსური ანგარიში

ცვლილებები აქტივებში	ოპერაციები და მუხლები	ცვლილებები პასივებში
	წმინდა დაკრედიტება (+) ან ვალის წმინდა აღება(—)	
×	აქტივების წმინდა შეძენა	
	ვალდებულებების წმინდა შეძენა	×
×	მონეტარული ოქრო და ნსუ	×
×	ნაღდი ფული და დეპოზიტები	×
×	ფასიანი ქაღალდები აქციების გარდა	×
×	სესხები	×
×	აქციები და კაპიტალში მონაწილეობის სხვა სახეები	×
×	დაზღვევის ტექნიკური რეზერვები	×
×	დაზღვევის რეზერვები	×
×	საპენსიო ფონდები	×
×	დებიტორებისა და კრედიტორების სხვა ანგარიშები	×
×	კავშირი კაპიტალისა და ფინანსური ანგარიშის დამაბალანსებელ მუხლებს შორის	×

ანგარიშის მარცხენა ნაწილში მოცემულია შესასწავლი სექტორის აქტივებში ცვლილება, სახელდობრ, ფინანსური აქტივების წმინდა შეძენა (ანუ შეძენა გაყიდვის გამოკლებით). მარჯვენა მხარეს მოცემულია ცვლილებები პასივებში. დამაბალანსებელი მუხლი "წმინდა დაკრედიტება (+) ან ვალის წმინდა აღება(—)" გადმოდის კაპიტალის ანგარიშიდან. მაჩვენებლები "აქტივების ან პასივების წმინდა შეძენა" ფინანსური ანგარიშის საბალანსო მაჩვენებლებია, რომლებიც მიიღება მის შემდგომ განლაგებული მაჩვენებლების შეჯამების გზით. ისინი შეიძლება იყოს დადებითი (თუ ხდება აქტივების შეძენა) და უარყოფითი (თუ ხდება აქტივების გაყიდვა ან ვალდებულების აღება).

საქონლისა და მომსახურების ანგარიში ახასიათებს მთელი ეკონომიკის მასშტაბით პროდუქტებისა და მომსახურების რესურსებს და მათი გამოყენების მიმართულებას. იგი წარმოადგენს ეას-ის თავისებურ კრებსით ცხრილს. ამ ანგარიშს აქვს შემდეგი სახე:

საქონლისა და მომსახურების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
6. შუალედური მოხმარება	1. საქონლისა და მომსახურების მთლიანი გამოშვება
7. საბოლოო მოხმარება	2. საქონლისა და მომსახურების იმპორტი
8. ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება	3. წმინდა გადასახადები საქონელზე
9. მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილება	4. წმინდა გადასახადები იმპორტზე
10. საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	
11. სულ (6+7+8+9+10)	5. სულ (1+2+3+4)

დამაბალანსებელი მუხლი ფორმდება მაჩვენებელში „სტატისტიკური განსხვავება", იგი ახასიათებს ყველა ანგარიშის შედგენის დროს დაშვებულ შეცდომას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ს 4-5%-ს.

საქონლისა და მომსახურების ანგარიშის (სმა) მაჩვენებლების ურთიერთკავშირი სხვა ანგარიშების მაჩვენებლებთან შეიძლება ნარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

ცხრილი 6.1

სმა-ს მაჩვენებლები	საკორესპონდენტო ანგარიშები	განყოფილება
რესურსები		
1. საქონლისა და მომსახურების მთლიანი გამოშვება	წარმოების ანგარიში	რესურსები

2. საქონლისა და მომსახურების იმპორტი	„დანარჩენი მსოფლიოს" მიმდინარე ანგარიში	რესურსები
3. წმინდა გადასახადები საქონელზე	წარმოების ანგარიში	რესურსები
4. წმინდა გადასახადები იმპორტზე	წარმოების ანგარიში	რესურსები
გამოყენება		
5. შუალედური მოხმარება	წარმოების ანგარიში	გამოყენება
6. საბოლოო მოხმარება	შემოსავლების გამოყენების ანგარიში	გამოყენება
7. ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება	კაპიტალის ანგარიში	გამოყენება
8. მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილება	კაპიტალის ანგარიში	გამოყენება
9. საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	„დანარჩენი მსოფლიოს" მიმდინარე ანგარიში	გამოყენება

„დანარჩენი მსოფლიოს" სექტორის ანგარიშები

ეას-ში აისახება არა მარტო მოცემული ქვეყნის რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულების ეკონომიკური ოპერაციები, არამედ რეზიდენტ და არარეზიდენტ ერთეულებს შორის ურთიერთობებიც, რაც „დანარჩენი მსოფლიოს" ანგარიშებით რეგულირდება.

„დანარჩენი მსოფლიოს" სექტორი მოიცავს საზღვარგარეთის ინსტიტუციურ ერთეულებს — არარეზიდენტებს, რომლებიც ანარმოებენ გარიგებებს და ეკონომიკურ ოპერაციებს მოცემული ქვეყნის რეზიდენტ ინსტიტუციურ ერთეულებთან.

„დანარჩენი მსოფლიოს" სექტორში ერთიანდება აგრეთვე მოცემული ქვეყნის გეოგრაფიულ ტერიტორიაზე განლაგებული უცხო ქვეყნის საელჩოები, საკონსულოები, სამხედრო ბაზები, საერთაშორისო ორგანიზაციები.

„დანარჩენი მსოფლიოს" სექტორი გვევლინება შემოსავლებისა და გასავლების ჩამკეტ რგოლად და გვიჩვენებს საგარეო კავშირების რომელი სტრუქტურის ბაზაზე ხდება ქვეყნის შიგნით შემოსავლებისა და გასავლების დაბალანსება.

„დანარჩენი მსოფლიოს" სექტორი განიხილება მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნების თვალთახედვით. ის, რაც „დანარჩენი მსოფლიოსათვის" რესურსია, მოცემული ქვეყნისათვის — განაწილებაა.

მოცემული სექტორის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ არის დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობის არც ერთ კონკრეტულ სახეობასთან. ამიტომ ამ სექტორისათვის არ არის საჭირო ანგარიშთა სრული კრებული. ამასთან, აღსანიშნავია, რომ რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულების ანგარიშები მოიცავს „დანარჩენი მსოფლიოს" ოპერაციათა ელემენტებს, ამიტომ „დანარჩენი მსოფლიოს" ანგარიშები დამატებითი ანგარიშებია შიდა ეკონომიკის ანგარიშებისათვის.

ეას-ში ასახული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა მოიცავს: საქონლისა და მომსახურების ექსპორტსა და იმპორტს, ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა ექსპორტსა და იმპორტს, საერთაშორისო კოოპერაციას, შრომითი რესურსების საერთაშორისო მოძრაობას, ინვესტიციების მოძრაობას, საერთაშორისო ტურიზმს, საერთაშორისო-სატრანსპორტო, სადაზღვევო, საკრედიტო, საანგარიშსწორებო ოპერაციებს, ერთობლივი საწარმოების საქმიანობას უცხოური კაპიტალის მონაწილეობით.

„დანარჩენი მსოფლიოს" კრებსით ანგარიშს შემდეგი სახე აქვს:

გამოყენება	რესურსები
• ექსპორტი • გადახდილი შემოსავლები დასაქმებიდან და კაპიტალიდან • შემოსავლები დაქირავებით დასაქმებიდან • შემოსავლები სამეწარმეო საქმიანობიდან და კაპიტალიდან • გაგზავნილი ტრანსფერები • სუბსიდიები • პირდაპირი გადასახადები • შენატანები სოცდაზღვევაზე • სოციალური დახმარებები • სხვა მიმდინარე ტრანსფერები • დებიტორული დავალიანების ცვლილება	• იმპორტი • მიღებული შემოსავლები დასაქმებიდან და კაპიტალიდან • მემოსავლები დაქირავებით დასაქმებიდან • შემოსავლები სამეწარმეო საქმიანობიდან და კაპიტალიდან • მიღებული ტრანსფერები • გადასახადები პროდუქციაზე • დაზღვევის შენატანები • სოციალური დახმარებების გადარიცხვები • სხვა მიმდინარე ტრანსფერები • აქტივების ტრანსფერები • კრედიტორული დავალიანების ცვლილება • სტატისტიკური განსხვავება
სულ გამოყენება	**სულ რესურსები**

საგარეო-ეკონომიკური კავშირების ანგარიში ორი ნაწილისაგან შედგება: მიმდინარე ოპერაციების ქვეანგარიში და კაპიტალური დანახარჯების ქვეანგარიში.

მიმდინარე ოპერაციების ქვეანგარიშს შემდეგი სახე აქვს:

გამოყენება	რესურსები
• საქონლისა და მომსახურების ექსპორტი, მათ შორის: • საქონლის • მატერიალური მომსახურების • არამატერიალური მომსახურების • არარეზიდენტი შინამეურნეობების საბოლოო მოხმარება მოცემულ ეკონომიკურ ტერიტორიაზე • რეზიდენტი მომუშავეების ანაზღაურება არარეზიდენტი დამქირავებლის მიერ • სუბსიდიები წარმოებასა და იმპორტზე, მიღებული „დანარჩენი მსოფლიოდან" • შემოსავლები საკუთრებიდან და სამეწარმეო შემოსავლები „დანარჩენი მსოფლიოდან" მიღებული • მიმდინარე ტრანსფერები, „დანარჩენი მსოფლიოდან" მიღებული	• საქონლისა და მომსახურების იმპორტი, მათ შორის: • საქონლის • მატერიალური მომსახურების • არამატერიალური მომსახურების • რეზიდენტი შინამეურნეობების საბოლოო მოხმარება საზღვარგარეთ • არარეზიდენტი მომუშავეების ანაზღაურება რეზიდენტი დამქირავებლის მიერ • გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე „დანარჩენი მსოფლიოსათვის" გადახდილი • შემოსავლები საკუთრებიდან და სამეწარმეო შემოსავლები „დანარჩენი მსოფლიოსათვის" გადაცემული • მიმდინარე ტრანსფერები „დანარჩენი მსოფლიოსათვის" გადაცემული • **მიმდინარე ოპერაციების სალდო „დანარჩენ მსოფლიოსთან"**
სულ გამოყენება	**სულ რესურსები**

ეს ქვეანგარიში ასახავს შემოსავლების მოძრაობას საქართველოსა და სხვა ქვეყნებს შორის საქონლისა და მომსახურების შეძენის მიზნით, იმ პირობების გათვალისწინებით, რაც მიღებულია გარიგებების საერთაშორისო პრაქტიკაში. ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია მიმდინარე ოპერაციების სალდო „დანარჩენ მსოფლიოსთან". გაიანგარიშება როგორც სხვაობა რეზიდენტების მიერ მიღებულ და არარეზიდენტების მიერ მიღებულ შემოსავლებს შორის. სალდო დადებითია, როდესაც რეზიდენტების შემოსავლები აჭარბებს არარეზიდენტების შემოსავლებს.

კაპიტალური დანახარჯების ქვეანგარიში ასახავს საგარეო-ეკონომიკურ ოპერაციებს ძირითადი და საბრუნავი კაპიტალითა და არამატერიალური აქტივებით:

გამოყენება	რესურსები
• მიმდინარე ოპერაციების სალდო „დანარჩენ მსოფლიოსთან" • მიწისა და არამატერიალური აქტივების წმინდა შესყიდვები • „დანარჩენი მსოფლიოდან" მიღებული კაპიტალური ტრანსფერები	• კაპიტალური ტრანსფერები, გადაცემული „დანარჩენი მსოფლიოსათვის" • წმინდა დაკრედიტება (+) ან წმინდა სესხება(-)
სულ გამოყენება	სულ რესურსები

ამ ქვეანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია წმინდა დაკრედიტება (+) ან წმინდა სესხება(-).

მშპ-ის გადაანგარიშება მუდმივ ფასებში

მშპ-ის ფიზიკური მოცულობის დინამიკის შესწავლისათვის აუცილებელია ფასების ფაქტორის ელიმინირება. ამისათვის მშპ-ს გადააფასებენ მუდმივ ფასებში, ანუ მას გამოსახავენ საბაზისოდ მიჩნეულ რომელიმე მიმდინარე ფასში. მიიღება მშპ-ის ფიზიკური მოცულობის ინდექსი, რომელიც გამოსახავს მშპ-ის მოცულობის ცვლილებას ერთსა და იმავე მუდმივ ფასში:

$$I = \frac{\sum p_0 q_1}{\sum p_0 q_0},$$

სადაც $\sum p_0 q_0$ — მშპ-ს საბაზისო პერიოდის მოცულობაა მუდმივ ფასებში,

$\sum p_0 q_1$ — მშპ-ს მიმდინარე პერიოდის მოცულობაა მუდმივ ფასებში (რეალური მშპ).

რეალური მშპ-ის გასაანგარიშებლად იყენებენ ფასების ინდექსს, რომელსაც მშპ-ის **დეფლატორი** ეწოდება:

$$I = \frac{\sum p_1 q_0}{\sum p_0 q_0}.$$

ეს მაჩვენებელი (ლასპეირესის ინდექსი) ფართოდ გამოიყენება ინფლაციური პროცესების დასახასიათებლად. იგი ასახავს როგორც სამომხმარებლო,

ისე საინვესტიციო საქონლისა და მომსახურების ფასების ცვლილებებს.

მშპ მუდმივ ფასებში გაიანგარიშება წარმოებისა და საბოლოო მოხმარების სტადიებზე. განსხვავება მათ შორის მინიმალური უნდა იყოს.

სტატისტიკურ პრაქტიკაში გამოიყენება გადაანგარიშების სამი მეთოდი:

1. პირდაპირი გადაანგარიშების მეთოდი

ნარმოებული ან მოხმარებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობას ნატურალურ გამოსახულებაში ამრავლებენ მის საბაზისო ფასზე და მიიღება მიმდინარე პერიოდის გამოშვების მოცულობა მუდმივ ფასებში:

$$q_1 p_0 = q_1 \times p_0 .$$

ეს მეთოდი გამოიყენება მაშინ, თუ პროდუქცია საკმაოდ ერთგვაროვანია.

2. დეფლატირების მეთოდი

ნარმოებული ან მოხმარებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობას მიმდინარე ფასებში ყოფენ შესაბამის ფასების ინდექსზე (პააშეს ინდექსი). შეცდომების თავიდან აცილების მიზნით დეფლატირება მიმდინარეობს მაქსიმალურად დეტალიზებულ დონეზე.

$$\sum p_1 q_1 : I_p = \sum p_0 q_1 ,$$

სადაც $I_p = \dfrac{\sum p_1 q_1}{\sum p_0 q_1}$ პააშეს ინდექსია.

3. ექსტრაპოლაციის მეთოდი

საბაზისო პერიოდის პროდუქციის მოცულობა შესადარ ფასებში მრავლდება პროდუქციის ფიზიკური მოცულობის ინდექსზე:

$$\sum p_0 q_0 \times I_q = \sum p_0 q_1 .$$

თუ არა გვაქვს მონაცემები ნატურალურ სიდიდეებში გამოსახული პროდუქციის მოცულობის შესახებ, ექსტრაპოლაციის მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, ფიზიკური მოცულობის ინდექსი იცვლება დასაქმებულთა რიცხოვნობის ინდექსით ან შესაბამისი ნატურალური მაჩვენებლის ინდექსით (მოსნავლეთა რაოდენობა, პაციენტების რიცხვი, გამომუშავებული დრო და ა.შ.).

მშპ-ის მოცულობის შეფასება მუდმივ ფასებში შესაძლებელია საქმიანობის სახეების მიხედვით ნარმოებული მთლიანი დამატებული ღირებულების (მუდმივ ფასებში) შეჯამების საშუალებით. ამ შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ **ორმაგი დეფლატირების მეთოდი,** რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ცალ-ცალკე გადაითვლიან მთლიან გამოშვებას და შუალედურ მოხმარებას მუდმივ ფასებში და შემდეგ აკლებენ ერთმანეთს.

1. მონიშნეთ წარმოების ანგარიშის მაჩვენებლები:

ა) შუალედური მოხმარება;
ბ) საქონლისა და მომსახურების გამოშვება ძირითად ფასებში;
გ) მშპ;
დ) მთლიანი დაზოგვა;
ე) მთლიანი დაგროვება;
ვ) მთლიანი დამატებული ღირებულება;
ზ) საქონლისა და მომსახურების გამოშვება საბაზრო ფასებში.

2. მონიშნეთ მთლიანი დამატებული ღირებულების გაანგარიშების სწორი მეთოდიკა:

ა) გამოშვება – შუალედური მოხმარება;
ბ) წმინდა მოგება + ძირითადი კაპიტალის მოხმარება;
გ) ეროვნული დაზოგვა + საბოლოო მოხმარება;
დ) დამატებული ღირებულება + ძირითადი კაპიტალის მოხმარება;
ე) დამატებული ღირებულება + ძირითადი კაპიტალის მოხმარება + შუალედური მოხმარება.

3. მონიშნეთ სწორი გამოსახულება:

ა) მშპ > სექტორებში მდღ-ის ჯამი;
ბ) მშპ = დარგების გამოშვება;
გ) მშპ > ყველა მწარმოებლის მდღ-ის ჯამი;
დ) მშპ = დამატებული ღირებულების ჯამი + ამორტიზაცია;
ე) მშპ > გამოშვება.

4. მონიშნეთ მაჩვენებელი, რომელიც საწარმოს დონეზე შეესაბამება მშპ-ს:

ა) დამატებული ღირებულება;
ბ) მთლიანი შემოსავალი;
გ) მთლიანი დამატებული ღირებულება;
დ) რეალიზებული პროდუქცია;
ე) მოგება.

5. მონიშნეთ მაჩვენებლები (ოპერაციები), რომლებიც ქმნიან წარმოების ანგარიშის ,,რესურსებს":

ა) საქონლისა და მომსახურების გამოშვება ძირითად ფასებში;

ბ) გადასახადები პოდუქტებზე;
გ) შუალედური მოხმარება;
დ) მთლიანი დამატებული ღირებულება;
ე) გადასახადები იმპორტზე;
ვ) სუბსიდიები იმპორტზე;
ზ) საქონლისა და მომსახურების გამოშვება საბაზრო ფასებში.

6. მონიშნეთ შუალედური მოხმარების კომპონენტები:

ა) ძირითადი კაპიტალის მოხმარება;
ბ) დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება;
გ) მატერიალური და არამატერიალური მომსახურების ღირებულება, რომელიც გაეწია წარმოებას;
დ) მატერიალური დანახარჯების ღირებულება;
ე) სამივლინებო დანახარჯები;
ვ) პროდუქციის დანაკარგები, რომელიც არ არის ჩართული მატერიალურ დანახარჯებში.

7. რომელი მაჩვენებელი აკავშირებს „წარმოების" და „შემოსავლების ფორმირების" ანგარიშებს?

ა) ეკონომიკის მთლიანი მოგება;
ბ) მთლიანი დამატებული ღირებულება;
გ) მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი;
დ) მთლიანი შემოსავალი.

მაგალითი 6.1

გვაქვს შემდეგი მონაცემები ეკონომიკის მიხედვით (მლნ ლარი):

1.	საქონლის მწარმოებელი დარგების მთლიანი გამოშვება	850
2.	დანახარჯები უფასო მომსახურებაზე	355
3.	დანახარჯები ფასიან მომსახურებაზე	512
4.	ბანკების მიერ მიღებული პროცენტები	78
5.	ბანკების მიერ გაცემული პროცენტები	69
6.	ნარმოების არაპირდაპირი დანახარჯები	105
7.	არაპირდაპირი დანახარჯები პროდუქტებზე	64

8. სუბსიდიები წარმოებაზე 23
9. სუბსიდიები პროდუქტებზე 14
10. იმპორტის შესყიდვის ღირებულება 126
11. იმპორტის გაყიდვა ქვეყნის შიგნით 168
12. სუბსიდიები იმპორტის შესყიდვაზე 19
13. მატერიალური დანახარჯები წარმოებაზე 911
14. მათ შორის ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია 195
15. გასული ძირითადი კაპიტალის არაამორტიზებული ღირებულება 29
16. შუალედური მოხმარების სხვა ელემენტები 42

განსაზღვრეთ მაჩვენებლები, რომელიც აკლია და ააგეთ ნარმოების ანგარიში.

ამოხსნა:

წინასწარ გავიანგარიშოთ ყველა მაჩვენებელი, რომელიც აუცილებელია წარმოების ანგარიშის შესადგენად:

1. მთლიანი გამოშვება საბაზრო ფასებში: 850 + 355 + 512 + (78 – 69) = 1726.
2. მთლიანი გამოშვება ძირითად ფასებში: 1726 - (64 - 14) - (168 – 126 - 19) = 1653.
3. მთლიანი გამოშვება ფაქტორულ ფასებში: 1653 – (105 – 23) = 1571.
4. შუალედური მოხმარება: (78 – 69) + (911 – 195) + 42= 767.
5. მშპ საბაზრო ფასებში: 1726 - 767 = 959.
6. ძირითადი კაპიტალის მოხმარება: 195 + 29 = 224.
7. წმინდა შიდა პროდუქტი: 959 - 224 = 735.

შევადგინოთ წარმოების ანგარიში:

გამოყენება	რესურსები
შუალედური მოხმარება 767	მთლიანი გამოშვება ფაქტორულ ფასებში 1571
მშპ საბაზრო ფასებში 959	წმინდა არაპირდაპირი გადასახადები წარმოებაზე 82
ძირითადი კაპიტალის მოხმარება 224	მთლიანი გამოშვება ძირითად ფასებში 1653
წმინდა შიდა პროდუქტი 735	წმინდა არაპირდაპირი გადასახადები პროდუქტებზე 50

	წმინდა არაპირდაპირი გადასახადები იმპორტზე 23
სულ გამოყენება 1726	სულ: მთლიანი გამოშვება საბაზრო ფასებში 1726

ამოცანა 6.2

გვაქვს შემდეგი მონაცემები ეკონომიკის მიხედვით (მლნ ლარი):

1.	საქონლის მნარმოებელი დარგების მთლიანი გამოშვება	?
2.	დანახარჯები უფასო მომსახურებაზე	532.5
3.	დანახარჯები ფასიან მომსახურებაზე	768
4.	ბანკების მიერ მიღებული პროცენტები	117
5.	ბანკების მიერ გაცემული პროცენტები	103.5
6.	ნარმოების არაპირდაპირი დანახარჯები	157.5
7.	არაპირდაპირი დანახარჯები პროდუქტებზე	96
8.	სუბსიდიები წარმოებაზე	34.5
9.	სუბსიდიები პროდუქტებზე	21
10.	იმპორტის შესყიდვის ღირებულება	189
11.	იმპორტის გაყიდვა ქვეყნის შიგნით	252
12.	სუბსიდიები იმპორტის შესყიდვაზე	28.5
13.	მატერიალური დანახარჯები წარმოებაზე	1366.5
14.	მათ შორის ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია	292.5
15.	გასული ძირითადი კაპიტალის არაამორტიზებული ღირებულება	43.5
16.	შუალედური მოხმარების სხვა ელემენტები	63
17.	მშპ საბაზრო ფასებში	1438.5

განსაზღვრეთ მაჩვენებლები, რომელიც აკლია და ააგეთ წარმოების ანგარიში.

ამოცანა 6.3

გვაქვს შემდეგი მონაცემები ეკონომიკის მიხედვით (მლნ ლარი):

1.	საქონლის მნარმოებელი დარგების მთლიანი გამოშვება	1700
2.	დანახარჯები უფასო მომსახურებაზე	?
3.	დანახარჯები ფასიან მომსახურებაზე	1024
4.	ბანკების მიერ მიღებული პროცენტები	156
5.	ბანკების მიერ გაცემული პროცენტები	138
6.	ნარმოების არაპირდაპირი დანახარჯები	210

7.	არაპირდაპირი დანახარჯები პროდუქტებზე	128
8.	სუბსიდიები წარმოებაზე	46
9.	სუბსიდიები პროდუქტებზე	28
10.	იმპორტის შესყიდვის ღირებულება	252
11.	იმპორტის გაყიდვა ქვეყნის შიგნით	336
12.	სუბსიდიები იმპორტის შესყიდვაზე	38
13.	მატერიალური დანახარჯები წარმოებაზე	1822
14.	მათ შორის ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია	390
15.	გასული ძირითადი კაპიტალის არაამორტიზებული ღირებულება	58
16.	შუალედური მოხმარების სხვა ელემენტები	84
17.	მშპ საბაზრო ფასებში	1918

განსაზღვრეთ მაჩვენებლები, რომელიც აკლია და ააგეთ ნარმოების ანგარიში.

ამოცანა 6.4

გვაქვს შემდეგი მონაცემები ეკონომიკის მიხედვით (მლნ ლარი):

1.	საქონლის მწარმოებელი დარგების მთლიანი გამოშვება	1020
2.	დანახარჯები უფასო მომსახურებაზე	426
3.	დანახარჯები ფასიან მომსახურებაზე	?
4.	ბანკების მიერ მიღებული პროცენტები	93.6
5.	ბანკების მიერ გაცემული პროცენტები	82.8
6.	წარმოების არაპირდაპირი დანახარჯები	126
7.	არაპირდაპირი დანახარჯები პროდუქტებზე	76.8
8.	სუბსიდიები წარმოებაზე	27.6
9.	სუბსიდიები პროდუქტებზე	16.2
10.	იმპორტის შესყიდვის ღირებულება	151.2
11.	იმპორტის გაყიდვა ქვეყნის შიგნით	201.6
12.	სუბსიდიები იმპორტის შესყიდვაზე	22.8
13.	მატერიალური დანახარჯები წარმოებაზე	1093.2
14.	მათ შორის ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია	234
15.	გასული ძირითადი კაპიტალის არაამორტიზებული ღირებულება	34.8
16.	შუალედური მოხმარების სხვა ელემენტები	50.4
17.	მშპ საბაზრო ფასებში	1150.8

განსაზღვრეთ მაჩვენებლები, რომელიც აკლია და ააგეთ წარმოების ანგარიში.

ამოცანა 6.5

გვაქვს შემდეგი მონაცემები ეკონომიკის მიხედვით (მლნ ლარი):

1.	საქონლის მწარმოებელი დარგების მთლიანი გამოშვება	680
2.	დანახარჯები უფასო მომსახურებაზე	284
3.	დანახარჯები ფასიან მომსახურებაზე	409.6
4.	ბანკების მიერ მიღებული პროცენტები	62.4
5.	ბანკების მიერ გაცემული პროცენტები	55.2
6.	ნარმოების არაპირდაპირი დანახარჯები	84
7.	არაპირდაპირი დანახარჯები პროდუქტებზე	51.2
8.	სუბსიდიები წარმოებაზე	18.4
9.	სუბსიდიები პროდუქტებზე	11.2
10.	იმპორტის შესყიდვის ღირებულება	100.8
11.	იმპორტის გაყიდვა ქვეყნის შიგნით	134.4
12.	სუბსიდიები იმპორტის შესყიდვაზე	15.2
13.	მატერიალური დანახარჯები წარმოებაზე	?
14.	მათ შორის ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია	156
15.	გასული ძირითადი კაპიტალის არაამორტიზებული ღირებულება	23.2
16.	შუალედური მოხმარების სხვა ელემენტები	33.6
17.	მშპ საბაზრო ფასებში	767.2

განსაზღვრეთ მაჩვენებლები, რომელიც აკლია და ააგეთ წარმოების ანგარიში.

ამოცანა 6.6

გვაქვს შემდეგი მონაცემები ეკონომიკის მიხედვით (მლნ ლარი):

1.	საქონლის მწარმოებელი დარგების მთლიანი გამოშვება	1445
2.	დანახარჯები უფასო მომსახურებაზე	603.5
3.	დანახარჯები ფასიან მომსახურებაზე	?
4.	ბანკების მიერ მიღებული პროცენტები	132.6
5.	ბანკების მიერ გაცემული პროცენტები	117.3
6.	წარმოების არაპირდაპირი დანახარჯები	178.5
7.	არაპირდაპირი დანახარჯები პროდუქტებზე	08.8
8.	სუბსიდიები წარმოებაზე	39.1
9.	სუბსიდიები პროდუქტებზე	23.8
10.	იმპორტის შესყიდვის ღირებულება	214.2
11.	იმპორტის გაყიდვა ქვეყნის შიგნით	285.6
12.	სუბსიდიები იმპორტის შესყიდვაზე	32.3
13.	მატერიალური დანახარჯები წარმოებაზე	1548.7

14. მათ შორის ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია	331.5
15. გასული ძირითადი კაპიტალის არაამორტიზებული ღირებულება	49.3
16. შუალედური მოხმარების სხვა ელემენტები	71.4
17. მშპ საბაზრო ფასებში	1630.3

განსაზღვრეთ მაჩვენებლები, რომელიც აკლია და ააგეთ წარმოების ანგარიში.

ამოცანა 6.7

გვაქვს შემდეგი მონაცემები ეკონომიკის მიხედვით (მლნ ლარი):

1. საქონლის მწარმოებელი დარგების მთლიანი გამოშვება	1755
2. დანახარჯები უფასო მომსახურებაზე	816.5
3. დანახარჯები ფასიან მომსახურებაზე	1177,6
4. ბანკების მიერ მიღებული პროცენტები	179,4
5. ბანკების მიერ გაცემული პროცენტები	158,7
6. წარმოების არაპირდაპირი დანახარჯები	241,5
7. არაპირდაპირი დანახარჯები პროდუქტებზე	147,2
8. სუბსიდიები წარმოებაზე	52,9
9. სუბსიდიები პროდუქტებზე	32,2
10. იმპორტის შესყიდვის ღირებულება	289,8
11. იმპორტის გაყიდვა ქვეყნის შიგნით	?
12. სუბსიდიები იმპორტის შესყიდვაზე	43,7
13. მატერიალური დანახარჯები წარმოებაზე	2095,3
14. მათ შორის ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია	448,5
15. გასული ძირითადი კაპიტალის არაამორტიზებული ღირებულება	66,7
16. შუალედური მოხმარების სხვა ელემენტები	96,6
17. მშპ საბაზრო ფასებში	2205,7

განსაზღვრეთ მაჩვენებლები, რომელიც აკლია და ააგეთ წარმოების ანგარიში.

1. მონიშნეთ შემოსავლების ფორმირების ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლი:

ა) ეკონომიკის წმინდა მოგება;
ბ) ეკონომიკის მთლიანი მოგება;
გ) მთლიანი დაგროვება;
დ) მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი.

2. მონიშნეთ შემოსავლების ფორმირების ანგარიშის რესურსების მუხლები:

ა) მშპ საბაზრო ფასებში;
ბ) მთლიანი მოგება;
გ) მთლიანი შერეული შემოსავლები;
დ) სუბსიდიები წარმოებასა და იმპორტზე;
ე) გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე.

3. მონიშნეთ შემოსავლების ფორმირების ანგარიშის მაკორესპონდირებელი მუხლები წარმოების ანგარიშთან:

ა) ეკონომიკის მთლიანი მოგება;
ბ) სუბსიდიები ნარმოებასა და იმპორტზე;
გ) გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე;
დ) მშპ საბაზრო ფასებში;
ე) მთლიანი მოგება.

4. მონიშნეთ შემოსავლების ფორმირების ანგარიშის (მაკორესპონდირებელი მუხლები შემოსავლების განაწილების ანგარიშთან):

ა) ეკონომიკის მთლიანი მოგება (შერეული შემოსავლები);
ბ) სუბსიდიები წარმოებასა და იმპორტზე;
გ) გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე;
დ) მთლიანი მოგება;
ე) მშპ საბაზრო ფასებში.

5. მონიშნეთ ეკონომიკის მთლიანი მოგების გაანგარიშების სწორი მეთოდიკა:

ა) მდღ — შრომის ანაზღაურება;
ბ) მდღ — შრომის ანაზღაურება — წმინდა გადასახადები წარმოებაზე;
გ) ყველა დარგების გამოშვება — მათი შუალედური მოხმარება — წმინდა გადასახადები წარმოებაზე;

დ) მთლიანი პირველადი შემოსავლები + მიმდინარე ტრანსფერების სალდო;

ე) მთლიანი პირველადი შემოსავლები + შემოსავლების სალდო საკუთრებიდან (დანარჩენი მსოფლიოდან მიღებული/დანარჩენი მსოფლიოსათვის გადაცემული).

6. მონიშნეთ სწორი თანაფარდობები:

ა) ეკონომიკის მთლიანი მოგება მეტია წმინდა მოგებაზე ძირითადი კაპიტალის მოხმარების თანხით;

ბ) ეკონომიკის მთლიანი მოგება ნაკლებია მშპ-ზე საბაზრო ფასებში მომუშავეთა ხელფასისა და წარმოებაზე ნმინდა გადასახადების ჯამით;

გ) მთლიანი გადასახადები წარმოებაზე = გადასახადები ნარმოებაზე — სუბსიდიები წარმოებაზე;

დ) წმინდა გადასახადები იმპორტზე = გადასახადები იმპორტზე — სუბსიდიები იმპორტზე.

7. მონიშნეთ შემოსავლების პირველადი განაწილების ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლი:

ა) მთლიანი დამატებული ღირებულება;
ბ) ეკონომიკის მთლიანი მოგება;
გ) ეკონომიკის წმინდა მოგება;
დ) პირველადი შემოსავლების მთლიანი სალდო;
ე) მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი.

8. მონიშნეთ შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლი:

ა) მთლიანი დანაზოგი;
ბ) მთლიანი მოგება;
გ) მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი;
დ) წმინდა დაკრედიტება (წმინდა სესხება).

9. მონიშნეთ შემოსავლების განაწილების კრებსითი ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლის გაანგარიშების სწორი მეთოდიკა:

ა) ეკონომიკის მთლიანი მოგება + შრომის ანაზღაურება + საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სალდო და მიმდინარე ტრანსფერების სალდო (მიღებული/ გაცემული საზღვარგარეთ) + წმინდა გადასახადები ნარმოებასა და იმპორტზე;

ბ) საბოლოო მოხმარება + მთლიანი დაგროვება + ექსპორტ-იმპორტის სალდო საბოლოო მოხმარება + მთლიანი დაზოგვა.

10. რომელი მუხლი ახასიათებს სრულყოფილად ცნებას „შერეული შემოსავალი":

ა) შემოსავლების ჯამი სხვადასხვა საქმიანობიდან;
ბ) სხვადასხვა ინსტიტუციური ერთეულების ერთობლივი შემოსავალი;
გ) ფიზიკური პირის შემოსავალი სამეწარმეო საქმიანობიდან;
დ) შინამეურნეობების შემოსავლები, რომელთა დაყოფა შრომის ანაზღაურებად და მოგებად შეუძლებელია.



მაგალითი 6.8

გვაქვს შემდეგი მონაცემები ეკონომიკის მიხედვით (მლნ ლარი):

1.	მთლიანი გამოშვების ღირებულება ძირითად ფასებში	7748.04
2.	არაპირდაპირი გადასახადები პროდუქტებსა და იმპორტზე	542.15
3.	სუბსიდიები პროდუქტებსა და იმპორტზე	132.63
4.	შუალედური მოხმარება	3612.07
5.	სხვა გადასახდები წარმოებაზე (წმინდა)	254.28
6.	მთლიანი მოგება და შერეული შემოსავლები	1958.53
7.	„დანარჩენი მსოფლიოდან" მიღებული შემოსავლები საკუთრებიდან	80.74
8.	„დანარჩენი მსოფლიოსათვის" გადაცემული შემოსავლები საკუთრებიდან	273.23

შეადგინეთ პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში.

ამოხსნა:

საბაზრო ფასებში მშპ-ს გაანგარიშებას ვაწარმოებთ გამოშვების, შუალედური მოხმარებისა და წმინდა გადასახადების საფუძველზე:

7748.0 - 3612.0 + 542.15 - 132.63 = 4545.49 შევადგინოთ შემოსავლების ფორმირების ანგარიში, გავიანგარიშოთ შრომის ანაზღაურება როგორც რე'ურ'ებისა და გამოყენების ცნობილი მუხლების სხვაობა:

შემოსავლების ფორმირების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება 4545.49-663.8-1958.53=1923.16	
წმინდა არაპირდაპირი გადასახადები 542.15-132.63+254.28=663.8	მშპ საბაზრო ფასებში 4545.49
ეკონომიკის მთლიანი მოგება და შერეული შემოსავლები 1958.53	
სულ 4545.49	სულ 4545.49

პირველადი შემოსავლების განაწილებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ძირითადი მუხლები ამ ანგარიშის რესურსებში გადმოდის შემოსავლების ფორმირების ანგარიშის „გამოიყენების" ნაწილიდან.

პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში

განაწილება	რესურსები
„დანარჩენი მსოფლიოსათვის" გადაცემული შემოსავლები საკუთრებიდან 273.23	დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება 1923.16
	წმინდა არაპირდაპირი გადასახადები 663.8
მთლიანი ეროვნული შემოსავალი (პირველადი შემოსავლების სალდო): 4626.23-273.23=4353.0	ეკონომიკის მთლიანი მოგება და შერეული შემოსავლები 1958.53
	„დანარჩენი მსოფლიოდან" მიღებული შემოსავლები საკუთრებიდან 80.74
სულ 4626.23	**სულ 4626.23**

მაგალითი 6.9

შეადგინეთ შემოსავლების ფორმირების ანგარიში შემდეგი პირობითი მონაცემების საფუძველზე:

1. მთლიანი შიდა პროდუქტი ძირითად ფასებში 1200
2. სუბსიდიები პროდუქტებსა და იმპორტზე 38
3. არაპირდაპირი გადასახადები პროდუქტებსა და იმპორტზე 350
4. შუალედური მოხმარება 615
5. მთლიანი შრომის ანაზღაურება 716
6. სოციალური დაზღვევის დარიცხვა 146
7. არაპირდაპირი გადასახადები წარმოებაზე 74
8. სუბსიდიები წარმოებაზე 26

9. ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია 164
10. ძირითადი კაპიტალის არაამორტიზებული ღირებულება 12

ამოხსნა:

1. განვსაზღვროთ მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში: 1200 + 350 - 38 = 1512.
2. შრომის ანაზღაურება: 716 + 146 = 862.
3. ძირითადი კაპიტალის მოხმარება: 164 + 12 = 176.
4. შევადგინოთ შემოსავლების ფორმირების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
შრომის ანაზღაურება 862	მშპ საბაზრო ფასებში 1512
არაპირდაპირი გადასახადები 350+74=424	სუბსიდიები 38+26=64
ეკონომიკის მთლიანი მოგება (შერეული შემოსავლები) 1576-424-862=290	
ძირითადი კაპიტალის მოხმარება 176	
ნმინდა მოგება/ნმინდა შერეული შემოსავლები 114	
სულ 1576	**სულ 1576**

მაგალითი 6.10

შეადგინეთ შემოსავლების განაწილების ანგარიში შემდეგი პირობითი მონაცემების საფუძველზე:

1. მთლიანი გამოშვების ღირებულება საბაზრო ფასებში 2000
2. არაპირდაპირი გადასახადები წარმოებაზე 70
3. არაპირდაპირი გადასახადები პროდუქტებსა და იმპორტზე 140
4. შუალედური მოხმარება 1150
5. სუბსიდიები წარმოებაზე 15
6. სუბსიდიები პროდუქტებსა და იმპორტზე 27
7. ხელფასი და სოციალური დაზღვევის ანარიცხები 555
8. დანარჩენი მსოფლიოდან მიღებული შემოსავლები საკუთრებიდან 34
9. დანარჩენი მსოფლიოსათვის გადაცემული შემოსავლები საკუთრებიდან 30
10. დანარჩენი მსოფლიოდან მიღებული ტრანსფერები 29

11. დანარჩენი მსოფლიოსათვის გადარიცხული ტრანსფერები 25

ამოხსნა:

შემოსავლების განაწილების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
სუბსიდიები 15+27=42	შრომის ანაზღაურება 555
გადახდილი შემოსავლები საკუთრებიდან 30	არაპირდაპირი გადასახადები 70+140=210
გადახდილი მიმდინარე ტრანსფერები 25	მთლიანი მოგება/მთლიანი შერეული შემოსავლები (2000-1150)-555-210=85
მთლიანი განკარგვადი შემოსავალი 913-42-30-25=816	მიღებული შემოსავლები საკუთრებიდან 34
	მიღებული მიმდინარე ტრანსფერები 29
სულ 913	**სულ 913**

ამოცანა 6.11

განსაზღვრეთ ეკონომიკის მთლიანი მოგების დინამიკა შემდეგი პირობითი მონაცემების საფუძველზე (მლნ ლარი):

მაჩვენებლები	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი
გამოშვება ძირითად ფასებში	2100	2312
მატერიალური დანახარჯები წარმოებაზე სულ	762	685
მათ შორის ამორტიზაცია	120	92
შუალედური მოხმარების სხვა ელემენტები	282	347
წმინდა გადასახადები პროდუქტებსა და იმპორტზე	320	340
სხვა გადასახადები წარმოებაზე (წმინდა)	32	35
მომუშავეთა შრომის ანაზღაურება	520	672

ამოცანა 6.12

ქვემოთ მოყვანილი მონაცემების საფუძველზე განსაზღვრეთ დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება და მშპ. შეადგინეთ შემოსავლების ფორმირების ანგარიში:

1. გამოშვება ძირითად ფასებში 565
2. გადასახადები პროდუქტებსა და იმპორტზე 48
3. სუბსიდიები პროდუქტებსა და იმპორტზე 7

4. შუალედური მოხმარება 288
5. სხვა გადასახადები წარმოებაზე (წმინდა) 27
6. ეკონომიკის მთლიანი მოგება და შერეული შემოსავლები 182

ამოცანა 6.13

ქვემოთ მოყვანილი მონაცემების საფუძველზე შეადგინეთ წარმოებისა და შემოსავლების ფორმირების ანგარიში და განსაზღვრეთ დამაბალანსებელი მუხლები:

1. გამოშვება ძირითად ფასებში 3835
2. შუალედური მოხმარება საბაზრო ფასებში 1804
3. გადასახადები პროდუქტებსა და იმპორტზე 265
4. სუბსიდიები პროდუქტებსა და იმპორტზე 95
5. დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება 1032
6. გადასახადები წარმოებაზე 376
7. სუბსიდიები წარმოებაზე 99

ამოცანა 6.14

მოცემულია შემდეგი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები (მიმდინარე ფასებში, მლნ ლარი):

1. ეკონომიკის მთლიანი მოგება და შერეული შემოსავლები 3620
2. დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება 4270
3. არაპირდაპირი გადასახადები, სულ 1213
4. მათ შორის გადასახადები პროდუქტებსა და იმპორტზე 936
5. სუბსიდიები, სულ 312
6. მათ შორის სუბსიდიები პროდუქტებსა და იმპორტზე 274

შეადგინეთ წარმოებისა და შემოსავლების ფორმირების ანგარიშები, თუ შუალედური მოხმარება მთლიანი გამოშვების 47%-ია ძირითად ფასებში.

ამოცანა 6.15

გვაქვს შემდეგი მონაცემები რეგიონის ეკონომიკის ფუნქციონირების შესახებ (მლნ ლარი):

1. მომუშავეთა შრომის ანაზღაურება 233
2. არაპირდაპირი გადასახადები, სულ 85
3. მათ შორის გადასახადები პროდუქტებსა და იმპორტზე 69
4. სუბსიდიები, სულ 17
5. მათ შორის სუბსიდიები პროდუქტებსა და იმპორტზე 17
6. ეკონომიკის მთლიანი მოგება 309
7. შუალედური მოხმარება 498

განსაზღვრეთ მშპ საბაზრო ფასებში, აგრეთვე ეკონომიკის მთლიანი გამოშვება ძირითად ფასებში.

ამოცანა 6.16

გვაქვს შემდეგი მონაცემები შემოსავლების ფორმირების შესახებ (მიმდინარე ფასებში, მლნ ლარი):

1. მთლიანი დამატებული ღირებულება საბაზრო ფასებში 894
2. მომუშავეთა შრომის ანაზღაურება 506
3. არაპირდაპირი წმინდა გადასახადები 42
4. ძირითადი კაპიტალის მოხმარება 63

განსაზღვრეთ დარგის მთლიანი და წმინდა მოგება და წმინდა დამატებული ღირებულება ფაქტორულ ფასებში.

ამოცანა 6.17

ჩამოთვლილთაგან რომელი შემოსავლები მიეკუთვნება მშპ-ის ფორმირებაში მონაწილე პირველად შემოსავლებს:

1. მოსახლეობის შემოსავლები პირადი მეურნეობიდან;
2. მოცემული ქვეყნის მოქალაქეთა მიერ მიღებული ხელფასი არარეზიდენტებისაგან (უცხო ქვეყნის საელჩო, სავაჭრო წარმომადგენლობა და სხვ.);
3. დროებით საქართველოში მცხოვრები თურქი მუშების მიერ მიღებული ხელფასი;
4. თანამემამულეთა მიერ მიღებული ანაზღაურება უცხოური კაპიტალის მონაწილეობით შექმნილ ფირმებში;
5. საწარმოების მიერ მიღებული მოგება უცხოური კაპიტალის მონაწილეობით შექმნილი ფირმებიდან;
6. მოსახლეობის მიერ მიღებული შემოსავალი უძრავი ქონების რეალიზაციიდან;
7. საიჯარო შემოსავლების მიღება მეიჯარის მიერ.

ამოცანა 6.18

ჩამოთვლილთაგან რომელი ელემენტები მიეკუთვნება შემოსავლებს საკუთრებიდან:

1. მესაკუთრეთა მიერ გადახდილი გადასახადები შენობებსა და ნაგებობებზე;
2. საკუთარი უძრავი ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი;
3. რენტა;
4. დივიდენდების გაცემა;
5. მოწყობილობების არენდის გადახდა;
6. პროცენტის გადახდა საბანკო კრედიტზე;
7. სოციალური დახმარებები.

ამოცანა 6.19

გვაქვს შემდეგი მონაცემები რეგიონის ეკონომიკის ფუნქციონირების შესახებ (მლნ ლარი):

1.	დაქირავებული მომუშავე-რეზიდენტების ანაზღაურება	708
2.	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	148
3.	გადასხადები პროდუქტებსა და იმპორტზე	106
4.	სხვა გადასახადები წარმოებაზე	42
5.	სუბსიდიები პროდუქტებსა და იმპორტზე	32
6.	სხვა სუბსიდიები ნარმოებაზე	14
7.	შემოსავლები საკუთრებიდან:	
8.	,,დანარჩენი მსოფლიოდან" მიღებული	21
9.	,,დანარჩენი მსოფლიოსათვის" გადაცემული	17
10.	პირველადი შემოსავლების სალდო	1138

განსაზღვრეთ ეკონომიკის მთლიანი მოგება, მშპ და წმინდა შიდა პროდუქტი (წშპ).

ამოცანა 6.20

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ელემენტები მიეკუთვნება კატეგორიას ,,მიმდინარე ტრანსფერები":

1. გადასახადები შინამეურნეობების შემოსავლებსა და ქონებაზე;
2. გადასახადები სანარმოთა შემოსავლებსა და ქონებაზე;
3. შემოსავლები აქციებიდან;
4. გადარიცხვები სოცდაზღვევაზე;
5. სანევრო გადასახადები საერთაშორისო ორგანიზაციებში;
6. პრემიების გაცემა მომუშავეებზე;
7. გადასახადები წარმოებაზე;
8. პროცენტის გადახდა კრედიტზე.

ამოცანა 6.21

გვაქვს შემდეგი მონაცემები (მლნ ლარი):

მაჩვენებლები	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი
1. მთლიანი შერეული შემოსავალი	244	284
2. ხელფასი	835	967
3. ფაქტობრივი გადარიცხვები სოცდაზღვევაზე	204	247
4. პირობითი გადარიცხვები სოცდაზღვევაზე	23	26
5. შემოსავლები საკუთრებიდან, მიღებული	72	72
6. შემოსავლები საკუთრებიდან, გაცემული	68	60
7. სოციალური დახმარებები, მიღებული	233	256
8. სხვა მიმდინარე ტრანსფერები, მიღებული	11	8
9. სხვა მიმდინარე ტრანსფერები, გადაცემული	9	12
10. წმინდა არაპირდაპირი გადასახადები	157	186

განსაზღვრეთ ეას-ის მიხედვით პირველადი და მეორადი გადარიცხვები და გაიანგარიშეთ:

1. პირველადი შემოსავლების სალდო;
2. მიმდინარე ტრანსფერების სალდო;
3. მთლიანი განკარგვადი შემოსავალი.

ამოცანა 6.22

პირობითი მონაცემების საფუძველზე გაიანგარიშეთ პირველადი შემოსავლების სალდო, მთლიანი განკარგვადი შემოსავალი. შეადგინეთ ანგარიშები, რომლებიც მონაწილეობენ აღნიშნული მაჩვენებლების ფორმირებაში:

1. მთლიანი შერეული შემოსავალი	62
2. ხელფასი	706
3. შემოსავლები საკუთრებიდან, მიღებული	60
4. შემოსავლები საკუთრებიდან, გაცემული	57
5. სოციალური დახმარებები, მიღებული	148
6. სხვა მიმდინარე ტრანსფერები, მიღებული	5
7. მიმდინარე გადასახადები შემოსავლებსა და სიმდიდრეზე	37
8. სოცდაზღვევის გადარიცხვები	133
9. სხვა მიმდინარე ტრანსფერები, გადაცემული	7
10. წმინდა არაპირდაპირი გადასახადები	87

ამოცანა 6.23

გვაქვს შემდეგი პირობითი მონაცემები (შესადარ ფასებში):

მაჩვენებლები	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი
მთავრობის სამომხმარებლო ხარჯები	115	151
ექსპორტი	146	143
იმპორტი	132	147
კერძო სამომხმარებლო ხარჯები	624	738
არაპირდაპირი გადასახადები	190	217
სუბსიდიები	24	19
სხვა მიმდინარე ტრანსფერები:		
მიღებული	31	35
გაცემული	33	29
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	69	75
მარაგების მატება	(-10)	9
ძირითადი კაპიტალის დაგროვება	208	227
მთლიანი მოგება	265	297

განსაზღვრეთ დინამიკაში:
მშპ და წშპ განაწილებითი (შემოსავლების) მეთოდით და მათი სტრუქტურა.

1. მონიშნეთ შემოსავლების გამოყენების ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლი:

ა) წმინდა დაკრედიტება (წმინდა სესხება);
ბ) მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი;
გ) მთლიანი ეროვნული დაზოგვა.

2. აღნიშნეთ შემოსავლების გამოყენების ანგარიშის მაკორესპონდირებელი ანგარიშები:

ა) წარმოების ანგარიში;
ბ) შემოსავლების განაწილების ანგარიში;
გ) საქონლისა და მომსახურების ანგარიში;
დ) კაპიტალის დანახარჯების ანგარიში.

3. მონიშნეთ კაპიტალის დანახარჯების ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლი:

ა) მთლიანი დაზოგვა;
ბ) წმინდა მოგება;
გ) საბოლოო მოხმარება;
დ) წმინდა დაკრედიტება ან წმინდა სესხება.

4. აღნიშნეთ კაპიტალის ანგარიშის მაკორესპონდირებელი ანგარიშები:

ა) წარმოების ანგარიში;
ბ) შემოსავლების განაწილების ანგარიში;
გ) საქონლისა და მომსახურების ანგარიში;
დ) შემოსავლების გამოყენების ანგარიში;
ე) შემოსავლების ფორმირების ანგარიში.

5. მონიშნეთ მუხლები, რომლებიც შეადგენენ „დანარჩენი მსოფლიოდან" მიღებულ ტრანსფერებს:

ა) სუბსიდიები კაპიტალურ დაბანდებებზე;
ბ) სუბსიდიები შრომის ანაზღაურებაზე მიმდინარე დანახარჯების დასაფარად;
გ) გადასახადები კაპიტალზე;
დ) ჯოგის ფორმირებაზე გაწეული დანახარჯები;
ე) დანახარჯები კაპიტალურ რემონტზე;
ვ) საერთაშორისო ობიექტების მშენებლობაზე გაწეული სუბსიდიები.

6. მონიშნეთ ფინანსური ანგარიშის აქტივები:

ა) საწარმოო აქტივები;

ბ) პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებები;
გ) კერძო კრედიტები;
დ) წმინდა ვალები;
ე) აქტივების წმინდა შეძენა;
ვ) ვალდებულებების წმინდა შეძენა;
ზ) მონეტარული ოქრო;
თ) ნაღდი ფული;
ი) დეპოზიტები;
კ) ფასიანი ქაღალდები.

ამოცანები

მაგალითი 6.23

გვაქვს შემდეგი პირობით მონაცემები ეროვნული ეკონომიკის მიხედვით (მლნ ლარი):

1.	მშპ საბაზრო ფასებში	1250
2.	წმინდა არაპირდაპირი გადასახადები წარმოებაზე	72
3.	წმინდა არაპირდაპირი გადასახადები პროდუქტებსა და იმპორტზე	41
4.	ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია	107
5.	გასული ძირითადი კაპიტალის არაამორტიზებული ღირებულება	13
6.	მიმდინარე ტრანსფერები, საზღვარგარეთიდან მიღებული	26
7.	მიმდინარე ტრანსფერები, საზღვარგარეთ გაცემული	24
8.	ფაქტორული შემოსავლები, საზღვარგარეთიდან მიღებული	45
9.	ფაქტორული შემოსავლები, საზღვარგარეთ გაცემული	40
10.	შინამეურნეობების შენატანები საპენსიო ფონდებში	64
11.	შინამეურნეობების შემოსავლები საპენსიო ფონდებიდან	58
12.	შინამეურნეობების საბოლოო მოხმარება	714
13.	მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარება	208
14.	შმაკო-ების საბოლოო მოხმარება	125
15.	ნატურალური სოციალური ტრანსფერები, მიღებული	13
16.	ნატურალური სოციალური ტრანსფერები, გადაცემული	6

განსაზღვრეთ ის მაჩვენებლები, რომლებიც საჭიროა კორექტირებული განკარგვადი ეროვნული შემოსავლის გასაანგარიშებლად და შეადგინეთ შესაბამისი ანგარიში.

ამოხსნა:

განსაზღვროთ კორექტირებული განკარგვადი ეროვნული შემოსავლი:

1) მთლიანი განკარგვადი ეროვნული შემოსავალი:
1250 + 26 + 45 – 24 – 40 = 1257.

2) კორექტირებული მთლიანი განკარგვადი ეროვნული შემოსავალი:
1257 +13 -6 = 1264.

შევადგინოთ კორექტირებული მთლიანი განკარგვადი ეროვნული შემოსავლის გამოყენების ანგარიში:

გამოყენება	რესურსები
შინამეურნეობების შენატანები საპენსიო ფონდებში 64 შინამეურნეობების საბოლოო მოხმარება 714 მმართველობის ორგანოების საბოლოო მოხმარება 208 შმაკო-ების საბოლოო მოხმარება 125 მთლიანი დაზოგვა 211 ძირითადი კაპიტალის მოხმარება 120 წმინდა დაზოგვა 91	კორექტირებული მთლიანი განკარგვადი ეროვნული შემოსავალი 1264 შინამეურნეობების შემოსავლები საპენსიო ფონდებიდან 58
სულ გამოყენება 1322	**სულ რესურსები 1322**

მთლიანი დაზოგვა: 1322 – 64 – 714 – 208 – 125 = 211.
ძირითადი კაპიტალის მოხმარება 107 + 13 = 120.
წმინდა დაზოგვა: 211 -120 = 91.

მაგალითი 6.24

გვაქვს შემდეგი პირობით მონაცემები ეროვნული ეკონომიკის მიხედვით (მლნ ლარი):

1. მშპ ფაქტორულ ფასებში 2150
2. ფაქტორული შემოსავლები, საზღვარგარეთიდან მიღებული 37
3. ფაქტორული შემოსავლები, საზღვარგარეთ გაცემული 31
4. წმინდა არაპირდაპირი გადასახადები წარმოებაზე 77
5. წმინდა არაპირდაპირი გადასახადები პროდუქტებსა და იმპორტზე 295
6. მიმდინარე ტრანსფერები, საზღვარგარეთიდან მიღებული 86
7. მიმდინარე ტრანსფერები, საზღვარგარეთ გაცემული 53
8. სუბსიდიები ნარმოებაზე 12
9. სუბსიდიები პროდუქტებსა და იმპორტზე 35

10. ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია	312
11. გასული ძირითადი კაპიტალის არაამორტიზებული ღირებულება	16
12. შინამეურნეობების საბოლოო მოხმარება	1395
13. მმართველობის ორგანოების საბოლოო მოხმარება	436
14. შმაკო-ების საბოლოო მოხმარება	218
15. ნატურალური სოციალური ტრანსფერები, გადაცემული	48
16. ნატურალური სოციალური ტრანსფერები, მიღებული	43

განსაზღვრეთ მთლიანი და წმინდა დაზოგვა.

ამოხსნა:

წინასწარ განვსაზღვროთ აუცილებელი შუალედური მაჩვენებლები:

1) მშპ საბაზრო ფასებში:	2150 + (77-12) + (295-35) = 2475.
2) მთლიანი ეროვნული შემოსავალი:	2475 + (37-31) = 2481.
3) მთლიანი განკარგვადი ეროვნული შემოსავალი:	2481 + (86-53) = 2514.
4) კორექტირებული მთლიანი განკარგვადი ეროვნული შემოსავალი:	2514 + (43-48)= 2509.
5) მთლიანი დაზოგვა:	2509 – 1395 – 436 – 218 = 460.
6) წმინდა დაზოგვა:	460 – 312 – 16 = 132.

მაგალითი 6.25

გვაქვს შემდეგი პირობითი მონაცემები ეროვნული ეკონომიკის მიხედვით (მლნ ლარი):

1. შრომის ანაზღაურება	2150
2. არაპირდაპირი გადასახადები	375
3. სუბსიდიები	47
4. ფაქტორული შემოსავლები, საზღვარგარეთიდან მიღებული	43
5. ფაქტორული შემოსავლები, საზღვარგარეთ გაცემული	58
6. ნატურალური სოციალური ტრანსფერები, მიღებული	36
7. ნატურალური სოციალური ტრანსფერები, გადაცემული	28
8. მიმდინარე ტრანსფერები, მიღებული	48
9. მიმდინარე ტრანსფერები, გადაცემული	121
10. შინამეურნეობების საბოლოო მოხმარება	1934
11. მმართველობის ორგანოების საბოლოო მოხმარება	217
12. შმაკო-ების საბოლოო მოხმარება	437
13. ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია	325
14. გასული ძირითადი კაპიტალის არაამორტიზებული ღირებულება	15
15. მთლიანი მოგება და შერეული შემოსავლები	687
16. შინამეურნეობების შენატანები საპენსიო ფონდებში	88
17. შინამეურნეობების შემოსავლები საპენსიო ფონდებიდან	79

განსაზღვრეთ მაჩვენებლები, რომლებიც აუცილებელია შემოსავლების გამოყენების ანგარიშის შესადგენად.

ამოხსნა:

1) მშპ საბაზრო ფასებში: 2150 + (375-47) + 687 = 3165.
2) მეშპ საბაზრო ფასებში: 3165 + 43 – 58 = 3150.
3) მეგშ: 3150 + (148-121) = 3177.
4) კმეგშ: 3177 + (36-28) = 3185.

შევადგინოთ შემოსავლების გამოყენების ანგარიში:

გამოყენება		რესურსები	
შინამეურნეობების შენატანები საპენსიო ფონდებში	88	კორექტირებული მთლიანი განკარგვადი ეროვნული შემოსავალი	3185
შინამეურნეობების საბოლოო მოხმარება	1934	შინამეურნეობების შემოსავლები საპენსიო ფონდებიდან	79
მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარება	217		
შმაკო-ების საბოლოო მოხმარება	437		
მთლიანი დაზოგვა	588		
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	340		
წმინდა დაზოგვა	248		
სულ გამოყენება 3264		**სულ რესურსები 3264**	

მთლიანი დაზოგვა: 3264-88-1934-217-437=588.
წმინდა დაზოგვა: 588-340=248.

ამოცანა 6.26

გვაქვს შემდეგი პირობითი მონაცემები ეროვნული ეკონომიკის შესახებ (მლნ. ლარი):

1. ეკონომიკის მთლიანი მოგება 1320
2. მომუშავეთა შრომის ანაზღაურება 3955
3. არაპირდაპირი გადასახადები 685
4. სუბსიდიები 93
5. ფაქტორული შემოსავლები, საზღვარგარეთიდან შემოსული 99
6. ფაქტორული შემოსავლები, საზღვარგარეთ გაგზავნილი 86
7. მიმდინარე ტრანსფერები, საზღვარგარეთიდან შემოსული 115
8. მიმდინარე ტრანსფერები, საზღვარგარეთ გაგზავნილი 120
9. ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია 576
10. საბოლოო მოხმარება:
    შინამეურნეობების ?
    მმართველობის ორგანოების 752
    შმაკო-ების 387
11. სადაზღვევო აქტივების მატება 37

12.	მთლიანი დაზოგვა	780

შეადგინეთ მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავლის გამოყენების ანგარიში და განსაზღვრეთ უცნობი მაჩვენებლები.

ამოცანა 6.27

გვაქვს შემდეგი პირობითი მონაცემები ეროვნული ეკონომიკის შესახებ (მლნ. ლარი):

1.	ეკონომიკის მთლიანი მოგება	?
2.	მომუშავეთა შრომის ანაზღაურება	5931.5
3.	არაპირდაპირი გადასახადები	1027.5
4.	სუბსიდიები	139.5
5.	ფაქტორული შემოსავლები, საზღვარგარეთიდან შემოსული	148.5
6.	ფაქტორული შემოსავლები, საზღვარგარეთ გაგზავნილი	129
7.	მიმდინარე ტრანსფერები, საზღვარგარეთიდან შემოსული	172.5
8.	მიმდინარე ტრანსფერები, საზღვარგარეთ გაგზავნილი	180
9.	ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია	864
10.	ძირითადი კაპიტალის არაამორტიზებული ღირებულება	54
11.	საბოლოო მოხმარება:	
	შინამეურნეობების	5878.5
	მმართველობის ორგანოების	1128
	შმაკო-ების	580.5
11.	სადაზღვევო აქტივების მატება	55.5
12.	მთლიანი დაზოგვა	1170

შეადგინეთ მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავლის გამოყენების ანგარიში და განსაზღვრეთ უცნობი მაჩვენებლები.

ამოცანა 6.28

გვაქვს შემდეგი პირობითი მონაცემები ეროვნული ეკონომიკის შესახებ (მლნ. ლარი):

1.	ეკონომიკის მთლიანი მოგება	1584
2.	მომუშავეთა შრომის ანაზღაურება	?
3.	არაპირდაპირი გადასახადები	822
4.	სუბსიდიები	11.6
5.	ფაქტორული შემოსავლები, საზღვარგარეთიდან შემოსული	118.8
6.	ფაქტორული შემოსავლები, საზღვარგარეთ გაგზავნილი	103.2
7.	მიმდინარე ტრანსფერები, საზღვარგარეთიდან შემოსული	138
8.	მიმდინარე ტრანსფერები, საზღვარგარეთ გაგზავნილი	144
9.	ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია	691.2
10.	ძირითადი კაპიტალის არაამორტიზებული ღირებულება	43.2
11.	საბოლოო მოხმარება:	

შინამეურნეობების	4702.8
მმართველობის ორგანოების	902.4
შმაკო-ების	464.4
11. სადაზღვევო აქტივების მატება	44.4
12. მთლიანი დაზოგვა	936

შეადგინეთ მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავლის გამოყენების ანგარიში და განსაზღვრეთ უცნობი მაჩვენებლები.

ამოცანა 6.29

გვაქვს შემდეგი პირობითი მონაცემები ეროვნული ეკონომიკის შესახებ (მლნ. ლარი):

1. მშპ ძირითად ფასებში	2400
2. წმინდა არაპირდაპირი გადასახადები წარმოებაზე	125
3. წმინდა არაპირდაპირი გადასახადები პროდუქტებსა და იმპორტზე	87
4. ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია	210
5. ძირითადი კაპიტალის არამორტიზებული ღირებულება	26
6. ფაქტორული შემოსავლები, საზღვარგარეთიდან შემოსული	104
7. ფაქტორული შემოსავლები, საზღვარგარეთ გაგზავნილი	95
8. მიმდინარე ტრანსფერები, საზღვარგარეთიდან შემოსული	75
9. მიმდინარე ტრანსფერები, საზღვარგარეთ გაგზავნილი	67
10. შინამეურნეობების შენატანები საპენსიო ფონდებში	112
11. შინამეურნეობების შემოსავლები საპენსიო ფონდებიდან	106
12. შინამეურნეობების საბოლოო მოხმარება	1813
13. მმართველობის ორგანოების საბოლოო მოხმარება	?
14. შმაკო-ების საბოლოო მოხმარება	165
15. ნატურალური სოციალური ტრანსფერები, მიღებული	42
16. ნატურალური სოციალური ტრანსფერები, გაცემული	36
17. მთლიანი დაზოგვა	359

შეადგინეთ კორექტირებული მთლიანი განკარგვადი შემოსავლის გამოყენების ანგარიში და განსაზღვრეთ უცნობი მაჩვენებლები.

ამოცანა 6.30

გვაქვს შემდეგი პირობითი მონაცემები ეროვნული ეკონომიკის შესახებ (მლნ. ლარი):

1. შრომის ანაზღაურება	2205
2. არაპირდაპირი გადასახდები	?
3. სუბსიდიები	48
4. ფაქტორული შემოსავლები, საზღვარგარეთიდან შემოსული	54
5. ფაქტორული შემოსავლები, საზღვარგარეთ გაგზავნილი	61.5
6. ნატურალური ტრანსფერები, მიღებული	33

7.	მიმდინარე ტრანსფერები, გადახდილი	30
8.	მიმდინარე ტრანსფერები, მიღებული	171
9.	მიმდინარე ტრანსფერები, გადახდილი	177
10.	შინამეურნეობების საბოლოო მოხმარება	1989
11.	მმართველობის ორგანოების საბოლოო მოხმარება	207
12.	შმაკო-ების საბოლოო მოხმარება	397.5
13.	ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია	303
14.	ძირითადი კაპიტალის არაამორტიზებული ღირებულება	40.5
15.	მთლიანი მოგება და შერეული შემოსავლები	633
16.	შინამეურნეობების შენატანები საპენსიო ფონდებში	109.5
17.	შინამეურნეობების შემოსავლები საპენსიო ფონდებიდან	103.5
18.	მთლიანი დაზოგვა	579
19.	წმინდა დაზოგვა	?

განსაზღვრეთ უცნობი მაჩვენებლები და შეადგინეთ შემოსავლების გამოყენების ანგარიში.

მაგალითი 6.31

გვაქვს შემდეგი პირობითი მონაცემები ეროვნული ეკონომიკის შესახებ (მლნ. ლარი):

1.	ძირითადი კაპიტალის მოქმედებაში შესვლა	2960
2.	ინვესტიციები ეკონომიკაში	3140
3.	დაუმთავრებელი მშენებლობის მატება	180
4.	ძირითადი კაპიტალის კაპიტალური რემონტის ღირებულება	212
5.	მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების შეფასება	2116
6.	დანახარჯები მიწის გაუმჯობესებაზე	109
7.	დანახარჯები გეოლოგიურ-საძიები და საპროექტო სამუშაოებზე	84
8.	მოწყობილობის და ინვენტარის შეძენა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ	46
9.	წიგნების შეძენა ბიბლიოთეკებისათვის	38
10.	მოსახლეობის ინდივიდუალური მშენებლობა	460
11.	პროგრამული პროდუქტების დამზადება და შეძენა	45
12.	მრავალწლიანი ნარგავების მოშენება	52
13.	მუშა და პროდუქტიული პირუტყვის ღირებულების მატება	89
14.	მოსახლეობის მიერ გრძელვადიანი მოხმარების საგნების შეძენა	512
15.	მატერიალური საბრუნავი ფონდების ღირებულების მატება	42
16.	რკინიგზისა და ტრასების კაპიტალური რემონტი	54
17.	ამონაგები ძირითადი კაპიტალის გაყიდვიდან	95
18.	საკუთრების უფლების გადაცემის ხარჯები მიწაზე	33

გაიანგარიშეთ ძირითადი კაპიტალის მთლიანი და წმინდა დაგროვება, თუ ძირითადი კაპიტალის მოხმარება მთლიანი დაგროვების 58%-ია.

ამოხსნა:

1. ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება = 2960 +180 + 212 + 109 +84 + 46 + 38 + 460 + 45 + 52 + 89 + 54 + 33 = 4362.
2. ძირითადი კაპიტალის მოხმარება = 4362 * 0.58 = 2529.96.
3. ძირითადი კაპიტალის წმინდა დაგროვება = 4362 – 2529.96 = 1832.04.

მაგალითი 6.32

გვაქვს შემდეგი პირობითი მონაცემები ეროვნული ეკონომიკის შესახებ (მლნ. ლარი):

1.	მთლიანი ეროვნული შემოსავალი	3350
2.	სოციალური ნატურალური ტრანსფერები, მიღებული	48
3.	სოციალური ნატურალური ტრანსფერები, გაცემული	40
4.	მიმდინარე ტრანსფერები, მიღებული	105
5.	მიმდინარე ტრანსფერები, გაცემული	97
6.	მინისა და არამატერიალური აქტივების შეძენა საზღვარგარეთ	22
7.	მიწისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვა საზღვარგარეთ	24
8.	კაპიტალური ტრანსფერები, მიღებული	36
9.	კაპიტალური ტრანსფერები, გაცემული	28
10.	შინამეურნეობების საბოლოო მოხმარება	2145
11.	მმართველობის ორგანოების საბოლოო მოხმარება	328
12.	შმაკო-ების საბოლოო მოხმარება	395
13.	წმინდა დაკრედიტება (+), წმინდა სესხება (-)	?
14.	ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება	427
15.	მატერიალური საბრუნავი საშუალებები წლის დასაწყისში	258
16.	მატერიალური საბრუნავი საშუალებები წლის ბოლოს	270
17.	ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია	316
18.	გასული ძირითადი კაპიტალის სალიკვიდაციო ღირებულება	25

გაიანგარიშეთ ერის წმინდა დაკრედიტება (+), წმინდა სესხება (-) და შეადგინეთ კაპიტალის ანგარიში.

ამოხსნა:

განვსაზღვროთ აუცილებელი შუალედური მაჩვენებლები:

1. განკარგვადი მთლიანი ეროვნული შემოსავალი:3350+(105-97)=3358.
2. კორექტირებული განკარგვადი მთლიანი ეროვნული შემოსავალი: 3358+(48-40)=3366.
3. მთლიანი დანაზოგი: 3366-2145-328-395=422.
4. წმინდა დანაზოგი: 422-316-25=81.
5. ერის წმინდა დაკრედიტება (+), წმინდა სესხება (-):422+36-22-28+24-427-(270-258)=(-7) წმინდა სესხება.

შევადგინოთ კაპიტალის ანგარიში:

გამოყენება		რესურსები	
გაცემული კაპიტალური ტრანსფერები	28	მთლიანი დანაზოგი	422
მიწისა და არამატერიალური აქტივების ყიდვა საზღვარგარეთ	22	მიღებული კაპიტალური ტრანსფერები	36
ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება	427	მიწისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვა საზღვარგარეთ	24
მატერიალური საბრუნავი საშუალებების მატება	12		
ერის წმინდა სესხება	(-7)		
სულ 482		**სულ 482**	

ამოცანა 6.33

გვაქვს შემდეგი პირობითი მონაცემები ეროვნული ეკონომიკის შესახებ (მლნ. ლარი):

1. ძირითადი კაპიტალის მოქმედებაში შესვლა 210
2. ინვესტიციები ეკონომიკაში 2370
3. დაუმთავრებელი მშენებლობის მატება 105
4. ძირითადი კაპიტალის რემონტის ღირებულება 144
5. მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების შეფასება 1834
6. დანახარჯები მიწის გაუმჯობესებაზე 75
7. დანახარჯები გეოლოგიურ-საძიები და საპროექტო სამუშაოებზე 46
8. მოწყობილობების და ინვენტარის შეძენა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ 31
9. წიგნების შეძენა ბიბლიოთეკებისათვის 29
10. მოსახლეობის ინდივიდუალური მშენებლობა 344
11. პროგრამული პროდუქტების დამზადება და შეძენა 130
12. მრავალწლიანი ნარგავების მოშენება 41
13. მუშა და პროდუქტიული პირუტყვის ღირებულების მატება 72
14. მოსახლეობის მიერ გრძელვადიანი მოხმარების საგნების შეძენა 86
15. მატერიალური საბრუნავი კაპიტალის ღირებულების მატება 55
16. რკინიგზისა და ტრასების კაპიტალური რემონტი 12
17. ამონაგები ძირითადი კაპიტალის გაყიდვიდან 384
18. საკუთრების უფლების გადაცემის ხარჯები მიწაზე ?
19. ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება 3244
20. ძირითადი კაპიტალის მოხმარება ?
21. ძირითადი კაპიტალის წმინდა დაგროვება 1459

განსაზღვრეთ უცნობი ელემენტები:

ამოცანა 6.34

გვაქვს შემდეგი პირობითი მონაცემები ეროვნული ეკონომიკის შესახებ (მლნ. ლარი):

1.	მთლიანი ეროვნული შემოსავალი	1870
2.	სოციალური ნატურალური ტრანსფერები, მიღებული	26
3.	სოციალური ნატურალური ტრანსფერები, გაცემული	28
4.	მიმდინარე ტრანსფერები, მიღებული	73
5.	მიმდინარე ტრანსფერები, გაცემული	70
6.	მინისა და არამატერიალური აქტივების შეძენა საზღვარგარეთ	13
7.	მინისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვა საზღვარგარეთ	11
8.	კაპიტალური ტრანსფერები, მიღებული	24
9.	კაპიტალური ტრანსფერები, გაცემული	21
10.	შინამეურნეობების საბოლოო მოხმარება	?
11.	მმართველობის ორგანოების საბოლოო მოხმარება	156
12.	შმაკო-ების საბოლოო მოხმარება	199
13.	წმინდა დაკრედიტება (+), წმინდა სესხება (-)	15
14.	ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება	255
15.	მატერიალური საბრუნავი საშუალებები წლის დასაწყისში	110
16.	მატერიალური საბრუნავი საშუალებები წლის ბოლოს	114
17.	ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია	172
18.	გასული ძირითადი კაპიტალის სალიკვიდაციო ღირებულება	17

შეადგინეთ კაპიტალის ანგარიში და გაიანგარიშეთ შინამეურნეობების საბოლოო მოხმარება.

მაგალითი 6.35

გვაქვს შემდეგი მონაცემები ქვეყნიდან ექსპორტის შესახებ:

მაჩვენებლები	2002 წელი	2005 წელი
1. საქონლის მიწოდება საგარეო-ეკონომიკური კონტრაქტებით	2000	2150
2. მონეტარული ოქრო, ძვირფასი ლითონები, როგორც გადახდის საშუალება	70	65
3. პროდუქციის მიწოდება მილსადენებითა და ელექტროგადამცემი ხაზებით	215	240
4. არამონეტარული ოქრო და ძვირფასი ლითონები, არა როგორც გადახდის საშუალება	120	132
5. სამხედრო ტექნიკის გაყიდვა (ყიდვა)	95	84
6. ეკონომიკური, სამხედრო და ჰუმანიტარული დახმარება	30	28
7. რეექსპორტი ქვეყანაში შემოტანით	22	26
8. მგზავრების ტვირთები საბაჟოს მიერ დაუბეგრავი	54	61
9. მგზავრების ტვირთები საბაჟოს მიერ დაბეგრილი	32	48
10. რეექსპორტი ქვეყანაში შემოტანის გარეშე	66	60
11. გრძელვადიანი მოხმარების საგნების არენდით გაცემა ერთ წელზე მეტი ხნით	16	14
12. უცხოური საქონლის ტრანზიტი მოცემული ქვეყნის გავლით	206	195
13. მოცემული ქვეყნის მოქალაქეთა დანახარჯები საზღვარგარეთ	48	42
14. მოცემული ქვეყნის ორგანიზაციების დანახარჯები საზღვარგარეთ	31	24
15. სხვა ქვეყნის მოქალაქეთა დანახარჯები მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე	54	57
16. საზღვარგარეთული და საერთაშორისო ორგანიზაციების დანახარჯები მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე	34	26
17. მომსახურების ექსპორტი	488	505
18. მომსახურების იმპორტი	466	442

განსაზღვრეთ საქონლის ექსპორტის ღირებულება, ექსპორტის საერთო ღირებულება, ექსპორტის საშუალონლიური ზრდისა და მატების ტემპები.

ამოხსნა:

1. საქონლის ექსპორტის ღირებულება:

   საბაზისო: 2000 + 215 + 120 + 95 + 30 + 22 + 32 + 16 + 34 = 2564.

   საანგარიშო: 2150 + 240 + 132 + 84 + 28 + 26 + 48 + 14 + 26 = 2748.

2. ექსპორტის საერთო ღირებულება:

   საბაზისო: 2564 + 488 = 3052.

   საანგარიშო: 2748 + 505 = 3253.

3. საშუალონლიური ზრდის ტემპი:

$$\sqrt[3]{\frac{3253}{3052}} = 1.021 = 102.1\%.$$

4. საშუალონლიური მატების ტემპი: 102.1% -100% = 2.1%.

მაგალითი 6.36

გვაქვს შემდეგი პირობითი მონაცემები ქვეყნის ეკონომიკის შესახებ (მლნ დოლარი):

1. საქონლის ექსპორტი	1750
2. მომსახურების ექსპორტი	320
3. საზღვარგარეთ გადახდილი მიმდინარე ტრანსფერები	112
4. საზღვარგარეთიდან მიღებული მიმდინარე ტრანსფერები	104
5. საქონლის იმპორტი	1715
6. მომსახურების იმპორტი	315
7. საზღვარგარეთ გადახდილი არაპირდაპირი გადასახადები	42
8. საზღვარგარეთიდან მიღებული არაპირდაპირი გადასახადები	39
9. რეზიდენტების საბოლოო მოხმარება საზღვარგარეთ	77
10. არარეზიდენტების საბოლოო მოხმარება მოცემულ ქვეყანაში	68
11. ფაქტორული შემოსავლები, საზღვარგარეთიდან მიღებული	88
12. ფაქტორული შემოსავლები, საზღვარგარეთ გაცემული	80
13. რეზიდენტების შრომის ანაზღაურება არარეზიდენტების მიერ	48
14. არარეზიდენტების შრომის ანაზღაურება რეზიდენტების მიერ	52
15. საზღვარგარეთიდან მიღებული სუბსიდიები	36
16. საზღვარგარეთ გაგზავნილი სუბსიდიები	32
17. მინისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ	28
18. მინისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა არარეზიდენტების მიერ მოცემულ ქვეყანაში	34
19. საზღვარგარეთიდან მიღებული კაპიტალური ტრანსფერები	41
20. საზღვარგარეთ გაცემული კაპიტალური ტრანსფერები	45

ააგეთ საგარეო-ეკონომიკური კავშირების ანგარიში:

ამოხსნა:

განვსაზღვროთ ანგარიშის შედგენისათვის აუცილებელი მაჩვენებლები:

1. მიმდინარე ოპერაციების სალდო:

   1750 + 320 + 104 + 39 + 68 + 88 + 48 + 36 -
   (1715+315+42+112+77+80+52+32) = 140.

2. ერის წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება

   140 + 34 + 41 – 28 – 45 = 142 (წმინდა დაკრედიტება).

ავაგოთ საგარეო-ეკონომიკური კავშირების ანგარიში:

გამოყენება		რესურსები	
მიმდინარე ოპერაციების ანგარიში			
საქონლის იმპორტი	1715	საქონლის ექსპორტი	1750
მომსახურების იმპორტი	315	მომსახურების ექსპორტი	320
მიმდინარე ტრანსფერები, გაცემული	112	მიმდინარე ტრანსფერები, მიღებული	104
არაპირდაპირი გადასახადები, გადახდილი	42	არაპირდაპირი გადასახადები, მიღებული	39
რეზიდენტების საბოლოო მოხმარება საზღვარგარეთ	77	უცხოელების საბოლოო მოხმარება	68
ფაქტორული შემოსავლები, საზღვარგარეთ გადახდილი	80	ფაქტორული შემოსავლები, საზღვარგარეთიდან მიღებული	88
არარეზიდენტების შრომის ანაზღაურება რეზიდენტების მიერ	52	რეზიდენტების შრომის ანაზღაურება არარეზიდენტების მიერ	48
გადახდილი სუბსიდიები	32	საზღვარგარეთიდან მიღებული სუბსიდიები	36
მიმდინარე ოპერაციების სალდო	140	მიმდინარე ოპერაციების სალდო	140
კაპიტალური ტრანსფერები, გადახდილი	45	კაპიტალური ტრანსფერები, მიღებული	41
მიწისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა საზღვარგარეთ	28	მიწისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა არარეზიდენტების მიერ	34
წმინდა დაკრედიტება	142		
სულ გამოყენება	215	სულ რესურსები	215

ამოცანა 6.37

გვაქვს შემდეგი მონაცემები ქვეყნიდან ექსპორტის შესახებ:

მაჩვენებლები	საბაზისო წელი	საანგარიშო წელი
1. საქონლის მიწოდება საგარეო-ეკონომიკური კონტრაქტებით	500	560
2. მონეტარული ოქრო, ძვირფასი ლითონები, როგორც გადახდის საშუალება	13	15
3. პროდუქციის მიწოდება მილსადენებითა და ელექტროგადამცემი ხაზებით	32	28
4. არამონეტარული ოქრო და ძვირფასი ლითონები, არა როგორც გადახდის საშუალება	21	22
5. სამხედრო ტექნიკის გაყიდვა (ყიდვა)	36	31
6. ეკონომიკური, სამხედრო და ჰუმანიტარული დახმარება	23	18
7. რეექსპორტი ქვეყანაში შემოტანით	29	25
8. მგზავრების ტვირთები საბაჟოს მიერ დაუბეგრავი	18	21
9. მგზავრების ტვირთები საბაჟოს მიერ დაბეგრილი	30	20
10. რეექსპორტი ქვეყანაში შემოტანის გარეშე	30	28
11. გრძელვადიანი მოხმარების საგნების არენდით გაცემა ერთ წელზე მეტი ხნით	8	10
12. უცხოური საქონლის ტრანზიტი მოცემული ქვეყნის გავლით	42	45
13. მოცემული ქვეყნის მოქალაქეთა დანახარჯები საზღვარგარეთ	16	14
14. მოცემული ქვეყნის ორგანიზაციების დანახარჯები საზღვარგარეთ	24	26
15. სხვა ქვეყნის მოქალაქეთა დანახარჯები მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე	13	16
16. საზღვარგარეთული და საერთაშორისო ორგანიზაციების დანახარჯები მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე	7	8
17. მომსახურების ექსპორტი	110	116
18. მომსახურების იმპორტი	121	124

განსაზღვრეთ: საქონლის ექსპორტის ღირებულება, ექსპორტის საერთო ღირებულება, ექსპორტის საშუალოწლიური ზრდისა და მატების ტემპები.

ამოცანა 6.38

გვაქვს შემდეგი პირობითი მონაცემები ქვეყნის ეკონომიკის შესახებ (მლნ დოლარი):

1. საქონლის ექსპორტი	?
2. მომსახურების ექსპორტი	750
3. საზღვარგარეთ გადახდილი მიმდინარე ტრანსფერები	107
4. საზღვარგარეთიდან მიღებული მიმდინარე ტრანსფერები	102
5. საქონლის იმპორტი	2050
6. მომსახურების იმპორტი	685

7.	საზღვარგარეთ გადახდილი არაპირდაპირი გადასახადები	58
8.	საზღვარგარეთიდან მიღებული არაპირდაპირი გადასახადები	66
9.	რეზიდენტების საბოლოო მოხმარება საზღვარგარეთ	126
10.	არარეზიდენტების საბოლოო მოხმარება მოცემულ ქვეყანაში	104
11.	ფაქტორული შემოსავლები, საზღვარგარეთიდან მიღებული	202
12.	ფაქტორული შემოსავლები, საზღვარგარეთ გაცემული	184
13.	რეზიდენტების შრომის ანაზღაურება არარეზიდენტების მიერ	76
14.	არარეზიდენტების შრომის ანაზღაურება რეზიდენტების მიერ	84
15.	საზღვარგარეთიდან მიღებული სუბსიდიები	51
16.	საზღვარგარეთ გაგზავნილი სუბსიდიები	44
17.	მინისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ	34
18.	მინისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა არარეზიდენტების მიერ მოცემულ ქვეყანაში	28
19.	საზღვარგარეთიდან მიღებული კაპიტალური ტრანსფერები	99
20.	საზღვარგარეთ გაცემული კაპიტალური ტრანსფერები	86
21.	მიმდინარე ოპერაციების სალდო	385
22.	წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება	?

განსაზღვრეთ საქონლის ექსპორტის მოცულობა. ერის წმინდა დაკრედიტება.

მაგალითი 6.39

გვაქვს შემდეგი პირობითი მონაცემები (მლნ ლარი)

1.	წარმოებული დოვლათის ღირებულება ფაქტორულ ფასებში	4050
2.	ფასიანი მომსახურების ღირებულება	320
3.	უფასო მომსახურების ღირებულება	422
4.	ბანკების მიერ მიღებული პროცენტები	185
5.	ბანკების მიერ გადახდილი პროცენტები	148
6.	არაპირდაპირი გადასახადები წარმოებასა და პროდუქტებზე	655
7.	სუბსიდიები წარმოებასა და პროდუქტებზე	88
8.	ექსპორტი	965
9.	იმპორტი	874
10.	იმპორტის ღირებულება ქვეყნის შიგნით	1024
11.	სუბსიდიები იმპორტზე	42
12.	მატერიალური დანახარჯები წარმოებაზე	2345
13.	მათ შორის ამორტიზაცია	412
14.	ძირითადი კაპიტალის არაამორტიზებული ღირებულება	38
15.	შუალედური მოხმარების სხვა ელემენტები	68
16.	ძირითადი კაპიტალის დაგროვება	210
17.	მატერიალური დოვლათის მარაგების მატება	24

შეადგინეთ საქონლისა და მომსახურების ანგარიში.

ამოხსნა:

ჯერ გავიანგარიშოთ შემდეგი მაჩვენებლები:

1. პროდუქტებისა და მომსახურების მთლიანი გამოშვება ფაქტორულ ფასებში:
   4050+320+422+(185-148)=4829.
2. პროდუქტებისა და მომსახურების მთლიანი გამოშვება საბაზრო ფასებში:
   4829+(655-88)+(1024-874-42)=5504.
3. შუალედური მოხმარება:
   (185-148)+(2345-412)+68=2024.
4. საბოლოო მოხმარება ეკონომიკურ ტერიტორიაზე:
   (5504+874)-2024-210-24-965=3155

საქონლისა და მომსახურების ანგარიში:

გამოყენება		რესურსები	
შუალედური მოხმარება	2024	საქონლისა და მომსახურების გამოშვება ფაქტორულ ფასებში	4829
ძირითადი კაპიტალის დაგროვება	210	წმინდა არაპირდაპირი გადასახადები (655-88)+(1024-874-42)=675	
საბრუნავი საშუალებების მატება	24		
საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	965		
საბოლოო მოხმარება ეკონომიკურ ტერიტორიაზე	3155	საქონლისა და მომსახურების იმპორტი	874
სულ გამოყენება	**6378**	**სულ რესურსები**	**6378**

ამოცანა 6.40

გვაქვს შემდეგი პირობითი მონაცემები (მლნ ლარი)

1.	ნარმოებული დოვლათის ღირებულება ფაქტორულ ფასებში	2500
2.	ფასიანი მომსახურების ღირებულება	1250
3.	უფასო მომსახურების ღირებულება	870
4.	ბანკების მიერ მიღებული პროცენტები	170
5.	ბანკების მიერ გადახდილი პროცენტები	154
6.	არაპირდაპირი გადასახადები წარმოებასა და პროდუქტებზე	312
7.	სუბსიდიები ნარმოებასა და პროდუქტებზე	48
8.	ექსპორტი	450
9.	იმპორტი	430
10.	იმპორტის ღირებულება ქვეყნის შიგნით	485
11.	სუბსიდიები იმპორტზე	13
12.	მატერიალური დანახარჯები წარმოებაზე	2650

13. მათ შორის ამორტიზაცია	537
14. ძირითადი კაპიტალის არაამორტიზებული ღირებულება	28
15. შუალედური მოხმარების სხვა ელემენტები	213
16. ძირითადი კაპიტალის დაგროვება	812
17. მატერიალური დოვლათის მარაგების მატება	+13
18. საბოლოო მოხმარება	?

შეადგინეთ საქონლისა და მომსახურების ანგარიში.

მაგალითი 6.41

გვაქვს შემდეგი პირობითი მონაცემები (მლნ ლარი, მიმდინარე ფასები):

მაჩვენებლები	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი
1. წარმოებული მატერიალური დოვლათის ღირებულება	1200	1500
2. ფასიანი და უფასო მომსახურების ღირებულება	1250	1600
3. შუალედური მოხმარება, სულ	1315	1670
4. მათ შორის მომსახურების მოხმარება	410	490
5. ძირითადი კაპიტალის მოხმარება	230	275
6. მათ შორის ძირითადი კაპიტალის მოხმარება მომსახურების გაწევისას	40	45
7. ფასების ინდექსები:		
7.1 მატერიალურ დოვლათსა და შუალედურ მოხმარებაზე	1.02	1.04
7.2 მატერიალური დოვლათის საბოლოო მოხმარებისას	1.03	1.05
7.3 მომსახურებაზე შუალედურ მოხმარებაში	1.06	1.09
7.4 მომსახურებაზე საბოლოო მოხმარებისას	1.05	1.09
7.5 ძირითად კაპიტალზე	1.02	0.99

განსაზღვრეთ:

1. *მთლიანი გამოშვება, მშპ და ეროვნული შემოსავალი მიმდინარე ფასებში.*
2. *მთლიანი გამოშვების, მშპ-ისა და ეროვნული შემოსავლის ინდექსები.*
3. *მთლიანი გამოშვების, მშპ-ისა და ეროვნული შემოსავლის ფიზიკური მოცულობის ინდექსები.*
4. *მთლიანი გამოშვების, მშპ-ისა და ეროვნული შემოსავლის ფასების ინდექსები.*

ამოხსნა:

(ცხრილის გაგრძელება)

მაჩვენებლები		საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი
8.	ნარმოებული მატერიალური დოვლათის ღირებულება შუალედურ მოხმარებაში მიმდინარე ფასებში (3-4)	905	1180
9.	მატერიალური დოვლათი საბოლოო მოხმარებაში მიმდინარე ფასებში (1-8)	295	320
10.	ძირითადი კაპიტალის მოხმარება დოვლათის შექმნისას (5-6)	190	230
11.	მომსახურება საბოლოო მოხმარებაში მიმდინარე ფასებში (2-4)	840	1110
12.	მთლიანი გამოშვება მიმდინარე ფასებში (1+2)	2450	3100
13.	მშპ მიმდინარე ფასებში (12-3)	1135	1430
14.	ეროვნული შემოსავალი მიმდინარე ფასებში (13-5)	905	1155
15.	ძირითადი კაპიტალის მოხმარება, შესადარ ფასებში მატერიალური დოვლათის შექმნისას (10/7.5)	186.3	232.3
16.	ძირითადი კაპიტალის მოხმარება, შესადარ ფასებში მომსახურების გაწევისას (6/7.5)	39.2	45.5
17.	მატერიალური დოვლათი საბოლოო მოხმარებაზე შესადარ ფასებში (9/7.2)	286.4	304.8
18.	მატერიალური დოვლათი შუალედურ მოხმარებაზე, შესადარ ფასებში (9/7.1)	887.3	1134.6
19.	მომსახურება საბოლოო გამოყენებაზე, შესადარ ფასებში (11/7.4)	800	1018.3
20.	მომსახურება შუალედურ მოხმარებაში, შესადარ ფასებში (4/7.3)	386.8	449.5
21.	ეროვნული შემოსავალი, შესადარ ფასებში (17+19-15-16)	860.9	1045.3
22.	მშპ შესადარ ფასებში (17+19)	1086.4	1323.4
23.	მთლიანი გამოშვება, შესადარ ფასებში (22+18+20)	2360.5	2907.2

განვსაზღვროთ:

1. **ღირებულების ინდექსები:**
   ეროვნული შემოსავლის: 1155/905=127.65.
   მშპ-ის: 1430/1135=126%.
   მთლიანი გამოშვების: 3100/2450=126.5%.
2. **ფიზიკური მოცულობის ინდექსები:**
   ეროვნული შემოსავლის: 1045.3/860.9=121.4%.
   მშპ-ის: 1323/1086.4+121.8%.
   მთლიანი გამოშვების: 2907.2/2360.5=123.2%.
3. **ფასების ინდექსები:**
   ეროვნული შემოსავლის: 127.6%/ 121.4%=105.1%.
   მშპ-ს: 126% / 121.8%=103.4%.
   მთლიანი გამოშვების: 126.5% / 123.2%=102.7%.

მაგალითი 6.42

გვაქვს შემდეგი მონაცემები რეგიონის მიხედვით (მლნ. ლარი):

საბაზისო პერიოდის მთლიანმა გამოშვებამ შეადგინა 1520. ამასთან, ძირითადი კაპიტალის მოხმარებამ შეადგინა 9.5%, ხოლო შუალედურმა მოხმარებამ — 48.6%. საანგარიშო პერიოდში ეკონომიკაში დასაქმებულთა ხვედრითი წონა გაიზარდა 3.4%-ით, ხოლო მათი შრომის მწარმოებლურობა — 1.2%-ით. შუალედური მოხმარების ხვედრითი წონა გამოშვებაში გაიზარდა 0.8%-ით, ხოლო ძირითადი კაპიტალის ხვედრითი წონა შემცირდა 0.2%-ით საბაზისო პერიოდთან შედარებით.

განვსაზღვროთ:

1. მთლიანი გამოშვების მატება დასაქმებულთა რაოდენობისა და შრომის მწარმოებლურობის ზრდის შედეგად.
2. მთლიანი გამოშვების, მშპ-ისა და ეროვნული შემოსავლის დინამიკის მაჩვენებლები.

ამოხსნა:

1. მთლიანი გამოშვების მატება დასაქმებულთა ხარჯზე: 1520*1.034-1520=51.68.

შრომის მწარმოებლურობის ზრდის შედეგად: 1520*1.012-1520-=1538.24-1520=18.2.

2. მთლიანი გამოშვების დინამიკა: (1520+51.68+18.24)/1520=1589.92/1520=1.046*100=104.6%.

მშპ-ის დინამიკა: (1589.92*0.494)/(1520*0.514)=785.42/781.3=1.005*100=100.5%.

ეროვნული შემოსავლის დინამიკა:

$$\frac{785.42-1589.92*0.093}{781.3-1520*0.095}=\frac{785.42-147.86}{781.3-144.4}=\frac{637.55}{637.2}=1.0005*100=100.1\%$$

მაგალითი 6.43

მოცემულია შემდეგი პირობითი მონაცემები (მლნ ლარი, მიმდინარე ფასები)

მაჩვენებლები	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი	ფასების ინდექსი	საანგარიშო პერიოდი საბაზისო პერიოდის ფასებში
1. საბოლოო მოხმარება:				
შინამეურნეობების	980	1020	1.06	962.3
მმართველობის ორგანოების	217	240	1.04	230.8
შმაკო-ების	165	180	1.09	165.1
2. ექსპორტი	325	340	1.04	326.9
3. იმპორტი	295	325	1.02	318.6
4. ძირითადი კაპიტალის მატება	180	170	1.04	163.5
5. მარაგების მატება	15	20	1.05	19.0
სულ მშპ	**1387**	**1645**	**-**	**1549.0**

განსაზღვრეთ მშპ-ის ღირებულების, ფასებისა და ფიზიკური მოცულობის კრებსითი ინდექსები:

ამოხსნა:

1) მშპ-ის ღირებულების ინდექსი $= \frac{1645}{1387} = 103.6\ \%$

2) მშპ-ის ფასების ინდექსი $= \frac{1645}{1549} = 106{,}2\ \%$.

3) მშპ-ის ფიზიკური მოცულობის ინდექსი = 10.365%/106.2% = 97.6%.

ამოცანა 6.44

მოცემულია შემდეგი პირობითი მონაცემები (მლნ ლარი)

მაჩვენებლები	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი
მატერიალური დოვლათის ღირებულება	3670	4000
მომსახურების ღირებულება	1720	1930
შუალედური მოხმარება — სულ	2960	3010
მათ შორის მომსახურებაზე	810	930
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	510	526
ფასების ინდექსი:		
მატერიალური დოვლათის საბოლოო მოხმარების	1.27	1.26
ინვესტიციების	1.22	1.25
შუალედური მოხმარების	1.21	1.24
მომსახურების	1.18	1.21

განსაზღვრეთ:

1. მთლიანი გამოშვების ფიზიკური მოცულობის ინდექსი;

2. შუალედური მოხმარების ინდექსი;

3. მშპ-ისა და ეროვნული შემოსავლის ღირებულების ინდექსები.

ამოცანა 6.45

მოცემულია შემდეგი პირობითი მონაცემები (მლნ ლარი, მიმდინარე ფასები)

მაჩვენებლები	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი
მშპ	1350	1500
ძირითადი კაპიტალის მოხმარება (%-ობით მშპ-სთან)	12.3	12.5
შუალედური მოხმარება	1670	1830
ეროვნული შემოსავლის ფასების ინდექსი	1.04	1.06
შუალედური მოხმარების ფასების ინდექსი	10.8	1.11
ძირითადი კაპიტალის ფასების ინდექსი	1.12	1.18

განსაზღვრეთ:

1) მთლიანი გამოშვების ფასების ინდექსი.

2) მთლიანი გამოშვების ფიზიკური მოცულობის ინდექსი.

7 თავი ეროვნული ანგარიშების შედგენის ინფორმაციული წყაროები

ინფორმაციის ძირითადი წყაროების მიმოხილვა და მათი ზოგადი დახასიათება. პირველადი ინფორმაციის დამუშავების მეთოდები.

ეას-ის მაჩვენებლების გაანგარიშება ეფუძნება სხვადასხვა წყაროდან შემოსული პირველადი ინფორმაციის სისტემას სამეურნეო სუბიექტების (საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები, ფიზიკური პირები) საქმიანობაზე. საქართველოში ეროვნულ ანგარიშთა სისტემის შესადგენად ინფორმაციის მოპოვების საკითხებს უზრუნველყოფს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სტატისტიკის დეპარტამენტი, ფინანსთა სამინისტრო, ეროვნული ბანკი, საგადასახადო და საბაჟო სამსახურები. მაკოორდინირებელ როლს ამ საქმიანობაში ასრულებს სსდ სტატისტიკის დეპარტამენტი. ის ახორციელებს მთლიანად ქვეყნის მასშტაბით სტატისტიკური საქმიანობის ხელმძღვანელობას, ერთიანი მეთოდოლოგიის საფუძველზე ახდენს სტატისტიკური დაკვირვების ორგანიზებას, ურთიერთქმედებს სახელმწიფო მართვის ორგანოების საინფორმაციო სისტემებთან და მონაცემთა ბაზების (ბანკების) მქონე სხვა ორგანიზაციებთან.

სახელმწიფო მართველობის ორგანოების ჩარჩოებში ინფორმაციის მოპოვებითა და დამუშავებით დაკავებული ყველა ძირითადი დაწესებულების თანამშრომლობა გამოიხატება კონცეფციების, პროგრამებისა და მონაცემთა მოპოვების მეთოდების, ანალიზის მეთოდებისა და კითხვარების შემუშავებაში, უწყებებს შორის მონაცემთა ბაზის მეშვეობით ინფორმაციის გაცვლის ფორმების დახვეწაში. გამოკვლევების დაგეგმვისას, მონაცემთა უფრო ეფექტიანი კოორდინაციის მიზნით, ყველა სამინისტრო და უწყება კონსულტაციას გადის სსდ სტატისტიკის დეპარტამენტთან და უსასყიდლოდ გადასცემს მას გამოკვლევის შედეგებს.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება (სსდ) სტატისტიკის დეპარტამენტი შეიმუშავებს კლასიფიკაციების დანერგვის პროცედურებს და ახსნა-განმარტებებს უტარებს სხვა უწყებებს, თუ როგორ გამოიყენონ საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული ეკონომიკური კლასიფიკაციები მათგან მიღებული მონაცემების სწორი ინტერპრეტირებისა და ეფექტიანი გამოყენების მიზნით.

სსდ სტატისტიკის დეპარტამენტი, ეკონომიკური ინფორმაციის მოპოვებითა და დამუშავებით დაკავებულ სხვა ორგანიზაციებთან ერთად, მუდმივად სრულყოფს ინფორმაციის წყაროებს, მონაცემთა მოპოვებისა და დამუშავების მეთოდებს და ახდენს მიღებული ინფორმაციის გამოქვეყნებას მხოლოდ აგრეგირებული სახით, რათა დაცულ იქნეს მათი კონფიდენციალობა (კონფიდენციალობა უზრუნველყოფილია კანონით „სტატისტიკის შესახებ", მუხლი მე-2, პარ. 2, გ) პუნქტი).

სსდ სტატისტიკის დეპარტამენტის თანამედროვე ორგანიზაციული სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სამმართველოებით: მაკროეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული, ფასების, საწარმოთა, სოფლის მეურნეობისა და ეკოლოგიის, მეთოდოლოგიის, კოორდინაციისა და სტანდარტების. დეპარტამენტი დებულების მიხედვით აერთიანებს 7 ტერიტორიულ ორგანოს: თბილისის, ფოთის, ქუთაისის, გურჯაანის, ბორჯომის, გორის, მარნეულის სტატისტიკის სამმართველოებს.

სტატისტიკურ სამუშაოთა სახელმწიფო პროგრამა განსაზღვრავს პრიორიტეტებს სტატისტიკური დაკვირვების დარგში, ითვალისწინებს სტატისტიკური დაკვირვების მიმართულებებს (სუბექტები), პერიოდულობასა და მონაცემთა მოპოვების ხერხებს, ანგარიშგების წარდგენის ვადებს. სახელმწიფო პროგრამაში შესული ყველა სამუშაო აუცილებელია სტატისტიკური ორგანოებისათვის ყველა დონეზე. სტატისტიკური დაკვირვების პროცესში რეგიონული სტატისტიკური ორგანოები აგრეთვე ახორციელებენ ინფორმაციის მოპოვებას ეკონომიკური რეფორმების რეგიონულ ასპექტებზე, რეგიონული პროგრამების შესრულებაზე. საბოლოო ანგარიშით, ადგილობრივი და რეგიონული სტატისტიკური ორგანოების მიერ მოპოვებული ინფორმაცია თავს იყრის სსდ სტატისტიკის დეპარტამენტში.

ინფორმაციის ძირითადი წყაროების მიმოხილვა და მათი ზოგადი დახასიათება

სტატისტიკურ მონაცემთა ძირითადი წყაროები იყოფა: შიდა და გარე წყაროებად.

შიდა წყაროებს მიეკუთვნება სტატისტიკური დაკვირვების ის კითხვარები, რომელთა შემუშავება, ტესტირება, მომხმარებლამდე მიტანა და შეგროვება ხდება სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ. მათ მიეკუთვნება:

- სანარმოთა ანგარიშგება;
- სანარმოთა რეგისტრი;
- გამოკვლევები და აღნერები.

გარე წყაროებს მიეკუთვნება სტატისტიკური დაკვირვების ის სახეები და ფორმები, რომლებსაც ახორციელებენ სხვა უნყებები:

- ადმინისტრაციული წყაროები;
- საბანკო და ფულადი სტატისტიკა;
- საგადასახდელო ბალანსი;
- საბაჟო სტატისტიკა.

საწარმოთა ანგარიშგება

სანარმოთა ანგარიშგების სისტემა შედგება ინფორმაციის ორი ნაკადისაგან:

- ბუღალტრული ანგარიშგება;
- სტატისტიკური ანგარიშგება.

ანგარიშგების ეს სახეები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, ვინაიდან ეფუძნებიან ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებს, თუმცა მათ შორის არის განსხვავებებიც.

ეკონომიკის ცენტრალიზებული დაგეგმვის პირობებში სტატისტიკური სისტემა ეფუძნებოდა ყველა მეურნე სუბიექტის მიერ წარდგენილ სრულ სავალდებულო სტატისტიკურ და ბუღალტრულ ანგარიშგებებს. სრული ანგარიშგების მეშვეობით მოპოვებული მონაცემები სახელმწიფო საკუთრებაზე დაფუძნებული ეკონომიკის მართვისათვის საჭირო ინფორმაციის ძირითად მასას წარმოადგენდა. ამ პირობებში შერჩევითი გამოკვლევების გამოყენების აუცილებლობა მინიმალური იყო და მათი ჩატარება ძირითადად ხდებოდა შინამეურნეობებზე მონაცემების მოპოვების ან დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით. საწარმოს ანგარიშგებაში ძირითადი ყურადღება ექცეოდა პროდუქციის, (ნატურალურ გამოსახულებაში) ნარმოების მონაცემებსა და სახელმწიფო საგეგმო დავალებების შესრულებას.

საბაზრო ურთიერთობების დანერგვასთან დაკავშირებულ რეფორმებს თან სდევს მნიშვნელოვანი სტრუქტურული და ინსტიტუციური ცვლილებები საანგარიშგებო დისციპლინის შესუსტებით, რამაც გავლენა იქონია ანგარიშგების ხარისხზე. მრავალრიცხოვანი ნვრილი საწარმოების შექმნა და შინამეურნეობების არაფორმალური საწარმოო საქმიანობის განვითარება ართულებს მათზე ანგარიშგების მეშვეობით მონაცემების მოპოვებას. მრავალი საწარმო, განსაკუთრებით არასახელმწიფო, არ წარადგენს ანგარიშგებას ან არასწორ ინფორმაციას იძლევა.

ამგვარად, საწარმოს ანგარიშგების ახალ ეკონომიკურ პირობებთან შესაბამისობაში მოსაყვანად საჭირო გახდა მთელი სტატისტიკური სისტემის შეცვლა. როგორც წესი, საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში რეგულარული ანგარიშგება უზრუნველყოფს ინფორმაციის მიღებას ძირითადად მსხვილი და საშუალო საწარმოებიდან, ხოლო მცირე საწარმოებიდან ის მოიპოვება აღწერებისა და შერჩევითი გამოკვლევების მეშვეობით.

ანგარიშგების გაუმჯობებისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის სრულყოფა, მისი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანისა და ახალი კატეგორიებისა და ოპერაციების (შემოსავლები საკუთრებიდან, შემოსავლები პრივატიზაციიდან, არამატერიალური აქტივები, ოპერაციები აქციებით, სხვა ფასიანი ქაღალდებით, მიწასთან დაკავშირებული და ა.შ.) ასახვის მიზნით.

ბუღალტრული ანგარიშგება

ბუღალტრული ანგარიშგება ასახავს საწარმოს ეკონომიკურ მდგომარეობას. ის ძირითადად ორიენტირებულია საწარმოების ხელმძღვანელებისა და მფლობელების უზრუნველყოფაზე ინფორმაციით სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ და საწარმოო პროცესის ანალიზისა და მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად.

საქართველოში ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებს ამტკიცებს ფინანსთა სამინისტრო ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშიანობის შესახებ დებულების შესაბამისად.

საწარმოს ძირითადი საარღრიცხვო დოკუმენტებია:

- ბუღალტრული ბალანსი, რომელშიც აისახება საწარმოს ქონება (აქტივებისა და ვალდებულებების განთავსება) საანგარიშო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის, რაც იძლევა მისი მოცულობისა და სტრუქტურული ცვლილებების შესწავლის საშუალებას.
- მოგება-ზარალის უწყისი, სადაც აისახება შემოსულობების წყაროები და სახსრების ხარჯვის მიმართულებები, რომელთა საფუძველზეც ხდება საწარმოს მოგებისა და ზარალის ფორმირება.

საბიუჯეტო დაწესებულებების, ბანკებისა და სადაზღვევო ორგანიზაციებისთვის დადგენილია რამდენადმე განსხვავებული ბუღალტრული ან-

გარიშგების ფორმები, მათი საქმიანობის სპეციფიკურობისა და დაფინანსების წყაროების გათვალისწინებით.

სტატისტიკური ანგარიშგება

სტატისტიკური ანგარიშგება აუცილებელია ეკონომიკის სხვადასხვა დარგის მდგომარეობის ანალიზისა და განვითარებისათვის, სახელმწიფო მართვის ორგანოების უზრუნველსაყოფად ისეთი მონაცემებით, რომელთა საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილებები ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებში.

სტატისტიკური ანგარიშგება ეფუძნება ბუღალტრულ აღრიცხვას, მაგრამ მასში მაჩვენებელთა წრე უფრო ფართოა, ვიდრე საბუღალტრო ანგარიშებში და ზოგიერთი მათგანის მისაღებად საჭიროა სპეციალური გაანგარიშებები და შეფასებები.

სტატისტიკური გამოკვლევის კითხვარები მტკიცდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სსდ სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ და მოიცავს სახელმწიფო სტატისტიკური დაკვირვებისა და უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების ფორმებს. პირველს შეიმუშავებენ სტატისტიკური ორგანოები, ხოლო მეორეს — ის ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო რეგულირებას ეკონომიკის შესაბამის დარგებში.

საწარმოები სტატისტიკური გამოკვლევის კითხვარების მეშვეობით წარადგენენ მონაცემებს მრავალი მაჩვენებლის მიხედვით — პროდუქციის წარმოების, ნარმოებაზე დანახარჯების, დასაქმების, კაპიტალური დაბანდების და სხვ.

1993 წლიდან სტატისტიკურ ფორმებში შეტანილ იქნა სპეციალური ცვლილებები ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მოთხოვნილებების შესაბამისად.

დღეისთვის სტატისტიკური ანგარიშგება — ანგარიშგების მნიშვნელოვანი სახეა სსდ სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციულ ბაზაში, ხოლო სტატისტიკური დაკვირვების კითხვარები უნიფიცირებულია სხვადასხვა დარგის საწარმოებისათვის. ამავდროულად იზრდება სტატისტიკური დაკვირვების შერჩევითი მეთოდის როლი პერიოდული და ერთდროული აღწერებისა და გამოკვლევების მეშვეობით.[1]

საწარმოებისა და ორგანიზაციების რეგისტრი

მეურნე სუბიექტების რეგისტრი ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროა. ის უზრუნველყოფს საწარმოთა შერჩევის დაგეგმვისა და ორგანიზებისათვის მონაცემთა ბაზების მიწოდებას. რეგისტრი მოიცავს მასში შემავალ ყველა საწარმოზე შემდეგ მონაცემებს: ადგილმდგომარეობას (იურიდიული და

[1] http://www.statistics.ge/main.php?pform=210&plang=2

ფიზიკური), კუთვნილებას განსაზღვრული საქმიანობისადმი (როგორც ძირითადი, ისე უმთავრესი არაძირითადი), ძირითად ეკონომიკურ მაჩვენებლებს (დასაქმებულთა რიცხოვნობას, ბრუნვის მოცულობას და ა.შ.).

საწარმოთა რეგისტრები განსაკუთებულად მნიშვნელოვანია საწარმოთა გამოკვლევებისათვის ტერიტორიულ-ორგანიზაციული პრინციპის გამოყენებით, როდესაც შერჩევა შემთხვევითია. ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ტერიტორიასა და საწარმოს და აგრეთვე მათ შემადგენელ ელემენტებს შორის სწორ თანაფარდობას. რეგისტრების გამოყენება, ადგილზე ტერიტორიისა და საწარმოს შემოწმებასთან ერთად, იძლევა არაფორმალური სანარმოების გამოკვლევებით მოცვის ხარისხის სტატისტიკური შეფასების საშუალებას.

რეგისტრის აქტუალიზაცია, ანუ განახლება, მისი შენარჩუნება სამუშაო მდგომარეობაში ხორციელდება მონაცემების რეგულარული შეყვანით ახალ საწარმოებზე, ადრე რეგისტრირებული საწარმოების სტატუსისა და ადგილმდებარეობის ცვლილების, მათი გაყოფის, შერწყმის და აგრეთვე ლიკვიდირებული საწარმოების რეგისტრიდან ამოღებისა და ფუნქციონირებაშეწყვეტილი საწარმოების გამოვლენის გზით, რომლებიც უნდა გამოირიცხოს შერჩევიდან გამოკვლევებისა და აღწერების ჩატარებისას.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სსდ სტატისტიკის დეპარტამენტი შეიმუშავებს საწარმოებისა და ორგანიზაციების ერთიან სახელმწიფო რეგისტრს, რომელიც გამოიყენება ცენტრალურ და რეგიონულ დონეებზე. პრობლემები, რომლებიც ჩნდება სახელმწიფო რეგისტრის შემუშავებისას, დაკავშირებულია იმასთან, რომ საწარმოებს შესაძლოა გააჩნდეთ ფილიალები სხვადასხვა რეგიონში, რომლებსაც არა აქვთ სრული ფინანსური ანგარიშგება, ხოლო სათაო საწარმოებმა შეიძლება ადგილი შეიცვალონ ერთი რეგიონიდან მეორეში. ამავე დროს, რეგისტრმა უნდა უზრუნველყოს მისი ინფორმაციის გამოყენების შესაძლებლობა და შერჩევითი გამოკვლევების ჩატარება რეგიონულ დონეზე, საწარმოებზე მონაცემების გამოტოვების ანდა დუბლირების გარეშე.

გამოკვლევები და აღწერები

როგორც აღინიშნა, სტატისტიკური მონაცემების ძირითადი მასივის მოპოვება არცთუ ისე შორეულ წარსულში, სრული ანგარიშგების მეშვეობით ხდებოდა. საბაზრო ეკონომიკა, მისი მოძრავი და ცვალებადი ხასიათიდან გამომდინარე, მოითხოვს სტატისტიკური სისტემის ორგანიზაციისა და ფუნქციონირების მოქნილობას. სტატისტიკურმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს დროული ინფორმაცია და სტატისტიკური მონაცემების კორექტირება, შექმნილი მდგომარეობისა და საინფორმაციო წყაროების ცვალებადობის გათვალისწინებით. ამ მიზნით საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების სტატისტიკური ოგანიზაციები რეგულარული გამოკვლევებიდან შემოსულ მონაცე-

მებს ავსებენ სპეციალური წყაროებიდან მიღებული ინფორმაციით. სრული ეკონომიკური აღწერების ჩატარება რამდენიმე წელიწადში ერთხელ და მათი შევსება აღწერებს შორის პერიოდში განხორციელებული შერჩევითი გამოკვლევებით გავრცელებული პრაქტიკაა სტატისტიკაში.

ეკონომიკური აღწერები არის საწარმოო ერთეულების სტატისტიკური გამოკვლევის ერთ-ერთი ფორმა, რაც გამოიხატება საწარმოს სრულ გამოკვლევაში. მისი მეშვეობით ერთიანი კრიტერიუმების მიხედვით ღებულობენ ზუსტ მონაცემებს საწარმოთა გეოგრაფიული და ფუნქციური მახასიათებლების შესახებ რომელიმე თარიღისათვის. ეკონომიკური აღწერის დროს დგინდება საწარმოთა სამართლებრივი სტატუსი, დარგობრივი კუთვნილება, დასაქმებულთა რიცხოვნობა, საშუალო ხელფასი და ა.შ. ასეთი სახის აღნერების მონაცემები სხვა გამოკვლევათა მონაცემების შემოწმების საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, აღწერებისა და გამოკვლევების მეშვეობით დგინდება იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც სტატისტიკურ ორგანოებს ანვდიან ანგარიშგებას.

შერჩევითი გამოკვლევების მომზადება ტერიტორიულ-ორგანიზაციული პრინციპის საფუძველზე, საწარმოებისა და ორგანიზაციების რეგისტრის გამოყენებით ხელს უწყობს ადგილზე რეგულარულ შემოწმებებს, აღურიცხავი მცირე სანარმოების გამოვლენასა და მათი საქმიანობის სპეციფიკის დაზუსტებას.

აღნერებისა და გამოკვლევების ჩატარების პროგრამებში გათვალისწინებულია როგორც დარგობრივი სტატისტიკების, ისე მაკროეკონომიკური სტატისტიკის, კერძოდ, ეროვნული ანგარიშების მოთხოვნები.

ქვეყნის სახელმწიფო სტატისტიკური ორგანო ახორციელებს აგრეთვე მიმდინარე სტატისტიკურ დაკვირვებას მცირე საწარმოთა (მათში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 20 დასაქმებულს და წლიური ბრუნვა — 500 ათას ლარს) საქმიანობაზე ყოველკვარტალური შერჩევითი გამოკვლევებით. გამოკვლევის დროს მოიპოვება მონაცემები დასაქმებულთა რიცხოვნობისა და შრომის ანაზღაურების, ნარმოების მოცულობის, ფინანსური შედეგების, ძირითადი კაპიტალის მოცულობისა და სტრუქტურის შესახებ.

შესაძლებელია აგრეთვე ერთდროული გამოკვლევების ჩატარება, მაგალითად, სხვადასხვა დარგის საწარმოს დანახარჯების სტრუქტურის, სამუშაო ძალაზე სანარმოს დანახარჯების შემადგენლობის, არაკომერციული ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ.

მრავალი ქვეყნის სტატისტიკურ პრაქტიკაში შერჩევითი გამოკვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია შინამეურნეობების ბიუჯეტების გამოკვლევა, რომელიც იძლევა მათი შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ მონაცემების მიღების საშუალებას. ამ მონაცემების მეშვეობით დგინდება მათი მოხმარება, დაგროვება, დაზოგვა. შინამეურნეობების გამოკვლევის მონაცემები უზრუნველყოფს ოპერატიულ და ვრცელ ინფორმაციას მოსახ-

ლეობის სხვადასხვა ჯგუფის ცხოვრების დონეზე, მოსახლეობის დიფერენციაციას შემოსავლების დონის მიხედვით და გამოიყენება სამომხმარებლო ფასების ინდექსის გასაანგარიშებლად.

საქართველოში შინამეურნეობათა ბიუჯეტების გამოკვლევა დაფუძნებულია მათი წევრების უშუალო გამოკითხვასა და მოხმარების მიმდინარე დანახარჯების შესახებ ჩანაწერებზე. ცალკეული შინამეურნეობის გამოკვლევის პერიოდულობა კვარტალურია. გამოკვლევის პროგრამა გულისხმობს ასევე შინამეურნეობების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას ისეთი საკითხების შესახებ, როგორიცაა: საბინაო პირობები, გრძელვადიანი მოხმარების საგნების გამოყენება, პირუტყვის ბრუნვა, შინამეურნეობების წევრების განათლების დონე და ა.შ.[1]

შინამეურნეობათა შერჩევის სქემა დაფუძნებულია შემთხვევით შერჩევაზე საცხოვრებელი ადგილისა და სხვადასხვა სოციალ-ეკონომიკური და დემოგრაფიული ნიშნის გათვალისწინებით: შინამეურნეობის სიდიდე, საცხოვრებელი სახლის ტიპი, საარსებო საშუალებების წყაროები, განათლების დონე, ეროვნება და სხვ.).

ასევე ტარდება სასოფლო-სამეურნეო ნარმოების, სამუშაო ძალის, გამოკვლევები და სხვ[2].

ადმინისტრაციული წყაროები

მონაცემთა ადმინისტრაციული წყაროები მოიცავს ყველა დონის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების (ცენტრალური, რეგიონული, ადგილობრივი), სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდებისა და საგადასახადო სამსახურების ანგარიშგებას.

ანგარიშგება სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

მოცემული ანგარიშგებების შემუშება ხდება ქვეყნის ფინანსთა სამინისტროს მიერ და წარმოადგენს სახელმწიფო ფინანსების შესახებ ძირითად წყაროს. ის მოიცავს მონაცემებს ყველა დონის ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტისა და მისი დაფინანსების წყაროების შესახებ.

ბიუჯეტის შემოსავლებში გამოიყოფა საგადასახადო შემოსავლები, სახელმწიფო საკუთრების გამოყენების შედეგად მიღებული შემოსავლები (მაგალითად, ბუნებრივი რესურსების გამოყენების გადასახადები, სახელმწიფო კრედიტზე პროცენტები და სხვ.), შენატანები სახელმწიფო ქონების გაყიდვიდან, ტრანსფერები.

---

[1] http://www.statistics.ge/_files/georgian/kitxvarebi/shinda/Shinda%2004_bolo.pdf

[2] http://www.statistics.ge/main.php?pform=166&plang=2).

ბიუჯეტის ხარჯების კლასიფიკაცია წარმოებს ეკონომიკური და ფუნქციური ნიშნების მიხედვით. დანახარჯების **ეკონომიკური** ნიშნით კლასიფიკაცია ასეთია: მიმდინარე დანახარჯები საბიუჯეტო დაწესებულებების ფუნქციონირებაზე, მოსახლეობაზე, პენსიებისა და დახმარებათა გადახდა, სანარმოების სუბსიდიები და ტრანსფერები, ბიუჯეტიდან მშენებლობაზე, მონყობილობათა შეძენაზე, კაპიტალურ რემონტზე, სახელმწიფო რეზერვების შექმნაზე, მინისა და არამატერიალური აქტივების შეძენაზე გამოყოფილი კაპიტალური დანახარჯები და სხვ.

ბიუჯეტის დანახარჯების **ფუნქციური** კლასიფიკაცია გვიჩვენებს სახელმნიფო რესურსების განაწილებას შემდეგი მიმართულებების მიხედვით: დაბანდებები ეკონომიკაში, სოციალურ განვითარებაში, მეცნიერებაში, თავდაცვაში და ა.შ.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ მონაცემების საფუძველზე გაიანგარიშება არასაბაზრო მომსახურებათა ღირებულება, დანახარჯები საბოლოო მოხმარებაზე და სხვა მნიშვნელოვანი მაჩვენებლები სახელმწიფო მმართველობის სექტორის საქმიანობის შესახებ.

საგადასახადო სტატისტიკა

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საგადასახადო სამსახურები განაზოგადებენ მეურნე სუბიექტებისა და ფიზიკური პირების მიერ მიღებული ყველა სახის შემოსავალსა და მათ მიერ გადახდილ გადასახადებს. ამ მონაცემებს სტატისტიკური ორგანიზაციები გამოიყენებენ შემოსავლებსა და ხარჯებზე სხვა წყაროებიდან მიღებული მონაცემების გადასამოწმებლად. ინდივიდუალური საგადასახადო დეკლარაციების კონფიდენციალობის დასაცავად და საქმიანი წრეების მხრიდან ნდობის უზრუნველსაყოფად, სტატისტიკური ორგანოები გაანგარიშებებსა და პუბლიკაციებში იყენებენ მხოლოდ აგრეგირებულ მონაცემებს.

ფულადი და საბანკო სტატისტიკა

ფულადი და საბანკო სტატისტიკის მონაცემები ფულადი აგრეგატების, საბანკო სექტორის საქმიანობის, დარგობრივი ეკონომიკის დაკრედიტების შესახებ, რომლებსაც ამუშავებს ცენტრალური ბანკი, სტატისტიკური ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროა. ისინი გამოიყენება ასევე საბიუჯეტო დეფიციტის დაფინანსების წყაროების გამოკვლევის პროცესში.

საგადასახდელო ბალანსი

საგადასახდელო ბალანსი ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მდგომარეობისა და განვითარების ანალიზის ძირითადი ინსტრუმენტია. ის გვიჩვენებს, როგორ ვითარდება საგარეო ვაჭრობა და ფორმირდება ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების სალდო, რა მოცულობის მიმდინარე შემოსავლებსა და ტრანსფერებს ღებულობს და იხდის ქვეყანა, რა მოცულობითა და რა

ფორმით მიმდინარეობს უცხო ქვეყნებიდან ინვესტიციების მოზიდვა ან ხორციელდება ინვესტირება სხვა ქვეყნების ეკონომიკაში, როგორ ხდება საგარეო დავალიანების დაფარვა. საგადასახდელო ბალანსის მონაცემები გვევლინება ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში „დანარჩენი მსოფლიოს" ანგარიშის აგების ძირითად წყაროდ, ფართოდ გამოიყენება არა მხოლოდ საგარეო-ეკონომიკური, არამედ ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის, ასევე შიდა სავალუტო ბაზრისა და სავალუტო კურსების რეგულირებისათვის.

ბალანსის შემუშავება ხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიის საფუძველზე.

საბაჟო სტატისტიკა

საბაჟო სტატისტიკა საგარეო ვაჭრობაზე მონაცემების ძირითადი წყაროა, რაც აუცილებელია ეას-ის ცალკეულ ანგარიშებში ასახული საქონლის ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლების გასაანგარიშებლად. საერთაშორისო ეკონომიკაში საქართველოს ეკონომიკის ინტეგრაციამ გამოიწვია იმის აუცილებლობა, რომ საბაჟო სამსახურებს შეემუშავებინათ საერთაშორისო პრაქტიკის შესატყვისი საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის მეთოდიკა. ეს მეთოდიკა ეფუძნება საქართველოს საბაჟო კოდექსის პრინციპებს და ითვალისწინებს ევროსტატის მეთოდიკას. საბაჟო სტატისტიკის მონაცემთა ძირითადი წყაროა საბაჟო დეკლარაცია საქონლის ექსპორტისა და იმპორტის შესახებ.

სსდ სტატისტიკის დეპარტამენტი და საბაჟო კონტროლის დეპარტამენტი ერთობლივად შეიმუშავებენ საგარეო ვაჭრობის განმარტებებსა და კონცეფციებს, მათი თანამშრომლობის მიზანია აგრეთვე არარეგისტრირებული ვაჭრობის აღმოფხვრა.

პირველადი მონაცემების დამუშავების მეთოდები

სტატისტიკური ანგარიშგება იყო და რჩება ერთ-ერთ ძირითად წყაროდ, რომლის მეშვეობით მოიპოვება შემდეგი სახის ინფორმაცია:

- საწარმოთა ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის შესახებ;
- წარმოების მოცულობის, ეკონომიკის სხვადასხვა დარგში საქონლისა და მომსახურების სანარმოო დანახარჯების შესახებ;
- ეკონომიკის დარგებში მუშაკთა დასაქმებისა და შრომის ანაზღაურების შესახებ;
- ფასებისა და ტარიფების შესახებ;

- კაპიტალისა და მისი მოძრაობის შესახებ;
- დემოგრაფიული სიტუაციის შესახებ;
- სოციალური სფეროს განვითარების შესახებ;
- გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ.

სტატისტიკური ანგარიშგების შედგენა ხდება კონკრეტულ ინფორმაციაზე მოთხოვნილების შესაბამისად წლიური, კვარტალური ან თვიური პერიოდულობით და წარედგინება რეგიონულ ანდა ადგილობრივ სტატისტიკურ ორგანოს ან ეკონომიკის შესაბამის დარგში სახელმწიფო რეგულირების განმახორციელებელ ორგანოს (სამინისტრო, კომიტეტი ან სხვა უწყება).

პირველადი ინფორმაციის დამუშავება ხდება ინფორმაციის გადაადგილების ყველა ეტაპზე და საფუძვლიანად მოწმდება. სახელდობრ, ადგილი აქვს ტექნიკურ, ლოგიკურ და ანალიზურ კონტროლს ინფორმაციის სისრულისა და შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით. აღმოჩენილი შეცდომებისა და ხარვეზების აღმოფხრა და შევსება ხდება ინფორმაციის წყაროსადმი ხელმეორედ მიბრუნებით, მონაცემების დაზუსტების მიზნით შემოსული ინფორმაციის შემოწმება ასევე გულისხმობს მონაცემთა წარდგენაზე უარის შემთხვევების გამოვლენასა და ხარვეზების ლიკვიდაციის ღონისძიებებს.

ეკონომიკაში მცირე საწარმოთა რიცხვის მატებამ და არაფორმალური სექტორის წილის ზრდამ დარგობრივ სტატისტიკებში გამოიწვია პროდუქციის აღრიცხვის ხარვეზები, რომელთა აღმოსაფხვრელად საჭირო გახდა სპეციალური ზომების მიღება. ამ მიზნით რეგიონულ დონეზე წარმოებს სპეციალური შესწორებები სსდ სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული მეთოდიკით, რომლის მეშვეობით მიმდინარეობს უმოქმედო და მოქმედ საწარმოთა, აგრეთვე იმ სანარმოთა რაოდენობების შეფასება, რომელთა იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი უცნობია. ყოველივე ამის გათვალისწინებით გაიანგარიშება დარგობრივი სტატისტიკების მაჩვენებელთა კორექტირების კოეფიციენტი.

შემდეგი ეტაპი ითვალისწინებს ინფორმაციის მასივების დამუშავებას მაჩვენებელთა მისაღებად, დასაჯგუფებლად, რაც აუცილებელია ეკონომიკური ანალიზისათვის, ვინაიდან სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული ეკონომიკური მონაცემები სხვადასხვა მიზანს ემსახურება. აღსანიშნავია, რომ განმარტებები, კლასიფიკაციები და მაჩვენებელთა შეფასების მეთოდები ანგარიშგებასა და ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში ყოველთვის ერთმანეთს არ ემთხვევა. ამიტომ მაკროეკონომიკური ინფორმაციის მომზადებისათვის ანგარიშგების მონაცემებს შეიძლება გაკორექტირება დასჭირდეს.

მაგალითი. შემოსავალის განმარტება საბუღალტრო აღრიცხვაში, მისი ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში განმარტებისგან განსხვავებით, ფასების ზრდის შედეგად (ჰოლდინგური მოგება) მოიცავს აქტივების ღირებულების გადიდებას. როგორც წესი, ანგარიშგებაში ძირითადი კაპიტალის შეფასება სანყისი საბალანსო ღირებულებით ხდება, ხოლო ეას-ში — აღდგენითი ღირებულებით, ე.ი. გაანგარიშებითი ღირებულებით იმ თარიღისათვის, რომელ-

საც მიეკუთვნება აქტივებისა და პასივების ბალანსი. ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია და ცვეთა საბუღალტრო აღრიცხვაში განიმარტება ძირითადი კაპიტალის საბალანსო ღირებულების დადგენილი ნორმების მიხედვით მაშინ, როდესაც ეას-ში ძირითადი კაპიტალის მოხმარება განსაზღვრულია როგორც მიმდინარე პერიოდის განმავლობაში ძირითადი კაპიტალის ღირებულების კლება ნორმალური ფიზიკური და მორალური ცვეთის შედეგად მიმდინარე პერიოდის აღდგენითი ღირებულებით.

შემოსავლებისა და ხარჯების ნაკადების მახასიათებელი მაჩვენებლები, პირველადი ინფორმაციის უმეტეს წყაროებში აისახება ფაქტობრივი გადახდის თანხის მიხედვით. ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში ამ მაჩვენებელთა ასახვა ხდება დარიცხული თანხის მიხედვით, ე.ი. მათი გადახდის ვალდებულებათა წარმოქმნის მომენტისათვის.

აღნიშნულ სფეროში სსდ სტატისტიკის დეპარტამენტის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა პირველადი ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების ხარისხის ამაღლება რეგიონულ დონეზე, სტატისტიკური დაკვირვების ახალი მეთოდების დანერგვა, მონაცემთა საინფორმაციო ბაზის განვითარება, რეგიონულ სამმართველოებსა და სსდ სტატისტიკის დეპარტამენტს შორის მონაცემთა გაცვლის სფეროში ახალი ტექნოლოგიების ათვისება.

ხშირ შემთხვევაში განზოგადებული მახასიათებლების გასაანგარიშებლად ანგარიშგებიდან და ინფორმაციის სხვა წყაროებიდან მიღებული მონაცემების დამუშავება აგრეგირებასა და კონსოლიდირებას მოითხოვს.

აგრეგირება წარმოადგენს ერთობლიობის ერთეულთა, ოპერაციებისა და ა.შ. მონაცემთა განზოგადებას. თუ დაკვირვების ერთეულები შედარებით ერთგვაროვანია, მაშინ ასეთი განზოგადება წარმოებს შემადგენელ ელემენტთა დაჯამებით. თუ განზოგადება ეხება არაერთგვაროვან ელემენტებს, ასეთი მაჩვენებლის გასაანგარიშებლად ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში მიმართავენ პირველად სტატისტიკურ მონაცემებს, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება შინაარსით, მოცვისა და სიზუსტის ხარისხით, რეგისტრაციის ვადებით და ა.შ. ის მაჩვენებლები, რომელთა გასაანგარიშებლად არა გვაქვს პირდაპირი ინფორმაცია, ფასდება არაპირდაპირი გზით, რომელიც გამომდინარეობს სხვა მაჩვენებლებისთვის დამახასიათებელი ტენდენციებიდან.

მონაცემთა აგრეგირების პრობლემა მაკროეკონომიკური მაჩვენებლებისა და ინდივიდუალური მოვლენების შესახებ, მონაცემების სწორი თანაფარდობაა, რაც საფუძვლად უდევს შეფასებას.

კონსოლიდირება ამა თუ იმ ჯგუფში გაერთიანებულ ერთეულებს შორის განხორციელებული ოპერაციების გამორიცხვაა გაანგარიშებიდან (გამოირიცხება დაწესებულების შიგნით საქონლისა და მომსახურების მიწოდება, ტრანსფერები სახელმწიფო მმართველობის სექტორის შიგნით და ა.შ.).

[illegible]

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო
სტატისტიკის დეპარტამენტი

[illegible] info@statistics.gov.ge [illegible] www.statistics.ge

ბიზნეს რეესტრის აქტუალიზების სტატისტიკური გამოკვლევა

კითხვარი N01-06-01 (კვარტალური)
[illegible]
24.09.2007 №61 [illegible]

- [illegible] 2007 [illegible] 2007 წლის 25 [illegible]
- [illegible] მე-11 მუხლის [illegible]
- [illegible] მე-12 მუხლით
- [illegible]


[illegible]

[illegible]

I. [illegible]

II. [illegible]

http://www.



1. დაასახელეთ ეკონომიკური სტატისტიკის ძირითადი საინფორმაციო წყაროები.
2. რაში მდგომარეობს საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშგების მსგავსება-განსხვავებები?
3. როგორია შერჩევითი კვლევებისა და აღწერების როლი ცენტრალიზებულ გეგმურ ეკონომიკასა და საბაზრო ეკონომიკაში?
4. სტატისტიკური ანგარიშგების რომელი ფორმები იცით?
5. როგორ ინფორმაციას მოიცავს ანგარიშგება სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ?
6. როგორ ინფორმაციას მოიცავს საგადასახდელო ბალანსი? რისთვის გამოიყენება იგი?

8 თავი საგადასახდელო ბალანსი

საგადასახდელო ბალანსის განვითარების მოკლე ისტორია. საგადასახდელო ბალანსის საფუძვლები. საგადასახდელო ბალანსის მონაცემთა გამოქვეყნება. ორმაგი ჩაწერის პრინციპი. ეროვნული ეკონომიკის საზღვრების განსაზღვრა. სბ-ში გამოყენებული ფასები. ოპერაციების რეგისტრაციის დრო. აღრიცხვის სავალუტო ერთეული. საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის კლასიფიკაციები. მიმდინარე ოპერაციების ანგარიში. საქონლის ექსპორტისა და იმპორტის შეფასება. მომსახურება. შემოსავლები. მიმდინარე ტრანსფერები. კაპიტალის ანგარიში. ფინანსური ანგარიში. პირდაპირი ინვესტიციები. პორტფელის ინვესტიციები. ფინანსური წარმოებულები. სარეზერვო აქტივები. სხვა ინვესტიცია. კავშირი სბ-სა და ეას-ს შორის. საგადასახდელო ბალანსი — ეას-ის მონაცემების წყარო.

ამ თავში განხილულია ძირითადი ცნებები, პრინციპები და კლასიფიკაციები, რომელიც გამოყენებულია სბ-ის შედგენისას, აგრეთვე მისი კავშირი ეას-სთან. ცნებებისა და კატეგორიების განხილვა ეყრდნობა საგადასახდელო ბალანსის სახელმძღვანელოს მე-5 გამოცემას (Balance of Payments Manual, 5th Edition), რომელიც სსშ-ის მიერ გამოქვეყნდა 1993 წელს (შემდგომი ცვლილებებითა და დამატებებით).

საგადასახდელო ბალანსი მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. სბ-ის მონაცემები ასახავენ მიმდინარე პერიოდში საგარეო ვაჭრობის განვითარებას, რომელიც უშუალო ზემოქმედებას ახდენს ეროვნული ვალუტის გაცვლის კურსზე, წარმოების დონეზე, დასაქმებასა და მოხმარებაზე. მისი საშუალებით შეიძლება თვალი გავადევნოთ, თუ რა ფორმითა და რა მოცულობით უნდა განხორციელდეს ინვესტირება ქვეყანაში, აგრეთვე მის საზღვრებს გარეთ, დროულად ხდება თუ არა საგარეო ვალის დაფარვა, ჰქონდა თუ არა ადგილი ვალის გადავადებასა

და რესტრუქტურიზაციას. სბ-ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ანალიზური მაჩვენებელია ოქროსა და სავალუტო რეზერვების ცვლილება, რომელიც ცენტრალური ბანკისათვის ეროვნული ვალუტის გაცვლის კურსის რეგულირების საშუალებაა.

სბ აქტიურად გამოიყენება სავალუტო კურსის, საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებისათვის, სავალუტო და საგარეო ვაჭრობის რეგულირებისათვის. იგი აგრეთვე გვევლინება ეას-ის საინფორმაციო ნყაროდ.

საგადასახდელო ბალანსის განვითარების მოკლე ისტორია

პირველად ეკონომიკურ ლიტერატურაში ტერმინი „საგადასახდელო ბალანსი" გამოიყენა ჯ. სტიუარტმა 1767 წელს ნაშრომში „გამოკვლევა პოლიტიკური ეკონომიის პრინციპების შესახებ". თავდაპირველად სბ-ს უკავშირებდნენ მხოლოდ საგარეო ვაჭრობის სალდოსა და მასთან დაკავშირებულ ოქროს მოძრაობას.

მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნეში ფართოვდებოდა საგარეოეკონომიკური ოპერაციების სპექტრი, XX საუკუნემდე არ არსებობდა ერთიანი შეხედულება იმ ოპერაციების შესახებ, რომლებიც უნდა ასახულიყო სბ-ში. კაპიტალის საერთაშორისო ბაზრის გაფართოებასთან ერთად დადგა საკითხი საგადასახდელო ბალანსის სახელმნიფო რეგულირების შესახებ და გაჩნდა საერთაშორისო ოპერაციების სისტემატური აღრიცხვის მეთოდების შემუშავების აუცილებლობა. სბ-ის პირველი ოფიციალური გამოქვეყნება მოხდა 1923 წელს აშშ-ის ვაჭრობის სამინისტროს მიერ. ამ ბალანსში ყველა ოპერაცია სამ ჯგუფად იყო დაყოფილი: მიმდინარე, კაპიტალური და ოპერაციები ოქროთი და ვერცხლით.

სბ-ის მეთოდოლოგიის შედგენაში უდიდესი წვლილი შეიტანა ერთა ლიგამ. 1943 წელს ამერიკელმა ეკონომისტმა ლერიმ შეადგინა აშშ-ის რეტროსპექტული სბ 1919-1939 წლებისათვის და ეს სამუშაო საფუძვლად დაედო აშშ-ის სბ-ის შედგენას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. 1947 წელს გაერომ გამოაქვეყნა ერთა ლიგის მიერ შემუშავებული სბ-ის სქემა. სბ-ის მეთოდოლოგიის შემდგომი განვითარება უკავშირდება სსშ-ის მიერ განეულ მუშაობას, რომელიც აქვეყნებს სახელმძღვანელოებსა და რეკომენდაციებს.

საქართველოს საგადასახდელო ბალანსის შედგენა 2007 წლამდე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სსდ სტატისტიკის დეპარტამენტის კომპეტენციაში შედიოდა. 2007 წლიდან, საქართველოს მთავ-

რობისა და ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის შეთანხმების საფუძველზე, სბ-ის შედგენის პასუხისმგებლობა მთლიანად საქართველოს ეროვნულ ბანკს დაეკისრა.

საქართველოს საგადასახდელო ბალანსი, საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია და საგარეო ვალი დგება კვარტალური და წლიური პერიოდულობით და გამოისახება ათას აშშ დოლარში. საქართველოს საგადასახდელო ბალანსის, საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციისა და საგარეო ვალის გადახედვა რეგულარულად წარმოებს და შეიძლება ნებისმიერ პერიოდს შეეხოს.[1]

საგადასახდელო ბალანსის საფუძვლები

საგადასახდელო ბალანსი არის სტატისტიკური სისტემა, რომელშიც აისახება ყველა ოპერაცია მოცემული ქვეყნის ეკონომიკასა და"დანარჩენი მსოფლიოს"ქვეყნების ეკონომიკებს შორის დროის გარკვეულ პერიოდში (თვე, კვარტალი, წელი).

განმარტებაში იგულისხმება, რომ აღნიშნული ოპერაციები ხორციელდება ინსტიტუციურ ერთეულებს შორის, როგორიცაა: საწარმოები, ფინანსური ინსტიტუტები, სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, ფიზიკური პირები და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ სბ პრინციპულად განსხვავდება ბუღალტრული აღრიცხვის ბალანსისაგან, რომელიც ნარმოადგენს კონკრეტული ეკონომიკური ერთეულის აქტივებისა (კაპიტალის გამოყენების სახეები) და პასივების (ფინანსური რესურსები) ჩამონათვალს განსაზღვრული თარიღისათვის. რაც შეეხება სტატისტიკურ სისტემას, რომელშიც აისახება რეზიდენტების ყველა ფინანსური აქტივი (ან მოთხოვნა) და რეზიდენტების ვალდებულებები არარეზიდენტების მიმართ გარკვეული თარიღისათვის, მას ენოდება **საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია (სსპ).**

1 http://nbg.gov.ge/index.php?m -353

საგადასახდელო ბალანსის მონაცემთა გამოქვეყნება

სბ-ის მონაცემთა გამოქვეყნება ხორციელდება დინამიკაში, რისთვისაც გამოიყენება შემდეგი ცხრილი:

	I პერიოდი	...	N პერიოდი
მუხლი 1, სალდო			
(კრედიტი, +)			
(დებეტი, —)			
...			
მუხლი N, სალდო			
(კრედიტი, +)			
(დებეტი, —)			

თუ სბ-ის მონაცემები ქვეყნდება რაიმე ერთი პერიოდისათვის, შეიძლება აგრეთვე გამოვიყენოთ შემდეგი გამოსახულება, რომელიც კლასიკურად ითვლება, თუმცა მიმდინარე ეტაპზე იშვიათად გამოიყენება:

	კრედიტი	დებეტი	სალდო
მუხლი 1			
...			
მუხლი N			

ორმაგი ჩაწერის პრინციპი

სბ აგებულია ბუღალტრული აღრიცხვის შემდეგ პრინციპზე: თითოეული ოპერაცია აისახება ორჯერ — ერთი ანგარიშის კრედიტში და მეორე ანგარიშის დებეტში. ამ წესს მარტივი ეკონომიკური ინტერპრეტაცია აქვს: ეკონომიკურ ოპერაციათა უმრავლესობა ეკონომიკური ფასეულობების გაცვლის საფუძველზე ხორციელდება.

მაგალითად, ქართული საწარმო ღვინის ექსპორტირებისას სამაგიეროდ იღებს უცხოურ ვალუტას. თუ ექსპორტმა შეადგინა 100 000 დოლარი, მაშინ ეს ოპერაცია საქართველოს სბ-ში შემდეგნაირად აისახება:

ათასი დოლარი

საქონელი	100
უცხოური ვალუტა	-100
საერთო სალდო	0

თუ ეკონომიკური ფასეულობების (საქონელი, მომსახურება, ფინანსური აქტივები) გაცვლა შემხვედრი ნაკადის გარეშე ხდება, სბ-ში შემოდის განსაკუთრებული მუხლი — „ტრანსფერები".

დავუშვათ, საქართველომ დანარჩენი ქვეყნებიდან მიიღო 10 მლნ დოლარის ღირებულების საქონელი ჰუმანიტარული დახმარების სახით. საქართველოს სბ-ში აუცილებელია გაკეთდეს შემდეგი გატარებები:

მლნ დოლარი

საქონელი	-10
ტრანსფერები	10
საერთო სალდო	0

ზემოაღნიშნულიდან ცხადია, რომ კრედიტის ყველა გატარებების ჯამი დებეტის გატარებების ჯამის ტოლი უნდა იყოს, ხოლო საერთო სალდო — ნულის ტოლი. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში თითქმის არასოდეს არ ხერხდება ბალანსის მიღწევა იმ მიზეზის გამო, რომ მონაცემების მიღება ერთი და იმავე ოპერაციის სხვადასხვა ასპექტის შესახებ სხვადასხვა წყაროდან ხდება.

მაგალითად, საქონლის ექსპორტის შესახებ მონაცემების მიღება ხდება საბაჟო სამსახურებიდან, ხოლო საწარმოს ანგარიშზე უცხოური ვალუტის მოძრაობის შესახებ ინფორმაცია მიიღება საბანკო სტატისტიკიდან.

განსხვავებებს საკრედიტო და სადებეტო გატარებებს შორის ენოდება **წმინდა შეცდომები და გამოტოვებები**. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს მაჩვენებელი შედარებით მცირეა, ეს არ ნიშნავს, რომ შეცდომებისა და გამოტოვებების აბსოლუტური მნიშვნელობა მცირეა, რადგან ურთიერთსაწინააღმდეგო ნიშნით გადახრები ერთმანეთს აბათილებენ.

დავუშვათ, საქონლის ექსპორტი ასახული იყო „საქონლის" ანგარიშის კრედიტში. ეს გვაძლევს საშუალებას ნებისმიერი ოპერაცია ავსახოთ შესაბამისი ანგარიშის კრედიტში ან დებეტში (ცხრილი 8.1):

ცხრილი 8.1ოპერაციების ასახვის წესი სბ-ში კრედიტსა და დებეტში:

ოპერაციები	კრედიტი, +	დებეტი, -
A. საქონელი და მომსახურება		
საქონლის ექსპორტი და მომსახურების ექსპორტი (მომსახურების გაწევა რეზიდენტებისათვის)	+	
საქონლის იმპორტი და მომსახურების იმპორტი (მომსახურების გაწევა არარეზიდენტებისათვის)		-
B. შემოსავლები (შრომის ანაზღაურება და ინვესტიციური შემოსავლები)		
შემოსულობები არარეზიდენტებისაგან	+	
გადახდები არარეზიდენტებისათვის		-
C. ტრანსფერები (მიმდინარე და კაპიტალური)		
მიღება	+	
გადაცემა		-
D. არანარმოებული არაფინანსური აქტივების შესყიდვა / გაყიდვა		
აქტივების გაყიდვა	+	
აქტივების შესყიდვა		-
F. ოპერაციები ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით		
ვალდებულებების ზრდა არარეზიდენტების მიმართ	+	
მოთხოვნების შემცირება არარეზიდენტების მიმართ	+	
მოთხოვნების ზრდა არარეზიდენტების მიმართ		-
ვალდებულებების შემცირება არარეზიდენტების მიმართ		-

ეროვნული ეკონომიკის საზღვრების განსაზღვრა

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ეკონომიკური ერთეული ითვლება ქვეყნის რეზიდენტად, თუ მისი ეკონომიკურ ინტერესთა ცენტრი მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზეა. ეკონომიკური ერთეული შეიძლება იყოს როგორც იურიდიული პირი, ისე ფიზიკური პირი. რეზიდენტობის განსაზღვრისას სბ-ის სახელმძღვანელო მითითებებში გარკვეული თავისუფლება ენიჭება კონკრეტული ქვეყნის სბ-ის შემდგენელს, ამოსავალი დებულებაა ინსტიტუციური ერთეულის ინტეგრაციის ხარისხი ქვეყნის ეკონომიკაში. მიუხედავად ამისა, სახელმძღვანელოში დეტალურადაა განერილი ყველა წესი და პრაქტიკული მითითება სადავო საკითხების ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტისათვის (იხ. თავი III).

საგადასახდელო ბალანსში გამოყენებული ფასები

სბ-ში ოპერაციები აისახება საბაზრო ფასებში. სბ-ის სახელმძღვანელოს თანახმად: საბაზრო ფასი არის ღირებულება, რომელსაც უხდიან მყიდველები გამყიდველებს რაიმეში შესაძენად იმ პირობით, რომ ამ გარიგებაში ორივე მხარე დამოუკიდებელია და მას საფუძვლად უდევს მხოლოდ კომერციული მოსაზრებები. ეს ნიშნავს, რომ სბ-ში ოპერაციების შეფასება ხდება საკონტრაქტო, ანუ სახელშეკრულებო ფასებით ეკონომიკური ფასეულობების გაცვლის მომენტში და არა მსოფლიო ფასებით, საშუალო ან რაიმე ჰიპოთეტური ფასებით.

მაგალითად, დავუშვათ ბორჯომის საექსპორტო ფასი უკრაინაში 2 დოლარია, ხოლო ევროპის დანარჩენ ქვეყნებში — 3 დოლარი. არანაირი საფუძველი არ გვაქვს, რომ უკრაინაში ექსპორტი განსხვავებული ფასით ავსახოთ იმის გამო, რომ სხვაგან უფრო ძვირად გაგვაქვს, რადგან ამ შემთხვევაში მხარეები არიან დამოუკიდებელნი, ხოლო ოპერაცია ხორციელდება კომერციული მოსაზრებით.

თუმცა არსებობს ოპერაციები, რომელთა მიმართ ზემოაღნიშნული წესის რეალიზაცია შეუძლებელია, მაგალითად:

1. ბარტერი, ანუ ისეთი ოპერაციები საქონლით, აქტივებითა და მომსახურებით, რომლებიც არ არის გაშუალებული ფულით. ბარტერის შესაფასე-

ბლად გამოიყენება ანალოგიური საქონლისა და მომსახურების ფასები. ამასთან, ბარტერით ექსპორტირებული საქონლის, მომსახურებისა და აქტივების ფასები იმპორტირებული ბარტერის ღირებულების ტოლი უნდა იყოს.

2. ის ოპერაციები, რომლებსაც რომელიმე მხარე არ ასრულებს ნებაყოფლობით (გადასახადის ან ჯარიმის გადახდა). ასეთი ოპერაციების შეფასება სიძნელეს არ ნარმოადგენს.

3. ოპერაციები მხარეებს შორის, რომლებიც არ არიან დამოუკიდებელი (მაგალითად, სათავო კომპანიასა და მის საზღვარგარეთულ ფილიალს შორის). იმ შემთხვევებში, როდესაც შემოსავლების გადარიცხვა აშკარა ფორმით ამ მხარეებს შორის შეზღუდულია კანონმდებლობით ან შეფერხებულია გადასახადების გამო, ის შეიძლება განხორციელდეს საქონლის, მომსახურებისა და აქტივების გაცვლის არაპირდაპირი გზით, ხელოვნურად გაზრდილი ან შემცირებული ფასებით. ამ შემთხვევაში, ოპერაცია უნდა ავსახოთ ფასებში, რომლებსაც გამოვიყენებთ მხარეების დამოუკიდებლობის დროს. დამაბალანსებელი გატარება გაკეთდება „შემოსავლების" ან „პირდაპირი ინვესტიციების" მუხლებში.

დავუშვათ, N ქვეყანაში შეზღუდულია ფილიალ-საწარმოთა შემოსავლების გადარიცხვა მათი საზღვარგარეთელი მფლობელისათვის. ერთ-ერთი ასეთი საწარმო, რომელიც ანარმოებს კომპიუტერებს, 1000 ცალი კომპიუტერისაგან შემდგარ პარტიას (1 ცალის ფასი 10 დოლარი) მიჰყიდის სათავო კომპანიას (ბაზარზე ასეთი კომპიუტერის ფასი 1000 დოლარია). ცხადია, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს N ქვეყნიდან შემოსავლების არაპირდაპირ გადაქაჩვას:

ათასი დოლარი

საქონელი	1000
შემოსავალი ინვესტიციებიდან	-990
დეპოზიტები მოკითხვამდე არარეზიდენტ-ბანკებში	-10
საერთო სალდო	0

4. ოპერაციები, რომლებიც ხორციელდება არა მხოლოდ კომერციული მოსაზრებით, ან სრულიად არაკომერციული მოსაზრებებით (ეკონომიკური დახმარება, საჩუქრები და ა.შ.). ასეთი ოპერაციების შეფასება ბარტერის შეფასების მსგავსია. იმ შემთხვევაში, თუ დონორისა და მიმღების ფასები ერთმანეთს არ ემთხვევა, უნდა გამოვიყენოთ დონორის ფასები. ეს ოპერაცია, თუ იგი ხორციელდება მხარეებს შორის შეთანხმების საფუძველზე, „ტრანსფერებში" უნდა ავსახოთ, ნინააღმდეგ შემთხვევაში უნდა ჩავთვალოთ, რომ ეკვივალენტური გაცვლა ხორციელდება.

სბ-ში ოპერაციების რეგისტრაციის დროს გამოიყენება **დარიცხვის მეთოდი** (იგივე მეთოდი გამოიყენება ეას-შიც): ოპერაცია აისახება იმ მომენტში, როდესაც ხდება ეკონომიკური ფასეულობების გაცვლა, გარდაქმნა, შექმნა ან გაქრობა. აღნიშნული მომენტი განსხვავდება ფაქტობრივი გადახდის (ანაზღაურების) მომენტისაგან. ამ მეთოდის შესაბამისად:

- სასაქონლო ოპერაციები აისახება მათზე საკუთრების უფლების გადასვლის მომენტში (გამონაკლისს შეადგენს ფინანსური ლიზინგით არენდით გაცემული საქონელი, გადასამუშავებელი საქონელი, საქონლის მინოდება ფილიალი-საწარმოს მიერ საზღვარგარეთ განთავსებული სათავო კომპანიისათვის და საქონლის მოძრაობა, დაკავშირებული სავაჭრო შუამავლობასთან).
- მომსახურება აისახება მისი გაწევის მომენტში.
- დივიდენდები აისახება მათი გამოცხადების მომენტში.
- პროცენტების დარიცხვა უნყვეტად მიმდინარეობს.
- შრომის ანაზღაურება აისახება იმ მომენტში, როდესაც დამქირავებელს დაქირავებულის წინაშე ვალდებულება წარმოეშობა.
- აუცილებელი გადასახადების სახით ტრანსფერების (გადასახადები, ჯარიმები, სადაზღვევო ანაზღაურება და ა.შ.) ასახვა ხდება გადახდის ვალდებულების დადგომის მომენტში.
- დანარჩენი ტრანსფერების ასახვა ხდება საქონლის, მომსახურებისა და აქტივების ოპერაციების დაბალანსებისას.
- ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ასახვა ხდება საკუთრების უფლების გადასვლის მომენტში (როგორც წესი, ეს ის მომენტია, როდესაც ბუღალტრულ დოკუმენტებში აისახება მოთხოვნისა და ვალდებულების წარმოშობა).

დარიცხვის ალტერნატიული მეთოდია **საკასო**, როდესაც ოპერაცია ანგარიშებში აისახება გადახდის მომენტში.

დავუშვათ, ქართული კომპანია ახდენს 5 მლნ დოლარის საქონლის იმპორტს და ეძლევა გადახდის გადავადების საშუალება. სბ-ში ეს ოპერაცია აისახება შემდეგი სახით:

მლნ დოლარი

საქონელი	-5
სავაჭრო კრედიტი	5
საერთო სალდო	0

როდესაც გადახდა განხორციელდება, მისი ასახვა ხდება შემდეგი სახით:

მლნ დოლარი

სავაჭრო კრედიტი	-5
დეპოზიტები არარეზიდენტ-ბანკებში	5
საერთო სალდო	0

დარიცხვის მეთოდთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ვადაგადაცილებული დავალიანების წარმოშობა არ არის ეკონომიკური ოპერაცია, სბ-ში იგი პირობითად ასეთად ითვლება. ამასთან, ვადაგადაუცილებელი დავალიანების მუხლში აისახება ვალის შემცირება, ხოლო ვადაგადაცილებული დავალიანების მუხლში — ზრდა. ეს საშუალებას გვაძლევს, სბ-ის საშუალებით თვალყური ვადევნოთ საგარეო ვალის მომსახურების პროცესს.

დავუშვათ, საქართველოს რეზიდენტს დაუფიქსირდა 100 მლნ-იანი კრედიტის ძირითადი დაფარვისა და პროცენტების დაფარვის ვადაგადაცილება (10 მლნ დოლ). ეს ოპერაცია შემდეგი სახით აისახება:

მლნ დოლარი

საინვესტიციო შემოსავალი	-10
მოზიდული სესხი არარეზიდენტებისაგან	-100
ვადაგადაცილებული დავალიანება, ვალდებულება	110
საერთო სალდო	0

შესაბამისად, ვადაგადაცილებასთან დაკავშირებული ყველა შემდგომი ოპერაცია, როგორიცაა დაფარვა ან რესტრუქტურიზაცია, უნდა აისახოს ვადაგადაცილების აღრიცხვასთან დაკავშირებულ მუხლებში.

დავუშვათ, ზემოაღნიშნული ვადაგადაცილებული სესხის (110 მლნ დოლ.) დასაფარად უცხოური ბანკის ანგარიშიდან გადმოირიცხა 60 მლნ დოლ. დარჩენილი დასაფარი თანხის რესტრუქტურიზაცია მოხდა გრძელვადიან სესხად. სბ-ში აისახება შემდეგი გატარებები:

მლნ დოლარი

მოზიდული სესხი არარეზიდენტებისაგან	50
ვადაგადაცილებული დავალიანება, ვალდებულება	-110
დეპოზიტები მოკითხვამდე არარეზიდენტ-ბანკებში	60
საერთო სალდო	0

რამდენადაც საერთაშორისო ოპერაციები შეიძლება ავსახოთ სხვადასხვა სახის ვალუტაში, იბადება კითხვა, რომელი მათგანი უნდა ავირჩიოთ საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის შესადგენად? რადგან ეს სისტემები ეას-ის ასაგებად უნდა იქნეს გამოყენებელი, ისინი უნდა ავსახოთ ეროვნულ ვალუტაში. ამასთან, თუ ეროვნული ვალუტა უცხოურთან მიმართებაში სწრაფად უფასურდება, მიზანშეწონილია მისი შედგენა აშშ დოლარებში ან ევროში. საბაზრო ფასებისა და რეგისტრაციის დროის პრინციპებიდან გამომდინარე, სბ-ში ოპერაციები უნდა აისახოს საბაზრო გაცვლითი კურსებით ოპერაციების განხორციელების თარიღისათვის, ხოლო სსპ-ში — მისი შედგენის მომენტისათვის არსებული საბაზრო გაცვლითი კურსების მიხედვით. ამასთან, უნდა გამოვიყენოთ ყიდვისა და გაყიდვის კურსების საშუალო მაჩვენებელი. სხვაობა გაცვლის საშუალო კურსსა და აღნიშნულ კურსებს შორის შეადგენს მომსახურების ანაზღაურებას.

მაგალითად, საანგარიშო პერიოდში არარეზიდენტი-ბანკი საქართველოს რომელიმე ბანკისათვის ახორციელებს 100 მლნ გერმანული მარკის კონვერტაციას დოლარებში. გერმანული მარკის გაყიდვის კურსია 0,65 დოლარი, ხოლო ყიდვის კურსი — 0,64. თუ საშუალო კურსი შეადგენს 0,645-ს, მაშინ სბ-ში ეს შემდეგნაირად აისახება:

მლნ დოლარი

ფინანსური მომსახურება	-0.5
დეპოზიტები მოკითხვამდე არარეზიდენტ-ბანკებში	0.5
საერთო სალდო	0

მოცემულ მაგალითში სადებეტო ჩანაწერი (64 მლნ დოლარის ყიდვა მარკებზე) და საკრედიტო ჩანაწერი (მარკების გაყიდვა 64 მლნ დოლარად) კონვერსიის ოპერაციის ასახვისათვის გაკეთდება მუხლში „დეპოზიტები მოკითხვამდე არარეზიდენტ-ბანკებში" და მოხდება მათი სალდირება.

საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის კლასიფიკაციები

ეკონომიკურ ანალიზში სბ-ის გამოყენებისათვის აუცილებელია გარკვეული ნესით მისი მონაცემების დაჯგუფება. ერთი მხრივ, განსხვავებული ოპერაციები უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან, ხოლო მსგავსი ოპერაციები გავამსხვილოთ და აგრეგირებული სახე მივცეთ.

ისევე როგორც ეას-ში, სბ-შიც ოპერაციები იყოფა მიმდინარე და კაპიტალურად. მიმდინარეს მიეკუთვნება სასაქონლო, მომსახურებისა და შემოსავლების ოპერაციები (მიმდინარე ტრანსფერები განიხილება როგორც შემოსავლების გადანაწილება). კაპიტალური ოპერაციები დაკავშირებულია საინვესტიციო საქმიანობასთან და წარმოადგენს ოპერაციებს აქტივებითა და ვალდებულებებით. გარდა ამისა, არსებობს კიდევ ისეთი ნაკადები, რომელთა ცვლილება გავლენას ახდენს ეროვნული სიმდიდრის მაჩვენებელზე.

მიმდინარე ოპერაციების სალდოს აბსოლუტური სიდიდე საპირისპირო ნიშნით — კაპიტალური ოპერაციების სალდოს ტოლია. სანამ დეტალურად შევუდგებოდეთ თითოეული აღნიშნული ანგარიშის დახასიათებას, მოვიყვანოთ სბ-ის სტანდარტული კომპონენტების კლასიფიკაცია:

1. მიმდინარე ოპერაციების ანგარიში
   - A. საქონელი და მომსახურება
     1. საქონელი
     2. მომსახურება
   - B. შემოსავლები
     1. შრომის ანაზღაურება
2. შემოსავლები ინვესტიციებიდან
   - C. მიმდინარე ტრანსფერები
2. ოპერაციების ანგარიში კაპიტალითა და ფინანსური ინსტრუმენტებით
   - A. კაპიტალის ანგარიში
     1. კაპიტალური ტრანსფერები
     2. არანარმოებული არაფინანსური აქტივების შესყიდვა/გაყიდვა
   - B. ფინანსური ანგარიში
     1. პირდაპირი ინვესტიციები
        - 1.1. საზღვარგარეთ
        - 1.2. მოცემული ქვეყნის ეკონომიკაში
     2. პორტფელის ინვესტიციები
        - 2.1. აქტივები
        - 2.2. ვალდებულებები

3. ფინანსური წარმოებულები
    3.1. აქტივები
    3.2. ვალდებულებები
4. სხვა ინვესტიციები
    4.1. აქტივები
    4.2. ვალდებულებები
5. სარეზერვო აქტივები.

მიმდინარე ოპერაციების ანგარიში

საქონელი. ტრადიციული საქონლის ექსპორტისა და იმპორტის გარდა, ამ მუხლში აისახება გემების მიერ საქონლის შეძენა პორტებში და აგრეთვე ის საქონელი, რომლის ექსპორტი (იმპორტი) ხდება მათი გადამუშავებისა და შემდგომი რეიმპორტის (რეექსპორტის) მიზნით. საქონლის მოძრაობა აისახება არარეზიდენტებისაგან რეზიდენტებზე (ან პირიქით) საკუთრების უფლების გადასვლის მომენტში, თუნდაც საქონელს არ ჰქონდეს საზღვარი გადაკვეთილი. თუ პირიქით, საქონელმა გადაკვეთა საზღვარი საკუთრების უფლების შეუცვლელად (მაგალითად, ტრანზიტული ტვირთები, საქონლის მინოდება სხვა ქვეყნების საელჩოებისათვის და ა.შ.), მაშინ ეს ოპერაციები არ უნდა აისახოს სბ-ში. თუმცა ამ წესს გამონაკლისებიც ახასიათებს:

პირველი გამონაკლისი დაკავშირებულია ფინანსურ ლიზინგთან, რაც ძირითადი კაპიტალის გრძელვადიან არენდას წარმოადგენს. ჩვეულებრივ, ფინანსურ ლიზინგს ახორციელებენ ფინანსური კომპანიები ან ფინანსური შუამავლები. სბ-ის მეთოდოლოგიის მიხედვით, ფინანსური ლიზინგის განხორციელების დროს ფაქტობრივად ხდება საკუთრების უფლების გადასვლა არენდით აღებულ საქონელზე, თუმცა არა იურიდიულად, ე.ი ფინანსური ლიზინგი წარმოგვიდგება როგორც კრედიტი — სასაქონლო ფორმით. ფინანსური ლიზინგით არენდით აღებული საქონელი სბ-ში აისახება როგორც საქონლის ექსპორტი (იმპორტი). დამაბალანსებელი ჩანაწერი კეთდება ფინანსურ ანგარიშში და ასახავს რეზიდენტების ფინანსური მოთხოვნის ნარმოშობას არარეზიდენტებისადმი (არარეზიდენტებისა რეზიდენტების მიმართ). არაფინანსური ლიზინგი წარმოადგენს მოკლევადიან არენდას და განიხილება როგორც მომსახურების გაწევა.

მეორე გამონაკლისი — ეს არის საქონლის მინოდება სათავო კომპანიასა და საზღვარგარეთულ ფილიალებს შორის. ფორმალურად, ამ შემთხვევაში მინოდებულ საქონელზე არ ხდება საკუთრების უფლების გადასვლა, თუმცა

საქონლის აღნიშნული გადაადგილება მაინც აისახება სბ-ში, რადგან ფილიალი ითვლება დამოუკიდებელ ერთეულად. ყველა დანარჩენი ოპერაციაც სათავო კომპანიასა და ფილიალს შორის ასახვას პოულობს სბ-ში როგორც ოპერაციები რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის.

მესამე გამონაკლისი უკავშირდება იმ საქონელს, რომელიც საზღვარგარეთ გადის გადასამუშავებლად შემდგომი რეექსპორტისათვის. მოცემულ შემთხვევაში ფორმალურად არ ხდება საკუთრების უფლების გადასვლა, მიუხედავად ამისა, ეს საქონელი, რომელიც ბრუნდება ქვეყანაში რემონტის ან გადამუშავების შემდეგ, უნდა ავსახოთ მუხლში „საქონელი". თუ საქონელი ქვეყანაში ბრუნდება მომდევნო წელს, მაშინ გატარება მუხლში „საქონელი" უნდა დაბალანსდეს მუხლით „სავაჭრო კრედიტები".

მეოთხე გამონაკლისი დაკავშირებულია სავაჭრო შუამავლობასთან. საერთაშორისო ვაჭრობაში ზოგიერთი სავაჭრო ფირმა ყიდულობს საქონელს ერთ ქვეყანაში მეორეში გადაყიდვისათვის და, ამასთანავე, ეს საქონელი არ კვეთს იმ ქვეყნის საზღვარს, რომლის რეზიდენტიცაა მოცემული ფირმა. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ამ შემთხვევაში საქონელზე საკუთრების უფლების გადასვლა ხდება რეზიდენტებიდან არარეზიდენტებზე, ეკონომიკური თვალსაზრისით, მიზანშეწონილია ჩავთვალოთ, რომ ეს სავაჭრო ფირმები სავაჭრო მომსახურებას უწევენ არარეზიდენტებს და არ ახდენენ საქონლის იმპორტს ქვეყანაში შემდგომი რეექსპორტისათვის. ამიტომ სბ-ში ასეთი ოპერაციებისათვის უნდა მოხდეს გატარება არა მუხლით „საქონელი", არამედ მუხლში „მომსახურება", სავაჭრო დარიცხვის სიდიდით.

დავუშვათ რომ, ფირმა A ქვეყანაში ყიდულობს 100 დოლარად საქონელს პირველ საანგარიშო პერიოდში და ყიდის მას B ქვეყანაში 105 დოლარად მომდევნო პერიოდში. ამ შემთხვევაში მაინც მოგვიწევს გატარება მუხლში „საქონელი", ხოლო იმისათვის, რომ მითითებული პრინციპებით მოხდეს სბ-ს შედგენა წლის ორი საანგარიშო პერიოდისათვის, ეს შემდეგნაირად უნდა გაკეთდეს:

აშშ დოლარებში

	I პერიოდი	II პერიოდი	I და II პერიოდები
საქონელი	-100	100	0
სავაჭრო მომსახურება	0	5	5
უცხოური ვალუტა	100	-105	-5
საერთო სალდო	0	0	0

საქონლის მოძრაობის შეფასება საერთაშორისო ვაჭრობაში გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ერთ-ერთი დაკავშირებულია იმასთან, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქონელი სხვადასხვანაირად შეიძლება შეფასდეს იმის მიხედვით, გაითვალისწინება თუ არა ტრანსპორტირების, დაზღვევის, დატვირთვის, შენახვის ხარჯები, რასაც ანაზღაურებს იმპორტიორი ან შესაძლებელია — ექსპორტიორი, საქონლის შეძენის შემდეგ მყიდველთან მიტანამდე.

ცხადია, რომ აუცილებელია რაიმე პირობითი წესის შემოღება, რათა არ დამახინჯდეს სავაჭრო ბალანსის დინამიკა სხვადასხვა შეფასების საფუძველზე. სბ-ში საქონლის ექსპორტი და იმპორტი „FOB" ფასებში აისახება. ეს არის საქონლის ღირებულება მწარმოებლის ფასებში და მოიცავს ყველა დაკავშირებული მომსახურების ღირებულებას ექსპორტიორი ქვეყნის საზღვრის გადაკვეთის მომენტისათვის შემდგომ ტრანსპორტირებაზე გაწეული დანახარჯების ჩათვლით, ანუ „FOB" ფასი — ეს არის ფასი, რომელიც იმპორტიორმა უნდა გადაიხადოს, თუ იგი ახორციელებს საქონლის გადატანას მას შემდეგ, რაც ის დაიტვირთება სატრანსპორტო საშუალებაზე ექსპორტიორი ქვეყნის საზღვარზე, ყველა საექსპორტო გადასახადის გადახდისა და შეღავათის მიღების შემდეგ.

თუ საქონლის ტრანსპორტირებას ან დაზღვევას საზღვრის გადაკვეთის შემდეგ ექსპორტიორი ახდენს, ითვლება, რომ იგი მოქმედებს როგორც იმპორტიორის აგენტი და ასეთი გადახდები სბ-ში აისახება მუხლში „მომსახურება".

თუ ტრანსპორტირებას და ა.შ. ექსპორტიორი ქვეყნის საზღვრამდე ახორციელებს იმპორტიორი ან სხვა არარეზიდენტი, ითვლება, რომ ის მოქმედებს როგორც ექსპორტიორის აგენტი და მომსახურების ღირებულება საქონლის ფასში გაითვალისწინება. „CIF" ფასი — ეს ის ფასია, რომელსაც იხდის იმპორტიორი საქონლისათვის საიმპორტო ბაჟისა და სხვა გადასახადების გადახდამდე, თუ ის განახორციელებს საქონლის მიწოდებას თავისი ქვეყნის საზღვრიდან. აქედან გამომდინარე, „CIF" და „FOB" ფასებს შორის სხვაობა წარმოადგენს დაზღვევისა და ტრანსპორტირების ღირებულებას და შესაძლებელია სხვა მომსახურების ანაზღაურებასაც მას შემდეგ, რაც საქონელი გადაკვეთს ექსპორტიორი ქვეყნის საზღვარს იმპორტიორის საზღვრამდე. როგორც წესი, საბაჟო სტატისტიკაში საქონლის ექსპორტი ფასდება „FOB" ფასებში, ხოლო იმპორტი — „CIF" ფასებში. ამრიგად, აუცილებელია საბაჟო სტატისტიკის მონაცემების კორექტირება სბ-ში გამოყენების თვალსაზრისით.

მოვიყვანოთ მაგალითი, თუ როგორ ხდება საქონლის მოძრაობის ასახვა სბ-ში „FOB" ფასებში. დავუშვათ, რომ 2007 წლის 29 დეკემბერს ქართულმა X სანარმომ გერმანიაში შეიძინა 10 000 დოლარის ღირებულების საქონელი (ანგარიშსნორება განხორციელდა დაუყოვნებლივ). გარდა ამისა, აღნიშნული სანარმო ქართულ სატრანსპორტო კომპანიას (Y) უხდის 1000 დოლარს საქონლის გადატანისათვის საქართველოში სატვირთო ავტოტრანსპორტით. ტრანსპორტირება განხორციელდა 30 დეკემბერს, თუმცა ტრანსპორტი საქართველოს საზღვარს გადაკვეთს მხოლოდ 2008 წლის 2 იანვარს და X სანარმო საქონელს იღებს ადგილზე 4 იანვარს. დავუშვათ, რომ ტრანსპორტირების ხარჯებმა 30 დეკემბრიდან 1 იანვრამდე შეადგინა 400 დოლარი, 1-დან 2 იანვრამდე — 350 დოლარი, ხოლო 2-დან 4 იანვრამდე — 250 დოლარი (სულ 1000 დოლარი). ეს ოპერაციები შემდეგნაირად აისახება სბ-ში:

	2007 წელი	2008 წელი	2007-08 წლები
საქონელი (იმპორტი)	-10400	-350	-10 750
მომსახურება (სატრანსპორტო მომსახურების ექსპორტი)	400	350	750
უცხოური ვალუტა	10 000	0	10 000
საერთო სალდო	0	0	0

ამ მაგალითში 2007 ნელს იმპორტირებული საქონლის ღირებულებამ „FOB" ფასებში შეადგინა 10 400 დოლარი, რაც აისახა მუხლში „საქონელი". თუმცა სინამდვილეში ტრანსპორტირებას ახორციელებდა იმპორტიორი, ის მოქმედებდა როგორც ექსპორტიორის აგენტი, ე.ი. ითვლება, რომ ექსპორტიორმა აანაზღაურა იმპორტიორის ხარჯები 400 დოლარის ოდენობით და შემდეგ მიჰყიდა მას საქონელი 10 400 დოლარად, მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილეში ექსპორტიორს არაფერი გადაუხდია იმპორტიორისათვის, ხოლო იმპორტიორმა ექსპორტიორს გადაუხადა მხოლოდ 10 000. დანარჩენი გატარებები 2008 წლისათვის და ორივე წლისათვის ერთად მოცემულია ზემოთ თანმიმდევრობით.

მომსახურება

სბ-ში „მომსახურების" მუხლი ძალიან დეტალიზებულია, რაც საერთაშორისო ვაჭრობაში მომსახურების ზრდად როლზე მეტყველებს. მოვიყვანოთ კლასიფიკაციის აგრეგირებული მუხლები:

1. ტრანსპორტი
    1.1. საზღვაო
    1.2. საჰაერო
    1.3. სხვა
2. მგზავრობა
3. კავშირგაბმულობა
4. სამშენებლო მომსახურება
5. დაზღვევა
6. ფინანსური მომსახურება
7. კომპიუტერული საინფორმაციო მომსახურება
8. გადასახადები პატენტებსა და ლიცენზიებზე
9. სხვა ბიზნეს-მომსახურება
10. პერსონალური, კულტურული მომსახურება, გართობა და დასვენება
11. მომსახურება სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისათვის.

„მგზავრობის" მუხლის კრედიტში აისახება მომსახურებათა ღირებულება, რომელსაც რეზიდენტები უწევენ არარეზიდენტ ფიზიკურ პირებს, აგრეთვე საქონლის ღირებულება, რომელსაც არარეზიდენტები იძენენ რეზიდენტებისაგან. გამონაკლისია საერთაშორისო გადაყვანები, რაც შესაბამის მუხლში აისახება. დებეტში აისახება მომსახურებათა ღირებულება, რომელსაც არარეზიდენტები უწევენ რეზიდენტ პირებს და საქონლის ღირებულება, რასაც რეზიდენტები იძენენ არარეზიდენტებისაგან.

მუხლში ,,ფინანსური მომსახურება" ასახულია საკომისიოების ანაზღაურება, რასაც ფინანსური ინსტიტუციური ერთეულები იღებენ თავიანთი მომსახურების სანაცვლოდ (ანგარიშის გახსნა, ფასიანი ქაღალდების განთავსება, საბროკერო მომსახურება და ა.შ.).

„გადასახადები პატენტებსა და ლიცენზიებზე" (არა საავტორო უფლების ან ლიცენზიის ყიდვა და გაყიდვა) ეას-ის მიხედვით განიხილება როგორც მომსახურების ანაზღაურება, ამიტომ სბ-შიც ის აისახება მომსახურებაში.

თუ საქონლის არენდით აღება ხანმოკლე პერიოდით ხდება, მესაკუთრის შეუცვლელობის გამო ეს არ აისახება სბ-ში. საარენდო გადასახადები არაფინანსური ლიზინგის დროს აისახება როგორც ეას-ში, ისე სბ-ში — როგორც მომსახურება, მუხლში „სხვა ბიზნეს-მომსახურება".

შემოსავლები

ამ მუხლში აისახება შემოსავლები, რომელსაც იღებენ რეზიდენტები არარეზიდენტებისაგან (ან პირიქით) წარმოების ფაქტორებით (შრომა, კაპიტალი, მიწა) სარგებლობისათვის. მუხლში „შრომის ანაზღაურება" ასახულია

მომუშავეთა (სეზონური მუშების, საზღვრის მუშების) ანაზღაურება სხვა ქვეყნის რეზიდენტების მიერ. ანაზღაურება შეიძლება განხორციელდეს როგორც ფულადი, ისე ნატურალური ფორმით. „საინვესტიციო შემოსავლების" მუხლში აისახება შემოსავლები საზღვარგარეთული ფინანსური აქტივების ფლობიდან, რომელსაც არარეზიდენტები უხდიან რეზიდენტებს (ან პირიქით). ეს შეიძლება იყოს პროცენტები, დივიდენდები და შემოსავლების სხვა ფორმები.

მიმდინარე ტრანსფერები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტრანსფერი ეს არის ოპერაცია, როდესაც ერთი ინსტიტუციური ერთეული მეორეს აწვდის საქონელს, მომსახურებას ან აქტივს და სამაგიეროდ არ იღებს მისგან ეკვივალენტურ საქონელს, მომსახურებასა და აქტივს. მიმდინარე ტრანსფერი ზრდის მიმღების განკარგვად შემოსავალს და ამცირებს დონორის განკარგვად შემოსავალსა და მოხმარების პოტენციურ შესაძლებლობებს.

დათქმის მიხედვით, ყველა სხვა ტრანსფერი კაპიტალურია. თუ დონორი და მიმღები ერთმანეთის მიმართ არარეზიდენტები არიან, კაპიტალური ტრანსფერი გავლენას ახდენს მათი ქვეყნების ეროვნულ სიმდიდრეზე. კაპიტალური ტრანსფერებია: საკუთრების უფლების გადასვლა აქტივებზე, ვალის პატიება. ფულის უსასყიდლოდ გადაცემა განიხილება კაპიტალურ ტრანსფერად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს თანხა გამიზნულია ძირითადი აქტივების შესაძენად. „მიმდინარე ტრანსფერების" მუხლს აქვს შემდეგი დეტალიზაცია:

1. სახელმწიფო მმართველობის ორგანოები (ქვეყანა, რომლისთვისაც დგება სბ).
2. სხვა სექტორები (ქვეყანა, რომლისთვისაც დგება სბ).
   2.1 მომუშავე პირთა გადარიცხვები.
   2.2 სხვა მიმდინარე ტრანსფერები.

კაპიტალის ანგარიში

კაპიტალური ტრანსფერები აისახება კაპიტალის ანგარიშში, რომელშიც მოცემულია აგრეთვე არაფინანსური აქტივების შეძენა/რეალიზაცია. კაპიტალისა და ფინანსური ანგარიშები შეადგენენ დაგროვების ანგარიშებს.

ამ ანგარიშში აისახება ოპერაციები რეზიდენტების აქტივებითა და ვალდებულებებით არარეზიდენტების მიმართ საანგარიშო პერიოდში. ტრადიციულად, სბ-ში აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია, უპირველეს ყოვლისა, ხდება ფუნქციური ნიშნის მიხედვით. გამოიყოფა ხუთი ფუნქციური ჯგუფი:

- პირდაპირი ინვესტიციები;
- პორტფელის ინვესტიციები;
- ფინანსური წარმოებულები;
- სარეზერვო აქტივები;
- სხვა ინვესტიცია.

მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის განსხვავება საკმაოდ პირობითია, ეკონომიკური ანალიზისათვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან აღნიშნული ჯგუფების აქტივებისა და ვალდებულებების მოძრაობა სხვადასხვა მიზეზით აიხსნება. განვიხილოთ უფრო დანვრილებით აღნიშნული კატეგორიები.

პირდაპირი ინვესტიციები

პირდაპირი ინვესტირება ხორციელდება სანარმოს მართვის პროცესზე ზემოქმედების მიზნით საწარმოს საკუთარ კაპიტალში მონაწილეობის გზით. პირდაპირი ინვესტიცია საერთაშორისო ინვესტიციის კატეგორიაა. ის გულისხმობს ამა თუ იმ ეკონომიკის რეზიდენტი ერთეულის (პირდაპირი ინვესტორი) გრძელვადიან ინტერესს სხვა ეკონომიკის რეზიდენტ ერთეულში (პირდაპირი ინვესტორის საწარმო). საწარმოს პირდაპირი ინვესტორი არის ინვესტორი, რომელიც ფლობს სანარმოს აქციების ან ხმის უფლების 10 პროცენტს ან მეტს (კორპორაციის შემთხვევაში), ან ეკვივალენტურ ძალაუფლებას (არარკორპორირებული საწარმოს შემთხვევაში).

დავუშვათ, საანგარიშო პერიოდის ბოლოს ერთობლივი საწარმოს მოგებამ 100 მლნ დოლარი შეადგინა. პირდაპირი უცხოელი ინვესტორი ფლობს აქციათა 30%-ს. საქართველოს საგადასახდელო ბალანსს შემდეგი სახე ექნება:

მლნ დოლარი

მიმდინარე ოპერაციების ანგარიში	-30
შემოსავალი ინვესტიციიდან	-30
შემოსავლები პირდაპირი ინვესტიციებიდან, რეინვესტირებული შემოსავლები	-30
ფინანსური ანგარიში	30
პირდაპირი ინვესტიციები	30
საქართველოს ეკონომიკაში	30
შემოსავლების რეინვესტირება	30
საერთო სალდო	0

პორტფელის ინვესტიცია

პორტფელის ინვესტიცია არის სავალო ფასიანი ქაღალდები, აქციები და ფულადი ბაზრის სხვა ინსტრუმენტები, რომელთა შეძენა ხდება ძირითადად შემოსავლის მიღების მიზნით მათი ლიკვიდურობის შენარჩუნების ხარჯზე.

პორტფელის ინვესტიციები იმის მიხედვით კლასიფიცირდება, ფინანსური ინსტრუმენტი აქტივია თუ ვალდებულება. შემდეგ მათი დაყოფა ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახის მიხედვით:

- აქციები (ინვესტორი ფლობს აქციების 10%-ზე ნაკლებს) და სხვა მონაწილეობა კაპიტალში;
- სავალო ფასიანი ქაღალდები;
- ობლიგაციები და სხვა გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდები;
- ფულადი ბაზრის ინსტრუმენტები.

ამის შემდეგ აქტივები კლასიფიცირდება კრედიტორის სექტორის მიხედვით, ხოლო ვალდებულებები — ეროვნული ეკონომიკის დებიტორის სექტორის მიხედვით. არჩევენ შემდეგ ოთხ სექტორს:

- ფულად-საკრედიტო რეგულირების ორგანოები (ფსრო).
- სახელმწიფო მმართველობის ორგანოები.
- ბანკები.
- სხვა სექტორები:
  არაფინანსური საწარმოები;
  შინამეურნეობები;
  სხვა ფინანსური დაწესებულებები;
  შინამეურნეობების მომსახურე არასახელმწიფო არაკომერციული ორგანიზაციები.

ფინანსური წარმოებულები

ეს არის ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც მიბმულია კონკრეტულ ფინანსურ აქტივზე, ინდიკატორზე, ან რაიმე სახის აქტივზე. მათი მეშვეობით ხდება ფინანსური რისკებით ვაჭრობა ფინანსურ ბაზრებზე. ფინანსური წარმოებულები მოიცავს ტრანსაქციებს სვოპებით, ოფციონებით, სადეპოზიტო გარანტიებითა და სხვ. და აღირიცხება წმინდა სახით. სხვა ფინანსური ინსტრუმენტებისაგან განსხვავებით, ფინანსური წარმოებულები არ მოითხოვენ კაპიტალის ავანსირებას (ოფციონების გარდა) და საინვესტიციო შემოსავლების დარიცხვას. ფინანსური წარმოებულების განსაზღვრა პირველად გაჩნდა სსშ-ის გამოცემაში „The Statistical Measurement of Financial Derivatives"[1]. სბ-ში მათი გამოყოფა ცალკე ჯგუფში 2000 წელს მოხდა.

სარეზერვო აქტივები

სარეზერვო აქტივები მონეტარული ხელისუფლების განკარგულებაში არსებული ფინანსური აქტივებია და გამოიყენება ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის რეგულირებისათვის. კერძოდ, ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირდაპირ სბ-ის დეფიციტის დასაფინანსებლად ან დეფიციტზე არაპირდაპირი ზეგავლენის მოსახდენად (სავალუტო ბირჟაზე ჩარევის გზით ეროვნული ვალუტის გაცვლის კურსის დასარეგულირებლად).

სარეზერვო აქტივები სბ-ში შედგება შემდეგი ელემენტებისაგან:

- მონეტარული ოქრო;
- ნასესხობის სპეციალური უფლებები (ნსუ);
- სარეზერვო პოზიცია ფონდში (ქვეყნის მოთხოვნა სსშ-ის მიმართ უცხოურ ვალუტაში);
- უცხოური ვალუტა;
- ნაღდი ფული და დეპოზიტები;
- მოთხოვნები შსრო-ს მიმართ;
- მოთხოვნები ბანკების მიმართ;
- ფასიანი ქაღალდები;
- აქციები;
- ობლიგაციები;

[1] Financial Derivatives, A Supplement to The Fifth Edition (1993) of the Balance of Payments Manual, IMF, 2002

- ფულადი ბაზრის ინსტრუმენტები;
- ფინანსური წარმოებულები;
- სხვა მოთხოვნები.

სარეზერვო აქტივების ერთ-ერთი შემადგენელია მონეტარული ოქრო — ოქრო, რომელიც ᲤსრᲝ-ების საკუთრებაშია და გამოიყენება მათ მიერ როგორც სარეზერვო ფინანსური აქტივი. ყველა სხვა ოქრო (არამონეტარული) იმ ოქროს ჩათვლით, რომელიც ეკუთვნის ბანკებს, განიხილება როგორც ჩვეულებრივი საქონელი. ეს მეტყველებს იმაზე, რომ უკანასკნელ პერიოდში ოქრო კარგავს გადახდის საშუალების ფუნქციას.

სხვა ინვესტიცია

სხვა ინვესტიციის პირველადი დაყოფა ხდება აქტივებად (მოთხოვნები არარეზიდენტებისადმი) და ვალდებულებებად (არარეზიდენტების მიმართ). აქტივები და ვალდებულებები, თავის მხრივ, კლასიფიცირდება სავაჭრო კრედიტებად, ნაღდ ფულად და დეპოზიტებად, სესხებად და სხვა აქტივებად/ვალდებულებებად.

სავაჭრო კრედიტები წარმოადგენს მოთხოვნებსა და ვალდებულებებს, რომელიც ნარმოიქმნება მიმწოდებელსა და მყიდველს შორის უშუალო ურთიერთობისას — როდესაც თანხის გადახდის დრო არ ემთხვევა საკუთრების ცვლილების დროს. სავაჭრო კრედიტი არ გულისხმობს სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვებას ან რაიმე დოკუმენტის შექმნას.

სხვადასხვა ვადაგადაცილებები აღირიცხება „სხვა ვალდებულებების" მუხლში. კერძოდ, ეს მუხლი მოიცავს ვადაგადაცილებებს საგარეო ვალის მომსახურებაზე.

კავშირი საგადასახდელო ბალანსსა და ეროვნულ ანგარიშთა სისტემას შორის

მიუხედავად იმისა, რომ სბ და ეას დამოუკიდებლად ვითარდებოდნენ, ყოველთვის ითვლებოდა, რომ ეს სისტემები ურთიერთშეთანხმებული უნდა ყოფილიყო. აღნიშნულის რეალიზაცია მოხერხდა სბ-ს მეხუთე ვარიანტში, რამაც სბ ეას-ის მონაცემთა მნიშვნელოვან წყაროდ აქცია. ზოგიერთი სპეციალისტი ეას-ის „დანარჩენი მსოფლიოს" ანგარიშებს სბ-ის მონაცემთა

წარმოდგენის ალტერნატულ საშუალებად განიხილავს. მიუხედავად ამისა, ამ ორ სისტემას შორის არსებობს მეთოდოლოგიური შეუსაბამობები, რომელთაც სერიოზული პრაქტიკული მნიშვნელობა არ გააჩნიათ.

აღნიშნული სისტემების დეტალურ შედარებამდე აუცილებელია აღვწეროთ ,,დანარჩენი მსოფლიოს" ანგარიშების სტრუქტურა, სადაც აისახება ოპერაციები რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის. მიმდინარე ოპერაციები რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის აისახება საქონლისა და მომსახურების და ,,დანარჩენი მსოფლიოს" პირველადი შემოსავლებისა და მიმდინარე ტრანსფერების ანგარიშებში:

„დანარჩენი მსოფლიოს" საქონლისა და მომსახურების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	საქონლისა და მომსახურების იმპორტი
საქონლის ექსპორტი	საქონლის იმპორტი
მომსახურების ექსპორტი	მომსახურების იმპორტი
საქონლისა და მომსახურების ანგარიშის სალდო	

„დანარჩენი მსოფლიოს" პირველადი შემოსავლებისა და მიმდინარე ტრანსფერების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
შრომის ანაზღაურება	საქონლისა და მომსახურების ანგარიშის სალდო "დანარჩენ მსოფლიოსთან"
შემოსავლები საკუთრებიდან	შრომის ანაზღაურება
გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე	შემოსავლები საკუთრებიდან
სუბსიდიები	გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე
მიმდინარე გადასახადები შემოსავლებსა და ქონებაზე	სუბსიდიები

სოციალური დახმარებები	მიმდინარე გადასახადები შემოსავლებსა და ქონებაზე
სხვა მიმდინარე ტრანსფერები	სოციალური დახმარებები
მიმდინარე ოპერაციების სალდო	სხვა მიმდინარე ტრანსფერები

„დანარჩენი მსოფლიოს" ყველა ანგარიში არარეზიდენტების პოზიციიდან დგება. ამიტომ ,,რესურსების" მხარეს ორივე ანგარიშში ნაჩვენებია არარეზიდენტების მიერ ეკონომიკური ღირებულების მიღება რეზიდენტებისაგან, ხოლო „გამოყენებაში" — მისი გადაცემა რეზიდენტებისათვის. ეს ორი ანგარიში ერთმანეთს უკავშირდება მუხლით ,,საქონლისა და მომსახურების ანგარიშის სალდო დანარჩენ მსოფლიოსთან", ხოლო კაპიტალის ანგარიშს — დამაბალანსებელი მუხლით ,,მიმდინარე ოპერაციების სალდო", რომელიც სბ-ში შესაბამისი სალდოს ანალოგიურია.

კაპიტალის ოპერაციების ანგარიშები ერთმანეთს უკავშირდება დამაბალანსებელი მუხლით ,,წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება" და აქვთ შემდეგი სახე:

კაპიტალის ანგარიში

ცვლილებები აქტივებში	ვალდებულებებისა და კაპიტალის წმინდა ღირებულების ცვლილება
	მიმდინარე ოპერაციების სალდო "დანარჩენ მსოფლიოსთან"
არაწარმოებული არაფინანსური აქტივების წმინდა შეძენა	
	კაპიტალური ტრანსფერები, მიღებული (+)
წმინდა დაკრედიტება (+) /წმინდა სესხება (-)	კაპიტალური ტრანსფერები, გადახდილი(-)

ფინანსური ანგარიში

ცვლილებები აქტივებში	ვალდებულებებისა და კაპიტალის წმინდა ღირებულების ცვლილება
	წმინდა დაკრედიტება (+) /წმინდა სესხება (-)
ფინანსური აქტივების წმინდა შეძენა	ვალდებულებების წმინდა მიღება

„დანარჩენი მსოფლიოს" ანგარიშებში ასახულია მრავალი მონაცემი, რომელიც აუცილებელია ეას-ის შემდეგი მაჩვენებლების გასაანგარიშებლად: მშპ, მეშ, მეგშ, მთლიანი ეროვნული დაზოგვა და ა.შ. კავშირი ამ მაჩვენებლებსა და „დანარჩენი მსოფლიოს" ანგარიშების მონაცემებს შორის ასახულია ქვემოთ ცხრილში („დანარჩენი მსოფლიოს" ანგარიშების მონაცემები ასახულია მუქად ლათინური ასოებით):


ეას-ის ძირითადი მაჩვენებლები	**„დანარჩენი მსოფლიოს" ანგარიშთან დაკავშირებული მაჩვენებლები**	**ეას-თან დაკავშირებული სხვა მაჩვენებლები**
მშპ = C+I+X-M	X — ექსპორტი M — იმპორტი	C — საბოლოო მოხმარება I — მთლიანი დაგროვება
მეშ = მშპ+CE+NPI+NTPI	CE — შრომის ანაზღაურების სალდო (არარეზიდენტებისაგან მიღებული და მათთვის გადახდილი) NPI — საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სალდო (არარეზიდენტებისაგან მიღებული და მათთვის გადახდილი) NTPI — გადასახადების სალდო სუბსიდიების გამოკლებით (არარეზიდენტებისაგან მიღებული და მათთვის გადახდილი)	
მეგშ= მეშ + NCRT	NCRT — მიმდინარე ტრანსფერების სალდო (არარეზიდენტებისაგან მიღებული და მათთვის გადახდილი)	
მთლიანი ეროვნული დანაზოგი (მედ) = მეგშ-C = I+X-M+CE+NPI+NTPI+ NCRT		
CNW = მედ—D+ NCPT CNW – ცვლილებები ეროვნულ სიმდიდრეში დაზოგვისა და კაპიტალური ტრანსფერების ხარჯზე	NCPT— კაპიტალური ტრანსფერების სალდო (არარეზიდენტებისაგან მიღებული და მათთვის გადახდილი)	D – ძირითადი კაპიტალის მოხმარება

სბ-სა და ეას-ში გამოიყენება აბსოლუტურად იდენტური კრიტერიუმები რეზიდენტებისა და არარეზიდენტების განსაზღვრისათვის. ამასთან, ორივე სისტემაში გამოიყენება ეკონომიკური ტერიტორიისა და ეკონომიკურ ინტერესთა ცენტრის ცნებები. ორივე სისტემაში გამოიყენება საბაზრო ფასების ერთიანი კონცეფცია. ოპერაციების რეგისტრაციის დრო დარიცხვის მეთოდით განისაზღვრება. ოპერაციათა გადათვლისათვის ერთიან ვალუტაში ერთიანი მიდგომა გამოიყენება.

ყველა ოპერაცია, რომელიც ასახულია სბ-ში, გვხვდება აგრეთვე ეას-ის „დანარჩენი მსოფლიოს" ანგარიშებში, ამიტომ სბ შეიძლება გამოვიყენოთ ეას-ის მონაცემების წყაროდ.

აღსანიშნავია, რომ სბ-ს მუხლების სტანდარტულ კლასიფიკაციაში არ გვხვდება „დანარჩენი მსოფლიოს" ანგარიშების ისეთი მუხლები, როგორიცაა გადასახადები პროდუქტებსა და იმპორტზე და სუბსიდიები (არარეზიდენტებისაგან მიღებული და მათთვის გადახდილი), რადგან ასეთი ოპერაციები პრაქტიკაში ძალზე იშვიათია. თუ სბ-ს მუხლში „მიმდინარე ტრანსფერები" ცალკე გამოვყოფთ პოზიციას: გადასახადები პროდუქტებსა და იმპორტზე სუბსიდიების გამოკლებით, მაშინ სბ-სა და ეას-ის ცენტრალურ მაჩვენებლებს შორის შეიძლება დამყარდეს მკაფიო შესაბამისობა (იხ. სქემა 8.1)

ურთიერთკავშირი სბ-სა და ეას-ის ცენტრალურ მაჩვენებლებს შორის



კითხვები და სავარჯიშოები

1. რა არის „რეზიდენტობა" სბ-ში?
2. რაში მდგომარეობს სბ-ის მიმდინარე ოპერაციების სალდოს ეკონომიკური არსი?
3. დაასახელეთ სბ-ის განყოფილებები.
4. რა არის საერთაშორისო სავალუტო პოზიცია?
5. როგორ კლასიფიცირდება უცხოური ინვესტიციები სბ-ში?
6. როგორი კავშირია სბ-სა და ეას-ს შორის?
7. რომელ ფასებში აისახება ექსპორტი და იმპორტი სბ-ში?

ტესტები

1. ეას-ის რომელ ანგარიშებში ხდება მონაცემების რეგისტრაცია „დანარჩენი მსოფლიოს" გამოშვებისა და შუალედური მოხმარების შესახებ:

ა) საქონლისა და მომსახურების კრებსით ანგარიშში;
ბ)„დანარჩენი მსოფლიოს"კრებსით ანგარიშში;
გ) საერთოდ არ რეგისტრირდება.

2. საქონლისა და მომსახურების საგარეო-ეკონომიკური ანგარიშის შესადგენად გამოიყენება:

ა) სადაგასახდელო ბალანსი;
ბ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობით დაკავებული საწარმოების ანგარიშები;
გ) საბაჟო დეკლარაციები;
დ) სატრანსპორტო ორგანიზაციების ანგარიშები.

3. საქონლისა და მომსახურების საგარეო-ეკონომიკური ოპერაციების დამაბალანსებელი მუხლია:

ა) საგარეო-ეკონომიკური სავაჭრო ბალანსი;
ბ) საგარეო ოპერაციების მიმდინარე სალდო;
გ) საქონლისა და მომსახურების საგარეო ოპერაციების სალდო;
დ) დამატებული ღირებულება.

4. საქონლისა და მომსახურების ექსპორტს მიეკუთვნება:

ა) არარეზიდენტების მიერ რეზიდენტებისათვის უსასყიდლოდ

გადაცემული საქონელი და მომსახურება;
ბ) რეზიდენტების მიერ არარეზიდენტებისათვის მიყიდული საქონელი და მომსახურება;
გ) რეზიდენტების მიერ არარეზიდენტებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული საქონელი და მომსახურება;
დ) არარეზიდენტების მიერ რეზიდენტებისათვის მიყიდული საქონელი და მომსახურება.

5. საქონლისა და მომსახურების იმპორტს მიეკუთვნება:

ა) არარეზიდენტების მიერ რეზიდენტებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული საქონელი და მომსახურება;
ბ) რეზიდენტების მიერ არარეზიდენტებისათვის მიყიდული საქონელი და მომსახურება;
გ) რეზიდენტების მიერ არარეზიდენტებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული საქონელი და მომსახურება;
დ) არარეზიდენტების მიერ რეზიდენტებისათვის მიყიდული საქონელი და მომსახურება.

6. სექტორი "დანარჩენი მსოფლიო" აღწერს საქმიანობას:

ა) მოცემული ქვეყნის რეზიდენტების, რომლების ეკონომიკურ ოპერაციებს ანარმოებენ არარეზიდენტებთან ერთად;
ბ) სხვა ქვეყნების რეზიდენტების სამამული ინსტიტუციურ ერთეულებთან ერთად;
გ) არარეზიდენტების;
დ) უცხოური ინსტიტუციური ერთეულების, რომლებიც იმყოფებიან მოცემულ ტერიტორიაზე.

7. როგორ უკავშირდება ერთმანეთს შიდა და საგარეო ეკონომიკის ანგარიშები:

ა) შიდა ეკონომიკის ანგარიშებში მიღებული მაჩვენებლები გადააქვთ საგარეო ეკონომიკის ანგარიშებში;
ბ) საგარეო ეკონომიკის ანგარიშებში მიღებული მაჩვენებლები გადააქვთ შიდა ეკონომიკის ანგარიშებში;
გ) შიდა ეკონომიკის ანგარიშების რესურსების მაჩვენებლები გადააქვთ „დანარჩენი მსოფლიოს" ანგარიშების რესურსებში;
დ) შიდა ეკონომიკის ანგარიშების რესურსების მაჩვენებლები გადააქვთ „დანარჩენი მსოფლიოს" ანგარიშების გამოყენებაში.

8. მონიშნეთ მაჩვენებლები, რომლებიც აისახება პირველადი საგარეო შემოსავლებისა და ტრანსფერების ანგარიშების გამოყენების ნაწილში:

ა) არარეზიდენტი-მომუშავეების ანაზღაურება რეზიდენტი-

დამქირავებლების მიერ;
ბ) რეზიდენტი-მომუშავეების ანაზღაურება არარეზიდენტი-დამქირავებლების მიერ;
გ) შემოსავლები საკუთრებიდან, სხვა ქვეყნებიდან მიღებული;
დ) საქონლისა და მომსახურების საგარეო ოპერაციების სალდო.

9. მონიშნეთ მაჩვენებლები, რომლებიც აისახება პირველადი საგარეო შემოსავლებისა და ტრანსფერების ანგარიშების რესურსების ნაწილში:

ა) არარეზიდენტი-მომუშავეების ანაზღაურება რეზიდენტი-დამქირავებლების მიერ;
ბ) რეზიდენტი-მომუშავეების ანაზღაურება არარეზიდენტი-დამქირავებლების მიერ;
გ) შემოსავლები საკუთრებიდან, სხვა ქვეყნებისათვის გადაცემული;
დ) საქონლისა და მომსახურების საგარეო ოპერაციების სალდო.

10. „დანარჩენი მსოფლიოს" კაპიტალის ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია:

ა) მიმდინარე საგარეო ოპერაციების სალდო;
ბ) საკუთარი კაპიტალის ღირებულების ცვლილება;
გ) ერის წმინდა სესხები ან კრედიტები;
დ) აქტივებისა და პასივების ბალანსი ნლის ბოლოსათვის.

11. მონიშნეთ მაჩვენებლები, რომლებიც ასახულია საგარეო ფინანსურ ანგარიშში:

ა) ნაღდი ფული;
ბ) საკუთარი კაპიტალის ღირებულება;
გ) გრძელვადიანი ობლიგაციები;
დ) აქციები.

მაგალითი 8.1

2006 წელს მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა საქართველოდან აზერბაიჯანში 50,6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გააკეთეთ შესაბამისი გატარებები.

ამოხსნა:

მლნ დოლარი

საქონელი	-50.6
უცხოური ვალუტა	50.6
საერთო სალდო	0

მაგალითი 8.2

საქართველოს რეზიდენტებმა აშშ-დან მიიღეს 100 000 აშშ დოლარის ღირებულების საქონელი საჩუქრად. გააკეთეთ შესაბამისი გატარებები.

ამოხსნა:

საქონელი	-100 000
ტრანსფერები	100 000
საერთო სალდო	0

მაგალითი 8.3

იაპონელმა ტურისტებმა საქართველოში მოგზაურობისას დახარჯეს 15 000 ერთეული საქართველოს ეროვნულ ვალუტაში. გააკეთეთ შესაბამისი გატარებები.

ამოხსნა:

	კრედიტი	დებეტი
ტურიზმი	15 000	
ეროვნული ბანკის უცხოური ვალდებულებები		15 000

მაგალითი 8.4

ქართველმა ტურისტებმა დახარჯეს: 50 000 ფულადი ერთეული ავიაკომპანია „სქაი ჯორჯიას" ბილეთების შესაძენად, 24 000 „ეარ ბალტიკის" ბილეთების შესაძენად, 55 000 გადაუხადეს უკრაინის სანაოსნოს გემის ბილეთების შესაძენად, 2 800 კი დახარჯეს გემის ბორტზე. გააკეთეთ შესაბამისი გატარებები.

ამოხსნა:

	კრედიტი	დებეტი
საჰაერო სატრანსპორტო მომსახურება		24 000
საზღვაო სატრანსპორტო მომსახურება		55 000
სხვა მომსახურება		2 800
უცხოური აქტივები	81 800	

ამოცანა 8.5

გერმანიის საელჩოში დასაქმებულმა საქართველოს რეზიდენტებმა ხელფასის სახით მიიღეს 8 000 ფულადი ერთეული და განათავსეს ᲗᲘᲑᲘᲡᲘ ბანკის დეპოზიტებზე.

გააკეთეთ შესაბამისი გატარებები.

ამოცანა 8.6

საქართველომ ჰუმანიტარული დახმარების სახით ერაყს გაუგზავნა სასმელი წყალი, რომლის ღირებულება შეადგენს 16 000 ერთეულს.

გააკეთეთ შესაბამისი გატარებები.

ამოცანა 8.7

საქართველოს რეზიდენტებმა ლონდონის საფონდო ბირჟაზე შეიძინეს 30 000 ერთეულის ღირებულების ჩვეულებრივი აქციები. ამ ოპერაციისათვის მათ ჩარიცხეს უცხოური ვალუტა (აშშ დოლარი) საქართველოს ბანკში.

გააკეთეთ შესაბამისი გატარებები.

ამოცანა 8.8

საქართველოს ავიაკომპანია "სქაი ჯორჯიამ' მგზავრთა საერთაშორისო მომსახურებისათვის მიიღო 60 000 ერთეული. აქედან 20 000 ერთეული რეზიდენტებისაგან, 25 000 მიიღო ტვირთის გადაზიდვისათვის, რიგის აეროპორტში მომსახურებისათვის გადაიხადა 12 000, ხოლო სანვავზე — 13 000.

გააკეთეთ შესაბამისი გატარებები.

ამოცანა 8.9

საქართველოს რეზიდენტებმა უკრაინიდან შემოიტანეს 50 000 ერთეულის ღირებულების კარაქი, რისთვისაც ექსპორტიორ ქვეყანას გადაუხადეს უცხოური ვალუტა საზღვარგარეთ რესპუბლიკა ბანკის ანგარიშიდან.

გააკეთეთ შესაბამისი გატარებები.

9 თავი დარგთაშორისი კავშირების ანალიზი ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში

დარგთაშორისი ბალანსის ცნება, მიზანი და ინფორმაციული საფუძვლები. დარგთაშორისი ბალანსის ზოგადი სქემა. საბაზისო ცხრილების მაჩვენებლების გაანგარიშება. დარგთაშორისი ბალანსის სახეები. დარგთაშორისი ბალანსების გამოყენების ძირითადი მიმართულებები.

დარგთაშორისი ბალანსი (დბ) თანამედროვე ეას-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განყოფილებაა. დასავლურ ლიტერატურაში ამ მოდელს დანახარჯებისა და გამოშვების ცხრილები ეწოდება. ამ ცხრილების აგებამ მნიშვნელოვანი გავრცელება პოვა. ისინი გამოიყენება საქონლისა და მომსახურების, ნარმოების, შემოსავლების ფორმირებისა და გამოყენების, კაპიტალის ოპერაციების ანგარიშების დეზაგრეგირებისათვის (დეტალიზებისათვის).

დარგთაშორისი ბალანსი ასახავს ეკონომიკის თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე პროცესებს, იძლევა ძირითადი ეკონომიკური პროპორციების გამოვლენის, ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული ძვრებისა და ფასნარმოქმნის თავისებურებების შესწავლის, ეკონომიკის დარგებს შორის ურთიერთკავშირის ანალიზის საშუალებას.

დარგთაშორისი ბალანსი (ცხრილები „გამოშვება — დანახარჯები") პირველად აგებულ იქნა გასული საუკუნის 40-იან წლებში ამერიკელი ეკონომისტის ვ. ლეონტიევის მიერ, რომელმაც შემოგვთავაზა დარგთაშორისი კავშირების ანალიზისათვის კვლევის მათემატიკური მეთოდების, კერძოდ, ნრფივი ალგებრის გამოყენება.

დარგთაშორისი ბალანსისა და ეას-ის ინტეგრირება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა. პირველად ეს ინტეგრაცია დასაბუთებულ იქნა ბაეროს მიერ 1968 წელს მიღებულ ეას-ში, შემდგომ ეას-ის 1993 წლის მესამე ვარიანტში.

დარგთაშორისი ბალანსის ცნება, მიზანი და ინფორმაციული საფუძვლები

დარგთაშორისი ბალანსი არსებითად არ არის საბალანსო ცხრილი, რამდენადაც იგი, ჭეშმარიტი საბალანსო ცხრილისგან განსხვავებით, რესურსების ნაკადების სიდიდეს ასახავს და მარაგების სიდიდეს ახასიათებს.

დარგთაშორისი ბალანსის შედგენის მიზანს წარმოადგენს ეკონომიკის დარგებს შორის ურთიერთკავშირის ანალიზი.

ეკონომიკის დარგებს შორის ურთიერთკავშირი წარმოიშობა საკუთარი პროდუქციის რეალიზაციისა და აუცილებელი საქონლისა და მომსახურების შესყიდვის პროცესში. აქ შედის ნახევარფაბრიკატები და შუალედური პროდუქტები, რომლებიც საერთოდ არ განიხილება ეას-ის სხვა განყოფილებებში.

ზოგადად, დარგთაშორისი ბალანსი წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების დეზაგრეგირებულ ანგარიშს. ის აკონკრეტებს წარმოების, პირველადი შემოსავლების ფორმირებისა და განაწილების, შემოსავლების გამოყენებისა და კაპიტალის ოპერაციების ანგარიშებს.

დარგთაშორისი ბალანსის შესადგენად ინფორმაციის წყარო ყოფილ საბჭოთა კავშირში 1987 წლამდე კომბინირებული ერთდროული გამოკვლევა იყო. კერძოდ, მრენველობასა და მშენებლობაში საწარმოების სრული გამოკვლევა, ტრანსპორტში შესაბამისი სამინისტროების მონაცემები, სხვა დარგებში – საწარმოებისა და ორგანიზაციების 10%-იანი გამოკვლევები.

დარგთაშორისი ბალანსის გაანგარიშების ინფორმაციული უზრუნველყოფის საფუძველია:

- ეკონომიკის ყველა დარგის სამეურნეო სუბიექტების ეკონომიკური საქმიანობის შედეგების ერთდროული შერჩევითი გამოკვლევა დარგთაშორისი ბალანსის შესადგენად საჭირო ინფორმაციის მოზიდვის მიზნით, რომელიც არ მოიპოვება მოქმედ სტატისტიკურ და საბუღალტრო ანგარიშგებაში. ასეთი გამოკვლევების მონაცემები დარგთაშორის ბალანსში საშუალებას იძლევა წარმოებაზე დანახარჯების საერთო სიდიდე საქმიანობის სახეების მიხედვით განაწილდეს;
- ეას-ის წარმოების, შემოსავლების ფორმირების, გამოყენების, კაპიტალის ოპერაციების ანგარიშების მონაცემები;
- რეგულარული სტატისტიკური ანგარიშგება;
- ანგარიში კონსოლიდირებული ბიუჯეტის შესრულებაზე;
- საგადასახადო სამსახურების მონაცემები;
- ინფორმაციის ცალკეული ბლოკები სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებების ანგარიშგებიდან.

დარგთაშორისი ბალანსის ზოგადი სქემა შედგება ოთხი კვადრანტისაგან. იმის მიხედვით, თუ როგორ აღვიქვამთ საწარმოო კავშირებს, პირველადი დანახარჯებისა და საბოლოო მოხმარების სექტორებს, ასხვავებენ დარგთაშორისი ბალანსის **დახურულ** და **ღია მოდელს**.

დახურული მოდელი გულისხმობს ამ სექტორებს შორის ფუნქციური კავშირის არსებობას, ე.ი. პირველადი დანახარჯებისა და საბოლოო მოხმარების კატეგორიებს განიხილავს, როგორც ენდოგენურს. ისინი განსაზღვრავენ შესაბამისი ნაკადების იგივეობას, რომლებიც გვხვდება დარგთაშორისი ბალანსის IV კვადრანტში. მაგრამ IV კვადრანტის მაჩვენებლების ინტერპრეტაცია ძალიან რთულია, ვინაიდან რეალური ურთიერთკავშირი საბოლოო მოხმარების სფეროში არსებითად უფრო რთულია, ვიდრე შუალედური მოხმარების სფეროში. მაგალითად, ექსპორტირებული საქონელი არ ნარმოიქმნება იმპორტირებულის ხარჯზე, ამიტომ პრაქტიკაში იყენებენ დარგთაშორისი ბალანსის **ღია მოდელს**.

დარგთაშორისი ბალანსის **ღია მოდელში** შუალედური მოხმარების სფეროში ღია ნრებრუნვის დახასიათება ხდება IV კვადრანტის შეუვსებლად, ხოლო პირველადი დანახარჯებისა და საბოლოო მოხმარების კატეგორიები დამოუკიდებლად, ეგზოგენურად ითვლება.

განვიხილოთ დარგთაშორისი ბალანსის ზოგადი სქემა, რომელიც ეას-ის მეთოდოლოგიის მიხედვით დარგთაშორისი კავშირების ღია მოდელს წარმოადგენს.

დარგთაშორისი ბალანსის ზოგადი სქემა

შუალედური მოხმარების მატრიცა ეკონომიკის დარგის დანახარჯები პროდუქციის ნარმოებაზე I კვადრანტი X_{ij}	საბოლოო მოთხოვნის მატრიცა დარგების პროდუქციის გამოყენება საბოლოო მოხმარებისათვის. მთლიანი დაგროვება და ექსპორტი II კვადრანტი Y_i	სულ გამოყენებულია
პირველადი დანახარჯების მატრიცა მთლიანი და დამატებული ღირებულების ელემენტები და იმპორტის ღირებულება III კვადრანტი Z_j	ღია მოდელში არ იკვეთება IV კვადრანტი	
სულ რესურსები		

დარგთაშორისი ბალანსის სტრიქონებში მოცემულია ეკონომიკის დარგში პროდუქციის მიწოდების სტრუქტურა, ე.ი. გამოშვებული პროდუქციის ნატურალურ-ნივთობრივი სტრუქტურა, სვეტები აღწერენ წარმოების აუცილებელი ფაქტორების შესაძენად დანახარჯების სტრუქტურას, ე.ი. გამოშვების ღირებულებით სტრუქტურას. აღსანიშნავია, რომ ფულად დარგთაშორის ბალანსში, ისე როგორც ეას-ის საქონლისა და მომსახურების ანგარიშში, ფასები მხოლოდ არაერთგვაროვანი პროდუქტების მოცულობის თანაზომადობის საშუალებაა.

ეკონომიკის ყველა დარგის პროდუქციის რესურსი იმ რაოდენობის ტოლი უნდა იყოს, რაც საჭიროა მათი მოხმარებისა და დაგროვებისათვს. ამასთან, წარმოებისა და იმპორტის მოცულობა ფასდება საწარმოთა სტატისტიკისა და საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემებით, დიფერენცირების მაღალი ხარისხით (განიხილება საქონლისა და მომსახურების დაახლოებით 3000 სახე).

დარგთაშორისი ბალანსის ცენტრალური მატრიცა (I კვადრანტი) ახასიათებს საქონლის ნარმოებასა და მომსახურებას ქვეყნის შიგნით, ერთი მხრივ, და მათ გამოყენებას ამავე საწარმოს საჭიროებისათვის, მეორე მხრივ, საანგარიში პერიოდში. ეკონომიკის t დარგებში n სახის პროდუქციის საწარმოებლად დარგთაშორისი ბალანსის I კვადრანტს შეესაბამება (n*m) ზომის მატრიცა.

გაეროს მიერ შემუშავებულ ეას-ში (როგორც მაკროეკონომიკური კავშირების სფეროში საერთაშორისო სტანდარტში) დარგთაშორისი კავშირების ანალიზისათვის რეკომენდებულია დარგთაშორისი ბალანსის ორი ურთიერთშემავსებელი საბაზისო ცხრილის გამოყენება. ის წარმოადგენს კლასიფიკაციის შერეულ სქემას: ეკონომიკის დარგებისა (ცხრილის სვეტები) და ერთგვაროვანი სასაქონლო ჯგუფების (ცხრილის სტრიქონები) მიხედვით.

პირველ შემთხვევაში კლასიფიკაციის ერთეულად გვევლინება დაწესებულება (დანესებულებების ერთობლიობა, რომლებიც ანარმოებენ შედარებით ერთგვაროვან პროდუქციას და ერთ ადგილზე მდებარეობენ), ხოლო დარგთაშორისი ბალანსის სქემა აღწერს ეკონომიკის ორგანიზაციულ სტრუქტურას სამეურნეო დარგების თვალსაზრისით, ე.ი ეკონომიკური აგენტების საბაზრო კავშირებს.

„სამეურნეო" დარგები, ძირითადი პროდუქციის გარდა, აწარმოებენ აგრეთვე მეორეული პროდუქციის გარკვეულ რაოდენობას.

მაგალითად, „სამეურნეო" დარგი „სოფლის მეურნეობა", სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გარდა, შეიძლება აწარმოებდეს უმნიშვნელო ოდენობის სამრეწველო პროდუქციას.

მეორე შემთხვევაში განიხილება სასაქონლო ნაკადები (დაჯგუფებული „წმინდა" დარგების მიხედვით), რომლებიც წარმოადგენენ ერთგვაროვანი

საქონლის ჯგუფებს, იმის მიუხედავად, თუ რომელ „სამეურნო" დარგში არიან ისინი ნარმოებული, ხოლო დარგთაშორისი ბალანსის სქემა ახასიათებს ეკონომიკის ტექნოლოგიურ სტრუქტურას **წმინდა დარგების** თვალსაზრისით, ე.ი. ეკონომიკური აგენტების საწარმოო კავშირებს.

მაგალითად „წმინდა" დარგი „სოფლის მეურნეობა" მოიცავს სოფლის მეურნეობაში წარმოებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს, ანუ პროდუქტებს როგორც ძირითადი პროდუქციის სახით, ასევე ეკონომიკის სხვა დარგში ნარმოებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს მეორეული პროდუქციის სახით.

დარგთაშორისი კავშირის მაჩვენებლების გაანგარიშების ადეკვატურობას დარგის ერთგვაროვნება განსაზღვრავს, ამიტომ თეორიულად უფრო სწორი იქნება დარგთაშორისი ბალანსის დამუშავება **წმინდა დარგების** ჭრილში. ამ შემთხვევაში გაანგარიშების გზით მიღებული პირდაპირი და მთლიანი დანახარჯები უფრო სტაბილურია, რამდენადაც ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებული საწარმოო ფუნქციასთან, თუმცა პრაქტიკაში არაპროფილურ პროდუქციაზე დანახარჯების სტრუქტურის მონაცემების მიღების პრობლემა მნიშვნელოვნად ამცირებს ასეთი ანალიზის შედეგებს.

საბაზისო ცხრილების მაჩვენებლების გაანგარიშება

მსოფლიო სტატისტიკურ პრაქტიკაში საბაზისო ცხრილების მაჩვენებლების გაანგარიშებისათვის გამოიყენება ორი მეთოდი. საბაზისო ცხრილის **დანახარჯების მეთოდის** მიხედვით შედგენისას, ე.ი. შუალედური მოხმარების სტრუქტურის მონაცემებისა და სამეურნეო დარგების მთლიანი დამატებული ღირებულების ელემენტების საფუძველზე, მივიღებთ **დანახარჯების ცხრილს**, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ, თუ როგორ ნაწილდება პროდუქტების ყველა დანახარჯი სამეურნეო დარგების მიხედვით.

ცხრილი 9. 1

X_{ij} – i დარგის პროდუქტის გამოყენების მოცულობა j დარგის პროდუქციის საწარმოებლად (მატრიცა n * m).	ვექტორები - სვეტები Y_i ცალკეული მიმართულების მიხედვით საბოლოო გამოყენების მოცულობა (საქონლისა და მომსახურების ანგარიშთან შეკავშირებული)	ჯამური ვექტორი – სვეტი X_i – i დარგის პროდუქციის გამოყენების მთლიანი მოცულობა
ჯამური ვექტორი – სტრიქონი X_j – j დარგში შუალედური მოხმარების მთლიანი მოცულობა		
ვექტორი – სტრიქონი Z_j j დარგის მთლიანი დამატებული ღირებულების კომპონენტები (შემოსავლების ფორმირების ანგარიშთან შეკავშირებული)		
ჯამური ვექტორი – სტრიქონი G_j – j დარგში მთლიანი გამოშვება		

სამეურნეო დარგთა მეშველი და დამხმარე საქმიანობის სახეების გამოშვებისა და დანახარჯების გადაჯგუფებით მიიღება დარგთაშორისი ბალანსის **გადასაყვანი მოდელი,** რომელიც ასახავს ერთგვაროვანი სასაქონლო ჯგუფების დანახარჯების სტრუქტურას. დარგთაშორისი ბალანსის გადასაყვანი მოდელის გაანგარიშებას საფუძვლად უდევს ჰიპოთეზა პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიის შესახებ. ამ ჰიპოთეზის მიხედვით, ერთი და იმავე პროდუქციის საწარმოებლად გამოიყენება ერთი და იგივე ტექნოლოგია, რომელიც მოითხოვს დანახარჯების განსაზღვრულ სტრუქტურას, მიუხედავად იმისა, თუ რომელი დარგის საწარმო უშვებს ამ პროდუქტს. I კვადრანტის ელემენტების გასაანგარიშებლად დარგთაშორისი ბალანსის გადასაყვან მოდელში გამოიყენება ალგებრული მატრიცის მეთოდი — წმინდა დარგის შუალედური მოხმარება წარმოადგენს სამეურნეო სუბიექტის შუალედური მოხმარების ვექტორ-სტრიქონის ნამრავლს გამოშვების შებრუნებულ მატრიცაზე.

გამოშვების მეთოდის გამოყენების შემთხვევაში ხდება **სასაქონლო ნაკადების ცხრილების, ანუ გამოშვების ცხრილების** შედგენა (ცხრილი 9.2). ამ შემთხვევაში გადასაყვანი მოდელის გამოყენება არ არის საჭირო.

გამოშვების ცხრილი

ცხრილი 9 2.

სასაქონლო ნაკადების ცხრილი — გამოშვების სტრუქტურის მატრიცა. G_j – j-იურ დარგში გამოყენებული, i-ური პროდუქტის ღირებულება, მათ შორის, იმპორტირებული პროდუქტები (ავსებს იმპორტს – ცალკე სტრიქონით. იმპორტი – შიდა წარმოებასთან ერთად).	ვექტორი-სვეტი მოცულობისა, რომელიც ავსებს იმპორტს (საქონლისა და მომსახურების ანგარიშთან შეკავშირებული) - „მინუს" ნიშნით.	ვექტორები –სვეტები Y_i — ცალკეული მიმართულებით საბოლოო გამოყენების მოცულობა (შეკავშირებული საქონლისა და მომსახურების ანგარიშთან)	ჯამური ვექტორი სვეტი X_i - i პროდუქტის ერთობლივი გამოყენების საერთო მოცულობა
ჯამური ვექტორი –სტრიქონი G_j -j-იურ დარგში მთლიანი გამოშვება			

პირველადი დანახარჯების მატრიცა და საბოლოო მოხმარების მატრიცა (II კვადრანტი და III კვადრანტი) დაკავშირებულია ეას-ის შესაბამის აგრეგატებთან. ამასთანავე, თითოეული მათი სტრიქონი დამხმარე კლასიფიკაციის გამოყენებით შეიძლება წარმოდგენილ იქნეს დამოუკიდებელი მატრიცის სახით, რაც უზრუნველყოფს დამატებით ანალიტიკურ შესაძლებლობებს. მაგალითად, ქვეყნების მიხედვით ექსპორტის (იმპორტის) დაჯგუფებით შეიძლება გამოვიკვლიოთ ურთიერთკავშირი ექსპორტის (იმპორტის) ნაკადის ცვლილებასა და ეროვნული პროდუქტის ცვლილებას შორის.

პრაქტიკაში აგრეთვე გამოიყენება ინვესტიციების (ინვესტორების ჯგუფის მიხედვით) დაჯგუფება, პირადი მოხმარების (შინამეურნეობის, სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით), სამუშაო ძალისა და სამუშაო დროის (ეკონომიკის დარგებისა და სექტორების მიხედვით) მიხედვით. დამატებითი დაჯგუფებების გამოყენებას მივყავართ დარგთაშორისი ბალანსის **დინამიკური მოდელის** დამუშავებამდე (სტატიკური მოდელისგან განსხვავებით).

დანახარჯების ცხრილის მოცულობითი მაჩვენებლების საფუძველზე ფასდება სტრუქტურის შეფარდებითი სიდიდეები — გამოშვების განაწილების კოეფიციენტი (სტრიქონების მიხედვით) და დანახარჯების კოეფიციენტი (სვეტების მიხედვით), აგრეთვე კოორდინაციის კოეფიციენტები.

გამოშვების განაწილების კოეფიციენტი გვიჩვენებს ეკონომიკის დარგებში პროდუქციის გამოყენების სტრუქტურას, მათ შორის შუალედური და საბოლოო მოხმარების, მთლიანი დაგროვების თანაფარდობის თვალსაზრისით და ა.შ.

დანახარჯების კოეფიციენტებს a_{ij}, გაანგარიშებულს ცენტრალური მატრიცის საფუძველზე, უწოდებენ **პირდაპირი დანახარჯების კოეფიციენტებს,** ისინი გვიჩვენებენ i-ური დარგის რამდენი ერთეული პროდუქტი დასჭირდა j-ურ დარგს ერთეული პროდუქტის სანარმოებლად:

$$a_{ij} = \frac{X_{ij}}{X_j}.$$

პირდაპირი დანახარჯების კოეფიციენტების მატრიცა საფუძვლად უდევს ნარმოების მოდელირებასა და ფასწარმოქმნას. ის საშუალებას გვაძლევს პროდუქტის მთლიანი გამოშვების მოცულობა და სტრუქტურა აღვწეროთ წრფივ განტოლებათა სისტემის გამოყენებით:

$$X_j = \sum_{i=1,n} a_{ij} * X_{ij} + Y_j.$$

ან მატრიცის სახით მივიღებთ:

$$X = A * X + Y, \qquad (1)$$

აქედან გამომდინარე:

$$Y = (E - A) * X, \qquad (2)$$

ან

$$X = (E - A)^{-1} * Y. \qquad (3)$$

სადაც E ერთეულოვანი მატრიცაა, ხოლო $(E - A)^{-1} = \Psi$ — მთლიანი დანახარჯების კოეფიციენტების მატრიცა.

ამ მატრიცის ფორმა დაგეგმვის თანმიმდევრობას განსაზღვრავს. მაგალითად, თუ მთლიანი დანახარჯების კოეფიციენტების მატრიცა დიაგონალურია, მაშინ მოცემული საბოლოო მოხმარებისათვის ნარმოების აუცილებელი მოცულობა ცალკეულ დარგებში შეიძლება დაგეგმილ იქნეს სხვა დარგებისგან დამოუკიდებლად, ხოლო სამკუთხა მატრიცის დროს უფრო დაწერილებითი გეგმები განისაზღვრება ძირითადი გეგმის შემდეგ, იერარქიული თანმიმდევრობით.

ნებისმიერ შემთხვევაში ელემენტი Ψ_{ij} გვიჩვენებს, i-ური პროდუქტის რამდენი ერთეულია დამატებით საჭირო j-ური პროდუქტის ერთ ერთეულზე საბოლოო მოხმარების გასადიდებლად, რადგან თუ $Y_j(t+1) = Y_j(t) + 1$, მაშინ $X_j(t+1) = X_j(t) + \Psi_{ij}$.

განტოლება (3) დარგთაშორისი ბალანსის ძირითადი განტოლებაა, ვინაიდან ის გამოიყენება საწარმოო ფაქტორებზე (ყველა ერთად ან ცალცალკე) მოთხოვნილების მოდელირებისათვის, პროგნოზირებადი საბოლოო მოხმარების სიდიდეზე დამოკიდებულებით.

ცალკე აღებულ ფაქტორზე (დასაქმება, კაპიტალი, იმპორტი, ენერგეტიკული რესურსები და ა.შ.) მოთხოვნილების შესაფასებლად დარგთაშორისი ბალანსის ძირითად განტოლებებში შეიყვანება დამატებითი მამრავლი შესაბამისი რესურსის დანახარჯთა კოეფიციენტების დიაგონალური მატრიცის სახით K^*:

$$X_j = K^* * \left(E - A^{-1}\right) * Y .$$

მთლიანი დანახარჯების კოეფიციენტები გვიჩვენებს ყველა პროდუქტზე მოთხოვნის მულტიპლიკაციურ ცვლილებას საბოლოო მოთხოვნის ცვლილებისას, ე.ი. პირდაპირი დანახარჯების კოეფიციენტისგან განსხვავებით, მხედველობაში მიიღება ყველა წარმოქმნილი არაპირდაპირი მოთხოვნაც.

დარგთაშორისი ბალანსის მაჩვენებლების გამოყენებით შეგვიძლია შევაფასოთ მთლიანი გამოშვებისა და მისი შემადგენელი ნაწილების მოცულობა, დავახასიათოთ წარმოების სტრუქტურა და ეფექტიანობა, აგრეთვე ამ მაჩვენებლების ცვლილება, როდესაც იცვლება წარმოების ფაქტორის ღირებულება, ერთი მხრივ, და წარმოების ფაქტორებზე მოთხოვნილება მთლიანი შიდა პროდუქტის მოცემული სიდიდისათვის, მეორე მხრივ.

მთლიანობაში დარგთაშორისი ბალანსის სქემა და მაჩვენებლები მკაცრად არის კოორდინირებული ეას-ის ძირითადი ანგარიშების აგების ნესებთან და მაჩვენებლებთან.

მთლიანი შიდა პროდუქტი = $\sum_{ij} z_{ij}$.

მთლიანი შიდა პროდუქტი = $\sum G_j - \sum a_{ij} * x_{ij}$.

ეას-ის 1993 წლის მოთხოვნების შესაბამისად დაშვებულია დარგთაშორისი ბალანსის აგება შეფასების სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით:

- ძირითად ფასებში;
- მწარმოებელთა ფასებში;
- მყიდველთა ფასებში.

ამასთანავე, დარგთაშორისი ბალანსის მაჩვენებლების ეკონომიკურ შინაარსს განსაზღვრავს განსხვავებები ფასების სტრუქტურაში. ამიტომ დარგთაშორისი ბალანსის მონაცემების მიხედვით მთლიანი შიდა პროდუქტის გასაანგარიშებლად შუალედურ პროდუქტებზე წმინდა გადასახადი ძირითად ფასებში მიიღება I კვადრანტის სტრიქონში, ხოლო წმინდა გადასახადი საბოლოო პროდუქტზე – II კვადრანტში. დარგთაშორისი ბალანსის მონაცემების მიხედვით მთლიანი შიდა პროდუქტის გასაანგარიშებლად **მწარმოებლის ფასებში** პროდუქტებზე წმინდა გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადისა და აქციზების გარდა მიიღება III კვადრანტის სტრიქონში, ხოლო დღგ და აქციზები – II კვადრანტში. დარგთაშორისი ბალ-

ანსის მონაცემების მიხედვით მთლიანი შიდა პროდუქტის გასაანგარიშებლად მყიდველთა ფასებში პროდუქტებზე წმინდა გადასახადები შეიძლება მთლიანად მივიღოთ III კვადრანტის ცალკეულ სტრიქონში.

იმისათვის, რათა მივიღოთ შესაბამისობა საქონლისა და მომსახურების ძირითად ფასებში გამოშვებასა და მათ მყიდველთა ფასებში გამოყენებას შორის, დარგთაშორის ბალანსში შეიტანება ფასდანამატის მაკორექტირებელი სვეტები, წმინდა გადასახადები პროდუქტსა და იმპორტზე.

ფასდანამატები და იმპორტი, რომლებიც მოცემულია დარგთაშორის ბალანსში, შეესაბამება საქონლისა და მომსახურების რესურსების ცხრილის ანალოგიურ მაჩვენებლებს, ხოლო პროდუქტზე გადასახადები ამ ცხრილის შესაბამისი მაჩვენებლებისგან იმით განსხვავდება, რომ ადგილი აქვს დამატებული ღირებულების გადასახადების სხვადასხვანაირ აღრიცხვას წარმოებასა და გამოყენებაში.

ეას-ში არსებობს დამატებული ღირებულების გადასახადების გამოსახვის ორი ალტერნატიული მეთოდი – მთლიან და წმინდა საფუძველზე. მთლიანი მეთოდის დროს მყიდველი და გამყიდველი ასახავენ ერთი და იმავე ფასს, იმისდა მიუხედავად, შეუძლია მყიდველს შემდგომში გამორიცხოს დამატებული ღირებულების გადასახადი თუ არა. თუ უპირატესობა ენიჭება მეორე მეთოდს, რომლის დროსაც გადასახადი დამატებულ ღირებულებაზე გამოისახება წმინდა საფუძველზე, მაშინ მწარმოებლების გამოშვება საბაზრო ფასებში მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს, რომელიც ბიუჯეტშია გადასახდელი, ხოლო გამოყენებული რესურსი, რომელიც საბოლოო მომხმარებლისა და მენარმეების მიერ არის გადასახდელი, გამოისახება დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადების გათვალისწინებით.

ამასთან დაკავშირებით, ბიუჯეტში მნარმოებლების დამატებული ღირებულების გადასახადის და საბოლოო გამოყენების გათვალისწინებით, დამატებული ღირებულების გადასახადის საერთო ჯამის ტოლობის მიუხედავად, საქონლისა და მომსახურების ცალკეული ჯგუფების მიხედვით წარმოიშობა სხვაობა.

დარგთაშორისი ბალანსის სქემაში შეტანილი მაკორექტირებელი მუხლების განყოფილებაში, გამოყენებული და წარმოებული რესურსების შეფასებაში შეუსაბამობის ასაცილებლად, უჩვენებენ დამატებული ღირებულების გადასახადს, რომელიც აღრიცხულია გამოყენებულ რესურსებში. მისი სიდიდე საქონლისა და მომსახურების ჯგუფების მიხედვით განისაზღვრება ორი ეტაპისაგან შემდგარი დამატებული ღირებულების გადასახადის მატრიცის გაანგარიშების შედეგად.

პირველ ეტაპზე დარგთაშორისი ბალანსის I და II კვადრანტის მაჩვენებლებიდან ფორმირდება დამატებული ღირებულების გადასახადთან დაკავშირებული პროდუქციის მატრიცა.

შუალედურ მოხმარებაში შეტანილია დამატებული ღირებულების გადასახადის ჯამი, რომელიც გადახდილია მიმწოდებლებისთვის საქონელზე (სამუშაო, მომსახურება) და გამოყენებულია იმ პროდუქციის წარმოებისათვის, რომელიც არ იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით.

იმისათვის, რომ განისაზღვროს წარმოების დანახარჯებში ჩამონერილი დღგ, ყოველი დარგის გამოშვებაში განსაზღვრავენ იმ პროდუქციის წილს, რომელიც გათავისუფლებულია დღგ-საგან.

დარგთაშორის ბალანსში დამატებული ღირებულების გადასახადით დაუბეგრავი პროდუქციის ხვედრითი წილი (l_j) გაინგარიშება ფორმულით:

$$l_j = \frac{NT_j - NF_j}{NT_j},$$

სადაც NT_j j-ური სახის პროდუქციაზე თეორიულად დარიცხული დღგ.

NF_j - j-ური სახის პროდუქციაზე ფაქტობრივად დარიცხული დღგ-ია.

იმისათვის, რომ გავიანგარიშოთ დამატებული ღირებულების გადასახადი, რომელიც ფაქტობრივად დარიცხულია წლიური ნაერთი საბუღალტრო ბალანსის მონაცემებით, განისაზღვრება აღნიშნული მაჩვენებლის საშუალო განაკვეთი (St):

$$St_i = \frac{NNbb_i}{Pbb_i},$$

სადაც $NNbb_i$ არის დარგის i-ური სახის პროდუქციაზე წლიური საბუღალტრო ბალანსის მონაცემებით დარიცხული თანხა დამატებული ღირებულების გადასახადზე.

Pbb_i i-ური დარგის პროდუქტიდან მიღებული ამონაგები წლიური საბუღალტრო ბალანსის მონაცემებით, აქციზის გამოკლებით.

მიღებული განაკვეთები მრავლდება j-ური სახის პროდუქციის რეალიზაციის მოცულობაზე.

თეორიულად დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი გაიანგარიშება დარიცხვას დაქვემდებარებული ბრუნვის გამრავლებით დღგ-ის განაკვეთზე -- დღგ-ის განაკვეთი შეადგენს დასაბეგრი ბრუნვის ან დასაბეგრი იმპორტის თანხის 18 პროცენტს.

დარიცხვას დაქვემდებარებული ბრუნვის დასადგენად რეალიზაციის მოცულობას (აქციზების გათვალისწინებით) გამოაკლდება იმ საქონლისა და მომსახურების ღირებულება, რომელიც ექსპორტირებულია და კანონის შესაბამისად, გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით დღგ-ისაგან გათავისუფლებულია საქონლის/მომსახურების მიწოდებისა ან/და იმპორტის შემდეგი სახეები:

ა) ფინანსური მომსახურების გაწევა;

ბ) ეროვნული და უცხოური ვალუტისა (გარდა ნუმიზმატიკური მიზნებით გამოსაყენებლად გათვალისწინებულის) და ფასიანი ქაღალდების მიწოდება ან/და იმპორტი;

გ) საქართველოს ეროვნული ბანკისათვის გადასაცემი ოქროს იმპორტი;

დ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აქციზური მარკების მიწოდება ან/და იმპორტი;

ე) განძეულობის, ჩამორთმეული ან/და უპატრონო საქონლის, აგრეთვე სახელმწიფოსათვის მემკვიდრეობით მიღებული საქონლის მიწოდება ან/და იმპორტი, რომელთა რეალიზაციით მიღებული შემოსავალები შეიტანება ბიუჯეტში;

ვ) სახელმწიფო ქონების მიწოდება პრივატიზაციის პროგრამის მიხედვით;

ზ) სტიქიური უბედურების, ავარიისა და კატასტროფის ლიკვიდაციის, ჰუმანიტარული დახმარების მიზნით საქონლის იმპორტი გრანტის გამცემი ან მიმღები პირის მიერ;

თ) ფიზიკურ პირთა მიერ საქონლის იმპორტი იმ ლიმიტზე ნაკლები ოდენობით, რომელიც დადგენილია საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლებისათვის;

ი) ,,ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად განკუთვნილი მოწყობილობა დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, საყოფაცხოვრებო ნაწილებისა და მასალების იმპორტი;

კ) საქართველოს საპატრიარქოს მიერ ჯვრის, სანთლის, ხატის, წიგნის, კალენდრისა და სხვა საგნების მიწოდება, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ რელიგიური მიზნით;

ლ) საქონლის ტრანზიტი, რეიმპორტი და დროებით შემოტანა;

მ) რეექსპორტისათვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი;

ნ) საექსპორტო პროდუქციის დასამზადებლად განკუთვნილი ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების, აგრეთვე ტარა-შესაფუთი მასალის იმპორტი ფაქტობრივად ექსპორტირებული მზა პროდუქციის მოცულობის ფარგლებში;

ო) საქართველოს არარეზიდენტების მიერ დაფუძნებული იმ სანაოსნო (გემთმფლობელი) საწარმოების მიერ სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე არ ეწევიან სამენარმეო საქმიანობას და რომელთა გემიც (გემებიც) დაცურავს საქართველოს სახელმწიფო ალმით;

პ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 0102 10, 0103 10 000, 0104 10 100, 0104 20 100, 0511 10 000, 0602 10, 2503 00, 2803 00, 3101 00 000, 3103, 3104, 3105, 3808 10, 3808 20 (გარდა 3808 20 100-ისა), 3808 30 კოდებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი, აგრეთვე ამ საქონლის მიწოდება;

ჟ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 0602 90 100, 0713 31 100, 0713 32 100, 0713 33 100, 0713 39 100, 1001 90 910, 1003 00 100, 1206 00, 1209 2, 1209 23, 1209 91, 2833 25 000, 3808 20 100 კოდებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ყოველწლიური კვოტების მიხედვით, აგრეთვე ამ საქონლის მიწოდება;

რ) სახელმწიფო რეგულირებადი ფასებითა და ტარიფებით საქალაქო და შიგარაიონულ მარშრუტებზე სამგზავრო ტრანსპორტით (გარდა ტაქსისა) მომსახურება;

ს) საგანმანათლებლო დანესებულებათა მიერ გაწეული განათლების მომსახურება, სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის გამოთვლითი ტექნიკის, ხელსაწყო-დანადგარებისა და ქიმიური რეაქტივების იმპორტი;

ტ) დაკრძალვასთან დაკავშირებული რიტუალური (მათ შორის, ავტოტრანსპორტით) მომსახურება;

უ) სამედიცინო მომსახურება, უპატრონო ბავშვთა სახლებში ბავშვთა მოვლა- პატრონობის, ავადმყოფთა, ინვალიდთა ან/და ღრმად მოხუცებულთა მოვლა-პატრონობის მომსახურება ან/და ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებები;

ფ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 4901,4902, 4903 00 000 და 4904 00 000 კოდებში მითითებული საქონლის (წიგნების, ჟურნალ-გაზეთების) მიწოდება, იმპორტი, რეალიზაციის მომსახურების, ბეჭდვის მომსახურების ან/და ჟურნალ-გაზეთების მიერ სარეკლამო მომსახურების გაწევა;
საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 4820 20 000 კოდში მითითებული საქონლის (რვეულების) მინოდება. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 4801 00, 4802 52 200 ან/და 4810 21 000 კოდებში მითითებული საქონლის იმპორტი;

ქ) 16 ნლამდე ასაკის ბავშვებისა და მოზარდების სახელოვნებო და სასპორტო სწავლების მომსახურება, აგრეთვე სკოლამდელ დანესებულებებში ბავშვთა მოვლა-პატრონობის მომსახურება;

ღ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 1211 10 000, 1211 20 000, 1301 10 000, 1301 20 000, 1504 20, 1515 30, 1520 და 1702 11 000კოდებში მითითებული საქონლის, 28-ე და 29-ე ჯგუფებში წარმოდგენილი სამკურნალო (ფარმაცევტული) ნედლეულისა და სუბსტანციების, 30-ე ჯგუფით გათვალისწინებული ფარმაცევტული პროდუქციის (გარდა საღეჭი რეზინისა) მათ შორის ვაქცინების, 3912 12 000, 3912 31 000, 7010 10 000, 7010 94 790 და 9602 00 000(ჟელატინის კაფსულები) კოდებში აღნიშნული საქონლის მიწოდება ან/და იმპორტი;

ყ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის

8419 20 000, 9001 30 000, 9001 40, 9001 50, 9018-9022, 9025 11 910 და 940290000 კოდებში აღნიშნული საქონლის, 8713 და 8714 20 000 კოდებში მითითებული ინვალიდთა ეტლების, იოდიზირებული მარილის, რენტგენის ფირების, ინსულინის შპრიცების (ნემსების), სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების გლუკომეტრების (რომელთა ტესტ-124 სისტემები რეგისტრირებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ) მიწოდება ან/და იმპორტი;

შ) იმ საქონლის იმპორტი ან/და დროებით შემოტანა, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის;

ჩ) სასოფლო-სამეურნეო ნარმოებაში დასაქმებული პირის მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდება მის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე);

ც) ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტებისა ან/და ბავშვთა ჰიგიენური ნაწარმის მიწოდება ან/და იმპორტი, რომლებიც საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისას მარკირებულია ასეთად;

ძ) დიაბეტური პურის მიწოდება ან/და იმპორტი, რომლებიც საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისას მარკირებულია ასეთად;

წ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8701 90 110 – 8701 90 500 კოდებში აღნიშნული ტრაქტორისათვის განკუთვნილი საგარეოე-კონომიკურ საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8706 00 190, 8706 00 990, 870790 100, 8707 90 900, 8708 10 900, 8708 29 100, 8708 29 900, 8708 31 100, 8708 31 910, 870831 990, 8708 39 100, 8708 39 900, 8708 40 100, 8708 40 900, 8708 50 900, 8708 60 100, 8708 60 910, 8708 60 990, 8708 70 100, 8708 80 100, 8708 80 900, 8708 91 100, 8708 91 900, 8708 92 100, 8708 92 900, 8708 93 100, 8708 93 900, 8708 94 100, 8708 94 900, 8708 99 100, 8708 99 300, 8708 99 500, 8708 99 920 და 8708 99 980 კოდებში აღნიშნული შასის, ძარის, ნაწილებისა და მოწყობილობების, აგრეთვე საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8432 90 და 8433 90 000 კოდებში აღნიშნული საქონლის იმპორტი.

დღგ-ის ნულოვანი განაკვეთით იბეგრება საქონლის (მომსახურების) ექსპორტის შემდეგი სახეები:

1. საქონლის საერთაშორისო გადაზიდვასა და მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანასთან უშუალოდ დაკავშირებული სატრანსპორტო, უსაფრთხოების უზრუნველყოფის, დათვალიერებისათვის გახსნის, სატვირთო ზედნადებების მომზადებისა და შეცვლის, საქონლის ინსპექტირების, ტრანსპორტირებისათვის შეფუთვისა და შენახვის მომსახურების გაწევა, სატვირთო ოპერაციები, ნავსადგურში აგენტირება;

2. საერთაშორისო საავიაციო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მინოდებული საავიაციო საწვავი, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებები;

3. საქართველოს ეროვნული ბანკისათვის ოქროს მიწოდება;

4. ტუროპერატორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი ტურისტების ორგანიზებული შემოყვანა და მათთვის ტურისტული მომსახურების პაკეტის მინოდება იბეგრება ნულოვანი განაკვეთით.

5. უცხოური საწარმოს, უცხოური ორგანიზაციის ან/და სხვა სახელმწიფოს დაკვეთით, კონტრაქტის საფუძველზე (გარემონტებული ძირითადი საშუალებების უკან დაბრუნების ვალდებულებით) საქართველოს ტერიტორიაზე ძირითადი საშუალებების სარემონტო მომსახურება;[1]

დამატებული ღირებულების გადასახადით დაუბეგრავი საქონლისა და მომსახურების ხარჯები (d_i) გაიანგარიშება ფორმულით:

$$d_i = X_i * l_j,$$

სადაც X_i j-ური სახის პროდუქციის საწარმოებლად i-ური სახის პროდუქციის ხარჯებია (შიდასაწარმოო ბრუნვის გარეშე).

l_j – j -ური სახის პროდუქციის გამოშვებაში დამატებული ღირებულების გადასახადით დაუბეგრავი j -ური სახის პროდუქციის ხვედრითი წონა.

დამატებული ღირებულების გადასახადი საბოლოო გამოყენების შემდეგ მაჩვენებლებში გაითვალისწინება:

- *შინამეურნეობის საბოლოო მოხმარებაში* – ინდივიდუალური შრომითი საქმიანობით დაკავებული პირების შესყიდვები, მოსახლეობის ფულადი შემოსავლებისა და ხარჯების ბალანსის მიხედვით მოსახლეობის ხარჯები (ბინის ქირისა და სარიტუალო მომსახურების გამოკლებით).
- *ძირითადი კაპიტალის დაგროვებაში* — დანახარჯები სამშენებლო-სამონტაჟო და საპროექტო-საძიებო სამუშაოებზე, აგრეთვე

[1] http://www.civilin.org/Project/Tax%20Code%20Final_19-12-04.pdf.

საექსპლუატაციო და ღრმა საძიებო ბურღვა, სხვა კაპიტალური სამუშაოები და ხარჯები.

- *მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილებაში* — ვაჭრობაში მარაგების ცვლილება.
- *მოსახლეობის მიერ ფასეულობების წმინდა შეძენაში* — მოსახლეობის მიერ საიუველირო ნაკეთობების შეძენა.
- *ექსპორტში* – ექსპორტი სხვა ქვეყნებში.
- შემდეგ ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის მატრიცის ფორმირება, რომლის თითოეული ელემენტი გაიანგარიშება ფორმულით:

$$n_{ij} = a_{ij} * \frac{St_i}{100 + St_i},$$

სადაც, n_{ij} არის რესურსების გამოყენებაში აღრიცხული დამატებული ღირებულების გადასახადების ჯამი.

a_{ij} – დამატებული ღირებულების გადასახადში გამოყენებული პროდუქციის მატრიცის ელემენტები.

St_i - i-ური დარგის პროდუქციაზე ფაქტობრივად დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადის საშუალო განაკვეთი.

დამატებული ღირებულების გადასახადის ვექტორი (NI) გაიანგარიშება ფორმულით:

$$NI = \sum_j n_{ij} .$$

მიღებული შედეგები კორექტირდება ბიუჯეტში დამატებული ღირებულების გადასახადის საერთო ჯამთან.

ანალოგიური გაანგარიშებები წარმოებს სპეციალური გადასახდების მიხედვით.

დამატებული ღირებულების გადასახადის ვექტორ-სვეტების ჯამი, სპეცგადასახადი, პროდუქტებსა და სუბსიდიებზე სხვა გადასახადები გამოისახება დარგთაშორის ბალანში მაკორექტირებელი მუხლით „წმინდა გადასახადები პროდუქტებზე".

დარგთაშორისი ბალანსის დამუშავებას წინ უსწრებს ცხრილები — „საქონლისა და მომსახურების რესურსები" და „საქონლისა და მომსახურების გამოყენება". ორივე ეს ცხრილი არის შუალედური რგოლი ამოსავალ სტატისტიკურ მონაცემებსა და დარგთაშორისი ბალანსის ცხრილის მაჩვენებლებს შორის. ამავე დროს, მათ აქვთ დამოუკიდებელი მნიშვნელობაც. მათ საფუძველზე ხორციელდება წარმოების სტრუქტურის, რესურსების ფორმირების, სანარმოო ურთიერთკავშირების, დარგის პროდუქციის ღირებულებითი შემადგენლობისა და სხვათა ანალიზი.

„საქონლისა და მომსახურების რესურსების" ცხრილი (ცხრილი 9.4) გვიჩვენებს საქონლისა და მომსახურების რესურსების ფორმირებას ეროვნუ-

ლი ნარმოებისა და იმპორტის ხარჯზე და მათი საბოლოო მოხმარების ფასების ფორმირების ძირითად კომპონენტებს.

პროდუქციისა და მომსახურების გამოშვების საერთო ჯამი ძირითად ფასებში განისაზღვრება წარმოების მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ცხრილის სტრიქონების ჯამი ახასიათებს პროდუქტების ჯგუფების წარმოების საერთო მოცულობას („წმინდა" დარგის წარმოების მოცულობა), გრაფების მიხედვით – ეკონომიკის დარგის წარმოების საერთო მოცულობას.

ცხრილის იმ ნაწილში, რომელშიც ასახულია წარმოების შემადგენლობა საქონლისა და მომსახურების ჯგუფების მიხედვით, ქვემდებარეში მოცემულია ერთგვაროვანი პროდუქტების ჯგუფები, შემასმენელში – საქმიანობის სახეები. ცხრილის უჯრედ-გრაფაში მოცემულია საქმიანობის სახების მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობა.

„საქონლისა და მომსახურების გამოყენების" ცხრილი (ცხრილი 9.3) მოიცავს საქონლისა და მომსახურების გამოყენების მიმართულებისა და აგრეთვე დარგების მიხედვით დანახარჯების სტრუქტურის შესახებ ინფორმაციას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ (ცხრილები „რესურსები და მათი გამოყენება და დანახარჯები-გამოშვება") რეკომენდებულია ერთ საკვალიფიკაციო ჯგუფს მიკუთვნებული ინსტიტუციური ერთეულების სანარმოო საქმიანობის შედეგების ასახვა – „სამეურნეო" დარგში.

თუმცა მოქმედ სტატისტიკურ ანგარიშგებაში ეკონომიკური დარგის საქმიანობის ღირებულებითი მაჩვენებლების შეგროვება და დამუშავება ხდება საქმიანობის ძირითადი სახეების მიხედვით, ამდენად, „სამეურნეო" დარგის მიხედვით ნარმოებული გაანგარიშებები არ არის მიზანშეწონილი.

ცხრილში „საქონლისა და მოსმახურების გამოყენება" სასურველია აისახოს ეკონომიკის გამსხვილებული დარგი, როგორც „წმინდა", ე.ი. ვაჩვენოთ ერთგვაროვანი პროდუქციის წარმოება ან წარმოების ერთობლივი შედეგი იმ საწარმოებისა, რომლებიც ერთგვაროვან საქონელს უშვებენ.

მრენველობის ცალკეული დარგების მიხედვით კი ამ ცხრილში მოცემულია სამრენველო საქმიანობის შედეგად მიღებული წარმოების დანახარჯები და სანარმოების შემოსავლები.

„საქონლისა და მომსახურების გამოყენების" ცხრილის სქემა დარგთაშორისი ბალანსის სქემის ანალოგიურია. აქ გამოყოფილია 3 კვადრანტი – შუალედური მოხმარება (I), საბოლოო გამოყენება (II) და დამატებული ღირებულების კომპონენტები (III).

დარგთაშორისი ბალანსისაგან განსხვავებით, ამ ცხრილის I კვადრანტში გრაფების მიხედვით ნაჩვენებია საწარმოო საქმიანობის მთლიანი დანახარჯები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დარგთაშორისი ბალანსის ცხრილის I კვადრანტი იგება „პროდუქტი—პროდუქტზე" პრინციპის მიხედვით, ხოლო გამოყენების ცხრილში — „პროდუქტი—დარგზე".

ცხრილი 9.3.

საქონლისა და მომსახურების რესურსები

	საქონლისა და მომსახურების პროდუქტების ჯგუფების მიხედვით	კონსტრუქციები იმპორტის მიხედვით	საზღვარგარეთ რეზიდენტების მიერ პირდაპირი შესყიდვები	სულ
საქონლისა და მომსახურების რესურსები				
მოგების და სხვა ბრუნვადი გადასახადები				
პროდუქტების და იმპორტის სუბსიდიები				
საბაზრო გამოშვება				
საკუთარ ანგარიშზე წარმოებული ძირითადი აქტივების ფორმირება				
ძირითადი აქტივების შეძენა, გაუმჯობესება და ვალუტის გადაცემა				
ძირითადი აქტივების გასვლა				
ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების შეძენა, გაუმჯობესება და ვალუტის გადაცემა				
ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების გასვლა				
მატერიალური არააქტივების შეძენა, გაუმჯობესება და ვალუტის გადაცემა				
მატერიალური არააქტივების გასვლა				
მარაგების ცვლილება				
ფასეულობების შეძენა, გასვლა				
ბუნებრივი აქტივების ცვლილება				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები				
სესხები				
ვალდებულებების სხვა ანგარიშსწორებები				
სხვა ანგარიშსწორებები				
ფინანსური აქტივების ცვლილება				
ფინანსური ვალდებულებების ცვლილება				
ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ცვლილება				

ცხრილი 9.4.

	შუალედური მოხმარება		სულ ეკონომიკაში დანახარჯები საბოლოო მოხმარებაზე	მთლიანი დაგროვება	ექსპორტი	სულ რესურსები მყიდველთა ფასებში
	საბაზრო დარგები	არასაბაზრო დარგები				
საქონლისა და მომსახურების ჯგუფების მიხედვით		I კვადრანტი		II	კვად-რანტი	
მთლიანი გამოყენება მყიდველთა ფასებში						
მთლიანი დამატებული ღირებულება სულ		III კვად-რანტი				
სულ						

ამიტომ საერთაშორისო ბალანსის ცხრილში ყოველ „წმინდა" დარგის განგარგულებაში არსებული რესურსების მოცულობა (I და III კვადრანტების გრაფების მიხედვით ჯამი) ამავე დარგში გამოყენებული რესურების მოცულობის ტოლია (I და II კვადრანტების გრაფების მიხედვით ჯამი).

ცხრილები „საქონლისა და მომსახურების რესურსები" და „საქონლისა და მომსახურების გამოყენება" უზრუნველყოფს რესურსების მიწოდებისა და მათი გამოყენების მაჩვენებლებს შორის შესაბამისობას.

დარგთაშორისი ბალანსის სახეები

დარგთაშორისი ბალანსი **ანალიზის პერიოდის** მიხედვით იყოფა ორ ტიპად (დინამიკური და სტატიკური). თუ დარგთაშორის ბალანსში განიხილება ნარმოების პროცესი რამდენიმე წლის განმავლობაში და, ამავე დროს, პირველი წლის შედეგები განსაზღვრავს წარმოების პირობებს მეორე წლისათვის და ა.შ., მაშინ ასეთ სისტემას დინამიკურს უწოდებენ, ხოლო დარგთაშორის ბალანსს, რომელიც აღწერს მის განვითარებას — **დინამიკურს.**

დინამიკური დარგთაშორისი ბალანსების თავისებურება არის ის, რომ საბოლოო გამოყენებიდან გამოირიცხება კაპიტალდაბანდებები, ე.ი. კაპიტალდაბანდებები დინამიკურ დარგთაშორის ბალანსში — დარგების გამოშვების ფუნქციაა შემდგომ წლებში.

დინამიკური დარგთაშორისი ბალანსი უფრო ზუსტად ასახავს ეკონომიკის განვითარებას, ვიდრე სხვა ნებისმიერი ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდი, მაგრამ პრაქტიკულად, მისი აგების სირთულის გამო, ის დღეს მხოლოდ თეორიულად არსებობს.

სტატიკურ დარგთაშორის ბალანსში კაპიტალდაბანდებები ჩართულია საბოლოო გამოყენებაში. ამგვარად, სტატიკური დარგთაშორისი ბალანსი დგება ერთი წლისათვის, ხოლო დინამიკური — რამდენიმე წლისათვის.

გამოყენებული ინფორმაციის მიხედვით დარგთაშორისი ბალანსი იყოფა:

- ეროვნულ (მთლიანად ქვეყნისთვის);
- რეგიონულ (ცალკეული რეგიონისთვის);
- რეგიონთაშორის (რამდენიმე რეგიონის სანარმოო კავშირების ამსახველი);
- და დარგობრივად (ცალკეული დარგებისთვის).

ჩამოთვლილი დარგთაშორისი ბალანსები განსხვავდებიან მხოლოდ გამოყენებული ინფორმაციის მოცულობით. ისინი, აგების თვალსაზრისით, ერთნაირია და შეიძლება იყოს როგორც სტატიკური, ასევე დინამიკური.

საზომი ერთეულის მიხედვით დარგთაშორისი ბალანსი შეიძლება იყოს **ღირებულებითი და ნატურალური.** ღირებულებითი დარგთაშორისი ბალანსის ყველა მაჩვენებელი ღირებულებით გამოსახულებაშია, ხოლო ნატურალური დარგთაშორისი ბალანსის ნაწილი — ღირებულებით, ხოლო ნანილი — ნატურალურ გამოსახულებაში. განსხვავება მათ შორის არის ის, რომ ღირებულებითი ბალანსის მაჩვენებლები შეიძლება დაჯამდეს სვეტების მიხედვით, ხოლო ნატურალურისა — არა. მსოფლიო პრაქტიკაში ფართო გავრცელება პოვა მხოლოდ ღირებულებითი გამოსახულების დარგთაშორისმა ბალანსმა.

დარგთაშორის კავშირების გამოსახვის ხასიათის მიხედვით დარგთაშორისი ბალანსი იყოფა ორ ტიპად: დარგთაშორისი ბალანსი, შედგენილი „გამოშვება-დანახარჯების" სქემით და რესურსებისა და გამოყენების ცხრილები. რიგ ქვეყნებში საქონლისა და მომსახურების გამოყენებისა და წარმოების დარგთაშორისი ბალანსის შემუშავებისას დგინდება შრომის დანახარჯების, ძირითადი კაპიტალის, საბრუნავი საშუალებების დარგთაშორისი ბალანსი, სხვადასხვა სამეურნეო კომპლექსის დარგთაშორისი ბალანსი (აგროსამრეწველო, სამშენებლო და სხვ.), ცალკეული სამინისტროების მიხედვით და ა.შ.

დარგთაშორისი ბალანსის მოდელების ჩარჩოებში ანალიზის ძირითადი იდეა მდგომარეობს ეკონომიკის სხვადასხვა დარგში პროცესებს შორის ურთიერთკავშირების დადგენასა და მათემატიკურ აღწერაში.

განსაზღვრულ საქონელზე მოთხოვნის ზრდა, უმეტეს შემთხვევაში, ინვევს გამოშვების გადიდებას არა მხოლოდ ამ საქონლის მწარმოებელ დარგში, არამედ იმ დარგებშიც, რომლებიც მოცემული საქონლის ნარმოებისათვის საქონლისა და მოსახურების მიმწოდებლები არიან. შუალედური მოხმარებისათვის ასევე აუცილებელია განსაზღვრული საქონელი და მომსახურება და ა.შ. ხელფასების სატარიფო განაკვეთებისა და დანახარჯების სხვა მაჩვენებლების ზრდა (მაგალითად, შუალედურ მოხმარებაზე გამოსაყენებელ იმპორტულ საქონელზე ფასების ზრდა) ასევე გავლენას ახდენს არა მხოლოდ უშუალოდ ამ დარგების პროდუქციის ფასებზე, არამედ (თუ მხედველობაში გვაქვს შუალედური მოხმარება) ამ პროდუქციით წარმოებული საქონლისა და მომსახურების ფასებზეც.

დარგთაშორისი ბალანსის მონაცემების საფუძველზე ხდება შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

- ეკონომიკის კომპლექსური ანალიზი, კერძოდ, ცალკეული ფაქტორების როლის გამოვლენა (ეკონომიკის დამოკიდებულება ენერგომომარაგებასა ან ენერგომატარებლების ფასების ცვლილებაზე);
- ეკონომიკაში სტრუქტურული ძვრების იდენტიფიკაცია;
- პროდუქციისა და მოსახურების წარმოებაზე პირდაპირი და სრული დანახარჯების კოეფიციენტების გაანგარიშება, მათი გამოყენება წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათების შესასწავლად;
- სხვადასხვა პროგნოზების შემუშავება;
- ინფორმაციული ბაზის შექმნა ინდექს-დეფლატორის გასაანგარიშებლად და ინფლაციური პროცესების კომპლექსური შეფასებისათვის;
- ეკონომიკის ცალკეული დარგების პროდუქციასა და მთლიანად წარმოების დანახარჯებზე ფასების ცვლილების გავლენის ანალიზი;
- ეროვნული ეკონომიკის ექსპორტსა და იმპორტზე დამოკიდებულების შესნავლა;
- საერთაშორისო შედარებები ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით;
- კონსოლიდირებული ეროვნული ანგარიშების მაჩვენებლების სისტემატიზაცია, მათთვის დასრულებული და დაბალანსებული სახის მიცემა.

დარგთაშორისი ბალანსი შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა მხოლოდ წარმოებისა და მოხმარების პრობლემების შესასწავლად. წარმოების პროცესებთან ურთიერთკავშირში შეიძლება აღწერილ იქნეს ისეთი ასპექტები, როგორიცაა: მოსახლეობის დასაქმება, ელექტროენერგიის მოხმარება, გარემოს დაბინძურება და სხვა და ეს შეიძლება გაკეთდეს როგორც ღირებულებით, ასევე ნატურალურ გამოსახულებაში.

მაგალითად, მოსახლეობის დასაქმება შეიძლება გამოისახოს დასაქმებულთა რიცხოვნობაში ან სრულად გამომუშავებულ კაც-საათებში, ელექტროენერგიის მოხმარება — კვტ-საათში, გარემოს დაბინძურება — მავნე ნივთიერებების გამოფრქვევა ტონებში. ამ მონაცემების შეკავშირება ხდება სრული დანახარჯების მატრიცასთან.

დარგთაშორისი ბალანსის მონაცემების ძირითადი მომხმარებლები არიან სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დაწესებულებები, სამეცნიერო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ცალკეული კომერციული სტრუქტურები და სხვ.

კითხვები და სავარჯიშოები

1. განმარტეთ დარგთაშორისი ბალანსის ცნება და მისი შედგენის მიზანი.
2. როგორია დარგთაშორისი ბალანსის სტრუქტურა?
3. დარგთაშორისი ბალანსის რომელი სახეები იცით?
4. ჩამოთვალეთ დარგთაშორისი ბალანსის მონაცემების ძირითადი მომხმარებლები.
5. დაასახელეთ დარგთაშორისი ბალანსების გამოყენების ძირითადი მიმართულებები.
6. დაახასიათეთ საქონლისა და მომსახურების გამოყენების ცხრილი.
7. დაახასიათეთ საქონლისა და მომსახურების რესურსების ცხრილი.
8. როგორ ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის მატრიცის ფორმირება?
9. დაახასიათეთ გამოშვების ცხრილი.
10. როგორ ფასებში ხდება დარგთაშორისი ბალანსის შედგენა?
11. რითი განსხვავდება „წმინდა" დარგი „სამეურნეო" დარგისაგან?
12. რითი განსხვავდება პროდუქციის წარმოების სრული დანახარჯები პირდაპირი დანახარჯებისაგან?

1. რომელი ელემენტები შედის დარგთაშორის ბალანსში, რომელიც არ განიხილება ეას-ში?

ა) მზა პროდუქტები;
ბ) ნახევარფაბრიკატები;
გ) დაუმთავრებელი წარმოება;
დ) შუალედური პროდუქტები.

2. დარგთაშორისი ბალანსი წარმოადგენს:

ა) წარმოებისა და შემოსავლების დეზაგრეგირებულ ანგარიშს;
ბ) საქონლისა და მომსახურების დეზაგრეგირებულ ანგარიშს;
გ) შემოსავლებისა და კაპიტალის დეზაგრეგირებულ ანგარიშს;
დ) ფინანსების დეზაგრეგირებულ ანგარიშს.

3. დასავლურ ლიტერატურაში ამ (დარგთაშორის) მოდელს ეწოდება:

ა) დარგთაშორისი ბალანსი;
ბ) რესურსები-გამოყენების ცხრილები;
გ) დანახარჯები-გამოშვების ცხრილები;
დ) საგადასახდელო ბალანსი.

4. დარგთაშორისი ბალანსისა და ეას-ის დაკავშირება მოხდა:

ა) მეორე მსოფლიო ომის შემდეგ;
ბ) 1993 ნელს;
გ) 1929-1933 წლების კრიზისის შემდეგ;
დ) ორივე ერთდროულად განვითარდა.

5. დარგთაშორისი ბალანსის დახურული მოდელი:

ა) პირველადი დანახარჯებისა და საბოლოო მოხმარების კატეგორიებს არ განიხილავს, როგორც ფუნქციურს;
ბ) პირველადი დანახარჯებისა და საბოლოო მოხმარების კატეგორიებს განიხილავს, როგორც ენდოგენურს;
გ) პირველადი დანახარჯებისა და საბოლოო მოხმარების კატეგორიებს განიხილავს ბალანსის IV კვადრანტიდან;
დ) პირველადი დანახარჯებისა და საბოლოო მოხმარების კატეგორიებს განიხილავს, როგორც ეგზოგენურს.

6. დარგთაშორისი ბალანსის ღია მოდელში:

ა) პირველადი დანახარჯებისა და საბოლოო მოხმარების კატეგორიებს განიხილავს ბალანსის IV კვადრანტიდან;
ბ) პირველადი დანახარჯებისა და საბოლოო მოხმარების კატეგორიებს

განიხილავს, როგორც ფუნქციურს;
გ) პირველადი დანახარჯებისა და საბოლოო მოხმარების კატეგორიები ითვლება ეგზოგენურად;
დ) პირველადი დანახარჯებისა და საბოლოო მოხმარების კატეგორიებს განიხილავს ბალანსის IV კვადრანტიდან.

7. დარგთაშორისი ბალანსის:

ა) სვეტები აღნერენ წარმოების დანახარჯების სტრუქტურას აუცილებელი ფაქტორების შესაძენად;
ბ) სტრიქონებში მოცემულია გამოშვებული პროდუქციის ნატურალურ-ნივთობრივი სტრუქტურა;
გ) სტრიქონებში მოცემულია ეკონომიკის დარგში პროდუქციის მიწოდების სტრუქტურა;
დ) სვეტები აღნერენ გამოშვებული პროდუქციის ნატურალურ-ნივთობრივ სტრუქტურას.

8. დარგთაშორისი კავშირების ანალიზისათვის რეკომენდებულია:

ა) ეკონომიკის დარგებისა და სასაქონლო კლასიფიკაციების გამოყენება;
ბ) ეკონომიკის დარგების კლასიფიკაციის გამოყენება;
გ) კლასიფიკაციის შერეული სქემის გამოყენება;
დ) მხოლოდ ერთი საკლასიფიკაციო სქემის გამოყენება.

9. „სამეურნეო" დარგები აწარმოებენ:

ა) აწარმოებენ მხოლოდ ძირითად პროდუქციას;
ბ) აწარმოებენ მხოლოდ მეორად პროდუქციას;
გ) აწარმოებენ ძირითად და მეორად პროდუქციას;
დ) აწარმოებენ მხოლოდ ერთგვაროვან პროდუქციას.

10. „წმინდა" დარგი "დამამუშავებელი მრეწველობა" მოიცავს:

ა) პროდუქტებს მხოლოდ ძირითადი პროდუქციის სახით;
ბ) პროდუქტებს მხოლოდ მეორადი პროდუქციის სახით;
გ) პროდუქტებს როგორც ძირითადი პროდუქციის, ისე მეორადის სახით;
დ) ერთგვაროვან პროდუქტებს როგორც ძირითადი პროდუქციის, ისე მეორადის სახით.

11. გამოშვების განაწილების კოეფიციენტი გვიჩვენებს:

ა) ეკონომიკის დარგებში პროდუქციის გამოყენების სტრუქტურას;
ბ) გვიჩვენებს i-ური დარგის რამდენი ერთეული პროდუქტი დასჭირდა j-ურ დარგს ერთეული პროდუქტის საწარმოებლად;
გ) შუალედური და საბოლოო მოხმარების თანაფარდობას;
დ) i-ური პროდუქტის რამდენი ერთეულია დამატებით საჭირო j-რი პროდუქტის ერთ ერთეულზე საბოლოო მოხმარების გასადიდებლად.

მაგალითი 9.1

დავუშვათ, რომ ეკონომიკა შედგება ორი სექტორისაგან და გვაქვს შემდეგი ინფორმაცია პირდაპირი დანახარჯების კოეფიციენტებსა (მარტიცა 2*2) და თითოეული სექტორის საბოლოო მოთხოვნის შესახებ. ინფორმაცია მოცემულია საბალანსო ცხრილში:

პირველ სტრიქონში — პირველი (a_{11}) და მეორე (a_{12}) სექტორის პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე განეული პირდაპირი დანახარჯების კოეფიციენტები. პირველი სექტორის პროდუქციაზე საბოლოო მოთხოვნა Y_1.

მეორე სტრიქონში — მეორე სექტორის პირდაპირი დანახარჯების კოეფიციენტები პირველი(a_{21}) და მეორე(a_{22}) სექტორის პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე. მეორე სექტორის პროდუქციაზე საბოლოო მოთხოვნა Y_2:

პირდაპირი დანახარჯების კოეფიციენტი a_{ij} საბოლოო მოთხოვნა Y_i

a_{11}=0.2 a_{12}=0.5 Y_1=80

a_{21}=0.3 a_{22}=0.4 Y_2=20

განვსაზღვროთ მთლიანი გამოშვება ეკონომიკაში (X_1 + X_2) და მთლიანი გამოშვებისა და მშპ-ის თანაფარდობა. მშპ-სა და შუალედური მოხმარების თანაფარდობა.

ამოხსნა:

შევადგინოთ განტოლებათა სისტემა (X_1 და X_2 უცნობებია):

გარდავქმნათ სისტემა და ჩავწეროთ უფრო მოხერხებული ფორმით:

$0.8X_1 - 0.5X_2 = 80$

$0.3X_1 + 0.6X_2 = 20$

განტოლების ორივე მხარე გავამრავლოთ 1,2-ზე. მივიღებთ შემდეგ სისტემას:

$0.96X_1 - 0.6X_2 = 96$

$0.3X_1 + 0.6X_2 = 20$

განტოლებათა შეკრებით მივიღებთ:

$0.66X_1 = 116$

მაშინ $X_1 = 175.8$ (116/0.66=175.8) და $X_2 = 121.2$

მაშასადამე, მთლიანი გამოშვება $X_1 + X_2 = 297$.

მშპ $Y_1 + Y_2 = 80 + 20 = 100$, რაც მთლიანი გამოშვების 33.7%-ია.

მაგალითი 9.2

დავუშვათ, რომ ეკონომიკა შედგება ორი სექტორისაგან და გვაქვს შემდეგი ინფორმაცია პირდაპირი დანახარჯების კოეფიციენტებსა (მარტიცა 2*2) და თითოეული სექტორის საბოლოო გამოშვების შესახებ.

პირდაპირი დანახარჯების კოეფიციენტი a_{ij} მთლიანი გამოშვება X_i

a_{11}=0.2 a_{12}=0,5 X_1=160

a_{21}=0.3 a_{22}=0,4 X_2=240

განსაზღვრეთ მშპ ($Y_1 + Y_2$) და მთლიანი გამოშვებისა და მშპ-ს თანაფარდობა. მშპ-სა და შუალედური მოხმარების თანაფარდობა.

ამოხსნა:

$a_{11}X_1 + a_{12}X_2 + Y_1 = X_1$

$a_{21}X_1 + a_{22}X_2 + Y_2 = X_2$

ჩავსვათ კოეფიციენტები:

$0.2X_1 + 0,5X_2 + Y_1 = 160$

$0.3X_1 + 0.4X_2 + Y_2 = 240$

I განტოლებიდან განვსაზღვროთ Y_1:

Y_1 = 160-0,2*160-0,5*240=8

II განტოლებიდან Y_2 =240-0,3*160-0,44*240=240-48-96=240-144=96

მაშინ, მშპ = 104, (8+96=104) მთლიანი გამოშვება (400=160+240), რაც 3-ჯერ სჭარბობს მშპ-ს, მშპ შუალედურ მოხმარებაზე 2,85-ჯერ ნაკლებია, შუალედური მოხმარება 296=400-104.

ამოცანა 9.3

დავუშვათ, რომ ეკონომიკა შედგება ორი სექტორისაგან და გვაქვს შემდეგი ინფორმაცია პირდაპირი დანახარჯების კოეფიციენტებსა (მარტიცა 2*2) და თითოეული სექტორის საბოლოო მოთხოვნის შესახებ.

პირდაპირი დანახარჯების კოეფიციენტი a_{ij} საბოლოო მოთხოვნა Y_i

a_{11}=0,35 a_{12}=0,55 Y_1=2600

a_{21}=0,25 a_{22}=0,35 Y_2=2400

განსაზღვრეთ მთლიანი გამოშვება ეკონომიკაში (X_1 + X $_2$) და მთლიანი გამოშვებისა და მშპ-ს თანაფარდობა. მშპ-სა და შუალედური მოხმარების თანაფარდობა.

ამოცანა 9.4

დავუშვათ, რომ ეკონომიკა შედგება ორი სექტორისაგან და გვაქვს შემდეგი ინფორმაცია პირდაპირი დანახარჯების კოეფიციენტებსა (მარტიცა 2*2) და თითოეული სექტორის საბოლოო მოთხოვნის შესახებ.

პირდაპირი დანახარჯების კოეფიციენტი a_{ij} საბოლოო მოთხოვნა Y_i

a_{11} =0,35 a_{12} =0,55 Y_1 =2600

a_{21} =0,25 a_{22} =0,35 Y_2 =2400

1) განსაზღვრეთ მთლიანი გამოშვება ეკონომიკაში (X_1 + X_2) და მთლიანი გამოშვებისა და მშპ-ის თანაფარდობა. მშპ-სა და შუალედური მოხმარების თანაფარდობა.

2) რამდენი %-ით გაიზრდება მთლიანი გამოშვება, თუ გაიზრდება პირდაპირი დანახარჯები 0,25-დან 0,30-მდე და 0,35-დან 0,40-მდე.

10 თავი ეროვნული სიმდიდრის სტატისტიკა

ზოგადი კონცეფცია და განსაზღვრა. აქტივების კლასიფიკაცია ეროვნულ სიმდიდრეში. ეროვნული სიმდიდრის სტატისტიკის სრულყოფის ზოგიერთი პრობლემა.

ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის ობიექტური და სრული შეფასება, მისი სტრუქტურისა და დინამიკის შესწავლა სტატისტიკის მნიშვნელოვან ამოცანად გვევლინება. ეს მონაცემები აუცილებელია სახელმწიფო მართვის დაწესებულებებისათვის, რათა განახორციელონ ეკონომიკური განვითარების ანალიზი, ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, გადაწყვეტილებების მიღება არსებული რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, დაბეგვრის სრულყოფის პრობლემების გადაწყვეტა. ეროვნული სიმდიდრის შესახებ მონაცემები აუცილებელია სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისათვის, რომლებიც შეისწავლიან მაკროეკონომიკას, აგებენ პროგნოზულ მოდელებს, აანალიზებენ ეკონომიკური ზრდის ფაქტორებს, იკვლევენ ეკონომიკაზე ეკოლოგიური პროცესების ზეგავლენას, ატარებენ ალტერნატიულ გაანგარიშებებს, აფართოებენ ეკონომიკური ანალიზის საზღვრებს. გარდა ამისა, ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის შეფასებამ შეიძლება დააინტერესოს ინვესტორები, მათ შორის, უცხოელები.

აუცილებელია ერთმანეთისგან განვასხვაოთ ეროვნული სიმდიდრის ოფიციალური სტატისტიკა და ექსპერიმენტული გაანგარიშებები, რომლებიც ხორციელდება სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და ცალკეული მეცნიერების მიერ. დღეისთვის ეროვნული სიმდიდრისა და სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ოფიციალური სტატისტიკა, რომლის ელემენტები მუშავდება და ქვეყნდება სტატისტიკური ორგანოების მიერ, ეყრდნობა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის III ვარიანტს. იგი მოიცავს ეროვნული სიმდიდრის კონცეფციის დაწვრილებით აღწერას, განსაზღვრავს მის ძირითად ელემენტებსა და შეფასების მეთოდებს.

საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ეროვნული სიმდიდრის სტატისტიკა მშპ-სა და ეროვნული შემოსავლისაგან დამოუკიდებლად მუშავდებოდა. მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (ეროვნული ანგარიშების სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დამუშავებისას) იქნა ინტეგრირებული ეროვნული სიმდიდრის მაჩვენებლები ეროვნულ ანგარიშთა სისტემის საერთო სტრუქტურაში. შედარებით სრულად და თანმიმდევრობით ეს ინტეგრაცია, ე. ი. გაანგარიშების მეთოდების შეთანხმება და შესაბამისი მაჩვენებლების შეფასება, განხორციელებული იყო ეას-93-ის დამუშავების დროს.

ზოგადი კონცეფცია და განსაზღვრა

ეროვნული სიმდიდრის კონცეფცია, რომელიც რეკომენდებულია ეროვნულ ანგარიშთა სისტემა-93-ში და გაზიარებულია ეროვნული სტატისტიკების მიერ, შეიძლება მოკლედ შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

ეროვნული სიმდიდრე არის მოცემული ქვეყნის რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულების კაპიტალის წმინდა ღირებულებათა ჯამი რაიმე თარიღისათვის (წლის დასანყისში ან ბოლოსათვის).

კაპიტალის წმინდა ღირებულება არის ინსტიტუციური ერთეულის ყველა ეკონომიკური აქტივის (არაფინანსური და ფინანსური) ღირებულებასა და მათ ფინანსურ ვალდებულებათა სიდიდეს შორის სხვაობა.

მთლიანად ეკონომიკისათვის ეროვნული სიმდიდრე უდრის არაფინანსური აქტივების ღირებულებას დამატებული წმინდა ფინანსური მოთხოვნები „დანარჩენ მსოფლიოსთან." ეროვნული სიმდიდრე შეიძლება აგრეთვე განსაზღვრული იყოს, როგორც ეკონომიკის სექტორების კაპიტალის წმინდა ღირებულებათა ჯამი, მათი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით.

ეროვნული სიმდიდრის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ საზღვარგარეთის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სალდო, ვინაიდან ეროვნული ეკონომიკის სექტორებს შორის წარმოქმნილი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაიფარება.

ეროვნულ სიმდიდრეში ჩართული უნდა იყოს მხოლოდ ის აქტივები, რომლებზეც კონკრეტულ მეურნე სუბიექტებს შეუძლიათ გაავრცელონ **საკუთრების უფლება** (ასეთ აქტივებს ეკონომიკური აქტივები ენოდება).

ეროვნულ სიმდიდრეს **არ მიეკუთვნება** მოძიებული ბუნებრივი რესურსები, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზის გამო არ იყო ჩართული ეკონომი-

კურ პროცესში, არ წარმოადგენს კონკრეტული ინსტიტუციური ერთეულების საკუთრებას. ყველა აქტივი და ვალდებულება უნდა შეფასდეს იმ მომენტისათვის არსებულ საბაზრო ფასებში და არა მათი შეძენის ფასებში, რასაც ხშირად ადგილი აქვს საბუღალტრო აღრიცხვაში.

ეროვნული სიმდიდრის განმარტებიდან ჩანს, რომ მის შემადგენლობაში ჩართული უნდა იყოს აქტივები, რომლებიც საზღვარგარეთ არის განთავსებული, მაგრამ მოცემული ქვეყნის რეზიდენტების საკუთრებაა (მაგალითად, საელჩოების, საკონსულოების, წარმომადგენლობების და ა. შ. შენობები და ქონება) და, პირიქით: აქტივები, რომლებიც განთავსებულია მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე, მაგრამ არარეზიდენტების საკუთრებაა, არ შეიძლება ჩაითვალოს მოცემული ქვეყნის ეროვნულ სიმდიდრედ. თუმცა საზღვარგარეთ განთავსებული კომპანიების აქტივები, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივადაა შეძენილი მოცემული ქვეყნის რეზიდენტების მიერ, შეიძლება შევიტანოთ მოცემული ქვეყნის ეროვნულ სიმდიდრეში ფინანსური აქტივების მხოლოდ იმ მოცულობით, რაც ადასტურებს რეზიდენტების საკუთრების უფლებას კომპანიაზე ან მის ნაწილზე.

რაც შეეხება არარეზიდენტების მიერ შეძენილ შენობებსა და მიწებს, ისინი განიხილება როგორც ფინანსური აქტივების შეძენა, რომელიც აძლევს მათ საკუთრების უფლებას მიწასა და შენობებზე. ამავე დროს, არარეზიდენტებზე მიყიდული მინა და შენობები პირობითი რეზიდენტ-ერთეულების საკუთრებად ითვლება. ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის შეფასებისას მისი არაფინანსური აქტივების შემადგენლობაში შედის შენობებისა და მიწის ღირებულება, რომელიც გაყიდულია არარეზიდენტებზე, მაგრამ იმავდროულად ეს შეფასებები უნდა აისახოს როგორც მოცემული ქვეყნის ფინანსური ვალდებულება "დანარჩენ მსოფლიოსთან" მიმართებაში და, საბოლოო ანგარიშით, არარეზიდენტებზე გაყიდული მიწა და შენობები ამოღებული იქნება ქვეყნის ეროვნული სიმდიდრიდან. აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთის აქტივების მოცულობისა და საბაზრო ღირებულების განსაზღვრა რთული ამოცანაა.

ეას-93-ის შესაბამისად ეროვნული სიმდიდრის გაანგარიშება უნდა განხორციელდეს როგორც მთლიანად ეკონომიკისათვის, ისე მისი სექტორებისათვის.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით აქტივების ღირებულებისა და შემადგენლობის მონაცემები საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ ეროვნული სიმდიდრის განაწილება, აქტივების ლიკვიდურობა. ძირითადი კაპიტალის შესახებ მონაცემები სექტორების მიხედვით საჭიროა მათი ინვესტიციური აქტიურობისა და დაფინანსებაზე მოთხოვნილების ანალიზისათვის, აგრეთვე წარმოების ეფექტიანობის (კაპიტალუკუგების) შესაფასებლად. მატერიალური საბრუნავი საშუალებების შესახებ მონაცემები საჭიროა მათი ბრუნვადობისა და წარმოების პროცესის უზრუნველყოფის ანალიზისათვის.

ინფორმაციის უკმარისობის გამო ჩვენთან არ ხორციელდება ეროვნული

სიმდიდრის ელემენტების აღრიცხვა ეკონომიკის სექტორების მიხედვით.

მთლიანად ეკონომიკისათვის ეროვნული სიმდიდრის გაანგარიშება და კაპიტალის წმინდა ღირებულება ეკონომიკის სექტორებისათვის აისახება აქტივებისა და პასივების ბალანსში (ცხრილი 10.1), რომელიც დგება პერიოდის საწყისი და საბოლოო მდგომარეობის მიხედვით:

აქტივებისა და პასივების ბალანსი

ცხრილი 10.1.

აქტივები	ოპერაციები და დამაბალანსებელი მუხლები	კაპიტალის წმინდა ღირებულება და ვალდებულებანი
	აქტივებისა და პასივების ბალანსი პერიოდის დასაწყისისათვის	
*	არაფინანსური აქტივები	
*	ნარმოებული აქტივები	
*	არანარმოებული აქტივები	
*	ფინანსური აქტივები	
	ფინანსური ვალდებულებები	*
	კაპიტალის წმინდა ღირებულება	*
	ჯამური ცვლილებები აქტივებსა და ვალდებულებებში	
*	არაფინანსური აქტივები	
*	წარმოებული აქტივები	
*	არანარმოებული აქტივები	
*	ფინანსური აქტივები	
	ფინანსური ვალდებულებები	*
	კაპიტალის წმინდა ღირებულების ცვლილების შედეგი	*
*	დანაზოგები და კაპიტალური ტრანსფერები	*
	სხვა ცვლილებები აქტივების მოცულობაში	*
	ნომინალური ჰოლდინგური მოგება (ზარალი)	*
	აქტივებისა და პასივების ბალანსი პერიოდის ბოლოსათვის	

*	არაფინანსური აქტივები	
*	წარმოებული აქტივები	
*	არანარმოებული აქტივები	
*	ფინანსური აქტივები	
	ფინანსური ვალდებულებები	*
	კაპიტალის წმინდა ღირებულება	*

*) მოცემული ოპერაციისათვის შეიძლება ჩაიწეროს.

აქტივებისა და პასივების ბალანსი — ეროვნულ ანგარიშთა სისტემა-93 -ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცხრილია, რადგან ის მოიცავს მონაცემებს მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ კატეგორიაზე — ეროვნული სიმდიდრის შესახებ.

პერიოდის დასაწყისში და პერიოდის ბოლოსათვის აქტივებისა და პასივების ბალანსის მაჩვენებლების შედარება საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ პერიოდის განმავლობაში აქტივებისა და ეროვნული სიმდიდრის ღირებულებების ცვლილება, რაც ეკონომიკური ოპერაციებისა და სხვა მნიშვნელოვანი ხასიათის ფაქტორების გავლენის (სტიქიური უბედურება, ხანძარი და სხვ.) შედეგია. ეს ცვლილებები რეგისტრირდება ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სხვა ანგარიშებში.

პერიოდის განმავლობაში აქტივების ღირებულების ცვლილება შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

$$A_{t+1} = A_t + \Delta_{ეკ.} + \Delta_{სხვ.} + M_{p.} \qquad (1)$$

სადაც A_t და A_{t+1} შესაბამისად მოცემული სახის აქტივების ღირებულებაა პერიოდის დასაწყისში და ბოლოსათვის.

$\Delta_{ეკ.}$ — საანგარიშო პერიოდში ეკონომიკური ოპერაციების შედეგად აქტივების ღირებულების ცვლილება (წარმოება, ყიდვა-გაყიდვა, უსასყიდლოდ გადაცემა), ე.ი. ესაა სხვაობა შეძენილი ($A^{-\Delta}$) და მწყობრიდან გამოსული აქტივების ($A^{-\Delta}$):$A^{-\Delta}$-$A^{-\Delta}$ ღირებულებებს შორის, რაც აისახება ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში ფინანსურ ანგარიშში და კაპიტალის ანგარიშში.

$\Delta_{სხვ.}$ — აქტივების მოცულობაში სხვა ცვლილებების ღირებულება, დაკავშირებული არაეკონომიკურ ოპერაციებთან (სასარგებლო წიაღისეულის მოძიება, სტიქიური უბედურებები და ა. შ.). ღირებულებაში ცვლილებები ისევე განისაზღვრება, როგორც წინა შემთხვევაში და გამოისახება ტოლობით (1) ნიშნის გათვალისწინებით.

$A_{ისხ}$ აისახება აქტივების მოცულობაში სხვა ცვლილებების ანგარიშში.

M_r — აქტივების ღირებულების ნომინალური გადიდება ან შემცირება, პერიოდის განმავლობაში, განპირობებული მისი ფასის ცვლილებით, ე.ი. დადებითი ან უარყოფითი ჰოლდინგური მოგებაა. M_r — აისახება ეას-ის გადაფასების ანგარიშში.

ასეთივე ურთიერთკავშირი არსებობს ფინანსურ ვალდებულებებსა და კაპიტალის ნმინდა ღირებულებას შორის.

საქართველოსა და დსთ-ის ქვეყნების სტატისტიკური ორგანოები აქვეყნებენ ეროვნული სიმდიდრის მხოლოდ ცალკეული ელემენტების შეფასებას (ამასთან, შედარებით სრული ინფორმაცია არსებობს ძირითადი კაპიტალისა და მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების შესახებ), რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ სტატისტიკის მიმართ წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს და არ შეუძლიათ ზემოხსენებული ამოცანის გადაჭრა. ამ ხარვეზების მიზეზია შესაბამისი საინფორმაციო ბაზის არარსებობა, საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან აღრიცხვისა და ანგარიშგების შეუსაბამობა, ეკონომიკაში საბაზრო გარდაქმნების გაჭიანურება, რაც აძნელებს ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართული მინისა და სხვა ბუნებრივი აქტივების საბაზრო შეფასებებს.

დღეისათვის ყველაზე რთული პრობლემაა ინფორმაციის არარსებობა მინისა და სხვა ბუნებრივი აქტივების ღირებულებაზე და აგრეთვე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ.

აქტივების კლასიფიკაცია ეროვნულ სიმდიდრეში

ეკონომიკური აქტივები არის ღირებულების მქონე ობიექტები, რომლებზეც ინსტიტუციური ერთეულების მიერ ინდივიდუალურად ან კოლექტიურად ვრცელდება საკუთრების უფლება და რომელთა ფლობით (ან გამოყენებით) მათ ფლობელებს გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეუძლიათ ეკონომიკური სარგებლის მიღება.

აქტივებს არ მიეკუთვნება ადამიანისეული კაპიტალი, ბუნებრივი აქტივები, რომლებიც არ ითვლება ეკონომიკურ აქტივებად (მაგალითად, საჰაერო სივრცე) და გარანტიის ტიპის პირობითი აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენენ ფინანსურ აქტივებს (მაგალითად, ვალის დაფარვის გარანტია, რომელიც შემოთავაზებულია მესამე მხარის მიერ, საკრედიტო ხაზი და ა. შ.).

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა-93-ის შესაბამისად, ყველა აქტივი იყოფა სამ ძირითად ჯგუფად — არაფინანსური წარმოებული აქტივები, არაფინანსური არაწარმოებული აქტივები და ფინანსური აქტივები:

I. არაფინანსური აქტივები

1. არაფინანსური წარმოებული აქტივები

1.1. ძირითადი კაპიტალი

1.1.1. მატერიალური ძირითადი კაპიტალი

საცხოვრებელი ბინები

სხვა შენობები და ნაგებობები

მანქანები და მონყობილობები

კულტივირებადი აქტივები

1.1.2. **არამატერიალური ძირითადი კაპიტალი**

სასარგებლო ნიაღისეულის მოძიება

პროგრამული უზრუნველყოფა (კომპიუტერების)

ლიტერატურის, ხელოვნებისა და გასართობი ჟანრის ნანარმოებების ორიგინალები

სხვა არამატერიალური ძირითადი კაპიტალი

1.2. მატერიალური საბრუნავი კაპიტალის მარაგები

1.2.1. მასალებისა და ნედლეულის საწარმოო მარაგები

1.2.2. დაუმთავრებელი წარმოება

1.2.3. მზა პროდუქცია

1.2.4. საქონელი ხელმეორედ გასაყიდად

1.3. ფასეულობანი

1.3.1. ძვირფასი ქვები და ლითონები

1.3.2. ანტიკვარიატი და ხელოვნების სხვა ნიმუშები

1.3.3. სხვა ფასეულობები

ცნობისათვის: ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო საქონელი შინამეურნეობებში

2. არაფინანსური არაწარმოებული აქტივები

2.1. მატერიალური არანარმოებული აქტივები

2.1.1. მიწა

2.1.2. სასარგებლო ნიაღისეული

2.1.3. არაკულტივირებადი ბიოლოგიური რესურსები

2.1.4. წყლის რესურსები

2.2. არამატერიალური არანარმოებული აქტივები

2.2.1. დაპატენტებული ობიექტები

2.2.2. ხელშეკრულებები არენდის შესახებ და სხვა გადასაცემი ხელშეკრულებები

2.2.3. ნაყიდი გუდვილი (საქმიანი კავშირებისა და რეპუტაციის პირობითი ღირებულება)

2.2.4. სხვა არამატერიალური არანარმოებული აქტივები.

II. ფინანსური აქტივები

1. მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლებები

2. ნაღდი ფული და დეპოზიტები
3. ფასიანი ქაღალდები, აქციების გარდა
4. სესხები
5. აქციები და კაპიტალში მონაწილეობის სხვა სახეები
6. დაზღვევის ტექნიკური რეზერვები
7. კრედიტორებისა და დებიტორების სხვა ანგარიშები.

ცნობისათვის: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

არაფინანსური აქტივები — ინსტიტუციური ერთეულების მფლობელობაში არსებული ობიექტები, რომელთა ფლობას, შენახვასა და გამოყენებას მოაქვს რეალური ან პოტენციური ეკონომიკური სარგებელი დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში. წარმოშობის მიხედვით ისინი იყოფა **წარმოებულ** და **არაწარმოებულ აქტივებად.**

არაფინანსური წარმოებული აქტივები იქმნება საწარმოო პროცესის შედეგად და შედგება სამი ძირითადი ელემენტისაგან: **ძირითადი კაპიტალი, მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგები და ფასეულობანი.**

ძირითადი კაპიტალი — ეს არის საწარმოო აქტივები, რომლებიც საწარმოო პროცესში გამოიყენება მრავალჯერ ან მუდმივად ერთი წლისა და მეტი ხნის განმავლობაში. ამ ჯგუფის შემადგენლობაში არ შედის წვრილი ინსტრუმენტი და ინვენტარი, სამხედრო აღჭურვილობის ზოგიერთი სახე (დამანგრეველი საშუალებები) და ა.შ. **ძირითადი კაპიტალი იყოფა მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებად.**

მატერიალური ძირითადი კაპიტალია — საცხოვრისები, შენობა-ნაგებობანი, მანქანები და მოწყობილობები, კულტივირებადი აქტივები.

საცხოვრისს მიეკუთვნება შენობები, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ გამოიყენება საცხოვრებლად ბინების სახით, მათ შორისაა საცხოვრისებთან დაკავშირებული ნაგებობანი, მაგალითად, ავტოფარეხი და ყველა მონყობილობა, რომელიც ჩვეულებრივ გვხვდება საცხოვრებელ შენობებში, აგრეთვე მცურავი სახლები, გადასატანი სახლები და სახლი-ფურგონები, რომლებიც გამოიყენება როგორც მოსახლეობის ძირითადი საცხოვრისი, აგრეთვე ისტორიული ძეგლები, იდენტიფიცირებული, ძირითადად, როგორც საცხოვრებელი შენობები.

შენობები და ნაგებობანი — ეს არის არასაცხოვრებელი შენობები და ნაგებობანი (მაგალითად, საწყობები, სამრეწველო და სავაჭრო საწარმოების შენობები, სასტუმროები, რესტორნები, სასწავლო შენობები და საავადმყოფოები, გზატკეცილები, ხიდები, მეტროპოლიტენი, კაშხლები, კავშირგაბრუნებისა და ელექტროგადამცემი ხაზები, მაგისტრალური მილგაყვანილობები და სხვ.).

მანქანები და მოწყობილობები — ესაა ადამიანებისა და ტვირთის გადასაზიდი სატრანსპორტო საშუალებები. ეროვნული სიმდიდრის ეს ელემენტი არ მოიცავს შინამეურნეობების მიერ საბოლოო მოხმარებისათვის შეძენილ მანქანებსა და მონყობილობებს (მაგალითად, ავტომობილი). ისინი აღირ-

იცხება საცნობარო მუხლში — „ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო საქონელი შინამეურნეობებში". მაგრამ, თუ ასეთი მანქანები და მოწყობილობანი გამოიყენება შინამეურნეობაში საწარმოო პროცესის განსახორციელებლად, მაშინ ისინი მიკუთვნება ძირითად კაპიტალს.

კულტივირებადი აქტივები — სოფლის მეურნეობაში ძირითადი კაპიტალის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი, რომელიც მოიცავს პროდუქტული, საჯიშე და მუშა პირუტყვის, ხეხილის ბაღების, ვენახებისა და სხვა რეგულარულად მსხმოიარე მცენარეების პლანტაციების ღირებულებას. კულტივირებადი აქტივები, თუ მათ არ მიუღწევიათ სიმწიფის ასაკისათვის (არასხმოიარე), ამ კატეგორიაში ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი იწარმოება საკუთარი მოხმარებისათვის.

არამატერიალური ძირითადი კაპიტალი შედგება სასარგებლო წიაღისეულის საძიებო ხარჯებისაგან, იმ ობიექტების ღირებულებებისგან, რომლებიც შექმნილია ადამიანის შრომით და წარმოდგენილია ინფორმაციის სახით ელექტროგამოთვლითი მანქანების (კომპიუტერების) პროგრამულ უზრუნველყოფაში, აგრეთვე ლიტერატურის, ხელოვნებისა და გასართობი ჟანრის ნაწარმოებების ორიგინალებისაგან. ამ ჯგუფის შემადგენლობაში შედის აგრეთვე კომპიუტერული ბაზის გაფართოებისათვის, შეძენისა და დამუშავებისათვის საჭირო მსხვილი დანახარჯები. იგულისხმება, რომ ეს ბაზები გამოიყენება ერთ წელზე მეტი ვადით, მიუხედავად იმისა, ხდება თუ არა მათი რეალიზაცია ბაზარზე.

ძირითადი კაპიტალი, როგორც ეროვნული სიმდიდრის ძირითადი ელემენტი, ტრადიციულად აღირიცხება სახელმწიფო სტატისტიკის მიერ. მაგრამ საქართველოსთვის გამოანგარიშებული ძირითადი კაპიტალის მაჩვენებლები ჯერჯერობით სრულად არ ემთხვევა ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში გამოყენებული ძირითადი კაპიტალის კატეგორიას.

მაგალითად, სტატისტიკურ პრაქტიკაში ძირითად კაპიტალს მიეკუთვნება მხოლოდ მთლიანად დასრულებული ობიექტები, მაშინ, როდესაც ეას-ის შესაბამისად აქტივები უნდა ჩაითვალოს ძირითადი კაპიტალის შემადგენლობაში იმ მომენტიდან, როდესაც ისინი გადავიდნენ მფლობელის საკუთრებაში.

ეას-ის შესაბამისად, ძირითადი კაპიტალის კომპონენტების შემადგენლობაში, რომელიც წარმოების ხანგრძლივი ციკლის შედეგია, შეიძლება გავითვალისწინოთ დაუმთავრებელი ობიექტების ღირებულება, თუ: ისინი მწარმოებლიდან მომხმარებლის მფლობელობაში გადავიდნენ. მათი ანაზღაურება ეტაპობრივად მოხდა, ან ობიექტს აწარმოებს თვით მომხმარებელი (შენობებისა და ნაგებობების დაუმთავრებელი მშენებლობა, გემების, თვითმფრინავების დაუმთავრებელი მშენებლობა, მოზარდეული საქონელი, მრავალწლიანი ნარგავების ახალგაზრდა პლანტაციები და ა. შ.).

მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგებს მიეკუთვნება საქონელი, რომელიც შექმნილია მიმდინარე ან წინა პერიოდში და ინახ-

ება გასაყიდად, ანდა მათი გამოყენება წარმოებაში მოგვიანებითაა გათვალისწინებული. ესენია: მასალებისა და ნედლეულის საწარმოო მარაგები, დაუმთავრებელი ნარმოება, გადასაყიდი საქონელი, სახელმწიფო მატერიალური რეზერვები, ე.ი. სტრატეგიული მასალების მარაგები, ხორბალი და სხვა საქონელი, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ქვეყნისათვის და ინახება მთავრობის მიერ საგანგებო მდგომარეობისათვის.

საწარმოო მარაგების შემადგენლობაში შედის ნედლეული, მასალები, სათბობი, ინსტრუმენტები, თესლი, საკვები და სხვა საქონელი, რომლებსაც მათი მფლობელი გამოიყენებს შუალედური მოხმარებისათვის საკუთარ სანარმოო პროცესში, ე.ი. საქონელი, რომელიც გადასაყიდად არ არის განკუთვნილი. ნედლეულისა და მასალების საწარმოო მარაგის დამახასიათებელი თავისებურებაა ის, რომ, როგორც წესი, ისინი გამოიყენება წარმოების ერთი ციკლის განმავლობაში და მათი ღირებულება სრულად გადადის მათგან ან მათი მონაწილეობით წარმოებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებაში.

დაუმთავრებელი წარმოება — ესაა საქონელი და მომსახურება, რომელთა წარმოება დაწყებულია, მაგრამ მთლიანად არ არის დამთავრებული და გაგრძელებული იქნება იმავე მწარმოებლის მიერ მომავალ პერიოდში. გამოირიცხება ნაწილობრივ დამთავრებული საქონელი და მომსახურება, რომელთა მიმართ ითვლება, რომ საბოლოო მფლობელმა მიიღო მასზე საკუთრების უფლება, ე.ი. ან წარმოება ხორციელდება საკუთარი მოხმარებისათვის, ან აღნიშნული დასტურდება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით.

მზა პროდუქტი — ესაა საქონელი, რომელიც მზადაა გასაყიდად, ან სხვა სამეურნეო ერთეულებისათვის გასაგზავნად.

აღსანიშნავია, რომ საქონელი, რომელსაც აქვს ერთნაირი ნატურალურნივთობრივი ფორმა, შეიძლება მივაკუთნოთ ეროვნული სიმდიდრის სხვადასხვა ელემენტს, იმისდა მიხედვით, თუ როგორ გამოიყენება მოცემულ მომენტში.

მაგალითად, ჩარხი, რომელიც გამოიყენება საწარმოო პროცესში, ანდა რომელიც უნდა დამონტაჟდეს საწარმოში, შედის ძირითადი კაპიტალის შემადგენლობაში, ხოლო ასეთივე ჩარხი, რომელიც საწარმო-დამამზადებლის მზა პროდუქციის საწყობში იმყოფება, მიეკუთვნება მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგის კატეგორიას.

საქონელი გადასაყიდად წარმოადგენს სავაჭრო ორგანიზაციებში არსებული და გასაყიდად განკუთვნილი საქონლის ღირებულებას.

აქტივების ამ კლასიფიკაციაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ახალი მუხლები, რომლებიც შევიდა ეროვნული სიმდიდრის შემადგენლობაში. უპირველესად, ეს არის ფასეულობები, ე.ი. საქონელი, რომლებიც ინარჩუნებენ ღირებულებას ხანგრძლივი დროის განმავლობაში და მათი შეძენა ხდება არა სანარმოო ან პირადი მოხმარების მიზნით, არამედ, ძირითადად, როგორც

ღირებულების შენახვის საშუალება ინფლაციის ან ეკონომიკური არასტაბილურობის პერიოდში.

ეას-ის წინა ვარიანტში ფასეულობათა შეძენა, ძირითადად, აისახებოდა საბოლოო მოხმარების ხარჯების შემადგენლობაში. ახალ მუხლებს მიეკუთვნება, აგრეთვე, კაპიტალიზებული ხარჯები (გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები), ელექტროგამოთელითი მანქანების (კომპიუტერების) პროგრამული უზრუნველყოფა, მხატვრული და ლიტერატურული ნაწარმოებების ორიგინალები). ფინანსურ აქტივებში შედის ფინანსური წარმოებულები (ოფციონები, სვოპები და სხვ.).

ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო საქონლის ღირებულება შინამეურნეობებში, რომელიც თავისი ეკონომიკური შინაარსით არის შინამეურნეობის სექტორის არაფინანსური წარმოებული აქტივები, რეკომენდებულია ავსახოთ შინამეურნეობის სექტორის ანგარიშის დამხმარე ცხრილში, რადგან ეას-93-ში ამ ჯგუფში შემავალი მატერიალური დოვლათის ღირებულება მიეკუთვნება არა დაგროვებას, არამედ მოხმარებას.

ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო საქონელი შინამეურნეობაში, ე.ი. მოსახლეობის მიერ დაგროვილი საოჯახო ქონება სტატისტიკურ პრაქტიკაში განიხილება როგორც ერიოვნული სიმდიდრის ძირითადი ელემენტი. ასეთი ელემენტის აღრიცხვა რთულია, რადგან სახელმწიფო სტატისტიკური ანგარიშგებისა და საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებით მოსახლეობის მიერ დაგროვილი საოჯახო ქონების ღირებულების უშუალოდ განსაზღვრა შეუძლებელია.

ამ მაჩვენებლის გაანგარიშება წარმოებს უწყვეტი ინვენტარიზაციის მეთოდით. ამასთანავე, საბიუჯეტო გამოკვლევის მასალებზე დაყრდნობით და საცალო საქლონელბრუნვის მონაცემების მიხედვით, განისაზღვრება მოსახლეობის მიერ ხანგრძლივი მოხმარების საქონლის ცალკეული სახეების (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ავეჯი, ჭურჭელი, ავტომანქანა და ა.შ.) შესაძენად დახარჯული თანხა და ყოველი სასაქონლო ჯგუფის მიხედვით დგინდება ასეთი ქონების მომსახურების საშუალო ვადა.

მაგალითად, გამათბობელი დანადგარების ღირებულება, რომელთაც აქვთ 10-წლიანი მომსახურების ვადა, გამოიანგარიშება ბოლო 10 წლის განმავლობაში არსებული ფასებით მათი გაყიდვების შესახებ მონაცემების ჯამით.

ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო საქონლის ღირებულება პერიოდის ბოლოსათვის გაიანგარიშება ახლად შეძენილი ხანგრძლივი მოხმარების საქონლის ღირებულების დამატებით წლის განმავლობაში დაგროვებული ქონების ღირებულებაზე და მწყობრიდან გამოსული საქონლის ღირებულების გამოკლებით, რომელიც გაიანგარიშება როგორც შეძენილი საქონლის ღირებულების ფარდობა მომსახურების საშუალო ვადასთან.

სტატისტიკურ პრაქტიკაში საოჯახო ქონების ღირებულება არ ითვლება ხანგრძლივი მოხმარების საგნებში, რომლებიც შეძენილია ქვეყნის ფარგ-

ლებს გარეთ პირადი მოხმარებისათვის და აღურიცხავია ქვეყნის ტერიტორიაზე განთავსებული სანარმოების საქონელბრუნვაში.

ეას-93-ის მეთოდოლოგიის შესაბამისად, ძირითადი კაპიტალი და შინამეურნეობების ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო საქონელი (საოჯახო ქონება) უნდა იქნეს შეფასებული აღდგენითი ღირებულებით ცვეთის გამოკლებით, ხოლო მატერიალური საბრუნავი საშუალებები — სრული აღდგენითი ღირებულებით.

არაფინანსური არაწარმოებული აქტივები — ეს ის აქტივებია, რომლებიც სანარმოო პროცესის შედეგს არ წარმოადგენენ. ისინი იყოფა მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებად.

ყველა მატერიალური არაწარმოებული აქტივი ბუნებრივი წარმოშობისაა — მინა, წიაღისეული რესურსები, არაკულტივირებადი ბიოლოგიური და წყლის რესურსები. ამ ჯგუფში გაერთიანებული ბუნებრივი რესურსების თავისებურებაა ის, რომ მათზე საკუთრების უფლება შეიძლება გადავიდეს ერთი სუბიექტიდან მეორეზე. თუ ასეთი უფლება არ იქნება დადგენილი, მაშინ შესაბამისი ელემენტი ეროვნულ სიმდიდრედ არ ჩაითვლება (მაგალითად, ზღვა ან საჰაერო სივრცე). მოცემული ელემენტის ღირებულებითი შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ამ აქტივებზე საკუთრების უფლების გადაცემასთან და მათ გაუმჯობესებასთან.

სტატისტიკა ცნობს ეროვნულ სიმდიდრეში ეკონომიკურ ბრუნვაში არსებული ბუნებრივი რესურსების ჩართვის აუცილებლობას, მაგრამ მოცემული ელემენტის ღირებულებითი შეფასების არარსებობის გამო, მათი აღრიცხვა მხოლოდ ნატურალურ გამოსახულებაში წარმოებს.

მიწას მიეკუთვნება ზედაპირული მიწები, მათ შორის, რომლებიც ფარავს ნიადაგს და ნებისმიერი ზედაპირული წყლები, რომლებზეც დადგენილია საკუთრების უფლება. დანახარჯები, მიმართული მიწის გაუმჯობესებაზე, აგრეთვე ხარჯები, რომლებიც გამოწვეულია მინაზე საკუთრების უფლების გადაცემით, შედის მიწის ღირებულებაში.

ნიაღისეული რესურსები – ეს არის სასარგებლო წიაღისეულის დაზვერილი მარაგები (ქვანახშირი, ნავთობი და ბუნებრივი აირი, რკინის მადანი, ფერადი და კეთილშობილი ლითონები, არამადნეული სასარგებლო წიღისეული), რომლებიც განლაგებულია მიწის ზედაპირზე ან მიწის წიაღში და ეკონომიკური თვალსაზრისით ვარგისია ექსპლუატაციისათვის.

არაკულტივირებული ბიოლოგიური რესურსების შემადგენლობაში შედის პროდუქტიული მცენარეები და ცხოველები, რომელთა ბუნებრივი ზრდა და განახლება პირდაპირ არ კონტროლდება ინსტიტუციური ერთეულების მიერ, მაგრამ ისინი შეიძლება გამოყენებული იქნეს ეკონომიკური მიზნებისათვის (ველური ტყე, თევზი ბუნებრივ წყალსატევებში და და ა.შ.). არაკულტივირებული ბიოლოგიური რესურსები ეკუთვნის ეროვნულ სიმდიდრეს იმ ნაწილში, რომელზეც დადგენილია საკუთრების უფლება.

წყლის რესურსებს მიეკუთვნება წყლის გამტარები ფენები და სხვა მინისქვეშა წყლები, თუ მათ შეზღუდულობას მივყავართ საკუთრების უფლების დადგენამდე ან გამოყენებამდე, საბაზრო შეფასებამდე და გარკვეული დოზით ეკონომიკურ კონტროლამდე.

არამატერიალური არანარმოებული აქტივები იქმნება სანარმოო პროცესის გარეთ და მათზე საკუთრების უფლება დგინდება შესაბამისი იურიდიული ანდა სააღრიცხვო ქმედებით. მათ რიცხვში შედის დოკუმენტები, რომლებიც მათ მფლობელებს უფლებას აძლევს განახორციელონ საქმიანობის რომელიმე სახე და კრძალავს ამ საქმიანობას სხვა ინსტიტუციური ერთეულებისათვის, გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევა, როცა მფლობელისაგან მიღებულია სპეციალური ნებართვა. აქტივების ეს ჯგუფი მოიცავს: დაპატენტებულ ობიექტებს, საავტორო უფლებებს, საარენდო ხელშეკრულებებს და სხვა ხელშეკრულებებს, გუდვილს და სხვა არამატერიალურ არანარმოებულ აქტივებს. გუდვილის ღირებულება განისაზღვრება იმისდა მიხედვით, თუ რა აძლევს გრძელვადიან სარგებლს სანარმოს და ცალკე არ იდენტიფიცირდება როგორც აქტივი — ესაა ფირმის დასახელება, საქმიანი კავშირები, გამოყენებული სავაჭრო ნიშნები და ა.შ.

ფინანსური აქტივები – აქტივებია, რომელთა უმრავლესობა წარმოადგენს მოთხოვნას სხვა ინსტიტუციური ერთეულებისადმი, ე.ი. მათ უპირისპირდება სხვა ერთეულების ფინანსური ვალდებულებანი. ფინანსური აქტივების ზოგიერთი კატეგორიის (მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლებები) მიმართ ფინანსური ვალდებულებანი საერთოდ არ არსებობს. ფინანსური ვალდებულებები წარმოიშობა ორ ინსტიტუციურ ერთეულს შორის სახელშეკრულებო ვალდებულებებით, რომელთაგან ერთი კრედიტორია (ინვესტორი), ხოლო მეორე -- მსესხებელი (მოვალე). ფინანსური მოთხოვნილებების უმეტესობა ნარმოიქმნება კრედიტორების მიერ განსაზღვრული რესურსების მსესხებელზე გადაცემის დროს. ამ დროს კრედიტორი იძენს მოთხოვნას მსესხებლისგან, ხოლო მსესხებელი იღებს თავის თავზე კრედიტორისთვის ვალის გადახდის ვალდებულებას.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაციაში ფინანსური ინსტრუმენტები განლაგებულია კლებადი ლიკვიდურობის მიხედვით. შედარებით მაღალი ლიკვიდურობით გამოირჩევა ის ფინანსური აქტივები, რომლებიც შეიძლება იქნეს გადაცვლილი მოთხოვნისთანავე, ფინანსური საჯარიმო სანქციების გარეშე, სხვა აქტივებზე, მომსახურებასა და საქონელზე. მათ მიეკუთვნება ოქრო, ნაღდი ფული და დეპოზიტები.

მონეტარული ოქრო საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო საგადასახადო საშუალებაა. იგი მიეკუთვნება ქვეყნის ფულად-საკრედიტო რეგულირების ორგანოებს ან მათი ფაქტობრივი კონტროლის ქვეშ მყოფ ერთეულებს და ინახება საზღვარგარეთის სავალუტო რეზერვების კომპონენტის სახით. ყველა დანარჩენი ოქრო, რომელსაც ფლობენ დაწესებულებები, ორგანიზაციები (მათ შორის კომერციული ბანკები) და ფიზიკური პირები,

ეას-ში განიხილება როგორც საქონელი, მატერიალური საბრუნავი საშუალებების, ანდა ფასეულებების მარაგი.

ნასესხობის სპეციალური უფლებები — ესაა საერთაშორისო სარეზერვო აქტივები, შექმნილი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ და ნაწილდება მათ ნევრებს შორს არსებული სარეზერვო აქტივების შესავსებად. ისინი ნარმოადგენენ სხვა სარეზერვო აქტივების შეძენის უფლებას (უცხოურ ვალუტაში).

ნაღდი ფული — ესაა ყველა ბანკნოტი და მონეტა მიმოქცევაში და რომლებიც ჩვეულებისამებრ გამოიყენება გადახდისათვის, იმისდა მიუხედავად, ნარმოადგენენ თუ არა ისინი მოცემული ქვეყნის ფულად ერთეულს. ამასთან, აქტივების შემადგენლობიდან გამოირიცხება ის მონეტები, რომლებიც არ იმყოფება მიმოქცევაში, მაგალითად, საიუბილეო ან საკოლექციო.

დეპოზიტები (ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში) ნაღდ ფულთან ერთად შეიძლება გამოყენებულ იქნეს გადახდის საშუალებად. ამრიგად, ისინი შედიან ფართო გაგებით განსაზღრული ფულადი მასის შემადგენლობაში (ფულადი აგრეგატი M2). დეპოზიტი შეიძლება გამოვიყენოთ როგორც გადახდის საშუალება ანგარიშიდან ნაღდი ფულის მოხსნის გზით, ან ჩეკების სახით.

ფასიან ქაღალდს, გარდა აქციებისა, როგორც ნესი, ყიდიან და ყიდულობენ ფინანსური ბაზარზე და მათ მფლობელებს აძლევს უფლებას მიიღონ განსაზღვრული ფულადი შემოსავლები. ამ ჯგუფში შემავალ აქტივებს მიეკუთვნება ობლიგაციები, თამასუქები, სავალო ვალდებულებები და ა.შ.

სესხები — ეს ფინანსური აქტივებია, რომლებიც იქმნება კრედიტორების მიერ დებიტორებზე თანხების გადაცემისას პირდაპირ ან ბროკერების მეშვეობით. ამ დროს დამოკიდებულება მოვალესა და კრედიტორს შორის შეიძლება დადგენილ იქნეს შესაბამისი დოკუმენტით, თუმცა ასეთი ფასიანი ქაღალდების არსებობა არ არის სავალდებულო.

აქციები და კაპიტალში მონაწილეობის სხვა სახეები — ესაა ფინანსური აქტივები, რომლებიც წარმოადგენენ საკუთრების უფლებას კორპორაციის ან კვაზიკორპორაციის აქტივებზე. ისინი, ჩვეულებრივ, უფლებას აძლევს მათ მფლობელებს კორპორაციის ან კვაზიკორპორაციის მოგების წილზე ან მემკვიდრეობით წილზე ლიკვიდაციის შემთხვევაში. აქციები შეიძლება იყოს **კოტირებული** (ის ფასიანი ქაღალდები, რომლებზეც ფასები კოტირებულია და აღიარებულია საფონდო ბირჟაზე ან სხვა ფორმის მეორად ბაზრზე) და **არაკოტირებული** (აქციები, რომლის კოტირება არ ხდება ბაზარზე).

სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები — ესაა აქტივები სადაზღვევო პოლისების მფლობელთათვის და ვალდებულებები სადაზღვევო კომპანიებისათვის (სიცოცხლის დაზღვევის ანდა დაზღვევის სხვა სახის მიხედვით), აგრეთვე საპენსიო ფონდებისათვის.

დებიტორებისა და კრედიტორების სხვა ანგარიშები — ეს არის ფინანსური აქტივები სავაჭრო კრედიტების, ავანსებისა და სხვა დებიტორული

და კრედიტორული დავალიანებების სახით. ისინი იქმნებიან, როგორც შესაბამისი ფინანსური და არაფინანსური ოპერაციების ანალოგები, როდესაც ადგილი აქვს დროში სხვაობას მოცემულ ოპერაციასა და მის შესაბამის გადახდას შორის.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გამოიყოფა საცნობაროდ მთლიანად ეკონომიკისა და მისი თითოეული სექტორის მიხედვით, რადგანაც მათი შესაბამისი ფინანსური აქტივები, ანდა ვალდებულებები გაითვალისწინება ზემოთ ხსენებულ ჯგუფებში (აქციები, სესხები და ა.შ.), თუმცა ასეთი ინვესტიციების საერთო თანხის ცოდნა აუცილებელია აქტივებისა და პასივების ბალანსის დასაკავშირებლად ეას-ის სხვა ანგარიშებთან, აგრეთვე საგადასახდელო ბალანსთან.

ეროვნული სიმდიდრის სტატისტიკის სრულყოფის ზოგიერთი პრობლემა

ეროვნული სიმდიდრის სტატისტიკის სრულყოფის პრობლემები მუდმივად განიხილება სპეციალურ ლიტერატურაში და სხვადასხვა კონფერენციებზე.

მაგალითად, ცნობილია, რომ არსებობდა წინადადება, რათა ეროვნულ სიმდიდრეში სხვა ელემენტებთან ერთად გაერთიანებულიყო ადამიანისეული კაპიტალიც[1]. მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტი რომ, ეროვნული სიმდიდრის გამოანგარიშების მეთოდოლოგიაში ცვლილებების შეტანა, რასაც გვთავაზობს ზოგიერთი დამოუკიდებელი მეცნიერი, მათი რეალიზაციის შემთხვევაში ცვლილებებს გამოიწვევს მთლიანი შიდა პროდუქტისა და ეას-ის სხვა მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგიაში. ეს კი დაარღვევს მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური ცვლადების საერთაშორისო შესადარისობას, რადგან ეას-ში ეროვნული სიმდიდრის მაჩვენებელსა და სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის მკაფიო შესაბამისობაა ჩამოყალიბებული.

ასე, მაგალითად, ეროვნულ სიმდიდრეში ადამიანისეული კაპიტალის შეტანა ნიშნავს იმას, რომ ზოგიერთი ხარჯი, რომელიც მშპ-ის შემადგენლობაში ასახულია როგორც საბოლოო, უნდა გარდაიქმნას შუალედურად

[1] Gary S. Becker (1964, 1993, 3rd ed.). Human Capital: A Theoretical and Empirical Analysis, with Special Reference to Education. Chicago, University of Chicago Press (2007).; Samuel Bowles & Herbert Gintis (1975). "The Problem with Human Capital Theory--A Marxian Critique," American Economic Review, 65(2Sherwin Rosen (1987). "Human capital," The New Palgrave: A Dictionary of Economics, v. 2, Seymour W. Itzkoff (2003). Intellectual Capital in Twenty-First-Century Politics. Ashfield, MA: Paideia.

(დაკავშირებული ადამიანისეული კაპიტალის შექმნასთან), ხოლო მეორე მხრივ, დაგროვების შემადგენლობაში (როგორც მშპ-ის გამოყენების მუხლები) უნდა გაჩნდეს ახალი მუხლი — ადამიანისეული კაპიტალის დაგროვება.

ეას-93-ის ავტორები გამოდიან იქიდან, რომ მიუხედავად ეკონომიკური ანალიზისათვის ადამიანისეული კაპიტალის კონცეფციის მნიშვნელობისა, აუცილებელია შემდგომი კვლევითი და ექსპერიმენტული სამუშაოების გაგრძელება ამ მაჩვენებლების შინაარსისა და მისი შეფასების მეთოდების განმარტების მიზნით. სპეციალურ ლიტერატურაში ფორმულირებულია ადამიანისეული კაპიტალის კონცეფციის სხვადასხვა ინტერპრეტაცია, თუმცა მათი რეალიზაცია ოფიციალურ სტატისტიკაში ჯერ კიდევ ძალიან რთულია. ადამიანისეული კაპიტალის ყველაზე ტრადიციული განმარტება გულისხმობს კუმულაციურ დანახარჯებს აღზრდაზე, განათლებაზე, პროფესიულ მომზადებაზე და ა.შ.[1]

თეორიულ ჭრილში ცნობილია უფრო პროგრესული კონცეფციები. მაგალითად, დასავლელი ეკონომისტები გვთავაზობენ შევაფასოთ ადამიანისეული კაპიტალი, როგორც მომავალი შემოსავლების ნაკადი, საზოგადოების ნევრების მიერ გენერირებული და გარკვეული სახით დისკონტირებული ამ შემოსავლების მიმდინარე შეფასებების მისაღებად. ცხადია, ადამიანისეული კაპიტალის განსაზღვრისადმი ასეთი მიდგომა საინტერესოა თეორიული თვალსაზრისით, მაგრამ ჯერჯერობით მიუღებელია ოფიციალური სტატისტიკის ორგანოებისათვის. ამრიგად, უახლოეს მომავალში ადამიანისეული კაპიტალის ჩართვა ეროვნული სიმდიდრის ოფიციალურ შეფასებაში ნაკლებადაა შესაძლებელი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ უნდა გაგრძელდეს მუშაობა ამ მიმართულებით და არ უნდა გაკეთდეს ალტერნატიული შეფასებები.

ყურადღებას იმსახურებს ეროვნული სიმდიდრის შეფასების შესახებ ნინადადებები. კერძოდ, არსებობს მოსაზრება, რომ ერთმანეთისგან განვასხვაოთ **ეროვნული კაპიტალისა და ეროვნული სიმდიდრის კონცეფცია.** მათ შორის განსხვავება, ცალკეული მეცნიერის აზრით[2], ეხება აქტივების შეფასების მეთოდებს. ეროვნული კაპიტალი უნდა შეფასდეს საბაზრო ფასებით, ხოლო ეროვნული სიმდიდრე — რომელიმე **პირობითი ფასებით** ან ისეთი მაჩვენებლებით, რომლებიც ასახავენ აქტივების საზოგადოებრივ მნიშვნელობას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეას-ში **ქვეყნის კაპიტალის წმინდა ღირებულება საბაზრო ფასებში გაიგივებულია ეროვნულ სიმდი-**

---

[1] Нестеров Л. и Аширова Г. Национальное богатство и человеческий капитал. „Вопросы экономики". 2003, №2. К вопросам теории и методологии национального богатства: (Пробл. нац. богатства в тр. В.Н.Богачева): [Сб. ст.] / Рос. акад. наук. Ин-т экономики; Под ред. Бухвальда Е.М., Костяшкина Н.А - М., 1994,

[2] Особенности воспроизводства национального богатства в начале XXI века / Отв. ред. Нестеров Л.И. - М.: Наука, 2006. Хорошев С. Стоимость национального богатства России // Финансовый контроль. – 2003.

დრესთან. აქტივების შეფასების სხვა მეთოდის გამოყენება (გარდა საბაზრო ფასებისა) მიუღებელია ეროვნული სიმდიდრის ოფიციალური სტატისტიკისათვის შემდეგი მიზეზების გამო:

- ყველა მაკროეკონომიკური მაჩვენებელი (მშპ, დაზოგვა, ინვესტიციები და სხვ.) გაიანგარიშება საბაზრო ფასებში და ეროვნული სიმდიდრის შეფასება სხვა რომელიმე პირობითი ფასებით (რომელიც გამოსახავს აქტივების მნიშვნელობას) არ მოგვცემდა იმის საშუალებას, რომ თვალი მივადევნოთ და გავაანალიზოთ ურთიერთკავშირი აღნიშნულ ცვლადებს შორის, ე.ი. შეუძლებელი იქნებოდა მშპ-ს შეფასებისა და ეროვნული სიმდიდრის შეფასების შედარება, ანდა კავშირის დადგენა ეროვნული სიმდიდრისა და ეროვნული დაზოგვის ცვლილებებს შორის;
- ეროვნული სიმდიდრის ოფიციალური შეფასების პირველად წყაროდ გვევლინება საბუღალტრო აღრიცხვა და სანარმოებისა და ორგანიზაციების სტატისტიკური ანგარიშგება, სადაც აქტივები და ოპერაციები ფასდება (ან უნდა ფასდებოდეს) საბაზრო ფასებით;
- ეროვნული სიმდიდრის გამოყენების ეფექტიანობის განსაზღვრა გულისხმობს აქტივებისთვის მათი გამოყენებით მიღებული შემოსავლების მიკუთვნებას, რაც განისაზღვრება შესაბამისი ოპერაციების საბაზრო ფასებით შეფასების საფუძველზე.

აქტივების საზოგადოებრივი სარგებლიანობის ამსახველი ეროვნული სიმდიდრის მაჩვენებლის პირობით ერთეულებში შეფასების მომხრეების მიერ არ არის ახსნილი (თუნდაც ზოგადად) ამ პირობითი საზომებისადმი მიდგომები. ნებისმიერ შემთხვევაში ამ საკითხების დამუშავება განეკუთვნება სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების კომპეტენციას. ზოგიერთი მეცნიერი[1], საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, გვთავაზობს აქტივების შესაფასებლად ჩრდილოვანი ფასების (shadow prices) გამოყენებას, მაგრამ ეს მეთოდი გამოყენებადია ცალკეულ სამეცნიერო კვლევებში და არა ოფიციალურ სტატისტიკაში.

ზოგიერთი მეცნიერი გვთავაზობს ეროვნული სიმდიდრის შეფასებაში საფონდო ბაზრის რხევების ასახვას[2]. ამ შემთხვევაში, როგორც წესი, ეროვნული სიმდიდრის შეფასება ხდება წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის. ამიტომ საფონდო ბაზრის რხევები წლის განმავლობაში შეიძლება მხედველობაში მიღებულ იქნეს მხოლოდ იმ ზომით, რა გავლენაც აქვს მას ფინანსურ აქტივებზე წლის ბოლოსათვის (მომავალი წლის დასაწყისი). ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ, რომ აქტივების ღირებულების ცვლილება საფონდო

---

[1] Ravi Kanbur (1987). "shadow pricing ," The New Palgrave: A Dictionary of Economics,v.4

[2] Kunte, Arundhati; Hamilton, Kirk; Dixon, John and Clemens, Michael. "Estimating National Wealth: Methodology and Results." Environment Department Paper 57. World Bank, Environment Department, Washington, D.C. (1998).

ბაზრის რხევების შედეგად, ეას-ში განისაზღვრება როგორც ჰოლდინგური მოგება (ზარალი), რომელსაც მიეკუთვნება პრაქტიკულად ყველა აქტივის ღირებულების ცვლილება ინფლაციური პროცესების შედეგად, აქტივების მარაგებში ყოფნის დროს.

ამრიგად, ეროვნული სიმდიდრე წლის ბოლოსათვის უდრის ეროვნულ სიმდიდრეს წლის დასაწყისისათვის + ეროვნული დანაზოგები + კაპიტალური ტრანსფერების სალდო, რომელიც მიღებულია საზღვარგარეთიდან, + ჰოლდინგური მოგება (ნაგება) + სხვა ცვლილებები აქტივების მოცულობაში (მაგალითად, ახლად აღმოჩენილი სასარგებლო ნიაღისეულის მარაგის ჩართვა ეკონომიკურ ბრუნვაში ან ექსპლუატირებული სასარგებლო წიაღისეულის გამოფიტვა). ეს იგივეობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ეროვნული სიმდიდრის მაჩვენებლების კავშირს სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან.

ეროვნული სიმდიდრის სტატისტიკის რთული პრობლემაა ძირითადი კაპიტალის ნარჩენი ღირებულების განსაზღვრა, ვინაიდან ძირითადი კაპიტალის ამორტიზაციის განსაზღვრა საბუღალტრო ანგარიშებში არ შეესაბამება ეას-ის პრინციპებს.

მაგალითად, საბუღალტრო ანგარიშებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს დაჩქარებული ამორტიზაციის მეთოდები, რომელიც მიუღებელია ეროვნულ ანგარიშგებაში. გარდა ამისა, საბუღალტრო ანგარიშებში ძირითადი კაპიტალი ხშირად აისახება ბალანსში მათი თავდაპირველი ღირებულების მიხედვით და ამორტიზაციაც ამის საფუძველზე ფასდება, ხოლო ეას-ში ძირითადი კაპიტალი (და ძირითადი კაპიტალის გამოყენება) უნდა შეფასდეს აღდგენითი ღირებულებით, ე.ი. იმ ფასებით, რომლებიც არსებობს ანგარიშების შედგენის, ანდა შესაბამისი მაკროეკონომიკური გაანგარიშების მომენტისათვის. ეროვნულ ანგარიშებში ძირითადი კაპიტალის მოხმარების განსაზღვრა საკმაოდ რთულიად გასაანგარიშებელია, რიგ შემთხვევებში ამ მიზნისათვის გამოიყენება უნყვეტი ინვენტარიზაციის მეთოდი.

ამ სირთულეებით არის განპირობებული მშპ-სა და სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშება ძირითადი კაპიტალის მოხმარების გამორიცხვამდე. ამასთან, ეკონომიკური ანალიზის ზოგიერთი მიმართულებისათვის მიზანშეწონილია ძირითადი კაპიტალის შეფასება სრული ღირებულების მიხედვით (ძირითადი კაპიტალის მოხმარების გამორიცხვამდე).

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს **ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ასახვა ეროვნული სიმდიდრის გაანგარიშებებში**. ეროვნული სიმდიდრის სტატისტიკაში ყოფილ საბჭოთა კავშირში ფინანსური აქტივები და ვალდებულებები მხედველობაში არ მიიღებოდა, რადგანაც ეს აქტივები ფიქციურ კაპიტალად ითვლებოდა. გარდა ამისა, ეროვნული სიმდიდრის სტატისტიკაში არ იყო ეკონომიკის ცალკეული სექტორის რესურსების შეფასების მცდელობა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ არ არსებობდა ურთიერთდაკავშირებული ფინანსური მოთხოვნების შეფასების აუცილებლობა

სხვადასხვა სექტორს შორის. თუმცა თანამედროვე პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების განსაზღვრა მნიშვნელოვანი პირობაა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალისა და ეკონომიკის ცალკეული სექტორების კაპიტალის წმინდა ღირებულების შესაფასებლად. ეს დაკავშირებულია იმ როლთან, რასაც საბაზრო ეკონომიკაში ასრულებს დაკრედიტებისა და სესხების ოპერაციები, რომელთა არსი მდგომარეობს ფინანსური აქტივების შეძენასა და ვალდებულებების აღებაში.

სსფ, საგადასახდელო ბალანსის სახელმძღვანელოში (რომელიც საერთაშორისო სტანდარტია სტატისტიკის ამ დარგში) რეკომენდაციას იძლევა, ქვეყნის ცენტრალურმა ბანკებმა შეადგინონ ცხრილი, რომელიც ნამოადგენს საგადასახდელო ბალანსის ლოგიკურ გაფართოებას. იგი მოიცავს მონაცემებს მოცემული ქვეყნის რეზიდენტების "დანარჩენი მსოფლიოსადმი" ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესახებ. მაჩვენებელთა ეს სისტემა, რომელიც ინოდება „საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციად", შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო ეროვნული სიმდიდრის გაანგარიშებებში, მაგრამ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მხოლოდ ახლა დაიწყო მათი გამოქვეყნება. მაჩვენებელთა ამ სისტემაში ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს საგარეო ვალის მაჩვენებელი და სხვა ქვეყნების საგარეო ვალები საქართველოსადმი. ეს კი აუცილებელია ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის ობიექტური შეფასებისა და ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ასპექტების ანალიზისათვის.

ეროვნული სიმდიდრის სტატისტიკის მეთოდოლოგიის მნიშვნელოვანი საკითხია მოსახლეობის სამომხმარებლო ქონების განმარტება, მათ შორის, ხანგრძლივი მოხმარების საგნებისა (ავტომანქანების, ტელევიზორების, მაცივრების და ა.შ.). ეას-93-ის შესაბამისად, ყველა სამომხმარებლო საქონლის შეძენა (გარდა სახლებისა) მიეკუთვნება საბოლოო მოხმარების ხარჯებს და შესაბამისად, მათი მარაგი არ შედის ეროვნულ სიმდიდრეში. ამავე დროს, ეას რეკომენდაციას იძლევა ვაჩვენოთ ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო საქონლის ღირებულება აქტივებისა და პასივების ბალანსის საცნობარო მუხლში. ამ საქონლის შეტანა ეროვნულ სიმდიდრეში განსაზღვრულ მოდიფიკაციას გამოიწვევდა მშპ-ის გაანგარიშების მეთოდოლოგიაში, მაგრამ ეას-93-ის ავტორებმა ეს მიზანშენონილად არ ჩათვალეს. აღსანიშნავია, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში ეროვნული სიმდიდრის სტატისტიკაში მხედველობაში იყო მიღებული შინამეურნეობების ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო საქონლის ღირებულება. მაგრამ ასეთი განმარტება არ იყო შეთანხმებული ეროვნული სიმდიდრის განმარტებასთან, რომლის შემადგენლობაში შედიოდა შინამეურნეობების ხარჯები ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო საქონლის შესაძენად.

ზოგიერთი ცნობილი საზღვარგარეთელი მკვლევარი (კერძოდ, ამერიკელი პროფესორი რ. აიზნერი)[1] წინადადებას იძლეოდა ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო საქონელი შეეტანათ ეროვნულ სიმდიდრეში და ამავდროულად განესაზღვრათ, ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო საქონლის გამოყენების პროცესში, შინამეურნეობების მიერ შექმნილი მომსახურების ღირებულება (მის შესატანად მშპ-ს შემადგენლობაში). ეს გულისხმობდა ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო საქონლის ამორტიზაციისა და ამ მომსახურების სხვა ხარჯების განსაზღვრის აუცილებლობას, მაგრამ ეას-93-ის ავტორებმა არ ჩათვალეს შესაძლებლად რ. აიზნერის წინადადების გაზიარება, რადგანაც მისი რეალიზაცია მოითხოვდა მშპ-ში პირობითად გაანგარიშებული სიდიდეების შეტანას.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ შინამეურნეობის საკუთრებაში არსებული ავტომობილების განმარტება. თუ ეს ავტომობილები გამოიყენება მშპ-ში შესული საქონლის საწარმოებლად (მაგალითად, ფერმერების მიერ ტვირთის გადასაზიდად), მაშინ ისინი ეას-93-ის შესაბამისად, განიხილება როგორც არაკორპორირებული სანარმოების აქტივები, რომლებიც მიეკუთვნება შინამეურნეობებს და ამიტომ ჩართული უნდა იყოს ეროვნულ სიმდიდრეში (იგივე შეიძლება ითქვას ხანგრძლივი მოხმარების სხვა საგნების განმარტების შესახებ, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს შინამეურნეობების არაკორპორირებული სანარმოების საწარმოო მიზნებისათვის). მაგრამ ავტომობილები, რომლებიც ეკუთვნის შინამეურნეობებს და გამოიყენება არასანარმოო მიზნებისათვის, არ უნდა იყოს შეტანილი ეროვნულ სიმდიდრეში, რადგან მათი შეძენა საბოლოო მოხმარების ხარჯებში აისახება.

ხანგრძლივი მოხმარების სამხედრო ქონება. ეას-93 განასხვავებს ხანგრძლივი მოხმარების სამხედრო ქონების ორ სახეს. ზოგიერთი ობიექტი ანალოგიურია იმ ობიექტებისა, რომლებიც გამოიყენება სამოქალაქო სამსახურის მიერ (აეროდრომები, გზები და ა.შ.) და სამხედრო სამსახურების ასეთი ობიექტების შეძენა მიეკუთვნება სახელმწიფო მართვის სექტორის ინვესტიციებს და, მაშასადამე, შეიტანება ეროვნულ სიმდიდრეში (როგორც სახელმნიფო მართვის სექტორის აქტივები). ხანგრძლივი მოხმარების სხვა სამხედრო ქონების (ტანკები, ქვემეხები, სარაკეტო დანადგარები და ა.შ.) შეძენა, რომლებიც გამოიყენება ან გათვალისწინებულია განადგურებისათვის, აღირიცხება როგორც სახელმწიფო მართვის სექტორის შუალედური მოხმარება და არ შეიტანება ეროვნული სიმდიდრის შემადგენლობაში. ასეთი

[1] Eisner, R., 1988, Extended Accounts for National Income and Product. Journal of Economic Literature. Eisner. R., 1989. Divergences of Measurement and Theory and Some Implications for Economic Policy. American Economic Review, Eisner, R., 1992, Deficits: Which, How Much and So What? American Economic Review, vol 72, Eisner, R., 1994, The Misunderstood Economy: What Counts and How To Count It (Harvard Business School Press, Boston, Massachusetts).

განმარტება, მაკროეკონომიკური ანალიზის დროს, გარკვეულ ანომალიასა და შეუსაბამობას ქმნის, მაგრამ ახლო მომავალში, ეას-93-ის სრულყოფის შემთხვევაში, ეს საკითხი შეიძლება იქნეს გადასინჯული. ოფიციალური სტატისტიკისათვის მაინც დადგება ამ აქტივების საბაზრო ღირებულების შესახებ ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებული პრობლემა, რათა მოხდეს მათი ასახვა ეროვნულ სიმდიდრეში.

საბუღალტრო აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე დაჩქარებული გადასვლა იძლევა ეროვნული სიმდიდრის ოფიციალური სტატისტიკის სრულყოფის საშუალებას.



1. რაში მდგომარეობს ეროვნული სიმდიდრის კონცეფცია?
2. ჩამოთვალეთ აქტივებისა და პასივების ბალანსის შედგენასთან დაკავშირებული პრობლემები.
3. რა მიზნებისთვისაა საჭირო ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის შეფასება?
4. როგორია აქტივების კლასიფიკაცია ეას-ში და არაფინანსური და ფინანსური აქტივების შემადგენლობა?
5. რა განსხვავებაა ეროვნული სიმდიდრისა და ეროვნული შემოსავლების კონცეფციებს შორის?
6. ჩამოაყალიბეთ ეროვნული სიმდიდრის სტატისტიკის ძირითადი პრობლემები.
7. როგორ ფასებში უნდა იყოს შეფასებული ეროვნულ სიმდიდრეში ჩართული აქტივები?
8. რა არის მონეტარული ოქრო?
9. რატომ არ შეიძლება ოფიციალურ სტატისტიკაში ეროვნული სიმდიდრის შემადგენლობისა და შეფასების სრულყოფის ყველა წინადადების გათვალისწინება?

1. მთლიანად ეკონომიკისათვის ეროვნული სიმდიდრე უდრის:

ა) საზღვარგარეთის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სალდოს;
ბ) არაფინანსური აქტივების ღირებულებას დამატებული წმინდა ფინანსური მოთხოვნები დანარჩენ მსოფლიოსთან;
გ) ეროვნული ეკონომიკის სექტორებს შორის წარმოქმნილი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სალდოს;
დ) ეკონომიკის სექტორების კაპიტალის წმინდა ღირებულებათა ჯამს.

2. ეროვნული სიმდიდრე ეს არის:

ა) მოცემული ქვეყნის რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულების კაპიტალის წმინდა ღირებულებათა ჯამი რაიმე თარიღისათვის;
ბ) მოცემული ქვეყნის რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულების კაპიტალის წმინდა ღირებულებათა ჯამი რაიმე პერიოდისათვის;
გ) მოცემული ქვეყნის რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულების კაპიტალის წმინდა ღირებულებათა ჯამი მომავალი პერიოდისათვის;
დ) მოცემული ქვეყნის რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულების კაპიტალის წმინდა ღირებულებათა ჯამი წლის დასაწყისში ან ბოლოსათვის.

3. საქართველოს ეროვნული სიმდიდრის შემადგენლობაში შედის:

ა) საქართველოს საელჩოს შენობა გერმანიაში;
ბ) აშშ-ს საელჩოს შენობა საქართველოში;
გ) საქართველოს რეზიდენტის მიერ რუსეთში ნაწილობრივ შეძენილი აქტივები;
დ) საქართველოში მოძიებული ბუნებრივი რესურსები.

4. ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის შეფასებისას:

ა) მისი არაფინანსური აქტივების შემადგენლობაში შედის შენობებისა და მინის ღირებულება, რომელიც გაყიდულია არარეზიდენტებზე;
ბ) მისი არაფინანსური აქტივების შემადგენლობაში შედის შენობებისა და მინის ღირებულება, რომელიც გაყიდულია არარეზიდენტებზე, მაგრამ იმავდროულად ეს შეფასებები

უნდა აისახოს როგორც მოცემული ქვეყნის ფინანსური ვალდებულება "დანარჩენ მსოფლიოსთან" მიმართებაში;

გ) არარეზიდენტებზე გაყიდული მინა და შენობები ამოღებულია ქვეყნის ეროვნული სიმდიდრიდან;

დ) საზღვარგარეთის აქტივების მოცულობისა და საბაზრო ღირებულების განსაზღვრა არ არის საჭირო.

5. მთლიანად ეკონომიკისათვის ეროვნული სიმდიდრის გაანგარიშება აისახება:

ა) საგადასახდელო ბალანსში;

ბ) კაპიტალის ანგარიშში;

გ) აქტივებისა და პასივების ბალანსში;

დ) რესურსები-გამოყენების ცხრილებში;

6. ქვეყნის აქტივების ღირებულების ნომინალური გადიდება ან შემცირება აისახება:

ა) ეას-ის გადაფასების ანგარიშში;

ბ) აქტივებისა და პასივების ბალანსში;

გ) ეას-ის სხვა ანგარიშებში;

დ) ბუღალტრულ ბალანსში.

7. აქტივებს მიეკუთვნება:

ა) საჰაერო სივრცე;

ბ) ვალის დაფარვის გარანტია;

გ) საკრედიტო ხაზი;

დ) მემკვიდრეობით მიღებული მალამოს დამზადების რეცეპტი.

8. არაფინანსური წარმოებული აქტივებია:

ა) ძვირფასი ქვები და ლითონები;

ბ) საქონელი ხელმეორედ გასაყიდად;

გ) მიწა;

დ) წყლის რესურსები.

9. ფინანსური აქტივებია:

ა) ფასიანი ქაღალდები, აქციების გარდა;

ბ) ხელშეკრულებები არენდის შესახებ და სხვა გადასაცემი ხელშეკრულებები;

გ) დაზღვევის ტექნიკური რეზერვები;

დ) ნაყიდი გუდვილი (საქმიანი კავშირებისა და რეპუტაციის პირობითი ღირებულება).

10. ეას-ის შესაბამისად, ძირითადი კაპიტალის კომპონენტების შემადგენლობაში შეიძლება გავითვალისწინოთ დაუმთავრებელი ობიექტების ღირებულება, თუ:

ა) მათი ანაზღაურება ეტაპობრივად მოხდა;
ბ) ისინი მწარმოებლიდან მომხმარებლის მფლობელობაში გადავიდნენ;
გ) მისი მშენებლობა მალე დამთავრდება;
დ) ობიექტს ანარმოებს თვით მომხმარებელი.

ამოცანები

მაგალითი 10.1

გვაქვს შემდეგი მონაცემები ფირმის ძირითადი კაპიტალის მოცულობისა და მოძრაობის შესახებ, ათასი ლარი:

ძირითადი კაპიტალის სრული თავდაპირველი ღირებულება	210
წლის განმავლობაში:	
შემოვიდა	30
გავიდა ცვეთის გამოკლებით	4
გასული კაპიტალის სრული თავდაპირველი ღირებულება	20
ცვეთა წლის დასაწყისისთვის, %	20
ამორტიზაციის წლიური ნორმა, %	10

განვსაზღვროთ ძირითადი კაპიტალის ღირებულება წლის ბოლოსათვის.

ამოხსნა:

ამისათვის, ძირითადი კაპიტალის ღირებულებას წლის დასაწყისისათვის დაემატება ძირითადი კაპიტალის შემოსვლა და გამოაკლდება გასვლა:

210 + 30 - 20 = 220 ათასი ლარი

შემდეგ ვადგენთ ძირითადი კაპიტალის ბალანსს სრული ღირებულებით, ათასი ლარი

ძირითადი კაპიტალი წლის დასაწყისში	შემოვიდა საანგარიშო პერიოდში		გავიდა საანგარიშო პერიოდში		ძირითადი კაპიტალი წლის ბოლოს
	სულ	მათ შორის ახალი ძირითადი კაპიტალი	სულ	მათ შორის ლიკვიდირებულია	
1	2	3	4	5	6=1+2-4
210	30	30	20	-	220

განვიხილოთ მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ ძირითადი კაპიტალის მოძრაობას:

განახლების კოეფიციენტი გაიანგარიშება წლის დასაწყისში შემოსული კაპიტალის ფარდობით წლის ბოლოსათვის კაპიტალის ღირებულებასთან:

$$K \text{ განახლების} = \frac{330}{220} * 100 = 13.6\%$$

გასვლის კოეფიციენტი ტოლია წლის განმავლობაში გასული კაპიტალისა და წლის დასაწყისში კაპიტალის ფარდობისა:

$$K \text{ გასვლის} = \frac{20}{210} * 100 = 9.5\%$$

გავიანგარიშოთ ძირითადი კაპიტალის ნარჩენი ღირებულება წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის:

ძირითადი კაპიტალის ნარჩენი ღირებულება წლის დასაწყისისათვის =

= ძირითადი კაპიტალის ღირებულება წლის დასაწყისში — (ძირითადი კაპიტალის ღირებულება წლის დასაწყისში * ცვეთის პროცენტზე/100) =

$$= 210 - \frac{210 * 20}{100} = 168000 \text{ ლარი.}$$

აღნიშნული მონაცემების გაანგარიშების შემდეგ შევადგინოთ ძირითადი კაპიტალის ბალანსი ცვეთის გამოკლებით:

ათასი ლარი

ძირითადი კაპიტალი წლის დასაწყისში	შემოვიდა საანგარიშო პერიოდში		გავიდა საანგარიშო პერიოდში		ამორტიზაცია (წლიური)	ძირითადი კაპიტალი წლის ბოლოს
	სულ	მათ შორის ახალი ძირითადი კაპიტალი	სულ	მათ შორის ლიკვიდირებულია		
168	30	30	4	-	21.5	172.5

ამ მონაცემების საფუძველზე გავიანგარიშოთ ცვეთისა და ვარგისიანობის კოეფიციენტები:

წლის დასაწყისისათვის:

$$K \text{ ცვეთის} = \frac{210 * 0,2}{210} * 100 = 20\%,$$

$$K \text{ ვარგისიანობის} = \frac{210 - 210 * 0.2}{210} 100 = 80\%$$

წლის ბოლოს:

თუ შევადარებთ კაპიტალის მდგომარეობას, შევამჩნევთ, რომ წლის ბოლოსათვის ცვეთა გაიზარდა (21,6-20=1,6%).

მაგალითი 10.2

გვაქვს შემდეგი მონაცემები მატერიალური საბრუნავი კაპიტალის მარაგების შესახებ წლის განმავლობაში. ინფლაცია მოცემულ პერიოდში არ აღინიშნებოდა. ბრუნვადობის კოეფიციენტმა წინა პერიოდში შეადგინა 1,97. თვითღირებულებამ შეადგინა 833 355 ლარი.

საბრუნაეი კაპიტალი	წლის დასაწყისისათვის	წლის ბოლოსათვის
მარაგები მათ შორის:	448944	699957
ნედლეული, მასალები	113269	159016
მოზარდეული და სუქებაზე დაყენებული პირუტყვი	477	468
მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები	28779	41270
დანახარჯები დაუმთავრებელ წარმოებაზე	114433	195468
მზა პროდუქცია და საქონელი ხელაბალი გადაყიდვისათვის	40009	188294
გადატვირთული საქონელი	151926	113741
მომავალი პერიოდის ხარჯები	51	1700
სხვა მარაგები	-	-

განსაზღვრეთ:

1) მარაგების ბრუნვადობის კოეფიციენტი და ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა.

2) გაანალიზეთ მარაგების დინამიკა წლის განმავლობაში.

3) გააკეთეთ დასკვნები.

ამოხსნა:

ბრუნვადობის კოეფიციენტი გაიანგარიშება რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ფარდობით მარაგების საშუალონლიურ ღირებულებასთან.

მარაგების საშუალონლიური ღირებულება ტოლია წლის დასაწყისსა და ბოლოს მარაგების ჯამის ფარდობისა 2-თან:

(448944 + 699957) : 2 = 574450,5

ამრიგად, ბრუნვადობის კოეფიციენტი = 833355 : 574450.5 = 1,45

ერთი ბრუნვის ხანგრძლივობაა 360 დღე : 1,45 = 248 დღე.

გავაანალიზოთ მარაგების დინამიკა. შევადგინოთ ცხრილი:

საბრუნავი კაპიტალი	წლის დასაწყისისათვის	%-ობით მარაგებთან წლის დასაწყისში	წლის ბოლოსათვის	%-ობით მარაგებთან წლის ბოლოს
მარაგები მათ შორის:	448944	100	699957	100
ნედლეული, მასალები	113269	25.23	159016	22.7
მოზარდეული და სუქებაზე დაყენებული პირუტყვი	477	0.11	468	0.06
მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები	28779	6.41	41270	6.0
დანახარჯები დაუმთავრებელ ნარმოებაზე	114433	25.5	195468	27.9
მზა პროდუქცია და საქონელი ხელახალი გადაყიდვისათვის	40009	8.9	188294	26.9
გადატვირთული საქონელი	151926	33.84	113741	16.2
მომავალი პერიოდის ხარჯები	51	0.01	1700	0.24

გადატვირთული საქონლის ხვედრითი ნონა წლის განმავლობაში შემცირდა ორჯერ, სამაგიეროდ მზა პროდუქციის მარაგები გაიზარდა 3-ჯერ. ე.ი. საწარმოს საანალიზო პერიოდში სიძნელეები შეექმნა გასაღებასთან დაკავშირებით. ამაზე მეტყველებს აგრეთვე ბრუნვადობის კოეფიციენტის შემცირებაც. შედეგად, სანარმოს ფინანსური მდგომარეობა ნაკლებად მყარი გახდა, ხოლო აქტივები მარაგების სახით, ნაკლებლიკვიდური.

ამოცანა 10.3

ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე (მინის, წიაღისეულისა და ტყეების გარეშე) ხასიათდება შემდეგი მონაცემებით (მლნ ფულადი ერთეული):

მაჩვენებელი	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი
სულ მათ შორის:	2,9	19 827,5
ძირითადი კაპიტალი	1,9	19 126,4
მატერიალური საბრუნავი კაპიტალი	0,5	307,3
შინამეურნეობების ქონება	0,5	393,8

გაიანგარიშეთ ეროვნული სიმდიდრის სტრუქტურის მაჩვენებლები. დაახასიათეთ სტრუქტურული ძვრები.

ამოცანა 10.4

გვაქვს შემდეგი მონაცემები რეგიონის ძირითადი კაპიტალის მოცულობისა და მოძრაობის შესახებ, მლნ ლარი:

ძირითადი კაპიტალის სრული თავდაპირველი ღირებულება	
წლის დასაწყისისთვის	1080
ცვეთა	220
წლის განმავლობაში შემოვიდა	120
წლის განმავლობაში გავიდა	36
ცვეთა წლის ბოლოსათვის	230

განსაზღვრეთ:

1) ძირითადი კაპიტალის განახლებისა და გასვლის კოეფიციენტები წლის განმავლობაში.
2) ძირითადი კაპიტალის ცვეთისა და ვარგისიანობის კოეფიციენტები წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის.

ამოცანა 10.5

გვაქვს შემდეგი მონაცემები ქვეყნის ერთ-ერთი რეგიონის შესახებ: წლის დასაწყისში ძირითადი კაპიტალის სრული თავდაპირველი ღირებულება შეადგენდა 120 მლნ ლარს. წლის განმავლობაში შემოიტანეს 40 მლნ-ის ღირებულების ძირითადი კაპიტალი. წლის განმავლობაში გავიდა 5 მლნ-ის ღირებულების კაპიტალი ცვეთის გამოკლებით (მათი თავდაპირველი ღირებულება შეადგენდა 24 მლნ-ს). ცვეთამ წლის დასაწყისისათვის შეადგინა 18%.

განსაზღვრეთ:

1) ძირითადი კაპიტალის სრული თავდაპირველი ღირებულება და მათი ღირებულება ცვეთის გამოკლებით წლის ბოლოსათვის.
2) ძირითადი კაპიტალის მოძრაობისა და მდგომარეობის კოეფიციენტები.

ამოცანა 10.6

გვაქვს შემდეგი მონაცემები:

ძირითადი კაპიტალი საკუთრების ფორმების მიხედვით (საბალანსო ღირებულებით, წლის ბოლოს), მლნ ლარი:

წელი	ძირითადი კაპიტალი, სულ	მათ შორის საკუთრების ფორმის მიხედვით	
		სახელმწიფო	არასახელმწიფო
2003	461	398	63
2002	1065	951	114
2001	1927	1746	181
2000	13 870	5 574	7 996

გაიანგარიშეთ სტრუქტურის მაჩვენებლები თითოეული წლისათვის და გააკეთეთ დასკვნები.

ამოცანა 10.7

გვაქვს შემდეგი მონაცემები ეკონომიკის ერთ-ერთი დარგის ძირითადი კაპიტალის ღირებულების შესახებ წლის ბოლოსათვის (შესადარ ფასებში):

წელი	1	2	3	4	5	6	7
ღირებულება, მლნ ლარი	148.0	153.0	156.0	157.2	157.0	156.8	157.4

ძირითადი კაპიტალის ღირებულების დინამიკის ანალიზის მიზნით:

1) განსაზღვრეთ აბსოლუტური მატება, ზრდისა და მატების ტემპები (ჯაჭვური და საბაზისო). შედეგები წარმოადგინეთ ცხრილის სახით.
2) უჩვენეთ ჯაჭვური და საბაზისო ზრდის ტემპების ურთიერთკავშირი.
3) იპოვეთ მწკრივის საშუალო დონე და საშუალონლიური ზრდისა და მატების ტემპები.
4) შეადგინეთ გრაფიკი დინამიკის მწკრივისათვის. გააკეთეთ დასკვნები.

თავი 11

მთლიანი შიდა პროდუქტისა და ვალუტის მსყიდველობითი უნარის პარიტეტების საერთაშორისო შედარებები

ვალუტის მსყიდველობითი უნარის პარიტეტის არსი. მშპ-ის გაანგარიშების მეთოდები. ზოგიერთი სპეციალური პრობლემა. ზოგიერთი ილუსტრაცია.

ეროვნული ანგარიშების სისტემის სტრუქტურა ითვალისწინებს ფასებისა და ფიზიკური მოცულობის მაჩვენებლების ანალიზისათვის გამოსადეგი, კონცეპტუალურად შეთანხმებული ერთიანი კომპლექსის შედგენის შესაძლებლობას. ამოცანა მდგომარეობს ურთიერთდაკავშირებული მაჩვენებლების გაანგარიშებაში, რაც იძლევა ინფლაციის, ეკონომიკური ზრდისა და მისი დინამიკის სისტემატური, დეტალური ანალიზის ჩატარებისა და აგრეთვე საერთაშორისო შესადარისობის პრობლემების გადაწყვეტის საშუალებას.

საერთაშორისო მაკროეკონომიკური შესადარისობის ძირითადი მიზანია სხვადასხვა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტისა და ეროვნული ანგარიშების სხვა აგრეგატების გადაყვანა ერთიან ვალუტაში მათი პირდაპირი შესადარისობის უზრუნველსაყოფად.

მშპ-ის ანალიზის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა მშპ-ისა და მისი კომპონენტების საერთაშორისო შედარება. ამისათვის სხვადასხვა ქვეყნის მშპ ერთიან ვალუტაში (მაგალითად, აშშ დოლარებში) უნდა იყოს გამოსახული. ამ მიზნისათვის სავალუტო კურსის გამოყენება ვერ უზრუნველყოფს გაანგარიშების შედეგების სიზუსტეს, რადგან ოფიციალური სავალუტო კურსით არ ხდება მშპ-ში შემავალი ყველა სახის ოპერაციის შეფასება და მათზე გავლენას ახდენს აგრეთვე ისეთი ფაქტორები, რომელთაც არა აქვთ პირდაპირი კავშირი ნარმოებული საქონლისა და მომსახურების მოცულობების შედარებებთან (მაგალითად, კაპიტალის საერთაშორისო ნაკადი, ვალუტის მინოდებასა და მოთხოვნას შორის თანაფარდობა და ა. შ.). გარდა ამისა, სავალუტო კურსის გამოყენება, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ სხვადასხვა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი შესადარის ვალუტაში,

არ უზრუნველყოფს განსხვავებათა ნიველირებას შესადარი ქვეყნების ფასების დონეებში. ამიტომ თანამედროვე საერთაშორისო სტატისტიკაში მშპ-ის მაჩვენებლების შედარება ხორციელდება ვალუტის ე.წ. მსყიდველობითი უნარის პარიტეტების (მუპ) მეშვეობით.

ვალუტის მსყიდველობითი უნარის პარიტეტის არსი

მსყიდველობითი უნარის პარიტეტები — ესაა კოეფიციენტები, რომლებიც გამოსახავენ თანაფარდობას ქვეყნების ფასებს შორის. როგორც წესი, მუპ საანგარიშო, სტატისტიკური კატეგორიაა. ის არ გამოიყენება ვალუტის გაცვლისათვის, არ გვევლინება რეალური ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტად (ოფიციალური სავალუტო კურსისგან განსხვავებით), არამედ წარმოადგენს მშპ-ის საერთაშორისო შედარებათა უზრუნველყოფის ტექნიკურ ინსტრუმენტს.

მუპ გვიჩვენებს მოცემული ქვეყნის რა რაოდენობის ვალუტა უნდა დავხარჯოთ სხვა ქვეყნის ვალუტის ერთეულით (ვთქვათ, ერთ დოლარად) შესაძენ საქონელსა და მომსახურებაზე.

გარკვეული თვალსაზრისით, მუპ ფასების დინამიკის ინდექსების სივრცობრივი ანალოგიაა: ფასების დინამიკური ინდექსები (უფრო ზუსტად, მათი შებრუნებული სიდიდეები, თუ დროის პერიოდს ზრდადობით ავიღებთ) ზომავს ერთი და იმავე ვალუტის მსყიდველობითი უნარის ცვლილებას დროში, მუპ სხვადასხვა ვალუტის მსყიდველობითი უნარების სხვაობას ზომავს სივრცობრივად. შესაბამისად, მუპ თავისებური სივრცობრივი დეფლატორია. მისი დახმარებით ეროვნული ღირებულებითი მაჩვენებლები დაიყვანება გარკვეულ „რეალურ" ფულად საზომამდე.

მუპ-ის გამოყენება მშპ-ის შედარებებისათვის ერთდროულად ორი ამოცანის გადაჭრის საშუალებას გვაძლევს: 1) გადავაფასოთ ეროვნული ვალუტა შესადარ სავალუტო ერთეულებში, და 2) აღმოვფხვრათ ფასების დონეებში არსებული სხვაობის ზეგავლენა.

მუპ-ის დახმარებით, ეროვნულიდან შესადარის ვალუტაში გადაანგარიშებულ მაჩვენებლებს ხშირად **„რეალურ მოცულობებს"** უწოდებენ. ტერმინი „რეალური" გამოიყენება მშპ-ის საერთაშორისო შედარებების კონტექსტში იმისათვის, რომ ვაჩვენოთ გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით გადაანგარიშებების შედეგეგებისგან განსხვავება, რომელიც **„ნომინალურ მოცულობად"** იწოდება.

მშპ-ის გაანგარიშების მეთოდები.

მშპ-ის გაანგარიშება საკმაოდ რთულია როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად. ის მოითხოვს ფასების, წარმოებული და გამოყენებული პროდუქციის მოცულობაზე მონაცემთა დიდი მასივის მოპოვებასა და დამუშავებას.

ამ გაანგარიშების საფუძვლს წარმოადგენს **საქონელ-წარმომადგენლების მეთოდი**, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში:

- შესადარისი ქვეყნების (ვთქვათ, A და B ქვეყნების) მშპ-ებს ყოფენ რამდენიმე სასაქონლო ჯგუფად, რასაც სპეციალურ ლიტერატურაში „უმცირესი სასაქონლო ჯგუფები" ეწოდება, მათი რიცხვი ძირითადად მერყეობს 150-დან 300-მდე. უმცირესი სასაქონლო ჯგუფები იქმნება მხოლოდ მშპ-ის გადასაფასებლად შესადარ ვალუტაში და ეკონომიკური ანალიზის მიზნით, შესაძლებელია მათი გაერთიანება უფრო ფართო ანალიტიკურ ჯგუფებში. ამრიგად, მთლიანი შიდა პროდუქტი, შედარების მიზნით, იყოფა ძირითად კომპონენტებად (მოხმარება, დაგროვება და ა.შ.), ანალიზურ ჯგუფებად და უმცირეს სასაქონლო ჯგუფებად.
- თითოეული უმცირესი სასაქონლო ჯგუფისათვის, მოინახება ფასით იდენტური ან ანალოგიური 4-6 საქონელ-წარმომადგენელი, (თითოეულ შემთხვევაში საქონელ-წარმომადგენელთა რიცხვი დამოკიდებულია მათი ფასების ინდექსის დისპერსიის სიდიდეზე).
- თითოეული უმცირესი სასაქონლო ჯგუფისათვის საქონელ-წარმომადგენლების ფასებს შორის თანაფარდობის დახასიათების მიზნით, გაიანგარიშება ფასების ინდივიდუალური ინდექსები (თუ X სასაქონლო ჯგუფში შედის 5 საქონელ-წარმომადგენელი, აუცილებელია გამოვითვალოთ ფასების ამდენივე ინდივიდუალური ინდექსი).
- ნინა ეტაპის გაანგარიშებების შედეგების მიხედვით, თითოეული უმცირესი სასაქონლო ჯგუფისათვის ანგარიშობენ ფასების ინდივიდუალური ინდექსების საშუალო ინდექსს. ამ ფორმულის გამოყენება განპირობებულია ინფორმაციის არარსებობით საქონელ-წარმომადგენელთა წონების შესახებ, ე.ი ამა თუ იმ სასაქონლო ჯგუფში საქონელ-წარმომადგენლების ხვედრითი წონის შესახებ მონაცემები. საშუალო გეომეტრიულის გამოყენება უზრუნველყოფს ინდექსების წინაშე დასმულ მნიშვნელოვან მოთხოვნას — ინდექსის სიდიდის დამოუკიდებლობას საბაზისო ქვეყნის შერჩევისაგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საშუალო არითმეტიკულის ფორმულის გამოყენების შემთხვევაში, შედარების შედეგი დამოკიდებული იქნებოდა იმაზე, მოცემული ორი ქვეყნიდან (A და B) რომელს განვიხილავდით როგორც საბაზისოს (იხ. ცხრილი 11.1).

11.1 ცხრილში მოცემულია ფასების საშუალო ინდექსის გაანგარიშების ხერხი X უმცირესი სასაქონლო ჯგუფისათვის:

ცხრილი 11.1

საქონელ-წარმომადგენლები	1	2	3	4	5	
ფასები A ქვეყანაში	2	4	1	5	7	
ფასები B ქვეყანაში	3	8	3	10	28	
ფასების ინდექსი, ქვეყანა A=1	1,5	2	3	2	4	საშუალო ინდექსი $I_p=\sqrt[5]{1.5*2*3*4*2}=2,4$

ასეთი წესით გაანგარიშებული ფასების საშუალო ინდექსი X სასაქონლო ჯგუფისათვის მშპ-ის კერძო შემთხვევაა. ამის საფუძველზე გაიანგარიშება მშპ ანალიზური ჯგუფებისათვის და მშპ-ის კომპონენტებისათვის, ხოლო შემდგომ — მთლიანად მშპ-ისათვის. ამისთვის ვიყენებთ პააშესა (1) და ლასპეირესის (2) ინდექსის ტრადიციულ ფორმულებს:

$$\bar{I}_p^P = \frac{\sum W_b}{\sum \frac{W_b}{i_p}} \qquad (1)$$

$$\bar{I}_p^L = \frac{\sum i_p W_a}{\sum W_a} \qquad (2)$$

სადაც i_p i-ური საქონლის ფასების ინდექსია B ქვეყანაში A ქვეყანასთან შედარებით.

$\bar{I}_p^P$ — პააშეს ინდექსია.
$\bar{I}_p^L$ — ლასპეირესის ინდექსია.

W_a — ცალკეული სასაქონლო ჯგუფის ხვედრითი წონა A ქვეყნის მშპ-ში.
W_b — ცალკეული სასაქონლო ჯგუფის ხვედრითი წილი B ქვეყნის მშპ- ში.

ამრიგად, პააშესა და ლასპეირესის ფორმულების საფუძველზე ჩვენ ვიღებთ A და B ქვეყნისათვის ფასების ორ საშუალო ინდექსს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ ვიღებთ მშპ-ის ორ სიდიდეს — ერთი მიიღება, როდესაც ფასების ინდექსის შეწონვისათვის ვიყენებთ მონაცემებს A ქვეყნის მშპ-ის სტრუქტურის შესახებ, ხოლო მეორე სიდიდე მიიღება, როდესაც ვიყენებთ მონაცემებს B ქვეყნის მშპ-ის სტრუქტურის შესახებ.

მაგალითი. დავუშვათ, A და B ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი შედგება 5 სასაქონლო ჯგუფისაგან და თითოეული მათგანისათვის გვაქვს ფასების საშუალო ინდექსი:

სასაქონლო ჯგუფები	A ქვეყნის მშპ-ის სტრუქტურა	B ქვეყნის მშპ-ის სტრუქტურა	ფასების ინდექსი, ქვეყანა A=1
1 ჯგუფი	10,0	30,0	2,0
2 ჯგუფი	20,0	15,0	1,5
3 ჯგუფი	15,0	5,0	3,0
4 ჯგუფი	25,0	10,0	4,0
5 ჯგუფი	30,0	40,0	4,5
სულ	100,0	100,0	

ამრიგად, ფასების საშუალო ინდექსი შეადგენს:

$$\bar{I}_p^P = \frac{100}{\frac{30}{2}+\frac{15}{1.5}+\frac{5}{3}+\frac{10}{4}+\frac{40}{4.5}} = 2.628.$$

ან

$$\bar{I}_p^L = \frac{2,0.10+1,5.20+3,0.15+4,0.25+4,5.30}{100} = 3,3\ .$$

უნდა ითქვას, რომ პრაქტიკული მიზნებისათვის მოუხერხებელია გაანგარიშების ორი შედეგი, რომლებიც თავისთავად თეორიულად გამართლებული და კანონზომიერია. ამიტომ ინდექსის ცალსახა მნიშვნელობის მისაღებად გამოიყენება საშუალო გეომეტრიულის ფორმულა, ანუ ფიშერის ინდექსი:

$$\bar{I}_p^F = \sqrt{\bar{I}_p^L * \bar{I}_p^P}. \qquad (3)$$

ახლა ჩვენ შეგვიძლია მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულების ინდექსი გავყოთ ფიშერის ფასების ინდექსზე და მივიღოთ საძიებელი შედეგი, ე.ი. A და B ქვეყნის მშპ-ების ფიზიკური მოცულობების თანაფარდობა:

$$(მშპB / მშპA) : \bar{I}_p^F = \bar{I}_q \qquad (4)$$

სადაც მშპA A ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტია საკუთარ ეროვნულ ვალუტაში.

მშპB — B ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი საკუთარ ვალუტაში.

$\bar{I}_q$ — B და A ქვეყნის მშპ-ს ფიზიკური მოცულობის ინდექსი.

$\bar{I}_p^F$ — ფიშერის ფასების ინდექსი.

მშპ$_B$ — B ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი საკუთარ ვალუტაში.

$\bar{I}_q$ — B და A ქვეყნის მშპ-ს ფიზიკური მოცულობის ინდექსი.

$\bar{I}_p^F$ — ფიშერის ფასების ინდექსი.

იგივე შედეგი შეიძლება მივიღოთ სხვა გზითაც: გამოვიყენებთ რა პააშესა და ლასპეირესის ფასების ინდექსს, ორივე ქვეყნის მშპ-ების მონაცემების მიმართ საკუთარ ფასებში, შეიძლება გამოვიანგარიშოთ A ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი B ქვეყნის ფასებში, ხოლო B ქვეყნის მშპ A ქვეყნის ფასებში. ამ შემთხვევაში, ჩვენ ვღებულობთ ფიზიკური მოცულობის ორ ინდექსს მოცემული ქვეყნების წყვილისათვის:

$$I^{q^P}_{B/A} = \sum \text{მშპB - B ქვეყნის ფასებში} / \sum \text{მშპA - B ქვეყნის ფასებში}$$

$$I^{q^L}_{H/A} = \sum \text{მშპB - A ქვეყნის ფასებში} / \sum \text{მშპA - A ქვეყნის ფასებში}$$

გამოვიყენებთ რა ფიშერის ფორმულას, შეგვიძლია გავიანგარიშოთ ფიზიკური მოცულობის საშუალო ინდექსი, რომელიც იდენტური იქნება მიღებული ინდექსისა ფორმულაში (4):

$$I_Q = \sqrt{I^{qL}_{B/A} * I^{qP}_{B/A}}$$

აღსანიშნავია, რომ, როგორც ნესი, ლასპეირესის ფორმულის მიხედვით მიღებული ინდექსები გვაძლევს შედარებით უფრო დიდ სიდიდეებს, ვიდრე პააშეს ფორმულით მიღებული ინდექსები. ეს ფენომენი ცნობილია როგორც **„გერშენკრონის ეფექტი“** (ამერიკელი მეცნიერის — გერშენკრონის სახელის მიხედვით, რომელმაც გამოავლინა და აღნერა ეს კანონზომიერება).

საერთაშორისო შედარებების სპეციალისტებს შორის დამოკიდებულება გერშენკრონის ეფექტისადმი არაერთგვაროვანია. ერთნი თვლიან, რომ „გერშენკრონის ეფექტი“, უნდა მოვაცილოთ გაანგარიშების შედეგს, რადგანაც მას აქვს ცნობილი უზუსტობანი. ამ მიზნისათვის ისინი გვთავაზობენ ინდექსების ისეთ ფორმულას, რომელშიც ქვეყნები მათი სიდიდის მიუხედავად თანაბარი „წონისაა.“ მაგალითად, ფიშერის ფორმულაში აღმოფხვრილია „გერშენკრონის ეფექტი,“ რადგან შესადარი ქვეყნების მაჩვენებლები ერთი და იმავე წონებითაა მოცემული.

სხვა სპეციალისტები თვლიან, რომ „გერშენკრონის ეფექტი“ გამოსახავს მოვლენების რეალურ ეკონომიკურ ბუნებას და ინდექსის ფორმულამ, რომელიც გამოიყენება შედარების დროს, არ უნდა აღმოფხვრას ეს ეფექტი. ისინი გვთავაზობენ საშუალო საერთაშორისო ფასების გამოყენებას, რომელთა სიდიდეზე სხვადასხვა ქვეყნა სხვადასხვა გავლენას (მაგალითად, მათი მშპ-ის სიდიდიდეზე დამოკიდებულებით) ახდენს.

განხილულ პროცედურაში საპასუხისმგებლო ეტაპია საქონლის შერჩევა იდენტური ფასებით.

განასხვავებენ საქონელ-წარმომადგენლის შერჩევის ორ ძირითად პრინციპს:

- შერჩეული საქონლის რეპრეზენტატულობას, ე.ი. მოცემული ქვეყნის ხარჯების სტრუქტურისათვის მათი დამახასიათებლობას;
- პარტნიორი ქვეყნების საქონელ-წარმომადგენელთან შესადარისობას.

ზოგ შემთხვევაში ძნელია ამ ორი პრინციპის შეთავსება, რამდენადაც რეპრეზენტატული საქონელი შეიძლება არ იყოს შესადარისი, ხოლო შესადარისი საქონელი მოცემული ქვეყნისათვის არადამახასიათებელი იყოს. ამიტომ პრაქტიკაში სხვადასხვა კომპრომისს მიმართავენ.

იმ შემთხვევაში, როცა ორი საქონელი თვისებრივი მახასიათებლებით არ არის შესადარი, მიმართავენ ფასებში შესწორების შეტანის პროცედურას ხარისხობრივი სხვაობის გასათვალისწინებლად.

მაგალითი, თუ გვინდა შევადაროთ ფასები რკინის მადნის ერთ ტონაზე, რომელიც შეიცავს რკინის 3%-ს A ქვეყანაში და 6%-ს — B ქვეყანაში, მაშინ ფასების შესადარის ფასებში გადასაყვანად საჭიროა B ქვეყნის ფასები გავყოთ ორზე, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ეროვნული ფასების შედარებამ რკინის სხვადასხვა შემცველობის მადანზე შეიძლება არასწორი წარმოდგენა შეგვიქმნას ამ ჯგუფის საქონლის ფასების რეალური თანაფარდობის შესახებ.

საქონლის ფასებზე ასეთი ტიპის მარტივი შესწორებების გამოყენების არეალი, სამწუხაროდ, ძალიან შეზღუდულია. უფრო რთული საქონლისათვის (ავტომანქანა, ტელევიზორი, მაცივარი და ა.შ.) ფასებში კორექტივების შესატანად, გამოიყენება რეგრესიული ანალიზის მეთოდები.

რეგრესიული ანალიზის მეთოდი გულისხმობს რეგრესიის განტოლების შედგენას, რომელშიც დადგენილია რთული კავშირები საქონლის მნიშვნელოვან პარამეტრებსა და მათ ფასებს შორის. თუმცა ბევრ შემთხვევაში, საქონელ-წარმომადგენლის ფასში შესწორება ხდება ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრების მცოდნე ექსპერტებთან კონსულტაციის საფუძველზე.

მაგალითი, ავტომობილების შემთხვევაში რეგრესიის განტოლება ამყარებს კავშირს ავტომობილის ფასსა და ისეთ პარამეტრებს შორის, როგორიცაა — ძრავის სიმძლავრე, ბენზინის მოხმარება ყოველ 100 კმ. გარბენზე, კომფორტულობა და ა.შ. სპეციალურ ლიტერატურაში ამ მეთოდმა მიიღო **ჰედონური ინდექსის** სახელი.

ანალოგიური საქონელ-ნარმომადგენლის ფასებით შერჩევის პროცესი გულისხმობს საქონელის დეტალურ აღწერას, რაც იძლევა შიდა ბაზარზე საქონელ-წარმომადგენელთა იდენტიფიკაციის საშუალებას.

საქონელ-წარმომადგენელთა აღწერა უნდა მოიცავდეს:

- საქონლის კოდსა და დასახელებას;
- საქონლის საერთო აღწერას (სამარკო ნიშანი, მოდელი, დამზადების ადგილი და ა.შ.);
- ტექნიკურ პარამეტრებს (ზომა, წონა, მოცულობა, სიმძლავრე და ა. შ.);

- საქონლის მიზნობრივ დანიშნულებას (მისი გამოყენების სფეროს);
- ნახატს (გამოსახულებას).

საქონელ-წარმომადგენელთა ფასის შერჩევისას ინფორმაციის მთავარი წყარო, როგორც ნესი, არის:

- მონაცემები სამომხმარებლო ფასების ეროვნული ინდექსის, საბითუმო ფასების ინდექსის გაანგარიშებებიდან და ა.შ.;
- ფასების სპეციალური გამოკვლევები (მაგალითად, ბევრ ქვეყანაში სამრეწველო დანიშნულების საქონლის ფასებზე მონაცემებს წარმოადგენენ მეწარმეები, სავაჭრო კომპანიები და ა.შ.);
- კატალოგები;
- პრეისკურანტები.

სასაქონლო-ნარმომადგენელთა შესაფასებლად გამოიყენება საშუალო ფასები მთლიანად ეკონომიკისათვის, რაც უზრუნველყოფს შესაბამისობას ფასების ინდექსსა და ეას-ში მიღებული მშპ-ის შეფასების მეთოდებს შორის.

თუ ერთი და იგივე საქონელი მიეყიდება მოსახლეობას სხვადასხვა არხის მეშვეობით, სხვადასხვა ფასით, საქონელ-წარმომადგენელთა შესაფასებლად გაიანგარიშება საშუალო ფასი, რომელიც შენონილია შესაბამისი არხებით რეალიზებული საქონლის მოცულობით. სპეციალურ ლიტერატურაში ამ პრინციპმა მიიღო სახელწოდება „კარტოფილი — ეს კარტოფილია". ეს იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ საქონელზე ორი ქვეყნის ფასების თანაფარდობის ინდექსების გაანგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება სხვადასხვა ქვეყანაში არსებული სავაჭრო-სატრანსპორტო დარიცხვები (დანამატები).

დავუშვათ, A და B ქვეყანაში X საქონლის რეალიზაცია წარმოებს 5 არხით და ფასების დონეებში გარკვეული დიფერენციაცია არსებობს:

პროდუქციის მიწოდების არხები	ქვეყანა A			ქვეყანა B			ფასების ინდექსი A/B (B=1)
	Q_a	P_a	Q_aP_a	Q_b	P_b	Q_bP_b	
1-ლი არხი	20	2	40	30	1	30	2
2 არხი	10	4	40	20	2	40	2
3 არხი	40	3	120	40	2	80	1,5
4 არხი	15	5	75	5	2	10	2,5
5 არხი	15	6	90	5	3	15	2,0
სულ	100	3,65	365	100	1,75	175	2,1

ცხრილიდან ჩანს, რომ ორ ქვეყანაში ფასების საერთო ინდექსი შეიძლება გამოანგარიშებულ იქნეს ორი მეთოდით: როგორც ყველა არხისათვის სა-

შუალო ფასების შეფარდება (Ip=3,65:1,75=2,09) ან რეალიზაციის ცალკეული არხისათვის შესაბამისი ფასების თანაფარდობის გასაშუალოებით. თუ მოცემულ მაგალითში გამოვიყენებთ საშუალო გეომეტრიულის ფორმულას, მივიღებთ $\bar{I}_p = \sqrt[5]{2 * 2 * 1,5 * 2,5 * 2} = 1,97$.

პრაქტიკაში უპირატესობა ენიჭება პირველ მიდგომას, რომელიც შეესაბამება ზემოთ აღნიშნულ პრინციპს — „კარტოფილი --- ეს კარტოფილია". თუმცა სპეციალისტები, რომლებიც აკრიტიკებენ ამ მეთოდს, აღნიშნავენ, რომ მის საფუძველს ნარმოადგენს აბსტრაჰირება სავაჭრო-სატრანსპორტო დანახარჯების დონეებში არსებული განსხვავებისგან და ფასების ინდექსის გაანგარიშებისათვის გვთავაზობენ ფასების ინდექსის გასაშუალოების მეთოდის გამოყენებას.

გაანგარიშების განხილული პროცედურა გამოიყენება **მშპ-ისა და მუპ-ის პირდაპირი წყვილადი შედარების** დროს, ე.ი. შეპირისპირებაში, რომელიც განხორციელდება ამა თუ იმ ქვეყნების წყვილისათვის.

საერთაშორისო შედარებების თეორიაში მიღებულია ერთმანეთისგან განვასხვაოთ პირდაპირი წყვილადი შეპირისპირება და მრავალმხრივი შეპირისპირება, რომლებიც ქვეყნების გარკვეული ჯგუფისათვის ერთდროულად ხორციელდება.

სანამ გავეცნობით მრავალმხრივი საერთაშორისო შედარებების მეთოდოლოგიას, განვიხილოთ საერთაშორისო შედარებებში გამოყენებული ინდექსების მიმართ ნაყენებული ძირითადი მოთხოვნები, რომელთა დიდი ნაწილი ჩამოყალიბებულია ინდექსების ეგრეთ წოდებულ აქსიომატურ თეორიებში. ეს მოთხოვნები ფორმულირებულია ლოგიკური დებულებების სახით. განვიხილოთ მათ შორის ძირითადი:

- **დამახასიათებელი წონების მოთხოვნა** ნიშნავს იმას, რომ ინდექსების გამოანგარიშებისას საინდექსო სიდიდის შეწონვისათვის უნდა გამოვიყენოთ შესადარი ქვეყნების ეკონომიკისათვის დამახასიათებელი წონები. აშშ-ისა და საქართველოს მშპ-ების შედარებისათვის წონებად აუცილებელია გამოვიყენოთ აშშ-ის ან საქართველოს ფასები, ან აშშ-ისა და საქართველოს, და არა რომელიმე მესამე ქვეყნის საშუალო ფასები.
- **ტრანზიტულობის მოთხოვნა** ნიშნავს იმას, რომ ორი ქვეყნისათვის შეპირისპირების შედეგები, რომელიც მიიღება ორი ქვეყნის მაჩვენებლების პირდაპირი შედარების გზით, ტოლი უნდა იყოს ინდექსისა, რომელიც ასახავს ამ ქვეყნების მაჩვენებელთა თანაფარდობას არაპირდაპირი გზით, **მესამე ქვეყნის გამოყენებით**. ეს მესამე ქვეყანა ასრულებს **„შუამავლის" როლს** (გადამყვანის როლს).

მაგალითად, თუკი შედარებაში მონაწილეობს A, B და D ქვეყანა, მაშინ A და B ქვეყნის მაჩვენებლების შედარების ინდექსი შეიძლება მივიღოთ A და B

ქვეყნის მაჩვენებლების პირდაპირი შეპირისპირებით და აგრეთვე $I_{A/D}$ ინდექსის გაყოფით $I_{B/D}$ ინდექსზე.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტრანზიტულობის მოთხოვნა შეიძლება ასე ჩაიწეროს:

$$I_{A/B} = I_{A/D} : I_{B/D}$$

სადაც $I_{A/B}$ — A და B ქვეყნის პირდაპირი შეპირისპირების ინდექსია.

$I_{A/D}$ — A და D ქვეყნის პირდაპირი შედარების ინდექსი.

$I_{B/D}$ — B და D ქვეყნის პირდაპირი შედარების ინდექსი.

ტრანზიტულობის მოთხოვნა ძალიან მნიშვნელოვანია მრავალმხრივი შედარებისათვის და ნიშნავს იმას, რომ, გარკვეული ქვეყნების ჯგუფისათვის გაანგარიშებული ინდექსები უნდა იყოს მკაცრად ურთიერთშეთანხმებული და არ იძლეოდეს საწინააღმდეგო შედეგებს.

- **საბაზისო ქვეყნის დამოუკიდებელი შერჩევის მოთხოვნა** — მნიშვნელოვანი მოთხოვნა, როგორც პირდაპირი ორმხრივი, ასევე მრავალმხრივი შედარებებისადმი. ამ დებულების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ინდექსის სიდიდე არ უნდა იყოს დამოკიდებული საბაზისო ქვეყნის შერჩევაზე.

მაგალითად, აშშ-ისა და საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტს შორის შედარება არ უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, ინდექსის შემასმენელში საქართველოს ინდექსი იქნება, თუ აშშ-ის ინდექსი.

მათემატიკურად ეს მოთხოვნა ასე ჩაინერება:

$$I_{A/B} * I_{B/A} = 1.$$

ეს მოთხოვნა ნიშნავს, რომ ინდექსების ნამრავლი, რომლებიც ასახავენ A ქვეყნის მაჩვენებლების შეფარდებას B ქვეყნის მაჩვენებლებთან და, პირიქით, B ქვეყნის მაჩვენებლების შეფარდებას A ქვეყნის მაჩვენებლებთან, უნდა იყოს 1-ის ტოლი.

- **ადიტიურობის მოთხოვნა** ნიშნავს იმას, რომ ინდექსები, რომლებიც მიღებულია მშპ-ის ცალკეული კომპონენტებისათვის, შეთანხმებული უნდა იყოს როგორც ერთმანეთთან, ისე მშპ-ის ინდექსთან მთლიანად.

მაგალითად, არ უნდა შეიქმნას ისეთი ვითარება, რომ A ქვეყნის მოხმარების ინდექსი B ქვეყნის მიმართ = 110, დაგროვების = 115, ხოლო მშპ-ის =120.

ეს მოთხოვნა გულისხმობს იმას, რომ A ქვეყნის მშპ-ის მაჩვენებელი B ქვეყნის ფასებში შეიძლება მიღებულ იქნეს A ქვეყნის მშპ-ის ცალკეული ელემენტების დაჯამებით B ქვეყნის ფასებში (აღსანიშნავია, რომ ინდექსების ბევრი მეთოდი და ფორმულა საშუალებას არ გვაძლევს დავაკმაყოფილოთ ადიტიურობის მოთხოვნა).

- **ფაქტორული სინჯის მოთხოვნა** ნიშნავს იმას, რომ ფასების ინდექსების (მსყიდველობითი უნარის პარიტეტი) და ფიზიკური მოცულობის ინდექსების ნამრავლი ღირებულების ინდექსის ტოლი უნდა იყოს.

ზემოთქმული ზოგიერთი მოთხოვნა ინდექსებისადმი წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან. კერძოდ, დამახასიათებელი წონების მოთხოვნა წინააღმდეგობაშია ტრანზიტულობის მოთხოვნასთან, ე.ი. ის ინდექსები, რომლებიც შედარებით სრულად აკმაყოფილებენ დამახასიათებელი წონების მოთხოვნას, როგორც წესი, არატრანზიტულია.

მაგალითად, ფიშერის ინდექსის ფორმულა, რომელიც აკმაყოფილებს დამახასიათებელი წონების მოთხოვნას და რომელიც საშუალებას გვაძლევს თითოეული წყვილი ქვეყნისათვის მივიღოთ ერთმნიშვნელოვანი შედეგი, არ უზრუნველყოფს ტრანზიტულობის მოთხოვნას.

ახლა განვიხილოთ მრავალმხრივი შედარების მეთოდები, რომელთა ინდექსებმა უნდა დააკმაყოფილონ ზემოთ ნახსენები მოთხოვნები.

მრავალმხრივი შედარების თავისებურება მდგომარეობს არა მხოლოდ იმაში, რომ ის ტარდება ქვეყნების ჯგუფისათვის, არამედ იმაშიც, რომ ინფორმაცია ქვეყნების მიერ გამოშვებული და გამოყენებული პროდუქციის რაოდენობისა და ფასების შესახებ განიხილება და მუშავდება როგორც ერთიანი სისტემა, რათა მიღებულ იქნეს ურთიერთდაკავშირებული ინდექსების სისტემა, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს რიგი ანალიზური ხასიათის მოთხოვნა.

მაგალითად, თუ ვადარებთ A, B, C, D და E ქვეყნებს და მათი მაჩვენებლები შეუპირისპირდება ერთმანეთს, წყვილადი შედარების საფუძველზე, მაშინ მივიღებთ თითოეული წყვილი ქვეყნისათვის ფიშერის ინდექსებს — A და B, C და D და ა.შ. ასეთი გაანგარიშებები არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ნამდვილი მრავალმხრივი შეპირისპირება და მათი შედეგები შეიძლება იყოს ურთიერთსანინააღმდეგო. შეიძლება აღმოჩნდეს, რომ A>B, B>C, C>D, ხოლო D>A, რადგანაც მოცემულ შემთხვევაში გამოიყენება პირდაპირი წყვილადი შედარების მეთოდი, რომლის შედეგად მიიღება ფიშერის ინდექსები და ისინი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არატრანზიტულია.

ინდექსების **ტრანზიტულობა** შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მრავალმხრივი შეპირისპირების **ეკშ-ის მეთოდით** (ამ მეთოდის დასახელება შედგება იმ სამი სპეციალისტის გვარის პირველი ასოებისაგან, რომლებმაც შეიმუშავეს ეს მეთოდი — უნგრელი სტატისტიკოსები — ო. ელტეტე და პ. კევეში, პოლონელი სტატისტიკოსი ბ. შულცი).

A და B ქვეყნისათვის ეკშ-ის ინდექსის ფორმულას აქვს ასეთი სახე:

$$\text{ეკშ}_{A/B} = \left[F_{A/B}^2 \prod_{j=1}^{n} \frac{F_{Aj}}{F_{Bj}} \right]^{\frac{1}{n}} \quad j \neq A, B,$$

სადაც $F_{A/B}$ — ფიშერის ინდექსია A და B ქვეყნისათვის.
F_{Aj} — ფიშერის ინდექსი A და j ქვეყნისათვის.
F_{Bj} — ფიშერის ინდექსი A და j ქვეყნისათვის.
n — შესადარი ქვეყნების რიცხვი.

j – A, B, C .... j.

ეპშ-ის ფორმულის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მიღებულ იქნეს ისეთი ინდექსი, რომელიც დააკმაყოფილებს ტრანზიტულობის მოთხოვნას და მხოლოდ მცირედ იქნება გადახრილი ფიშერის ინდექსისაგან.

შევნიშნავთ, რომ ეპშ-ის ფორმულაში მოცემული ორი წყვილის ქვეყნის (A და B) ფიშერის ინდექსს წონად აქვს 2. გარდა ამისა, გაანგარიშებაში გაითვალისწინება მოცემული ქვეყნების წყვილისათვის ქვეყანა-შუამავლის მეშვეობით, ირიბი გზით მიღებული ფიშერის ინდექსები (მაგალითად, A ქვეყნის ინდექსი B ქვეყნის მიმართ შეიძლება მიღებულ იქნეს ფიშერის A/C ინდექსის გაყოფით ფიშერის B/C ინდექსზე).

ამრიგად, A და B ქვეყნებისათვის ეპშ-ის ინდექსი — ეს არის საშუალო ინდექსი A და B ქვეყნისათვის, რომელიც მიღებულია ფიშერის პირდაპირი და არაპირდაპირ გაანგარიშებული ყველა შესაძლებელი ინდექსებისაგან.

მაგალითად, თუ ერთმანეთს შეუპირისპირდება ოთხი ქვეყანა - A, B, C და D, მაშინ ეპშ-ს ინდექსებს შემდეგი სახე ექნება:

$$\text{ეპშ}_{A/B} = \sqrt[n]{(F_{A/B})^2 \cdot (F_{A/C} : F_{B/C})(F_{A/D} : F_{B/D})};$$

$$\text{ეპშ}_{A/C} = \sqrt[n]{(F_{A/C})^2 \cdot (F_{A/D} : F_{C/D})(F_{A/B} : F_{C/B})};$$

$$\text{ეპშ}_{A/C} = \sqrt[n]{(F_{A/D})^2 \cdot (F_{A/B} : F_{D/B})(F_{A/C} : F_{D/C})};$$

$$\text{ეპშ}_{C/D} = \sqrt[n]{(F_{C/D})^2 \cdot (F_{C/A} : F_{D/A})(F_{C/B} : F_{D/B})}.$$

ეპშ-ის ინდექსი აკმაყოფილებს ტრანზიტულობისა და ქვეყნის დამოუკიდებელი შერჩევის მოთხოვნებს, მაგრამ არ აკმაყოფილებს ადიტიურობის მოთხოვნას, რაც არსებითად მისი ნაკლია.

განვიხილოთ ეპშ-ის გაანგარიშების პროცედურა შემდეგი მონაცემების მიხედვით:

საქონელ-წარმომადგენლები X სასაქონლო ჯგუფისათვის	1	2	3	4	5	6	7	8
ქვეყნები	ფასები							
A	2	6	—	—	10	—	1	4
B	12	35	3	5	40	—	—	18
C	25	50	7	12	—	10	—	—
D	150	400	—	100	—	70	80	—
	თანაფარდობა ფასებში საქონელ-წარმომადგენლებზე							
B/A	6	5,83	—	—	4	—	—	4,5

C/A	12,5	8,33	—	—	—	—	—	—
D/A	75	66,67	—	—	—	—	80	—
C/B	2,08	1,42	2,3	2,4	—	—	—	—
D/B	12,5	11,42	—	20	—	—	—	—
D/C	6	8	—	8,3	—	7	—	—

ახლა გავიანგარიშოთ ქვეყნების თითოეული წყვილისათვის საშუალო ინდექსები. ამისთვის გამოვიყენოთ საშუალო გეომეტრიულის ფორმულა:

B/A = $\sqrt[4]{6 * 5,83 * 4 * 4,5}$ =5,009;

C/A = $\sqrt{12,5 * 8.33}$ = 10.204;

D/A = 73.682;

C/B = 2,009

D/B = 14.186;

D/C = 7.267.

მიღებული ინდექსები არატრანზიტულია. მაგალითად, ინდექსი, რომ ლიც მიღებულია A და B ქვეყნის მაჩვენებლების შეპირისპირებით, ა უტოლდება არაპირდაპირი გზით მიღებული ინდექსს C ქვეყანა-შუამავლი მეშვეობით:

B/A= $C/A : C/B$,

ეკშ$_{BA}$ = $\frac{10,204}{2,009} = 5,078 > 5,009.$

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტრანზიტულობის მოთხოვნა აკმაყოფილებს ეკშ-ის ფორმულით გაანგარიშებული ინდექსები.

მაგალითად, ეს ინდექსი, განკუთვნილი A და B ქვეყნისათვის, ცხრილ მოცემული მონაცემების საფუძველზე, შეიძლება გავიანგარიშოთ შემდეგ სახით:

ეკშ$_{BA}$ = $\sqrt[4]{(5,009)^2 * 10,204 / 2,009 * 73,682 / 14,186}$ =5,072.

შევნიშნავთ, რომ ამ შემთხვევაში ფესვის ქვეშ გამოყენებულია არ ფიშერის ინდექსები, არამედ საშუალო გეომეტრიულები.

საერთაშორისო ორგანიზაციების პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენებ **გირი-კამისის მეთოდი.** ამ ფორმულას აქვს შემდეგი სახე:

$$\overline{P}_i = \sum_{j=1}^{m} \frac{p_{ij}}{R_j} \left[\frac{q_{ij}}{\sum_{j=1}^{m} qij} \right], \; i = 1 \ldots n.$$

$$R_j = \frac{\sum_{i=1}^{n} p_{ij} q_{ij}}{\sum_{i=1}^{n} \bar{P}_i q_{ij}} \quad j = 1...m,$$

სადაც R_j - j ქვეყნის ვალუტის მუპ-ია იმ ვალუტასთან მიმართებით, რომელიც მიღებულია ბაზად.

$\bar{P}_i$ — i - რი საქონლის საშუალო საერთაშორისო ფასი.

P_{ij} — i საქონლის ფასი j ქვეყანაში.

q_{ij} — i საქონლის რაოდენობა j ქვეყანაში.

n — საქონლის რიცხვი.

m — ქვეყნების რიცხვი.

ამრიგად, **გირი-კამისის მეთოდი,** გვაძლევს ნრფივი განტოლების სისტემის ამოხსნის საშუალებას, რის შედეგადაც ერთდროულად განისაზღვრება მუპ (R_j) და საშუალო საერთაშორისო ფასები ($\bar{P}_i$).

ყველა ქვეყნის მაჩვენებლის გადაყვანა საერთაშორისო ფასებში საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ისეთი ინდექსები, რომლებიც ტრანზიტული, ადიტიურია და აკმაყოფილებს საბაზისო ქვეყნის არჩევის დამოუკიდებლობის მოთხოვნას. თუმცა გირი-კამისის ინდექსი არ აკმაყოფილებს დამახასიათებელი წონების მოთხოვნას.

მრავალმხრივი შედარების კიდევ ერთი მეთოდია **უოლშის მეთოდი:**

$$\bar{I}_{A/B} = \prod_{i=1}^{n} R_{i\,A/B}^{(M_i)},$$

სადაც $R_{i\,A/B}$ — ეს არის ვალუტის მუპ ცალკეული i სასაქონლო ჯგუფისათვის (იგი გამოიანგარიშება როგორც მარტივი საშუალო გეომეტრიული A და B ქვეყნის საქონელ-წარმომადგენლებზე ფასების შეფარდებიდან).

M_i — i სასაქონლო ჯგუფის ხვედრითი წილი მაკროაგრეგატში, მაგალითად, მშპ-ში. (M_i გაიანგარიშება როგორც შეპირისპირებაში მონაწილე ყველა ქვეყნის მოცემული სასაქონლო ჯგუფის წილის საშუალო მაგალითად, თუ A, B, C, D ქვეყნებში ხორცის პროდუქტებზე ხარჯების ხვედრითი წილი შეადგენს 5, 6 და 7-ს, მაშინ მოცემული სასაქონლო ჯგუფისათვის M=6).

ავხსნათ უოლშის ინდექსის გაანგარიშების პროცედურა:

დაუშვათ, რომ შედარებაში მონაწილეობს სამი ქვეყანა A, B, C და ყველა ქვეყნის მშპ შედგება სამი სასაქონლო ჯგუფისაგან. ამ სასაქონლო ჯგუფების მუპ-ის ინდექსები და მათ ხვედრით წონები წარმოდგენილია ცხრილში:

სასაქონლო ჯგუფები	A ქვეყნის სტრუქტურა	B ქვეყნის სტრუქტურა	C ქვეყნის სტრუქტურა	A/B ფასების ინდექსები	C/B ფასების ინდექსები	საშუალო სტრუქტურა
I	20,0	40,0	60,0	1,5	4,0	40,0
II	30,0	40,0	20,0	2,0	6,0	30.0
III	50,0	20,0	20,0	3,0	5,0	30,0
ჯამი	100,0	100,0	100,0	—	—	100,0

უოლშის ინდექსის საფუძველზე A, B, C ქვეყნების ფასების საშუალო ინდექსების (მშპ) მისაღებად ვახდენთ შემდეგ გაანგარიშებებს:

$$I_{A/B} = 1{,}5^{0.4} * 2{,}0^{0.3} * 3{,}0^{0.3} = 2{,}01;$$
$$I_{C/B} = 4{,}0^{0.4} * 6{,}0^{0.3} * 5{,}0^{0.3} = 4{,}83.$$

უოლშის ინდექსები ტრანზიტულია და ეს არის მისი ღირსება. ისინი აკმაყოფილებენ საბაზისო ქვეყნის შერჩევისგან დამოუკიდებლობის მოთხოვნას, თუმცა არ აკმაყოფილებენ ადიტიურობის მოთხოვნას.

საერთაშორისო მრავალმხრივი შედარების მეთოდია აგრეთვე **ჟირარდის მეთოდი,** რომელიც ეფუძნება საშუალო საერთაშორისო ფასების გამოყენებას (ისინი გაიანგარიშება საშუალო ეროვნული ფასებიდან მარტივი საშუალო გეომეტრიულის ფორმულით).

ამ მეთოდით მიღებული ინდექსები აკმაყოფილებს ტრანზიტულობის, ადიტიურობისა და საბაზისო ქვეყნის შერჩევისგან დამოუკიდებლობის მოთხოვნებს. ჟირარდის ფორმულის გამოყენება გვაძლევს შეპირისპირების შედეგებზე „გერშენკრონის ეფექტის" გავლენის თავიდან აცილების საშუალებას. მაგრამ საშუალო საერთაშორისო ფასების ეკონომიკური შინაარსი, გაანგარიშებული ჟირარდის ფორმულით, ბუნდოვანია. მიუხედავად ამისა, გარკვეული პერიოდის მანძილზე ჟირარდის ფორმულას ევროსტატი იყენებდა ევროპული ქვეყნების მშპ-სა და მშპ-ის შესადარებლად .

ზოგიერთ შემთხვევაში მრავალმხრივი შეპირისპირებისას გამოიყენება **ცენტრალური ქვეყნის მეთოდი**. ყველა ქვეყნის მშპ-ის მაჩვენებლები შეუპირისპირდება ერთი ქვეყნის მშპ-ს, რომელიც მიღებულია საბაზისოდ (ცენტრალურად). ამ შემთხვევაში ნებისმიერი წყვილი ქვეყნის ინდექსები (მხოლოდ იმ წყვილი ქვეყნების გამოკლებით, რომლიდანაც ერთ-ერთი ქვეყანა არ გვევლინება ცენტრალურ ქვეყნად), გაიანგარიშება არაპირდაპირი გზით ამ ქვეყნების მაჩვენებლების ინდექსების ცენტრალური ქვეყნის მაჩვენებლებთან შეპირისპირების დახმარებით.

მაგალითად, თუკი შეპირისპირებაში მონაწილეობს ოთხი ქვეყანა — A,

B, C და D, ხოლო ცენტრალურ ქვეყნად ითვლება A ქვეყანა, მაშინ ინდექსი, რომელიც ახასიათებს B და C ქვეყნის შეპირისპირების მაჩვენებლებს, გამოიანგარიშება ასე:

$$I_{B/C} = I_{B/A} : I_{C/A}.$$

ასეთი მეთოდით მიღებული ინდექსები ტრანზიტულია, მაგრამ ტრანზიტულობა მიიღწევა გარკვეულ ნილად, მექანიკური გზით. ეს ნიშნავს იმას, რომ არაპირდაპირი გზით გაანგარიშებული ინდექსი ($I_{B/C}$) იქნება განსხვავებული B და C ქვეყნის პირდაპირი შეპირისპირებით გამოანგარიშებული ინდექსისაგან ($I_{B/C}$).

გარდა ამისა, ცენტრალური ქვეყნის მეთოდით გაანგარიშებული ინდექსი არ აკმაყოფილებს ცენტრალური ქვეყნის შერჩევის დამოუკიდებლობის მოთხოვნას. ეს ნიშნავს იმას, რომ, თუ ცენტრალურ ქვეყნად არჩეულ იქნებოდა D ქვეყანა და არა A ქვეყანა, მაშინ ყველა სხვა ქვეყნის მაჩვენებელთა თანაფარდობა სხვანაირი იქნებოდა. ამასთან დაკავშირებით, ცენტრალური ქვეყნის მეთოდი, რომელიც ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო შეპირისპირებაში, არ განიხილება მრავალმხრივი შეპირისპირების სრულყოფილ მეთოდად. მისი გამოყენება ხდება, ძირითადად, სხვადასხვა პრაქტიკულ შემთხვევაში — ამომწურავი ინფორმაციის არქონის, რესურსების ეკონომიის და ა. შ. დროს.

ზოგიერთი სპეციალური პრობლემა

ფასების კორექტირება საქონლის ხარისხობრივი განსხვავებების გათვალისწინებით განსაკუთრებით რთულია მშენებლობაში, სადაც რთულია მოინახოს აბსოლუტურად იდენტური სამშენებლო ობიექტები. ამიტომ პრაქტიკაში მიღებულია **სტანდარტიზებული სამშენებლო ობიექტების მეთოდი.** ამ მეთოდის შესაბამისად დეტალურად აღწერენ რამდენიმე სამშენებლო ობიექტს (საცხოვრებელ შენობას, სკოლას, საავადმყოფოს, ადმინისტრაციულ შენობას, გზას და ა. შ.), მათი ობიექტური მახასიათებლებისა და იმ მასალების ტიპების ჩათვლით, რომლებიც აუცილებელია მშენებლობისათვის. ეს სტანდარტული სამშენებლო ობიექტები ფასდება შეპირისპირებაში მონაწილე ქვეყნის ფასებში, რაც უზრუნველყოფს სამშენებლო პროდუქციაზე ფასების ინდექსების გაანგარიშებას, რომელიც შემდეგ გამოიყენება პროდუქციის შესადარ ფასებში გადაყვანისათვის.

ძალიან რთულია აგრეთვე **შინამეურნეობების მომსახურე სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და ზოგიერთი კომერციული ორგანიზაციის არასაბაზრო მომსახურების შედარების პრობლემა:** არასაბა-

ზრო მომსახურება უფასოა და, მაშასადამე, აქ არ არის ფასები, რომელთა შეპირისპირება დაგვეხმარებოდა შესაბამისი მშპ-ის განსაზღვრაში. ამიტომ არასაბაზრო მომსახურების შეპირისპირებისათვის გამოიყენება სხვადასხვა მიდგომა.

როგორც წესი, **კოლექტიური** მოხმარების არასაბაზრო მომსახურება (საერთო მმართველობა, უშიშროება, მეცნიერება და სხვ.) შეუპირისპირდება ერთმანეთს მათი ღირებულების შესადარ ფასებში გადაფასების დახმარებით დანახარჯების ელემენტების მიხედვით (შუალედური მოხმარება, შრომის ანაზღაურება, ძირითადი კაპიტალის მოხმარება და ა.შ.). გადაფასებისათვის გამოიყენება ფასების ინდექსები და ტარიფები დანახარჯების შესაბამის ელემენტებზე.

ინდივიდუალური მოხმარების არასაბაზრო მომსახურების პროდუქციის (განათლება, ჯანმრთელობა და ა.შ.) შედარება ზოგჯერ ფიზიკური ინდიკატორების დახმარებით ხდება: A ქვეყნის მომსახურების ღირებულებაზე მონაცემები ეროვნულ ფასებში მრავლდება კოეფიციენტზე, რომელიც გამოსახავს A და B ქვეყნების ზოგიერთი მაჩვენებლის თანაფარდობას ფიზიკურ ერთეულებში (მაგალითად, ექიმების რიცხვი, სტუდენტების, საწოლების რიცხვი საავადმყოფოებში და ა. შ.). ასეთი მეთოდის საშუალებით მივიღებთ B ქვეყანაში არასაბაზრო მომსახურების ღირებულებას A ქვეყნის ფასებში და პირიქით., ანალოგიური ქმედებით შეიძლება A ქვეყნაში მომსახურების ღირებულების გაანგარიშება B ქვეყნის ფასებში.

ორივე მიდგომა საშუალებას გვაძლევს გავიანგარიშოთ არასაბაზრო მომსახურების ფიზიკური მოცულობის ინდექსი. თუ გავყოფთ ამ მომსახურების ღირებულების ინდექსს, გაანგარიშებულს მომსახურების ღირებულებების შეპირისპირების გზით A და B ქვეყნის ეროვნულ ფასებში ფიზიკური მოცულობის ინდექსზე, მაშინ არაპირდაპირი გზით შეიძლება მივიღოთ ამ მომსახურებისათვის მშპ-ის სიდიდე. აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ გაანგარიშების ჩვეულებრივი პროცედურა ითვალისწინებს ფიზიკური მოცულობის ინდექსის მიღებას ღირებულების ინდექსის ფასების ინდექსზე გაყოფით.

არასაბაზრო მომსახურების შეპირისპირების მეთოდებმა და განსაკუთრებით **ელემენტების მიხედვით დანახარჯების გადაფასების მეთოდმა** შეიძლება მოგვცეს დამაკმაყოფილებელი შედეგი, თუ შრომის მწარმოებლურობის დონეები შესადარ ქვეყნებში დაახლოებით ერთნაირია. თუ ისინი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან, მაშინ ამ გაანგარიშებებში შეიტანება შესწორებები შრომის მწარმოებლურობის დონეების განსხვავების მიხედვით.

თეორიულ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, არასაბაზრო მომსახურებაში შრომის მწარმოებლურობის გაზომვა საკმაოდ რთული ამოცანაა. ამიტომ ეკონომიკის ამ დარგებში შრომის მწაროებლურობაში განსხვავების ზომად ხშირად გამოიყენება მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს შრომის

მწარმოებლურობის დონეების თანაფარდობას მთლიანად ეკონომიკაში. ზოგიერთ შემთხვევაში შრომისმწარმოებლურობის დონეებში განსხვავების მაჩვენებლად გამოიყენება შრომის კაპიტალშეიარაღების შეფარდებითი მაჩვენებელი.

ასე თუ ისე, საყოველთაოდ მიღებულია, რომ არასაბაზრო მომსახურების შეპირისპირების შედეგები მრავალ შემთხვევაში პირობითია და ნაკლებად საიმედო, ვიდრე საქონლისა და მომსახურების შეპირისპირების შედეგები.

ზოგიერთი ილუსტრაცია

საერთაშორისო შედარებების საფუძველზე მიღებული მშპ-სა და მშპ-ის მონაცემების ანალიზის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ქვეყნების ეკონომიკური განვითარების შედარებითი დონეების (მშპ მოსახლეობის სულადობაზე გაანგარიშებით), საბოლოო მოხმარების დონის, სხვადასხვა მიზნისათვის მშპ-ის გამოყენების სტრუქტურის, შრომის მწარმოებლურობის დონეების გამოვლენა.

მშპ-ის ძირითადი კომპონენტების ფიზიკური მოცულობის ინდექსები მოსახლეობის ერთ სულზე 1996წ (საერთაშორისო შედარებების ევროპოული პროგრამების მიხედვით, აშშ =100)

ცხრილი 11.2

	მშპ	მოსახლეობის საბოლოო მოხმარება	ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება
საქართველო	10,6	12,6	3,1
ავსტრია	79,9	70,9	113,1
აზერბაიჯანი	6,9	8,2	5,1
აშშ	100	100	100
ბელორუსი	18,3	16,6	15,5
ბელგია	79,8	71,6	82,8
გერმანია	76,6	72,5	91,5

დიდი ბრიტანეთი	70,2	68,8	65,7
თურქმენეთი	10,7	4,4	15,7
იაპონია	86,2	71,5	155,8
იტალია	72,8	67,1	71,5
კანადა	81,7	75,9	91,6
მოლდოვა	7,5	8,9	3,5
ნიდერლანდები	75,6	65,0	83,6
ნორვეგია	91,6	69,5	121,2
ყაზახეთი	15,6	15,8	8,0
ყირგიზეთი	7,6	8,7	4,3
რუსეთი	24,2	20,4	15,2
საფრანგეთი	73,3	67,3	81,7
სომხეთი	7,1	9,1	3,7
ტაჯიკეთი	3,3	2,6	0,9
უზბეკეთი	7,2	7,2	5,9
უკრაინა	11,9	11,9	6,0
შვეიცარია	89,6	78,3	118,9
შვედეთი	71,6	63,5	64,1

მშპ-ის მაჩვენებელი თავიდანვე გაიანგარიშება მშპ-ის მონაცემთა შესადარისობის უზრუნველსაყოფად. მაშასადამე, მათი ანალიტიკური ფასეულობა ნაკლებია მთლიანი შიდა პროდუქტის მონაცემებთან შედარებით. თუმცა, ეს მონაცემებიც შეიძლება საინტერესო იქნეს ქვეყნებს შორის ფასების შესასნავლად. ერთ-ერთი მაჩვენებელი, რომელიც გამოიყენება ამ სფეროში, **მშპ-იდან სავალუტო კურსის გადახრის ინდექსია**. სტატისტიკოსების მიერ გამოვლენილია ამ ინდექსის სიდიდის კანონზომიერი დამოკიდებულება მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით მთლიან შიდა პროდუქტის სიდიდესთან: რაც უფრო ნაკლებია მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე (აშშ დოლარებში), მით უფრო დიდია ოფიციალური სავალუტო კურსის გადახრა მსყიდველობითი უნარის პარიტეტებიდან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რაც უფრო ღარიბია ქვეყანა, მით უფრო დაწეულია ოფიციალური სავალუტო კურსი ვალუტის რეალურ მსყიდველობით უნართან შედარებით.

მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტი და სავალუტო კურსები, 1996წ.

ცხრილი 11.3

	ეროვნული ვალუტის ერთეულები ერთ აშშ დოლარზე		სავალუტო კურსის შეფარდება მუპ-თან	ფასების შეფარდებითი დონე
	მუპ	სავალუტო კურსი (აშშ=1)		
საქართველო	0,33	1,17	3,48	29
ავსტრია	13,6	10,6	0,78	128
აზერბაიჯანი	942	4229	4,48	22
აშშ	1	1	1,00	100
ბელორუსი	3462	13534	3,91	26
ბელგია	36,8	31,0	0,84	119
გერმანია	2,03	1,50	0,74	135
დიდი ბრიტანეთი	0,644	0,641	1,00	100
თურქმენეთი	436	3516	8,06	12
იაპონია	166	109	0,66	152
იტალია	1583	1544	0,98	103
კანადა	1,19	1,36	1,15	87
მოლდოვა	1,01	4,61	4,55	22
ნიდერლანდები	2,04	1,69	0,83	121
ნორვეგია	9,11	6,46	0,71	141
ყაზახეთი	19,41	70,18	3,62	28
ყირგიზეთი	2,45	12,85	5,23	19
რუსეთი	2209	5124	2,32	43
საფრანგეთი	6,57	5,12	0,78	128
სომხეთი	89,8	409,83	4,61	22
ტაჯიკეთი	56,55	283,45	5,03	20
უზბეკეთი	12,06	40,25	3,33	30
უკრაინა	0,48	1,83	3,82	28
შვეიცარია	2,05	1,24	0,60	166
შვედეთი	9,68	6,71	0,70	144

ცხრილიდან ჩანს, რომ თანაფარდობა ოფიციალურ სავალუტო კურსსა და მშპ-ს შორის მაღალია შედარებით ღარიბ ქვეყნებში და, პირიქით, შედარებით მდიდარ ქვეყნებში ეს თანაფარდობა დაბალია, ე.ი ღარიბ ქვეყნებში ოფიციალური სავალუტო კურსი დაწეულია მშპ-თან შედარებით.

მშპ-ის მონაცემები შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნეს ფასების შეფარდებითი დონეების ანალიზისათვის. ამ მიზნით გაიანგარიშება **ქვეყნების მიხედვით მშპ-ის ოფიციალურ სავალუტო კურსთან თანაფარდობის ინდექსი.** მიღებული კოეფიციენტების შეპირისპირება გვიჩვენებს ფასების შეფარდებით დონეს საბაზისო ქვეყანასთან შედარებით.

ცხრილი 11.3-ის მონაცემები ადასტურებენ იმას, რომ ფასების შეფარდებითი დონე მაღალია იმ ქვეყნებში, სადაც მშპ ერთ სულ მოსახლეზე მაღალია (თურქმენეთში ფასების დონე ძალიან დაბალია, ხოლო იაპონიასა და შვეიცარიაში კი — მაღალი).



1. რა განსხვავებაა ვალუტის მსყიდველობით უნარსა და სავალუტო კურსებს შორის?
2. რაში მდგომარეობს მოთხოვნები მშპ-ის საერთაშორისო შედარებების ინდექსებისადმი?
3. რაში მდგომარეობს საქონელ-წარმომადგენლების მეთოდის არსი ვალუტის მსყიდველობითი უნარის პარიტეტების შეპირისპირების კონტექსტში?
4. ახსენით ეკშ-ს ინდექსის ფორმულა.
5. ახსენით გირი-კამისის განტოლება.
6. ჩამოთვალეთ ინდექსების აქსიომატური თეორიის ძირითადი მოთხოვნები.
7. რა ნაკლოვანებები და ღირსებები ახასიათებს ფიშერის ფორმულას?
8. ახსენით უოლშის ინდექსის გაანგარიშების პროცედურა.
9. ახსენით ჟირარდის მეთოდის არსი.

1. მსყიდველობითი უნარის პარიტეტი:

ა) უზრუნველყოფს განსხვავებათა ნიველირებას შესადარი ქვეყნების ფასების დონეებში;
ბ) მშპ-ის საერთაშორისო შედარებათა უზრუნველყოფის ტექნიკური ინსტრუმენტია;
გ) გამოიყენება ვალუტის გაცვლისათვის;
დ) გვევლინება რეალური ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტად.

2. მსყიდველობითი უნარის პარიტეტი:

ა) ფასების დინამიკის ინდექსების სივრცობრივი ანალოგია;
ბ) სხვადასხვა ვალუტის მსყიდველობითი უნარის სხვაობას ზომავს სივრცობრივად;
გ) თავისებური სივრცობრივი დეფლატორია;
დ) არ გამოიყენება ეროვნული ღირებულებითი მაჩვენებლები დასაყვანად გარკვეულ „რეალურ" ფულად საზომამდე.

3. მუპ-ის გამოყენება მშპ-ის შედარებებისათვის საშუალებას გვაძლევს:

ა) გადავაფასოთ ეროვნული ვალუტა შესადარ სავალუტო ერთეულებში;
ბ) გადავაფასოთ ეროვნული ვალუტა „რეალურ მოცულობებში";
გ) გადავაფასოთ ეროვნული ვალუტა „ნომინალურ მოცულობებში";
დ) აღმოვფხვრათ ფასების დონეებში არსებული სხვაობის ზეგავლენა.

4. უმცირესი სასაქონლო ჯგუფები იქმნება:

ა) ეკონომიკური ანალიზის მიზნით;
ბ) გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით გადაანგარიშებებისათვის;
გ) მშპ-ის გადასაფასებლად შესადარ ვალუტაში;
დ) სამომხმარებლო ფასების ინდექსების გასაანგარიშებლად.

5. თითოეული უმცირესი სასაქონლო ჯგუფისათვის ანგარიშობენ:

ა) ფასების ინდივიდუალური ინდექსების საშუალო ინდექსს საშუალო არითმეტიკულით;
ბ) ფასების ინდივიდუალური ინდექსების საშუალო ინდექსს საშუალო გეომეტრიულით;
გ) ფასების ინდივიდუალური ინდექსების საშუალო ინდექსს

საშუალო ჰარმონიულით;

დ) ფასების ინდივიდუალური ინდექსების საშუალო ინდექსს საშუალო ქრონოლოგიურით.

6.შემოხაზეთ ლასპეირესის ინდექსი:

ა) $\bar{I}_p^P = \frac{\sum W_1}{\sum \frac{W_1}{i_p}}$;

ბ) $\bar{I}_p^F = \sqrt{\bar{I}_p^L * \bar{I}_p^P}$;

გ) $\bar{I}_p^L = \frac{\sum i_p \cdot W_a}{\sum W_a}$;

დ) $I_Q = \sqrt{I_{B/A}^{qL} * I_{B/A}^{qP}}$.

7. რომელი ინდექსები გვაძლევს შედარებით უფრო დიდ სიდიდეებს:

ა) გერშენკრონის;
ბ) პააშეს;
გ) ფიშერის;
დ) ლასპეირესის.

8. საქონელ-ნარმომადგენელთა აღწერა უნდა მოიცავდეს:

ა) ტექნიკურ პარამეტრებს (ზომა, წონა, მოცულობა, სიმძლავრე და ა. შ.);
ბ) საქონლის მიზნობრივ დანიშნულებას (მისი გამოყენების სფეროს);
გ) საქონლის ნიმუშს;
დ) ნახატს (გამოსახულებას).

9. საქონელ-ნარმომადგენელთა ფასის შერჩევისას ინფორმაციის მთავარი წყაროებია:

ა) კატალოგები;
ბ) პრეისკურანტები;
გ) მომხმარებლები;
დ) მენარმეები.

10. საერთაშორისო შედარებებში ინდექსების მიმართ წაყენებული ძირითადი მოთხოვნებია:

ა) ნონების დამახასიათებელი ერთეულები;
ბ) საბაზისო ქვეყნის დამოუკიდებელი შერჩევის;
გ) საქონლის ფაქტიური სინჯის;
დ) ტრანზიტულობის.

მაგალითი 11. 1.

განსაზღვრეთ A და B ქვეყნის ვალუტის მსყიდველობითი უნარის საშუალო პარიტეტი, შეადარეთ ერთმანეთს აღნიშნული ქვეყნების მშპ-ის მოცულობა შემდეგი მონაცემების საფუძველზე:

მუხლები	ღირებულება ეროვნულ ვალუტაში		მსყიდველობითი უნარის პარიტეტი
	A ქვეყანა	B ქვეყანა	
მოსახლეობის საბოლოო სამომხმარებლო ხარჯები	16200	3370	4,4
მართველობის ორგანოების სამომხმარებლო ხარჯები	3650	860	4,2
ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	5320	1330	3,8
მარაგების მატება	+270	+35	6,5
საგარეო ვაჭრობის სალდო	+185	+25	5,3

ამოხსნა:

1. გაანგარიშებისათვის გამოვიყენოთ შეწონილი საშუალო არითმეტიკულის ფორმულა.

ა) A ქვეყნის სტრუქტურის მიხედვით:

$$\frac{16200*4,4+3650*4,2+5320*3,8+270*6,5+185*5,3}{16200+3650+5320+270+185}=4,276;$$

ბ) B ქვეყნის სტრუქტურის მიხედვით:

$$\frac{3370*4,4+8600*4,2+1330*3,8+35*6.5+25*5,3}{3370+860+1330+35+25}=4,244;$$

2. A და B ქვეყნის მშპ-ს მოცულობების შეპირისპირება:

$$\text{მშპA/მშპB}=\frac{16200+3650+5320+270+185}{3370*4,4+860*4,2+1330*3,8+35*6,5+25*5,3}=1,074$$

ამოცანა 11. 2.

გაიანგარიშეთ ვალუტის მსყიდველობითი უნარის პარიტეტი ორი ქვეყნის მსუბუქი მრეწველობის პროდუქციისათვის შემდეგი მონაცემების საფუძველზე:

ეკონომიკური საქმიანობის სახეები მსუბუქი მრეწველობის მიხედვით	შესაბამისი პროდუქცია ქვეყნის ფულად ერთეულებში მლნ		დარგების მიხედვით ვალუტის მსყიდველობითი უნარის თანაფარდობა: A ქვეყნის 1 ფულადი ერთეული B ქვეყნის n ფულადი ერთეულის ტოლია
	A ქვეყანა	B ქვეყანა	
ბამბის ქსოვილების წარმოება	2600	3685	2,34
შალის ქსოვილების წარმოება	1250	3710	2,10
აბრეშუმის ქსოვილების წარმოება	1052	638	1,55
ტრიკოტაჟის წარმოება	1880	850	1,02
ფეხსაცმლის წარმოება	1370	1100	1,12
სამკერვალო წარმოება	10120	6980	1,90

მითითებები ამოხსნისათვის:

ამოცანის ამოხსნის დროს ვალუტის კურსის განსაზღვრისათვის აუცილებელია ცალკეული საქონლის ფასების თანაფარდობა შევწონოთ ამ საქონელთა ხვედრითი წონით საცალო საქონელბრუნვაში, როგორც A ქვეყანაში, ასევე B ქვეყანაში. შემდეგ გამოვიყენებთ საშუალო გეომეტრიულის ფორმულით გაანგარიშებული ნილის მაჩვენებლებს, რის შედეგადაც მივიღებთ ორ ვარიანტს:

ა) A ქვეყნის პროდუქციის ღირებულებითი სტრუქტურის მიხედვით.

ბ) B ქვეყნის პროდუქციის ღირებულებითი სტრუქტურის მიხედვით.

ამოცანა 11. 3.

შეადარეთ A და B ქვეყნის ეროვნული შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით თითოეული ქვეყნის ვალუტაში:

მაჩვენებლები	A ქვეყანა	B ქვეყანა
მოსახლეობის რიცხოვნობა	108 380	58712
მშპ, ფულადი ერთეული, მლრდ.	1376	20,04
ვალუტის კურსი ეროვნული შემოსაელის მიხედვით (A ქვეყნის ერთი ფულადი ერთეული B ქვეყანის n ფულადი ერთეულის ტოლია)	0,012	0,01

ამოცანა 11. 4.

განსაზღვრეთ A და B ქვეყნის ვალუტის მსყდველობითი უნარის საშუალო პარიტეტი, შეუპირისპირეთ ერთმანეთს აღნიშნული ქვეყნების მშპ-ის მოცულობა შემდეგი მონაცემების საფუძველზე:

მუხლები	ღირებულება ეროვნულ ვალუტაში		მსყიდველობითი უნარის პარიტეტი
	A ქვეყანა	B ქვეყანა	
მოსახლეობის საბოლოო სამომხმარებლო ხარჯები	10800	2247	2,9
მმართველობის ორგანოების სამომხმარებლო ხარჯები	2433	573	2,8
ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	3547	887	2,5
მარაგების მატება	+180	+23	4,3
საგარეო ვაჭრობის სალდო	+123	+17	3,5

ამოცანა 11. 5.

A და B ქვეყნის მიხედვით არსებობს შემდეგი სახის მონაცემები (მლნ დოლარი):

მუხლები	ღირებულება ეროვნულ ვალუტაში		მსყიდველობითი უნარის პარიტეტი
	A ქვეყანა	B ქვეყანა	
მოსახლეობის საბოლოო სამომხმარებლო ხარჯები	325	69	5,0
მართველობის ორგანოების სამომხმარებლო ხარჯები	74	22	5,3
ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	125	37	4,8

მარაგების მატება	+8	+2,5	5,9
საგარეო ვაჭრობის სალდო	+4	+1,5	4,2

1. შეაპირისპირეთ A და B ქვეყნის მშპ-ის მოცულობები.
2. განსაზღვრეთ A და B ქვეყნის მშპ-ს სტრუქტურის მიხედვით A ვალუტის მსყიდველობითი უნარის კრებსითი პარიტეტი B ვალუტასთან მიმართებაში.
3. გაიანგარიშეთ და შეუპირისპირეთ ერთმანეთს მშპ-ს საბოლოო გამოყენების სტრუქტურა ამ ქვეყნებში ფაქტობრივ ფასებში და მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით.

ამოცანა 11. 6.

განსაზღვრეთ ვალუტის მსყიდველობითი უნარის პარიტეტი ორ ქვეყნაში ხორცის მრენველობის პროდუქციის წარმოებაზე შემდეგი მონაცემების მიხედვით

პროდუქცია	A ქვეყანა		B ქვეყანა	
	ფულადი ერთეული (მლნ)	ათასი ტ.	ფულადი ერთეული (მლნ)	ათასი ტ.
საქონლის ხორცი	855	650	2700	2900
ღორის ხორცი	755	440	1060	1350
ცხვრის ხორცი	235	165	165	168
ფრინველის ხორცი	153	120	770	1110
ძეხვეული	1220	620	826	710
ცხიმი	150	50	924	836

ამოცანა 11. 7.

შემდეგი მონაცემების საფუძველზე განსაზღვრეთ ორი ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე, გაანგარიშებული ერთიანი მეთოდოლოგიით:

მაჩვენებლები	A ქვეყნის ფულადი ერთეული (მლნ)	B ქვეყნის ფულადი ერთეული (მლნ)	ვალუტის A ქვეყნის 1 ერთეული ფულადი	კურსები: ფულადი B ქვეყნის n ერთეულის ტოლია
			გაანგარიშებულია A ქვეყნის ფონდების სტრუქტურის მიხედვით	გაანგარიშებულია B ქვეყნის ფონდების სტრუქტურის მიხედვით
მშპ მათ შორის	72130	217870		
დაგროვების ფონდი	18500	32250	1,20	1,04
მოხმარების ფონდი	53630	185620	0,91	0,82

შენიშვნა: ამოცანის ამოსახსნელად აუცილებელია შესადარი ქვეყნების მშპ-ის გადაფასება ერთიან ვალუტაში (მოცემულ შემთხვევაში B ქვეყნის ვალუტაში).

ამასთან დაკავშირებით გადაფასებას ექვემდებარება A ქვეყნის მშპ. ეს გადაფასება უნდა განხორციელდეს როგორც A ქვეყნის მშპ-ის სტრუქტურის, ისე B ქვეყნის სტრუქტურის მიხედვით სავალუტო კურსების ბაზაზე. ამ ორი სიდიდის საშუალო გეომეტრიული არის A ქვეყნის მშპ B ქვეყნის ვალუტაში.

1	Gross domestic product	მთლიანი შიდა პროდუქტი
2	Gross national income	მთლიანი ეროვნული შემოსავალი
3	Gross national disposable income	მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი
4	Value added (gross and net)	დამატებული ღირებულება (მთლიანი და წმინდა)
5	Output	გამოშვება
6	Intermediate consumption	შუალედური მოხმარება
7	Final consumption	საბოლოო მოხმარება
8	Final consumption expenditure	დანახარჯები საბოლოო მოხმარებაზე
9	Actual final consumption	ფაქტიური (მიმდინარე) საბოლოო მოხმარება
10	Gross capital formation	კაპიტალის მთლიანი დაგროვება
11	Gross fixed capital formation	ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება
12	Change in inventories	ცვლილებები საბრუნავი საშუალებების მარაგებში
13	Net acquisition of valuables	ფასეულობათა წმინდა შესყიდვა (შეძენა)
14	Operating surplus	საოპერაციო მოგება
15	Taxes on production and import	გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე
16	Taxes on products	გადასახადები პროდუქციაზე
17	Value added tax (VAT)	დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ)
18	other taxes on production	სხვა გადასახადები წარმოებაზე
19	Taxes on income and wealth	საშემოსავლო გადასახადები
20	Payroll taxes	გადასახადები ხელფასის ფონდიდან
21	Subsidies	სუბსიდიები
22	Subsidies on products	სუბსიდიები პროდუქტებზე
23	Other subsidies on production	სხვა სუბსიდიები წარმოებაზე
24	Compensation of employees	დაქირავებულთა კომპენსაცია
25	Mixed income	შერეული შემოსავალი
26	Property income	შემოსავალი საკუთრებიდან
27	Reinvested earnings on direct foreign investment	რეინვესტირებული შემოსავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან

28	Property income attributed to insurance policy holders	შემოსავალი სადაზღვევო პოლისების ფლობიდან
29	Transfers	გადარიცხვა, ტრანსფერი
30	Current transfers	მიმდინარე ტრანსფერი, გადარიცხვა
31	Capital Transfers	კაპიტალური ტრანსფერი
32	Primary income	პირველადი შემოსავალი
33	Balance of primary income	პირველადი შემოსავლების ბალანსი
34	Social transfers in kind	სოციალური ტრანსფერების სახეები
35	Adjusted disposable income	კორექტირებული განკარგვადი შემოსავალი
36	Saving	დაზოგვა, დანაზოგი
37	Net lending	წმინდა დაკრედიტება
38	Net borrowing	წმინდა სესხება
39	Acquisition of financial assets	ფინანსური აქტივების შესყიდვა
40	Transfers of individual non-market goods and services	ინდივიდუალური არასაბაზრო საქონლისა და მომსახურების ტრანსფერები
41	Other changes in volume of assets	სხვა ცვლილებები აქტივებში
42	Holding gains/losses	ჰოლდინგური მოგება/ზარალი
43	Assets	აქტივები
44	Liabilities	ვალდებულებები
45	Net worth	წმინდა აქტივები
46	Balance sheet	ბალანსი
47	Net equity of households in life insurance reserves and in pension funds	შინამეურნეობების წმინდა აქტივები სიცოცხლის დაზღვევის რეზერვებსა და საპენსიო ფონდებში
48	Imputations	იმპუტაცია
49	Transaction	ტრანსაქცია, ოპერაცია
50	Institutional unit	ინსტიტუციური ერთეული
51	Institutional sector	ინსტიტუციური სექტორი
52	Non-financial corporations sector	არაფინანსური კორპორაციების სექტორი
53	Financial corporations sector	ფინანსური კორპორაციების სექტორი
54	General government sector	სამთავრობო სექტორი
55	Non-profit institutions serving households sector	შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი
56	Households sector	შინამეურნეობების სექტორი
57	Rest of the world	დანარჩენი მსოფლიო
58	Residence	რეზიდენტობა
59	Residents	რეზიდენტები
60	Non-residents	არარეზიდენტები

61	Economic territory of the country	ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორია
62	Purchasers' prices	მყიდველის ფასები
63	Producers' prices	მწარმოებლის ფასები
64	Basic prices	საბაზისო ფასები
65	Factor cost	ფაქტორული ფასი
66	Constant prices	უცვლელი ფასები
67	Current prices	მიმდინარე ფასები
68	Financial intermediation	ფინანსური შუამავლობა
69	Financial intermediation services indirectly measured	ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება
70	Auxiliary financial services	დამხმარე ფინანსური მომსახურება
71	Financial assets	ფინანსური აქტივები
72	Financial Liabilities	ფინანსური ვალდებულებები
73	Monetary gold	მონეტარული ოქრო
74	Non-monetary gold	არამონეტარული ოქრო
75	Industrial gold	ოქრო სამრეწველო დამუშავებისათვის
76	Shares and other equity	აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები
77	Production account	წარმოების ანგარიში
78	Generation of income account	შემოსავლების ფორმირების ანგარიში
79	Allocation of primary income account	პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში
80	Secondary distribution of income account	შემოსავლების გადანაწილების (მეორადი განაწილების) ანგარიში
81	Use of disposable income account	განკარგვადი შემოსავლების გამოყენების ანგარიში
82	Redistribution of income in kind account	განკარგვადი შემოსავლების გამოყენების ანგარიში ნატურალურ ერთეულებში (ნატურაში)
83	Use of adjusted disposable income account	კორექტირებული განკარგვადი შემოსავლის გამოყენების ანგარიში
84	Capital account	კაპიტალის ანგარიში
85	Financial account	ფინანსური ანგარიში
86	Other changes in assets accounts	სხვა ცვლილებები აქტივების ანგარიშებში
87	Goods and services account	საქონლისა და მომსახურების ანგარიში
88	Rest of the world accounts	დანარჩენი მსოფლიოს ანგარიშები
89	Consolidated accounts	კონსოლიდირებული ანგარიშები
90	Balance of payments	საგადასახდელო ბალანსი
91	Balance of current account of balance of payments	საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ოპერაციების ბალანსი

92	Input-output tables	რესურსებისა და გამოყენების ცხრილები
93	Homogeneous production unit	ჰომოგენური სამეწარმეო ერთეული
94	Final demand	საბოლოო მოთხოვნა
95	Quadrants of input-output tables	რესურსებისა და გამოყენების ცხრილების კვადრანტები (მეოთხედები)
96	Method of deflation by price indexes	ფასების ინდექსებით დეფლაციის (დეფლირების, დეფლატირების) მეთოდი
97	Double deflation method	ორმაგი დეფლაცია
98	Extrapolation method used for valuation of indicators in constant prices	ექსტრაპოლაციის მეთოდის გამოყენება მუდმივ ფასებში მაჩვენებლების ასახვისათვის
99	Method of valuation in constant prices by deflation of costs components	ღირებულებითი კომპონენტების გამოსახვა მუდმივ ფასებში ფაქტორის დეფლატირების გზით
100	Method of direct valuation in constant prices	პირდაპირი შეფასების მეთოდი მუდმივ ფასებში
101	Implicit deflator of GDP	წარმოსახვითი დეფლატორი
102	Laspeyres index	ლასპეირესის ინდექსი
103	Paasche index	პააშეს ინდექსი
104	Fisher index	ფიშერის ინდექსი
105	Chain indexes	ჯაჭვური ინდექსები
106	Gerschenkron effect	გერშენკრონის ეფექტი
107	Self-employed	თვითდასაქმებული
108	Own account self-employed workers	თვითდაფინანსებაზე მყოფი თვით დასაქმებული
109	Entrepreneurs	მეწარმე
110	Non-observed economy	დაუკვირვებადი ეკონომიკა
111	Informal economy	არაფორმალური ეკონომიკა
112	Shadow economy	ჩრდილოვანი ეკონომიკა
113	Economic production	ეკონომიკური წარმოება
114	Non-paid household services	შინამეურნეობის არაანაზღაურებადი მომსახურება
115	Tangible assets	ხილული აქტივები
116	Intangible assets	უხილავი აქტივები
117	Produced assets	წარმოებული აქტივები
118	Non-produced assets	არაწარმოებული აქტივები
119	Enterprises of informal economy producing output for own use	არაფორმალური ეკონომიკის საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ პროდუქციას საკუთარი მოხმარებისათვის

120	Balance of primary income received from the rest of the world	დანარჩენი მსოფლიოდან მიღებული პირველადი შემოსავლების სალდო
121	International Standard Industrial Classification of All Kinds of Economic Activities (ISIC)	ეკონომიკური საქმიანობების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია
122	Central Product Classification (CPC)	პროდუქციის კლასიფიკაცია
123	Consumption of fixed assets	ძირითადი საშუალებების მოხმარება
124	Depletion of natural assets	ბუნებრივი აქტივების შემცირება
125	Perpetual inventory method	მარაგების უწყვეტი ინვენტარიზაციის მეთოდი
126	Method of registration of transactions on cash basis	ტრანსაქციების რეგისტრაცია ნაღდად
127	Method of registration of transactions on accrual basis	ტრანსაქციების რეგისტრაცია დარიცხვით
128	Method of valuation of inventories "first in - first out" (FIFO)	მარაგების შეფასების მეთოდი (ფიფო) „პირველი შემოსვლა - პირველი გასვლა"
129	Method of valuation of inventories "last in - first out" (LIFO)	მარაგების შეფასების მეთოდი (ლიფო) „ბოლო შემოსვლა - პირველი გასვლა"
130	Market producer	საბაზრო მწარმოებელი
131	Non-market producer	არასაბაზრო მწარმოებელი
132	Output for own final consumption	გამოშვება პირადი საბოლოო მოხმარებისათვის
133	Other non-market producers	სხვა არასაბაზრო მწარმოებლები
134	Housing services provided by owner-occupiers for own consumption	ბინათმფლობელის მიერ საცხოვრებლით სარგებლობაზე გაწეული დანახარჯები
135	Dwellings	საცხოვრებლები
136	Allowances	შეღავათები
137	Social contributions	სოციალური გადასახადები
138	Social benefits	სოციალური შეღავათები
139	Trade margin	სავაჭრო მარჟა
140	Flows	ნაკადები
141	Stocks	მარაგები
142	Additions to stocks	მარაგების მატება
143	Withdrawal from stocks	მარაგების ამოღება
144	Business accounts	ბიზნესის ანგარიშები
145	Reconciliation of entries in accounts	ანგარიშების გადამოწმება
146	Discrepancy	გადახრა
147	Loans	სესხები

148	Conceptual framework	კონცეპტუალური საფუძველი
149	Rerouting	გადახედვა
150	Direct foreign investments	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
151	Portfolio foreign investments	უცხოური ინვესტიციების პორტფელი
152	Operational leasing	საოპერაციო ლიზინგი
153	Financial leasing	ფინანსური ლიზინგი
154	Income	შემოსავალი
155	Expenditure	დანახარჯი
156	Revenue of state budget	სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები
157	Aggregates	აგრეგატები, მაჩვენებლები
158	Aggregation	აგრეგირება, გამსხვილება
159	Consolidation	კონსოლიდაცია
160	Environmental accounts	გარემოსდაცვითი ანგარიშები
161	Satellite accounts	სატელიტური ანგარიშები
162	Establishment	დაწესებულება, ორგანიზაცია
163	Industry	მრეწველობა
164	Secondary output	მეორადი (განმეორებითი) გამოშვება
165	Economically significant prices	ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ფასები
166	Notional sector	ეროვნული სექტორი
167	Insurance technical reserves	დაზღვევის ტექნიკური რეზერვები
168	Corresponding transaction	საკორესპონდენტო ანგარიში
169	Securities other than shares	ფასიანი ქაღალდები აქციების გარდა
170	Distributed income of corporations	კორპორაციების განაწილებული მოგება
171	Unincorporated enterprises	არაკორპორირებული საწარმოები
172	Imputed social contribution	გადახდილი სოციალური გადასახადები
173	Capital losses	კაპიტალური ზარალი
174	Insurance claims	საგარანტიო ვალდებულებები
175	Insurance premium	სადაზღვევო პრემია
176	Unfunded social benefits	მოკლევადიანი სოციალური შემოსაელები
177	Balancing Items	დამაბალანსებელი მუხლები
178	Collective final consumption expenditure	კოლექტიური საბოლოო მოხმარების დანახარჯები
179	Individual final consumption expenditure	ინდივიდუალური საბოლოო მოხმარების დანახარჯები
180	Registration of transactions on gross and net basis	ტრანსაქციების რეგისტრაცია დაგროვებით და წმინდა საფუძველზე
181	Valuation of imports at CIF prices	იმპორტის შეფასება სიფ ფასებით
182	Valuation of exports at FOB prices	იმპორტის შეფასება ფობ ფასებით

183	Commodity flow method	სასაქონლო ნაკადების მეთოდი
184	Valuation at replacement cost	შეფასება აღდგენითი ღირებულებით
185	Valuation at historic cost	შეფასება თავდაპირველი ღირებულებით
186	Book value	ძირითადი კაპიტალის ნარჩენი ღირებულება
187	Scrapping of assets	სალიკვიდაციო, ანუ ჯართის ღირებულება
188	Forgiveness of debt	ვალის პატიება
189	Supply and use tables	რესურსები-გამოყენების ცხრილები
190	Outworkers	შინმომუშავეები
191	Secondary activity	დამხმარე საქმიანობა
192	Balance of national economy (also known as „Material product system (MPS)")	სახალხო მეურნეობის ბალანსი (ცნობილია როგორც მატერიალური წარმოების ბალანსი)
193	Classification of functions of general government	მთავრობის ფუნქციების კლასიფიკაცია
194	Classification of individual consumption by purpose	ინდივიდუალური მოხმარების კლასიფიკაცია დანიშნულების მიხედვით
195	Transfer costs	სატრანსფერო დანახარჯები
198	Investment grants	საინვესტიციო სუბსიდიები
199	Public social security scheme	საზოგადოებრივი სოციალური დაცვის სქემები
200	Real estate	უძრავი ქონება
201	Repurchase agreement	ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით
202	Cultivated assets	კულტივირებადი აქტივები
203	Currency and deposits	ნაღდი ფული და დეპოზიტები
204	Other economic flows	სხვა ეკონომიკური ნაკადები
205	Additivity	ადიტიურობა
206	Transitivity	ტრანზიტულობა
207	Existing goods	არსებული საქონელი
208	Financial derivatives	ფინანსური წარმოებულები
209	Special drawing rights (SDR)	ნასესხობის სპეციალური უფლებები
210	Rent	რენტა
211	Unforeseen obsolescence	მორალური ცვეთა

დანართი 1

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში, მლნ ლარი

	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007[1]	1ქ08[1]	11ქ08[1]
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და თევზჭერა	1,282.5	1,262.9	1,318.0	1,401.4	1,245.0	1,399.0	1,434.6	1,653.0	1,610.7	1,716.4	1,544.3	1,596.8	402.1	444.1
სამთომოპოვებითი მრენველობა	21.4	17.9	14.2	19.3	40.9	37.9	49.5	75.3	77.0	91.3	138.8	163.3	35.2	34.8
დამამუშავებელი მრენველობა	418.2	456.9	427.2	468.2	516.7	515.3	625.2	746.1	803.9	998.7	1,194.3	1,435.3	317.6	409.2
ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	120.1	139.9	180.4	248.9	263.3	256.8	311.6	323.9	304.2	326.2	375.1	413.9	129.6	93.2
პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ	235.4	233.2	236.7	255.5	223.3	301.0	329.5	370.0	396.8	406.8	338.9	369.1	81.0	76.4
მშენებლობა	96.2	164.2	234.3	211.6	224.7	259.6	379.5	547.4	793.2	937.9	947.3	1,137.3	207.2	239.9
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი სარგებლობის საგნების რემონტი	473.6	505.1	526.2	653.9	762.3	871.0	956.2	1,137.6	1,247.2	1,388.8	1,878.6	2,228.4	563.9	707.7
სასტუმროები და რესტორნები	70.7	89.6	96.1	136.5	141.1	192.1	218.6	244.9	266.2	330.3	317.4	370.1	81.0	90.1
ტრანსპორტი, დამხმარე და დამატებითი სატრანსპორტო საქმიანობა	172.3	286.3	448.5	532.8	707.8	725.1	838.7	880.6	931.8	974.6	1,102.8	1,296.8	348.6	333.0
კავშირგაბმულობა და ფოსტა	42.8	65.6	99.6	139.4	161.0	186.0	218.7	306.9	381.3	468.4	491.7	631.4	148.4	156.5
საფინანსო საქმიანობა	29.1	44.0	61.9	91.0	86.3	93.7	108.5	126.0	130.3	231.7	292.8	368.2	95.8	139.5
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული მომსახურება	62.4	92.3	102.0	100.4	110.4	148.3	139.0	209.5	262.4	305.3	456.0	520.7	131.1	186.9
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	320.4	322.4	322.8	322.2	314.1	308.1	306.6	307.7	307.7	315.3	332.6	369.4	102.8	103.5
სახელმწიფო მმართველობა	109.1	169.4	196.7	196.7	202.8	248.2	295.4	307.6	573.8	760.5	1,174.5	2,176.8	560.5	804.6
განათლება	101.3	126.4	141.0	184.3	213.7	238.4	273.3	278.0	344.1	385.2	511.2	651.7	117.5	141.3
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	81.3	160.4	227.0	241.0	314.2	320.4	347.9	346.2	345.8	404.0	597.5	713.9	138.9	239.4
სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება	118.4	159.1	172.3	172.9	196.7	192.1	191.6	249.8	279.0	373.3	450.1	525.0	182.3	170.9
შინამეურნეობებში დაქირავებული მომსახურება	18.5	19.9	18.5	19.4	18.3	11.0	9.0	9.4	8.9	9.6	10.2	11.1	3.1	3.8
საქმიან აქტივობაში ფინანსური შუამავლობის მომსახურების გამოყენების არაპირდაპირი შეფასება	-16.9	-20.3	-42.8	-52.6	-55.4	-63.0	-72.7	-77.8	-74.8	-129.7	-107.3	-163.4	-44.1	-56.8
მშპ საბაზისო ფასებში, მლნ ლარი	3,756.9	4,285.4	4,781.7	5,341.7	5,676.2	6,238.0	6,960.7	8,041.9	8,989.6	10,284.5	12,046.9	14,615.9	3,602.6	4,317.8
(+)გადასახადები პროდუქციაზე	158.1	319.5	300.4	397.0	422.8	490.1	550.4	578.3	892.1	1,397.3	1,800.6	2,484.3	602.8	700.2
(-)სუბსიდიები პროდუქციაზე	-46.5	-50.0	-40.0	-70.0	-56.0	-54.1	-55.0	-56.1	-57.3	-60.8	-57.6	-71.6	-22.90	-22.82
მშპ საბაზრო ფასებში, მლნ ლარი	3,868.5	4,554.9	5,022.1	5,668.7	6,043.1	6,674.0	7,456.0	8,564.1	9,824.3	11,620.9	13,789.9	16,998.6	4,182.5	4,995.2
მშპ ერთ სულზე, ლარი	827.6	999.2	1,114.8	1,268.2	1,362.5	1,516.3	1,705.6	1,972.1	2,276.7	2,689.1	3,193.1	3,868.0	954.5	1,139.9
მშპ ერთ სულზე, აშშ დოლარი	655.6	770.2	800.7	629.6	689.7	731.8	777.3	919.0	1,187.6	1,483.5	1,763.5	2,315.2	613.5	788.3
მშპ, მლნ აშშ დოლარი	3,064.6	3,610.7	3,606.9	2,814.1	3,059.1	3,221.0	3,397.8	3,990.8	5,124.7	6,411.0	7,761.7	10,174.8	2,688.3	3,454.4
ვალუტის კურსი, აშშ დოლარი/ლარი	1.2623	1.2974	1.3924	2.0144	1.9765	2.0720	2.1944	2.1469	1.9170	1.8127	1.7767	1.6707	1.5558	1.4460

დანართი 2

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი მუდმივ (1996=100) ფასებში, მლნ ლარი

	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007[1]	I 08[1]	II 08[1]
სოფლის მეურნეობა, სატყეო და სათევზე მეურნეობა, მეთევზეობა და თევზჭერა	1,282.6	1,332.0	1,244.0	1,329.6	1,170.4	1,266.6	1,248.2	1,377.3	1,269.0	1,421.6	1,266.2	1,346.7	311.0	349.8
სამთომოპოვებითი მრეწველობა	21.4	17.0	13.1	15.6	31.1	28.0	36.3	36.6	28.5	24.3	31.2	37.8	7.6	11.4
დამამუშავებელი მრეწველობა	418.2	433.7	393.9	377.8	393.7	380.6	459.7	603.4	561.6	640.7	783.5	891.1	147.4	279.2
ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირისა და წყლის წარმოება და გასანაწილება	120.1	132.9	166.5	201.0	201.1	189.8	170.4	186.1	178.7	187.8	213.0	224.8	70.6	54.9
პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ	235.4	238.9	232.3	236.9	232.2	238.1	240.4	251.6	247.5	278.2	286.6	331.1	46.6	75.2
მშენებლობა	96.2	145.8	197.1	154.8	161.0	177.6	254.2	372.6	506.4	577.7	626.9	716.7	170.0	158.2
ვაჭრობა: ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ხანარძლისა და პირადი სარგებლობის საგნების რეპონტი	473.6	484.1	491.9	510.4	565.3	615.0	639.1	716.3	774.9	847.5	1,014.6	1,133.9	300.9	281.4
სასტუმროები და რესტორნები	70.7	91.8	98.1	108.0	116.8	156.2	168.0	191.8	197.9	231.8	256.2	290.7	68.9	84.4
ტრანსპორტი, დამხმარე და დამატებითი სატრანსპორტო საქმიანობა	172.3	244.7	371.1	391.3	445.9	453.0	497.0	518.6	537.9	558.8	652.8	746.6	159.4	183.5
კავშირგაბმულობა და ფოსტა	42.8	44.5	60.8	65.0	70.4	70.6	72.3	98.7	116.4	148.6	168.4	184.0	43.3	57.5
საფინანსო საქმიანობა	29.1	50.3	89.5	141.9	145.5	165.7	203.7	240.5	271.4	414.9	567.9	651.3	167.4	202.3
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული მომსახურება	62.4	85.8	91.1	77.4	81.7	104.8	93.0	132.3	169.5	187.4	220.0	252.6	53.1	64.9
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	320.4	318.2	318.6	322.4	329.0	334.0	337.5	343.8	346.0	349.0	349.8	369.3	95.5	95.5
სახელმწიფო მმართველობა	109.1	107.4	117.4	109.9	110.4	106.3	107.6	105.2	113.4	108.1	105.6	120.8	31.1	34.6
განათლება	101.3	101.5	98.5	89.1	96.4	99.9	101.3	102.9	104.8	119.2	133.6	143.8	30.8	41.7
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	81.3	78.2	77.4	80.2	82.6	82.9	88.3	89.8	93.6	100.7	116.2	129.1	24.6	36.1
სხვა კომუნალური,სოციალური და პერსონალური მომსახურება	118.4	121.9	137.9	128.7	133.5	125.5	132.0	157.5	167.7	198.5	212.6	224.1	56.6	68.2
შინამეურნეობებში დაქირავებული მომსახურება	18.5	18.3	18.2	17.3	11.5	8.1	6.6	6.8	8.2	6.6	7.2	7.7	2.4	2.1
საქმიან აქტივობაში ფინანსური შუამავლობის მომსახურების გამოყენების არაპირდაპირი შეფასება	-16.9	-22.9	-61.0	-81.1	-90.3	-110.2	-135.2	-141.3	-130.2	-205.0	-174.3	-252.2	-76.3	-75.8
მშპ საბაზისო ფასებში, მლნ ლარი	3,756.9	4,024.1	4,194.7	4,290.5	4,349.7	4,536.5	4,783.6	5,341.2	5,642.4	6,227.9	6,825.4	7,618.1	1,729.0	2,056.5
(+)გადასახადები პროდუქციაზე	158.1	298.0	271.4	301.7	308.3	341.4	363.2	364.7	394.8	399.5	427.2	502.9	135.5	118.1
(-)სუბსიდიები პროდუქციაზე	-46.5	-46.7	-54.1	-52.9	-40.6	-37.5	-36.1	-35.1	-34.8	-35.0	-31.2	-33.2	-9.4	-8.8
მშპ საბაზრო ფასებში, მლნ ლარი	3,868.5	4,275.4	4,408.1	4,534.6	4,618.0	4,839.9	5,104.8	5,669.3	6,001.4	6,577.5	7,194.7	8,089.0	1,881.5	2,143.1
მშპ ერთ სულზე, ლარი	827.6	937.9	978.5	1014.5	1041.2	1099.6	1167.8	1305.5	1390.8	1522.0	1634.7	1840.6	429.4	489.1
მშპ ერთ სულზე, აშშ დოლარი	655.6	722.9	702.8	503.6	527.1	530.7	532.2	608.4	725.5	839.7	920.1	1101.7	276.0	338.2
მშპ, მლნ აშშ დოლარი	3064.6	3295.3	3165.9	2251.1	2337.7	2335.9	2326.3	2641.9	3130.6	3628.7	4049.6	4841.8	1209.4	1482.1
ვალუტის კურსი, აშშ დოლარი/ლარი	1.2623	1.2974	1.3924	2.0144	1.9755	2.0720	2.1944	2.1459	1.9170	1.8127	1.7767	1.6707	1.5558	1.4460

დანართი 3

შემოსაელების ფორმირების ანგარიში

რესურსები	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007[1]	I 08[1]	II 08[1]
მთლიანი შიდა პროდუქტი	3,868.5	4,554.9	5,022.1	5,668.7	6,043.1	6,674.0	7,456.0	8,564.1	9,824.3	11,620.9	13,789.9	16,998.6	4,182.5	4,995.2
(-)ძირითად საშუალებებზე დარიცხული ცვეთა	304.5	383.6	516.4	661.6	631.7	707.0	790.1	932.9	976.8	1,113.5	1,306.4	1,617.0	411.1	434.1
(=)შიდა პროდუქტი, წმინდა[1]	3,564.0	4,171.3	4,505.7	5,007.1	5,411.4	5,967.0	6,665.9	7,631.2	8,847.5	10,507.5	12,483.5	15,381.6	3,771.4	4,561.1
გამოყენება														
შრომის ანაზღაურება	814.6	1,065.5	1,290.5	1,386.7	1,667.4	1,680.1	1,659.0	1,484.8	1,641.1	1,977.4	2,293.2	3,252.3	833.6	1,132.0
ხელფასები[2]	716.1	963.7	1,147.8	1,242.2	1,510.8	1,507.6	1,493.7	1,257.2	1,269.8	1,530.1	1,790.3	2,530.3	625.2	849.0
სოციალური ანარიცხები[3]	98.5	101.8	142.7	144.5	156.5	172.5	165.3	227.6	371.2	447.3	502.8	722.0	208.4	283.0
გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე)	217.7	368.8	363.3	486.0	609.7	581.3	664.4	706.4	1,026.2	1,481.7	1,919.5	2,587.6	671.9	773.1
გადასახადები პროდუქციაზე	158.1	319.5	300.4	397.0	422.8	490.1	550.4	578.3	892.1	1,397.3	1,800.6	2,454.3	602.8	700.2
დამატებული ღირებულებისა და აქციზის გადასახადები	137.7	258.3	238.7	363.0	369.7	436.2	491.3	508.0	791.9	1,273.9	1,668.3	2,402.3	590.9	686.7
გადასახადი იმპორტზე დღგ-სა და აქციზის გარდა	20.4	61.2	61.6	34.1	53.1	55.0	59.0	70.3	100.1	123.4	132.4	52.0	11.9	13.5
სხვა გადასახადები წარმოებაზე	59.6	49.3	62.8	87.9	86.8	91.1	114.0	128.1	134.1	84.4	118.9	133.3	69.1	72.9
სუბსიდიები	-46.8	-50.0	-60.0	-70.0	-56.0	-54.1	-55.0	-56.1	-57.3	-60.8	-57.6	-71.6	-22.9	-22.8
მთლიანი საოპერაციო მოგება[4]	609.7	794.1	992.7	1,528.1	1,595.7	1,921.8	2,628.8	3,375.6	2,431.3	3,164.3	3,824.5	6,174.2	1,480.0	1,842.9
მთლიანი მერეული შემოსავალი[4]	2,273.0	2,376.5	2,435.6	2,339.0	2,326.3	2,544.9	2,558.8	3,053.4	4,783.1	5,058.3	5,810.3	5,056.2	1,220.0	1,270.6
საოპერაციო მოგება, წმინდა	384.4	491.1	567.9	955.6	1,069.6	1,320.6	1,945.6	2,564.3	1,567.7	2,186.0	2,647.9	4,686.3	1,101.2	1,440.9
დარიცხული ცვეთა შინამეურნეობების სექტორში	-79.2	-80.6	-81.7	-89.1	-95.5	-105.7	-106.9	-121.6	-113.2	-136.1	-129.8	-129.2	-32.4	-32.6
შერეული შემოსავალი, წმინდა	2,193.7	2,295.9	2,354.0	2,249.9	2,230.8	2,439.2	2,451.9	2,931.8	4,669.9	4,923.2	5,680.5	4,927.0	1,187.6	1,238.0

დანართი 4

ეროვნული შემოსავალი და ეას-ის სხვა მაჩვენებლები

	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007[1]	I 08[1]	II 08[1]
მთლიანი შიდა პროდუქტი	3868.5	4554.9	5022.1	5668.7	6043.1	6674.0	7456.0	8564.1	9824.3	11620.9	13789.9	16998.6	4,182.5	4,995.2
(+) პირველადი შემოსავლების მიღება დანარჩენი მსოფლიოდან	7.0	242.1	338.8	422.4	362.4	202.7	362.4	380.6	478.2	477.6	598.6	809.2	184 0	174.4
(-) პირველადი შემოსავლების გაგზავნა დანარჩენი მსოფლიოსაკენ	95.9	76.8	72.4	128.4	120.6	135.4	279.3	313.3	297.7	306.8	286.0	435.1	285.9	367.5
(=) მთლიანი ეროვნული შემოსავალი	3779.6	4720.3	5288.5	5962.8	6274.9	6741.3	7529.2	8631.3	10004.9	11791.7	14102.5	17372.8	4,080.6	4,802.0
( ) ძირითადი კაპიტალის მოხმარება	304.5	383.6	516.4	661.6	631.7	707.0	790.1	932.9	976.8	1113.5	1306.4	1617.0	411.1	434.1
(=) წმინდა ეროვნული შემოსავალი	3475.1	4336.7	4772.1	5301.2	5643.2	6034.3	6739.1	7698.4	9028.0	10678.3	12796.1	15755.7	3,669.4	4,367.9
(+) მიმდინარე ტრანსფერების მიღება საზღვარგარეთიდან	106.1	266.6	305.0	463.0	322.4	510.7	539.3	466.3	881.4	747.9	1029.1	1163.4	331.8	274.0
(-) მიმდინარე ტრანსფერების გაცემა საზღვარგარეთ	0.0	11.7	16.4	65.9	55.9	37.2	63.7	77.9	97.9	98.5	111.7	129.1	31.9	28.2
(=) წმინდა ეროვნული განკარგვადი შემოსავალი	3581.2	4591.6	5060.7	5698.2	5909.7	6507.9	7214.7	8086.8	9811.5	11327.7	13713.4	16790.0	3,969.3	4,613.8
(-) საბოლოო მოხმარება	4372.0	5110.6	4781.3	5203.2	5985.8	5947.7	6631.8	7028.8	8573.8	9794.1	12972.0	15731.9	4,027.3	4,684.9
(=) წმინდა დანაზოგი	-790.8	-519.0	279.4	495.0	-76.1	560.2	582.9	1058.0	1237.7	1533.6	741.5	1058.1	-358.0	-71.1
(+) კაპიტალური ტრანსფერების მიღება საზღვარგარეთიდან	58.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	59.4	59.9	83.7	113.4	301.3	200.8	29.6	26.0
(-) კაპიტალური ტრანსფერების გაცემა საზღვარგარეთ	0.0	8.4	8.4	14.2	9.4	10.7	19.0	17.2	6.7	6.4	1.9	0.5	0.0	0.05
(=) კაპიტალის წმინდა ღირებულების ცვლილება დანაზოგებისა და კაპიტალური ტრანსფერების შედეგად	-732.3	-527.4	271.0	480.8	-85.5	549.5	723.3	1100.6	1314.8	1641.5	1040.9	1258.3	-328.5	-45.2
(-) მთლიანი კაპიტალის ფორმირება	758.1	812.5	1364.5	1499.5	1606.3	2024.1	2125.0	2682.3	3134.8	3891.5	4255.3	5882.6	1,121.4	1,554.4
(+) ძირითადი კაპიტალის მოხმარება	304.5	383.6	516.4	661.6	631.7	707.0	790.1	932.9	976.8	1113.5	1306.4	1617.0	411.1	434.1
(-) არანარმოებული არაფინანსური აქტივების წმინდა შესყიდვა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
(-) სტატისტიკური განსხვავება	-524.9	-159.6	-86.7	45.4	-541.5	-336.2	-218.9	101.9	-250.8	6.0	-106.9	-157.8	-59.7	117 9
(=) წმინდა დაკრედიტება (+), წმინდა სესხება(-)	-661.0	-796.6	-490.4	-402.5	-518.6	-431.3	-392.7	-750.8	-592.3	-1142.6	-1801.1	-2849.5	-979.0	-1,283.4
საბალუტო კურსი, ლარი/აშშ დოლარი საშუალოდ პერიოდში	1.2623	1.2974	1.3924	2.0144	1.9755	2.0720	2.1944	2.1459	1.9170	1.8127	1.7767	1.6707	1.5558	1.4460
მოსახლეობა	4.7	4.6	4.5	4.5	4.4	4.4	4.4	4.3	4.3	4.3	4.4	4.4	4.4	4.3821
მშპ/ერთ სულზე, ლარი	808.6	1035.5	1173.9	1334.0	1414.8	1531.6	1722.3	1987.6	2318.5	2728.6	3204.2	3953.1	931.2	1,095.8
მშპ/ერთ სულზე, აშშ დოლარი	640.5	798.1	843.1	662.2	716.2	739.2	784.9	926.2	1209.4	1505.3	1803.5	2366.2	598.5	757.8
მშპ, მლნ აშშ დოლარი	2994.1	3638.2	3798.2	2960.0	3176.4	3253 5	3431.1	4022.1	5218.9	6505.2	7937.6	10398.8	2,622 8	3,320.8

მშპ დანახარჯების მიხედვით

	1996	1997	1998	1999	2000	2002	2003	2004	2005	2006	2007[1]	10[1]	8 08[1]
დამატებული ღირებულება და მთლიანი შიდა პროდუქტი													
მთლიანი დამატებული ღირებულება საბაზისო ფასებში	3,756.9	4,285.4	4,781.7	5,341.7	5,676.2	6,960.7	8,041.9	8,989.6	10,284.5	12,046.9	14,615.9	3,602.6	4,317.8
(+) გადასახადები პროდუქტებზე	158.1	319.5	300.4	397.0	422.8	550.4	578.3	892.1	1,397.3	1,800.6	2,454.3	602.8	700.2
(+) სუბსიდიები პროდუქტებზე	-46.5	-50.0	-60.0	-70.0	-56.0	-55.0	-56.1	-57.3	-60.8	-57.6	-71.6	-22.9	-22.8
(=) მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში	3,868.5	4,554.9	5,022.1	5,668.7	6,043.1	7,456.0	8,564.1	9,824.3	11,620.9	13,789.9	16,998.6	4,182.5	4,995.2
მთლიანი შიდა პროდუქტის გამოყენება													
ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე	4,372.0	5,110.6	4,781.3	5,203.2	5,985.8	6,531.8	7,028.8	8,573.8	9,794.1	12,972.0	15,731.9	4,327.3	4,684.9
შინამეურნეობები	3,998.8	4,621.8	4,196.2	4,556.7	5,404.4	5,743.1	6,129.8	7,148.5	7,719.7	10,803.6	11,952.7	3,247.5	3,362.2
შშპაკო (შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები)	75.4	25.6	29.5	43.7	65.3	58.8	62.8	46.2	60.5	52.4	61.3	12.9	18.2
სახელმწიფო მართვის ორგანოები	297.8	463.2	556.6	602.7	516.0	729.9	836.2	1,379.1	2,014.0	2,116.0	3,717.9	1,066.9	1,304.5
ინდივიდუალური საკონეცი და მომსახურება	136.2	213.8	286.6	332.7	236.2	322.3	411.9	587.6	978.6	640.0	714.7	155.4	194.6
კოლექტიური მომსახურება	162.6	249.4	270.0	270.0	279.8	407.5	424.4	791.6	1,035.3	1,476.0	3,003.2	911.5	1,109.9
(+) მთლიანი კაპიტალის ფორმირება	758.1	812.5	1,364.5	1,499.5	1,606.3	2,125.0	2,682.3	3,134.8	3,891.5	4,255.3	5,882.6	1,121.4	1,554.4
ძირითადი საშუალებების მთლიანი ფორმირება	718.2	840.8	1,283.3	1,485.6	1,537.8	1,825.6	2,283.6	2,697.3	3,261.4	3,524.2	4,805.6	900.6	1,267.7
მარაგების ცვლილება	39.9	-28.3	81.2	13.9	68.5	299.5	398.7	437.5	630.1	731.1	1,077.0	220.8	286.7
ფასეულობის შეძენა, წმინდა	..	..	..	..	..	..	..	..					
(+) საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	515.5	711.0	826.6	1,080.2	1,389.6	2,179.3	2,726.6	3,100.1	3,921.9	4,532.1	5,357.2	1,313.1	1,617.1
საქონლის ექსპორტი	391.8	489.1	417.6	655.5	907.2	1,319.1	1,777.4	2,073.2	2,665.7	2,956.2	3,498.8	853.3	1,096.1
მომსახურების ექსპორტი	123.8	221.9	408.9	424.7	482.4	860.2	949.2	1,026.9	1,256.2	1,576.0	1,858.4	459.8	521.0
(-) საქონლისა და მომსახურების იმპორტი	1,252.2	1,919.6	1,863.6	2,159.6	2,397.1	3,161.3	3,975.6	4,733.6	5,992.7	7,862.6	9,815.3	2,519.5	2,979.1
საქონლის იმპორტი	1,134.0	1,509.7	1,382.5	1,738.9	2,017.9	2,778.9	3,142.0	3,813.9	4,861.2	6,573.8	8,297.6	2,139.7	2,492.7
მომსახურების იმპორტი	118.3	409.9	481.1	420.7	379.2	782.4	833.6	919.7	1,131.4	1,288.7	1,517.7	379.8	486.4
(+) სტატისტიკური ცდომილება	-524.9	-169.6	-86.7	48.4	-541.5	-218.9	101.9	-250.8	6.0	-106.9	-157.8	-59.7	117.9
(=) მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში	3,868.5	4,554.9	5,022.1	5,668.7	6,043.1	7,456.0	8,564.1	9,824.3	11,620.9	13,789.9	16,998.6	4,182.5	4,995.2

საქართველოს ეკონომიკის მოლიანი გამოშვება მიმდინარე ფასებში, მლნ ლარი

	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007[1]	1 08[1]	II 08[1]
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და თევზჭერა	1,912.4	1,880.1	1,898.5	2,070.2	1,857.2	2,101.8	2,155.4	2,483.4	2,419.9	2,585.4	2,341.7	2,515.3	636.2	661.2
სამთომოპოვებითი მრეწველობა	43.5	38.6	29.5	40.5	77.0	78.1	100.1	166.1	161.9	186.0	282.5	332.6	72.0	71.1
დამამუშავებელი მრეწველობა	964.6	1,094.3	943.4	1,081.3	1,218.8	1,274.8	1,447.9	1,709.8	1,927.6	2,483.4	3,008.5	3,685.6	800.0	1,089.1
ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	250.3	286.0	353.0	473.7	497.6	494.8	573.8	581.8	631.2	573.6	661.8	730.0	229.0	164.2
პროდუქციის გაღარიბუმავება მინამეურნეობების მიერ	735.6	728.6	745.8	798.4	697.9	940.6	1,029.8	1,156.2	1,216.3	1,232.9	1,027.0	1,118.2	261.4	231.6
მშენებლობა	170.9	308.3	423.3	401.8	449.3	535.7	801.1	1,178.2	1,503.0	1,689.2	2,065.3	2,660.1	485.4	531.8
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ხანარძლისა და პირადი სარგებლობის საგნების რემონტი	723.6	784.5	825.1	986.1	1,122.2	1,237.2	1,363.9	1,618.6	1,790.8	2,145.6	2,861.3	3,388.1	845.5	1,083.2
სასტუმროები და რესტორნები	110.9	128.8	132.0	191.3	200.5	285.1	341.6	375.3	408.2	503.2	480.6	578.0	128.4	158.3
ტრანსპორტი, დამმარე და დამატებითი სატრანსპორტო საქმიანობა	238.0	424.1	662.3	739.8	1,003.0	1,010.2	1,201.0	1,271.3	1,387.1	1,463.1	1,672.1	1,983.1	536.0	520.0
კავშირგაბმულობა და ფოსტა	66.4	86.6	128.3	179.0	200.6	249.9	309.3	434.7	547.6	679.2	713.3	781.0	215.6	238.4
საფინანსო საქმიანობა	43.2	63.6	89.9	130.3	135.2	146.4	167.6	197.4	201.1	361.6	457.0	590.2	149.5	217.7
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული მომსახურება	83.8	125.3	135.3	138.6	149.3	198.1	198.8	287.6	360.3	429.0	640.4	753.8	199.4	309.8
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	330.3	332.3	333.9	334.7	329.3	327.0	329.5	327.6	329.9	337.8	356.5	395.9	107.7	110.9
სახელმწიფო მმართველობა	162.6	249.4	270.0	270.0	279.8	338.2	407.5	424.4	791.6	1,035.3	1,620.4	3,003.1	911.5	1,109.9
განათლება	131.5	164.5	182.8	214.8	253.1	287.1	326.8	331.3	418.2	480.4	637.3	687.9	146.4	176.1
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	117.2	225.2	313.4	368.7	507.7	495.4	658.7	547.6	549.1	646.6	952.9	1,091.7	223.4	327.5
სხვა კომუნალური,სოციალური და პერსონალური მომსახურება	189.5	257.6	261.2	267.7	307.6	298.4	298.7	392.8	490.0	610.8	736.1	864.7	303.3	285.3
შინამეურნეობებში დაქირავებული მომსახურება	21.1	21.5	20.4	21.3	16.8	12.2	10.1	10.3	9.7	10.5	11.2	12.2	3.3	4.2
გამოშვება საბაზისო ფასებში, მლნ ლარი	6,284.4	7,199.2	7,748.3	8,705.4	9,302.7	10,310.8	11,608.4	13,484.0	15,033.7	17,443.5	20,525.7	25,171.4	6,253.0	7,290.0
გადასახადები პროდუქციაზე	158.1	319.5	300.4	397.0	422.8	490.1	550.4	578.3	892.1	1,397.3	1,800.6	2,454.3	602.8	700.2
სუბსიდიები პროდუქციაზე	-46.5	-50.0	-60.0	-70.0	-56.0	-54.1	-55.0	-56.1	-57.3	-60.8	-57.6	-71.6	-22.9	-22.8
გამოშვება საბაზრო ფასებში, მლნ ლარი	6,396.0	7,468.7	7,988.8	9,032.5	9,669.5	10,746.8	12,103.8	14,006.2	15,868.4	18,780.0	22,268.8	27,554.1	6,832.9	7,967.4
გამოშვება ერთ სულზე, ლარი	1,368.3	1,638.4	1,773.3	2,020.8	2,180.2	2,441.7	2,768.8	3,225.3	3,677.3	4,345.7	5,069.6	6,269.8	1,559.3	1,818.2
გამოშვება ერთ სულზე, $	1,083.9	1,262.8	1,273.6	1,003.2	1,103.6	1,178.4	1,261.8	1,503.0	1,918.2	2,397.4	2,847.8	3,752.9	1,002.2	1,257.3
გამოშვება, მლნ $	5,066.8	5,756.5	5,737.5	4,483.9	4,894.8	5,186.7	5,515.9	6,526.8	8,277.5	10,360.4	12,534.1	16,493.0	4,391.9	5,509.8
კურსი: ლარი/აშშ დოლარი, პერიოდის საშუალო	1.2623	1.2974	1.3924	2.0144	1.9755	2.0720	2.1944	2.1459	1.9170	1.8127	1.7767	1.6707	1.5558	1.4460

დანართი 7

საქართველოს ეკონომიკის შუალედური მოხმარება მიმდინარე ფასებში, მლნ ლარი

	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007[1]	I 08[1]	II 08[1]
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და თევზჭერა	629.9	627.2	580.5	668.8	612.2	702.8	720.7	830.4	809.2	869.0	797.3	918.5	233.0	217.0
სამთომოპოვებითი მრეწველობა	22.1	20.6	15.3	21.2	36.1	40.1	50.6	80.8	74.9	94.7	143.7	169.3	36.8	36.3
დამამუშავებელი მრეწველობა	546.4	637.4	516.3	613.1	702.1	759.6	822.7	963.7	1,123.7	1,484.7	1,814.2	2,250.3	482.4	679.9
ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	130.2	146.1	172.6	224.8	234.3	238.1	262.2	257.9	227.0	247.4	286.6	316.1	99.4	71.0
პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ	500.2	495.5	507.2	542.9	474.6	639.6	700.3	786.2	819.5	826.0	688.1	749.2	180.4	155.1
მშენებლობა	74.7	144.0	189.0	190.2	224.5	276.1	421.6	630.8	709.8	751.3	1,116.0	1,522.8	278.2	291.9
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი სარგებლობის საგნების რემონტი	250.0	279.4	298.9	332.3	359.9	366.1	397.7	480.9	543.6	756.8	982.7	1,159.7	281.5	375.6
სასტუმროები და რესტორნები	40.2	39.2	35.8	54.8	59.4	93.0	123.0	130.4	142.0	172.9	163.2	207.9	47.4	68.1
ტრანსპორტი, დამმარე და დამატებითი სატრანსპორტო საქმიანობა	65.7	137.9	213.8	207.1	295.3	285.1	362.2	390.7	455.3	478.6	569.4	686.3	187.4	187.0
კავშირგაბმულობა და ფოსტა	12.5	20.9	28.7	39.6	49.4	63.9	90.6	127.8	166.3	210.8	221.7	249.6	67.2	81.8
საფინანსო საქმიანობა	14.1	19.6	28.0	39.4	46.8	52.6	59.1	71.4	70.8	129.9	164.2	222.0	53.7	78.2
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული მომსახურება	21.4	33.0	33.3	38.3	39.0	49.7	56.7	78.1	98.0	123.7	184.4	233.1	68.3	122.9
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	9.9	9.9	11.1	12.5	15.2	18.9	22.9	19.9	22.2	22.6	23.8	26.8	4.9	7.4
სახელმწიფო მმართველობა	53.5	80.0	74.3	74.3	77.0	93.1	112.1	116.8	217.8	284.9	445.8	826.3	351.1	305.4
განათლება	30.2	38.0	41.8	30.5	39.4	48.7	53.5	53.3	74.0	95.2	126.1	136.2	28.9	34.8
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	36.9	64.8	86.4	124.7	193.5	175.0	210.8	201.4	203.4	242.6	355.4	377.7	84.5	88.2
სხვა კომუნალური,სოციალური და პერსონალური მომსახურება	71.1	98.5	88.9	94.8	110.8	106.3	107.1	143.0	211.0	237.5	286.1	339.7	121.0	114.4
შინამეურნეობებში დაქირავებული მომსახურება	2.5	1.6	1.9	2.0	1.6	1.1	1.1	0.8	0.8	0.9	0.9	1.0	0.3	0.3
საქმიან აქტივობაში ფინანსური შუამავლობის მომსახურების გამოყენების არაპირდაპირი შეფასება	16.9	20.3	42.8	52.6	55.4	63.0	72.7	77.8	74.8	129.7	107.3	163.4	44.1	56.8
სულ	2527.5	2913.7	2966.7	3363.8	3626.4	4072.8	4647.8	5442.1	6044.1	7159.0	8478.9	10555.4	2650.4	2972.2

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა, წინა წლის შესაბამისი პერიოდი = 100

	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007[1]	I09[1]	II09[1]
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და თევზჭერა	103.9	93.4	106.9	88.0	108.2	98.6	110.3	92.1	112.0	88.3	108.8	109.2	101.5
სამთომოპოვებითი მრეწველობა	79.4	77.0	119.0	199.4	90.0	129.8	97.9	80.1	92.2	118.7	120.2	128.5	100.3
დამამუშავებელი მრეწველობა	103.7	90.8	95.9	104.2	96.7	120.8	109.5	111.6	114.1	122.3	113.7	100.7	108.9
ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	110.6	125.2	120.8	100.1	94.3	89.8	109.2	96.0	105.1	113.4	105.5	124.8	105.7
პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ	101.5	97.2	102.0	98.0	102.6	100.9	104.7	98.4	112.4	103.0	115.6	110.7	104.8
მშენებლობა	151.5	136.2	78.5	104.0	110.3	143.1	146.6	135.9	114.1	108.5	114.3	111.4	101.1
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო სანარმოსა და პირადი სარგებლობის საგნების რემონტი	102.2	101.6	103.8	110.8	108.8	103.9	112.1	108.2	109.4	119.7	111.8	116.9	109.4
სასტუმროები და რესტორნები	129.8	106.9	110.1	108.2	133.7	107.6	114.2	103.2	117.1	110.5	113.5	115.3	105.0
ტრანსპორტი, დამიმარე და დამატებითი სატრანსპორტო საქმიანობა	142.0	151.7	105.4	113.9	101.6	109.7	104.4	103.7	103.9	116.8	114.4	92.1	101.5
კავშირგაბმულობა და ფოსტა	103.9	136.5	107.0	108.3	100.2	102.5	136.5	117.0	128.7	113.4	109.3	116.0	121.4
საფინანსო საქმიანობა	172.5	178.1	158.6	102.5	113.9	122.9	118.1	112.8	152.8	136.9	114.7	115.8	140.4
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული მომსახურება	137.6	106.2	85.0	105.6	128.3	88.8	142.2	128.1	110.6	117.4	114.8	106.2	115.6
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	99.3	100.1	101.2	102.0	101.5	101.1	101.9	100.6	100.9	100.2	105.6	101.8	103.9
სახელმწიფო მმართველობა	98.5	109.2	93.7	100.4	96.3	101.2	97.7	109.7	93.7	97.6	114.4	116.1	114.5
განათლება	100.3	97.0	90.5	108.2	103.5	101.5	101.5	101.8	113.8	112.0	107.6	105.9	109.5
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	96.2	99.0	103.6	103.0	100.3	106.5	101.7	104.2	107.6	115.4	111.1	97.8	101.2
სხვა კომუნალური,სოციალური და პერსონალური მომსახურება	103.0	113.1	93.4	103.7	94.1	105.1	119.4	106.5	118.3	107.1	105.4	117.8	115.6
შინამეურნეობებში დაქირავებული მომსახურება	98.5	99.8	95.0	66.2	71.1	80.7	102.9	120.5	81.2	108.5	106.8	117.5	102.1
საქმიან აქტივობაში ფინანსური შეღამაღლობის მომსახურების გამოყენების არაპირდაპირი შეფასება	135.0	266.5	133.0	111.3	122.0	122.7	104.5	92.1	157.5	85.0	144.7	97.2	136.6
მშპ საბაზისო ფასებში	107.1	104.2	102.3	101.4	104.3	105.4	111.7	105.6	110.4	109.6	111.6	109.2	108.3
გადასახადები პროდუქციაზე	188.5	91.1	111.1	102.2	110.7	106.4	100.4	108.3	101.2	106.9	117.7	109.5	105.0
სუბსიდიები პროდუქციაზე	100.3	115.9	97.8	76.8	92.4	96.2	97.3	99.2	100.5	89.0	106.5	108.4	102.5
მშპ საბაზრო ფასებში	110.5	103.1	102.9	101.8	104.8	105.5	111.1	105.9	109.6	109.4	112.4	109.3	107.9
მშპ დეფლატორის ზრდა	106.5	106.9	109.6	104.6	105.3	106.0	103.3	108.1	107.9	108.5	109.6	112.3	113.0

[1]დაზუსტებული შეფასებები გამოქვეყნდება 2008 წლის ნოემბრის ბოლოს

დანართი 9

საქართველოს მოლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპები ნინა წელთან, პროცენტებში, ნინა წლის შესაბამისი პერიოდი = 100

	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007[1]	108[1]	I—II 08[1]
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და თევზჭერა	93.4	106.9	88.0	108.2	98.6	110.3	92.1	112.0	88.3	108.8	109.2	105.0
სამთომოპოვებითი მრენველობა	77.0	119.0	199.4	90.0	129.8	97.9	80.1	92.2	118.7	120.2	128.5	110.0
დამამუშავებელი მრენველობა	90.8	96.9	104.2	96.7	120.8	109.5	111.6	114.1	122.3	113.7	100.7	105.9
ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	125.2	120.8	100.1	94.3	89.8	109.2	96.0	105.1	113.4	105.5	124.8	115.7
პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ	97.2	102.0	98.0	102.6	100.9	104.7	98.4	112.4	103.0	115.6	110.7	107.0
მშენებლობა	135.2	78.5	104.0	110.3	143.1	146.6	135.9	114.1	108.5	114.3	111.4	106.2
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი სარგებლობის საგნების რემონტი	101.6	103.8	110.8	108.8	103.9	112.1	108.2	109.4	119.7	111.8	116.9	113.1
სასტუმროები და რესტორნები	106.9	110.1	108.2	133.7	107.6	114.2	103.2	117.1	110.5	113.5	115.3	109.3
ტრანსპორტი, დამხმარე და დამატებითი სატრანსპორტო საქმიანობა	161.7	105.4	113.9	101.6	109.7	104.4	103.7	103.9	116.8	114.4	92.1	96.9
კავშირგაბმულობა და ფოსტა	136.5	107.0	108.3	100.2	102.5	136.5	117.0	128.7	113.4	109.3	115.0	118.6
საფინანსო საქმიანობა	178.1	158.6	102.5	113.9	122.9	118.1	112.8	152.8	136.9	114.7	115.8	128.1
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული მომსახურება	106.2	85.0	105.6	128.3	88.8	142.2	128.1	110.6	117.4	114.8	106.2	111.2
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	100.1	101.2	102.0	101.5	101.1	101.9	100.6	100.9	100.2	105.6	101.8	102.8
სახელმწიფო მმართველობა	109.2	93.7	100.4	96.3	101.2	97.7	109.7	93.7	97.6	114.4	116.1	115.3
განათლება	97.0	90.5	108.2	103.5	101.5	101.5	101.8	113.8	112.0	107.6	105.9	107.9
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	99.0	103.6	103.0	100.3	106.6	101.7	104.2	107.6	118.4	111.1	97.8	99.8
სხვა კომუნალური,სოციალური და პერსონალური მომსახურება	113.1	93.4	103.7	94.1	105.1	119.4	106.6	118.3	107.1	105.4	117.8	116.5
შინამეურნეობებში დაქირავებული მომსახურება	99.8	95.0	66.2	71.1	80.7	102.9	120.5	81.2	108.5	106.8	117.5	109.8
საქმიან აქტიურობაში ფინანსური შუამავლობის მომსახურების გამოყენების არაპირდაპირი შეფასება	266.5	133.0	111.3	122.0	122.7	104.5	92.1	157.8	85.0	144.7	97.2	113.5
მშპ საბაზისო ფასებში	104.2	102.3	101.4	104.3	105.4	111.7	108.6	110.4	109.6	111.6	109.2	108.7
გადასაბეგრი პროდუქციაზე	91.1	111.1	102.2	110.7	106.4	100.4	108.3	101.2	106.9	117.7	109.5	107.5
სუბსიდიები პროდუქციაზე	115.9	97.8	76.8	92.4	96.2	97.3	99.2	100.5	89.0	106.5	108.4	105.5
მშპ ბაზარზრო ფასებში	103.1	102.9	101.8	104.8	105.5	111.1	105.9	109.6	109.4	112.4	109.3	108.5
მშპ დეფლატორის ზრდა	106.9	109.6	104.6	105.3	106.0	103.3	108.1	107.9	108.5	109.6	112.3	112.6

დანართი 10

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ჯაჭვური ინდექსები, 1996=100

	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007[1]	I 08[1]	II 08[1]
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა, თევზჭერა და თევზჭერა	100	103.9	97.0	103.7	91.3	98.8	97.3	107.4	99.0	110.8	97.9	106.6	97.0	109.1
სამთომოპოვებითი მრეწველობა	100	79.4	61.1	72.7	145.0	130.5	169.5	165.9	132.9	122.5	145.4	174.8	142.3	212.4
დამამუშავებელი მრეწველობა	100	103.7	94.2	90.3	94.1	91.0	109.9	120.4	134.3	153.2	167.3	213.1	140.9	267.0
ელექტრონერგიის, ბუნებრივი აირისა და წყლის ნარმოება და განაწილება	100	110.6	138.6	167.3	167.4	157.9	141.8	154.9	148.7	156.4	177.3	187.1	235.0	182.7
პროდუქციის გადამუშავება მისაწურნეობების მიერ	100	101.5	98.7	100.6	98.6	101.2	102.1	106.9	105.1	118.2	121.7	140.7	79.0	127.8
მშენებლობა	100	151.5	204.9	160.9	167.3	184.6	264.2	387.3	526.3	600.4	651.6	744.9	706.8	657.9
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნანარმისა და პირადი სარეცხლობის საგნების რემონტი	100	102.2	103.9	107.8	119.4	129.9	135.0	151.3	163.6	179.0	214.2	239.6	254.2	237.7
სასტუმროები და რესტორნები	100	129.8	138.7	152.6	165.1	220.9	237.5	271.2	279.8	327.7	362.1	410.9	389.8	488.5
ტრანსპორტი, დამხმარე და დამატებითი სატრანსპორტო საქმიანობა	100	142.0	215.4	227.1	258.7	262.9	288.4	300.9	312.2	324.2	378.8	433.2	370.1	426.0
კავშირგაბნულობა და ფოსტა	100	103.9	141.8	151.7	164.3	164.7	168.8	230.4	269.4	346.7	393.1	429.5	404.0	536.4
საფინანსო საქმიანობა	100	172.5	307.2	487.3	499.6	568.9	699.2	826.7	931.8	1,424.2	1,949.5	2,236.7	2298.0	2777.5
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული მომსახურება	100	137.6	146.0	124.1	131.0	168.1	149.2	212.2	271.8	300.5	352.7	405.0	340.7	416.0
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	100	99.3	99.4	100.6	102.7	104.2	105.4	107.3	108.0	108.9	109.2	115.3	119.3	119.3
საჯარო მმართველობა	100	98.5	107.6	100.8	101.2	97.5	98.7	96.4	105.8	99.1	96.8	110.7	114.0	127.0
განათლება	100	100.3	97.3	88.0	95.2	98.6	100.1	101.6	103.5	117.7	131.9	142.0	121.5	164.7
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	100	96.2	95.2	98.6	101.6	102.0	108.7	110.5	115.2	123.9	143.0	158.9	121.0	177.8
სხვა კომუნალური,სოციალური და პერსონალური მომსახურება	100	103.0	116.4	108.7	112.7	106.0	111.4	133.0	141.6	167.6	179.5	189.3	191.3	230.3
შინამეურნეობებში დაქირავებული მომსახურება	100	98.5	98.3	93.4	61.8	43.9	35.5	36.5	44.0	35.7	38.8	41.4	51.8	44.7
საქმიან აქტიურობაში ფინანსური შუამავლობის მომსახურების გამოყენების არაპირდაპირი შეფასება	100	135.0	359.8	478.7	532.9	650.2	797.9	833.9	768.2	1,209.9	1,028.8	1,488.3	1800.9	1788.5
მშპ საბაზისო ფასებში	100	107.1	111.7	114.2	115.8	120.8	127.3	142.2	150.2	165.8	181.7	202.8	184.1	219.0
გადასახადები პროდუქციაზე	100	188.5	171.7	190.8	195.0	215.9	229.7	230.6	249.7	252.7	270.2	318.0	342.8	298.7
სუბსიდიები პროდუქციაზე	100	100.3	116.2	113.7	87.3	80.7	77.6	75.5	74.9	75.3	67.0	71.4	80.5	75.5
მშპ საბაზრო ფასებში	100	110.5	114.0	117.2	119.4	125.1	132.0	146.6	155.1	170.0	186.0	209.1	194.6	221.6
მშპ დეფლატორი	100	106.6	113.8	124.7	130.5	137.5	145.8	150.6	162.8	175.6	190.6	208.9	221.0	231.7

დანართი 11

მუპ[1] ქვეყნების მიხედვით, 2007 წელი

ქვეყნები	სსფ	მბ	CIA
საქართველო	20,499	20,514	20,500
ავსტრია	317,807	317,261	317,800
აზერბაიჯანი	65,469	64,082	65,410
აშშ	13,843,825	13,811,200	13,840,000
ბელორუსი	105,246	105,264	105,200
ბელგია	375,993	366,148	376,000
გერმანია	2,809,693	2,727,514	2,808,000
დიდი ბრიტანეთი	2,137,421	2,046,780	2,137,000
თურქმენეთი	26,727	49,530	26,730
იაპონია	4,289,809	4,283,529	4,290,000
იტალია	1,786,429	1,777,353	1,786,000
კანადა	1,265,838	1,178,205	1,266,000
მოლდოვა	9,821	9,707	9,821
ნიდერლანდები	639,512	621,830	639,500
ნორვეგია	247,416	251,151	247,400
ყაზახეთი	167,622	167,647	167,600
ყირგიზეთი	10,500	10,382	10,380
რუსეთი	2,087,815	2,088,207	2,088,000
საფრანგეთი	2,046,899	2,061,884	2,047,000
სომხეთი	17,151	17,139	17,150
ტაჯიკეთი	11,819	11,821	11,820
უზბეკეთი	64,149	65,675	64,150
უკრაინა	320,126	320,762	320,100
შვეიცარია	300,186	301,718	300,200
შვედეთი	334,641	332,669	334,600

[1] I სვეტში მოთავსებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემები 2007 წლისათვის. მონაცემები მოტანილია მლნ. საერთაშორისო დოლარში (ანუ გირი-კამისის დოლარში).
II სვეტში — მსოფლიო ბანკის მონაცემები.
III სვეტში — მონაცემები ამერიკის დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს (CIA) საინფორმაციო ბიულეტენის მიხედვით.
http://en.wikipedia.org/wiki/List_of_countries_by_GDP_(PPP)

სარეკომენდაციო და გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. ასათიანი. ეკონომიქსი. განმარტებითი ლექსიკონი. თბ., საგამომცემლო ფირმა „სიახლე," 2006;
2. რ. ასათიანი. მომსახურება და საბაზრო სისტემა. მონოგრაფია. თბ., უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1993;
3. ნ. ასლამაზიშვილი. მ. მინდორაშვილი. ახალი ეკონომიკური აზროვნება: ცნებები და კატეგორიები. "ეკონომიკა", 4-5, 1993;
4. ნ. ასლამაზიშვილი. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა, თბ., სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი 1995;
5. ნ. ასლამაზიშვილი. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა: რა? როგორ? რა გზით? თბ., 1997;
6. ბ. გაბიძაშვილი. პოპულარული სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში. თბ., გამომცემლობა „უნივერსალი", 2008;
7. მ. ხმალაძე. სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში. თბ., გამომცემლობა „მერიდიანი", 2008;
8. ნ. სულავა. ეას-ის განვითარება საქართველოში. თბ., სამეცნიერო მოხსენებების კრებული. 2000;
9. ქ. მარშავა, მ. მინდორაშვილი. საქმიანობის სახეების განახლებული კლასიფიკაციები და მოსალოდნელი ცვლილებები ეროვნულ ანგარიშებში. "ეკონომიკა და ბიზნესი", #5, 2008;
10. ქ. მარშავა, მ. მინდორაშვილი. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა — მაკროეკონომიკური ანალიზის ინსტრუმენტი. "ეკონომიკა", #9, 2008;
11. ა.სილაგაძე ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბ., უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005;
12. საქართველოს ეროვნული ანგარიშები 1990-1995 წლებში. სტატისტიკური ბიულეტენი. სსსდ, 1996;
13. საქართველოს ეროვნული ანგარიშები 1996-2004 წლებში. სტატისტიკური კრებული. სტატისტიკის დეპარტამენტი, თბ., 2005;
14. საქართველოს საგადასახდელო ბალანსი 2006. საქართველოს ეროვნული ბანკი, თბ., 2008;
15. სეკ. 001-2004, ეკონომიკური საქმიანობის სახეები, თბ.,2004;
16. სეკ (CPA) 002-99, პროდუქციის სტატისტიკური კლასიფიკაცია საქმიანობის სახეობათა მიხედვით, თბ.,1999;
17. რომანტას იუოზას ვაიცენავიჩუსი. სტატისტიკის დეპარტამენტის დამოუკიდებლობის და მდგრადი ფუნქციონირების გაძლიერება საქართველოში. საქართველოს ეკონომიური ტენდენციები (GEPLAK). ოქტომბერი, 2008;
18. Фон Дер Липпе, Петер. Экономическая статистика, Штутгарт, 1995;
19. Образцова О.И., Копейкина О.В. Система национальных счетов. Учебник М., ГУ ВШЭ, 2008;
20. Основы Национального счетоводства, Учебник. под ред. Иванова Ю. Н., М., ИНФРА-М, 2007;
21. Система национальных счетов - инструмент макроэкономического анализа, Учебное пособие. под ред. Иванова Ю. Н., М., Финстатинформ, 1996;
22. Чабану К. Г. Система национальных счетов - инструмент макроэкономического анализа. Финансы, деньги, инвестиции. 2004, № 3;
23. Всемирная история экономической мысли. Т. 1. М., 1987;
24. Кулагина Г.Д. Национальное счетоводство: Учебник. М. „Финансы и статистика", 1997;
25. Башкатов Б.И. Национальное счетоводство: Учебник. -- 2-е издание перераб. и доп. -- М., „Финансы и статистика", 2002;

26. Башкатов Б.И., Рябушкин Б.Т. Практикум по национальному счетоводству: М.: „Финансы и статистика", 2004;

27. Есипова Е.Ю. Система национальных счетов. Краткий курс, М., „Финансы и статистика", 2007;

28. Босс К. Измерение экономики. Практическое введение в национальные счета. Самара, 2000;

29. Салин В.Н., Медведев В.Г. и др. Макроэкономическая статистика. Учебное пособие М., ДЕЛО, 2001;

30. Салин В.Н. Система национальных счетов. М., „Финансы и статистика", 2006;

31. Социально-экономическая статистика: Практикум: Методические указания; Решение типовых задач; Задания для самоконтроля под ред. Салина В.Н., Шпаковской Е.П. М., „Финансы и статистика", 2004;

30. Иванов Ю.Н. Экономическая статистика. Учебник. Издательство: ИНФРА-М 1998;

32. Иванов Ю.И. К выходу в свет новой системы национальных счетов ООН . „Вопросы экономики". 1994, № 5;

33. Иванов Ю. Десятилетие системы национальных счетов в странах СНГ „Вопросы экономики", 2004, № 3;

34. Национальное счетоводство: Учебник под ред. Г.Д. Кулагиной. М . МЭСИ. 1997;

35. Рябушкин Б.Т., Хомепко Т.А. . Система Национальных счетов. М.,1993;

36. Рябушкин Б. Т. Некоторые проблемы освоения системы национальных счетов в странах с переходной экономикой „Вопросы статистики", 1995, № 11;

37. Рябушкин Т.В., Сидчера В.М. Очерки международной статистики (методология и организация). М., 1981;

38. Кенэ Ф. Избранные экономические произведения. М.. „Соцэкгиз", 1960;

39. "System of National Accounts 1993. Commission of the European Communities, International Monetary Fund, Organisation for Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank, Brussels/Luxembourg, New York, Paris, Washington, D.C., 1993".

40. Gregory King «Natural and political observations and conclusions upon the state and condition of England in 1696» (Лондон, 1801), в виде приложения к «Estimate of the comparative strength of Great-Britain», Chalmers'

41. Hicks J.R. (1946). Value and Capital (2nd Edition), Clarendon Press, Oxford

42. United Nations (1953). A System of National Accounts and Supporting Tables, Studies in Methods, Series F, No. 2, New York.

43. United Nations(1968). A System of National Accounts, Studies in Methods, Series F, No. 2, Rev. 3, New York.

44. http://unstats.un.org/unsd/cr/registry/regcst.asp?Cl=4

45. http://www.civil.ge

46. http://www.statistics.ge/main.php?pform=85&plang=2

47. http://unstats.un.org/unsd/nationalaccount/history.asp From the 1968 SNA to the 1993 SNA - Information on the process of developing the 1993 SNA.

48. http://www.tilastokeskus.fi/tup/verkkokoulu/data/tali/02/01/index_en.html

49. http://circa.europa.eu/irc/dsis/nfaccount/info/data/esa95/en/esa95en.htm

50. The System of national Accounts For the New Economy: What Should Change? by Brent R. Moulton, October 2003, Bureau of Economic Analysis, Washington, USA.

51. http://unstats.un.org/unsd/sna1993/introduction.asp About the System of National Accounts 1993

52. http://unstats.un.org/unsd/pubs/

53. National Accounts: A Practical Introduction, Series: F, No.85

54. Handbook on Non-Profit Institutions in the System of National Accounts, Series: F, No.91

55. Manual on Statistics of International Trade in Services. Series: M, No. Series: M, No.77

56. Handbook of National Accounting, Use of Macro Accounts in Policy Analysis, Series: F, No.81

57. National Accounts Statistics: Analysis of Main Aggregates, 2006, Series: X, No.38

58. National Accounts Statistics: Main Aggregates and Detailed Tables, 2006 Part I, Part II and Part III, Series: X, No.39

59. http://unstats.un.org/unsd/nationalaccount/snanews.asp SNA News and Notes

60. System of National Accounts 1993 INTERNET VERSION (Free access)

61. Commission of the European Communities/Eurostat, Organisation for Economic Co-operation and Development, United Nations and World Tourism Organization Tourism Satellite Account: Recommended Methodological Framework;

62. Handbook of National Accounting: Links between Business Accounting and National Accounting;

63. Handbook of National Accounting: Handbook of Input-Output Table Compilation and Analysis;

64. Handbook of National Accounting: Use of the System of National Accounts in Economies in Transition;

65. Latin America: Highlights from the Implementation of the System of National Accounts 1993 (1993 SNA) Ramos, Roberto Luis Olinto ; Pastor, Gonzalo C. ; Rivas, Lisbeth Working Paper No. 08 239, October 1, 2008;

66. http://www.oecd.org/searchResult/0,3400,en_2649_201185_1_1_1_1_1,00.html;

67. National Accounts Meetings - Archive of Papers from 1999 Downwards 01-Dec-2005;

68. National Accounts of OECD Countries, Volume II: Detailed Tables Database Users' Guide 2007;

69. National Accounts of OECD Countries, Volume I, Main Aggregates Database Users' Guide 2007;

70. Statistics Brief No. 13 - The Revision of the 1993 System of National Accounts - What does it change? 2007;

71. The System of National Accounts, 1993 – Glossary, 2001;

72. Understanding National Accounts, François Lequiller, Derek Blades, 2007;

73. Proposals for the Revision of the SNA, 1952, UN/E/CN.3/356, August 1967;

74. http://unstats.un.org/unsd/nationalaccount/history.asp From the 1968 SNA to the 1993 SNA - Information on the process of developing the 1993 SNA.